

ევან ჯასოე

კახიზის
სოსხლის
ღვთა
▲
ჩოხანი

ფრანგულიდან თარგმნა
იროდიონ ქავჭავაძემ

თანამედროვე ფრანგი მწერლის ეან კასუს რომანს — „პარიზის სისხლისღვრა“ მნიშვნელოვანი ადგილი უკავია პარიზის კომუნის ამსახველ პროზაულ ნაწარმოებებს შორის.

რომანში ასახული მოვლენები თანამედროვეობას ეხმიანება. ნაწარმოების მთავარ გმირს, ტეოდორ კიშს, პარიზის რევოლუციური მოვლენების აქტიურ მონაწილეს, მტკიცედ სწამს შშრომელი ხალხის გამარჯვება. მთელი რომანიც ამ რწმენითაა განმსჭვალული. იგი უკეთესი მომავლისათვის გმირული ბრძოლისაკენ მოუწოდებს საფრანგეთის შშრომელებს.

მესამე ბამოცემა

კომუნის უკვლავი დღეები

პარიზის კომუნის გამოცხადების პირველივე დღეებში ახალმა რევოლუციებმა იღებმა მოიცვა ლიტერატურული საფრანგეთი. ცხოვრებამ ერთბაშად უკუაგლო მოქველებული სენტრალია: „როცა ზარბაზნები ჰქუეს, მუზეები სღუანა“. პირიქით, კომუნარების ზარბაზნების ქუხილს მონმარტრის ქედლიან რევოლუციური პოეზიის ასალი მძღავრი ტალღა მოჰყუა. ეს ტალღა ვერც ტრიუშონ-ტიერის „სისღიანა კვირამ“ ზეაჩერა. კომუნარები პირდაპირ ბარიკადებზე სოხაყდნენ ლექსებს. ამ ლექსების ტექსტზე იქმნებოდა ნებრძოლი სიმღერები. მათი რევოლუციური პათოზა არც კოპუნის დაცემის შემდეგ სუაელებულა. ვერსალის თეთრი ტერორის დღეებში დაიბადა ეფენი პოტიეს უყუდავი „ისტერნაციონალი“. დღეს ეს ლექსი-სიმღერა მთელს მსოფლიოს კომუნიტური და მუშათა პარტიების პიშია. პოტიეს გარდა ბეკრმა სახელგასთქმულმა მწერალმა დაეკავშირა თავისი სახელი პარიზის კომუნის გმირულ ამბებს. ჟიულ ვალესი, ეან ბატიკტ კლემანი, ლუიზა მიშელი და სხვ. მხარში ეღვგენ კომუნარებს. ბარიკადებზე დაიღუპნენ ეღუარდ მორო დე ბოვიერი, რაულ რიგო, ზარლ დეღეკლოუზი, ტონი ეუალენი და მრავალი სხვა, რომელთა სახელები ვერ ზენიანხა ისტორიამ. კომუნარების ბრძოლას თავისებურად უქვერღნენ მხარს სახელგასთქმული მწერლები პოლ ვერლენი, ეან არტურ რემბო, ესაეე დე რიკარი, ვილიე დე ლილ ადანი, ეან რიშენი, ლეონ კლადელი, განსაკუთრებით, მხატვარი გუსტავ კურბე და სხვები. მკვრამ ყუელა მწერალმა სწორად როდი გააგო პარიზის კომუნის მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობა. პირველმა პროლეტარულმა დიქტატურამ დააშინა ზოგიერთი ბურჟუაზიული ნწერალი. ზოგიც დაიბნა რევოლუციის ამ მრისსანე დღეებში. თავდაპირველდ ვერც ვიქტორ ჰიუგომ დაიჭირა სწორი პოზიცია კომუნის მმართ. ისეთმა სახელოვანმა მწერლებმა კი, როგორც არიან ეორჟ სანდი, გუსტავ ფლობერი, ეღუარდ გონკური, ალფონს დოდე, დიუმა (მეილი) და სხვები, თავიც შეირტყვიენეს პარიზის კომუნის საწინააღმდეგო გამოსულებით. ასეთ ვითარებაში განსაკუთრებით სააპყოდ ეღვარდ ილია ჰევეკაჰის მგზნებარე ლექსი, მიძღვნილი პარიზის კომუნიადმი. ეს ლექსი დაწერილია 1871 წელს, 29 მაისს — კომუნის დაცემის მეექვსე დღეს. ილია პირველი დიდი მწერალი იყო, რომელმაც სრულიად სწორი შეფასება მისცა პარიზის კომუნას. მან თქუა, რომ ეს იყო „ტერიტომშიმეთ და მაშურალთ მხსნელი“ დროშის გავლა და რომ ამ დროშის ძირს დაცემით „კვლავ შეფერხდა ისტორია“. ილიამ პარიზის კომუნის დამარცხებაში „განახლების ძალთა“ შეფერხება დაინახა. ასევე აფასებს კომუნის დაცემას მთელი მოწინაეე კაცობრიობა.

როცა ზარბაზნების ქუხილი მიწყდა და მრავალ ასეულ დაღუპულთა ნეშტი პერ-

ლა-შეზის ძმათა სასაფლაომ მიიბარა, რევოლუციური მწერლობა უფრო გულდას-
 მით შეუდგა კომუნარების გმირული ბრძოლის ასახვას. ახლა ყველასათვის ნათე-
 ლია, როგორ მოხდა ყოველივე ეს. საფრანგეთის მშრომელ ხალხს თავისუფლებ-
 სათვის ბრძოლის დიდი ტრადიცია ჰქონდა. მან თავისი სიტყვა თქვა ჰურჯუაზიული
 რევოლუციის დროს. 1831 და 1848 წლის ბრძოლებშიც ფრანგი მშრომელები იღებ-
 ნენ აქტიურ მონაწილეობას. მეორე იმპერიის უაღრესად რეაქციულმა პოლიტიკამ
 და საფრანგეთ-პრუსიის ომში კიდევ უფრო განამტკიცა წინააღმდეგობის გმრობა.
 სედანთან სამარცხვინო დამარცხებით აღშფოთებულმა ხალხმა დააპაო შერაჩე იმ-
 პერია, რითაც საბოლოოდ მოუღო ბოლო ბონაპარტისტულ რეჟიმს, თუმცა ვერც
 ე. წ. „ეროვნული დაცვის“ ხელისუფლების მიერ გამოცხადებულმა რესპუბლიკამ
 გაამართლა მშრომელი ხალხის იმედები. პირიქით, როცა ელისეს მინდერებზე პრუ-
 სიელი ჭარისკაცები დასერიანობდნენ, ტრიუშონისა და ტიერის მთავრობა ყველა თა-
 ვის ღონისძიების ფრანგი მშრომელი ხალხის წინააღმდეგ მიმართავდა. ამ ქუქკიის
 საქმეში ხელისუფლება პრუსიელებსაც კი იყენებდა. ამიტომ იყო, რომ პარიზელებ-
 მა „ეროვნული დაცვის“ მთავრობას სრულიად მართებულად „ეროვნული დლა-
 ტის“ მთავრობა უწოდეს. ეს დლატი ყველასათვის აშკარა გახდა, როცა საფრანგეთმა
 ხელი მოაწერა სამარცხვინო ზავს პრუსიასთან. ამან აავსო მოთმინების ფაალა,
 1871 წლის 17-18 მაისს, დამით, პარიზის პროლეტარიატმა ხელთ იგდო პრუსიელების
 ზარბაზნები შონმარტრის ქედზე. ამ ზარბაზნების ხმამ საფრანგეთს აჯანყების დ-
 წყება აუწყო. მუშათა კლასი გმირულად იბრძოდა ბარკადებზე. ტრიუშონ-ტიერის
 მთავრობა პრუსიელებთან ერთად გამოვიდა კომუნარების წინააღმდეგ. მარქსი წერდა,
 რომ ამ მთავრობამ მეორე იმპერიისაგან შემკვიდრებულ მიილო არა მარტო ნანგრე-
 ვები, არამედ, შიშიც მუშათა კლასის წინაშე. მდგომარეობა მართლაც გამწვავდა
 აჯანყებულ პარიზს ალყა შემოარტყეს პრუსიელებმა. ამან ვერ შეაშინა კომუნარები.
 პარიზის პროლეტარიატი ბარკადებზე დადგა. მთავრობა ვერსალში გაიქცა. ძალა-
 უფლება ეროვნული გერმანიის ცენტრალური კომიტეტის ხელში გადავიდა. 28 მარტს
 შეიქმნა არჩევითი ორგანო და საზეიმოდ გამოცხადდა კომუნა. ეს იყო არასრული,
 მაგრამ მაინც პირველი ფორმა პროლეტარიატის დიქტატურისა. გამარჯვებულთა
 მენარები მაშინვე შეუდგნენ სახელმწიფო აპარატის რეორგანიზაციას, გაატარეს მე-
 ტად საინტერესო რეფორმები, მაგრამ, საუბედუროდ, მრავალი საბედისწერო შეც-
 დომაც დაუშვეს. მათ ვერ დაამყარეს კავშირი საფრანგეთის სხვა აჯანყებულ ქალა-
 ქებთან, ვერ მიიმხრეს გლეხობა, გამოიჩინეს გაუბედარობა, დაუყოვნებლივ არ გაილაშ-
 ქრეს ვერსალის წინააღმდეგ, არ მოახდინეს ბანკის სრული რეკვიზიცია. წერილ-
 ბურჟუაზიულმა ელემენტებმა და მათმა მეთაურებმა — ბლანკისტებმა, პრუდო-
 ნისტებმა შერყეობა დაიწყეს და შემდეგ სრულიად ჩამოშორდნენ კომუნას.
 პარიზის პროლეტარიატი პირისპირ დაჩნა ვერსალის რეაქციულ მთავრობასა და
 პრუსიას სპილბაშვედ შეიარაღებულ არმიის პირისპირ. პარიზის ქუჩებში აღ-
 მართულ 592 ბარკადებზე კიდევ დიდხანს იბრძოდნენ კომუნარები, მაგრამ
 ბოლოს ძალამ თავისი გაიტანა. კომუნა დამარცხდა. ამ უთანასწორო
 ბრძოლაში დაეცა 30 ათასამდე კომუნარი; მრავალი ათასი ტყვედ იქნა წაყვანილა.
 დაიწყო საშინელი რეპრესიები. დიდხანს მძვინვარებდა ვერსალის თეთრი ტერორი.
 ხალხმა „სისხლდანი კვირა“ შეარქვა იმ საშინელ დღეებს. ათასობით კომუნარი დახ-
 ვრიტეს ან ვერსალს, არასისა და ობერვიის ჭურბმულებში მოათავსეს. უფრო მე-
 ტი კი ახალი კალედონიის სიკატორლო სამუშაოებზე გაგზავნეს. მიუხედავად ამისა
 კომუნარების რევოლუციური სულისკვეთება მაინც ვერ გასტეხეს. დამარცხებულენა

ციხეებსა და კატორღებშიც განაგრძობდნენ ბრძოლას. მათთან ერთად იყვნენ აჯანყების მონაწილე მწერლებიც: ლუიზა მიშელი, ეან ალემანი, ანრი ბრისაკი და სხვები სატუსაღოში ქმნიდნენ კომუნის სულისკვეთებით განმსჭვალულ ნაწარმოებებს. ისინი შერისიძიებნისა და ახალი ბრძოლებისაკენ მოუწოდებდნენ მშრომელ ხალხს. ემიგრაციაში წასული მწერლები ეყენი პოტიე, ეან ბატისტ კლემანი, ეყენი შატლენი, შარლ ბონე, გუსტაე გაიარი და სხვები ძველებურად განაგრძობდნენ კომუნის იდეის პროპაგანდას. რეაქციული ცენზურა ყოველ ღონეს ხმარობდა, რათა ჩაეხშო კომუნარების ხმა. ძნელი იყო რევოლუციური ლიტერატურის განოქვეყნება. ეყენი პოტიუს პირველი ლექსების კრებული 1831 წელს გამოვიდა, ამის შენდეგ 55 წლის განმავლობაში მას წიგნი არ გამოუცია. მხოლოდ 1886 წელს გამოვიდა პოტიეს ლექსების ახალი კრებული. ეან ბატისტ კლემანი 50 წლის იყო, როცა პირველი ლექსი გამოაქვეყნა. მიუხედავად ამისა, კომუნის ხდებები კვლავ ცოცხლობდა ლიტერატურაში. ფრანგი მშრომელები ისევე დიდ დახმარებას უწევდნენ კომუნარებს, მათ დასაცავად ხმას იმაღლებდნენ სახელგანთქმული საზოგადო მოღვაწეებიც. ამან იძულება მესამე რესპუბლიკის მთავრობა ამინსტია გამოეცხადებინა და გაეთავისუფლებინა დაპატიმრებული კომუნარები. სამშობლოში დაბრუნებულმა მწერლებმა კვლავ განაგრძეს რევოლუციური მოღვაწეობა. 80-იანი წლების ფრანგულ ლიტერატურაში ახეე გაისმა კომუნის მებრძოლი მოტიეები, ისევე ძველებურ პანგზე ეღერდა კომუნარი მწერლების პოტიეს, კლემანის, მიშელისა და სხვათა სიმღერები. მოვიდა კომუნის იდეებზე აღზრდილი მწერლების ახალი თაობა. გამოქვეყნდა პარიზის ბრძოლების ამსახველი პროზაული ნაწარმოებებიც. ეიულ ვალესმა თავის ტრილოგიის „აკ ვენტრას“-ის (Jacques Vingtras) მესამე წიგნი მთლიანად კომუნარების ყოფაცხოვრებას უძღვნა. მიუხედავად ამისა, რომ ცენზურამ მნიშვნელოვნად დაამახინჯა ეს ნაწარმოები, მასში მაინც ნათლად ჩანს კომუნარების რევოლუციური სულიანკვეთება. ეიულ ვალესმა უფრო ადრე კომუნარ მწერალ ანრი ბელანესთან ერთად დაწერა პარიზის პარლემენტარიატის გმირული ბრძოლის ამსახველი დრამა „პარიზელები“ (Le Peuple de Paris), რომლის გამოქვეყნებამ ვერ მოხერხდა. ლეონ კლადელში დაწერა ნოველების კრებული „ფეხშიშველი“ (Les Va-nu-pieds), ამ კრებულში ბევრი ისეთი ნოველია შეტანილი, სადაც ასახულია კომუნის დღეები: „მოჩვენება“ (Un Revenant), „ქალარა დედა“ (Mère blanche) და სხვა. მთაეე კლადელის კლამს ეყუთვნის რომანი კომუნარების ცხოვრებიდან — I. N. R. I. კომუნის გმირულ დღეებს ასახავს ლუიზა მიშელის რომანებიც. ეს ტრადიკია გრძელდება XX საუკუნის ფრანგულ მწერლობაშიც. ჩვენი დროის მწერლებშიც არა ერთი და ორი ნაწარმოები უძღვნეს პარიზის კომუნის უყვდავი იდეებებს ასახვას. კარლ მარქსი წერს, რომ „კომუნის პრინციპები მარადიულია. ისინი არ შეიძლება მოსპობილ იქნენ და ყოველთვის იდგებიან დღის წესრიგში, ვიდრე მუშათა კლასი არ მოიპოვებს თავისუფლებას“.

პარიზის კომუნის ამსახველ პროზაულ ნაწარმოებთა შორის მნიშვნელოვანი ადგილი უკავია თანამედროვე ფრანგი მწერლის ეან კასუს რომანს — „პარიზის სისხლისღერა“ (Les Massacres de Paris). მიუხედავად ამისა, რომ ეს რომანი კომუნის გამოცხადებიდან შეიდიოდე თთუელი წლის შემდეგ არის დაწერილი, მას მაინც არ შეიძლება ისტორიული ეწოდოს, რადგან ის ასეთივე სიძლიერით გამოხატავს მეორე მსოფლიო ომის პერიოდის პარიზის მდგომარეობას. ისტორიული სიტუაცია მეორდება. თუკი კომუნის დღეებში ელისეს მინდგრებზე პრუსიელი ჯარისკაცები დასერილობდნენ, ამ ომის დროს კომპიენის ტყეში პიტლერელი ფაშისტები საფრანგეთზე

გამარჯვებას ზეიმობდნენ. მაშინდელი „ეროვნული ლალატის“ მთავრობას მარშალ პეტენისა და ლავალის კოლაბორაციონისტული მთავრობა ცვლიდა. კომუნარების ბრძოლას იმეორებდნენ „წინააღმდეგობის ფრონტის“ პარტიზანული რაზმები, რომლის მონაწილეც ამ წიგნის ავტორიც იყო. ამიტომაც, რომ ეს კასუს რომანში აღწერილი პარიზის კომუნის გუმბინდელი ამბები დღევანდელივით ჟღერს. ეს განსაზღვრავს „პარიზის სისხლისღვრის“ აქტუალობას და მის დიდ საზოგადოებრივ რეზონანსს.

ეს კასუს რომანის მთავარი გმირი, ტეოდორ კიში, ერთი იმ კომუნართაგანია, რომელიც დამარცხების შერდეგ გაიფაჩენა ახალ კალედონიაში საკატორლო სამუშაოზე. იქ იგონებს იგი თავის თავგადასავალს, მკითხველი ეცნობა ამ მტკიცე ნებისყოფის, უტეხი ხასიათისა და მისწრაფების კომუნარის გმირულ ცხოვრებას, მის აქტიურ მონაწილეობას პარიზის რევოლუციურ ამბებში. კიშს მტკიცედ სწამს, რომ მუშათა კლასი თავისუფლებას მხოლოდ რევოლუციის გზით მოიპოვებს. ამ რწმენამდე იგი მხოლოდ მას შემდეგ მივიდა, რაც გაიარა პარიზის ბურჟუაზიული ცხოვრების ჭუნგლები, ნახა რით სუნთქავენ შერე იმპერიის ნაძირალები, აღვისო მათდამი სიძულვილის გრძნობითა და კომუნარებთან ერთად თავისუფლებისათვის ბრძოლის ბარიკადებზე დადგა. მისი სულიერი მასწავლებელი იყო ძველი რევოლუციური ბრძოლების ვეტერანი სიფრელენი, რომელიც სენ-მარის ქუჩებში იბრძოდა ლუი ფილიპის რეჟიმის წინააღმდეგ, მონაწილეობდა 1848 წლის რევოლუციაში და ბოლოს მებრძოლი კომუნარი გახდა. სწორედ ამ სიფრელენს გამოჰყავს კიში ნამდვილი ცხოვრების გზაზე. უნერგავს ახალგაზრდა მეგობარს რევოლუციურ იდეებს. კიშთან და სიფრელენთან ერთად იბრძვიან ეს კასუს რომანის სხვა გმირებიც. მათ შორის, სიფრელენის მშვენიერი ქალიშვილი მარი-როზი, რომლის რომანტიკულ სიყვარულს კიშთან არა ერთი ამალეღვებელი ეპიზოდი მიუძღვნა ავტორმა. კიში ყველაფერს ჰკარგავს ამ ბრძოლაში — მარი-როზს, სიფრელენს, მეგობრებს, თანამებრძოლებს, მაგრამ არ ჰკარგავს რწმენას საბოლოო გამარჯვებისა. იგი გრძნობს კატასტროფის მოახლოებას, მაგრამ მაინც თავს სწირავს მომავლის დიად საქმეს. ამიტომ ამბობს კიში, როცა დამარცხებული და განადგურებული რაღაც ბანალურ საქმიანობას შეაფარებს თავს, სულ ერთია, მის თვალეში მაინც იკიაფებს პარიზის კომუნის ცეცხლი. ეს განასხვავებს მას მათთაგან, ვინც მორჩილია და შეგუებული. ამაშია კაშის ბედნიერება. იგი მომავლის იმედით ცხოვრობს. ეს კასუს ეს რომანიც ამ იმედითაა გამსჭვალული. იგი გმირული ბრძოლებისაყენ მოუწოდებს საფრანგეთის მშრომელებს.

8. კვინილაგა.



ნ ა წ ი ლ ი კ ი რ ვ ე ლ ი

I

1870 წლის პირველ იანვარს სიფრელებთან ერთად პარიზში დავსეირნობდი. სიფრელებს ბინაზე, სენტ-ანტუანის გარეუბანში შევეუარე. სენის ნაპირს ჭავჭავით, შემდეგ ელინეს შინდვრების ხეივანებში გავიარ-გამოვიარეთ: მორთულ-მოკაზმული ბურჟუები გაკვირვებით გვიცქერდნენ: მე პალტო მეცვა და ცილინდრი მეხურა, სიფრელებს კი გახუნებული წამოსასხამი მოეხურა, რომლის ქვეშ სამუშაო ხალათი მოუჩანდა. თავის მძიმე ხელს იგი ხანდახან მხარზე დამადებდა, მეორე ხელს კი წვერზე ჩამოისევამდა დარბაისლურად, როგორც მოხუც მუშებს სჩვევიათ. თუმცა ციოდა, სიფრელები ფართოფარფლიან ქუდს იხდიდა და გრძელ ქალარა თმას ნიავე უბიძინებდა. ღრუბლიანი, წყნარი დღე იყო. პალტოს ზავერდის საყელო ავიწიე.

— ძია სიფრელებს, — ვუთხარი, — ამ ხალხს ჩვენ არ ვუყვარვართ.

სიფრელებმა მხრები აიჩეჩა და მედიდურად გააფურთხა. სიფრელებთან თავს ისე ვგრძნობდი, თითქოს უცხო ტომის მეთაურის გვერდში ვიყავ, მტრულადგანწყობილ ბარბაროსთა შორის. ამ საზოგადოებაში რალაც მწვავე და ზიზლისმომგვრელ სიამოვნებას განვიციდიდი; ვფიქრობდი ქალებზე, რომლებიც მიყვარდა, და ლექსებზე, რომლებსაც საიღუმლოდ ვწერდი. ვფიქრობდი აგრეთვე სიფრელებზე და მის

ორ ქალიშვილზე: ფერნანდასა და მარი-როზზე; უფროსი, ფერნანდა, ღრე დაუშნოვდა, ჩამოხმა, დედობამ და შრომამ დააქენო, უმცროსი, მარი-როზი, კი ჯერ კიდევ უმანკო და მშვენიერი იყო.

— მარი-როზს, — წავილულულდე, — ალბათ, მალე გაათხოვებთ.

— გაუბედურებას ქალი ყოველთვის მოესწრება.

სიფრელენის შეწუხებულ სახეზე ამოვიკითხე, რომ ის მეორე ქალიშვილზე, ფერნანდაზე, ფიქრობდა. მართალია, ოჯახში ფერნანდა უბედური არ იყო, თავის მეზობელ ზეინკალს, ლამაზ და კარგ ვაჟ-ქაცს გაჰყვა ცოლად, მაგრამ მათი ბავშვი... მშობიარობის დროს ხიფათა შეემთხვათ, ხერხემალდაზიანებული გოგონა შეეძინათ. რა მოელის? კუხიანი იქნება, გაუთხოვარი დარჩება.

— ნუთუ არაფერი ეშველება? — ვკითხე სიფრელენს, — ამ დღეებში ერთ ჩემს მეგობარს მოვიყვან, ექიმიო.

— ხომ იცი, — მითხრა მან, — პირველ წლებში თაბაშირში გვეწვინა, მაგრამ არაფერი გამოვიდა. უკეთესობა არ დაეტყო, როგორც არის, ასეთივე დარჩება.

საშინელი იყო ამაზე ფიქრი. ჩვენს გარშემო, ელისეს მინდვრების ზეინებში, ამოლტილს, უკვე ფოთლებგაცვივნილ ხეებს შორის, მხოლოდ ბედნიერი ოჯახები იყვნენ. ზუავივით ჩაცმული პატარა ბიჭუნა, რომელსაც ამხანაგები მოსდევდნენ, ფეხებში მეცა. შემდეგ ბავშვები ჟივილ-ხივილით გაიქცნენ.

— ძალიან იტანჯება ფერნანდა? — შევეკითხე.

— ჰო, ნამაც ვერა გრძნობს თავს კარგად... ვერც პაპა, — მიპასუხა ჩუმად.

— ასეთი უბედურება როდი მეორდება, — ვუთხარი, — მარი-როზი უფრო ბედნიერი იქნება.

და განვაგრძე ფიქრი მხოლოდ მარი-როზზე. მზიბლავდა მისი ჯანსაღობა. ძლიერსა და შმაგ სიხარულს იწვევდა ჩემში მისი ტანადობა, ხმის ყრუ ბგერა, შიშველი მკლავები და სხეული, რომლის ნაკვეთბს თეთრ კერესსა და ხამ თეთრეულქვეშ მინც ვგრძნობდი. რა საუცხოო რამ არიან ქალები! უეცარმა ნეტარებამ დამიარა ტანში. მოხუც სიფრელენს მკლავში ხელი ჩავავლე და ნაბიჯს ავუჩქარე. მძაფრი ტანჯვის-მგვრელი სიმთვრალე მეუფლებოდა. არა, ამქვეყნად ყველაფერი როდი იყო დაკარგული, რადგან არსებობდნენ ქალები, და შემედლო, მსურდა მათთვის სიცოცხლე შემეწირა. ანაზღად თვალწინ პატარა კუხიანი გოგონა წარმომიდგა. მარტოდმარტო თამაშობს კუთხეში. ზი,

მომაჩერდა. მის თვალებში ჯერჯერობით არაფერი არ ისატება, ისინი არც გეკითხებიან, არც რასმე გეუბნებიან.

— მიმხედარია ბავშვი? — შევეკითხე სიფრელენს, — იცის გოგონამ, რომ ისეთი არ არის, როგორც სხვა ბავშვები? დესციინიან ჰაწია ამხანაგები?

— არ ვიცი, — მკვახედ მომიჭრა სიტყვა სიფრელენმა, თავზე ფართოფარფლიანი ქუდი ჩამოიფხატა და მძიმედ ამოიოხრა.

ქვაფენილიდან მოისმოდა ცხენების ფლოქვების თქარუნი, ეყენების ყლარუნი, ეტლების ბორბლების გრიალი. ეს ხმაურობა ეტუალის ბოედნისა და დედოფლის პუენიუსკენ მიიწევდა. ცხენოსნები ეტლში მახდომთ სალანს აძლევდნენ. ჩვენ მარჯვნივ გადაუხვიეთ და ცარიელ ქუჩებს გავეყვით. მაღაზიები დაკეტული იყო. შევვდიეთ ბულვარში, სადაც ხალხი ბუზებზე ირეოდა. სიფრელენმა სენ-ლაზარისა და პორტ სენ-დენისკენ ხელი გაიშვირა და ჩაილულლულა:

— აი ეს, 48 წლის ივნისს მაგონებს. დიდი სიცხე დაგვადგა აქ.

უკან რომ ვბრუნდებოდით, მიანებო, როგორ იბრძოდა მანინე. იგი პუასონიერის ყაზარნებთან დაუქერიათ, ტუილრის სარდაფებში ჩაუშვყვდევიათ.

— ათას ხუთასი იდამიანი ჩაგვეყარეს იქ, — თქვა მან, — ტევა აღარ იყო. ქალები ჰკიოდნენ. ზოგი ჰკუაზე შეიშალა. დროგამოშვებით მოძრავე გვარდიელები¹ საკმელებიდან დაუმიზნებლად თოფს გვესროდნენ.

მთელი ღამე დოლის ბრახუნი და სროლის ხმა ისმოდა თურმე.

მეორე დღეს, როდესაც ტუსაღების ნაწილის ციხეში გასაყვანად მოსულან, სიფრელენი ლუვრის შემის საწყობიდან გაქცეულა. ეს ნამდვილი სასწაული იყო. ამას ორი დეკემბერი მოჰყვა, მაშინ მას ბრძოლა თვით გარეუბანში მოუხდა, თავისი სახელოსნოს წინ, ალიგრის ქუჩაზე.

ამ ძველი ამბების მოვონებაში დღამდა. ბირის ლამპები აინთო. ისევ ჩავეუარეთ სენას, აქ მეტი ხალხი ირეოდა. ისმოდა საღამოს გაზეთების გამყიდველთა ყვირილი. ჩემს თანამგზავრს წინადადება მივეცი მეორე სანაპირო ქუჩით დავბრუნებულიყავით, და სოლფერინოს ხიდი გავიარეთ.

ბაკისა და სანაპირო ქუჩების კუთხეში ხალხი ირეოდა, დელავდა. გრენელ-პორტ სენ-მარტენის ომნიბუსმა რახარახით ჩაიარა. ომნიბუსის

¹ 1848 წლის თებერვლის რევოლუციის დღეებში პროლეტარიატთან საბრძოლველად დროებითა მთავრობამ შექმნა „მოძრავე გვარდია“.

ზედაბანი ხალხით იყო გაჭედელი, მაგრამ ბრბოს მღელვარება ამ ომ-
ნიბუსს როდი გამოუწვევია. გამოჩნდნენ მხლებლები, რომლებიც იმ-
პერატორისა და დედოფლის ეტლს მიუძღოდნენ. სიფრელები და მე-
ტროტუარის კიდევ აღმოვჩნდით, უსაქმურთა პირველ რიგში. ჩემს
მახლობლად, ქმრის მკლავზე დაყრდნობილმა, კობტად ჩაცმულმა ქალ-
მა ეტლს ცხვირსახოცი დაუქნია. მისი ორი პატარა გოგონა, აღელვე-
ბისაგან ლოყაწითლებული, ყვიროდა: „იმპერატორს გაუმარჯოს!“
ხალხმა ყურადღება მიაქცია მათ. ქმარმა თავი უხერხულად იგრძნო.
სადღაც კიდევ გაისმა გაუბედავი შეძახილი: „გაუმარჯოს იმპერა-
ტორს!“

იმპერატორმა რომ ჩაიარა, დავინახე გენერლის ქუდი, ძალზე შავი
წვერი გაფითრებულ სახეზე, ხოლო გვერდით — ბეწვეულში გახვე-
ული დედოფალი. ბრილიანტმა გაიელვა. ეტლს უკან რამდენიმე ხმა-
ამოწვდილი ჟანდარმი მიჰყვებოდა, ეტლი ტუილრის სასახლის მაშარ-
თულებით მიიმალა. ბრბო გაიფანტა.

— დანახე? — მკითხა სიფრელებმა.

კვლავ გადავჭერით სენა, გავიარეთ ხიდი პონ-ნეფი და დიდხანს
შევჩერდით მოაჯირთან, ანრი IV ძეგლის კვარცხლბეკთან. ჩამობნელ-
და. მდინარე სარკესავით ისროდა აირის სინათლის ანარეკლს და ტალ-
ღებს პარიზის სიღრმეში მიაქროლებდა. მარჯვნივ ლუვრისა და ტუილ-
რის მოღუშული უზარმაზარი შენობები გაჭიმულიყვნენ. სიფრელების
ხშირი ჭილაკით შემოსილი სახე მრისხანედ გამოიყურებოდა...

— ძია სიფრელებს, — მივმართე, — პარიზის ნამდვილი იმპერატორი
თქვენა ხარო.

— სასაცილო იმპერატორი, ისე შეწუხებული, როგორც ის, ნამ-
დვილი იმპერატორი. იმპერატორი, ალბათ, ძალიან შეწუხებული უნდა
იყოს, — მიპასუხა მან.

— თუ არ არის, მალე იქნება, — წამოვიძახე, — სერიოზულ საქ-
მეებზე ვილაპარაკოთ, ძია სიფრელებს. თქვენ არაფერი გითქვამთ თქვე-
ნი მუშაობის შესახებ. რას აკეთებთ სახელოსნოში?

— მალე სანდალოზი გამითავდება, — მიპასუხა, — შემოიარე ჩემსას
ამ დღეებში.

— ყავაზე გეწვევით თქვენა და მარი-როზს, და ვისაუბროთ. იცო-
დეთ, ძია სიფრელებს, მე ისეთი ვინმე არა ვარ, სერიოზულ საქმეებს
არ ვივიწყებ. თუნდა ჩვენებს ჰკითხეთ.

სიფრელებმა გადაიხარხარა და მოაჯირს დაეყრდნო. მღუმარედ
შევიტყუროდი სენის ანარეკლს. ვფიქრობდი განვლილ დღეზე, სამუ-

შაოზე, რომელსაც ხვალ უნდა შევდგომოდი, ჩემს უაზრო ყოფაზე, აუტანელ მდგომარეობაზე, ჩემს ლექსებზე, მარი-როზე.

ჩვენს უკან ხალხი მიმოდრიდა, სადღაც მიიჩქაროდა. შემცივდა. ასე მეგონა, ოდნავ რომ გავნძრეულიყავ, სიცივეს ველარ ავიტანდი.

ქვემოთ, ხიდის თაღქვეშ, ხანძარივით ავარდნილმა ძლიერმა სინათლემ გაიელვა. ბრტყელძირა ნავმა გაისრიალა ნავის ბოლოში საჭესთან დიდი მაყალი დვიოდა. ეს ცეცხლი ნელ-ნელა გვშორდებოდა, მახლობელ ხიდქვეშ მიიმალა, იქიდან თანდათან პატარავდებოდა. მაგრამ იმ წვის სურათი გონებაში ჩამრჩა; და როდესაც თავი ავწიე, ვიგრძენ, სინათლეს თვალი მოეპჭრა, გული მისუსტდებოდა. კვლავ გავუღეკით გზას.

პალტოს ჯიბეში მუშტები მოვკუმშე, ხელები გაყინული მქონდა, შევხედე უზარმაზარ სიფრელენს, რომელსაც გაცვეთილი წამოსასხამი, ძველი ქუდი, ჭალარა წვერით და ჩაფიქრებული სახე სასაცილო იერს აძლევდა.

უზომო უიმედობამ შემიპყრო. ეჰ, — გავიფიქრე, — ნეტავ რა მოშელის მე, სუსტ არსებას? ვინმე მაინც მეტყოდეს ამას! ამ საბრალო სიფრელენმა ხომ არაფერი იცის ამის შესახებ? კიდევ რომა თქვას რამე, ისეთი ქარაგმებით დამიწყებს ლაპარაკს, ალბათ, ვერაფერს მივუხვდები. რას გაიგებ ადამიანის ნათქვამს... ახლა რომ ყვიროდნენ: იმპერატორს გაუმარჯოსო, რის თქმა სურდათ ამით? ან ეს განათებული ნავი, წინ რომ ჩამიარა, რას ნიშნავს? რასაკვირველია, ესეც არაფერს. ჩემმა თვალებმა მაინც შეინარჩუნეს ამ ცეცხლის აელვარება წყალზე, შავი კაცისა და საკის მახლობლად. არა, ის, რამაც თვალწინ ჩამიარა და პარიზს თავიდან ბოლომდე გადასჭრის, უმნიშვნელო როდი იყო.

II

პაპაჩემს, აყენორ კიშს, ებრაელთა უბანში, ოტელ დე ვილის ქუჩაზე, პატარა საწარმო ჰქონდა. ეს იყო საავეჯო ლაქის სახელოსნო, რომელსაც ეჭირა ერთი ღუქანი, ღუმელიანი სახელოსნო და სარდაფი საწყობად. ჩვეულებრივად ერთი მუშა ჰყავდა. როდესაც სამუშაო მოემატებოდა, დამხმარებებსაც ჭირობდა ფისის დასამსხვრევად და გასაგზავნ-გამოსაგზავნად. პაპაჩემი და ერთი მუშა საქმეს აუდიოდნენ, იგი მუშას შეელოდა სპილენძის ქვების აწევაში, სახელურში ჩასქიდებდნენ ხელს და ცეცხლზე დგამდნენ. თვითონ პაპაჩემი საწარ-

მოს მონავარიშე და საქონლის გამავრცელებელი იყო. ხოლო, როდესაც ხელის ურთიერთ მუშა საქონელს შემკვეთლებთან წაიღებდა, პაპაჩემი დაიქერდა მის ადგილს ღუმელთან, მაცივართან, ამბუხებთან, როდინთან, რომლის მეღერ ფსკერზე, მსხვილი ფილთაქვით შეიარაღებული, ფშენიდა ერთმანეთში არეულ ფისსა და ლაქს.

პაპის სიკვდილის შემდეგ მისი ორი შვილი შეამხანაგდა. მამაჩემს ვაჭრობა არ ემარჯვებოდა და ბიძაჩემი, უოზეფენი, ჩამოშორდა, მან მარეს უბანში ისეთივე საწარმო გაბართა. საქმე კარგად წაიყვანა. ვიეი-დიუ-ტამპლის ქუჩაზე ძველი სახლი შეიძინა, შვიდი თუ რვა ღუმელი მოაწყო, თორმეტოდე მუშა დაიქირავა, საეტლო ლაქის წარმოება გააჩალა და მამაჩემის შემკვეთლები გადაიბირა. თვრამეტი წლისა ვიყავი, მამა რომ მომიკვდა. ცუდად ვსწავლობდი, მაგრამ გულს მიმშვიდებდა ის სასიამოვნო აზრი, რომ არც სამსახურის ძებნა და არც გამოცდების ჩაბარება არ დამქირდებოდა. ჩემი მომავალი უკვე გარკვეული იყო. ვიცოდი, რომ მამაჩემის სახელოსნოს შემკვიდრე ვიქნებოდი, მასთან ერთად ვიმუშავებდი და ვაჭრობას შევისწავლიდი. ერთი სურვილი მქონდა მხოლოდ: ცოტა მემუშავნა და ბევრი მეოცნება.

ამისრულდა სურვილი: სწავლა რომ დავამთავრე, მამამ დავთრების წარმოება მომანდო, თან შემკვეთლებთან დავყავი. ერთად შემოვავლიდით ხოლმე სენტ-ანტუანის უბანს, ვინახულებდით ღურგლებს; ვეჩვეოდი მათთან, მათ ოჯახებთან და შეგირდებთან ლაპარაკს. მამაჩემი კარგად გრძნობდა თავს მათს შორის, თუმცა გონებრივი განვითარებით რამდენადმე მათზე მაღლა იდგა; ესაუბრებოდა პოლიტიკაზე. ყველაზე მეტიდ მამაჩემს ეს საკითხი აინტერესებდა.

მე ვიზიარებდი მის შეხედულებას, მაგრამ ღრმად ამაზე არასოდეს არ ღაფვიქრებულვარ, არც დიდი მნიშვნელობა მიმიცია ამისთვის. მამაჩემის ბიწლიოთეკაში ყველა წიგნი წავიკითხე. აქ თავმოყრილი იყო წარსული საუკუნის ყველაზე უფრო თავისუფლად მოაზროვნეთა და ჩვენი საუკუნის უკეთილშობილეს ადამიანთა ნაწერები. წიგნებში ამოკითხულ ამადლეკებელ შეხედულებებს ავსებდა და ერთმანეთში ურევდა მამაჩემის მუდამ მერყევი აზრები. მის ყუთებში ვნახე ლენტები¹ უცნაური წარწერებითა და ნიშნებით, წერილები, ქალაღდები ემბლემებითურთ.

ამ აღმოჩენამ და წიგნების კითხვამ ბუნდოვანი ცნობისმოყვარე-

¹ მასონის ორდენის ლენტები.

ობა აღძრეს ჩემში, რაღაც მოლოდინმა და იმედმა შემიპყრო, რასაც
ჩერ კიდევ თავს ვერ ვართმევდი, და ამის გარკვევა სხვა დროისთვის
გადავდე. მაშინ მხოლოდ იმ ადგილების წახვით ვერთობოდი, სადაც
შამაჩგმს დაყვავდი. მიყვარდა ახმაურებული სახელოსნოები, ფიცრე-
ბის სუნიტ გაქლენთილი ეზოები, იმ ქუჩებში გამეფებული დიდი სი-
ჩუმე, ამდენ საქმიანობას რომ ფარავდა, და საღამოს შამაჩემთან ერ-
თად შინ დაბრუნება. გული გაურკვეველი სიხარულიტ მევესებოდა და
ეს სიხარული შთლად მიპყრობდა, როცა ვუახლოვდებოდი ჩვენს
ქუჩას, ოტელ დე ვილის ცივსა და ბინძურ ქუჩას, რომელიც, დაქ-
ლაკნილი, პალე დე სანსის ძველ კოშკებს აფარებდა თავს. წარმოუდ-
გენელი ქუჩა იყო, გრთური, წარსულში ჩამარხული, მკვდრის შგავსი.

მწითურპარიკიანი, ბებერი ებრაელი ქალები ხრინწიანი ხმით კა-
რიდან კარზე გასძახოდნენ ერთმანეთს. გრძელ სერთუქში, როგორც
საბანში გახვეული, რაბინი სინაგოგისაკენ მიეშურებოდა. ჩამოფლე-
თილი ბავშვები წუმპეში თამაშობდნენ. გული ამითრთოლდებოდა, რო-
დესაც შავი კარის ზღურბლზე, ნაკელზე ამოსული ვარდივით გამოჩი-
ნდებოდა რომელიმე შავგვრემანი თმახუჭუქა ქალიშვილი; მისა ნოგ-
რძო თვალეტი დაოკებული სითამამით, მშვიდად შემომცქეროდნენ.

ბოლოს ბინას მივალწევდით, და ისევ ვხედავდი ყუთებითა და
ბოთლებით სავსე საწყობს, სიღრმეში — ნათელ სახელოსნოს, რომე-
ლიც ეზოში გადიოდა. გამოჩნდებოდა დედა, და ცხვირში მეცემოდა
ჩვენი ბინის დატუეიწყარი სურნელება, რომელშიც ფისის, ქაფურის,
სკიბიღარის, კოპალისა და სანდარკის სუნი ირეოდა.

მამის გარდაცვალებოს შემდეგ მე და დედაჩემმა გაბედულად მოვ-
კიდეთ საქმეს ხელი, მაგრამ იგი თავის განსვენებულ ქმარზე უფრო
გონებააბნეული იყო. მე კი საქმეს თავი მივანებე და მთელი საათო-
ბით ბიბლიოთეკაში ვიჯექი. ზოგჯერ სინდისის ქენჯნა შემიპყრობდა და
დურგლებს ჩამოვივლიდი. კონკურენცია, რომელსაც მრავალი წლის
განმავლობაში ბიძა ჟოზეფენი გვიწევდა, მისი სრული გამარჯვებით
დამთავრდა. გარდა ერთგული, იშვიათი შემკვეთლებისა, ყველამ დაგ-
ვივიწყა, როდესაც სადმე წარდგებობდი კიშის ფირმის სახელიტ, რო-
გორც ტეოდორ კიშის შვილი და მემკვიდრე, ასე მიბაჟხებდნენ:
„თქვენ გინდათ თქვათ, ჟოზეფენ კიში, ვიეი-დიუ-ტამპლის ქუჩა, ყო-
ველნაირი ლაქის დიდი ფირმა...“

გაქირვებაში ჩავეარდით, მაგრამ დედას მაინც შერჩა უცნაური
ხასიათი: იგი საწყობსა და სახელოსნოში დაბოდა და თავისთვის ლა-
ბარაკობდა, ხოლო მე რომანებზე ვოცნებობდი. ზოგჯერ დედაჩემი

საღად აზროვნებდა და მაშინ მირჩევდა გაგვეყიდა სახელოსნო, რომელიც, თუმცა ნიადაგშერყეული იყო, მაგრამ პატარა შემოსავალს მაინც მისცემდა კაცს, მე კი სადმე კანტორაში თანამშრომლად ან მალაზიაში ნოქრად მოვწყობილიყავი და გვეცხოვრა ისევე ღარიბულად, როგორც ახლა, მაგრამ ხვალინდელი დღის შიში კი არა გვექონოდა, ეს გაუთავებელი შიში, რასაც სავაჭრო საქმის ცვალებადობა იწვევდა. ვალების გადახდამ წელში გაგვტეხა. ხელწერილები, ვადაგასული თამასუქები არ გვანავენებდნენ. სახლის პატრონის, ამ უხეში ადამიანის მიერ ბინის ქირის დაუსრულებელმა მოთხოვნამ ხომ სული ამოგვართვა. თავის საუბარს ერთი და იმავე სიტყვებით ამთავრებდა:

— მაშ ასე, ქალბატონო კიშ, თქვენი ქმრის ხსოვნის პატივსაცემად გადროვებთ თხუთმეტამდე, მაგრამ ეს უკანასკნელი ვადა იყოს.

— ოცამდე, ბატონო მუატრიე, ოცში გადაგიხდით, გეფიცებით. ოცს ჩემი შვილი თვითონ მოგიტანთ ფულს... ხომ, ტეო?

როდესაც გამოუვალ მდგომარეობაში ჩავეარდით, დედას, ჩემს დაუკითხავად, მიეღო გადაწყვეტილება. რაზდენიმე დღეში გაკოტრება მოგველოდა. გუშინს აქეთ მხოლოდ ბრინჯიანი რძის ფაფით ვიკვებებოდით, ხელფასის მიუღებლობის გამო ერთადერთმა მუშამაც მიგვატოვა. დავბრუნდი თუ არა გარეუბნის უნაყოფო ჩამოვლის შემდეგ, დედაჩემმა მათხრა:

— აბა, თუ მიხვდები, სად ვიყავი ამ დილას?

— სად?

— ჟოზეფენთან.

გავოცდი. მაგრამ, რა თქმა უნდა, დედა სწორად მოიქცა: სხვა გამოსავალი არ იყო, ჩვენი ბედი მტრისთვის უნდა მიგვენდო.

— ათი წელიწადია ერთმანეთი არ გვენახა, — განაგრძო დედამ, — ძალიან დაბერებულხართო, მითხრა, მაგრამ არც ის დამხვდა ახალგაზრდა.

— რა გითხრა?

— გადაწყვეტილად არაფერი. ვფიქრობ, დახმარებას აღმოგვიჩენს, ჩერ შენთან მოლაპარაკება სურს, უნდა წახვიდე, ტეო...

წავედი ვიე-დიუ-ტამპლის ქუჩაზე. შევედი ფართო ეზოში, სადაც მუშები ორცხენიან ფორანს ტვირთავდნენ, და ერთი წუთით შეეჩერდი, რომ დამეთვალეირებინა ლუი მეთოთხმეტის დროის მშვენიერი სახლის ფასადი, მის ფრონტონზე ქალღმერთი დოვლათის რქასა სცილიდა. ვათვალეირებდი კორინთულ სვეტებში ჩასმულ მინებიან კარებს და ზედ მიკრულ აბრას, რომელზედაც ჟოზეფენ კიშის დიდებუ-

ლი სახელი გადაჭიმულიყო. გულის ფანქვალით ავიარე კიბის სამი საფეხური და კარი შევადე. ფილებდავებული ვესტიბულიდან დიდ დარბაზში შევედი. მისი გაცვეთილი, მტერისაგან გათეთრებული პარკები ჩაღისა და ქალაღდის ნაგლეჯებით იყო დაფარული. დარბაზი დაბალი ტიხრებით ხუთ თუ ექვს პატარა კანტორად იყო გაყოფილი. ჭერზე მოჩანდა ძველი მსატვრობის ნაშთი, ლურჯი და ვარდისფერი, კედელზე კი ოდესღაც მოოქრული პანელი ყოფილა. ერთ-ერთ კანტორაში ბრძანდებოდა ბიძაჩემი, ჟოზეფენი, მსხვილი, მწითლური კაცი, ყვითელწვერულვაშიანი. ნაპოლეონ მესამესაგით წვერი ნხოლოდ ნიკაპზე დაეტოვებინა. გაკრიალებული ტანისამოსი ეცვა. კაკლისფერი სერათუკი და თეთრი ქიშინირის ჩინებული შარვალი. მამაჩემს ჰგავდა. ხელი, რომელიც გამომიწოდა, მამაჩემივით ნაზი და რბილი ჰქონდა. დანახვისთანავე მიცნო, რომ მისი გვარისა ვიყავ, და მითხრა, მამას უფრო ჰგავხარ, ვიდრე დედასაო.

— მაგრამ სახეირო აქედანაც არაფერი არ გამოსულა, — დაუმატა უხეშად — არც ერთი და არც მეორე ამ ქვეყნისათვის არ ყოფილან გაჩენილი. დღესაც არ ვიცი, რომელმა მათგანმა მიაცუნა. მეორეს უფრო მეტი ზიანი. მამაშენი გარდაცვლილია, იმაზე ნუ ვილაპარაკებთ, რაც შეეხება ჩემს რძალს...

— ბატონო ჩემო, — ცოტა აწეული ხმით მივმართე და ამის გამო სიამაყე ვიგრძენი, — იმისათვის როდი მოვსულვარ, რომ თქვენი მსჯელობა მოვიწმინო.

— მოიხმენ იმას, რასაც მოგასმენინებ. მამაშენმა თავისი დაუდეგრობით სიღარიბემდე მიგიყვანათ. შენ და დედაშენმა ვულმოდგინედ, თანამიმდევრობით მოათავეთ მის მიერ დაწყებული. თქვენი ძალების გამოყენება უკეთ შეგეძლოთ. მაგრამ რაც მოხდა, მოხდა. მოკლედ — გაკოტრებამდე მისვდით. დედაშენმა მიაშბო... მართალია, არც ისე გარკვეულად, რადგან საბრალო ქალს ვაჭრობისა არაფერი გაეგება, მაგრამ, როდესაც საქმე გაკოტრებას შეეხება, სიდავო აღარაფერი რჩება. აი, რა წინადადებას გაძლევ.

ცოტა ხანს გაჩუმდა, მეც ერთი ამოვისუნთქე. მერე შთბოვა, დაჯექიო.

— შე, — განავრძო, — ნათესაობას ვაფასებ, როგორც ეს ვაჭრობის უნარის მქონე ადამიანს სჩვევია. დიახ, დიახ, ჩემო პატარავ! როდესაც შენ მიერ შექმნილი საქმე გაინტერესებს, როდესაც ხედავ როგორ იზრდება და ვითარდება იგი. შენს თვალწინ, ეს იმას ნიშნავს, რომ მამაპაპური ძარღვი გაქვს და ამიტომ გაჩენილხარ, რომ გიყვარდეს

ცოლი, შვილი და, ამას გარდა ძმის ცოლი და შვილი. შენ, რასაკვირ-
ველია, გგონია, თითქოს მე არაფერს წარმოვადგენდე, მამაშენი კი
დიდი კაცი იყო. შენი თავიც, რა თქმა უნდა, დიდ კაცად მიგაჩნია —
შენ ხომ ხელოვანის ბუნება გაქვს! გეზიზღები, მშვენიერ გრძნობებს
მხოლოდ შენს თავს აკუთვნებ. ხომ ასეა? მაგრამ აი, ნახავ, ჩემიანებ-
ში როგორ ვცხოვრობ, ჩემი ცხოვრების მონაწილე გახდები, შემოხ-
ვალ იმ წრეში, რომლის ცენტრიც მე ვარ... რადგან ჩემს ცხოვრებას
ვაინაწილებ, დიახ, დაუბრუნდები ოჯახის წიაღს, რომელიც არასო-
დეს... მაგრამ ნუ ავჩქარდებით, უკვე მივუახლოვდით იმას, რაც უნდა
გითხრა...

სულს ძლივს ითქვამდა მჭევრმეტყველებისა და ზეიმისაგან. წი-
ნადადებებს ვერ ამთავრებდა, მაგრამ დიდ კმაყოფილებას გრძნობდა,
თითქოს ბრწყინვალე სიტყვა წარმოეთქვას და მსმენელები აღტაცე-
ბაში მოეყვანოს. აბრეშუმის ცხვირსახოცი ამოიღო, ტუჩები და შუბ-
ლს მოიწმინდა, ნიკაპზე დატოვებულ წვერზე ხელი ჩამოისვა და გა-
ნაგრძო:

— რამდენი რამ მაქვს სათქმელი შენთვის, მერწმუნე, მერჩივნა ეს
შენთვის კი არა, მამაშენისათვის მეთქვა. ძალიან ბევრი მქონდა მის-
თვის სათქმელი! მაგრამ რადგან ბედმა ასე ინება, ყველაფერს გაიგებ.
მოთმინება იქონიე! ყველაფერს თავისი დრო აქვს. თქვენს მდგომარე-
ობაზე ვიფიქრე და აი, რა გადაწყვეტილე: ჯერ გაკოტრებისაგან დაგიხ-
სნით... დამამთავრებინე, მადლობის თქმას მერეც მოასწრებ. ამას
ჩავდივარ არა შენთვის, მით უმეტეს არა დედაშენისათვის, რადგან...
შენ, რა თქმა უნდა, ფიქრობ, რომ სახელისთვის ვშვრები ამას, კიშთა
სახელისათვის! და ეს ღიმილსა გგვრის. შენ, რასაკვირველია, ყვე-
ლაფერს ამას ზემოდან დასცქერი. ვთქვათ, ამას სახელისათვის ჩავ-
დივარ, თუმცა სრულიადაც არ არის ასე... უფრო იმიტომ, რომ...
ერთი სიტყვით, ასეა თუ ისე, დედაშენი და შენ აქ იმიტომ მოსულ-
ხართ. რომ გაკოტრებისაგან დაგიხსნათ. ხომ ასეა? მაშასადამე, თქვენ-
თვის სრულიადაც არ არის ერთი და იგივე გაკოტრდებით თუ არა,
მაშ, გადაწყვეტილია. თქვენ არ გაკოტრდებით, მე ყველაფერს გადა-
ვიხნდი.

— მადლობას არ მოგახსენებთ, რადგან თვითონ ისურვეთ, რომ
მადლობა არ გადაგიხადოთ. მრმეცით მხოლოდ ნება, ბატონო, მოგახ-
სენოთ უბრალოდ...

— ყველაფერს, რაც გინდა, მაშინ იტყვი, როცა მე ლაპარაკს გა-
ვთავებ. მანამდე კი ნუ მეძახი ბატონს. მე შენი ბიძა ვარ, და ეს ისეთა

ფაქტია, რომლის წინააღმდეგ ვერაფერს გააწყობ, რაც უნდა დიდი ჭკუის პატრონი ბრძანდებოდე. და აქ სწორედ იმიტომაც ხარ, რომ შენი ბიძა ვარ. ასეა, ხომ? განვგარძობ. ვთქვათ, თავი დააღწიეთ გაჭირვებას, მაგრამ ლაქის წარმოებას ველარ განაგრძობთ, რადგან საქონელი არ იყიდება და ყოველი კვარტლის დამღვეს გაკოტრება მოგვლით. ლაქის ერთადერთი საწარმო მხოლოდ კიშთა საეპქრო სახლს ეკუთვნის, ესე იგი, მე. მაშასადამე, მოხდება არა გაკოტრება, არამედ ლიკვიდაცია.

— ჩვენ რაღა მოგველის?

— დამშვიდდი, თქვენ არ გაუბედურდებით. თქვენ აქ იცხოვრებთ: დედაშენისათვის გვაქვს სუფთა ოთახი, შენთვისაც გამოვნახავთ მოხერხებულ საკუჭნაოს. შენ ჩემს კანტორაში იმუშავებ, დედაშენი მშვენიერად შეეწყობა ჩემს ცოლს, შენს ბიცოლას, რომელსაც, მერწმუნე, თქვენზე ნაკლები გული როდი აქვს, თან ცოტა რამ მეტიცა აქვს, რასაც გონება ეწოდება. შენ დაუმეგობრდები ჩემს ქალიშვილებს, მაგრამ ცოლად ვერც ერთს ვერ შეირთავ. წინასწარ გაფრთხილებ. ერთი სიტყვით, ისინი დანიშნულები არიან, და საწარმოს ერთ-ერთ სიძეს დავეუტოვებ. მაგრამ, თუ თავს კარგად დაიჭერ, შეიძლება მომავლისათვის მოხერხდეს, რომ საწარმოში რაიმე წილი დაგიდო. ჭერ კი მომავალზე ფიქრი აღრეა. შენ გემის დაღუპვას გადაურჩი და ახლა იმით დაკმაყოფილდი, რომ შეგიძლია თავისუფლად ამოისუნთქო. მე სიცოცხლეს გინარჩუნებ და ჩემთან სამუშაოს გაძლევ. დავთრებზე მუშაობას დაიწყებ, რომ განათლება დააარულო, მერე ცოტას სახელოსნოში გაეჩვევი. ერთი თვის შემდეგ დაგავალებ შეკვეთების შეკრებას, სენტ-ანტუანის გარეუბანს უკვე იცნობ და ეს არ გაგიძნელებს. სადურგლო ლაქებში ასე თუ ისე ერკვევი, მაგრამ საეტლო ლაქებისა არაფერი გაგეგება. თანდათან ესეც უნდა შეისწავლო. ჩემი პირობა ასეთია: შენ ნიერ აღებული შეკვეთებიდან პროცენტებს მიიღებ, მოგცემ აგრეთვე თვეში ორას ფრანკს, აქედან...

უზზეფენმა სული მოითქვა, შუბლი მოიწმინდა და განაგრძო:

— აქედან დავიჭერ ოცდახუთ ფრანკს დედაშენის შესანახად და სამოცდათხუთმეტს შენი ვალის, ხუთი ათასი ფრანკის, დასაფარავად. ამ თანხას გაძლევ სესხად სახელოსნოს ლიკვიდაციისათვის. როგორც ხედავ, არ მოვითხოვ მთლიანად ვალის დაფარვას, მოვითხოვ მხოლოდ რაღაც ხუთი ათასი ფრანკის გადახდას. მე ეს ორჯერ უფრო ძვირად მიჭდება, მით უარესი ჩემთვის! ვალის უფრო აღრე მოშორებას თუ შოისურვებ, ამის უფლება მოგეცემა. არა მსურს ყმად გაგიხადო. არა.

შენ ჩვენი ოჯახის წევრი ხარ და ოჯახში დარჩებით შენ და დედაშენი. პურს ჩვენთან შეჭამთ საერთო სუფრაზე, ჩვენს ჰერქვეშ იცხოვრებთ. ახლა შეგიძლია მადლობა გადამიხადო. ნეტავ, ახლა აქ სადმე კუთხეში მამაშენი იყოს...

მეტი არაფერი დამრჩენოდა. უოზეფენი წამოდგა და ხელი გამომიწოლა.

— ხვალ დილით, — მითხრა, — მოვალ თქვენს საცოდავ სახელოსნოში. მიჩვენებ დავთრებს, და ყველაფერს მოვაწესრიგებთ.

ამ დღეს მე და დედაჩემი უკანასკნელად შევექვეციით რძის ფათას. მეორე დღეს უოზეფენი გამოცხადდა. კაკლისფერი სერთუკის ჯიბეები გამობერილი ჰქონდა ბანკის ბილეთებით. მიტოვებული საგვარეულო სახელოსნოსა და პატარა ბინის ნახვამ ოდნავ გული აუჩუყა. იქ ბევრი ავეჯი იცნო. ატირებულ დედას ხელზე აკოცა და უთხრა: „კმარა, კმარა, ჩემო ძვირფასო!“ მერე კანტორის გატეხილ მაგიდას მიუჯდა, წინასწარ კი აბრეშუმის ცხვირსახოციით მტვერი გადაფერთხა, ცრთხილობდა, ქიშმირის მარგალი არ დაესვარა.

ყველა დათარი და ქაღალდი მივუტანეთ. ბიძაჩემი მათ გადათვალიერებას შეუდგა კუს ძვლისტარიანი ლორწეცით, თან ლმობიერად ილიმებოდა და თავს იქნევდა.

— რა გაქვთ საწყობში? — იკითხა, — ბევრი არაფერი, ხომ? საქონელი აღწერე? იმედი მაქვს, რომ პატარა აქტივის შედგენას მაინც შევძლებ... წინააღმდეგ შემთხვევაში...

ხალათი ვათხოვე, რომ ჩვენთან ერთად სარდაფში ჩამოსულიყო. იქ ჩასვლა ქვის კიბით შეიძლებოდა, რომელიც სახელოსნოს კუთხიდან ეშვებოდა. კიბე ობმოდებული და მოლიბული იყო. მე ფანრით წინ მიუძღვებოდი, იგი ბურღლუნით უკან მომდევდა.

— ყველაფერი ისევია, როგორც წინა ნაპოლეონის დროს. არაფერი არ გაგიუმჯობესებიათ. ნახავ, როგორ განვაახლე ჩემსას ყველაფერი.

მთელი მკერდით უკანასკნელად ვისუნთქავდი ნესტიან ჰაერსა და სიბნელეს, სადაც ბავშვობა გავატარე; ჰაერს, ბალის სიღრმიდან მოვარდნილს, სადაც ხავსმოდებულ ქვებსა და ესენციების შემოდგომის სურნელებით გაჟღენთილ წყვილიადში ხანდახან დამინახავს ვარსკვლავნივით მოკიაფე ნიამორის თვალები.

როდესაც ყველაფერი მოვაწესრიგეთ — შევადგინეთ სარდაფის ინვენტარის სია, გამთვარკვიეთ ანგარიშები, ბიძაჩემმა თავის ოჯახში შესასვლელად გადმომცა კარგა ბლომად ბანკის ბილეთები. იგი კარებამ-

დე მივაცილე. როდესაც ჩვენი განადგურებისა და დაქვეითების მნახველი გულაჩუყებული და იმავე დროს აღშფოთებული მიდიოდა, გაეცქეროდი ვიწრო, დაკლავნილ ქუჩას, ღიპიან ფასადებს, ღრმა მანღურებს, კიისაგან დაკმულ კარებსა და ნახვრეტებიან კედლებს, რომლებსაც აქა-იქ, ქუჩის ფარნის მთრთოლვარე შუქივით, მზის სინათლე ხვდებოდა, ვალერსებოდა.

სენ-ჟერვეს კოშკის საათმა შუადღის ზარი ჩამოჰკრა. ალერსიან სითბოში მოისმა მოფუსფუსე დიასახლისების ყრუ ხმა, ხოლო მახლობელი მწვანის დუქნის ყაფაზზე კალათაში ბრწყინავდა წიწაკის პრილა კანი.

— მაშ, ასე, — თქვა ჟოზეფენმა, — მიატოვებთ ამ ბუნაგს, ეს არ გავნებთ.

— ბიძაჩემი მარწმუნებს, რომ არა სურს ყმად გამიხადოს, — ვუთხარი დედაჩემს, როდესაც მარტო დავრჩით, — ნამდვილად კი ტყვედ ჩაეუფარდით, თავი გავიყიდეთ. შენ მართალი იყავი: აჯობებდა გოკოტრებანდე მოგვეშორებინა სახელოსნო. რაიმე სამსახურს ვიშოვნოდი, ყოველ შემთხვევაში, თავისუფალი ვიქნებოდით.

— აკი გეუბნებოდი!

— მარცხი უფრო ადრე დაგვატყდა თავს, ვიდრე მოველოდი. მერე ვიშოვნიდი კი სადმე ადგილს?

— ვინ იცის!

სინანული და იმაზე ფიქრი, თუ რა აჯობებდა, დროის დაკარგვა იყო: ბოლოს ფატალიზმმა, რომელიც ყოველთვის გვაკავშირებდა მე და დედაჩემს, დასძლია ჩვენი ნერყეობა და ეპქეები გაგვიფანტა.

უკანასკნელ დღეებში საქმეები ნოვათავეთ, ავეჯი გავყიდეთ, მხოლოდ რამდენიმე წიგნი დავიტოვე. ბოლოს ოტელ დე ვილის ქუჩას გამოვვითხოვეთ და საცხოვრებლად ბიძაჩემთან გადავედით.

ჟოზეფენის ოჯახს ფასადის მეორე სართული ეჭირა. პირველ სართულში, როგორც უკვე აღვნიშნეთ, კანტორა იყო მოთავსებული. იქვე რამდენიმე ოთახი სახელოსნოს ჰქონდა დათმობილი. სახელოსნოსვე ეჭირა ახალი, დიდი შენობის პირველი სართულის მარცხენა მხარე, შესასვლელამდე, რომლის პირდაპირ სადარაჯო ოთახი იყო. კორპუსის მეორე სართულში მოთავსებული იყო ჩალისა და შუშეულის საწყობები და ერთი პატარა საკუქნაო, არქივით გავსებული. აი, ეს საკუქნაო მომიწყეს ბინად.

ჩვენი ოთახის ფანჯრიდან ვხედავდი ეზოს, ხოლო პირდაპირ —

შენობის მარჯვენა მხარეს, რომელიც ფორანების ფარდულსა და საჯინბოს ეკირა.

კრამიტით დახურული სადარაჯოს პირდაპირ შუშაბანდიანი ფიცრული იყო, სადაც ტაბურეტზე შესკუპებული კაცი საანგარიშო დაერთებს აწარმოებდა. მას სამუშაო ხალათი ეცვა. ფიცრულთან სასწორი იყო. იგივე მოანგარიშე საქონლის მიღებასა და გაცემას ადევნებდა თვალყურს.

ასე და ამრიგად, მომათავსეს ბოთლების საწყობსა და ბუღალტერიის შუა, კიშის საეპრო სახლის შუაგულში, თითქოს იმისთვის. რომ ჩემი მდგომარეობა არ დამვიწყებოდა: თავი სავსებით ეპრობისა და წარმოებისათვის უნდა შემეწირა, დღე და ღამე ამაზე მეფიქრა. დედამ ჩემი ცალკე მოათავსეს საკმაოდ მყუდრო ოთახში, ჟოზეფენის ბინის ბოლოს, ჩემგან შორს. მას სადილობის დროს ვხვდებოდი. ერთმანეთს თვალს მალულად მივაპყრობდით. ჩვენს თვალებში ერთსა და იმავე დროს მწუხარება და ირფნია იხატებოდა. ნასადილევს, საღამოობით ზოგჯერ დედასთან ერთად ვასეირნების ნება მეძლეოდა. ტამპლის ბაღამდე მივიდიოდით. ჩვენი ახალი მდგომარეობის შესახებ ერთმანეთს შთაბეჭდილებას ვუზიარებდით. გულუბრყვილოდ მომიყვებოდა ხოლმე დედა ნათესავების სასაცილო ამბებს და ბევრს მაცივებდა. მერე ჩვენს წარსულზე ვაძმობინებდი, როდესაც ჯერ კიდევ პატარა, გონებაგაუხსნელი ბავშვი ვიყავი, მამაზე, ჩვენს სეირნობასა და არდადეგებზე, უძველეს არდადეგებზე; რის შესახებაც მხოლოდ ნამბობიდან თუ ვიცოდი რაიმე. ახლა ამ ამბებს დედა ზორცს ასხამდა, ატოცხლებდა.

დედა მიაძმობდა აგრეთვე იმ ხალხზე, რომელსაც იცნობდა და რომელიც ჩემს წინანდელ ცხოვრებაში რჩეულსა და გავლენიან საზოგადოებან წარმოადგენდა. დედა თავს ამ საზოგადოებას აფარებდა, მე კი დედას. მაშინ მე დედას ვთვლიდი უშიშარ დედოფლად. რომელსაც ჩემი დაცვა შეეძლო. სევდიანი დედა მთელ ძალას იკრებდა, რომ ჩემთვის წარსული შეელამაზებინა. მაგრამ, როდესაც მას სასტუმრო ოთახში, ან სუფრასთან თავშალმობურულს ვხვდავდი, სუსტსა და წყნარს, რომელიც იძულებული იყო ოცნება შეეწყვიტა იმისათვის, რომ მაზლისა და რძლის საუბარი მორჩილად ესმინა, დედის მიმართ უდიდესი სიბრალული შემიპყრობდა, რაც მიორკვეებდა იმავე გრძნობას საკუთარი თავისადმი, და ეს სიამოვნებას მგვრიდა.

ოჯახში ბიძაჩემს, ჟოზეფენს, დაუსრულებელი ყბედობა უყვარდა და ამ ყბედობაში შეენიშნე ძმისადმი დიდი ხნის მანძილზე დაგროვი-

ლი სიძულელი, რის გამოთქმის საშუალებაც მამაჩემთან მას არა ჰქონია, ამიტომ ამ სიძულვილს უეცრად მოვარდნილი ნიაღვარებით ახლა ჩემზე ანთხევდა. ფეხზეამდგარი ლაპარაკობდა, მარცხენა ხელით დოინჯს შემოიყრიდა და თავი ნაპოლეონ შესამუსავით იპირა. ერთხელ იმპერატორი ობერის თეატრში უნაბავს, დიდხანს უნაბავს თურმე. იმპერატორი ლოჯაში დედოფლისა და სასახლის უღამაშეს სეფექალების გვერდით მდგარა. მალე მივხვდი, რომ კაკლისფერი სერთუცისა და თეთრი შარვლის ტარებაშიც იმპერატორს ჰხადავდა. პრეზიდენტობის პირველ ხანებში, ნაპოლეონ მესამე ასე იცავდა.

რაკი ძია ყოზეფენმა თავი პატარა იმპერატორად წარმოიდგინა, ბუნებრივია, ბიკოლა ვალერს ყოველივე ღონე უნდა ეხმარა, დედოფალს დაეხმარებოდა. ამიტომ შეეცადა, ესპანეთში თუ არა, უფრო სამხრეთით მანც დაბადებელიყო, ვიდრე კიშები, რომლებიც მკვიდრი ბარიზელები იყვნენ.

ბიკოლა ვალერი ბლუაში დაიბადა. მას მუქი წაბლისფერი თმა და შავი თვალები ჰქონდა. იგი არა ჰგავდა აწითურ ყოზეფენს და, საერთოდ, ქერა კიშებს. ბიკოლა ვალერი სამხრეთულ სიუბებს გამოხატავდა. მოკლე ფეხები ჰქონდა, არაჩვეულებრივად დიდი მკერდი, განიერი თეძოები, დამრგვალებული ხელები. აქეთ-იქით შემშლილივით დარბოდა. ერთიმეორის საწინააღმდეგო განკარგულებას იძლეოდა, მღეროდა რომანსებს... თუმცა ეგზოტიკური დედოფლის გარეგნობა ჰქონდა, მაგრამ მეტად ყაიროთიანი და ანვარიშანი ქალი ბრძანდებოდა.

მხოლოდ წვრილმანებში იცოდა ახირება. ოჯახს მტკიცედ უძღვებოდა, კარგად ესმოდა, რასაც ამზობდა და აკეთებდა. მკვანებდ და ბურღულენით იძლეოდა ბრძანებას, რის წინააღმდეგ ხმის ამოღება დაუშვებელი იყო.

დედაჩემი თავბრუდამხვევი სინაზით მიიღო. სამაგიეროდ, ოთხი ახირებული სურვილის შესრულება მოათხოვა: მხოლოდ მიჩენილ სკამზე მჯდარიყო, სავარძელს არ გაჰკარებოდა, ეყერა და ოჯახის წვრილმანი საქმეები ეკეთებინა, რომ ამით მასზე გაწეული ხარჯი აენახლათ. რეზინა და მადლობა გამოეხატა.

ერთ დღეს, ახალგადასული რომ ვიყავით, ბიკოლა დედაჩემის ოთახში ქარავით შეიჭრა. ილიაში ძველმანების გროვა ჰქონდა ამოჩრილი.

— ჩემო კარგო მეგობარო, — უთხრა დედას, — ხომ ხედავთ, როგორ ვზრუნავ თქვენთვის. ყუთები გადავაქოთე და ეს ძველი კაბები გამოვძებნე, არც ისე ძველია, შეგიძლიათ გამოიყენოთ. თუმცა ერთი

ტანისა არა ვართ, თქვენ ძალიან გამხდარი ხართ, მაგრამ მაკრატლის მეოხებით, დარწმუნებული ვარ, თქვენი ჯადოსნური ხელი ამ ჩვრებს გამოაცოცხლებს, თან დროს მოჰკლავთ.

ნათი ორი ქალიშვილიც დედ-მამასავით სხედასხვა ხასიათისა იყო. უფროსი. კლემანაი, თავშეკავებული, მედიდური, ძალიან მოსაწყენ ადამიანად მეჩვენა. ჩვენ საგრძნობი გულგრილობით მიგვიღო, სუფრაზე პირველად რომ შევხვდით, არც კი შემოუხედავს, ისე გადაგვკონა და შემდეგ მამას ფაბრიკის საქმეზე გაუბა საუბარი. კლემანსმა ყველაფერი იცოდა, რაც იქ ხდებოდა; როგორ ახერხებდა ამის გაგებას, ეს ჩემთვის ამოცანად დარჩა ბოლომდის. იგი სახელოსნოსა და კანტორაში არასოდეს არ შედიოდა და თავისი ფაჩვიდან ეზოში ცქერით კმაყოფილდებოდა.

რასაკვირველია, იმ დღითაც შეეძლო დაენახა, როგორ დასცალეს სამი ფისიანი კასრი და დანაყილი შინით სავსე ბარდნები, მაგრამ მან ისიც იცოდა, რომ ბორდოდან მნიშვნელოვანი შეკვეთა მოვიდა.

— რას შვრება ფლაჟო? — იკითხა მან. — ალბათ, დღესაც მთვრალია, რომ არ მოვიდა.

— ფლაჟო არ მოსულა? — თქვა ბატონმა კიშმა. — მართლაც, არ დამინახავს.

ფლაჟო, როგორც შემდეგ გავიგე, ერთი თავზე ხელაღებული მუშა ყოფილა, სმისა და ლანძღვა-გინების მოყვარული. ამხანაგებს დამლუპველ მაგალითს აძლევდა. მაგრამ აქ დიდი ხანია მუშაობდა და ისეთი არაფერი ჩაედინა, რომ სამსახურიდან დაეთხოვათ. ამასთანავე, სიმართლე თუ გნებავთ, ფლაჟო რომ არ ყოფილიყო, კიშებს ოჯახში არც სალაპარაკო, არც შიშისა და ბრძოლის საბაზი ექნებოდათ. უამისოდ კი მათი ცხოვრება უაზრო გახდებოდა. ფლაჟოსთვის თვალყურის დევნება, განსაკუთრებით კლემანსს უყვარდა, რათა მამისთვის მისი მავნე საქციელი ეცნობებინა. თან თავი დაერწმუნებინა, ფლაჟო საშიში ვინმე არისო.

კლემანსი ქერა და ამაყი იყო, ხოლო მისი და, ადელაიდა. დედასავით შავგვრემანი, მხოლოდ დედაზე უფრო სამხრეთული, უფრო მბრწყინავი შავი თვალები ჰქონდა დედასავით ისიც მომხიბვლელ ქარაფშუტად გაჩვენებდათ თავს, ყველაფერში დედას ეთანხმებოდა, სულ უკან დასდევდა. ღარიბებსაც ერთად ჩამოუვლიდნენ ხოლმე. ბიცოლა ვალერი რომ დედოფალს სავსებით დამსგავსებოდა, ცდილობდა თავი ღვთისმორწმუნედ და ქველმოქმედად გაესაღებინა.

როდესაც იმპერიაში ლიბერალური მართვა-გამგეობა გამოცხადდა,

ბიცილამაც მოისურვა გამოცვლილიყო და კადნიერ სიტყვა-პასუხსა და ქცევასთან ღვთისმშობლობა შეეთავსებინა. ქალიშვილების ოთახში ნახვდით პორტენზია შეიღერისა და კორა პეარლის სურათებსაც კი, ხოლო პიანინოზე — კაფეშანტანურ სიმღერების ნოტებს. ბიცილან ქალიშვილები ბალებსა და თეატრებში დაჰყავდა. ჟოზეფენ კიში სრულიად არ თანაუგრძნობდა არც ამ ახირებასა და არც ლიბერალურ იმპერიას. კლემანსიე მამის აზრს იზიარებდა, მაგრამ დედასა და დას შინც დაჰყვებოდა სახის ცივი, ლობიერი გამომეტყველებით. არავის შეეძლო წინააღდგომოდა იმ გრივალს, რომელსაც თავქარიანი ბიცილა და ჩემი ტურფა ბიძაშვილი ადელაიდა, თავიანთ გზაზე დააყენებდნენ.

— დროება შეიცვალა, — ამბობდა ბიცილა, — აღარ შეიძლება ქალიშვილების ისე აღზრდა, როგორც ჩვენ გვზრდიდნენ.

სხვათა შორის, გართობის ეს ჟინი უბიწო იერს ატარებდა, იგა დაკავშირებული იყო სარწმუნოებრივი წესების დაცვასთან. ჟოზეფენს ეს ამშვიდებდა. ეს სწორედ ესპანური სტილის ფუქსავატობა იყო, რის მაგალითსაც დედოფალი იძლეოდა.

ერთი სიტყვით, ასეთი ფუქსავატობით უფრო ძლიერად, მხიარულად, აურზაურით გამოხატავდნენ მხოლოდ იმას, რომ ისინი ნამდვილი ქრისტიანები იყვნენ და ეშმაკის ცთუნებისა არ ეშინოდათ.

ასეთ ოჯახში ცხოვრებას დედაჩემმა დიდხანს ვერ გაუძლო. ერთი წლის შემდეგ გარდაიცვალა და ოცდახუთი ფრანკი, რომელსაც ხელფასიდან მიჰქრდნენ დედის შესანახად, მიემატა იმ თანხას, რომელსაც თავის დასახსნელად ვიზდიდი.

ასე გაჰქრა ეს ჰაეროვანი, უცნაური, ნომზიბლავი ადამიანი.

ჩვენი ახალი მდგომარეობა მისი ოცნების უარყოფას წარმოადგენდა, და ისღა დარჩენოდა, რომ გამჰქრალიყო. დედა გულის მანკისაგან გარდაიცვალა, რაც ხშირი შემთხვევა ყოფილა მათს ოჯახში. ბებიაც, სულ ახალგაზრდა, ამ ავადმყოფობით მომკვდარა. ეს იყო ცხოვრების ჩვეულებრივი დაუდგრომლობა და არაჩვეულებრივად ასაღელვებელი ამაში არაფერი იყო, მაგრამ მე სიამოვნებას მგვრიდა ის ფიქრი, რომ დედაჩემმა ამ უხემ ადამიანებთან ცხოვრებას ვერ გაუძლო და ჩემი ბავშვობისა და წარსულის დასაცავად უიმედო შებრძოლების შემდეგ ჯავრისაგან გარდაიცვალა.

ჩემთვის ახლა ძნელია მშობლების არსებობის წარმოდგენა. მათი სახე მკრთალად მოჩანს ბურუსით მოცულ მოგონებებში.

რა თქმა უნდა, ისინი მხოლოდ უმნიშვნელო, პატარა ადამიანები

ფუნენ, როგორც ბევრი სხვა. როგორც ბევრ სხვას, მათაც ამქვეყნად ის აღვილი ეჭირათ, რაც ეკუთვნოდათ. მაგრამ ადამიანი მოწადინებულია თავის წინაპრებზე კარგი წარმოდგენა ჰქონდეს და იფიქროს, რომ ისინი, უკეთესი ცხოვრებისათვის გაჩენილნი, სოციალურმა უსამართლობამ დაჩაურა. ამის გამო ჩვენი წინაპრები ბუნდოვან და ჰაეროვან არსებად გვეყვანან წარმოდგენილნი. სხვანიირად აბა როგორ შეიძლება აიხსნას ბავშვობა, ის, რაც განუშემორებელია, იშვიათი და იღუშნალად დიდებულია? განა ჩვენ, ყველა, ბავშვობაში ტანისამოსგადაცმული პრინციები არ ვიყავით?

ასე განმშორდა დედა და მე მარტო დავრჩი ძია ჟოზეფენთან, მის ოჯახზე და ფაბრიკაზე მტკიცე ხელშეკრულებით მიჯაჭვული. ერთი წუთით იმედი მომეცა, რომ დედის ოთახს მომცემდნენ, მაგრამ გადაწყვიტეს, რომ ჩემთვის, როგორც ვაჟყაცისათვის, ხასიათის ჩამოსაყალიბებლად უკეთესი იყო იქვე დავრჩენილიყავ, სადაც ვცხოვრობდი. ეს ოთახი ერთ-ერთ დღს მისცეს: მანამდე ისინი ერთ ოთახში ცხოვრობდნენ.

- III

ჩემს საკუქნაოში თავს მაინც ურიგოდ როდი ვგრძნობდი, თუნდაც იმიტომ, რომ იქ მარტოდმარტო ვიყავი. რკინის საწოლი, მაგიდა, ორი სკამი, პირსაბანი და კარადა, ეს იყო ჩემი ავეჯი. ოთახი სამკუთხედს წარმოადგენდა. მისი ერთი კუთხე ეჭირა თაროებს, რომლებზედაც ძველი რეესტრები, შავად ნაწერი დავთრები, წერილების დუბლიკატები, ფირმის ყოველგვარი არქივი ეყარა. ეს კუთხე ძალიან ღრმა იყო, იქ, რეესტრებს უკან, მამაჩემის ბიბლიოთეკიდან დარჩენილი წიგნები მქონდა დამალული. ის, რაც ჩემი იყო, რაც პირადად მე მეკუთვნოდა, იმალებოდა ამ შავ საკანცელარო ფასადის უკან. იქვე ვმაღავდი რვეულებს, რომლებშიც ლექსებს, ჩემი ოცნებით წარბოღნილ კორესპონდენტებს წერილებს ვწერდი, ვხატავდი სურათებს.

ჩემი ფანჯრიდან დაცარიელებულსა და დაწყნარებულ ეზოს ვხედავდი. იმ დროს, როდესაც იქ მოძრაობა იყო, არასოდეს ჩემს ოთახში არ ვიმყოფებოდი. მხოლოდ დილაობით, როდესაც ოთახიდან გასასვლელად ვეშაადებოდი, შემეძლო დამენახა მეკარე, მუშებს რომ ალყაფის კარს უღებდა, და მზიდავები, ოთხთვალაში რომ ცხენებს აბამდნენ. საღამოობით ეზო ცარიელი იყო. მხოლოდ დროგამოშვებით საჯინბოში გამოკეტილ, უხილავ ცხენთა ფეხის ბაკუნს არღვევდა სი-

ჩემს და ეს ყრუ ხმაურობა ისე ხვდებოდა ყურს, როგორც სოფლური გამოძახილი.

ზაფხულში, საღამოობით, როდესაც ჭერ კიდევ დაღამებული არ იყო, ჩემს ფანჯარასთან დიჯანს ვიჭექი და ვუცქერდი პატარა ფიცრულის სახურავს, სადაც მუშაობდა ბარბიუშე, თანამშრომელი, რომელიც საქონლის მიღებასა და გაცემას ადევნებდა თვალყურს. არ ვიცი, სად გამონახეს ასეთი მრგვალი კრამიტები, როგორსაც სადმე სოფელში თუ შეხვდებო კაცი. ეს კრამიტები ჰგავდნენ ყვავილის ფოთლებსაგან შექერილ კაბებს, პატარა ოკეანეს, რომლის ტალღებიც პეპელას ფრთებივით იშლებოდნენ. კრამიტებს ნაზი და ნარნარი ფერის ჰქონდათ: ყვითელი, გარდისა და ლილია ფერი. ისინი მკვეთრად განირჩეოდნენ ფასადის რუხი და შავი ფერებისაგან, რომლებსაც ჭერ კიდევ შეენარჩუნებინათ კეთილშობილური იერი; განსხვავდებოდნენ, განსაკუთრებით, იმ შენობის გახუნებული ფასადისა და ბინძური ფანჯრებისაგან, რომელსაც ეს პატარა ფიცრული მიყრდნობოდა.

ამ სახურავს მრავალწახნაგოვანი და ქალური სული ჰქონდა, უცნაური, არაქაური. მესინოდა, ყოზეფენს ამ კრამიტის ფიქალით შეცვლა არ ეფიქრია. მაგრამ ჯობეფენს არასოდეს არ დაუხანავს ეს სახურავი, თორემ შეაჩჩივებდა. თუ რამდენად არაჩვეულებრივი და შეუფერებელი იყო იგი ამ გარემოებათვის.

დაღმებასთან ერთად სახურავის სიჭრელე თანდათან ფერს ჰკარგავდა. სახურავზე აქა-იქ მოდებული ხავსის ხავერდოვანი ლაქები უფრო მკაფიოდ მოჩანდნენ. ხავსისგან ჩრდილი უფრო მუქდებოდა. უცხო ფერებისაგან მალე არაფერი რჩებოდა, ყველაფერი დამის ნიღაბქვეშ დნებოდა. მაგრამ ამგვარად სახეშეცვლილი სახურავის არსიც ნაკლებად ძვირფასი როდი იყო ჩემთვის. გარეგნულად ეს სახურავი არ ვანსხვავდებოდა ლუი მეთოთხმეტის დროინდელი ფასადისა და სხვა სახურავებისაგან, რომელთა მიღების ლაშქარს სიბნელეში პირი დაელო. ვიცოდი, რომ სახურავი არავითარ მონაწილეობას არ იღებდა იმ ვულგარულ საუბარში, რომელშიც მთელი ქვეყანა იძულებით იყო ჩაბმული, თვით ფრონტონის მშვენიერი ქალღმერთიც. ყოვლის გამთანაბრებელ ძილს სახურავი თავს აღწევდა და ოდნავ გასაგონად ჩამჩურჩულებდა, რომ იგი კვლავ რჩება ჩემს ყვავილნარად, მთრთოლვარე და თბილ ფრთად, ჩემს ბაღად, ჩემს საიდუმლოებად.

ზამთარში, როდესაც დიდი მუშაობა იყო, ბარბიუშე მუშაობის შეწყვეტის შემდეგაც რჩებოდა თავის ფიცრულში თხუთნეტ. ოც წუთს. მინის გალიაში ვხედავდი მას, ფიცრულის გასათბობად დადგმული

დუმელისა და ლაშვის სინათლისაგან გაწითლებულს. ჯადოქრული ნახტომით დუმელის მილს თავი გაეყო ჩემთვის ძვირფასი პატარა კრამიტებში; სინათლე ხვდებოდა ბარბიუშეს მულოტ თავს, პატარა ქალარა წვერს და გამოთაყვანებული, ხნიერი მუშაქის საცოდავ სილუეტს.

ეზოს სიბნელესა და სიჩუმეში არავინ იყო, გარდა ამ მექანიკური, გულკეთილი აღამიანისა, რომელიც თავის ვარშემო ციფრებისა და ჩანაწერების ქსელს აბამდა.

გამახსენდა ასეთივე სახე, რომელსაც ოტელ დე ვილის ქუჩაზე ხშირად ვხედავდი ჩვენი ბინის ფანჯარიდან პირდაპირ, მეორე სართულის უანჯარაში მოჩანდა მოხუცი მეწაღე, რომელსაც ბანჯგვლიანი, მოქანტული სახე ჰქონდა. თავდახრალი მუშაობდა. ისე ახლოს იყო იგი, რომ, მეგონა: ხელით მივწვდები-მეთქი. ჩემს მახსოვრებაში კვლავ ისმოდა მისი ჩაქურჩის დარტყმა ტყავის ლანჩებზე. მაშინ მეწაღეზე პოემა დაეწერე, სადაც მას ყორანს ვადარებდი. ეს შედარება თვალწინ ღამის უსახლცრო სივრცეებს, შორეულ, დაუსრულებელ ტყეებს გარდამიწლიდა ხოლმე. თავს ბედნიერად ვგრძნობდი, ვმშვიდდებოდი იმით, რომ ამ ჩვენს ვიწრო ქუჩაში ასე ლალად განავარდება შემეძლო. მეგონა, მეწაღე დამლოცავდა იმისათვის, რომ ის თავისუფალ ყორნად ვაქციე; მაგრამ იგი სანუშაოს არ ეშვებოდა, გაორკეცებული სიბრაზით სცემდა ჩაუქნს ტყავსა და კალაპოტს და კვლავინდებურად მეწაღე რჩებოდა, საპრალო მეწაღის ფანჯრის ჩარჩოში, როგორც მე ჩემს ფანჯარაში, ჩემი ლაქის ფაბრიკის ზემოთ.

მეორე ყორნად ჩემთვის ბარბიუშე იქცა, თეთრხალათიან ყორნად, რომელიც ზამთარს პატარა თბილ სათბურში ატარებდა, მოველოდი, რომ ერთდღე როვან მუშაობაში ჩაბმულ ბარბიუშეს ნელ-ნელა ოცნება გაიტაცებდა, დიდ პეიზაჟებს შეჰქმნიდა, მის თვალწინ ციფრების სვეტები გაგრძელდებოდნენ; შემდეგ ტაძრებად, ფიჭვნარად, ორღანის მილებად აღიმართებოდნენ. მწამდა, რომ ბარბიუშე თავს ასწევდა, ველურად დაიჩხავლებდა ფრინველივით. ჭუჭყიან მინებს მიღეწ-მოღეწდა, თავის ვარშემო სახურავს კრამიტს ამოგლეჯდა და თეთრ ფრთებს გაშლიდა, ღამის წყვილიადში გაფრინდებოდა, სადაც, ჩემი ფანჯარიდან გაფრენილი, მეც შევუერთდებოდი. მაგრამ ბარბიუშე თავის დიდ დათარს უხეშად დახურავდა, ხალათს გაიხდიდა; სერთუქსა და პალტოს ჩაიცვამდა, ყელსახვევს გაიკეთებდა, დაამთქნარებდა; გაიზმორებდა, ლამპას ჩააქრობდა და, წელში მოხრილი, მოკლე ნაბიჯით წავიდოდა. მესმოდა, როგორ ჩაუვლიდა მეკარეს და გამოემშვიდობებოდა ხოლმე.

რომ ჟოზეფენივით ვიქცეოდი. ამის გამო ერთგვარ პატივისცემას ვგრძნობდი ჩემი თავისადმი, ვნანობდი, რომ არ შემეძლო პატარა წვერზე ხელი ჩამომესვა და უღვაში ამეწკიპა, ვცდები, წვერ-უღვაშს რომ ვიპარსავ, — ფეიქრობდი, — უფრო დინჯი შეხედულება რომ მქონდეს, ვაჭრობა უფრო დამინტერესებდა. მაგრამ მაშინ კრანიტიანი საბურავი ველარ მიცნობდა. მაშ. როგორ მოვიქცე? თუ არ გამოვიცვლები, როგორღა შევძლებ ჟოზეფენივით ცხოვრებას ისე, როგორც იგი იმპერატორის მსგავსად ცხოვრობს? მაგრამ გამოცვლა საშინელ მარცხად მეჩვენებოდა და ვერ გამებედნა.

ხანდახან ერთად მივდიოდით ბანკში, მომწოდებლებთან და შემკვეთლებთან. ფეხაწყობილად მივყვებოდი გვერდით, მისი პორტფელი და ნიღუშებიანი ყუთი ხელში მეჭირა. ჟოზეფენი ღღებდა. ხანდახან საქონლის თვითღირებულებასზე გამოთქვამდა აზრს. ეტყობოდა, დიდი საზრუნავი და რთული კომბინაციები აწუხებდა. მაგრამ ერთ დღეს, შემკვეთელს რომ მოვწორდით, რომელთანაც ცხარე ლაპარაკი მოუვიდა, ბიძაჩემმა დიმილით მითხრა:

— სასაცილოა ეს ბატონი გორდონი თავისი წინწყლებიანი, სქელი ჰალსტუხით.

გაოცებულსაგან შევხტი. როგორ? ბატონი გორდონის ჰალსტუხი მენიშნა? ამ საქმიანი საუბრის დროს, მისი გონების ნაწილი ბატონი გორდონის გარეგნობის, ბატონი გორდონის კაპრიზების, მისი წინწყლებიანი ჰალსტუხის გარშემო ტრიალებდა? ბიძაჩემს შევხედე: იგი ისევ ილიმებოდა. მაგრამ სახეზე ჰხივი მალე ჩაუქრა და სხვა რამეზე დავიწყეთ ლაპარაკი. კინაღამ არ ვუთხარი: „ეე, ბიძაჩემო, ჰალსტუხზე ჩამოაგდეთ ლაპარაკი. ჩემს სამფლობელოში შემოიჭერთ, ჰალსტუხებზე იმდენი საოცარი რამ ვიცი, რამდენიც თქვენ ორმაგ ბულალტერიასზე, არც კი იცით, რას წარმოადგენენ თქვენი შემკვეთლების ჰალსტუხები“.

მართლაც, მე ძალიან კარგად ვიცნობდი შემკვეთლებს. შევისწავლე მათი ტანისამოსი, საათის ბრელოკები, მათი ნერვული ქცევა. მხოლოდ ამას ვამჩნევდი მათთან მოლაპარაკების დროს. მისვლის მიზანი მაგიწყდებოდა. ჩემთვის სულ ერთი იყო, როგორ დასრულდებოდა დარბაზობა, წარმატებით თუ უნაყოფოდ, მე მაინც ერთნაირი კმაყოფილებით ვბრუნდებოდი. ჩემთვის ისიც საკმარისი იყო, რომ ცოცხალ არსებას შევხვდი, თვალბში შევხედე, ვესაუბრე, ერთმანეთს ხელი ჩამოვართვით, და ყოველივე ამან კარგად ჩაიარა. არავის არ გამოუგდივარ, მიმიღეს, ნება მომცეს მათთან ვყოფილიყავი. და მელაპარაკნა,

მართალია, კიშის სავაჭრო სახლის სახელით, მაგრამ მაინც ხომ ვლპარაკობდი, მე, უსუსური. როდესაც დამარწმუნებლად და თამამად, გადაჭარბებული თავაზიანობით პატარა სიტყვას წარმოვთქვამდი, ისინი ზუსტ, სწორსა და ნათელ პასუხს მომცემდნენ. ეოზეფენს, რა თქმა უნდა, თავის მხრით შეეძლო უფრო ზუსტი, სწორი და ნათელი მოსაზრებებით გაებათილებინა მათი ნათქვამი. მე კი შემეკეთლის პასუხი დაურღვევლად მიმაჩნდა და თავს ბედნიერად ვგრძნობდი, ჩემთან საუბარი რომ ისურვეს. წასვლის შემდეგაც უღერდა ჩემს ყურში მათი ალერსიანი, გამოსათხოვარი სიტყვები. ვართოდი ასეთი შეხვედრისაგან. რამდენიმე ნაბიჯს გადავდგამდი და მხოლოდ მაშინ გავერკვეოდი, რომ ხელცარიელი, დავალების შესასრულებლად მივდიოდი. ოღონდაც! იქ მისვლისას არა მქონდა მტკიცე და ნათელი ნებისყოფა, რომ ბრძოლა მომეგო. მე ხომ მსჯელობა გულდასმით არ მომისმენია, არც შეგკამათებოვარ, ვუცქერდი ადამიანის პალსტუხს, ცხვირს ან ყურებს და საშინელი სურვილი მიპყრობდა, მივვარდნოდი შემეკეთელს, გადავხვეოდი და პატიება მეთხოვა...

დღეს სირცხვილით ვიწვი, როდესაც ჩემი ახალგაზრდობის ამ ხანას, უქნარობას, სისულელეს, გულჩვილობას ვიგონებ.

ნამდვილ ცხოვრებას მოწყვეტილი ვიყავი. ეს იყო თითქოს ზღაპარი, რომელშიც ბიძაჩემი სწორედ ბიძის როლს თამაშობდა. მაგრამ განა ეს პატარა, ძალზე გამარტივებული კომედია უფრო ამალეკვებელი სცენების ნომასწავებელი არ იყო? განა იმედი არ მიღვიოდა გულში? და განა კრამიტიათი სახურავი მოუთქვენლობას არ შირჩევდა? მართალია, ყოველი დღის დასასრულს კრამიტიათი სახურავი ნუგეშის ქვეყანას ვადანიშლიდა ხოლმე თვალწინ, მაგრამ განა სურვილი არ მიპყრობდა, რომ ამ წარმტაც მოკზაურობას შევდგომოდი? განა ობოლი ოცნება ძლიერებითა და უცნაური სიდიადით არ მაჯილდოებდა, რაც ერთ მშვენიერ დღეს ყველას წინაშე უნდა გამებრწყინებინა? როდესაც ეოზეფენის ვალს ვავისტუმრებდი, განა მადა არ გამეღვიძებოდა, მომეთხოვა მისგან ჩემი ნაწილი, დიდი ნაწილი? ბოლოს ჩემი მოგალეობა ხომ უნდა შემეგნო, რომ მომეთხოვა ქვეყნისაგან ჩემი წილი, მთელი წილი სრულად?

ჰჰ — ვფიქრობდი, — რატომ მეც არ უნდა გავხდე ეოზეფენ კიშვიით დიდვაჭარი? სიმდიდრე მან საკუთარი გარჯითა და ნებისყოფით შეიძინა. ხელცარიელმა დაიწყო საქმე, მამაჩემთან გაწყვიტა კავშირი, რომ ქონება მარტოს შეეძინა და ახლა ის მდიდარი, თავისუფალი ადამიანია. მეც შემიძლია ასე მოვიქცე, მაგრამ მაქვს კი ამის უნა-

არი მართლა შეეძლებ, რომ ჟოზეფენივით მოვიქცე? მოვახერხებ? ნუთუ ძველ იმათგანი ვარ, რომლებიც ასე მოქმედებენ? ეჰ! არა, მე იმათს რიცხვს ვეკუთვნი, ვინც წყალობას კრამიტისა და სახურავისაგან მოელის. ყოველ შემთხვევაში მე მართლ არა ვარ. შეუძლებელია, სხვებიც არ იყვნენ ჩემს მდგომარეობაში. მე ჯერ მათ არ შეეხვედრივარ, მაგრამ ისინი სადმე უნდა არსებობდნენ. ეჰ! თუ უბედობაში მყოფი ამხანაგები მყვანან, ხელის ფათურით შეეძლებთ ერთმანეთის მიგნებას, გულის ტკივილის გაზიარებას, მაგრამ მწამს, რომ აღთქმულ ქვეყანას მაინც ვერ ვიხილავთ. ნუთუ ჩვენ, უბედურნი, ცხოვრებას შეუგუებელნი, ვერ გამოვინახავთ ისეთს, — თვითონაც არ ვიცი, — ბუნდოვან, ამალეღვებულ, არაჩვეულებრივ ძალას, რომელიც შესცვლის, თუნდაც არასრულად, ჩვენს უუნარობას და მოგვანიჭებს შეებას, ნამდვილ ბედნიერებას? წინ ვუსწრებ ფიქრებს, რომლებიც უფრო გვიან დამებადნენ. მაგრამ მათი შემადრწუნებელი აჩრდილი უკვე მელანდე-ბოდა ჟოზეფენთან ყოფნით შექმნილი დამამცირებელი, გაჭახირებული ცხოვრების პირობებში და მაშინ ჯერ კიდევ ბუნდოვნად მქონდა წარმოდგენილი, რომ ამ მდგომარეობიდან თავი უნდა დამეღწია.

ამასობაში განვაგრძობდი კლიენტების ჩამოვლას, რაც საშუალებას მაძლევდა ქუჩაში ხეტილით, ახალი საბეჭდის ნახვით გავრობილიყავ. ხანდახან ცოტა ხნით, ბიბლიოთეკაში შევივლიდი.

შემკვთელთა შორის იყვნენ ისეთებიც, რომლებთან შეხვედრაც მიხაროდა: ესენი სენტ-ანტუანის გარეუბნის ხელოსნები იყვნენ. ზოგი მათგანი ძველად, როდესაც ოტელ დე ვილის ქუჩაზე ვცხოვრობდი, შეკვეთას მე მაძლევდა; ზოგიც, როგორც ძია სიფრელენი, მამაჩემს.

ზოგჯერ ისე მეგონა, თითქოს მათთან წინანდებურად საკუთარი საქმეებისათვის დავდიოდი. მაგრამ უეცრად გამახსენდებოდა, რომ მხოლოდ ბიძაჩემის რწმუნებული ვიყავი. ეს აზრი გულს ნემსივით ხვდებოდა, თან კმაყოფილებას მგვრიდა. „აფერუმ, აი ვაჭრული გრძობა! — ვეუბნებოდი ჩემს თავს, — უკვე, მეტყობა წარმატება. მაშ, შეძვერ იმ ვაჭრის ქურქში, რომელიც გაატყავეს და რომელსაც სურს აღიდგინოს სავაჭრო სახლი და ბედნიერება, შეძვერ იმის ქურქში, გეუბნები დაიცავ თავი! მიუშვი შენი კლანჭები“.

ჩემი ძველი შემკვეთლები ხელს უწყობდნენ ჩემს ასეთს სულს-კვეთებას.

— ბატონო ტეოდორ, — მეუბნებოდნენ ისინი, — კარგი იქნება, თქვენს სახელოსნოს რომ აღადგენდეთ... ეს ჟოზეფენი კრიჟანგი ვინ-მეა.

ყველაზე მეტად ძია სიფრელები მიყვარდა. ის მიაჩნებოდა მამაზე, რომელთანაც სწორად უსაუბრია პოლიტიკაზე. მისი საღურგლო კარვად ვეღარ მუშაობდა, რადგან სიფრელები მოხუცდა და ძველებური სიმარღე დაჰკარგა. თავის შეგირდებთანაც ბევრს ლაუბობდა. მისი უმცროსი ქალიშვილი, მარი-როზი, ამის გამო ხშირად ეჩხუბებოდა. სიფრელებთან რომ მივდიოდით, სასადილო ოთახში შემეყვანდა. მოვუსხდებოდით მუშაობდაფარებულ მაგიდას, წინ ერთ ბოთლ თეთრ ღვინოს დავიდგამდით. ზოჯერ იქ ვხვდებოდი სიფრელების მეორე ქალიშვილს, ზეინკლის ცოლს ფერნანდას და მის ბავშვს, პატარა კუზიან გოგონას. იგი მუხლზე დამიჯდებოდა და ზღაპრებს ვუამბობდი. შემდეგ ყოყმანს დავიწყებდი, შევჩერდებოდი და ჩემს თავს ვეკითხებოდი:

„განა ეს ზღაპარი ჩემებიან კატაზე ან ლურჯწვერიანზე ამ პატარა კუზიანს შეეფერება? ეს ზღაპრები იმ პატარა სწორზურგიანი გოგონებისათვის არის შეთხზული, რომლებიც, ყოველნაირად შეიარაღებულნი, იწყებენ პატარა მხეცუნების ნორმალურ ცხოვრებას, იქნებ, უმჯობესი იყოს ამ საბრალო გოგონას ვუთხრა, რომ ჩემებიანი კატა და მარკიზ ღე კარაბასი ხეიბრები იყვნენ, მაგრამ, ამისდა მიუხედავად, ან შეიძლება ამიტომაც, მათ ყოველგვარი გაჭირვება გადალახეს?“ მგონი. მისიონერები აფრიკაში ზანგებს არწმუნებენ, ქრისტე შეაკვანინანი იყო. აბა, სხვანაირად მათ ქრისტე როგორ უნდა ირწმუნონ!

პატარა გოგონა ნათელი თვალებით შემომცქეროდა და ზღაპრის დაბოლოებას მოხვდა.

— დანარჩენს მერე გაიგებ, — ვეუბნებოდი და ძირს დავსვამდი. — უფრო გვიან ბევრ სხვა რამესაც გაიგებ...

გოგონა შეკვროდა, მე კი ვიშორებდი. ბავშვს ტუქსავდნენ, სტუმარი მოასვენეო.

— ბატონ ტოდორს თავს აბეზრებ, გასწი აქედან!

მეც ვუბრძანებდი, გამცლოდა; ვუბრძანებდი მით უფრო გაათრებულნი, რაც უფრო მეტად ვებრძოდი სურვილს — ბავშვი ხელში ამეტაცა, მისთვის თვალები დამეხუჭა, გარშემო სარკეები დამემსხვრია და იგი ისეთ ქვეყანაში გაშექროლებინა, სადაც ვერც თავის თავს, ვერც სხვა ადამიანის სახეს ვერ დაინახავდა. და მე ვფიქრობდი: იქნებ, ვარდისფერი კრამიტები სწორედ იმ ქვეყანაზე მესაუბრებინა-მეთქი.

სატირლად გამზადებული გოგონა მაგიდის ქვეშ შეძვრებოდა. მამინ მას ისევ მუხლზე დავისვამდი და სულ ჩუმად ვუყვებოდი იმ ქვე-

ყანაზე, სადაც ერთ დღეს წავიყვან, სადაც უსაზღვრო მწვანე ველთა ტალღების ლივლივი ფიქვენარამდე აღწევს. დაბლა, ბარში კი, კრამიტინი სახურავები მოჩანან. იქ, რასაკვირველია, ადამიანები ცხოვრობენ. მაგრამ ისინი არ მოჩანან, იქ არავინ არ მოჩანს.

თუ ესმოდა, ნეტავ, ბავშვს ის სინაზე, რასაც მისდამი გამოვხატავდი. ყოველ შენთხვევაში, დიდ ნდობას მიცხადებდა... ჩემს წინ თამაშობდა, ხმანაღლა, ლაპარაკობდა, დედოფალას უგემურად რთავდა და ნაფოტებისა და სურბუშელისაგან გაკეთებულ სასახლეში ათავსებდა. გოგონას მეტად მშვენიერი, ნაზი, დახვეწილი სახე ჰქონდა, ნათელი გამოხედვა, რაბილი ქერა კულულები არავის ჰგავდა ოჯახში. სიფრელენის ორივე ქალიშვილს სახეზე რაღაც უხეშობა ეტყობოდა, და ეს ფერნანდას ისედაც გამოფიტულ სახეს უფრო უსიამოს ხდიდა. ბავშვის მამა ზეინკალი. ღონიერი, თმახუჭუჭა ვაჟაკი იყო. სახის გულუბრყვილო გამომეტყველება ჰქონდა, ლოყები და ტუჩები თითქოს შეღებილი აქვსო. მუდამ ერთსა და იმავე ოხუნჯობასა და ბრძნულ არჩენს იმეორებდა, ყოველთვის კარგ გუნებაზე იყო, დაუცხრომელი, სახე სულ ერთნაირად უღიმოდა. სასადილო ოთახში შემოსვლისას, სადაც ვიკრიბებოდით, ყოველთვის ასე მოგვემართავდა:

— სალამი შეკრებულებას!

— სალამი, ოსტატო — უპასუხებდა მოხუცი სიფრელენი.

მაგრამ როცა ზეინკალი შვილს თვალს მოჰკრავდა, უცბად შეეკრთებოდა. ტუჩებს აატოკებდა, თითქოს რაღაც უნდა თქვასო, მოიღუშებოდა. ბოლოს მოგვიჩნდებოდა, ქუდს გვერდზე გადაიწვივდა და ნელი, მსუბუქი მოძრაობით ღვინოს დაისხამდა.

— უბედურება არ არის, — ამბობდნენ მეზობლები, — ასეთ მშვენიერ ვაჟაკს ასეთი მახინჯი ბავშვი ჰყავდეს!

მარი-როზი მამის უკან იდგა, თვალს ადევნებდა, რომ ყველა ჰიქა სავსე ყოფილიყო და კოლოფით ნამცხვარს გვაწოდებდა. მარი-როზს ნეტის პატივისცემით ვეპყრობოდი, ვიდრე ჩემს ბიძაშვილებს, რომლებიც ჩემთვის უფრო უცხონი იყვნენ. მარი-როზი უფრო მიღვიძებდა სურვილსა და ოცნებას. ჩემი ბიძაშვილები იმდენად იპრანჭებოდნენ და მოსულელებდნენ, რომ მათი ტანი არ მიზიდავდა. ყოველ შემთხვევაში, ასე დიდხანს გაგრძელდა. მაშინაც კი, როდესაც ოდნავი გრძნობა აღმიძრეს; მათს კოცნაზე, გატიტვლებაზე არ ვოცნებობდი, მათი აღელვება მინდოდა მხოლოდ.

მარი-როზი კი სულ სხვა იყო. მსურდა მის ტანს შევხებოდი, გაცნობოდი და მძაფრი სევდა გამექარებინა. იგი მიყვარდა ისე, რო-

გორც ბავშვს უყვარს თავისი ძიძა, პირველი, მახლობელი და ამადელ-
ვებელი: გამოხატულება იმ საიდუმლოებისა, რომელსაც პაწია მომა-
ვალში ჩაწვდება, როდესაც მრავალ განსაცდელს გაივლის და მის-
თვის ჯერ კიდევ დაუძლეველ საქმეებს ეზიარება. მიყვარდა იმ გრძნო-
ბით, რომელიც უეცრად იფეთქებს ხოლმე კაცის გულში შემთხვევით
ქუჩაში შეხვედრალი ქალისადმი; ერთი სიტყვიერ მიყვარდა ყოვლად
წარმოუდგენელი და სულელური სიყვარულით სიყვარულით, 'რო-
მელსაც წონასწორობიდან გამოვყავდი, რომელიც მაშორებდა ჩემ'
ასაკს, ვარემოს, საკუთარ თავს და რომლის განხორციელებაც ინო-
ლოდ მოტაცებით შეიძლებოდა.

ღიას, იქნებ ოდესმე, ბნელ დამეში, ფანტასტიკურ პირობებში გა-
მებედა მარი-როზის მოტაცება, მაგრამ ისე, რომ მას ვერ ვეცნე. მერ-
მასთან ისევ მშვიდად, ბუნებრივად ვიქნებოდი... მაგრამ თვითონ მარი-
როზი არასოდეს არ დანთანხმდებოდა, რომ ჩემი გამზდარიყო, მიუ-
ვალ, მიუწვდომელ ქვეყანას ეკუთვნოდა. მისი წარბშეკრული სახე-
ნადირისებური მოქნილობის დაუმორჩილებელი თეთრი ტანი, ვით
ზღვა და ტყე, სტიქიურ სურნელებას აფრქვევდა. ზღვისა და ტყის
სურნელებას კი ადამიანი ვერ ინარჩუნებს. ეს არის სიკეთე, რომე-
ლიც ბუნების მადლით ყველასათვის მისაწვდომია, მაგრამ მეორე წამ-
ში ისევ გაგიჭრება, რომ გარდაიქმნეს, რომ უფრო ლაღი და ძლიერი
გახდეს. მასზე ვერ იტყვოდი, მ: მეკუთვნისო.

როდესაც მარი-როზი მიტყვეროდა და მელაპარაკებოდა ან გაიცი-
ნებდა და კბილებს გამოაჩენდა, მე დამნაშავესავით თავს დავხრიდი
ერთბელ მთხოვა მიმეწოდებინა წითელი შალის თავსაფარი, რომელიც
სკამზე დარჩენოდა. ვთრთოდი, როდესაც მის შენახებ ამ სქელ შალს
თითებს ვუჭერდი. მარი-როზმა შალი ყელზე მობივია და ამ მოძრა-
ობამ სული შემიგუბა.

ხანდახან ჩვენს საზოგადოებას შემოემატებოდა სიფრელების ხნის
მოხუცი ხურო, რომელიც ამქართა ჩვეულებისამებრ ოქროს რგოლის
საყურეს ატარებდა, და გრძელლუღვაშიანი ფურიერისტი, რომელიც
ვიქტორ კონსიდერანთან ერთად ტეხასის ახალშენში იყო ნამყოფი.
შეკრების დასასრულს ეს ხურო სოფი პონტონის ან ანზენის მადა-
როელის სიმღერას დასტყედა ხოლმე:

აბა, პროლეტარის შვილო,
ოქრო არა გაქვს, სისხლი მოგვეცა!

არანაკლებ უცნაურ იდამიანად მეჩვენებოდა სასაცილო ტანადო-
ბის ერთი ელზასელი სტუდენტი ბეკერი, რომელსაც, ვიწრო ზონრიანა

სერთუკი და ჰუსარული შარვალი ეცვა, შავს, ფეტრის ქუდს იხურაგდა და შავ. მალალ ჰალსტუხს იკეთებდა. შავგვრემანს გრძელი და ხმელი სახე ჰქონდა, ანთებული თვალები, მოკლე, წვეტიანი წვერი. როდესაც წარი-როზი თეთრ ღვინოს მიაწვდიდა, ბეკერი ქალაღდში გახვეულ წვრილ ძეხვებს ამოიღებდა და სთხოვდა, შემიწვიო. დინჯად შეექცეოდა ძეხვს და ზედ ღვინოს დააყოლებდა, მერე ფაიფურის გრძელ ჩიბუხს გააბოლებდა. ბეკერს ხშირად ახალ-ახალი მეგობარი მოჰყავდა. ერთხელ პოლიტიკური ემიგრანტი მოიყვანა, ლინდენი, რომელიც დედით ებრაელი იყო; მეორედ — სტუდენტი, თავისი ამხანაგი, ძალიან მდიდარი და მოხდენილი ვაჟკაცი; იგი ლექსებს წერდა, რითაც თავიდანვე მიიზიდა ჩემი გული. ხავერდის ეილეტსა და საუკეთესო ხარისხის პერანგს იცვამდა. ჩვენ: ელზასელმა სტუდენტმა, ახალგაზრდა პოეტმა და მე, გადავწყვიტეთ კვირა დღეს ერთმანეთს შევხვედროდით. დანიშნულ დღეს ბოტანიკურ ბღში ვისეირნეთ. სულ ვკამათობდით. ბელვედერზე რომ ავედით, ელზასელმა გვიამბო, როგორ მეცადინებდა მეტაფიზიკაში. არ ვიცი, პალენგენზისი სწამდა, თუ მხოლოდ თავს გვაჩვენებდა, მწამსო. ალბათობის თეორიით შეუძლებელი არ არის, გვამცნო ბეკერმა, რომ სისტემა, რომლის ნაწილსაც ჩვენ წარმოვადგენთ, და პლანეტა, რომელზედაც ჩვენ ვცხოვრობთ, არსებობდეს კიდევ სამყაროს რომელიმე წერტილში ამნაირადვე განმეორებული, ან ჩვენი შეხვედრა და საუბარი შეიძლება განმეორება იყოს იმ შეხვედრა-საუბრისა, რომელიც ოდესღაც უცნობი ვარსკვლავის ბღლის ბელვედერზე მოგვიხდაო. ბეკერი ფიქრობდა აგრეთვე, რომ ჩვენ საოცარ პროცესში ვართ მოხვედრილი, რომელმაც მატერიის სულში დანერგვით და სულის ნივთიერებაში გახსხეულებით თანდათან იღვის განხორციელებამდე და ერთის მეფობის დამკვიდრებამდე უნდა მიგვიყვანოსო.

გამოცა, მაგრამ ხანდახან თავს ვეკითხებოდი, მასხარად ხომ არ მიგდებს-მეთქი. ელზასელის დინჯი კილო დამცინავი ხდებოდა. ჩვეულებრივ გაურკვეველად ლაპარაკობდა, მაგრამ ახლა სიტყვები მკაფიოდ ისმოდა, თუმცა ჩიბუხი სულ პირში ჰქონდა. ლაპარაკი რომ დაასრულა, ჩვენ ვღუმდით, მის ნაუბარს ვინელებდით. ელზასელი ნელ-ნელა სწუწნიდა ჩიბუხს, და ვგრძნობდი, რომ იგი იღუმალ ფილოსოფიასა და ქირღვას სავსებით მოეცვა.

პოეტ დენდის, ეულ დე რენოსაც, ბევრი რამ შეეძლო ჩემთვის ესწავლებინა, მაგრამ ის თავის აზრებს გაბედულად არ გამოთქვამდა. სევდანარევი, გაუბედავი, შეშფოთებული სინაზე აოკებდა მის სიტყ-

ვებს. იტყოდა თუ არა თავის აზრს, მყისვე უარპყოფდა მას, თითქმის მზად იყო ბოდნიშიც მოეხადა უზრდელობისათვის. ყველაზე მეტად აქედან დე რენოს პოლიტიკური ეკონომია აინტერესებდა, არჩევდა ყველა მის მოძღვრებას, თან უთვალავ შენიშვნასაც უკეთებდა, ყოველ სუსტ მხარეს აღნიშნავდა.

— თქვენ რომელ მოძღვრებას ემხრობით? — ვკითხე.

— ჩერ კიდევ არ ვიცი, განვაგრძობ შესწავლას, — მიპასუხა.

გავიფიქრე, ერთხელ მეც ხომ უნდა გადავწყვიტო, რომელ მიმართულებას მივემხრობი-მეთქი. ეს ლოდინი, ვგრძნობდი, ძალიან მაწუხებდა.

ვისადილეთ ლათინთა უბნის ერთ რესტორანში, ხოლო საღამო გავატარეთ სენ-სევერენის ქუჩაზე, გლაზერთან. ეს იყო პაპიროსის ბოლით გაუღენთილი პატარა დარბაზი. ერთ კუთხეში მაგიდასთან ხმა-მადლა კამათობდნენ. ბეკერმა ხელი ჩამოართვა მონადირის ტანისამოსში გამოწყობილ წვერიან მოკამათეს, რომელსაც რუხი ხავერდის შაკეტზე უზარმაზარი ლითონის დიღები ეკერა; დროგამოშვებით ფანჯარასთან საყელოაწეულპალტოიანი გრძელი ლანდი ჩაივლიდა. ბეკერმა იდაყვი წამკრა.

— ჯაშუში, — მითხრა.

— ბეკერ, ხომ არ აჯობებს, შემოვიპატაროთ, ალბათ, გაიყინა, — ნიშართა ბეკერს წვერიანმა მეგობარმა.

ყველას გაეცინა, მდღუქნესაც კი.

მეც ვიცინოდი, თავს ბედნიერად ვგრძნობდი, რომ ქუჩის წისლის მაგივრად თამბაქოს თბილ ბოლში მოვხვდი და ამ გულკეთილ, ძლიერ აღამიანთა შორის ვიყავი.

გარეთ რომ გამოვედი, ქუჩა დაცლილიყო, ჯაშუშები მიმალუ-ლიყვნენ.

ბეკერმა და აქედან დე რენომ სენამდე მიმაცილეს. ბიძაჩემი არ გამოფრთხილებია, შინ გვიან დავბრუნდები-მეთქი, ვერ გავითვალისწინე, და იგი მეორე დილას ცივად შემხვდა. ღამით ჩემი გვიან მისვლა ბიძაჩემს შეკარგემ შეატყობინა, რომელსაც არ ვუყვარდი.

— ნუთუ გარყვნილ ცხოვრებას უნდა მიჰყო ხელი? — მკითხა ალ-ბეფენმა.

საუზმის დროს ბიცოლა ვალერი გამომეჭომაგა, ახალგაზრდობას თავისი უფლებები აქვსო. ადელაიდამაც ცნობისმოყვარეობით გადმო-ხედა.

ამის შემდეგ ოჯახში თავი უფრო დამოუკიდებლად მექირა. ყოველ

კვირას მთელი დღი ვადავიკარგებოდი ხოლმე. ხშირად ნასადილევისაც, საღამოთი, იმის ბაგივრად, რომ სასტუმრო ოთახში დავრჩენილიყავ დომინოს სათამაშოდ, ჩემი ახალი მეგობრებისაყენ გავეშურებოდი, ენის მარცხენა ნაპირზე შევხვდებოდი მათ, ან ძია სიფრელენტან ერთად, ბასტილიის მახლობლად, სამიციტნოში შევიკრიბებოდით. კარგ ამინდში სამიციტნოს უკან, შოაჯირთან პატარა ბაღის ტალავებზე წვეწოვობოდით. უზარმაზარი, ახალაგებული სახლები წითელი ფანჯრებით დაგვეკვეროდნენ. ამ განათებულ ფანჯრებთან მკრთალად მონდნენ მალლა, ცის კამარაზე მოკიაფე ვარსკვლავები. ხის მაგიდაზე დამავრებული სანთლის გარშემო მხოლოდ ჩვენს სახეებსა და ღვინის ჭიქების ანარეკლს ვხედავდით, გვესმოდა ელზასელის გახურებული ჩიბუხის ტყაცატკეცი. დროგამოშვებით იასამინისა და სირვამლას ზურნელება შემოიჭრებოდა ხოლმე.

ზამთრობით თავს ვიყრიდით სამიციტნოს უკანა ოთახში, ბლანკის ლითოგრაფიული სურათის ქვეშ. ზევით რომ ავიხედავდით, თვალს მოხვდებოდა ბლანკის ჩაყარდნილი თვალები, ჭაღარა თმა და მოქანკეული სახე. ბლანკი მაგონებდა გალიაში ჩასმულ ბარბიუშეს და გააქთრებულ მეწადეს, რომელსაც ოტელ დე ვილსს ქუჩაზე ბავშვობისას ვხედავდი. ისიც თეთრი და აბურძგნული ყორანი იყო.

— სანამ ის ციხეში იქნება ჩაკეტილი, — გვითხრა ერთხელ ძია სიფრელენტანა, — ნამდვილ ცხოვრებას ვერ ვეღვრებო.

დასტურის ნიშნად თავი დაეხარა და პირი მოეკეუმა კარს მიყრდნობილ მიციტანს, რომელსაც ფეხებამდე ფარივით დაშვებულნი, გრძელი ვახერხებულნი წინსაფარი ეცევა და გულზე შიშველი ხელები დაეყრია. არავინ უწყის, რატომ ხდება, რომ ხანდახან უბრალო მოვლენა მოულოდნელად გასაოცარ და უცნაურ ამბად იქცევა ხოლმე. მაშინაც მიციტანს თავი ჩვეულებრივად ექირა, მაგრამ მაინც იგი გაზრდილი მომეჩვენა. მომავონა ხესმიყრდნობილი შეშის მჭრელი, ანძასთან მდგომი მეზღვაური. მიციტანი ზანტი, მძიმე ადამიანი იყო. ავრილი ერქვა. პირი მუდამ მოკუმბული ჰქონდა. მიციტნის მდგომარეობა, გარეგნობა, აუჩქარებელი მიმონვრა, თითქოს ასევე აუჩქარებელი ფიქრებიც — ყველაფერი ეს საკვირველ და მომხიბვლელ რამედ მეჩვენებოდა. აღთქმასავით ვიმეორებდი მის სახელს: ავრილ, ავრილ, ძია ავრილ... გამარჯობა, ძია ავრილ...

მარი-როზს უფრო დავუახლოვდი, კვირაობით ბუტ-შომონის პარკში დამყავდა. მაშინ იქ ყველაფერი ჯერ კიდევ სიახლით ბრწყინავდა. მკლავში ხელს გავუყრიდი და სიბილეს ტაძრისაყენ გავწევდით, გამოქ-

ვაბულებს გავივლიდით, სადაც ჩანჩქერის შხეფები გვასველებდა. მარი-როზი კისკისებდა და ვეჩვეოდი ამ სიცილს ისევე, როგორც შევეჩვიე მის ყრუსა და ამალეღებულ ხმას, ჩემს მკლავზე დაყრდნობილ მის ხელს, სიცოცხლით სავსე, თბილი სხეულის სიახლოვეს.

მარი-როზს მხიარული პიესები უყვარდა და ხშირად მიაშობდა ბელვილის თეატრის წარმოდგენების შინაარსს, თავისი ოჯახის, ღისა და უბედური პაწია ღისწულის ამბებს. მხიარულსა და სერიოზულს ერთმანეთში ურევდა. მარი-როზმა, როგორც ქალმა იცოდა, რომ საჭირო იყო გართობა. ეს ხალისი რაღაც გულუბრყვილო რომანტიულობით ავსებდა მას.

ამ რომანტიულობას მარი-როზის არსებაში, მართლაც, კარგი ბინა ეპოვნა. რა დიდი უბედურება იქნებოდა ჩემთვის, ეს რომანტიულობა რომ ჩაჰქრობოდა. მარი-როზთან საუბარი ცხოვრების მძიმე, მოსაწყენ მხარეებს მაცნობდა, მაგრამ იგი ყოველთვის გამოსავალსაც პოულობდა, საითკენაც გულამგერებულნი მივისწრაფოდით, ღა მაშინ, თუ ვერ მივუახლოვდებოდი, ერთს მაინც გავბედავდი და თვალს შევავლებდი იმ ველურ, საშინელ, ზღაპრულ ქვეყანას, რომელიც, როგორც მეჩვენებოდა, თვით მარი-როზის მშვენიერება და ახალგაზრდობას სამუდამოდ გამოეკეტა ჩემთვის.

მარი-როზთან დაახლოვებამ გამათამაშა და უფრო გაბედულად, ცნობისმოყვარეობით ვუტყერდი ქალებს. ამავე დროს ბიძის ქალიშვილებმაც მიიპყრეს ჩემი ყურადღება. ერთ კვირა საღამოს ბიძამ და ბიცოლამ წვეულება ვამართეს. ამ წვეულებაზე მეც დამპატიყეს, მაგრამ ცალყბად, ავღებულად!

— ძალიან გვასიამოვნებ, თუ პატივს გეცემ შენი დასწრებით, — მითხრა ბიძამ. — მსურს არავინ დააკლდეს ჩვენს ოჯახს ამ საღამოს.

— ჰო, რა თქმა უნდა, ამ სიამოვნებას არ მოგვაკლებს, — შემთხვევითი კილოთი თქვა ბიცოლა ვალერმა.

დავესწარი სადილს. წვეულთა შორის რამდენიმე მარსელელი ბურჟუა იყო და ერთი საქმაოდ ლამაზი, ჩამრგვალებული, სწორი სახის მქონე ახალგაზრდა ქალი. თავი ამაყად ეჭირა, რაც მის კეკლუც ტიტინს სრულიად არ ეგუებოდა. მისი ქმარი უზარმაზარი ტანის კომერსანტი იყო. რომაული სახე ჰქონდა და ჟოკეი კლუბის ყაიდაზე ფარფლის მსგავსად შეკრებილ ქილვამს ატარებდა. იგი მხოლოდ მუყაოს ფაბრიკის პატრონი იყო. მაგრამ თავი მედიდურად ეჭირა და ნამდვილ ბულვარდიეს გონებამახვილობას იჩემებდა. გარნა მისი სიღარბაისლე და მოუერიდებელი სიტყვა-პასუხი ერთმანეთს არ შეეფერებოდა. მალე

შევატყვე, რომ განზრახული ჰქონდა თავისი პარიზული დარღმანდობით გაეკვირვებინა ჩვენი არასაკმაოდ მაღალი საზოგადოება, სადაც ამჟამად ბრძანდებოდა. ნამდვილ ნიჭს ეს კომერსანტი პოლიტიკურ ასპარეზზე იჩენდა... იგი ნიევრის დეპუტატი იყო, სადაც მამული ჰქონდა, და ბრწყინვალე საზოგადოებასთან ახლო იდგა. გვიამბობდა ანექდოტებს შორნიზე, რომელიც მისგან ფულს სესხებოდა; სახელმწიფო საქმეებზე ისე ლაპარაკობდა, როგორც თავის მუყაოს საწარმოს რომელიმე განყოფილებაზე. მაგრამ მისი ცოლი მომხიბლავი არსება იყო. ურთ მხარეს ის მეჭადა, მეორე მხარეს — ბიძაჩემის ქალიშვილი, კლემანსი. კლემანსი არავითარ ყურადღებას არ მაქცევდა. მხოლოდ ერთხელ შენიშნა ჩემი არსებობა, როდესაც ერთსა და იმავე პურის ნაჭერს ორივემ ერთად წავავლეთ ხელი. კლემანსს გაეცინა, რამაც მასიამოვნა. ქალბატონი ავლოტი კი — ასე ერქვა ჩემს ტურფა მეზობელს — კითხვებითა და ქათინაურებით მიტყვედა.

— არავის ჰგაუხართ ამ ოჯახში! — შეუბნებოდა იგი. — თქვენ, ალბათ. მუდამ ამ საძაგელ საქმეში ხართ ვართული! თეატრში დადიხართ? მეგობრები გყავთ?

სადილის შემდეგ მამაკაცები სასადილო ოთახში დარჩნენ პოლიტიკაზე სასაუბროდ. მე ქალებს გავყევი სასტუმრო ოთახში. ქალბატონ ავლოტის მიტოვება აღარ შემეძლო. არაჩვეულებრივად ალტაცებულმა ვაღერმა და ადელაიდამ ცეკვა მოისურვეს, სავარძლები მისწი-მოსწიეს, ხალიჩები აიღეს, ფარშევანგებივით ჰყიოდნენ. ერთი თავაზიანი მოხუცი მანდილოსანი პიანინოს მიუჭდა. ქალბატონი ავლოტი ვალსის საცეკვაოდ გავიწვიე. მალე შენიშნეს, რომ ვალსს საუტბოოდ ცეკვავდი. მე ხშირად ვცეკვავდი მარი-როზთან საცეკვაო დარბაზებში, მარი-როზი მოხდენილად, თამამად ცეკვავდა. მეც ამიყოლია. ჩემთან ცეკვა ბიძაშვილებმაც მოისურვეს. კლემანსი გაოცებული მიყურებდა, თითქოს სხვენზე გაზრდილ შინაურ მტრედებში უცხო ფრინველი შენიშნაო. ხოლო ადელაიდა ჩემს ხელში შეეყვარებულვით დნებოდა, მოხიბლული ოხრავდა და ლულულულებდა:

— თქვენ, ჩემო ბიძაშვილო, ჰუსართა ოფიცერივით ცეკვავთ. სად ისწავლეთ ასე კარგად ვალსი?

მე კი უდიდეს სიამოვნებას ქალბატონ ავლოტთან ცეკვისას განვიცდიდი. ნუ დაივიწყებთ, რომ იმდროინდელი ვალსი წარმოადგენდა ერთ მთლიან რომანს, პოემას; ვალსი იწყებოდა გრძელი, საზეიმო უვერტიჟით, რომლის დაბოლოებას გულისძგერით მოველოდით. მოცეკვავე ქალს თითებზე ხელს ვუჭერდით. მუსიკას ფეხს ვაყოლებ-

დით, თითქოს ოქროს ფოჩიანი წითელი ფარდა გაიხსნათ. მოქმედება იწყებოდა და ერთბაშად ორომტრიალს ვეძღვოდით. მოულოდნელ ცვლილებებით, თეატრალური ეფექტებით სახვე გრძელი აბავი იშლებოდა. საკმაოდ დრო რჩებოდა იმისთვის, რომ მოცეკვავეს ყოველგვარი გრძნობა განეცადა: იმედი, აღტაცება, სინანული, თავდავიწყება. რამდენიმე რეპრიზი და ვალსი იერს იცვლიდა. როგორ ხდებოდა ესა. ძნელი ასახსნელია. თითქოს ერთი და იგივე ვალსი იყო. ნამდვილად კი სურათი მთლად იცვლებოდა. მოძრაობა-სუსტდებოდა და სევდის ტალღებზე დაცურავდი. ცეკვის დასაწყისში მოცემული დაპირება შორს რჩებოდა და ვალსის მეორე უკიდურესობა იჩენდა თავს. აღარ იყო აღარც ზეიმი, აღარც გრძნობათა მოზღვაება; მხოლოდ პიანინო ჟღერდა და მოლივლივე ხმების მთვარისებური შხაპუნი ისმოდა. დოლბანდი, სალენჩაქე ტაგტა, მერლინი, ფარჩა და კრეპდემანი. წელან რომ ლაღად და მხიარულად ფრიალებდნენ, მსუბუქი ქროლვით ეშვებოდნენ ძირს, იკეცებოდნენ. უზომოდ მთვრალი სული კვლავ ოხვრანა და სიმღერას ეძღვოდა. ანეთ წუთებში მოცეკვავე ქალა მკერდზე ვიკრავდი და თითქმის ურხევლად დავქროდი. ეს მიხუტება საუბარი იყო, მოცეკვავე ქალი პასუხს მაძლევდა: ქალბატონი ავლოტი ეშმაკურად მიდიმოდა და თვალმინაბული შემომცქეროდა. კლემანსი წამწამებს ძირს ხრიდა, სახე უტლანქდებოდა. ხელს ხელზე გამაგებოთ მიჭერდა. ხოლო ადელიდას შავი, სხივთა მფრქვევი თვალები ფურჩხემივით ემღეროდა. ვგრძნობდი, როგორ ეკეცებოდა ტანი ჩემს ხელებში. დამორჩილებულს. დამტკბარს სხეული უსუსტდებოდა.

აღფრთოვანებული იყვნენ ჩემი უნარით. ვერც ერთი იქ მყოფი ახალგაზრდა ჩემსავით ვალსს ვერ ცეკვავდა, ვერც ის ვაჟბატონები, რომლებიც, ცოტად თუ ბევრად ოფიციალურად, ჩემი ბიძაშვილების საქმროებად ითვლებოდნენ და რომლებსაც მამლაყინწებს ეძახდნენ. ეს სახელი მათს სოფლურ ქედმაღლობას მართლაც, შეეფერებოდა. ერთი პროვინციელი ნოტარიუსის შვილი იყო და პარიზში სამართლის მეცნიერებას სწავლობდა, ხოლო მეორე ინჟინერი უნდა გამოსულიყო. ბიძაჩემის აზრით, სწორედ ეს უკანასკნელი, როგორც მისი მემკვიდრე. ფაბრიკის ხელმძღვანელი უნდა გამხდარიყო.

სასტუმროს ოთახის კარებში გამოჩნდა თეთრჯილეტიანი რამდენიმე სტუმარი, მათს შორის ზვიადი ავლოტიც. პირში სიგარა გაერჭოთ. ეტყობოდა, ჩემი წარმატებით თვით ბიძაჩემიც კმაყოფილი იყო, აღერსიანად მიდიმოდა. ვალსის ცეკვა მოისურვა და ბიცოლა გაიწვია. წრედ შემოვერტყით. მალე დავრწმუნდი, რომ ყოზეფენი კარგად

ცეკვაავდა. ამან ისე გამოაცოცა, როგორც მის მიერ ბატონ გორდონის ჰალსტუხზე გამოთქმულმა აზრმა. ზვიად ავლოტს სერთუქის კალთებქვეშ ხელი ხელზე გადაეხლართა და მუსიკის ხმაზე თავს აქნევდა. დროგამოშვებით მეზობლებისაქენ დაიხრებოდა, მოცეკვავეთ შეაქებდა და კვლავ მისთვის უფრო შესაფერ საუბარს უბრუნდებოდა.

— ამრიგად, ნებას ვაძლევ თავს ვთქვა, რომ იმპერატორი აშკარად დემოკრატიას ემხრობა. სწორედ ეს დალუბავს. ლიბერალიზმით იწყებენ და ფატალურად სოციალიზმით ათავებენ. ყველაფრისაგან მატყუარა თეორიებს ქმნიან, რომლებსაც ხალხი არც საჭიროებს, არც ითხოვს, მაგრამ ხალხი ამ ილუზიებს ეტანება და ბოლოს იმედგაცრუებული რჩება. ვეჭილები ამით ერთობიან: მათი დანიშნულებაა რაიმე მიზეზით ვინმე დაიცვან. თუ მიზეზი არ არის, გამოიგონებენ, მაგრიამ რა მოელის საფრანგეთს? რა დაემართება კრედიტს? თუ ჩემი საწარმო ახლა ოცდაათ პროცენტს მაძლევს, ათი წლის შემდეგ მას რა უფასო ექნება?

ბატონი ავლოტი თავისი ღიმილით მოცეკვავეებს აზხნევებდა. მერე ჩაფიქრდებოდა და განაგრძობდა:

— მერწმუნეთ, მექსიკის ლაშქრობისთვის მხარი არასოდეს დამიჭერია. ჩვენ იქ დავკარგეთ ფული, დავღუპეთ ადამიანები. მერე, რა ძოვიგეთ?

ბატონ ავლოტს მიუფახლოვდი და ვუთხარი:

— ბატონო, თქვენი მეუღლე ანგელოზივით ცეკვავს.

— დიან, კარგად ცეკვავს, კარგად ცეკვავს, — ნიპასუხა მორცხვად, როგორც საყვარელი მოწაფის თავდაპირით კმაყოფილმა მასწავლებელმა, და დაწყებული საუბარი განაგრძო: მე კი მისი მეუღლე კვლავ გავიწვიე.

— რა გქვიათ? — ვკითხე.

ჩემი სითამამე თვითონვე მიკვირდა. აგრეთვე მათცებდა და მათერთოვანებდა ჩემთვის სრულიად უცნობი სიმთვრალე. ქალბატონმა ავლოტმა თავი ოდნავ უკან გადახარა და შემომხედა. ვიგრძენი, როგორ გადაიღუნა ერთმანეთს შევცქეროდით და ვტრიალებდით, როგორც ერთმანეთზე გადაჯაჭვული ორი პეტოქე. იმედის აღმძვრელი ღიმილით ჩამჩურჩულა:

— რად გინდათ ჩემი სახელი?

— ყველაფერი მინდა ვიცოდე თქვენზე, — ვუთხარი, — ასე მგონია, როდესაც თქვენს სახელს გავიგებ, ყველაფერი მეცოდინება.

—სწორედ ამიტომ არ გეტყვი ჩემს სახელს. მინდა ჩვენ შორის უფრო დიდხანს დარჩეს საიდუმლოება, — კეკლუცად დაუმატა.

„სულელი ქმნილება, — გაეფიქრე ალტაცებულმა. — მომხიბლავად სულელი! წარბაცო! თქვა რა სიამოვნებით დავტყვებოდი ამ უსაზღვრო სისულელით, ამ ვითომდა ცბიერებით, სასაცილო და გულუბრყვილო სიტურფით“.

— თქვენი სახელი — ყურში ჩავჩურჩულედი, — გამაგონეთ თქვენი სახელი მინდა ვიხილო, როგორ ჩაიბუტბუტებენ თქვენი ტუჩები თქვენს სახელს.

— ნოემი მქვია, — მითხრა ბოლოს.

— როგორ წარმოთქვით?.. ნოემი... ვერ წარმოიდგენთ, რა საუცხოოდ წარმოთქვით...

მაგრამ ვალსი უკვე დასრულდა. ნოემი სავარძლამდე მივაცილე. ჩემი მხრიდან ჩაპოლებულ მის ზელს მზურვალედ ხელი მოვუჭირე და, როგორც კი შემეძლო, თავაზიანად თავი დავუქარი. არ ვიცოდი, რისი სურვილი მქონდა იმ წუთში: გადამეხარხარა თუ ნოემისთვის მკლავი ისევე მომეხვია და ყველას თვალწინ გადამეკოცნა. სასტუმრო ოთახის მეორე მხრიდან ადელიადამ დამიძახა:

— ბიძაშვილო, ნებას გაძღვეთ ქალბატონ ავლოტს ეარშიყოთ. ჩვენი სტუმარია და გემართებს მისი გართობა, მაგრამ ბიძაშვილუბიც არ უნდა დაგვივიწყოთ. კლემანს!

ძახილზე კლემანსმა მოირბინა და სამიეენი დავსხედით პალმის ფართო მარაოებს უკან, რომელიც სასტუმრო ოთახის დანარჩენ ნაწილისაკან გვეფარავდა.

— ასე გვიან რატომ გამოამყლავნეთ თქვენი უნარი? — არ მესვებოდა ადელიადა.

სიტყვა შევაწყვეტინე:

— გვიან? გვიან არასოდეს არ არის. ხომ, კლემანს?

კლემანსს თავი შორს ეჭირა, მაგრამ ღმობიერად გვიცქეროდა. ამხედ-დამხედა. ნესტოები აუთრთოლდა. მზოლოდ ეს მოძრაობა უცვლიდა სახეს. მომწონდა მისი კანის სითეთრე, რომელსაც თვალების გარშემო ოდნავ ქორფლი დაჰყროდა. უკვე ვთქვი, რომ ამ ლოყების კოცნა კი არა, ფრჩხილებითა და კბილებით დაკაწვრა მომინდებოდა ხოლმე, მისი გალახვა, დამცირება, დატანჯვა. ადელიადამ ხელი მომეკიდა.

— თქვენ უცნაური ბავშვი ხართ, ტეოდორ, — მითხრა, — იცით, მამა თქვენზე რას ამბობს?

— კარგს არაფერს, უეჭველია.

— უარესს; ამბობს რომ თქვენ ანარქისტი და სოციალისტი ხართ, რა ვიცი, კიდევ რა. მაგრამ ეს თქვენი ბრალი არ არის, რადგან მამათქვენი ყოფილა ასეთი. ხომ მართალია?

— გეფიცებით, თვითონ არ ვიცი, რა ვარ. შეიძლება, ისეც იყოს, როგორც თქვენ ამბობთ. ის კი სავსებით მართალია, რომ მე და მამათქვენს სულ სხვადასხვა აზრები გვაქვს. მაგრამ, — დავუმატე ალერსიანად: — ნუთუ ასე საშინელი ვარ?

— ნეტავ, ვიცოდე, რასა ფიქრობთ? — თქვა ადელაიდამ.

— ძნელი გასაგები არ არის, — მიახალა კლემანსმა: — ტეოდორს გძულვართ, მორჩა და გათავდა.

— მძულხართ? — წამოვიძახე თავზარდაცემულმა.

— დიახ, — განაგრძო კლემანსმა, — გძულვართ, გძულთ მამა, რომელმაც სილარიზიდან გამოგიყვანათ.

— არა, კლემანს, — მივუგე მე, — მამათქვენი არა მძულს.

— მაშ...

— არც თქვენა მძულხართ, — დავუმატე ადელვეზულმა.

კლემანსმა თავი დახარა. თითქოს ტირილს აპირებდა.

— მაშ, რატომ გვეპყრობით ასე უცნაურად? — მკითხა კლემანსმა, — რატომ არასოდეს არ გველაპარაკებით? რატომ ხართ ყოველთვის გულჩათხრობილი?

— მე, გულჩათხრობილი?

— კმარა, — შეაწყვეტინა ადელაიდამ; — ნუ აწუხებ. ხომ ხედავ, ეს ადელვეზს, უფრო შეგძულდებით.

ადელაიდამ ხელი მომკიდა, თითქოს ამის თქმა უნდოდა: ხომ ხედავ, არა მჯერა, რომ გძულვარო.

სანთლების შუქზე ადელაიდას სახე სპეტაკი და წმინდა მოჩანდა. თვალები გაუბრწყინდა, ნაზი და წყლიანი გაუხდა, როგორც ცეკვის დროს. მთელი სხეული მოუღუნდა, აუთრთოლდა ცხოველივით, რომელსაც ეალერსებია. ადელაიდა, მართლაც, ფურიერემს ჰგავდა, და მოწაგონდა ოტელ დე ვილის ქუჩაზე გეტოში ნახული თვალები, ბავშვობაში რომ მომხიბლეს. მაგრამ ის დევნილი ნადირის თვალები იყო, აქ კი მოშინაურებული პატარა ფურიერის თვალები შემომცქეროდნენ. რომლებიც ამ ათი წლის წინათ სურათებზე ვნახე კრინოლინიან ქალებთან და მაქმანებზე მოვლულ საცვლებთან პატარა გოგონებთან ერთად.

იმ დროს, როდესაც ფურიერში თავის მშვენიერ თვალებს არ მა-

შორებდა, კლემანსმა ზურგი შემოგვექცია, ფანჯრიდან სიბნელეში იცქირებოდა. კლემანსთან მივედი. ჩემი ფიქრი ძვირფასმა კრამიტიანმა სახურავმა წარიტაცა. უცბად ადელიდამ წარჩენა შენობაზე მიცითა და მითხრა:

— ნუთუ ის თქვენი სორო მოგწონთ?

მაშინ სიცილით მიემართე ორივეს:

— თქვენ იქ უნდა მოსულიყავით ჩემს სანახავად. გიჩვენებდით ჩემს წიგნებს, მთელ ჩემს ავლა-დიდებას... რატომ არ მოხვალთ ერთხელ მაინც საღამოთი, როდესაც ყველა დაიძინებს? ვერაინ გაიგებს. მხოლოდ დერეფანს უნდა გამოჰყვეთ, საწყობები გაიაროთ. მოდით ხვალ: ერთი ბოთლი შამპანური შექნება, ჩემს ბინაში მიღებით პატივსა გცემთ.

— მოვალთ! — წამოიძახა ადელიდამ.

— ხომ არ გაგიჟდი! — დაუყვირა კლემანსმა.

— უსათუოდ მოვალთ, — გაიმეორა ადელიდამ. — რა არის აქ ცუდი? როგორ მიხარია, ტოდორ, რომ შეგრიგდით. მე არასოდეს თქვენზე გულმოსული არა ვყოფილვარ. მხოლოდ კლემანსს ეგონა, ვძულვართო...

— გველოდეთ ხვალ, თორმეტი საათისათვის, შუალამეს! რა საუცხოო იქნება...

ორმა მამლაყინწამ პალმის ფოთლებში თავი შემოჰყო.

— ამ კუთხეში რას აკეთებთ? — იკითხა ერთმა მათგანმა, — ცეკვა აღარა გსურთ?

დები გაქრნენ. მარტო დავრჩი ფანჯარასთან. გული უცნაური ზემოთ მევსებოდა. ჩემს უკან მხიარული ორომტრიალი იყო. მერე დაებრუნდი და მამაკაცთა ჯგუფს შეუუერთდი. თითქოს ოცნებას მოწყვიდიო, ბატონ ავლოტის ხმა მომესმა:

— უეჭველია, მეტყვიით, რომ მექსიკამ ჩვენი პრესტიჟი აამაღლა. ეს უმნიშვნელო რამ არ არის. ლუი-ფილიპეს დროს ამას გადავეჩვიეთ; საფრანგეთი მოწყენილი იყო. საფრანგეთმა არ უნდა მოიწყინოს.

— მოწყენილობა ცუდი მრჩეველია, — მრავალმნიშვნელოვნად ჩაურთო ბიძაჩემმა.

— ძალიან ცუდი, — დაემოწმა ავლოტის ხმა.

ეს ხმა იყო დინჯი და დარბაისლური, რომელიც ზოგიერთ მარცვალს უფრო მკაფიოდ გამოთქვამდა, ნამდვილი პარიზული დახვეწილობით. ოთახის ბინდბუნდში ხმელი და ძვლიანი სახის ქვედაწილზე გავარჩიე წვრილი, მკვეთრად მოხაზული ტუჩები, საიდანაც ეს ხმა

მოსმოდა. თუმცა ბიძაჩემი იმპერატორს ჰბაძავდა, იგი მაინც მწითურ-რი, ტლანქი ბურჯუა იყო. ბატონ ავლოტი კი შნოიანი გარეგნობა ჰქონდა და დიდგვაროვანი ვინმე გეგონებოდათ. მის სხივოსან, ლამაზ თვალებს დაღლილობა და ოდნავი სიბერე დატყობოდა. მისი ლითონისებური თვალები შეუბრალებლად იცქირებოდნენ. წარმოსადგეს, მხარბეკიან ვაჟიკაცს კოსტად მორგებული სერთუკი ეცვა. დინჯი მიხვრამოხვრა ჰქონდა, ჩაფიქრებული სახე და მტკიცე გამომეტყველება. ლამაზ, თეთრ ხელს ქილვაშზე ჩამოისევამდა ხოლმე... სირცხვილისაგან ვიწოდდი, რომ ბიძაჩემის გავლენის ქვეშ მოვექეცე მაშინ, როდესაც მასზე მალამდგომი, მასზე დიდკაცები ყოფილან, ნამდვილი მეთაურები, გაჩენილი სწორედ ბრძანებლობისა და ზიზღის გამოსახატავად, ხელისუფალთა მესაიდუმლენი.

მეორე დღეს, საუზმის შემდეგ, დაუძლეველმა სურვილმა შემიბყრო და ვაჟიჩემი იმ სახლის გარშემო სახეტილოდ, სადაც ცოლ-ქმარი ავლოტი ცხოვრობდა, რივოლის ქუჩაზე. ბედმა გამიღიმა. დიდხანს ცდა არ დამქირდა. ნახევარი საათი არც კი იყო გაშული, რომ დავინახე, ბატონი ავლოტი გამოვიდა, ეტლს დაუძახა და მარეს მიმართულლებით გაემგზავრა. იქ კანტორა ჰქონდა. მაშინვე წინკარს მივაშურე და იმ ბინაში დავჩეკე, რომელიც მეკარე ქალმა მიმასწავლა. კარი მოსამსახურე ქალმა გაშიღო. ვუთხარი ქალბატონი კიშის დავალებით ქალბატონი ავლოტის ნახვა მინდა-მეთქი. მოახლემ მთხოვა, მოიცადეო, მერე შემიყვანა პატარა ბუღეარში, რომელიც ყვავილების სურნელებით იყო გაჟღენთილი. ქალბატონი ავლოტი პატარა დივანზე იჯდა. თეთრბეწვეშემოვლებული ცისფერი ქიშმირის საშინაო კაბა ეცვა. ჩემს დაწახვავზე თვალები გაუფართოვდა.

— მთელი ღამე თქვენზე ვფიქრობდი! — ვუთხარი აღმოდებულმა. — მინდოდა, რაც შეიძლება მალე ისევ მენახეთ... ნოემი...

— ბავშვი ხართ! — წამოიძახა, — გთხოვთ ახლავე გამეცალოთ!

მუხლებზე დავეცი მის წინ და ხელები მთრთოლვარე კოცნით დავუფარე. ნოემი თმაზე ხელს მისვაშდი, თან იმეორებდა, ბავშვი ხართო.

— ჩემი ქმარი რომ დაგხვედროდათ? — დაუმატა.

— დავინახე, რომ წავიდა.

— უთვალთვალელებდით?

— მთელ საათს თქვენს ფანჯრებთან ვიცდიდი.

აღერსიანად გადმომხედა. ამით ვისარგებლე და გვერდით მივიუჯექი, დივანზე.

— უნდა წახვიდეთ, — მითხრა ამოიხვრით.

— კვლავ როდის განახავთ? კიდევ მინდა განახოთ. მოერბოდნი, არ შემეძლო არ მოვსულიყავი... კვლავ მინდა თქვენი ნახვა, მინდა, რომ შემპირდეთ...

დაბნეულად ვლაპარაკობდი და ვმოძრაობდი, მაგრამ გულწრფელი ვიყავი. კრალაყამ შთამაგონა ჩემი დაბნეულობა გამეზვიადებინა. ხელე-ბი მიკანკალებდა, მივხვდი, რომ ისინი უფრო მეტად უნდა ამეთრთო-ლებინა. ბალიშს ხელი წამოვავლე და ისე მოვიქეცი, თითქოს ფრჩხი-ლებით მისი დაგლვჯა მინდოდა. აბრეშუმი დავკმუქენე. კბილები დავაკ-რაჭუნე. ქალბატონ ავლოტს სახეზე შიში გამოეხატა. ჩემი დამშვიდება მოინდონა, ხელები დამიჭირა. მე კი ვეუბნებოდი:

— ეს თქვენა ხართ? თქვენა ხართ, ზემთან, სულ ახლოს, როგორც გუშინ საღამოს? ხოვინი...

ჩემი სახელი ჩაიღუღლულა, დაიკვნესა და ჩემს მკლავებზე გადა-ესვენა, მკერდზე მივიკარ, კაბა ავუწიე, თეთრ წინდაში გამოკვეთილ წვივი გამოუჩნდა. ნოემიმ ხელი მკრა.

— არა. — მითხრა ისე მტკიცედ, რომ დავიბენი.

და კვლავ ბალიშს მივევარდი. ბალიში ხელიდან გამომტაცა და ჩემი სახელი გაიმეორა.

— ნოემი — წამოვიძახე გაცოფებულმა.

ქალბატონმა ავლოტმა დამშვიდება დამაწყო. წამოდგა, კარებთან მიმიყვანა.

— უნდა წახვიდეთ, — გამიმეორა. მკერდში ჩამიკრა და სწრაფად მოპიშორა. — ისედაც დიდხანს დარჩით. მოახლე ქალს გაუყვირდება. წადით. ხეალ სამ საათზე ბულონის ტყეში მელოდეთ. ეტლში ვიქნები, აკაციების ხეივანთან. ხომ იცით, სად არის? წადით, ტეოდორ. თუ ღმერთი გწამთ, წადით! ჰო. ბაეშეო. მიყვარხართ... ნახვამდის, ბატონო, — მითხრა, როგორც კი შეიძლებოდა ხმამალა, როდესაც დერეფანში გავედი. — გთხოვთ, არ დაივიწყოთ, ჩემი მოკითხვა გადას-ცეთ თქვენს ბიცოლას.

თავბრუნდახვეული, აღფრთოვანებული გამოვედი. საღდაც დუქნის სარკეში ჩავიხედე. სახეზე ცეცხლი მეკიდებოდა. უეტრად ჩემი ბიძა-შვილები, ჩემი ძვირფასი ბიძაშვილები მომაგონდა. ხომ შემპირდნენ, აჰ საღამოს თქვენს ოთახში მოვალთ!

სუნთქვა მიჭირდა. ამდენი სიხარულის ატანა აღარ შემეძლო და ჩემთვის წამოვიძახე:

— ეჰ! ყველა, ყველა მინდა მიყვარდეს, მინდა დავარწმუნო ისინი, რომ...

ახრი ველარ დავამთავრე, შევდექე, ბუნდოვანმა სურვილმა შემიბყრო, რომ ყველა ქალის გულში რწმენა ჩამენერგა, სასიხარულო, ღრმა რწმენა. შეიძლება იმის გრძნობაც, რომ მე ვარსებობ. მივხვდი, რომ ოაღაც უცნობი, მკვეთრი საშუალებანი უნდა გამომეყენებინა დასაარწმუნებლად, დასამორჩილებლად, მოსატყუებლად.

— ქალებმა არ იციან, — ვლულულუღებდი, — ჯერ მათ არ შეუძლიათ იცოდნენ...

მე კი თანდათან ვხედებოდი... საშინელი მოუთმენლობა მაღელვებდა. ქუჩებში მოსიარულეთა შორის გაერბოდი, ყველას ამრეზილად ვუცქეროდი. ისეთი დღე იყო, როგორც პარიზში ხშირია ხოლმე. ვერ იტყვი, წელიწადის რომელი დროა. ნესტიანი, რბილი დღე, ასეთ ამინდაში სურსელება დიდხანს ვერა სძლებს. სურნელებათა ცვალებადობა გაღელვებს, როგორც იმაზე ფიქრი, რომ ჩვენი ცხოვრების დღენიც ასე დაიფერფლებიან. სიყვარულით აღტაცებული, საქმეებზე დარბოდი. უსიამოვნო აღამიანებთან ლაქზე ლაპარაკი მიხდებოდა. ჩემი ფიქრები კი ამ დროს ქალბატონ ნოემი ავლოტთან გატარებულ დამთრობელ წუთებს დასტრიალებდა.

ჩემს ხსოვნაში კორსეტის ბუდეში მომწყვდეული მისი თეთრი მკერდი ბრწყინავდა. მკერდს თვალი მოვკარი, როდესაც ბეწვშემოვლებული პენუარი გაეზანა. იმ დღეს ისეთი გულადობა გამოვიჩინე, რომ ცენტრალურ საწყობშიც კი შევიარე საქონლის მისაწოდებლად. იქ ყოველთვის ცუდად მიღებდნენ, მეც ზიზლით შევდიოდი. ამ უზარმაზარ დაწესებულებაში დიდი უხეშობა და საიდუმლოება მეფობდა, მაგრამ იმ დღეს გადავწყვიტე, ბედი მეცადნა, უეცრად გამბედაობა ვიგრძენი. ცივად მომისმინა იმ მოხელემ, ვისთანაც მოლაპარაკებას ვაწარმოებდი, მაგრამ მანაც ჩემი გავიტანე. იგი ცოტათი ბატონ ავლოტსა ჰკავდა.

საღამოს, სადილობის დროს, ადელიდამ მალულად გადმომხედა და მანიწნა. სიხარულისაგან ზეიმობდა. კლემანსი კი თავის თევჟს ჩასჩერებოდა.

— ამ საღამოს არსად მიბრძანდებით? — მკითხა ჟოზეფენმა.

ნასადილევს სასტუმრო ოთახში ვავედით. ბიცოლა ვალერი პიანინოს მოუჭდა, მეიერბერის ოპერის შესავალი დაუკრა. მე და ჩემი ბიძაშვილები დომინოს სათამაშოდ მაგიდას შემოვეუსხედით. ჟოზეფენი ჩემს უკან იდგა, თავი იმპერატორივით ეჭირა და თამაშს გულმოდგინ-

ნედ თვალს ადევნებდა. საათმა ათჯერ დარეკა. პიანინო დადუმდა. ქალბატონი კიში ტაბურეტზე მოტრიალდა. პარტია დაუმთავრებელი დაგვრჩა, ერთმანეთს ღამე მშვიდობისა ვუსურვეთ, და მე ჩემს საკუქნაოს მივაშურე.

ღამმა ავანთე. მისი პატარა სფერო ცის დანაკის ფერად ანათებდა. ღამის შუქი მახლობელ ნივთებს ალერსით ეცლებოდა, მაგრამ საანგარიშო დავთრების შავი ზურგის წინაშე ძალაგამოლეული ჩერდებოდა, ბნელი კუთხიდან. დღისით ნაყიდი ერთი ბოთლი შამპანური და ადელაიდას მიერ მალულად ვადმოცემული სამი ორთომელი გამოვიღე. სტუმრების მოლოდინში ლოგინზე წამოვწექი. დროგამოშვებით ვდგებოდი, კარებს ვაღებდი და მახლობელი საწყობის სიბნელეში დაგებებოდი. ბოლოს მსუბუქი ფეხის ხმა მომესმა. ღამით გავეშურე, ნიშანს ვაძლევდი, მაგრამ არავინ ჩანდა.

თერთმეტ საათს გადაცილებული იყო, როდესაც ისინი მოვიდნენ. ადელეებისაგან გაწითლებულნი, აკანკალებულნი, სულს ძლივს ითქვამდნენ. ადელაიდა სიცილს ვერ იკავებდა; კლემანსს გულზე ხელი დაედო და ოხრავდა. ვერ წარმოედგინათ, ოდესმე თუ აქ მოსულას გაბედავდნენ. სულ ეჩვენებოდათ, რომ დედ-მამას არ ეძინათ. შემდეგ ხვრინვა მოესმათ. საწყობში ყუთებს დასჯახებიან, ერთი გადმოუვლიათ და საშინელი ხმაურობა ატეხილა... რატომ ვერაფერი გავიგონე? შამპანურის ბოთლი გავხსენი და ორივეს დავაღვივინე გასამხნევებლად. ისე მორათულნი მეწვივნენ, როგორც დღისით იყვნენ. მხოლოდ ახლა ფლოსტები ჩაეცვათ. ადელაიდას შავი, გრძელი თმა რამდენიმე ნაწნავად გაეკეთებინა, რაც ბავშურ, სასაცილო გამომეტყველებას აძლევდა. კლემანსს კეფაზე დაწვეული ქერა თმა ბადით დავმადრებინა. სიცილით ვული რომ იჯერეს და შამპანური დალიეს, დამშვიდდნენ, ლოგინზე ჩამოსხდნენ და ოთახს თვალი მოაველეს.

— დედაშენია? — მკითხა ადელაიდამ, მაგდარზე დედაჩემის სურათი რომ დაინახა. მოულოდნელად შენობით დამიწყო ლაპარაკი.

— ჰგავხარ, — დაუმატა, — არ მიკვირს. კიშებთან ცოტა მსგავსება ვაქვს.

— ჩვენი მამებიც არ ჰგავდნენ ერთმანეთს, — ვუთხარი, — თუმცა ორივე ქერა იყო.

— შენც ქერა ხარ, — თქვა ადელაიდამ, — ქერა ხარ, როგორც კლემანსი და მამა, მაგრამ დედის იერი გაქვს.

— წიგნები სადა გაქვთ? — მკითხა კლემანსმა.

ვუჩვენე ჩემი სამალავი დავთრებს უკან და იქიდან რამდენიმე დაწერილი რვეული გამოვიღე.

— ჩემს ლექსებს წაგიკითხავთ.

მათ ტაში შემოჰკერეს და სერიოზული სახე მიიღეს, მე კი „თეთრი ყორხის“ კითხვა დავიწყე.

— თეთრი ყორანი? — გაიკვირვა ადელაიდამ, — უცნაური რამ არის!

— ნახავთ, — ვუთხარი, — ეს ნამდვილი ყორანი კი არ არის!..

— მაშ რა არის?

— არ ვიცი... მოჩვენება.

— ტეოდორ, — წამოიძახა ადელაიდამ, — ნულარ გვაშინებთ. ჩვენ ისედაც შეშინებული ვართ. არც კი ვიცი, უკან როგორ დავბრუნდეთ, ის ბნელი საწყობები როგორ გავიაროთ.

წავიკითხე „თეთრი ყორანი“. როდესაც დავასრულე, კლემანსმა შენიშნა:

— ეს ხომ პროზაა! — და ნესტოები აუთრთოლდა.

— ეს არის პოემა პროზად, — ავუხსენი, — ჩემი მეგობარი ეიულ დე რენოც ასე წერს. დამერწმუნეთ, ესეც ისევე ძნელია, როგორც ლექსის წერა.

კლემანსმა შამპანური მოსვა. თავი ისე ამაყად ეკირა, თითქოს ამ ღამის სიგიჟეში მისი არსების მხოლოდ ერთი ნაწილი მონაწილეობსო, მეორე, უფრო ნათელი ნაწილისთვის კი ყველაფერი ეს თითქოს უცხო არისო.

— ამ პოემას სად მიჰყავხართ? ამით რის გაკეთება გსურთ? — მკითხა, — არ ფიქრობთ განა, ცოტა ხნის შემდეგ ამას თავი მიაწებოთ და ჩაიდინოთ...

— რა ჩაიდინო?

— რაიმე გმირობა.

გაოცებულმა შევხედე კლემანსს. ადელაიდა წამოდგა. ერთი ჰიქა შამპანური კიდევ დალია. ყურს არ გვიგდებდა, წიგნებს ათვალეირებდა. ჩემი საიდუმლო ადგილი სულ არივდარია.

— გმირობა? — გავიმეორე.

კლემანსი თვალეში მომაჩერდა და სიბრაზით გამომიცხადა:

— მამაკაცები ჭარისკაცები უნდა იყვნენ. ყოველ შემთხვევაში, ისინი ჭარისკაცებივით უნდა აზროვნებდნენ. პორაციო და ბერნარი (ასე ერქვათ მამლაყინწებს) მუდამ მზად არიან გმირობისათვის.

— ჭერჯერობით კი, — ჩაერთა ლაპარაკში ადელაიდა, — ტეოდორზე უფრო გმირული არაფერი ჩაუდენიათ, სისულელეს ნუ ლაპარაკობ.

— ეს სისულელე არ არის.

სიბრალულთ შევხედე ჩემს ლექსებს, შემდეგ კლემანსს და ჩავი-
ლულულდე:

— შერე რად გინდა, კლემანს, მე რომ გმირობა ჩავიდინო?

— რად მინდა? იმიტომ, რომ ეს საჭიროა. რატომ? რატომ და
იმპერატორის დასაცავად.

— მაგ ბატონს თავდაცვა თვითონაც კარგად შეუძლია.

— საფრანგეთი, ტეოდორ? — თქვა მოულოდნელი სინაზით, უდი-
დესი უბრალოებით, თითქოს უნდოდა თავისი სიტყვების სილიადე შე-
ენელებინა.

— რაო?

— საფრანგეთი-მეთქი, ვეუბნები, ეს კი მიპასუხებს „რაო“? — აღ-
შფოთდა კლემანსი — გესმის, ადელაიდა?

— ეჰ, კარგი ერთი. ტეოდორი მართალია, — უპასუხა ადელაიდამ და
ისევ გვერდით მოგვიჯდა. — ნუ აწუხებ საფრანგეთით, შამპანური დაე-
ლიოთ.

— ამის ატანა არ შემიძლია! — წამოიძახა კლემანსმა და მის ხმაში
ქვითინი გაისმა. — თქვენ ადამიანი არა ხართ, ტეოდორ, ადამიანი არა
ხართ!

— მართლა ტირის?! — გაიკვირვა ადელაიდამ. — კმარა, ჩემო
დაო, სასაცილო ხარ. ტეოდორთან იმისთვის მოვედით, რომ ცოტა
გავრთობილიყავით და არა პოლიტიკაზე გველაპარაკნა, ტეო, დაუსხი,
დაალევიანე.

დაეფაცურდით, როგორც ავადმყოფის გარწემო. კლემანსი თავიდან
გვიშორებდა, მაგრამ შამპანური მაინც დავალევიანეთ. კინალამ დაილ-
რჩო. ხველა აუტყდა. ჩვენ კი გვეცინებოდა. ბოლოს ვერც მან შეი-
კავა თავი და სიცილი დაიწყო.

— გაიცინა! — წამოიძახა ადელაიდამ. — გავიმარჯვეთ, გავიმარ-
ჯვეთ, მოდით, ტეოდორ დავლიოთ საფრანგეთის, იმპერატორის სადღეგ-
რძელო; ჩვენი სამხედრო დიდების სადღეგრძელო, ყველასი, ვი-
სიც გსურთ.

დებს შუაში ჩაეუჩქეჭი, ლოგონზე, ორივეს წელზე ხელი მოეხვიე და
ავლიდინდით: „ვიყოთ ჩვენ მცველნი იმპერიისა!“

— ვერა ხედავ, კლემანს, — დაიწყო ადელაიდამ, — ტეოდორს უკვე
აქვს ის პირველი თვისება, რაც საჭიროა გმირად განდომისათვის:
ყველა ქალის გულს იპყრობს, ტეოდორს ვერც ერთი ქალი ვერ გა-

უმაჯრღება. სადამღე მიიყვანა გუშინ საღამოს საბრალო, პატარა ავლოტი. ტეოდორ, მალე ნახავთ მას? გვიამბეთ მერე...

— უკვე ვნახე დღეს, — გუპასუხე გამარჯვებულმა.

— დღეს? უკვე? სად მერე? როგორ? რა უთხარი? ოო, შეგვიძლია ვიამაყოთ ჩვენი ბიძაშვილით.

ვუაპხე, რომ ავლოტის ფანჯრებთან მთელი საათი დავდიოდი. შემდეგ კარი შეკამპტვირე, და ჩვენი შეხვედრა მეტად მგზნებარე იყო.

— დარწმუნებული ვარ, — მითხრა ადელაიდამ, — რომ შენ ყველგან მეგობარი ქალები გყავს. მამამ თქვა, ახალგაზრდა მუშა-ქალებს დასდევსო.

— არც ისინი არიან უღამაზონი. აი, სენტ-ანტუანის გარეუბანში ერთ ქალიშვილს ვიცნობ, მარი-როზი ჰქვია. თავადის ასულზე მშვენიერია.

— მაშ, თქვენ პლებების გემოვნება გქონიათ. — თქვა კლემანსმა, — არ მიყვირს.

— ძვირფასო კლემანს, ვრწმუნდები, რომ თვითონ თქვენ უზიზღე-ბით. ეს ძალიან მაღონებს. მაგრამ არა, მართალი არ არის. სულ ცოტათი მაინც ხომ გიყვარვართ?

— აბა, — თქვა ადელაიდამ, — აკოცეთ ერთმანეთს.

ჩემი ხელი კლემანსს ხელში ჩაუდო. ტუჩები მის ლოყასთან მივიტანე. კლემანსი თავს არ იცავდა. ამ კოცნამ უფრო მეტად მასიამოვნა, ვიდრე მოველოდი. ლოყას ხილის ნაზი სურნელი ასდიოდა.

— შეე, — მითხრა ადელაიდამ, — მეც უნდა მაკოცო, თორემ ვიეკვიანებ.

მიუებრუნდი და ვაკოცე. კოცნამ ლოყაზე ჩაისრიალა და ტუჩების კუთხეში ჩაქრა. ადელაიდამ თვალები მინაბა.

— ნუთუ მართლა, — გკითხე მათ სულ ჩუმიად, — ერთ დღეს თქვენ იმ მამლაყინწებს მისთხოვდებით?

— რატომაც არა? — გაიკვირვა კლემანსმა.

— ვნახავთ, — თქვა ადელაიდამ.

ასე ვილაყბეთ პირველის ნახევრამდე. ერთხელ კიდევ ვაყოცე მათ და ლამპით ხელში გავაცილე. საწყობები გავიარეთ. ყუთებს იქით წათი ფეხის ხმა და კაბების შრიალი ისმოდა, სულ ჩუმიად მშორდებოდნენ. ჩემს მღუმარე ოთახში დავბრუნდი. ძილი ჯერ კიდევ არ მეკიდებოდა. საწოლზე ის ადგილები, სადაც ჩვენ ვისხედით, ჯერ კიდევ ჩაღრმავებული იყო. სულ გამოვცალე ორთომელებში იარჩენილი შამპანური. ბოლთასა ვცემდი.

დაეჭექ, ჩემი წიგნები და რვეულები დაეალაგე, ფანჯარა გავადე და შევხედე პირდაპირ განათებულ ფანჯარებს, რომლის იქით ჩემი ბიძა-შვილები ამოდ უხმობდნენ ძილს ჩემსავით. წარმოვიდგინე ისინი ბანტებიანი სალამური პერანგით, შიშველი წვივებითა და მკლავებით, თავ-თავის თთახში. ალბათ, რაღაც წვრილმანებით ერთობიან და სანთლის ჩაქრობას აგვიანებენ. მთელი მკერდით ვისუნთქავდი ეზოს სუფთა ჰაერს. ჩემი საყვარელი სახურავის კრამიტებს მსუბუქი ნიავი ეალერსებოდა და ასე მეგონა, თითქოს კრამიტების თრთოლვას ვხედავ-მეთქი, თითქოს სიბნელეში ტალღები იწვევდნენ, ზვირთდებოდნენ და ზევით, ჩემკენ ილტვოდნენ. ტუჩებს ვიშვერდი ამ ტალღებისაკენ — ვარდის, ქათვისა და ღამის სასმელისაკენ.

IV

— კიდევ როდის მესტუმრებით? — რამდენიმე დღის შემდეგ ადელიადას მალულად კარებში გადავუდექი და ვკითხე:

— კლემანსს აღარა სურს, — მიპასუხა ადელიადამ, — რატომ, არ ვიცი. გებუტება.

კლემანსს შევეკითხე. მრისხანედ გადმომხედა, ნესტოები უთრთოდა, ბოლოს მითხრა:

— ბქვენ ფლაჟოსთან ერთად სვით.

— რაო?

ჭორჭლით დაფარულ ჩემ მიერ დაკონილ ლოყას შევხედე.

— ფლაჟოსთან, — გამიმეორა და წინ ჩამიარა.

— ჰო! — მომაგონდა, მართლაც, სახელოსნოებიდან რომ გამოვდიოდი, ფლაჟო, ცუდი მუშა, შემხედა. ერთი ქიქა ღვინის გადასაყრავად გაეყვები. ფლაჟო მიყვარდა უდავოდ. როდესაც მთვრალი არ იყო, ისე მტკიცედ და კეთილშობილად იცოდა ხელს ჩამორთმევა, თითქოს გეუბნებოდა: „ჩემს გარეგნობას ყურადღებას ნუ აქცევთ, შეგიძლიათ ჩემი იმედი იქონიოთ. როდესაც ფხიზელი ვარ, ფხიზელი კაცის ყველა თვისება მაქვს, ერთიასადი გადაქარბებულად“. სიმთვრალეშიც სხვა თვისებები ჰქონდა, რომლებსაც არანაკლებად ვაფასებდი. მაშინ მისუსტებული, ნაზი ხმით თავის გაჭირვებას შიამბობდა და ეოზეფენზე იმდენ ცუდ რამეს მეუბნებოდა, რომ გული ნეტარებით მევენებოდა.

პირველი შემთხვევისთანავე ადელიადა განზე გავიხმე და ვუთხარი:

— არა ვმალავ, რომ მე და ფლაჟომ ერთად ვსვით, მაგრამ განა ჩვენ, მე და იგი, კიშის სახლის მოსამსახურენი არა ვართ? ერთად ვსვით, და მერე რა არის ამაში ცუდი? ის კი უფრო მძიმე დანაშაუ-
ლია, ერთ საღამოს რომ მეპატრონის ქალიშვილები ღვინის დასალე-
ვად მოსამსახურესთან ბრძანდებოდნენ.

— ნუთუ თქვენ, მართლა ასე ფიქრობთ, ტეოდორ?!
— როგორ შეიძლება სხვანაირად ვფიქრობდე?

ადელიდამ წარბები შეიკუმუხნა, სახე შეეცვალა, უკვე აღარ იყო საყვარელი ქალიშვილი, პატარა პრინცესა, რომელიც ათას უცნაურობას სჩადის და სხვასაც მასთან თამამად ქცევის ნებას აძლევს. უც-
რად მოაგონდა, რომ მის ძარღვებში მეფის სისხლი სჩქეფდა. შეუ-
ცხებოდა მიგაჩენე.

იმ წუთში სულ თავის დედას დაემსგავსა, არა იმ მდგომარეობაში მყოფს, როდესაც აბლაუბდას რომავდა, არამედ როდესაც უეცრად თავისი ღირსება მოაგონდებოდა, მტკიცე ბრძანებას იძლეოდა, ოჯახი-
სათვის ზრუნავდა.

მე კი ურყევი ვიყავი.

— ხომ აგრეა, ადელიდა?

— ეს მართალი არ არის! — მითხრა მან. — თქვენ მამის მოსაშა-
ხურე არა ბრძანდებით, მით უმეტეს, არც მისი მუშა, როგორც ფლა-
ჟოა, თქვენ ჩვენი ბიძაშვილი ხართ.

— მე ვიღებ ჯამაგირს თვის ბოლოს, ფლაჟო კი კვირის დამლევეს.
განსხვავება მხოლოდ ეს არის, კიდევ ისა, რომ ფლაჟო ხელფასს სრუ-
ლად იღებს, მე კი ნახევარს მიჭერენ.

— როგორ ნახევარს?

ადელიდას გავაცანი ხელშეკრულება, რომლითაც ჯერ კიდევ ვი-
ყავი ჟოზეფენთან დაბმული. გასაგებია, რომ ამ წვრილმანის შესახებ
ადელიდამ არაფერი იცოდა.

— მამაჩემი თავის საქმეებს ისე აგვარებს, როგორც ესმის. ეს მე
არ მეხება. თქვენ ჩემთვის ბიძაშვილი ხართ.

— თქვენი ერთგული და მოყვარული ბიძაშვილი, — უუპასუხე რევე-
რაშით. — კიდევ როდის მობრძანდებით ჩემს ოთახში?

— კლემანსს ჰკითხეთ.

— მე თქვენ გეკითხებით.

— უფროსი ის არის.

— მაგრამ თქვენ უფრო ძლიერი ხართ. თქვენ მას გაიტაცებთ
ხოლომე ყოველთვის, ადელიდა, ჩემო პატარა ადელიდა.

— ნუ დაშინით, თორემ ბოლოს კლემანსივით მეც მაფიქრებინებთ, რომ გძულვართ.

— მე თქვენ ვალმერთებთ. დიახ, ორივეს ვალმერთებთ. მოდით ან საღამოს.

— აჩასოდეს.

— ყველაფერზე მოვილაპარაკოთ. რადგან ბოლოს, — განვავრძე სერიოზული ტონით, — შეიძლება თქვენთვის რაიმე სათქმელი მეც მექნეს. ჩემი შეზღუდლებანი კლემანსისა და ბიძაჩემის შეზღუდლებებს არ ჩამოუვარდება. ანდა მე მეტი არაფერი დამრჩენია, დავდუმდე და თქვენგან შეურაცხყოფა ავიტანო!

— ჩვენგან შეურაცხყოფა! — წამოიძახა და გაწითლდა, — ოჰ, ტეო...

— მე ვთქვი თქვენგან შეურაცხყოფა, — დაყინებით ვიმეორებდი, რაკი შევატყვე ვკობნიდი. თავი ავწიე და ჩემს ბიძაშვილს თვალებში მივაჩერდი, ის შემკრთალი იყო.

— როგორ შეგიძლიათ ასეთი ბოროტი ლაპარაკი! — ჩაიღუღლულა მან.

— მაქვს თუ არა უფლება ფლაცოსთან ერთად, ან ვისთანაც მინდა, ღვინო დავლიო?

— ყველაფრის უფლება გაქვთ, მაგრამ ბოროტ ლაპარაკს თავი გაანებეთ.

— ამ საღამოს მოხვალთ.

— ვეცდები კლემანსი დავითანხმო, მაგრამ ხომ ტყბილად მიგვიღებთ? იყავით თავაზიანი, ტეო! გიმეორებთ, რომ ჩემი ბიძაშვილი ხართ, და მე სხვა არაფერი მინდა ვიცოდე. ხედავთ ლენტს, რომელიც ყელზე მაქვს: შავია. თუ კლემანსი დავითანხმე თქვენთან წამოსვლაზე. ლენტს გამოვიცვლი. ამ საღამოს, სადილობის დროს, მწვანე ლენტი მექნება. თუ შავი ლენტი დავიტოვე, მაშინ ვერ მოვდივართ.

— მაგრამ თქვენ, ადელაიდა, ხომ გაქვთ მოსვლის სურვილი?

— ჰო, მაქვს. მგონია, კლემანსსაც. ისიც თავს უბედურადაა გრძნობს, რომ გაგებუტათ.

საღამოს, სადილობისას, ადელაიდას მწვანე ლენტი ჰქონდა. იგი სიზარულს აეტანა, მაგრამ, ცხადია, აზრად არავის მოუვიდოდა, რომ ამის მიზეზი ლენტი იყო. მე კი ვიცოდი. სახეზე შუქი მოჰფენოდა, თვალები უბრწყინავდა. ლენტისანი ადელაიდა ჰგავდა კატას, რომელსაც კომბონტოსავით გაფურჩქვნილი ლენტი გაუკეთეს და თან ეტყვანი შეაბეს. ჰგავდა კატას, რომელმაც არც კი იცის, რომ ეს სამკაულია: ამის გამო კატა ორკეცად მომხიბლავი და კოპწია ხდება. დროგამოშვებო

ადელაიდა საწვწე ჯამს ზემოდან გადმოხედავდა, რომ ჩემი ყურადღება მწვანე ლენტისთვის მიეპყრო, თავი ყოყოჩად ეკირა. მეც ვუტყუროდი, მაგრამ გულგრილად, ტუჩებმოკუმული, ნახევრად თვალდახუტული, თითქოს ვეუბნებოდი: „კარგი, დავინახე. თქვენი კეთილი ნებასურვილის ნიშანს ვიღებ, მაგრამ ჩვენ მალე გავიგებთ, თუ რას ნიშნავს ყველაფერი ეს?“ ფერდაკარგულ, გულჩათხრობილ კლემანსს მივაპყარ თვალი; იგი ჰამას ვერ ახერხებდა; იტყობოდა, ყელში ლუქმა ვერ გადაჰქონდა.

— რა მოგივიდა? — ჰკითხა დედამ. — შაკიკი გაქვს? დღეს აღრე დაწვეთ.

— ჰო, ჰო, — თქვა ადელაიდამ, — მეც დადლილობას ვგრძნობ.

როდესაც ბიძაშვილები მეწვიენენ, ზემოთ მივიღე. ჩემს ლოჯინზე დავსვი, წინ ისე დავუდექი, თითქოს სიტყვის წარმოთქმას ვამბრებდი. იგივე ტანისანოსი ეცვათ, როგორც პირველად მოსგლისას; კლემანსს სადღეო ვარცხნილობა ჰქონდა. ადელაიდას კი ნაწნავები, კუბონმა დინჯად ისხდნენ ჩემს წინ, ადელაიდა — ოდნავ ადელაიდის კლემანსი კი წინააღმდეგობის გასაწევად დადარაჯებული, მომწაფებული.

მაშინვე კლემანსს მივმართე:

— ჩემო ბიძაშვილო კლემანს, ამას წინათ თქვენ გმირობაზე შელაპარაკეთ. ეს უცნაური აზრია, მაგრამ თქვენც უცნაური ქალიშვილი ბრძანდებით და აზრებიც ისეთივე უნდა გქონდეთ. ჰო, კარგი მითხარით, რასა ფიქრობთ ბლანკის შესახებ?

— რა თქვით? — შიშით წამოიძახა კლემანსმა.

— ნუთუ ის გმირი არ არის? ჩაუფიქრდით, ამ ადამიანმა თავისი სიცოცხლის 25 წელი ციხეში გაატარა დიდი დროა 25 წელი. ამას დასასრულიც არ უჩანს. წარმოიდგინეთ, რას ნიშნავს ციხეში გატარებული ამდენი წელი.

— მართალია, — ცივად მიპასუხა კლემანსმა, — ავაზაკები ცხოვრებას ციხეში ატარებენ, ამაში ვერაფერს გმირულს ვერ ვხედავ.

ძალიან გავცხარდი. ათრთოლებული ადელაიდა საუბარში ჩაერია.

— კმარა პოლიტიკა! — წამოიძახა, — აღირ მინდა სოსულელეზე ლაპარაკი.

— არა, არა, — თქვა ტუჩებგაფითრებულმა კლემანსმა, — მინდა ჩვენმა ბიძაშვილმა აგვისხნას... მოწყურებული ვარ მისი შეხედულებების დედააზრი გავიგო... ამგვარად, ტეოდორი გმირად სახავს ავაზაკს, რომელიც მთელ თავის ცხოვრებას ციხეში ატარებს იმის გამო, რომ იგი საშიში ადამიანია.

— არ უპასუხო, ტო, გემუდარები — შემომძახა ადელაიდა. კვლავ შენობით დანიწყო ლაპარაკი. სხვათა შორის ეს წესად იქცა: ადელაიდა ჩემს ოთახში ყოველთვის შენობით მელაპარაკებოდა.

— ბლანკი ავაზაკი არ არის, — ვუთხარი თავშეკავებით. — ამ ადამიანის დანაშაული ის არის, რომ იგი ისე არ აზროვნებს, როგორც ჩემი ბიძაშვილი კლემანსი და ბიძაჩემი ეოზეფენი. სულ ეს არის. ციხეში აი ამიტომ ამწყვდევენ. სხვათა შორის, ეს ბუნებრივიც არის, მას რომ ციხეში ამწყვდევენ. როდესაც იგი უფრო ძლიერი გახდება, იმავე დღეს თავის მტრებს ციხეში მოათავსებს. მაგრამ ამაში არავითარი ავაზაკობა არ არის. თქვენ რომ სამართლიანი ბრძანდებოდეთ, აღიარებდით, რომ იგი გულადი და პატივსაცემი ადამიანია.

— შეიძლება, — მიპასუხა კლემანსმა, — მაგრამ დავიხსოვებ იმას, რაც აი ახლა თქვით: როდესაც ის უფრო ძლიერი გახდება, თავის მტრებს ციხეში ჩასვამსო. ესე იგი, ჩამაჩემს, ესე იგი, მეც, მაშასადამე, თქვენ ჩვენს მტრებს ემხრობით, საჯუთარი ოჯახის მტრებს. ჩვენს დალუპვას ნატრულობთ, როგორც თქვენი მეგობარი ფლაჟო, თქვენი საუკეთესო მეგობარი...

შმა ჩაეხლიჩა. მე უძრავად ვიდექი, ჯიბეში ხელჩაწყობილი. ფრჩხილებით ხელისგულებს ვიჩხვლეტდი, თავს საშინელ ძალას ვატანდი, რომ მშვიდად ვყოფილიყავი. ადელაიდა სასოწარკვეთილებამ შეიპყრო, დას მკლავში ხელი ჩაავლო, თითქოს აკავებდა, რომ არა მცემოდა, კლემანსმა განაგრძო:

— ეს ფლაჟო, რომელსაც ასე კარგად ეწყობით... ეს ფლაჟო, რომელსაც, რასაკვირველია, თქვენს ლექსებს უკითხავთ, ჰა, ჰა, დიახ, ეს ფლაჟო ერთ დღეს, გაფიცვის მოთავე რომ გახდება და ჩვენთან შემოიჭრება ყველაფრის დასამსხვრევად, მაშინ თქვენ კმაყოფილი იქნებით! თქვენც შეიძლება მას გვერდით ამოუდგეთ! ჩვენს წინააღმდეგ წააქეზოთ.

მის თვალბეჭეში, სადაც საგვარეულო მოგონებები იფარებოდა, თითქოს დავინახე გლენთა ბრბოს მიერ საჩიან კარადასთან მიჩიხულ შემამულე ქალთა სახეები.

კლემანსი კანკალებდა.

— მაგრამ, ბიძაშვილო, — განაგრძო მისუსტებული ხმით, ყოველივე ამას შესაძლებელია არაჩვეულებრივი ბოლო მოჰყვეს. ისინი თუ შემოიჭრებიან, მე თავს დავიცავ. სხვებივით არ დავნებდები. ახლაც ვიცი ისეთები, რომლებიც არანაკლებად არიან გაბედულნი. იმპერატორის მეუღლე...

— მართლა, — თქვა ადელიდამ. ისიც გამოცოცხლდა. — ამბობენ, იმპერატორის მეუღლეც სულ მარი-ანტუანეტზე ფიქრობსო.

— დიახ, — განაგრძო სწრაფად კლემანსმა, — ერთის უბედურება მეორისათვის ჰკუთს სასწავლია. ამბობენ აგრეთვე, დედოფალი მზად არის ძუ ვეფხვივით იბრძოლოსო. მის ძარღვებში ესპანური სისხლი სჩქედს. მერე ვაჟიშვილიც ჰყავს. შვილი დასაცველი და შვილი, რომელიც მას დაიცავს.

— კლემანს, — ჩვილულულდე, — ჩემს მეგობარ ფლავოს, რადგან მას ჩემ მეგობრად სთვლით, არავითარ შემთხვევაში არა სურს, რომ რაიმე ზიანი მოგაყენოთ არც თქვენ, არც დედოფალს.

— ვითომ?! — წამოიძახა კლემანსმა. — იმ საღამოს ტიუილრის სასახლის ეზოში, იმ მიღების დროს ეს თეთრი ხალათები? მიღება! რასაკვირველია, ეს მათ აცოფებდა. ისინი იქ იყვნენ და მგლებივით ღმუროდნენ, სულმდაბლად, საზიზღრად. შეიძლება, თქვენც იქ ბრძანდებოდით? თქვენც ფლავოსთან ერთად... თქვით ბარემ, რომ ტიუილრის სასახლეში გამართული მიღება გაცოფებთ. გაიმეორეთ ყოველივე ის, რაც თქვენს გაზეთებში იწერება: რომ იმპერატორი სარდანაპალია, დედოფალი მესალინა და სხვა მრავალი... ყველაფერი ვიცი, რაც თქვენს გაზეთებში იწერება. მაშინ ერთ საღამოს წაგვიკითხა... მას კითხვის გაგრძელება არა სურდა, მაგრამ დედამ აიძულა... ეს საშინელი რამ იყო! მე ვიცი, რომ თქვენ ამ გაზეთებს კითხულობთ, ვიცი...

— შე? მე არასოდეს გაზეთებს არა ვკითხულობ.

— ეჰ! ეს კიდევ უარესი! — დამიყვირა, მერე სახე ხელებით დაიფარა.

— ოჰ, კლემანსი კიდევ ატირდება! — წამოიძახა ადელიდამ, — ეს კვლავ შენი ბრალია.

— ჩემი ბრალია, როგორ?

— ოჰ, დიახ, შენ მას აღელვებ თავხედური ქცევით და მერე კლემანსი მართალიც არის, შენ ჩვენთვის ცუდი გინდა. კლემანს, კმარა, ჩემო ძვირფასო. დამშვიდდი. სხვა რაიმეზე ვილაპარაკოთ! ტეო, ბოდიში მოიხადე! მოდი, აქ დაჯექი ჩვენს შუა. ჩვენ ორივემ იმდენი ვიღარიალეთ, რომ, ალბათ, სხვებიც გაიგონებდნენ. სუ! მოდიან...

კლემანსმა თავი ასწია, თვალები დასწითლებოდა, ნესტოები დაბერვოდა.

— მართლაც, რაღაც ხმაური მეც გავიგონე... — ჩვილულულდე, ჩემი ბიძაშვილების შუა რომ ვჯდებოდი.

— სინათლე უნდა ჩავაქროთ, — ჩაიბუტბუტა ადელიდამ.

სანათი ჩავაქრე. ასე დავგრძობ სანივე სიბნელეში, ხელიხელგადაწვეულნი. ადელაიდამ მხარზე თავი მომაყრდნო. მეორე მხარეს კლემანსის თრთოლვას ვგრძნობდი; ტუჩები ჩემკენ ოდნავ გაღმობრილად აღელაიდას სახესთან მივიტანე, თვალებში ვაკოცე, შემდეგ ტუჩებში. მერე მეორე მხარეს მივბრუნდი და გაცოფებული, ცრემლზორიანი კლემანსის გავარყარებული ლოყა დამხვდა, მასაც ტუჩებში ვაკოცე... ტუჩებმა ჭერ უარი მითხრეს, გაიხსნენ, რომ შეკრული კბილებით წინააღმდეგობა გაეწიათ, მაგრამ მე ტუჩებს დავეკარ, ისინი მოეშვნენ და ჩემს კოცნას უპასუხეს. მერე ადელაიდას ტუჩები შემომეგებნენ, და ეს პატარა თამაში რამდენიმე წუთს გაგრძელდა. ეს წუთები მშვიდი, შიშით მოცული, დაუსრულებელი იყო. უკუხეთ სიბნელეში ვიყავით, მაგრამ გულს თვალთ თითქოს ვხედავდით, ეს ორი ახალგაზრდა ქალიშვილი, ორი მძიმე ყვავილივით რომ იხრებოდა და შემდეგ ნელა სწორდებოდა; ისინი თავს ხრიდნენ ნამის სიმძიმის ქვეშ, ქარიშხლის სიმძიმის ქვეშ. იკეცებოდნენ, ჩემს ტუჩებზე ძალა ელეოდათ, მერე ისევ მოსულიერდებოდნენ.

— ჩვენ შევცდით, — ჩაიბუტბუტა კლემანსმა. — არაფერი ყოფილა, — ლამაზა უნდა ავანთოთ.

— ჰო, — თქვა მაშინვე ადელაიდამაც, — უნდა ავანთოთ!

— უკვე? — ამოვიოხხრე, — ერთ წუთს კიდევ რომ დავრჩენილიყავით ასე?

— აბა! — თქვა ადელაიდამ და თავი გაითავისუფლა, — ხელი გაგვიშვი... — ხელზე ხელი მომიკიდა. კლემანსი კი კვლავ მეკვროდა.

— ერთი საყვედური კიდევ მინდოდა მეთქვა, ბიძაშვილო, — მითხრა კლემანსმა.

— ისევ? — აღმოხდა ადელაიდას, — ოჰ! ამას თავი გავანებოთ!

— არა, არა! — წამოიძახა კლემანსმა გაშმაგებით. — მე მინდა ბოლომდე გამოითქვას ის, რასაც ვფიქრობდი! მინდა, რომ ტეოდორმა ჩვენ აგვიხსნას... ყველაფერი... აუცილებლად ყველაფერი!

და იგი მეკვროდა, მერე სულ ჩუმად მკითხა:

— რატომ ჩვენთან ერთად წირვაზე არ დადიხართ?

კვლავ კოცნა მოუენდომე, მაგრამ სახე მიიბრუნა და ჩემი კოცნა ბედგადაკრულ მის თმაზე დაკურდა, მის სურნელოვან, დაუმორჩილებელ თმაზე, მის კისერზე.

— იმიტომ, — ვთქვი, — იმიტომ, რომ... ბიძაშვილო, მირჩევნია წყვეულ ვიქმნე.

— დიან, თქვენ წყვეული იქნებით, ტეოდორ.

— იმედი მაქვს, ჯოჯოხეთში არ მოვიწყენ.

— თქვენ ხუმრობთ, ცხადია, — განაგრძობდა კლემანსი ნაზად. — გონებაშეზღუდული ხართ, ბიძაშვილო, და როდესაც გინდათ, ძალიან საყვარელი. მაგრამ მე გელაპარაკებთ ამქვეყნად უმნიშვნელოვანეს რამეზე.

ადელიდამ მოუთქვენლობისაგან ამოიხრა, მაგრამ კლემანსმა შეაწყვეტინა:

— შენ, ჩემო დო, არ მეთანხმები?

— მე, რასაკვირველია. მხოლოდ ახლა საღვთო სჯულს ხომ არა ვსწავლობთ.

— ჩვენ ისე უნდა ვიცხოვროთ, თითქოს ყოველთვის საღვთო სჯულს ვსწავლობდეთ. ჩვენ...

მაგრამ სიტყვა ჩაუწყდა და მომცილდა. მისმა მფარველმა ანგელოზმა, ალბათ, მიუთითა — კატეხიზაში არ სწერია ახალგაზრდა ვაჟს მკერდზე მიეკარო. მისმა ძმამ ერთსა და იმავე დროს მბრძანებლური და ციური კილო მიიღო.

— ლამპა აანთეთ!

უნდა დავმორჩილებოდი. ნათელი ხმა კი განაგრძობდა:

— ვიმეორებ, რომ არაფერია ამაზე უფრო სერიოზული და მნიშვნელოვანი, თუ ჩემი ბიძაშვილი, როგორც ჩემი თავი მიყვარს, მინდა მას საიქიოსაც შევხვდე. მიყვარს მისი სული, მინდა მისი გადარჩენა ნუ იცინით, ბიძაშვილო...

— არ ვიცინი, — ვუთხარი დინჯად და ხელები დაეუქოცნე. — არ ვიცინი, არც სიცილის სურვილი მაქვს. როგორც მუსიკას, ისე ვუსმენ თქვენს მომხიბვლელ სიტყვებს.

— ეს არ არის მუსიკა! ეს არ არის მომხიბვლელი!

— ამაზე წარმტაცი რამ არასოდეს გამიგონია.

— ეს არ არის წარმტაცი!

— კიდევ კამათს გამართავენ, — წამოიძახა მთქნარებით ადელიდამ. — კმარა, საღამო წაგვიხდა. მხოლოდ სისულელეს ლაპარაკობთ. წავიდეთ, დავიძინოთ.

ადელიდა მართალი იყო. ლამპა ავანთეთ, და ჩვენ ისეთ საოცარ უკუნეთიდან დავბრუნდით, რომ სინათლე მკრთალად გვეჩვენებოდა. ღვთის არსებობაზე კამათი ჩვეულებრივ ფუჭია, მაგრამ ასეთ სინათლეში ამაზე კამათი კიდევ უფრო ამაო და უშედეგოა.

მაგრამ კლემანსი ჯიუტად განაგრძობდა:

— ჩემო ბიძაშვილო, რაზე ფიქრობთ?

— არაფერზე არ ფიქრობს, — უთხრა მას ადელიდამ და კარისკენ წაიყვანა, — არაფერზე, შენ კი მეტად ბევრ რამეზე ფიქრობ: შენ რომ მსჯელობა გიყვარდა, ვიცოდი, მაგრამ, თუ ასეთი იყავი, არ წარმომედგინა. ღამე ნებისა. ისე შეძინება, ფეხზე ვეღარ ვდგავარ. ტო, უკეთესი იქნებოდა, ლამაზი ავლოტისა და შენი ტრფობის შესაბამისად გეამბნა რაიმე, რას მიაღწიე?

— ეს შემდეგისათვის გადავდოთ, — უთხარ და გადავეხვიე.

კლემანსმა მკაცრი, თითქმის ბოროტი, გამომეტყველება მიიღო. შეიძლება მას უფრო მხურვალედ ჩაეეკონე, ვიდრე ადელიდას. მართოდ დაერჩი, კოცნით მოერალი ვიყავი. ვიგონებდნი ყველა კოცნას, ზან მშრალს, ნიწველს, ზან ხანგრძლივს, სველს და ვიყურს. ისინი ჩემი ტუჩების, თვალების გარშემო შრიალებდნენ, ღამისას შავ ლაქებად ეფინებოდნენ. ამავე დროს ჩვენი კამათიც თავში მიტრიალებდა; ავლავ ვანახლებდი მას. ვბრუნდებოდი გაცხარებული, მაგრამ კოცნანი ავლავ დამამშვილებლად მეგლინებოდნენ.

მერე ისევ კამათი. მკვანე ხნები და მკაცრი სიტყვები, ბიძაშვილებისათვის შეუტრაცხოდნის მისაყენებლად ახალი საბუთები მიჩნუებოდა. გადავწყვიტე ყოველგვან შეშლივი შესუედრისათვის გამომეყენებინა. იმავე დროს ჩემს თავსაც კითხუებნს ვაძლევიდი.

— რატომ ვწერ ლექსებს? — ვამბობდი, — ჰო, რატომ? კლემანსი შეიძლება მართალია, ალბათ, სჯობს, რაიმე გამირობა ჩაეიღინო, მაგრამ ეუღ დე რენოც რომ წერს ლექსებს?

გადავწყვიტე ამის შესახებ ეულისთვის მეკითხა და ამ ფიქრით დავეწევი. მაგრამ ძილი არ მომეკიდა. ხეალ კი ალიონზე უნდა ავდგარიყავი. საბანში ვაუეხები. ოქტომბერი იყო. ჩემს საკუტნაოში ღამით გვარიანად გრილადა, დუმელს მხოლოდ ნოემბრის დამდეგს მიღვაკდნენ.

— კიდევ რამდენ წელს უნდა ვიცხოვრო ასე საბრალოდ? აი, კიდევ ახალი ზამთარი გვიანსლოვდება. საშინელი გაღვიძება ამ სიზნელეში, თრთვლილი ფანჯარაზე, სურაში გაყინული წყალი, ბნელი სახელოსნო, ჩაემებული კანტორები, სადაც მოსამსახურენი ბურღუნით შედიან. გარეთ ჰუჰყინი ქუჩები ზანტად იღვიბებენ, ამოქნარებენ.

— მე აქ აჩრდილივით დავდივარ. აღარ მინდა ლექსების წერა! — წამოვიძახე. — ეს თავის მოტყუებაა!

ლოგინიდან წამოვხტი, ღამმა ავანთე. მზრებზე საბანი მოუახურე. შავი მძიმე დავთრები მიეწი-მოეწიე და ჩემი ლექსების რეუულებს მივაშურე. ათრთოლებული ხელით გადავფურცლე.

— რა საჭიროა? — ვამბობდი, — რა საჭიროა?

რვეულები აგურის იატაკზე დავანარცხე. ავეჯი მივყარ-მოვყარე, ასანთის კოლოფი ავიღე. უდიდესმა სიბრაღულმა შემიპყრო.

— ჩემი საწყალი ლექსები... მხოლოდ გამოვეთხოვები ისე, როგორც გამოვეთხოვე ყველაფერს, ოტელ დე ვილის ქუჩას, გეტოს შავ თვალებს, ჩემს სახლს... არა, ჩემს ლექსებს თავის ადგილას დავდებ. მხოლოდ აღარ შევეხები, ეს იქნება და ეს. მუშაობას შევუდგები! ერთ ზამთარს კიდევ ვიმუშაებუ ორ ზამთარს! ყველა ზამთარს! დამკვეთლების ჩამოვლა, საქმის ქაღალდები, განუშორებელი ბიძაჩემი და სანუგეშო კი არაფერი. ეჰ, ცოტა მაინც შეეძლოთ ქალებს ჩემი გაგება... ოჰ! როგორ მინდა, რომ მათ ვუყვარდე, მინდა...

საათის რეკვა მომესმა. ღამის პირველი იყო.

— მხოლოდ ხუთი საათი დასვენება, — განვაგრძე, — და ისევ უღელში უნდა შევყო თავი. ოჰ! როდის დაისვენებენ აღამიანები? როდის აღიგვებიან დედამიწის პირისაგან ეოზეფენები? ნუთუ არასოდეს დადგება არდადეგები? ამ მოლოდინში კი დამცინიან. ისე ვიწრიალებ, ვით გალიაში თრითინა, და ორიოდ წუთი დასვენება რომ მაქვს, ლექსებს ვწერ! ლექსებს! რა დაცინვია!

ერთხანს ბიძაშვილებს ჩემს ოთახში მოსულას არ ვაძალებდი. ყოველ ნაშუადღევს ქალბატონ ავლოტთან პაემანი მქონდა, რაც ჩემი ზედნიერებისათვის სავსებით კმაროდა. საღამოს კი ჩემი მეგობრების სანაზავად დავდიოდი ანტუანის გარეუბანში. ფლაჟო მიმყავდა. იგი ჩვენს საუბარს მოწიწებით უსმენდა და თავს ძალას ატანდა, რომ არ დამთვრალიყო. როდესაც ლითოგრაფიულ სურათზე ბლანკის თვალებს შევხედავდი, ჩემს ბიძაშვილებზე ფიქრობდი და გულში მას მივმართავდი:

— ეჰ! ძველი ავზაკი, რაკი ავზაკი გიწოდეს, შენს შაბედნიეროდ ძალიან ვკოცნე ისინი. ოჰ, რა დიდი დღესასწაული დაგვიდგება, როდესაც ციხიდან დაგიხსნიან, ჩემს ბიძაშვილებს სიბრაზით გული გაუსკდებათ.

— ლექსებს რატომ სწერ? — შევეკითხე ერთ საღამოს ყულ დე რენოს. მის მაგივრად ელზასელმა სტუდენტმა მიპასუხა:

— იმავე მოსაზრებით, რა მოსაზრებითაც მეტაფიზიკას ვეტანები.

— და თუ ამ დროს ხალხს საკმელი არაფერი აქვს? — თქვა მობხუცმა სიფრელენმა.

ელზასელმა წვრილი ძეხვი მოკბიჩა და თქვა:

— ჩემსავით მოიქცენენი დღეში ერთი წვრილი ძეხვი სავსებით კმარა. ასეთი რეჟიმის დაცვით ყველა მეტაფიზიკოსი გახდება.

— ყური მიგდღე, — თქვა ეულ დე რენომ და ასწია ნაზი ხელი, რომელიც თოვლივით თეთრ სამაჩეში მოუჩანდა. — ყური მიგდღეთ. ერთი აზრი მინდა გაგიზიაროთ და რას მეტყვიოთ. ბეკერ, ნუთუ ვერ შესძლებდით ხალხისათვის მეტაფიზიკა შეგვექმნათ? ყოველ შემთხვევაში, ნუთუ არ შეიძლება ხალხს პოეზია ვასწავლოთ, მოვიწვიოთ, მონაწილე გავხადოთ იმ დღესასწაულებისა, რომლებსაც ჩვენთვის ვმართავთ, მასაც განვაცდევინოთ მსოფლიო ხელოვნების სიხარული? რატომ მხოლოდ ჩვენთვის უნდა იყოს ეს სიხარული? ან ბურჟუები-სათვის, რომელთაც ხელოვნების არაფერი გაეგებათ? შენ, ბეკერ, წვრილ ძეხვს მიირთმევ და სხვას არაფერს მოითხოვ. მაგრამ ნუთუ ხალხს არ შეუძლია შენი მეტაფიზიკის ნამცეცები მაინც მიიღოს? მე ვოცნებობ, დღესასწაულზე შეკრებილი, გავრთიანებული ხალხი ვიხილო...

— სიფრელენი — წამოიძახა ბეკერმა, — და თქვენც, ამხანაგო, — დაუმატა და სიფრელენის სიძეს მიუბრუნდა. — რატომ აღშფოთებული არ წამოიჭრებით და ამ არისტოკრატს თქვენი სუფრიდან არ განდევნით? გაიგონეთ, რა თქვა? როგორ უნდა ეზიზღებოდეს ხალხი, რომ ასე დაჩაგროს მდიდრული საჩუქრებით, მიაწოდოს სიმფონიები, ოპერები და პოემები. საწყალი ხალხი. არა? მას უვიციობისა და უხეში გემოვნების მეტი არაფერი გააჩნია. ჩვენ კი გვინდა ამ მშვენიერებისადმი სურვილი აღვუძრათ, ამ ძვირფასი, არაფრის მაქნისი ნივთების მოხმარება ვასწავლოთ და რაღაც მცირეოდენი ცნობები მივცეთ. ასტრონომიისა და სოლფეჯიოს შესახებ. ხალხი შესძლებს, ბატონი ეულ დე რენოს პროზად დაწერილი პოემებითაც დასტკბეს!

— მაგრამ არაფერი მაგის მსგავსის თქმა მე არ მინდოდა, — დაიკვნესა პოეტმა. — ბეკერ, შენ სოფისტი ხარ, ჭამე შენი წვრილი ძეხვი და ლაპარაკი მაცალე...

— ეულ, — განაგრძო ელზასელმა, — შენ იტყვი, რომ ხალხი შენზე უფრო მეზიზღება, მაგრამ არც ეს ამხანაგი, — სიფრელენის სიძეზე ლაპარაკობდა, — არც მიკიტანი, რომელიც კარსმომდგარი ყურს გვიგდებს, არც ოსტატი სიფრელენი ამაში არ მოტყუვდებიან. მე ჩემს მეტაფიზიკას ვსწავლობ, როგორც შემძლია, და შიმშილით სულა მძვრება. თქვენთვის ეს სულ ერთია? და ყოველდღე რომ შემეძლოს ჩემს წვრილ ძეხვს გარშემო სამი კილო მუყავე კომბოსტო შემოვუწყო, თქვენთვის ესეც სულ ერთი იქნება: მეც ჩემს მეტაფიზიკას ვისწავლო.

ეს არავინ ეზება არც ის ეკითხება ვინმეს, თუ ამ მეტაფიზიკას ისე ვისწავლი, რომ ამ დროს არ ვიზრუნებ ხალხისთვის, არც იმათთვის, ვინც ხალხს არ ეკუთვნის. მაგრამ ეს სხვა მეტაფიზიკა იქნება, მთავრე კომბოსტოიანი მეტაფიზიკა, ისე როგორც ახლანდელი ჩემი მეტაფიზიკა არის მეტაფიზიკა უკომბოსტოდ. მაგრამ იგი მაინც ყოველთვის მეტაფიზიკა რჩება. ხალხს კი თავისი მეტაფიზიკა აქვს, რაც იმით გამოიხატება, რომ მეტაფიზიკა არ შეისწავლოს. ხალხი მართალია, მას უფრო ბედნიერს ვერ გახდით იმით, რომ მუსიკა მოასმენინათ. დიახ, მოდიხარ და ეუბნები: „საბრალო უსახლკარო ადამიანებო, აი სიმფონია, რომელიც ამას წინათ ბურჟუებიანათვის ვამართულ სასულიერო კონცერტზე დიდი წარმატებით ჩატარდა. სიმფონიისაგან ბურჟუებს თვალი ცრემლით აევსოთ. მისი მოსმენა თქვენც გაგაბედნიერებთ. შეიძლება, იგი თქვენ ისე კარგად ვერ გაიგოთ, — ბურჟუებს დახვეწილი გემოვნება აქვთ. განსაკუთრებით უოკეიკლების ვაჟბატონებს, რომლებიც ვაგნერს მანამდე უსტვენენ, სანამ სული შეეხუთებათ, — მაგრამ ბოლოს თავდავიწყების წუთს თქვენც განიცდით და ამ ხნის განმავლობაში რევოლუციასზე აღარ იფიქრებთ“.

— მაშასადამე, — უთხრა ულ დე რენომ, — შენ არ გინდა მისცე ხალხს მშვენიერება? გსურს იგი ბურჟუებს დაუტოვო?

— დიახ, — უპასუხა ბეკერმა, — ამ მშვენიერებამ სულიც ამოხადო.

ბეკერმა ძეხვის უკანასკნელი ნაჭერი გადაყლაპა და უფრო წყნარად განაგრძო:

— მშვენიერება არც ბურჟუებიანათვის არის და არც ხალხისათვის. ის ადამიანისთვის არის. ჯერ საჭიროა ადამიანი გახდე, ადამიანი იყო სანამ ასე არ არის — და ჯერ არ არის! — გაიმეორა მან და სალოკი თითი აწვია, — ეჰ, მშვენიერებაც არავისთვის არ არის. მაგრამ არ მინდა უნუგემოდ დაგტოვო, ბედკრულო პოეტო, რადგან, რადაც უნდა დაგიჯდეს, აუდიტორია გპირდება! დავუშვათ, შენი პოეზია არის მისთვის, ვისაც იგი სურს, იმისათვის, ვინც პოეზიაში იპოვნის მას, — აც სწავლია. შეიძლება მასში საწამლავი და სიკვდილი იპოვნოს. ჰაი! — ჩაიციწა და დაუმატა, — სხვათა შორის, ნუთუ შენი ან ამ ახალ-ბურღა შავარდენის — (ჩემზე ლაპარაკობდა) ლექსების მსგავსი ლექსები იმის მაგივრად, რომ ვინმესთვის იყოს დაწერილი, ვინმეს წინააღმდეგ არ არის მიმართული? ეს ლექსები შექმნილია იმისათვის, რომ გაილაშქრონ იმათ წინააღმდეგ, რომლებიც ამ ლექსებს თავის მკერდზე გაითბობენ? აი რა იქნებოდა სასაცილო მაგრამ ამ შემთხ-

ვევაშიც ხალხი რას იზამდა? მხოლოდ ხელის ფშენებით უნდა ეცნირა სეირისათვის. სიფრელენ, მე თქვენ გეუბნებით: ჩემი მეტაფიზიკა დამამშვიდებელი არ არის. მზაკერულად ვფხიზლობ, რომ იგი დამამშვიდებელი არ განდეს, ამის ახსნას დიდი დრო დასჭირდება. გულწრფელად გეტყვით: ამაში თქვენ ვერაფერს გაიგებთ. მაგრამ თუ ამას შეუძლია სიამოვნება მოგანიჭოთ, გეტყვით, რომ ტირილი და კბილთა ღრჭენა იქნება. და შური რომ იძიონ, ისინი ჩემი ყოველდღიური წვრილი ძეხვის წართმევას მოისურვებენ, მაგრამ მე თავს დავიცავ, ჯანდაბას ისინი!

— თქ! — აღმოხდა მოწყენილ ქულ დე რენოს, — როგორ მსურდა მეც რაიმე გამეკეთებინა!

-- რა გავეკეთებინათ?

— რაიმე ხალხისთვის, — ჩაიღუღლულა მან და გაწითლდა.

— აგრე ნუ ლაპარაკობ, შვილო, — უთხრა სიფრელენმა და ღეინო დაუსხა. — უპირველეს ყოვლისა, ჩვენ ხალხი არა ვართ, — დაუმატა და წვერზე ხელი ჩამოისვა. — ჩვენ მუშები ვართ, ჩვენ ისა ვართ... ვისთვისაც არაფერია გასაკეთებელი. ჩვენ არავის არაფერსა ვთხოვთ. შენ კი, ვინა ხარ? რატომ გინდა ვილაცისთვის რალაც გააკეთო? რატომ უფრო ამისთვის და არა იმისთვის?

— ძია სიფრელენ, — წამოიძახა ქულ დე რენომ გატაცებით, ამ დროს იგი მომხიბლავი იყო. — თქვენ არ შეგიძლიათ წარმოიდგინოთ, რას ნიშნავს განუწყვეტლად სწავლა, წრიალი ბაბილონის ენათა ამ აღრევაში, სადაც საშინლად აღრეულ სხედასხვა ენაზე ყურში ჩაგძახიან ერთიმეორის საწინააღმდეგო გრძელ სიტყვებს. ძია სიფრელენ, თქვენთანაც მოვალ სასწავლად; კარგად ვიცი, რომ ჭერ კიდევ ბევრი რამ უნდა შევისწავლო. მეშინია შეეცდე; ხომ ხედავთ, მივდივარ, შოვდივარ, ვუსმენ ყველას და ცუდად მძინავს. თქ! რომ იცოდეთ, რა ცუდად მძინავს! ამასობაში კი დრო გადის, და მე უნდა ავირჩიო, ავირჩიო...

სიფრელენი პასუხის გაცემას აპირებდა, მაგრამ მეტაფიზიკოსმა შეაჩერა და გაიმეორა:

— ავირჩიო! აქ! შენ გინდა აირჩიო, — დაიწყო მაღალფარდოვანი კილოთი. — აი ამანაც, — ისევ მე შემეხო, — განა აირჩია? სიფრელენმაც განა აირჩია? და იმ პატარამ, საბრალო კუხიანმა გოგონამ, განა აირჩია? ის, რაც თეთრია, არ შეიძლება შავი იყოს, მან თავისი სითეთრე უნდა შეინარჩუნოს და უფრო თეთრი გახდეს... თეთრი, თეთრი...

ჩიბუხი ზევით შეაქანა და წამოიძახა:

— ისე თეთრი, რომ ბოლოს შავზე უფრო შავად იქცეს!

ეულ დე რენომ ლამაზი თავი ჭიუტად შეარხია და თქვა:

— მე ვიცი, რომ ერთ მშვენიერ დღეს ჩემი არჩევანის წამიც დადგება... და სრულიად თავისუფლად, შეგნებულად ავირჩევ.

— მანამდე კი? — ჰკითხა ბეკერმა, — ვინ იქნები, ვინ იქნები მანამდე? ახლაც მასვე გეკითხები, რაც სიფრულენმა ცოტა ხნის წინათ გკითხა, ვინა ხარ შენ? რბილი სახთელი, რომელზედაც ჭერ არაფერი დაწერილა. შენ გგონია, ჭერ არ ცეხოვრობო? ჭერ ცოცხალი არსება არა ვარო? მაგრამ მაშინ აქ რას აკეთებ? ვინა ხარ შენ, შენ, აქ რომა ხარ? არჩევანი! შენ გინდა თეთრსა და შავს შორის აირჩიო? არჩევანს გეოქ დღეს, თეთრს დაუქერ მხარს? რწყილივით თვალში ხომ არ მოგატება შავის სასარგებლოდ ახალი მოსახრება, რომლისთვისაც უურადლება არ მიგიქცევიან? „ჰო!.. დაიცათ, ამაზე არ მიფიქრიაო! ჰო! შეი კარვც ყოფილაო...“

— ოჰ! — აღმოხდა ეულ დე რენოს, — თუ ასე განაგრძეთ, სიფრულენს ჩემს კეთილ ნებისყოფაში ექვი შეეპარება.

— ეს თვითონ შენა ხარ, — უთხრა ბეკერმა, — ვისაც შენს კეთილ ნებისყოფაში ექვი ეპარება.

ასეთი საუბრები საშუალებას მძლეუდა ჩემი პიროვნება და ჩემი ბედის ბნელი მხარეები გამერკვია. ვფიქრობდი, აი სინათლეს მივწვდი-მეთქი, ამ დროს საუბარი სხვა მიმართულებას მიიღებდა. ათასი აზრი ირეოდა ჩემს თავში.

ეულ დე რენომ განაგრძო:

— სასაცილო მეტაფიზიკოსი ხარ, ბეკერ. შენ არც წმინდა აზრი და არც გონება არ გხელმძღვანელობს, თორემ გაიგებდი არჩევანის დიდ სიხარულს.

— მართლაც, — თქვა ბეკერმა და თავისი გრძელი და გამხდარი ტანი გამართა. — სრულიად ახალი მეტაფიზიკოსი ვარ... აი ეს მიმიძღვის...

— ეს შენი მუცელი.

— მართალია.

— შენ წვრილი ძეხვის მეტაფიზიკოსი ხარ. ყველაზე საოცარი ის არის, რომ შენი მეტაფიზიკა ისეთი უცნაურია, თითქოს გიყური ოცნებების ნაყოფი იყოს.

— მუცელსაც შეუძლია ტვინზე არანაკლები გონება ჰქონდეს.

— კარგია. რადგან პალენგენების, სულის გადასახლება, გწამს,

შენ წვრილ ძეხვეში აღორძინდები. მუცელში შობილი მეტაფიზიკა მუცელსავე დაუბრუნდება.

— უკეთესს არაფერს ვითხოვ.

— მაშ შევთანხმდით.

— შენი ბედი, პოეტო, რასაკვირველია, უფრო პოეტური იქნება, რადგან შენ ხომ წმინდა სული მიგიძღვის? სწორედ ეს გინდა, შენზე რომ ილაპარაკონ! წმინდა სული! გისურვებ წარმატებას! მიკიტანო, ერთი ბოთლი კიდევ მოიტა.

მიკიტანი დუქნისკენ მიტრიალდა; ამ დროს თავსაფარმოხვეული მარი-როზი მოვიდა. მხიარული შეძახილებით შევეგებეთ.

— თქვენ საკმაოდ სვით და იქეიფეთ, — მოგვმართა მარი-როზმა ოდნავ ხრინწიანი ხმით, უფრო სწორად რომ ვთქვა, დახშული ხმით.

ეს ხმა გულში ჩამწვდა. გამიკვირდა, რომ ასეთი ჩვეულებრივი რამის თქმა შეეძლო იმ ხმას, რომელიც სევდიანი მეჩვენებოდა: მარი-როზის ეს ხმა ამჟღავნებდა, რომ იგი კარჩაკეტილად ცხოვრობდა. ასეთი ხმით ლაპარაკი მხოლოდ ბედისწერით დაჩაგრულ, განსაკუთრებული ტანჯვისათვის გაჩენილ ადამიანებს შეუძლიათ.

— ფერდინანდა გიცდის, — უთხრა მარი-როზმა ზეინკალს. — მე კი, მამა, შენ მოგაკითხე.

ჟულ დე რენო და ბეკერი ლათინთა უბანში ბრუნდებოდნენ, მე კი მარეში. ჩვენ, ყველა, ერთი გზით უნდა წავსულიყავით. დაშორებისას სიფრელენმა მე და ჟულ დე რენოს მხარზე ხელი დაგვადო.

— ყველაფერი ეს კარგი და მშვენიერია, — თქვა მან, — მაგრამ, ყოველ შემთხვევაში, როდესაც გადამწყვეტი დღე დადგება, თქვენი, ორივესი, შეიძლება იმედი ვიქონიოთ.

დასტურის ნიშნად თავი დაეხარეთ. სიფრელენმა ჩაილულლულა:

— ეპი ჩემო პატარებო, ჩემო პატარებო...

ბეკერის გრძელი სილუეტი კედლების გასწვრივ მიქანაობდა. ხელი ჩამოვართვი სიფრელენს, შემდეგ მის სიძეს და მარი-როზს მივუახლოვი.

— ღამე მშვიდობისა, მარი-როზ.

— ღამე მშვიდობისა, ტეოდორ.

მარი-როზმა თავსაფარი მოიხვია და მამას მკლავში ხელი გაუყარა. იგი მამასავით დიდი არ იყო, მაგრამ ტანი მასავით გამართულად ეჭირა. როგორ მსურდა ალერსიანი ხელით შეეხებოდი სქელ კაბასა და თავსაფარში გამოკვართულ მკვრივ სხეულს, რომელშიც ღამეში ღამაში მოჩანდა. მრგვალ კისერს შავი თმით დაბურული მშვენიერა

თავი უმკობდა. ჩვენს გარშემო ბასტილიის ფერმკრთალი, მოციმციმე ფაონებით შემოვლებული ფართო მოედანი გადაიშალა. თვალს ვაყოლებდი გარეუბნისაკენ მიმავალს, ჩემ მიერ მრავალჯერ გათელილ ქუბებს, სენტ-ანტუანის ქუჩას, ბულვარს, სადაც თეატრებსა და ყავახანებში შუქს აქრობდნენ, დომეზნილის ავენიუს შუა ადგილას ივლისის ბონჩაოს სვეტი აღმართულიყო; გაფრთხილება იყო ეს თუ მოგონება? კიდევ ცოცხლობდნენ ანგელოზი და ლომი? ისინი აქ იმიტომ ხომ არ მოუთავსებიათ სამუდამოდ, გადმოუქიდებიათ ქალაქზე, რომ ლომი კვლავ არ აღრიალდეს და ანგელოზი აღარ გაფრინდეს. ისეთ გამირობაზე ოცნებამ შემიპყრო, რომელიც ქვის ძეგლად არ იქცეოდა.

V

ეს ოცნება უცხო პერსპექტივას მისახავდა. ამ დროს მოსასხამში გახვეული ვულ დე რენო ჩემსა და ბეკერს შუა ჩადგა და გვითხრა:

— ძია სიფრელენს სწამს, როდესაც ის დღე დადგება, მე ხალათს გადავიცვამ და მხარზე თოფს ჩამოვიკიდებ. ეს ხომ არჩევანია, ფილოსოფოსო? შენ რას იტყვი?

ქული მოიხადა და ხუჭუჭა თავი შეაჩხია. რამდენიმე ნაბიჯი ჩუმად გავიარეთ. მერე ბეკერმა თქვა:

— იმ დღეს, როდესაც მშიერ-მწყურვალნი თავიანთ ღროშებზე დასწერენ: „პური ან ტყვია“, ისეთი აღამიანები, როგორც სიფრელენი და შენა ხარ, ვულ, იმათ უნდა შეუერთდნენ. მაგრამ ბოლომდე მათი ერთგულიც უნდა დარჩეთ. ეს სხვებმაც კარგად იციან. ისინიც მხოლოდ შემთხვევას უცდიან, რომ თავში ჩასცხონ. მათმა ოსმანმა უკვე მოამზადა სამოქმედო ადგილი. მაგრამ დაე აჩქარდნენ, კიდევ ჩქარობენ. ფილოსოფოსი ცოტაოდენ წინასწარმეტყველიც არის. ვუცდი...

— რას უცდით? — ეკითხე.

— ამ ქლეტას, ის არ დააყოვნებს.

— მერე?

— მერე, — ჩაილულულა ელზასელმა და ზანტად, მძიმედ დაიწყო ლაპარაკი, — მერე, როგორც ჩვენი მღვდლები ამბობენ, განადგურების საზიზღრობა დატრიალდება. ეს ბოლოს მოუღებს მთელი საუკუნის გატაცებას, სამუდამოდ. მერე ბურჟუეები მიხვდებიან. აღარ იქნებიან სიფრელენები, ეს ჯიში მოისპობა, არც თქვენი ჯურის ახალ-

გაზრდები იქნებიან, არც პოეტები, არც ფილოსოფოსები, არც პოლიტიკური ინსტიტუტის სტრუქტურები. ისინი, ყველა, ბარიკადებია მეორე მხარეს გადავლენ: ბურჟუები მიხვდებიან, მე თქვენ გეუბნებით. და საჭირო გახდება, კუჭმა კვლავ განაახლოს მუშაობა, კეთილი სიმკვირე გამოჰყოს მოაზროვნე და მეოცნებე ტვინის ხელახლად შესაქმნელად. საჭირო იქნება დაჩოქილი მშვირებელი წამოდგენ და ნელ-ნელა სიარული ისწავლონ. — ლაპარაკის დროს ჩიბუხს აქნევდა. — პარიზი სხვა ხალხებს გადასცემს რევოლუციის ჩირაღდანს...

— გერმანიას? — ჰკითხა ეულ დე რენომ.

— ვინ იცის! — ჩაილულულა ბეკერმა. — არა, არა მგონია... სჯობს ჩემს მეგობარს ლინდენს ჰკითხო.

ჩვენ ქალაქის სასახლის წინ დაემორღიოთ ერთმანეთს. მისი ფასადი ჩვენსავით ფერმკრთალი იყო და უიმრავე თვალით ცარიელ მოედანს ათვალიერებდა. ჩემმა მეგობრებმა სენისკენ გასწიეს; მე ვიედიუ ტამბლის ქუჩას ვაყვავი. და კვლავ ვინახულე ჩემი ეზო, საკუჭინაო, დედაჩემის სურათი. ვწვებოდი, თან ჩემთვის ვსაუბრობდი:

— არა, მე არ ამირჩევია. მაგრამ ვიწყებ, ოჰ! ვიწყებ იმის გავებას, რაც მომივიდა. მე არ შემეძლო ოტელ დე ვილის ქუჩაზე ჩემი სახელოსნო შემენარჩუნებინა, მამაჩემის მემკვიდრე გავმზადარიყავი: წვრილ სელოსნად, წვრილ ნწარმოებლად დავრჩენილიყავი, როგორც ბევრი სხვა, და ჩემს მდგომარეობაში ბედნიერად მეცხოვრა. საჭირო იყო, რომ ჩემი ბედისწერა საკუთარი ხელით დამემსხვრია. საბოლოოდ ეს თვითმკვლელობა იყო. ამით მე ჩემებური არჩევანი გავაკეთე: არჩევანი აურჩევლად. მერედა, მით უარესი, მით უკეთესი! ალბათ, რაკარგი გრძნობაა, როდესაც თავისათვის და არა სხვისათვის მუშაობს. საუბედუროდ...

ანტუანის გარეუბანში მეგობრებისაგან გაგონილი ყოველგვარი თეორია ჩემს თავში აირია: რამდენი რამ გავიხსენე, რაც კი ჩემთვის უთქვამთ შრომის განთავისუფლებაზე. მერე ბიძაჩემის ფანჯრებს გავხედე და ვთქვი:

— ჩემი დამოკიდებულება მათდამი გარკვეულია. თავს ვერ მოვიტყუებ. ისღა დამრჩენია, რომ ვიცხოვრო თვალდახუჭულმა. უფრო სწორად რომ ვთქვა, თვალგახელილმა, ფართოდ თვალგახელილმა და ხელფეხშებოქილმა, აი, მე ისე მოვაწყე, რომ კომბინაციაში არ მოვხვედრილიყავი, რადგან ამ კომბინაციაში არ შემეძლო ვყოფილიყავი, ამგვარად...

წუთს ვყოყმანობდი. მაშასადამე დიხს, ჩემი ქცევა სწორი და აუ-

ცილებელი იყო. ასე უნდა მოვექცეულიყავი, ფანჯარა გამოვალე და რომაელის პოზა მივიღე. პერანგის აშარა ვიყავი, მარჯვენა ხელი დავიშალე და მუშტით იმ ფანჯრებს დავემუქრე, რომლებს იქით ბიძაჩემი, ბიცოლა და ბიძაშვილები ისვენებდნენ. ვერც უმანკო საწოლის ფრთას შეფარებული ჩენი ბიძაშვილების წარმოდგენამ, ვერც ნაწნავებით შემორკალულმა მათმა ლამაზმა სახეებმა ვერ შემაჩერეს. მაგრამ მათს პატივსაცემად მაინც მოჩერია ღიმილი, ნაცნობი ღიმილი, გამარჯვების გამომხატველი, და მუშტი გამეხსნა. მერე ცხვირი დამაცემინა.

ფანჯარა დავხურე, დავწევი და ლამაზ ჩავაქრე. ბოლოს სიბნელეში გავიქიმე, როგორც კუბოს ფსკერზე, და გავიფიქრე:

— ნუთუ მარტო ვარ?

ფიქრობდი, რომ, მართლაც, მარტო ვიყავი. სულ მარტო მივედი ამ მდგომარეობამდე, რომელიც თვითონ განვიწესე ჩემი უღარდღობითა და სიმჩატით. თავი თვით შე განვიდეგნე ოტელ დე ვილის ქუჩაზე მდებარე სახელოსნოდან. განვიდეგნე თავი გეტოს მშვიდი ჩრდილიდან, ნიამორის თვალებიან სამოთხიდან. ჩემი სიზარმაცითა და თავხედობით თავმოებურებულმა ბიძაჩემმაც რომ გამაგლოს, მაშინ რაღა მეშველება?

— ცოტა ხანს შემიძლია მშვიდად ვიყო. — გავიფიქრე, — რადგან მისი ვალის გადახდა არ მომითავებია. მაგრამ როდესაც ვალი აღარ მექნება, უეჭველად გამაგლებს. მის სასტუმრო ოთახში დომინოს აღარ ვითამაშებ, ბიცოლაჩემის ლამაზ მეგობრებთანაც ვერ ვიცეკვებ. რა უჭირს სხვაგან ვიცეკვებ, მაგრამ ჩემი მდგომარეობა ამით არ გაუმჯობესდება, მერე სხვა ფაბრიკაში მომიწევს ადგილის ძებნა, მაშინ სამუშაოზე მომწყობ კანტორაში მონების ვაჭართან უნდა ჩავეწერო.

ეს სიტყვა „მონების ვაჭარი“ მომეწონა და მრავალჯერ გავიმეორე. მერე ფიქრებმა სხვა მიმართულება მიიღო.

— ერთიღა დამრჩენია — ცნობილი პოეტი გავხდე. ქალიშვილები ჩემზე იოცნებებენ. კლემანსი და ადელაიდა ჩემს სახელს რომ წარმოთქვამენ, ტირილი წასკდებათ. მე კი მათ ზიზღით შევხვდები. ჩემს მკერდზე მიკრული მშვენიერი ავლოტი ეტლის სიღრმეში, სადაც ჩვენს სიგაჟეს ვმალავთ, თავის მთვრალ სახეს ჩემსა მოუახლოვებს და დავინახავ მის ტუჩებს, რომლებიც...

მაშინ თავდავიწყებულ ზეიმში ვდავევები. ნოემი ავლოტის ჩემკენ გამოწეული ტუჩები დავინახე, მთლად გაწითლებული, ფუნჩულა იმისათვის, რომ ბაგეთაგან ხშირად მორაკრაკე თავისი სისულელე უზენა-

ესი მშვენიერებით შეემკო. და ეს ბრგვალი, სიყვარულით სავსე, და-
მატკობელი ტუჩები იფურჩქნებოდა... და მე წამოვიძახე ისე, როგორც
ეტლით სეირნობის დროს არაერთხელ წამომიძახებია:

— ოჰ! მითხარ რამე! თქვი ჩქარა! ილაპარაკე, რომ შენი ხმა გავი-
გონო... ნოემი!

სიბნელეში მომესმა ნოემი ავლოტის ვერტკლივით წკრიალა ხმა.
თითქოს ჩემი ბიძაშვილების ოხვრაც გავიგონე, უნუგეშო ოხვრა, რო-
ბელიც ქოშინით მომღვედა, მე კი ამ დროს ამაყი და სასტიკი ძილი
წითქავდა. დამალობიას თამაში ვაიმართა. სვეტებსა და ფოთლებს
იქით ვხედავდი დაბნეულს, აქოშინებულ ბიძაშვილებს: ადელაიდა შემ-
კრთალი მიცქეროდა, კლემანსის ლოყებს ალი მოსდებოდა. მათ შუე-
რაცხყოფა მივაყენე: «სინი მეტი ვაცხარებით დაძებდნენ. კმაყო-
ფილ, ტანმოკლე ბიკოლა ვალერს ჩვენი თამაში და ჩემი ხერხები
მოსწონდა. ასეთია ახალგაზრდობაო, ამბობდა და მართს კოპწიად
იქნევდა, როგორც წმინდა სიხსლის ეპაწელი. მაგრამ უეცრად ქალიშ-
ვილებს თვალებზე ცრემლს შენიშნავდა, და მე მაშინვე დემონად გა-
დავიქცეოდი. დემონად! ბიკოლა ვალერი ცრემლს მაქმანებიან ხელ-
მანდილში აგროვებდა და სურდა მავნე სულისაგან გავეთავისუფლე-
ბინე. ცრემლი ზაფხულს თბილ წვიმად მეპკურებოდა, მაგრამ ეს უფ-
რო მამბორტებდა. მაშინ ჩემ წინ ეთხეფეწი ათმართებოდა, მამაჩემზე
მელაპარაკებოდა, შემდეგ ისე მომმართავდა, თითქოს მამაჩემს ესა-
უბრებოდა, ყვიროდა:

— მივიღივარ! გშორდები, გტოვებ მანდ! შენ თავს თვითონ უშვე-
ლე! გესმის? სულ მარტომ! გამდიდრებას ვაპირებ. როდესაც ერთმა-
ნეთს შეგვხვდებით, მე მდიდარი ვიქნები, შენ კი საზიზღარი დოცლა-
პია, შენი!..

— მეც, — მივებრუნებოდი ჩემს ბიძაშვილებს და ვეუბნებო-
დი, — მეც მდიდარი ვარ, მოდიო ჩემს ოთახში და ნახეთ... გიჩვე-
ნებო ჩემს განძს. მაქვს ვერტკლის შანდალი, თლილი ლამპა, აივანი,
რომელიც ზღვას დაყურებს, მყავს მწვევარი ძაღლების ბროვა. მაგ-
რამ თქვენ რომ იცოდეთ, რა ღარიბი ვარ, შემიბრალებდით! ჩემდამი
ისეთ სიბრაულეს ივრძნობდით, რომელსაც მამაკაცთაგან არ ვი-
თხოვ. ოჰ! არა, სჯობს მოეკდე! მაგრამ ქალებიდან... მხოლოდ მათ,
ამ მეტად საყვარელმა ქალებმა, იციან ერთსა და იმავე დროს სიბრა-
ლული და აღტაცება. ამკვარად ებრალებით და თითქოს ვეუბნებიან:
ო, შენი პო, შენ, უკანასკნელთა შორის უკანასკნელი და ამავე დროს
არაჩვეულებრივი ხარ!..

ქალები ასე ლაპარაკობენ, ასე ელაპარაკებიან მოსამსახურეს, როცა საყვარლად იხდიან, მოჯამაგირეს, მეჭინბეს, რომლებსგანაც ქალებს გალახვაც სიამოვნებთ, ელაპარაკებიან თავიანთი ბავშვების აღმზრდელს, გრძელი, ოდნავ ქუჩუკიანი თმა რომ აქვს და სიარულის დროს რომ კედელს ეკვრის. „შენ ისე არაჩვეულებრივი ხარ!“ — ეუბნებიან მას ქალები.

— წუთუ არაჩვეულებრივი არა ვარ? — ვეკითხებოდი ჩემს ბიძაშვილებს. — უეჭველად ღარიბი ვარ, მაგრამ ქეშმარიტად არაჩვეულებრივი! მაგრამ ეს ყველაფერი როდია. თქვენ დანარჩენიც უნდა იცოდეთ: მამათქვენის მეშინია, დიან, საშინელია უოზეფენი; ბატონ ავლოტიბა მეშინია. ცენტრალურ საწყობში მომუშავე ადამიანების, მთელი ქვეყნისა მეშინია. როდესაც ვინმესთან ერთად ვარ, ვკანკალებ, რომ ჩემთან არ მოიწყინოს და ჩემი მიზეზით ცხოვრება მოსაწყენად არ ჩასთვალოს. რადგან მე პასუხისმგებელი ვარ, გესმით? ეს ცილაც უეცრად მომიტრიალდება და მეტყვის: „ტეოდორ, ეს თქვენი ბრალია!“ და ტლაშ! სილას გამაწნის. ხალხთან რომ ხარ, ამისი ყოველთვის უნდა გეშინოდეს. ამიტომ არის, რომ ყოველთვის აჩქარებულად და დიდი შორიდებით ელაპარაკობ, და მუდამ, როდესაც შემიძლია, მე ვინდი მათ მაგიერ აბსენტისა, ჭიქა თეთრი ღვინისა და ყველაფრის ფასს, რასაც კი მოისურვებენ! მაგრამ ყოველთვის ფული თან როდი მაქვს! ოცდახუთი რიცხვიდან ომნიბუსში ჩაჯდომაც არ შემიძლია, ფეხით უნდა ვიარო. სალაროში რომ ავანსი ვითხოვო, ბიძაჩემი გაიგებს და მაშინ... ფიქრსაც ვერა ვბედავ; რა მოხდება მაშინ.

ტოტებში ჩემი ბიძაშვილების სიცილი გაისმა და თვალები გავახილე. ლამპა ანთებული იყო. ლოგინზე, ჩემს ფეხებთან, ჩამომჯდარი ადელიდა სიცილით იგულებოდა. კლემანსი მასთან იდგა, ისიც იცინოდა, მაგრამ უფრო თავშეკავებულად.

— ტეო, — მითხრა ადელიდამ, — რა მოუსვენრად გძინავს.

— აქ რას აკეთებთ? — ჩავილულულე მე, თვალები მოვიფშვინტე და წამოვიწიე.

— განვიზრახეთ მოულოდნელად თავს დაგსხმოდით. — მიპასუხა ადელიდამ, — დიდი ზანია არ გეინახიხარ. ბევრი ვიდავეთ. არ უნდოდა წამოსვლა, მაგრამ მაინც ცაიძულე.

— ძალიან გვიანი უნდა იყოს.

— ასე პირველი საათი იქნება.

— მუდამე იყო, რომ მოვედი და, რასაკვირველია, ახალჩაძინებული ვიყავი.

— შენ ყოველ საღამოს უდროოდ დროს ბრუნდები, ალბათ, ძილი იქნე გძლევის, რომ ფეხზე ვეღარ დგები. სადა ხარ ხოლმე? შენი საყვარელების მკლავებში? ასე ლაპარაკობენ ხომ, კლემანს?

— ოჰ! — წამოიძახა აღშფოთებულმა კლემანსმა.

— კლემანს, — მივმართე მას; — დაბრძანდით აქ, ადელაიდას გვერდით. უხერხულია, რომ ქალიშვილი მარტო იჯდეს ახალგაზრდა კაცის საწოლზე. მაგრამ თუ ქალიშვილი უფროს დასთან ერთად არის, მაშინ ვის რა ეთქმის?

კლემანსი საწოლის კიდეზე ჩამოჯდა, დის გვერდით. მათი ხელები ხელში დაკავავე და ვუთხარი:

— სიზმარში გნახეთ, და ცხადად გაჩნდით ჩემს ოთახში. ჩემთან მოდით. მითხარით, როდესაც გათხოვდებით, ყველაფერ ამას ხომ მოიგონებთ? ერთ დღეს ხომ გათხოვდებით, მამლაყინების ცოლები გახდებით?

— თუკი... — თქვა ადელაიდამ.

— თუკი, ორივეს ერთად არ შეგიერთაეთ.

— თუ შეგიერთავდი, რომელ ჩვენგანს ამოირჩევდი? — განაგრძობდა ადელაიდა.

— აჰ! — წამოვიძახე ვითომ შეშინებულმა. — ასეთ მძიმე კითხვას ნუ დამისვამთ! როგორ მოვიქცე? მერჩივნა ორივე მყოლოდით ცოლად რიგ-რიგობით, ექვს თვეს ერთი, ექვს თვეს მეორე.

— ტეო, — თქვა ადელაიდამ მოულოდნელი სიძინჯით, — შენ კლემანსი უნდა შეიერთო. ამრიგად, შენ ფაბრიკის პატრონი გახდები და საზრუნავი არაფერი გექნება.

— სწორედ გიყი ხარ! — წამოიძახა კლემანსმა, მას ნესტოები უთრთოდა. — რას ბოდავ?

— აღარ მინდა, — თქვა ადელაიდამ, — ტეოდორმა ილაპარაკოს, რომ იგი მხოლოდ უბრალო მოსამსახურეა მამაჩემისა. თუ ფაბრიკა ვინმეს ხელში უნდა გადავიდეს, ის ტეოს ეკუთვნის და არა ბერნარდს.

სიტყვა შევაწყვეტინე და ვუთხარი: ფაბრიკას მარტო ვერ გაუძღვევდი-მეთქი.

— ფაბრიკას აუცილებლად გავაკოტრებდი, დარწმუნებული იყავით; ვიცი, როგორ ხდება. ეს უკვე დავამტკიცე.

სიცილი ამიტყდა ადელაიდა არ დამეთანხმა.

— ეს მართალი არ არის! შენ საქმე სხვაზე ნაკლებად არ გაგეგება. მერე მოინდომებ, მორჩა და გათავდა, ნაკლებად იზარმაცებ, საქმეს

შეტი გულმოდგინებით მოეკიდები. პოეზიას თავს შიანებებ... გგონია, ბერნარდი შენზე უკეთესია?

— ბერნარდი და პორასი აუცილებლად სერიოზული ადამიანები არიან.

— აღისა დიუპენი ამბობს, რომ შენ ურჩევნიხარ.

— იგი საყვარელი არსებაა. სხვათა შორის, ყველა თქვენი მეგობარი ქალი მომხიბვლელია, თქვენ კიდევ უფრო მომხიბლავი ხართ.

— ჰო, მაგრამ რატომ შენს მომავალზე არ ფიქრობ. მე და კლემანსი ამაზე ხშირად ვმსჯელობთ. იცინი? რატომ იცინი? გარწმუნებ, რომ ჩვენ ხშირად ვლაპარაკობთ შენზე. შენს მომავალზე. მომისმინე, ტეო, რაღაც უნდა გითხრა: შენ საკმაოდ პატივმოყვარე არა ხარ.

— ტეო, — დაიწყო კლემანსმა, — რადგან სიტყვა ჩამოვარდა, მეც გეტყვი, რასაც ვფიქრობ. თქვენ გგონიათ, რომ მეზიზღებით. მართალია, ძალიან ხშირად თქვენში მტერსა ვგრძნობდი.

ამ დროს ხელზე ხელი მოვუპირე და დავარწმუნე, როგორც კი შემძლო, უნაზესი ხმით, რომ იგი კდებოდა. მოუთმენლად თავისი ხელი წამართვა და განაგრძო:

— მტერს ვგრძნობდი-მეთქი, ბიძაშვილო, გიმეორებთ. ამავე დროს, კეფიცებით, აქვინი ბედნიერება მსურს. ამ გრძნობას ვერ კავივებთ, რადგან ეს ქრისტიანული გრძნობაა. თქვენ კი ღმერთი არა გწამთ. რა ვუყოთ! მე ვიცი, რომ გულწრფელი ვარ, როდესაც თქვენთვის ვლოცულობ. მაგრამ ღმერთი გიშველით, თუ ოდნავ თავს თვითონ უშველით, თქვენ კი ამაზე თითქოს სრულიად არა ფიქრობთ. და ეს ქაბრაზებია. რას ფიქრობთ? ოპ, ტეო, ვისურვებდი, რომ თქვენ ენერგიული და აქტიური ყოფილიყავით. იცოდეთ; თუ ჩემს დასა და მე პორასი და ბერნარდი გვიყვარს, ჩვენ ისინი ნამდვილად გვიყვარს, თუ თავს ამაყად ვგრძნობთ იმით, რომ ერთ დღეს ამ ღირსეულ ადამიანთა მიუღწეველ გავხდებით, ეს იმიტომ, რომ ისინი ჩვენი საერთო მომავლისათვის ზრუნავენ. მამაკაცს პატივმოყვარეობა უნდა ჰქონდეს. პატივმოყვარეობა სათნოებაა, რომელიც...

— კლემანს, რა კარგად ლაპარაკობთ! — ამოვიოხრე, — რა აღტაცებული ვარ იმით, რომ ჩემი მდგომარეობა გაინტერესებთ, იმიტომ, რომ გამაგებინეთ ბედის მიერ თქვენი სიყვარულით დაჯილდოებული პორასი და ბერნარდი ღირსეული აზნაურები ბრძანდებიან. მე კი ცოტა შინც არ გიყვარვართ?

— რადგან თქვენი ბედნიერება მსურს...

— მაგრამ თქვენ ბერნარდი გიყვართ და ადელაიდას კი — ჰორასი.
ექი მე კი აქ რის მაქნისი ვარ?

— თქვენ, ჩვენი ტეო ხართ, — ენა მოიჩლიქა ადელაიდამ, თითქოს დედოფალას ეტიტინებაო. — ჩვენი ძვირფასი, საყვარელი, პატარა ტეო...

— შეტი არაფერი? — მერე დავუმატე: — რას იტყოდნენ ჰორასი და ბერნარდი, რომ იცოდნენ ღამ-ღამობით ჩემთან მოდიხართ?!

— ამაში ცუდი არაფერია! — წამოჩაბხეს ორივემ ერთად.

— ისინი ამაში ცუდს რასმე დაინახავდნენ. მეც ცუდს ვხედავ.

— როგორ? — თქვა კლემანსმა.

შე გავიმეორე:

— მე ამაში ცუდ რასმე ვხედავ. ძალიან ცუდია, რასაც თქვენ, ქალიშვილები, ჩადიხართ. აღსარების დროს მღვდელს ეს უამბოთ?

— არავითარ შემთხვევაში! — წამოიძახა ადელაიდამ. — ეს მღვდელს არ ეხება.

— კლემანს, თქვენც ამ აზრისა ხართ?

პასუხს არ მაძლევდა, არც მე ვეშეგბოდი.

— მიპასუხე, ბიძაშვილო, ჩემო ძვირფასო ბიძაშვილო. მიპასუხე, კლემანს. ნუ წითლდები, ნესტოები ნუ გითრთის, სახეში შემომხედე, კლემანს...

— ოჰ! — წამოიძახა მან. — თითები ნუ მატყინეთ!

მაშინ ისეთი ხარხარი ავტეხე, ისეთი ხარხარი, მჭექარე და ძლიერი, რომ ჩემი ბიძაშვილები შეშინდნენ. მართლაც, გულიანად ვიციინრდი, ბედნიერი ვიყავი, თუმცა ზუსტად ვერ გეტყოდით რატომ, მაგრამ ბედნიერი ვიყავი. ადელაიდას თვალები ამქვეყნად ყველა თვალზე ულამაზესად მეჩვენებოდა და ბედნიერი ვიყავი, რომ ამ ნახევრად-ჩაბნელებულ ჩემს ოთახში ისინი მე მეკუთვნოდნენ. ბედნიერი ვიყავი იმიტაც, რომ ვხედავდი, როგორც ხელმისაწვდომ ხილს, კლემანსის ოდნავ დაჭორფლილ ლოყებს. ამ ბედნიერების გარდა მოველოდი კიდევ უფრო დიდსა და ახალ ბედნიერებას. თავშეუკავებლად ვხარხარებდი. ეს ორი საბრალო ბავშვი როგორ გაიგებდა ჩემს სიხარულს, თუკი მე თვითონ არაფერი გამეგებოდა; ეს სიხარული დაუძლეველი გრიგალის ორომტრიალში, როგორც ჩალას, ისე დამაქანებდა, მათამაშებდა.

გაკვირვებულმა ადელაიდამ წაილულ უღდა:

— რა დაგეპაროა?

— ეს ჩემს ძალას აღმატება! — წამოვიძახე. — ჰო, კარგად დაუ-

ფიქრდით, რაც გითხარით, ეს ჩემს ძალას აღემატება! ნუ გეშინიათ, — დავუმატე და მათი ხელები ტუჩებთან მივიტანე, — თქვენ, ორივე, მომზიბვლელი ხართ. ახლა კი წადით, დაიძინეთ. მე კი თქვენზე ვიოცნებებ. თქვენ კიდე იქნებით აქ, ამიერიდან თქვენ მუდამ აქ იქნებით. აჰ! რა ლამაზი ხართ ორივენი! ეს უკვე გითხრეს, კიდეც გაგიმეორებენ. გასწით, გასწით. პორასისა და ბერნარდის გარდა ამას სხვებიც გეტყვიან და თქვენ მათ მოუსმენთ. რას მომამტერეთ თვალები? დაიხსოვით, რაც გითხარით. მე თქვენი ცოლად შერთვა არ შემძლია. ერთსა და იმავე დროს ორი ბიძაშვილის ცოლად შერთვა ყოვლად შეუძლებელია. მაგრამ, როდესაც გათხოვდებით, როდესაც თქვენი ვაჟბატონები, ორი მამლაყინწა, თქვენი ძვირფასი პატარა პიროვნებებითურთ უზრუნველყოფილი იქნებიან, მაშინ მოიგონეთ ეს, რაც გითხარით.

— ტო! — წამოიძახა ადელიდამ. ტირილს ვერ იკავებდა. — როდესაც გათხოვდებით, ჩვენთან აღარ მოხვალ? აღარ გვინახულებ?

— სხვა გინახულებთ, — ვუპასუხე. — მაგრამ ეს ისე იშვიათად ხდება! ეს ყოველი ქალის ზვედრი როდია.

— რა გინდოდა გეთქვა?

— არაფერი. წადით, ახლა დაიძინეთ.

ისინი ჩემკენ მოვიზიდე, დაიხარნენ; ჰერ ერთს ვაკოცე, მერე მეორეს. ფეხზე იდგნენ ჩემს ლოგინთან და კიდეც ერთხელ უხერხულად, თითქოს ჩემი დატოვება არ შეუძლიათო, ჩემკენ დაიხარნენ.

— გვიანაა, ალბათ! — ჩაილულულა კლემანსმა და კარი გააღო. ისინი გაქრნენ.

არ ვიცი, ახსოვდათ თუ არა ის რჩევა-დარიგება, რომელიც იმ საღამოს მომცეს, მაგრამ 1870 წლის იანვრის ერთ საღამოს მოხდა ისეთი ამბავი, რომლითაც მათი რჩევის გამოყენების შემთხვევა მომეცა. სადილობის დროს ჩემს ბიძასა და ბიცოლას შევატყვევე, რომ ღრმად ჩაფიქრებული იყვნენ. რასაკვირველია, თვალის ასახვევად ბიცოლანემმა გვიამბო თავისი ნაცნობი ახალგაზრდა ქალის მოლოგინების შესახებ. ყველა მოლოგინება, რომელიც კი ბიცოლას გარშემო მოხდებოდა, მისი საუბრის საყვარელ თემას წარმოადგენდა. სანამ იმპერია „ლიბერალური“ გახდებოდა, თავის ქალიშვილებთან ასეთ საუბარს გაურბოდა. მაგრამ ახლა უკვე აღარ ერიდებოდა. უნდა გითხრათ, არავისგან ასე დაწვრილებით არ გამიგია მოლოგინების ამბები, როგორც ბიცოლანემისაგან. ამის შესახებ იგი გაუთავებლად და სიამოვნებით ტიტინებდა. საკუთარ ოჯახში და მის გარეთ, მშობიარობის

გარდა თითქოს არაფერი ხდებოდა ამ ქვეყანაზე, მშობიარობის გარდა არაფერს ხედავდა და არც სხვა რამეზე შეეძლო ფიქრი.

მაგრამ ამ საღამოს სამეანო საუბარი არ ეწყობოდა. ეტყობოდა, იგი უფრო მოულოდნელი სამწუხარო ამბის დასაფარავად იყო მოგონილი.

ზოლოს ბიცოლაჩემმა მითხრა:

— დღეს ნაშუადღევს, ქალბატონი ავლოტი მესტუმრა. შენზე მე-
ლაპარაკა.

ჩემი ბიძაშვილები ყურებამდე გაწითლდნენ, მეც ოდნავ შეეკრთი.

— ეტყობა, შენზე კარგი აზრისა არის, — განაგრძობდა ბიცოლა-
ჩემი.

რას ნიშნავდა ყოველივე ეს? ნასადილევს ბიცოლამ და ბიძაშვი-
ლებმა სასტუმრო ოთახს მიაშურეს. მეც მათ გავყევი, მაგრამ უოზე-
ფენმა მკლავში ხელი მომვიდა და ვამაჩერა.

— აქ დავრჩეთ, — მითხრა მან. — შენთან სალაპარაკო მაქვს, მერე
ალაგებთ, — უთხრა მოსამსახურე ქალს, — მარტო დაგვეტოვეთ.

ჩვენ მაგილის კუთხესთან დავჯექით და ბიძაჩემმა დაიწყო:

— დიახ, ტეოდორ, ბიცოლაშენს ქალბატონი ავლოტი ეწვია. მის
ქმარს მდივანი სჭირდება, და ქალბატონი ავლოტი შენზე შეჩერებულა,
ეს დიდი პატივისცემაა მათი მხრივ, ისინი ჩემი კარგი მეგობრები
არიან და მხოლოდ იმას ფიქრობენ, თუ რით მასიამოვნონ. მაშასა-
დამე, ქალბატონი ავლოტი ქმარმა გამოგზავნა იმის გასაგებად, თა-
ნახმა ხარ თუ არა. მე და ბიცოლაშენს ძალიან გვესიამოვნება შენი
წარმატება სამსახურში, მაგრამ ეს საკითხი თვითონ შენ უნდა გა-
დასწყვიტო: მიატოვებ თუ არა საქმიანს, მრეწველობის სამყაროს
იმისათვის, რომ უფრო ბრწყინვალე სფეროში შეხვიდე, სადაც ყოვე-
ლი ნაბიჯის გადადგმა უფრო სახიფათოა. მამაშენი, ცოცხალი რომ
იყოს, არ დააყოვნებდა, რომ ხიფათებით მოფენილი ამ ანჩრებული
გზით გაეშვი... თითქოს მისი ხმა მესმის. მე კი, როგორც დინჯი კაცი,
გეუბნები: ასწონ-დასწონე. რა თქმა უნდა, შენ კვლავაც ჩვენთან
იცხოვრებ. აქ გექნება მუდმივი ბინა, სასამელ-საჭმელი, გათბობა და
განათება. ბატონი ავლოტი გაძლევს ყოველთვიურად ორას ფრანკს.
ადგილის გამოცვლით არაფერს ზარალობ. მეც რომ დახმარება აღ-
მოგიჩინო, ამისათვის თანახმა ვარ ორმოცდაათ ფრანკამდე შეგიმცი-
რო ის თანხა, რომელსაც ყოველთვიურად გიჭერ ვალის დასაფარა-
ვად. ვალის დაფარვის შემდეგ ორმოცდაათ ფრანკს კიდევ გადაიხდი
ჩვენთან ცხოვრების ხარჯებისათვის. როგორც ხედავ, ზომიერი ფა-

სია. ჩემი გამოცდილებით ვიცი, რომ შენი მომავალი მდგომარეობა მეტ ხარჯს მოითხოვს, ვიდრე ახლანდელი; პოლიტიკის სამყაროს ისეთი მოთხოვნები აქვს, რომელთაც ჩვენი საქმიანი სამყარო არ საჭიროებს. მე ეს ვიცი და არ გედავები. კარგად უნდა ჩაიცვა — ამ დროს ჩემს გაცვეთილ სახელოებს და შარვალს შეხედა, რომელიც მუხლებზე უწყინადა. — ურთიერთობა გექნება მინისტრებთან, მაღალი წრის საზოგადოებასთან. გთხოვ მხოლოდ ნება დამართო რამდენიმე რჩევა-დარიგება მოგცე. რა გაუთლელიც უნდა გეგონო, ჰო, ჰო, საწინააღმდეგოს ნუ ამბობ, მე ვიცი მამაშენის აზრი ჩემზე, შენც ძალაუნებურად მსასვით უნდა იფიქრო, რა გაუთლელიც უნდა ვიყო, თუ დიდი ქონება ვერ შევიძინე, ერთი პატარა ფაბრიკა მაინც შევქმენი, რომელიც, რომელიც... ბოლოს, ეს ჩემი მოვალეობაა, რჩევა-დარიგება მოგცე; მიიღებ თუ არა, ეს კი შენი ნებაა. იმ შემთხვევაში, რა თქმა უნდა, თუ მოცემულ წინადადებას თანხმობით უპასუხებ, თუ შენ ლაქის წარმოებას ამჯობინებ, მით უკეთესი, მაგრამ, თუ შენ ამ წინადადებას მიიღებ, უწინარეს ყოვლისა, გირჩევ მოწიწებით მოეპყრო ბატონსა და ქალბატონ ავლოტებს...

— დამწვიდებული ზრძანდებოდეთ.

— მაკალე განვაგრძო... იყო მოწიწებით ბატონ და ქალბატონ ავლოტებთან, თავდაპირველად, ხომ გესმის? თავდაპირველად. არ შეეხო მათს შეხედულებებს, რომლებიც საპატიოა და შენს შეხედულებას არ ჩამოუვარდება. ყველაფერზე ყური გეჭიროს. გამოიყენე, რასაც გაიგონებ. შენი კრიტიკა კი შენთვის შეინახე. საპატიო მდგომარეობა რომ მოიპოვო, საამისო საქციელიც უნდა გქონდეს. მე კი კმაყოფილი ვიქნებოდი, ამ ნაძირალებთან არ დაგინახავდე, რომელთანაც ახლა გარეუბანში დაიარები. ჩვენს ოჯახში და იმ საზოგადოებაში, სადაც ფლოტების მეშვეობით შეხვალ, მალე შეისწავლი კარგ თავდაპირვალ ბუნებრივია. თავისუფლად მოაზროვნე ადამიანის როლის თამაშს თავი უნდა გაანებო. წირვაზე უნდა იარო.

— ხელს რა შემეშლის!

— აჰ! ხელს რა შემეშლის? რატომ ერთხელაც კი არ წახვედი, რაც ჩვენთანა ხარ? ხომ იცოდი, ამით როგორ აღონებდი ბიცოლაშენსა და ბიძაშვილებს. ახლა კი ამბობ: ხელს რა შემეშლისო!

— და, ეს არ გსიამოვნებთ? თქვენ მთხოვთ, წირვაზე იარეთ. მე გიპასუხებთ, წირვას არ დავაკლებდი-მეთქი. მე პასუხს გაძლევთ წინააღმდეგობის გაუწევლად, უყოყმანოდ და თქვენ კმაყოფილი არა ხართ?

— მაშ, შენ რწმენა არა გქონია — მითხრა და სახეზე გამოუთქმელი ზიზლი აღებეკდა.

— მომეცით ორმოცდაათი ათასიანი შემოსავალი, და რწმენაც მქნება.

ვუპასუხე და ჩემი მეგობარი ქულ დე ჩენო. მომაგონდა, რომელიც ასე წვლობდა იმისათვის, რომ რაიმე რწმენა ჰქონოდა.

ოლონდაც! — გავიფიქრე მე. — მას შეუძლია შესთავაზოს თავის თავს სრულიად ახალი შეხედულებანი, თავისი მშვენიერი სულის შესამკობად! რადგან მას მშვენიერი სული აქვს.

და წარმოვიდგინე ყელმოდერებული ქულ დე ჩენო: ხუჭუჭთმინ ლამაზ თავს არხევდა, მზად იყო თავისი შეხედულებებისათვის სიცოცხლე შეეწირა! თავისი მშვენიერი სულიათვის!

ჩემი პასუხით ჟოზეფენი ერთ ხანს გაოცებული დარჩა, მერე გაიღიმა, ჩემი პასუხი გაიძვერას პასუხად ჩასთვალა. თანდათან უფრო ცბიერად იღიმებოდა. შეშომახედა და თავი გადააქან-გადმოაქანა.

— ასე — თქვა მან. — სწორედ რომ მამაშენის შვილი ხარ, მაგრამ შენ უფრო ძლიერი ხარ. მას რომ გაებედნა, დიას, მას რომ გაებედნა. ოცნებობის მაგივრად, შეიძლება... ეჰ! ის სულელი როდი იყო, ის ნადირი! სკოლაში იგი ხშირად პირველი იყო. მხოლოდ სიზარმაცე, დაუდევრობა... გესმის, შენ უფრო შორს წახვალ. აქედან ვეკრეტ ამას. საკმაო გამოცდილება მაქვს, ქვეყანას კარგად ვიცნობ და შემიძლია წინასწარ წარმოვიდგინო, რა მოხდება... ჩვენ სასაცილო ეპოქაშე ვცხოვრობთ... დასანანი, — განაგრძო, ფიქრებს თავი წაართვა, — რომ მთელი ეს დრო ლაქების საქმეს შეალიე. ამ საქმის ცოდნა არაფერში გამოგადგება.

— გამოუყენებელი არაფერია, — ვუპასუხე მე.

ასეთი კარგი პასუხი მოეწონა. იგი დამშვიდდა იმით, რომ რენტაში მოთავსებული კაპიტალი არ იკარგება და მე შევძლებდი მისგან სარგებლობის ნახვას; როდესაც ასეთ პასუხს ვაძლევდი, კომერციული თვალსაზრისი სრულიად არა მქონია. მე მხოლოდ ჩემს ცხოვრებაზე ვფიქრობდი. იმ მოულოდნელ ამბებზე, რომლებიც თანდათან მათერად მიტაცებდნენ. მინდოდა ბიძაჩემისათვის ამეხსნა, რომ ჩემი ნათქვამი მან სხვანაირად გაიგო.

— არა, ბიძაჩემო, არასოდეს აღამიანი არც არაფერს ჰკარგავს, არც რაიმეს იკებს.

მაგრამ ჟოზეფენი ვერ გამიგებდა. იგი ვერ წარმოიდგენდა ასეთ

ზარალს, რომელსაც მოგება ვერ აანაზღაურებდა, ვერც იმას, რომ ცხოვრება თამაშია, რომელსაც მხოლოდ სახალისოდ თამაშობენ.

ბიძაჩემი ამას ვერასოდეს ვერ გამოიგებდა, გიჟად ჩამთვლიდა. ადამიანს როდი ესიაშვინება, გიჟად რომ ჩასთვლიან. ამას ყველა გვერდს უვლის; უფრო დამშვიდებული ხარ, სხვებს რომ გაიძვერებად ჩასთვლი. ამ წუთში ბიძაჩემი გაიძვერად მთვლიდა. და უეცრად მის თვალში ფასი მომემატა.

— ჰო, ჰო! — მითხრა მან. — შორს წახვალ.

ულვაში დაიგრიახ. ცალი თვალით გადმომხედა, იდაყვი წამკრა, როგორც კი შეეძლო, სატანისებური გაძიძვეტყველება მიიღო და მითხრა:

— მაშ, თანახმა ხარ. შენს ადგილას მეც ასე მოვიქცეოდი... ახალგაზრდა წარ... შენთვის იზრუნებენ... ქალები... ხომ გესმის ჩემი? მაგრამ, მეგობარო, იყავ გონიერი! ქალბატონ ავლოტს არშიყობას ნუ დაუწყებ. იგი ლამაზია, ის პატარა, წყეული.

და სასტუმრო ოთახისაკენ წამიყვანა, სადაც ქალებმა ცნობისმოყვარეობით გაბრწყინებული თვალი შემომაგებეს.

— გაიცანით მომავალი სახელმწიფო მრჩეველი.

ქალბატონ კიშს ქალიშვილებისთვის ყველაფერი ეამბნა. მათ ჩემი ნათესაობით თავი მოსწონდათ. მე ორივე მამლაყინწა დაეჩრდილე. რა სინაზით, რა ალტაცებით, რა მალული ლამაზი გამახედვით მაჯილდოვებდნენ. ადელიდა და კლემანსი ჩემს პირდაპირ დასხდნენ სათამაშო მაგიდასთან და დომინოს ქვების დაწყობას შეუდგნენ. ეოზეფენმა მარცხენა ხელით დომინო შემოიყარა, მარჯვენა ხელს კი ულვაშსა და წვერზე ისვამდა; თავს გვადგა გენერალივით, რომელიც ბრძოლის ველს თვალს არ აშორებდა. როდესაც დომინოს ქვას დაედებდით, ჩემი ხელი მალულად ბიძაშვილების ხელებს ეხებოდა. ისინი მიდიმოდნენ. მაგიდის ქვეშ ჩვენი ფეხები ერთმანეთს დაეძებდნენ. მუხლები ერთმანეთს ეხებოდნენ. ჯერ ეს ბუნდოვანი ალერსი იყო, თრთოლვა ავჯიტანდა, შემდეგ უეცრად ერთმანეთს მივეკროდით და ამ მიკვრაში ჩვენი ვნება მელანდებოდა, თითქოს იგი მთელი თავისი მქვერმეტყველობით და ახალგაზრდობით ჩვენი სხეულების ამ წერტილში დაგროვილიყოს, ადელიდას და კლემანსის მრგვალ მუხლებზე გადაჭიმული კაბის ქსოვილში. შემდეგ მწკრივის ბოლოს დომინოს ქვას ვდებდით, ისმოდა ტაკანი. ზევით ავიხედავდი, ვუღიმოდი ჩემს პატარა მეგობრებს, ადელიდას, რომელსაც გამომწვევი გამომეტყველება ჰქონდა, და კლემანსს, რომელიც ყურადღებად იყო ქცეული. ტუ-

ჩემს საკონცენტრაციო კერძო და ქალიშვილებისკენ ვგზავნიდი ამ წიგნებს, რასაც ვერ ამჩნევდა სათვალთვალოდ სტრატეგიულ საგუშაგოზე ჩასაფრებული ქოზეფენის წვერი. ეს ბავშვური ცელქობა იყო, მაგრამ განა შეიძლება იყოს რაიმე იმაზე უფრო ბავშვური, როგორც ქალის სიახლოვით განცდილი სიამოვნება? ის დამანჭვაც ბავშვური ცელქობა იყო, უშუალო, ვაბედული, ნოემი ავლოტი რომ მეორე დღით დამემანჭა. როდესაც შინ ვეწვიე, რივოლის ქუჩაზე. სასტუმრო ოთახში რომ შემიყვანეს, ღია კარში დავინახე ჩემი საყვარლის კულულებიანი თავი. ენა გამომიყო, წამოვდექი და მისკენ გავეშურე, მაგრამ ნოემი მიიმალა. ხუთი წუთის შემდეგ ბატონი ავლოტი შემოვიდა. ამ დიდკაცთან გამოვცხადდი, თან უტიფარ მიმალულ მოჩვენებათა გუნდი მიმყვა: სწორედ ისე, როგორც დირექტორთან გაძოძახებულ ცუდ მოწაფეს კიბეზე ასვლას დროს უკან ამხანაგების გამამხნეველები სიცილი მისდევს.

— ჩემს კაბინეტში მობრძანდით, — მითხრა ბატონმა ავლოტმა და ხელი გამომიწოდა.

წინ გამიძღვა, გავყევი. რამდენიმე ოთახი გავიარეთ და ფართო ბიბლიოთეკაში შევედით, რომლის შუაგულს იდგა ამპირის მოოქრულ-კუთხეებიანი მაგიდა, ყურნალ-გაზეთებით დაფარული. ბატონი ავლოტი სავარძელში ჩაჯდა, ნიკაპით სკამი მიჩვენა, რომელიც მაგიდის მეორე მხარეს იდგა, და მითხრა:

— ჩემს შეგობარ კიშებთან მოგაქციეთ ყურადღება, საპატიო ოჯახს ეკუთვნით, უეჭველად ნიჭიერი ახალგაზრდა ხართ და ჩემს მეუღლეს თქვენთვის კარგი სურს. დიდი ხანია სანდო თანამშრომელს დავეძებ. ბიძათქვენმა, ალბათ, გაცაცნოთ ჩემი პირობები. ამას ნულარ დავუბრუნდებით. თქვენც იცით, რომ მუყაოს ფაბრიკა მაქვს და მრავალ საწარმოს გამგეობის წევრი ვარ. აგრეთვე პარიზში რამდენიმე სახლი შეკუთვნის. ამის გამო საქმეც ბევრი მაქვს. თქვენ ჩემთვის დიდი დანაშაურობის გაწევა შეგიძლიათ. მითხრეს, რომ სამართალს არ იცნობთ, მაგრამ ვაჭრობაში იყავით ჩაბმული და, მგონი, ლიტერატურული ნიჭიც გაგაჩნიათ. თქვენ უნდა შესძლოთ წერილს მკაფიოდ და ლამაზად შედგენა. შინდა აგრეთვე ჩემს პოლიტიკურ საქმიანობაშიც დამეხმაროთ. დეპუტატის მოვალეობა თანდათან რთულდება; განსაკუთრებით, ჩვენი სახელმწიფოს მართვის სისტემაში იმ რეფორმათა შემდეგ, რომელთა განხორციელება იმპერატორმა საჭიროდ სცნო. მჭიდრო კავშირი უნდა დამყაროთ ამომრჩევლებთან, პასუხი გასცეთ მათს

შეკითხვებს, შიღოთ ისინი. ეს ცვლილებები არ მომწონს, მაგრამ რაც არის, არის, ამ გზას უნდა მივყვეთ.

მთელი საუბრის მანძილზე თვალს არ მაშორებდა; როდესაც დარწმუნდა, რომ ყურადღებით ვუსმენდი, გულკეთილად დამიწყო ცქერა-მაგიდიდან ბრინჯაოს ქაღალდსაქრელი აიღო, ხელში ათამაშებდა-მქვერმეტყველებდა. ლაპარაკი ემარჯვებოდა. სიამოვნებით ვუცქეროდი მისი ტუჩების მტკიცე მოხაზულობას, თეთრ კბილებს, მალალ შუბლსა-და დიდებული ქილვამებით შემკობილ სახეს.

— მინდა თქვენთან გულწრფელი ვიყო, — მითხრა მან. — ახლავე გაგიზიარებთ ჩემს შეხედულებებს. მათ საიდუმლოებად არა ვხედავ და არც არავის ვუშალავ. პოდა, კმაყოფილი არა ვარ. კმაყოფილი არა ვარ, და მალე თვით მთელი საფრანგეთი გამოხატავს თავის უკმაყოფილებას, მაგრამ როგორ გამოხატავს. ამჟამად იგი ყოყმანობს. სანდვით-ლოქტრინები ყოველი მხრიდან აფორიაქებენ მას. იმ დღეს, როდესაც მისი უკმაყოფილება იფეთქებს, გვიანდა იქნება: თავშეკავებებს მაგივრად უკიდურესობაში გადავარდება. ზედავთ, ჩემო ბავშვო, ძნელი არის დიდხანს განიცდიდე უკმაყოფილებას და ამავე დროს მალალი აზრები შეინარჩუნო. ყველაზე უფრო მნიშვნელოვანია: აზროვნებდე კეთილშობილად, დიან, აზროვნებდე კეთილშობილად, პატივით ეპყრობოდე საკუთრებას, მეშვიდრეობას უფლებას, შშობლების ავტორიტეტს, ყველაფერს, რაც კეთილშობილი და დიადია. და ჩვენ, სათნო ადამიანებმა და ურწმუნოებმაც კი, ერთგულად და კეთილგანწყობილად უნდა ვიზრუნოთ რელიგიის ინტერესებისათვის. რასაკვირველია, კონსერვატიზმი ჩემი საქმე არ არის, რეფორმების წინააღმდეგი არა ვარ. მაგრამ არ მინდა, რომ ამ რეფორმებმა დემაგოგიით შემიპყროს, უკმაყოფილების, პატივმოყვარეობისა და პოპულარობის გამომწვევით ორომტრიალში ჩამითრიოს. აქ შეიძლება ყველაზე მტკიცე ადამიანო გზას გადასცდეს. არ მომწონს იმპერატორის უკანასკნელი რეფორმები, მაგრამ ეს არმოწონება ვერასოდეს ვერ შეიძლება მის მოწინააღმდეგეებს შევუთანხმდე. გონებას ვერაფერი დამაკარგვინებს და თავი მომწონს, რომ მუდამ საკუთარი შეხედულება მაქვს მიუხედავად იმისა, ვემხრობი თუ არა რომელიმე მოძრაობას, ან მისი შეჩერება მსურს. იმპერატორი შეიძლება შეცდეს, მაგრამ მისდამი რწმენა მაინც მაქვს, რადგან ის უმაღლესი თავდება აზრის იმ სიდიადისა, რომელიც მინდა სამუდამოდ შევიწინააღმდეგო და რაც ჩემს ბედნიერებას შეადგენს. იმპერატორი წესრიგის განხორციელებაა, ეს ჩემთვის საკმარისი უნდა იყოს და სხვა მხრივ არ მინდა მას ანგარიში მოვთხოვო. მაგრამ, იყო-

დეთ, ჩემო ბავშვო, ეს სტოიციზმია, რომელსაც ჩემს თავს ვაბეჭევ, ჩემს გულში ღრმად რომ ჩავიხედავ, იქ დიდ ჭეშმარიტებას აღმოვაჩენ, მინდა ის გაგანდოთ. მისმინეთ? დიახ, თქვენს თვალეში პატიოსნება გამოსჭვივის: ყურს მიგდებთ და ჩემი გესმით. ჰოდა, იცოდეთ, ჩემი გულის სიღრმეში ბონაპარტი არა ვარ. არც საფრანგეთია ბონაპარტი, მის გულში რომ ღრმად ჩაიხედო... მინდა გითხრა, თუ რა არის საფრანგეთი. საფრანგეთმა ეს თვითონაც არ იცის, ან, თუ იცის, ძალიან ბუნდოვანად. ნაგრამ მისი იღუმალი მისწრაფებანი მიილტვიან იმ მიმართულებით, რომელზედაც ახლა მინდა მოვახსენოთ. საფრანგეთი ორლეანისტურია. ის ორლეანისტური იყო და, როდესაც ეს გაიგო, კმაყოფილებით ამოისუნთქა. საფრანგეთი კვლავ ისეთი გახდება. დიახ, კვლავ გახდება. ახლა ეს საფრანგეთს აღარ ახსოვს, სურს თავდავიწყებას მიეცეს, მაგრამ მისი ისტორიის მიმართულებასაც, ეკონომიკურ და სოციალურ მის ცხოვრებას, მის ნიქს იგი სწორი გზით მიჰყავს და ყველაზე უკეთესი რესპუბლიკური წესწყობილებისაკენ. ასე ღრმა გრძობა შალაპარაკებს და არა ის გარემოება, რომ ჩემი ოჯახი ამ დინასტიისაგან დიდად დავალებულია. რასაკვირველია, არასოდეს დამავიწყდება, რომ შამაჩემი ამ დინასტიის ერთ-ერთი ბურჯთაგანი იყო და ივლისის დღეების შემდეგ ლუი ფილიპემ იგი დანიშნა სახელმწიფო საბჭოში ისეთსავე მაღალ თანამდებობაზე, როგორც ბატონი ტიერი და ბატონი დიუშატელი. შამაჩემის კარიერას არ გავყევი. ქალბატონმა ავლოტმა შხითვად იმდენი მნიშვნელოვანი კომერციული საწარმო მომიტანა, მათს შორის კარტონაჟისა, რომ მთელი ძალა ამისათვის უნდა შემეწირა. მერე მოვიდა იმპერატორის მთავრობა, რომელმაც ჩემზე წყალობა მოიღო. ნელ-ნელა პოლიტიკაში ჩავები. გიმეორებთ: ისეთი მძიმე მდგომარეობაა, რომ ჩემი მხრით ბოროტ მოქმედება იქნებოდა მისი უდიდებულესობის უერთგულესი მსახური არ დავრჩენილიყავ. და ახლა, როდესაც ჩემი საქმეები კარგად მიდის ამ აყვავების ზანაში, რომელიც იმპერატორის რეჟიმმა შექმნა, მინდა მთლიანად შევეწირო ჩემს მოქალაქეობრივ მოვალეობას. სხვათა შორის, ჩემი მოწოდება ყოველთვის აქეთ მეწეოდა და ვაჭრობა ჩემთვის მხოლოდ ცხოვრების უკიდურესი საშუალება იყო. ვაჭრობას ყოველთვის ზევდან დავცქეროდი და, მას საერთო საქმიანობასთან დაკავშირებით, საზოგადოებრივი კეთილდღეობის ნაწილად ვთვლიდი. მაშ ასე, ჩემო მეგობარო, დამეხმარებით იმ სამუშაოთა შესრულებაში, რომლებსაც მოვალეობა მაკისრებს, მდგომარეობას შემიმსუბუქებთ

ყოველმხრივ, ფხიზლად მოეკიდებით ჩემს ათასნაირ საქმეს, ჩემი ხელებისა და თვალების ერთგვარი მოადგილე გახდებით.

წამოდგა, ქალალსაჭრელი ხელში ჰქონდა, ოთახში ბოლთისცემა დაიწყო.

— მე გულს გიხსნით, — განავრძო მან. — ბუნებით ორლენისტი ვარ. მათზე უფრო ნამდვილი ორლენისტი, მათზე, რომლებიც თავს ორლენისტად აცხადებენ და მღვრიე წყალში მხოლოდ თევზის დაჭერას ცდილობენ, ბატონი ტიერი, რომელიც მამაჩემს კოლეგა იყო და ახლა ჩემი კოლეგა გახლავთ საკანონმდებლო კრებაში, უეჭველად ნიჭიერი კაცია, მაგრამ სად მიგვიყვანს იგი, რასაც ტიერი დიდს ამბით „აუცილებელ თავისუფლებას“ ეძახის? ამჟამად ხელსუფლების სათავეში ეს ხალხია. იმპერატორის ხერხია ესა, თუ იგი გულწრფელად არის განწყობილი, რომ ისინი თავის ნებაზე მიჰყავს? მე ვფიქრობ, მის საგარეო პოლიტიკაზე ბევრი რამ უარყოფითი ითქმის. ომები გვანადგურებს, ეს ცხადია, და რომ ქვეყანას დიდებით არ აბრუებდნენ, მღელვარება დაიწყებოდა. აი სად იწყება სინდისის ქენჯნა. ამ ხელსუფლებისა კიდევ მხიარულება მამბრახებს. თქვენ ეს გიკვირთ? შეიძლება ახალგაზრდა კაცს ასე არ უნდა ელაპარაკო, მაგრამ მეც ვყოფილვარ ახალგაზრდა და მხიარული, დიახ, ვყოფილვარ მხიარული, ეშმაკმა დალახვროს. მაგრამ ისე მხიარული არასოდეს ვყოფილვარ, რომ მის მოგონებაზე გავწითლდე. ყური კარგად დამიგდეთ: ლუი ფილიპენ მეფობა მხიარული იყო, მაგრამ ეს იყო გულკეთილი, რეალური აქტივობის გამომხატველი მხიარულება. მამაჩემი სწორედ იმ დროის კაცი იყო, ოდესმე ვიამბობთ მის ამბავს, რითაც გაგაგებინებთ ამ პრინციპებს, რომლებსაც ახლა არეულად გიზიარებთ, მაგრამ ამ პრინციპებს, დამერწმუნეთ, კიდევ არაერთხელ დავუბრუნდებით. მაშ, გამოგიტყდებით, ახლანდელი მხიარულება შიშისა მგვრის. მასში სიცარიელესა ვგრძნობ. აჟიოტაჟი და სპეკულაცია შეიძლება კარგი რამ იყოს და საქმეს შევლოდეს, მაგრამ ისინი დიდ საფრთხესაც შეიცავენ. თქვენ იტყვიან, რომ მე ვლაპარაკობ, როგორც ვაჭარი და არა როგორც ფინანსისტი. ასე იყოს, მაგრამ საფრანგეთს მტკიცე ფასეულობანი სჭირდება და მისი სიმდიდრე ძალიან შუარი უნდა იყოს. ამჟამად ბევრი საფრთხეა, ბევრი საფრთხე, რომელსაც იოლად ეკიდებიან. დიდ გონებამახვილობას იჩენენ. მეტად ბევრ უცხოელს ვიღებთ, ყოველივე ეს ჩვენს ხასიათს არ ეგუება, არ შეგვეფერება. აი ამ ფასად დაუჭლდა პარიზს, რომ იგი შეუქრქალაქად, განათლებული მსოფლიოს დედაქალაქად იქცა. ვიცი, უყვართ მტკიცება, გარეგნული ბრწყინვალება

გვამშვენებსო, კოჰწიაობა, კრიტიკის მოყვარულობაცო, ამით ჩვენმა მამებმა სახელი გაითქვესო. მაგრამ ისიც ვიცი, რომ ჩვენ დინჯი, გონიერი ხალხი ვართ, მაღალი აზრების მატარებელი, და ცოტა როდი გვყავს ადამიანები, რომლებიც ყულკანზე ცეკვას ველარ იტანენ. თვითონ იმპერატორმაც იცის ყველაფერი ეს! მერე ამაზე რას ფიქრობს? ჩემს თავს ამაოდ ვეკითხები, რა უნდა? ამ ადამიანს ვერაფერი გავუგე. მიუხედავად ჩემი მხურვალე სურვილისა იმპერატორს ვემსახურო, მისგან შორსა ვარ; არსებითად იგი კარბონარი დარჩა. მე ეს არ მიყვარს, არ მიყვარს ფარული საზოგადოებანი, დანის კრებები. უნც აე იმალება, მას მხოლოდ ცუდი საქმის გაკეთება შეუძლია. მე კი ჩემი ცხოვრება დღის ღინათლეზე გამიტარებია და ვერც წარმომიდგენია. სხვანაირად. შობრძანდით აქა, — მითხრა და ფანჯარასთან მიმიყვანა, ფარდა გადაწვია. — აი, ეს სანახობა გექნებათ თვალწინ, აქ იმუშაებთ. საკმაო სინათლეა! რას იტყვით? ეს რივოლის ქუჩაა, ზულ სწორა. ეს ჩემი კარცერის სიმბოლოა. პირდაპირ ლუვრია, ტიუილი. იგი ყოველთვის თვალწინ მიდგას, მე ჩემი ერის ერთგული მსახური ვარ.

ცოტა ხანს ფიქრს მიეცა, მშვენიერი შუბლი ფანჯარას შიდაყრდნო. შემდეგ ჩემკენ მოტრიალდა.

— ნომიტევეთ, რომ გატაცებას დავემორჩილე, უწინარეს ყოვლისა, მე ორატორი გახლავართ, ამასთან კი ვერაფერს გახდებით, ხომ იცით ლათინური ანდაზა? ეჰ! იგი სწორი არ არის: ორატორები კი არ ხდებიან, არამედ იბადებიან. ერთხელ ბერეიერმა მითხრა: თქვენ ორატორად დაბადებულხართო. დაბრძანდით აქ, მუშაობას შეეუდგეთ. ყოველ დღით გაზეთებს გადახედავთ და მათს მოკლე შინაარსს გადმომცემთ, მერე ჩემს კორესპონდენციას წაიკითხავთ. ზოგიერთ წერილს გიკარნახებთ, ზოგიერთზე მითითებებს მოგცემთ. ჩვენს დილას მარეს ფაბრიკაში მისვლით დავამთავრებთ. ნაშუადღევისთვისაც გამოგინახავთ სამუშაოს. ჩემს ქაღალდებს დაალაგებთ, რაიმეს დაგავალებთ. ბუღალტერია იცით? ჩემს ანგარიშებსაც უნდა გაეცნოთ. აქა-იქ ჩემი ფული მართებთ, მინდა დავიბრუნო.

ამ დროს კარზე კაკუნი გაისმა. ქალბატონი აელოტი შემოვიდა. დილის პენუარი ეცვა.

— ოჰ! უკაცრავად, — თქვა შეწუხებულად, — მუშაობდი?.. ხელს გიშლით... გამარჯობა, ბატონო კიშ!

..მე მოწიწებით დავუკარ თავი.

— ჩემო მეგობარო, — უთხრა ქმარს და მიუახლოვდა, — მინდოდა მხოლოდ „ფიგარო“ მეთხოვა, თუ შენ არა გჭირდება.

ვაზეთის ძეგნაში ქალბატონმა ავლოტმა მთელი ქალაქები მიყარ-მოყარა, ბოლოს „ფიგარო“ იპოვნა, კვერდზე ჩამიარა.

— ნახვამდის, ბატონო, — მითხრა და ხელი ჩამომართვა. — იმედი მაქვს, ჩემს ქმარს შეეწყობით, შეეგუებით და ერთმანეთით კმაყოფილი დარჩებით. ნახვამდის, ჩემო! — დაუმატა, ბატონ ავლოტს მიეკრა და ქილვაში აუჩეჩა.

ქალბატონი ავლოტი გავიდა და სუნამოს სურნელება დასტოვა.

VI

შიუხედავად ყოზეფენის რჩევისა, ჩემმა ახალმა ცხოვრებამ ხელი არ შემიშალა, რომ ანტუანის გარეუბანში ჩემს მეგობრებთან შევლო, თუ ახალი უფროსი დღის განმავლობაში ცოტა ხანს გამათავისუფლებდა და მისი მეუღლე, ჩემი საყვარელი, ამ დროს ჩემთვის პაენანის დანიშვნას ვერ მოახერხებდა, — სიფრელებთან მივეშურებოდი. შევირდები სახელოსნოში მღეროდნენ. მარი-როზი და ფერნანდა სწყვეტდნენ ქსოვას. პატარა კუზიანი გოგონა მაგიდის ქვემოდან გამოძვრებოდა ხოლმე. ჩვეულებრივად მაგიდას თავს მიართყამდა და ტირილს შორთავდა. მაშინ ამ პატარა მახინჯს მუხლზე დავისვამდი და ნუგეშისცემის მაგიერ ვეუბნებოდი:

— იტირე, იტირე! შენ შეგიძლია იტირო... ჯერ კიდევ არ იცი, რა გაქვს სატირალი, მაგრამ ერთ დღესაც იქნება, გაიგებ და შენს ტირილს ორნაირი გამართლება ექნება: ან ისა, რომ რაიმეს მიეხეთქები, ან ისა, რომ ბოროტად მოგეპყრობიან, შერე კიდევ სხვა რამეც. დიახ, ყოველკვარი შემთხვევა გამოდგება იმისათვის, რომ ამ სხვა რამისთვის იტირო. მაშ, იტირე, იტირე!

აცრემლებული გოგონა მიცქერდა, არა გაეგებოდა რა, რას ველაპარაკებოდი. იგი უეცრად ტირილს შესწყვეტდა და ამბის მოყოლას მთხოვდა. გრძნობათა ასეთი ცვალებადობა ყველა ბავშვს ახასიათებს. მაგრამ ამ გოგონას, მეგონა, უფლება არა ჰქონდა ყველა ბავშვივით გულმავიწყი და დაუდგრომელი ყოფილიყო.

ერთ კვირა დღეს მარი-როზი სასეირნოდ წავიყვანე. ავლოტთან სამსახურის დაწყების შემდეგ ეს ჩვენი პირველი გასეირნება იყო.

„ოლონდ არ შეგვხვდეს“, გავიფიქრე, მაგრამ განგებ ბულვარებში გავლა მოვისურვე. მარი-როზს ჩითის თავსაფარი ეხურა და უხეში

შაულის ღია ყავისფერი ზედაწელი ეცვა. მე ბიძაჩემის რჩევას დავუჭერე და ჩემს ჩაცმა-დახურვას ყურადღებას ვაქცევდი. საუკეთესო მკერავის შეკერილი სერთუკი მეცვა, კუბოკრული ქსოვილის შარვალი, ლაქის ფეხსაცმელი და მრგვალი ქელი მეხურა. რას იფიქრებდნენ ჩვენზე? რომ მე სტუდენტი, კარგი ოჯახიშვილი ვიყავი, რომელმაც შუშა ქალი შეაცდინა? დიახ, ჩვენზე სწორედ ეს შეეძლოთ ეფიქრათ. ამას მარი-როზიც მიხვდა და მითბრა:

— რატომ ამ გზით წამოდი? ვანა არ შეგვეძლო მენილმონტანისა და ბანიოლისკენ ავსულიყავით? მე არ მიყვარს თქვენთან ერთად აქ სეირნობა.

— რა სასაცილო რამეს ამბობთ, მარი-როზ! მაშ, არა ვსურთ კაფეში შევიდეთ? არა? მაშ ის გირჩევნიათ, სენისაკენ დავეშვათ.

წუთის დუმილის შემდეგ, მკლავში ბელი გაუწყარე და ვკითხე:

— რას ფიქრობთ ჩემზე, მარი-როზ?

მან მშვენიერი შავი თვალები, ლამაზი სახე, ფუნჩულა სევდის გამოძახებული ტუჩები მომაპყრო და ყრუდ შემეცოტა:

— თქვენ, ტეოდორ, თქვენ რას ფიქრობთ ჩემზე? — მერე განავრძო: — მართალია, რაც თქვენ ამას წინათ მამაჩემს უამბეთ, ვაჭრობას თავი დავანებე და იმ კაცთან დავიწყე სამსახური? ეჰ! სისულელეა, ასე რომ იგეითხებით. რატომ არ უნდა იყოს ეს მართალი? ამას დაჭრება შე იმიტომ არ შესიამოვნება, რომ მეშინია.

— რისა გეშინიათ, მარი-როზ?

— გეშინია, არ გამოიცივალთ.

ახლა მასთან თავს კარგად ვკრძნობდი.

ისე ველაპარაკებოდი, როგორც სხვა ქალებს, მარტივ და დაუინტერესებულ კითხვებს ვაძლევდი, რომ ამეღერებინა ის მიმალული საუცხოო სიტყვები, რომელთა მოსმენა მიყვარდა. მაგრამ სხვა ქალებთან, მაგალითად, ჩემს ბიძაშვილებთან ან ნოემისთან ამ სიტყვების არარაობა ყოველთვის ცოტადნენ სასაცილოდ მეჩვენებოდა, ანავე დროს, რასაკვირველია, მომხიბვლელადაც. მარი-როზის პასუხზე კი არასოდეს არ შეღიმებოდა, პირიქით, იგი ჩემში შიშსა და გაკვირვებას იწვევდა. თუმცა დავეჩვიე, რომ მას, როგორც სხვა ქალს, ისე მოვპყრობოდი, იმნაირადვე დავახლოვებოდი, ისეთივე ხერხები მეხმარა, ყგივე ეთომდა გულგრილობა და გატაცება ვამომეჩინა. ყველაფერი ეს, ინსტინქტური. თავშეუკავებელი მღელვარება იყო, რომელიც მეც შიტაცებდა და ჩემს მოსაუბრე ქალსაც, ვინც უნდა ყოფილიყო; ამისდა მიუხედავად, მაინც ვერ მოვახერხე, რომ მარი-როზსაც, როგორც

სხვა ქალს. ისე მოქცეოდა. მარი-როზა ყოველთვის ოდნავ უცხოდ შეჩვენებოდა. სხვა ქალებთან გულს მიჩვილებდა გაპარანჭული, პატარა კმაყოფილება და იმის დადამატურება. რომ ეს კმაყოფილება მათ ჩემთან იარაღს აყრევიანებდა. მარი-როზას ამგვარ კმაყოფილებას ვერ ვამჩნევდი. იგი ამაყი იყო. ამას ვგრძნობდი და ეს ჩემში პატივისცემას იწვევდა. არასოდეს შემინიშნავს, რომ მარი-როზას სილამაზას, მომხიბვლელობის. ქუჩის ან სხვა რომელიმე თავისი ღირსების გამო კმაყოფილება გამოეხატოს. მის სიამაყეს არაფერი განსაკუთრებული რამ არ იწვევდა. ვიცოდი მხოლოდ, რომ ამ სიამაყის შეურაცხყოფას არ შაპატიებდა, და მისი შეურაცხყოფა კი სრულად არ მინდოდა. მარი-როზას რომ ველაპარაკებოდი, გადაჭარბებულ სინაზეს არ გამოვხატავდი, რადგან ასეთი სინაზეც მისთვის შეურაცხყოფა იქნებოდა. სხვა ქალებში პატარა ცხოველი ბინადრობს, რომელსაც ხან ტკბილეულობით მოათვინიერებ, ხან წიხლის ცემით. მარი-როზაში ამ პატარა ცხოველს ვერა ვგრძნობდი. მაგრამ ეს ცხოველურობა ჩვენს ურთიერთობაში მაინც იგრძნობოდა. იგი თრთოდა უკუნეთში მიმალული, ჭადაც ვხედავდი, როგორ ისაზებოდა ჩვენი მომავალი სიყვარული. მარი-როზიც ძალიან ხშირად მეუბნებოდა უმნიშვნელო სიტყვებს, რომელთა მსგავსი სიტყვების უაზრობა სხვა ქალებთან მხიბლავდა. მაგრამ ყოველივე ამის მიუხედავად, ეს მაინც რაღაც სხვა იყო.

იტალიელთა ბულვარი დავტოვეთ და რივოლის ქუჩისა და ტიუილ-რისაყენ დავეშვიეთ. მარი-როზი დავარწმუნე, ფიცი მივეცი: არასოდეს შევიცვლები, თუნდ მინისტრიც გაგხდემეთქი.

— თქვენთვის, მარი-როზ, მე მუდამ ტეოდორი ვიქნები, ხომ გჯერათ?

— შინდა დაგიჯეროთ.

— მაშ; თქვენ გასუროთ, იგივე დავრჩე?

— ცვალებადობა არ მიყვარს.

— ნეტავ ვინ არის ეს ტეოდორი, — ვთქვი თითქოს ჩემთვის, — რომელიც არ გინდათ, რომ ოდესმე გამოიცვალოს? რა როგორ მსურს მისი გაცნობა.

მარი-როზმა გაიცინა:

— მე მას გიჩვენებთ.

— ის ხომ არ არის? — ჩემი სახე ქუჩის სარკეში დავანახე და ვკითხე.

— ის არის, მაგრამ სულ ისეთი არ არის. ჩქარა, წავიდეთ აქედან.

ტიუილრი გადავკვირით და სანაპირო ქუჩაზე გავედით. აქ თითქმის

არავინ იყო. ბოლოს ხალხს გავეცალეთ და მარი-როზმა ამოისუნთქა: ფარნები აანთეს. ჩვენ ფლორის პავილიონთან ქუჩას გადავდიოდით, რომ გაქანებული ცხენი შეგვეფეთა. მარი-როზის შეჩერება მინდოდა, მან ფეხი დაუსხლტა და თავი ტროტუარის კიდეს დაატყა, ცხენს თქარათქური გავიგონე, დავინახე მისი დაქიმული ფეხები, მხედარი ცხენიდან ჩამოხტა. ეს იყო პატარა ულვაშიანი, ახალგაზრდა ოფიცერი, გვერდზე ტყავის ჩანთა ეკიდა. ოფიცერი ჩემს ახლოს, მარი-როზისკენ დაიხარა, იგი მიწაზე იწვა თვალდახუჭული, პირდაღებული. პავილიონის შესავალთან შედგომმა გუშაგმა მოგვაშურა. მარი-როზი წამოვაცუნეთ, მკლავები უღონოდ ეკიდა. მეორე ჯარისკაცმაც მოიბრინა, მარი-როზის თავსაფარი აიღო და ცხენს აღვირში ხელი ჩაავლო.

— აქეთ, — თქვა ახალგაზრდა ოფიცერმა და ფლორის პავილიონისკენ წავიყვანა.

თაღქვეშ შევედით.

— საგუშაგო შენობისაკენ? — ჰკითხა გუშაგმა.

— არა, მარცხნივ, — მიუგო ოფიცერმა.

ასე შევედით ტიუილრიში. ხელებზე დაწვენილი, გულწასული მარი-როზი მივყავდა. მინის კარი გაიღო. თბილი ჰაერი მეცა სახეში. მწვანე მცენარეებით სავსე, ფილებიანი ვესტიბული გავიარეთ, აქ აბანოსავით ცხელოდა. შემდეგ შევედით პატარა სასტუმრო ოთახში, სადაც შავი ატლასით გადაკრული სკამები იდგა, ატლასზე აბრეშუმის ძაფით დიდი წითელი და იისფერი ყვავილები იყო ამოქარგული. ვიფიქრე, მარი-როზს ერთ-ერთ ამ სკამზე დააწვენდნენ და წავილულ-ლულე:

— სუსტი სკამებია.

— როგორ? — მითხრა ოფიცერმა და შავი, წვრილი ულვაშითა და დიდი წათელი თვალებით დამშვენებული სახე ჩემკენ მოიბრუნა. მარი-როზი მის ხელებზე ზურგით იწვა, გუშაგს თავი ექირა, მე კი ფეხები.

— დივანზე, — თქვა ოფიცერმა.

მაშინ შევნიშნე დიდი, ცისფერი ქსოვილით გადაკრული დივანი. მარი-როზი ზეუღ დავაწვინეთ. ოფიცერს სახელოზე სისხლი მოსცეზბოდა.

— გააფრთხილეთ შორიგე ოფიცერი, ან ექიმი ბენეზი? — იკითხა მან.

— შუკე წავიდა მასთან, ჩემო ლეიტენანტო, — თქვა ჯარისკაცმა, რომელმაც მარი-როზის თავსაფარი აიღო.

— წყალი მომიტანეთ, — უთხრა მას ოფიცერმა.

ჯარისკაცმა დოქით წყალი მოიტანა და ხამი ტილოს პირსახოცები, სუფთა, უზნარი. ერთი მათგანით მარი-როზს თავი შეუხვციეს. ცხენის ქაჩაჩი მარი-როზს ფეხზე მოხვედროდა. ოფიცერმა წინდა ჩამოუწია უკან დავიხიე, მგონი, ვნებით შებყრობილმა. მუხლი დალურჯებული ჰქონდა. ამ დროს შეესერთუიანი, პატარა კაცი შემოვიდა, რომელსაც კუბოკრული ქსოვილის შარვალი ეცვა.

— ქალი დაშავდა, ექიმო. — უთხრა ოფიცერმა და ხელი ჩამოართვა. — ლემმა ცხენმა წააქცია ეს ქალიშვილი, ეს ახალგაზრდა ქალბატონი. — განაგრძო და მე შემომხედა, — თავი ტროტუარის კიდეს მიართყა. კიდეც ეს კრილობა აქვს. შეხედეთ.

მარი-როზს კენესა აღმოხდა და თვალი გაახილა. გარშენო მიმოიხედა, დამიძახა. ექიმი კრილობას შეეხო, მარი-როზმა იკივლა, მისკენ დავიხარე:

— წყნარად!.. გამაგრდით, მარი-როზ...

ის აქეთ-იქით დაბნეულად იცქირებოდა.

— სად ცხოვრობს ეს ლამაზი არსება? — მკითხა ექიმმა, თვითონ კი სინჯვას განაგრძობდა.

— სენტ-ანტუანის გარეუბანში, — ვუპასუხე.

— მე ორ კრილობას შევუხვვევ, — თქვა ექიმმა, — შემდეგ, კარგად რომ დაისვენებს, სანიტარული ეტლით შინ წაიყვანეთ. თავზე მძიმე კრილობა არა აქვს, მუხლზე მხოლოდ. ჩვენთვის საჭირო იქნება ლოჯინში წოლა ჰქვიანად. ეჰ! — განაგრძო მან და დაქრილს ლოყებზე ხელი მოუთათუნა. — ჩვენ ფერი დაგვიკარგავს?

ექიმი ლეიტენანტს მიუბრუნდა.

— თქვენი მსხვერპლი თავს ცუდად არა გრძნობს. მიერბივარ ჩემს კაბინეტში. მოვიტან, რაც საჭიროა.

— ჩემო ბატონო, — მომიახლოვდა და მითხრა ლეიტენანტმა, — მომხდარმა მარცხმა სასოწარკვეთილებაში ჩამავდო, მართალი გითხრათ, არა მგონია, რომ ეს ჩემი ცხენის ბრალი იყოს. ახალგაზრდა ქალბატონს ფეხი დაუსხლტა, და მე ცხენი მაშინვე შევაჩერე, როგორც კი შევძელ. ყოველ შემთხვევაში, მე თქვენს სრულ განკარგულებაში ვარ, ყველაფერში, რაც კი ქალბატონის სამკურნალოდ საჭირო იქნება, მიმსახურეთ. თუ იგი სადმე მუშაობს, მზადა ვარ ზარალი აუენაზღაურო. ექიმში ბენჯი უოველდლე შოვა მის სანახაეად, პასუხისმგებლობას მე ვკისრულობ.

ლეიტენანტს შადლობა გადაუხადე და დივანს მივაშურე, მარი-როზმა მიმისმო. ფერდაკარგულმა, ტუჩებგაფითრებულმა მკითხა:

— სადა ვართ? რა მოხდა? დავეცი?

— არა გიშავთ, მაგრამ ლაბარაკი არ შეიძლება. წყნარად იყავით! ჰო, მე თქვენთან ვარ, არ შეგატოვებთ.

მარი-როზმა განძრევა მოისურვა და კენესა აღმოხდა. შუბლზე მოვეუაღერსე. თვალი დახუჭა. მე კი მიგჩერებოდი მის თეთრ ფეხს, რომელიც შუბლზე შემოხვეული ბანდის ქვეშ მოუჩანდა. მინდოდა დაშავებულ ადგილთან დამეკოცნა მისი ტანი, რომელიც, ეკრძნობდი, მკერდები და ქორთა იყო. მაგრამ ეჭიმი მოვიდა და მარი-როზს მომაშორა. ოფიცერს მივუახლოვდი.

— ნება მიბოძეთ, გავეცნოთ, — მითხრა მან. — მაქსიმე დე რიოზი გახლავართ, ვმსახურებ დედოფალთან, როგორც ოფიცერი — აღიუტანტი.

მივესალმე და მეც გავეცანი. თანამდებობის დასახელება რომ მომიხდა. შევყუყუმიანი. მერე სხაპასხუპით ვუთხარ:

— საკანონმდებლო კრების წევრის ბატონ ავლოტის მდივანი.

— ავლოტი? — მითხრა. — ჰო! მგონი, ვიცნობ. დიდი, არა? კლუბების წმირი სტუმარია. მშვენიერმოუბარია.

ღიმილით დავუდასტურე. ოფიცერმაც გამიღიმა.

— მშვენიერმოუბარია. დიახ, — განაგრძო მან, — და საკმაოდ...

— საკმაოდ სულელი. — დავაბოლოვე, და ორივეს გავეციინა. შემდეგ მარი-როზისკენ მივბრუნდი.

— როგორა ხართ, მარი-როზ?

— ჩვენ აშტანი ვართ, — თქვა ეჭიმმა. — ჩვენ არა ვჩივით, თუმცა ძალიან ვტყვივა. არა უშავს რა, სანიტარულ ეტლს გამოუძახეთ? ეს ბავშვი ნახევარ საათს კიდევ დარჩება მშვიდად. მერე შესძლებთ გამგზავრებას.

— მინდა, რაც შეიძლება ადრე წავიდე, — ჩაიღულღულა მარი-როზმა. — შინ შეწუხდებოდნენ.

— გაგაცილებდით, — მითხრა ლეიტენანტმა, — მაგრამ სამსახური არ მიშვებს. ყოველ შემთხვევაში, ნება მიბოძეთ თქვენი ან ქალბატონის მისამართი გავიგო, ხვალვე ვიკითხავ მის ამბავს.

ორმა კაცმა საკაცე შემოიტანა. მარი-როზი ზედ დავაწვინეთ და შინ წავიყვანე. ძია სიფრელენი კეისრის იანიჩარების გინებას მოჰყვა. პატარა კუზიანს თვალები გაუფართოვდა, დეიდას ზედი ზელში ჩასჭიდა და არ უშვებდა მაშინაც კი, როდესაც მარი-როზს დიდი ჭიფრთხილით ლოგინში აწვევდნენ. მთელი საღამო იქ დავრჩი, ვისადილე. შუაღამე

გადასული იყო. რომ წამოვედი. მარი-როზს ჩასთვლიმა, მაგრამ სახე მინც დაძაბული ჰქონდა, ტუჩებთან წაოქი ეტყობოდა.

მეორე დღეს მხოლოდ ნაშუადღევს გავთავისუფლდი. ეტლი დავიჭირავე და სიფრელებს ვეწვიე. ექიმი ბენეზი დილას ყოფილიყო, ეთქვა, საქმე კარგად მიდისო. მარი-როზი ვნახე. უკეთესად გამოიყურებოდა, ტუჩილი ღიმილით მიმიღო.

— რა სასაცილო ამბავია, — მითხრა მან. — არ ვიცი, ეს როგორ მოხდა ახლაც თვალწინ მიდგას, დივანზე მწოლარეს ხალხი რომ შემომხვეოდა... ეს თითქოს სიზმარი იყო.

ავადმყოფის დაქანცვა არ შინდოდა და მასთან ცოტა ხანს დავრჩი. სასადილო ოთახში გავედი, ოჯახის სხვა წევრებთან. იქ დამხვდნენ: ფერნანდა, მისი ქმარი, მრგვალი საყურეებიანი ღურგალი და ბეკერი, რომელიც თავის ცივ ბინაშო, ლათინთა კვარტალში, ვერ ჰქრდებოდა და ყოველდღე აქ მოდიოდა წიგნებითა და წვრილი ძეხვებითურთ. სამზარეულოში მოეწყობოდა. მარი-როზის ამბავს ვყვებოდი, რომ ვილა-ცამ კარზე დააკაკუნა. მაქსიმ დე რიოზი გამოჩნდა, ხელში კეპი ეჭირა, ავდექი, მივეგებე.

— ბოლიშს ვიხდი, — თქვა ლეიტენანტმა, — ქალბატონი სიფრელენის ამბის გასაგებად მოვედი.

— აი, მამამისი, ჩემო ლეიტენანტო. — ვუთხარი და მოხუცი სიფრელენი დავანახე.

სიფრელენი წამოდგა.

ლეიტენანტი ყურადღებით დააკვირდა მას, მერე თავი დახარა და ხელი გაუწოდა.

— ჩვენ, შემთხვევით, სადმე ხომ არ შევხვედრივართ ერთმანეთს? — წაილულულა ლეიტენანტმა.

— არ მაგონდება, ბატონო, — უპასუხა სიფრელენმა. მაშინ ლეიტენანტი მასთან სულ ახლოს მივიდა და მხარზე ხელი დაადო. სიფრელენი წელში გასწორდა, სახეზე გაკვირვება გამოეხატა. სულ ჩუმად ერთმანეთს რაღაც უთხრეს, ვერაფერი გავიგონე. ძია სიფრელენს შევამჩნიე, რომ ლეიტენანტისადმი მაშინვე პატივისცემა, თითქმის მოწიწება იგრძნო.

— სკამი! — გვითხრა ჩვენ. — სკამი შივართვით ლეიტენანტს! დაბრძანდით აქ, ჩემო ლეიტენანტო, თქვენს ოჯახში ბრძანდებით, ფერნანდა, ქიქები!

— ვერ გამომიტყვამს, როგორ მაწუხებს ეს უბედური შემთხვევა, —

თქვა ლეიტენანტმა, სიფრელებსა და ჩემ შუა რომ დაჯდა. — როგორ ბრძანდება ქალიშვილი? მინდა დავმშვიდდე.

— ჰო, დამშვიდებული ბრძანდებოდეთ, — უთხრა სიფრელებმა, — ყველაფერი კარგად მიდის.

— მისი სადღეგრძელო იყოს.

ჭიქა ჭიქას მიუჯახუნეს. როდესაც ლეიტენანტმა ჭიქა ბეკერის ჭიქას მიახალა, ჰკითხა:

— თქვენ, ბატონო, სტუდენტი ბრძანდებით?

ბეკერმა თავი გააცნო.

— მეც. — თქვა ლეიტენანტმა და ოდნავ გაწითლდა, — მიყვარს ფილოსოფია, მაგრამ მეტად ცოტა დრო მაქვს. თქვენგან, ალბათ, ბევრ რამეს ვისწავლიდი, თუ ასეთი შეხვედრა, ჩემდა სასიამოვნოდ, განმეორდება...

წუთით შეუღა, მერე ისევ მარი-როზზე განაგრძო საუბარი. კედლის საათმა სანიჯერ დარეკა. ავდექი.

— მეც უნდა წამოვიდე, — თქვა ლეიტენანტმა და ისიც წამოდგა. — ბატონო სიფრელებს, ხომ შეიძლება ავადმყოფის ნახვა? მხოლოდ კარებიდან მივესალმები. ხომ შეიძლება?

— მე წაგიყვანთ, — ვუთხარი.

მარი-როზის ოთახის კარი დავაკაკუნე და შევედი.

— მარი-როზ, — მივმართე, — აი ლეიტენანტი დე რიოზი, სურს სალაში ვითხრათ და თქვენი ამბავი იკითხოს.

— და პატიება გთხოვთ იმ მარცხისათვის, რომელიც თავდასა უნებურად მოგაყენათ, — თქვა ლეიტენანტმა და თავი დახარა.

მარი-როზმა თვალი გაახილა, ორივეს შემოგვხვდა და მადლობელი ვარო, ჩაიბუტბუტა. მე მივუახლოვდი.

— თქვენ დაისვენებთ, მარი-როზ... — მისკენ დავიხარე და დავუშობი:

— ცოტა ჩემზე იფიქრეთ.

გაიღიმა და ჩაილულულა:

— ძალიან გინდათ?

— განუსაზღვრელად.

ლეიტენანტმა წასვლა დააპირა. მარი-როზს მალულად შებლზე ვაკოცე. თვალებში შიში გამოეხატა; ხელი ჩაიქნია, თითქოს ჩემს მოსაშორებლად. მაშინ მე ვუთხარი:

— ნახვამდის, მარი-როზ.

— ნახვამდის, ტეოდორ, — მისი ხმა სულ ყრულ ისმოდა, თითქოს გაბზარული ყოფილიყოს. ჩემი სახელი სუნთქვას ამოაყოლა.

— ნახვამდის, ქალბატონო, — თქვა ლეიტენანტმა და პირნუქებიც კვლავ ვაიდა, — ნებას მომცემთ კვლავ გინახულოთ?

— დიახ, ბატონო, — მიუგო, — გმადლობთ, გმადლობთ...

— ლამაზი ქალიშვილია, — მითხრა ლეიტენანტმა, როდესაც ყველას გამოვეთხოვეთ და გარეთ გამოვედით. — გულს მოგიშვა, მისი კარგად ყოფნა რომ გავიგე. თქვენ, ბატონო, საით მიდ:ხართ? მე ეტლით მოვედი, როგორც არასამხედრო. ეტლითვე უნდა დავბრუნდე ტიუილრიზდე.

— ერთი გზა გვქონია, თუ შესაძლებელია რევოლის ქუჩამდე მეც გამოვყვებით.

ჩვენ ბასტილიასთან ეტლი დავიქირავეთ. გზაში ლეიტენანტი ძია სიფრელენზე, ფილოსოფოს ბეკერზე მესაუბრებოდა. ვატყობდი, იწვოდა სურვილით, რომ მარი-როზზე ლაპარაკი ჩამომეგდო. მე ვუცდიდი.

— კარგი ხალხია, — ვუთხარი. — დიდი ხანია მათ ვიცნობ. ხშირად ვხვდებოდი, როდესაც ვაქრობას მივდევი.

— თქვენ ვაქრობდით?

— დიახ, საქმე შეონდა გარეუბნის შეავეყებთან. მათ ყველას ვიცნობდი.

— რა საინტერესოა! — წამოიძახა. კითხვები დამაყარა. შემდეგ უეტრად მითხრა: — ალბათ, უწესო ადამიანად მთვლით, ისე შეგაწუხეთ ამ კითხვებით. ბოდიში უნდა მოგიხადოთ, მაგრამ... დიახ, ნება მომეცით გითხრათ, რომ მომწონხართ. მგონი, ჩვენ ერთი ასაკისა ვართ? კიდევ როდის წახვალთ იმ ახალგაზრდა ქალიშვილის სანახავად?

— ხვალ საღამოს, წასადილევს, თუ თქვენც მოხვალთ, სხვა ჩემს შეგობრებსაც გააცნობთ. ზადმე მახლობელ სამიკიტნოში შევიკრიბებით.

— მოვალ, — მითხრა მან. დიდი ქათინაურებით გამოვეთხოვეთ ერთმანეთს, ხელი მაგრად ჩამოვართეთ, ალტაცებული ვიყავი. მთელი დღე მაქსიმ დე რიოზზე ვფიქრობდი. წარმოვიდგენდი, რომ მარი-როზი მასაც შეუყვარდებოდა. ჩვენ, შე და მაქსიმე, საშინლად უბედური ვიქნებოდით. შეიძლება იგი მარი-როზსაც შეჰყვარებოდა. განა შეგი მიყვარდა მარი-როზი?

მეორე საღამოს, როდესაც იგი ლოგინში მწოლარე ვნახე, ჯერ კიდევ ფერმკრთალი იყო, მის გვერდით პატარა მაგიდაზე მღგომი ლამაზა

უნათებდა საბეს. მ-მოვიბეღე. ფანჯარასთან, საკრავი მანქანის წინ, იდგა დიდი წნელი სკამი, რომელიც მის სასთუმალთან დაუღვი და დავექვი.

— როგორ მაწუხებს, მარი-როზ, თქვენი ავადმყოფობა, — ვუთხარი ჩუმად, — თავს როგორ გრძნობთ? დღეს კიდევ იყო ექიმი?

— ამ დღით იყო... — მითხრა და მერე დაუმატა: — ლეიტენანტთან ერთად.

— ლეიტენანტთან ერთად? აკი მითხრა, ამ საღამოს მოვალო! აქ შემოვიდა?

— არა, იგი სახელოსნოში დარჩა, შამასთან საუბრობდა.

— ვმ! მეტად თავგამოდებული შეყვარებულია.

— თქვენ ეს არ მოგწონთ? — მითხრა კეკლუცად, რაც მარი-როზისთვის უჩვეულო იყო.

— მარი-როზ, თქვენ დამცინით, ეს ცუდია, რატომ დამცინით? ეს გართობთ?

და როგორც წესად მქონდა, ვეკითხებოდი:

— გართობთ, რომ ლეიტენანტზე ვეკვიანობ?

— ტოდორ, რა უფლებით ეკვიანობთ?

— უწინარეს ყოვლისა, თქვენი მხრით უადრესი ღიღსულოვნება იქნებოდა ის კაცი შეგყვარებოდათ, რომელმაც კინაღამ მოკლათ. მაგრამ ასეთია, ქალები, ისინი უნდა შეაშინო, მიწაზე დაინარცხო, ძვლები დაუმტვრიო!

— ტოდორ, თქვენ არ მიპასუხეთ: რა უფლებით ეკვიანობთ?

— თქვენ რომ გიყვარდეთ, შეიძლება, მაგრამ...

ასეთი მსუბუქი საუბარი სხვა ქალებთანაც მქონია, ცეცხლს გარშემო უტრიალებ, მაგრამ არ იწვი. მე კი, ყოველ შემთხვევაში, არასოდეს ამ ცეცხლზე არ დავმწვარავარ. მაგრამ ახლა ამ სისულელეს გულადგერებული ვამბობდი. მხოლოდ ამის ჩმახვა შემეძლო, მხოლოდ ეს თამაში ვიცოდი. მაგრამ ყველაფერი ეს, რასაც მანქანასავით ვაკეთებდი, ამ ახალ ამალელებელ მდგომარეობასაც შეეგუა და ამ ჩმახვისაგან ფარულად უხერხულობასაც ვგრძნობდი. წამოვდექი.

— დალლა გავნებთ, მარი-როზ. დაისვენეთ, თვალი დახუჭეთ, ხელები გამართეთ, აი ასე... ხომ შეიძლება შუბლზე გაკოცოთ... როგორც გუშინ? ჩუმად! არაფერი თქვათ.

შუბლზე ვაკოცე და ქურდივით გამოვიპარე. სამზარეულოში ძიასიფრელები, ბეკერი და სამოქალაქო ტანისამოსიანი ლეიტენანტი დერიოზი დამხვდა, ლეიტენანტს სერთუჟი კურტკაზე ნაკლებად არ შეე-

ნოდა. სახეზე დავაკვირდი და გააკვირვებული დავრჩი. აქამდე მისთვის ყურადღება არ მიმიქცევია. სამხედრო ფორმა ადამიანში ყოველივე ჩნდივიდუალურს შლის და ყველა ადამიანს ერთიმეორეს ამსგავსებს. ახლა შევნიშნე მისი ცისფერი, ღრმა, ალერსიანი თვალები, აკოკრებული უღვაშის ქვემოთ კოხტად მოხაზული ტუჩები; პატარა, ოდნავ დამცინავი ქვედა ბაგე, ცოტათი გამოწეული. ეს ტუჩები შექმნილი იყო იმისათვის, რომ სიტყვები მკაფიოდ და დაცინვით გამოეთქვა. ასეთი გამოთქმა პარიზულ კილოს მომხიბვლელობას ჰმატებს, რასაც კომედიებსა და პაროდებში კარგად იყენებენ.

— თავს როგორა გრძნობს? — მკითხა შაშინევე ლეიტენანტმა. კარგად არის-მეთქი, ვანიშნე.

მერე მკითხა:

— შეიძლება ვნახო?

ვუღქვაობა გამოვიჩინე და ხელით შევაჩერე.

— მარი-როზი თავს დაღლილად გრძნობდა და ძილს ისურვებდა.

— მე არ მოვიტხოვ, — მითხრა მან. — მით უმეტეს, ამ ნაშუადღევს შითხრეს კარგად არისო; ბენეზის მოყვევი. იგი მოხიბლულია თავისი ავადმყოფით.

— ფერნანდა და ეს ბიჭი აქ დარჩებიან, მარი-როზთან, — თქვა სიფრაელენმა. — ჩვენ კი მეგობრები ვინახულობთ. თანახმა ხართ?

გზაში მაქსიმ დე რიოზმა მკლავში ხელი გამიყარა და მითხრა:

— თქვენი ავლოტი როგორა ბრძანდება? მითხრეს, მომხიბვლელი ცოლი ჰყავსო.

— მომხიბვლელია.

— რა ჭანდაბაა! — თქვა და პალტოს საყელო აიწია, — ცივა სენტანტუანის გარეუბანში!

ძია ავრილის სამიკიტნოში შევეუხვეით და ღუქნის უკანა ოთახში გავედით. ესულ დე რენო და ლინდენი, ემიგრანტი გერმანელი, აგრეთვე მრგვალ საყურიანი ხურო უკეთ აქ იყვნენ.

— ნურათრის გეშინიათ, — თქვა სიფრაელენმა და ლეიტენანტი წინ გაუშვა, — ჩვენთანია.

სუფრას მოვუსხედით. მიეიტანმა, რომელსაც მსხვილი ხელები და ემკლავებინა, შუაზე ბოთლი და ქიქები დაგვიდგა. ბეკერმა თავის ჩიბუხს ცეცხლი მოუკიდა და ლინდენს რამდენიმე სიტყვა უთხრა გერმანულად.

დაუღვევრად გამოსკენილ შავ პალსტუხთან უფრო მკაფიოდ ჩანდა მისი ფერმკრთალი სახე. ბეკერმა უკანასკნელი სიტყვები რომ წარ-

მოთქვა გერმანულად, ლინდენმა მხრები აიჩეჩა და წამოიძახა: „ეჰ!“ მერე მშვენიერი ფრანგული გამოთქმით, მაგრამ გესლიანად და გარაკვევით უპასუხა:

— ბოლოს და ბოლოს, განა ვიცი, ვინა ვარ?

თავზე ხელი შეშოიღო და უძრავად დარჩა სახედაქანცული. შერე მაქსიმ დე რიოზს მიაპყრო თვალი.

— მე მგონია, გავიგონე, როდესაც ერთმანეთს გაგვაცნეს, რომ თქვენ ოფიცერი ბრძანდებით? მართალია, ახალმობრძანებულო? მაშ, მოემზადეთ, რომ ჩემს ძვირფას თანამემამულეებს ყელი გამოლადროთ, თუ, რასაკვირველია, ჩემი თანამემამულეები ნამდვილად ჩემი თანამემამულეები არიან, რის გაგებაც ძალიან შინდა.

ჩამდენიმე სიტყვა კიდევ უთხრა ბეკერს გერმანულად და სიცილი შესკდა. მაქსიმ დე რიოზმა მას ცივად შეჭედა და არაფერი უპასუხა. სიფრელენი ოფიცერს მიუბრუნდა და ჰკითხა:

— იქ, სადაც თქვენა ხართ, მართლა ლაპარაკობენ ომზე?

ლეიტენანტმა თავის დახრით დაუდასტურა.

— ომზე სად არ ლაპარაკობენ? — წამოიძახა ლინდენმა. — მე მხოლოდ ვისურვებდი, რომ თქვენში ომზე იმდენი ილაპარაკონ, რამდენსაც გერმანიაში ლაპარაკობენ! დიახ, სცადეთ, ჩემო ძვირფასო ფრანგებო, ერთხელ მაინც იყოთ სერიოზული!

დიდი ჰიქა ღვინო გადაჰკრა.

— რის თქმა გწადიათ? — ჰკითხა ეულ დე რენომ და თავი ასწია. მაქსიმ დე რიოზმაც თვალი გაუსწორა. ორივე გერმანელს მიაჩერდა.

— შინდა ვთქვა, — განაგრძო გერმანელმა, — თუ იომებენ, ნამდვილი ომი უნდა იყოს და არა პირადი. მე გაფრთხილებთ: გერმანიას ხუმრობა არ უყვარს.

— მართალია, — თქვა ვილაცამ, — რომ გერმანია მეომართა ქვეყანაა.

— გერმანია პატრიოტების ქვეყანაა, — უპასუხა ლინდენმა.

— დახეთ! მაშ ჩვენ პატრიოტები არა ვართ? — წამოიძახა სიფრელემმა და წვერზე ხელი მოიკიდა.

1 — თქვენა? — თქვა ლინდენმა და სიცილი შესკდა, — თქვენ, ფრანგები, როდესაც ომობთ, გასურთ მართალი იყოთ. ეს არ არის პატრიოტიზმი, თუ, რასაკვირველია, თქვენ პირმოთნე არა ხართ, რაც შესაძლებელია, ან ჩერჩეტი, მომისმინეთ. სამშობლოს სიყვარული მხოლოდ ერთნაირად შეიძლება და ამნაირი სიყვარული პრუსიელებმა იციან. ამდაგვარი სიყვარულით, თუ მიუშვებთ, მთელ მსოფლიოს დაიპყრო-

ბენ. ასეთი სიყვარული კი თქვენი ნაპოლეონის ღრვიდან მოდის. ჯერ კიდევ ბავშვი ვიყავი, რომ ყურები გამოჭედილი მქონდა იანის¹ სიტყვებით. მე ვნახე სტუდენტები, უნივერსიტეტის წინ რომ წიგნებს სწავლენ. მივით ბისმარკს გასაქანი, და ხვალვე დაინახავთ, რას ნიშნავს თავისი ქვეყნის სიყვარული, თავისი ქვეყნის ერთადერთი სახის სიყვარული, პრუსიული პატრიოტიზმი. თუ გინდათ სიცოცხლე შეინარჩუნოთ, საფრანგეთი პრუსიულად უნდა იცოცხრო. მაშინ სამართლის ძიებას არ დაიწყებდით, რომ ევროპაში დაგემყარებინათ თავისუფლება, ძმობა და თანასწორობა. აღარ იქნებოდით ერთა განთავისუფლების იდეის თავგამოდებული დამცველი. იომებდით მხოლოდ ომისათვის, რადგან ფრანგები ხართ, ამქვეყნად გარდა ფრანგებისა ვერავის აიტანდით და მხოლოდ ერთი მიზანი გქმნებოდათ: სხვა ხალხების გაუღეტა. აი წამდელი, ერთადერთი პატრიოტიზმი. სხვა პატრიოტიზმი გერმანელებმა არ იციან. ეს კარგად ვიცი მე, რომელიც ჯერ კიდევ გერმანიის ნაფლეთი ვარ! დიახ, მეც შემოიპყრობს ზოლმე ეს ციებ-ცხელება, (თუმცა ვერმანელებმა გამდევნეს,) სამშობლოს სევდა და რკოს ჭამის შმაგი სურვილი. გერმანელთა ტყის რკოსი! ეჰ, ჩემო შეგობრებო, თუ რკოთი ნაკვები ხართ, გავიძნელდებათ ჩაიხშოთ ფორთხვის სურვილი. ან თქვენ, ფრანგებოც, რატომ დაოთხილი არ დადიხართ? შეზობელი გიწვევთ და თქვენს საზღვრებს იქით ღრუტუნით გადაკატრილ-გადმოკატრილდება. დაგიჩემებიათ, პროგრესს, ცივილიზაციასა და ჭაერთოდ სინათლეს ჩვენ უნდა მივუძღოდეთო. კიდევ ერთხელ გეკითხებით: პირმოთნეები ხართ თუ ჩერჩეტები? იცით, თუ ყველაფერს ავწონ-დავწონი, ვრწმუნდები, რომ პირმოთნეები ხართ. დიახ, ევროპაში ამბობენ, რომ თქვენ მატყუარა ერი ხართ. აი, რა მოიგეთ, იდეალს რომ გამოედევნეთ. შეუძლებელია ორი ბატონის მსახური იყო. როდესაც თითოეული ერი ნაციონალიზმის ყველაზე უფრო შმაგ მდგომარეობას მიაღწევს, მაშინ თქვენი ტყუილები მთელი მსოფლიოს ზიზლს გამოიწვევს. საფრანგეთის შესენებაზე იგი ცხვირზე ხელს მოიქერს; თქვენც, როგორც სხვები, გააფთრდებით, მიუხედავად იმისა, რომ ბევრს ყბელობთ გონებაზე, თავისუფლებასა და სამართლიანობაზე. როდესაც თავით ფეხამდე შეიარაღებულნი კვლავ ალაპარაკდებით გონებაზე, თავისუფლებაზე, სამართლიანობაზე, ზიზლით ზურგს შეგაქცევენ და გადააფურთხებენ. ჩვენ კი, გერმანელებს, გვინდა ამერიიდან ისეთ ადამიანებად

¹ ფრიდრიხს ლიუდვიგ იანი, — გერმანელი პედაგოგი, გასამხედროებული ტანჯარჯისის შემომღები.

ჩაგვეთვალონ, როგორცა ვართ; პატიოსან, უბრალო და მართალ ადამიანებად. ჩვენთვის კი მხოლოდ ერთი ჭეშმარიტებაა: გერმანული ტყე, შიგ ქოხები, ველური ხალხი, რომელიც ტორის¹ უროს ატრიალებს. ყოველივე დანარჩენი, ყოველივე, რაც თქვენ ჩვენში იტყვართ, ჩვენი პოეტები, მუსიკოსები, ყველაფერი არარაობაა, მერწმუნეთ. ჩვენ ვცნობთ მხოლოდ ისეთ პროგრესს, რომელიც შეიძლება ომის ტექნიკას გამოადგეს. სამშობლოს არ სჭირდება არც ფილოსოფოსები და არც რაიმე ახლის შემოღება. ჩვენთვის, გერმანელებსთვის, ახლის შემოღება არის ველშების² დაცემის ნიშანი, საზიზღარი გავლენა, რომელიც ნერვებს გვიშლის. ამისგან უნდა დავიცვათ ჩვენი ძველგერმანული ქველობა. ეს კი თქვენთვის უნდა იყოს მომაკვდინებელი ანაორთქლი, რომელსაც პრუსია მოსაწამლავად გიგზავნი. არა, სამშობლო თავის წარსულთან უნდა იყოს დაკავშირებული და ამის გარეშე ყველაფერი დაამსხვრიოს. თქვენ კი, ფრანგებო, ეცადეთ შეიგნოთ: პრუსიას კი არ ეზიზღებით, მას მხოლოდ თქვენთან ბრძოლა სწადია. მაგრამ გეშუღარებით, თუ თქვენც გინდათ ომი, ეომეთ წმინდა გულით და არა თავისუფლებისა, ან პოლონეთისათვის, ან კიდევ რა ვიცი, რისთვის. აწარმოეთ ომი ომისათვის. წმინდა პატრიოტიზმის გამო. თქვენც მებრძოლი ხალხი ხართ. თქვენც იცით ბრძოლა. მერე? გარწმუნებთ, რომ პრუსიელი გენერლები მზად არიან პატივი სცენ თქვენს გენერლებს, ისინი თვის სწორად ან მასწავლებლად მიიჩნიონ. და თქვენი ნაპოლეონი რომ ჩვეოლუციური იდეებით არ ყოფილიყო შეპყრობილი, სათქმელი არაფერი გვექნებოდა, ნაპოლეონისაგან დამარცხება გერმანელებისათვის სიხარული იქნებოდა, სამაგიეროსაც მოგიზღაოდნენ. ამისათვის კიდევ ემზადებიან. მაგრამ იყავით გულწრფელი! ისარგებლეთ შემთხვევით. მერე ეს რა უბრალო რამ არის! აღარ გექნებათ ეჭვები, არც სინდისის ქენჯნას იგრძნობთ, არც მღელვარებას.

საფრანგეთი მეომარი ქვეყანაა, ვერმანიაც ასეთია. ისტორია შეიძლება იყოს მხოლოდ დაუსრულებელი ომი ამ ორ დიდ, კეთილშობილ, გამირულ და წმინდა ტომს შორის. თქვენ აზრად მოგივათ რკინიგზის გაყვანა, იგი სასწრაფოდ გააკეთეთ; რკინიგზა შეიძლება ჯარის გადასაზიდად გამოგადგეთ, ღრმად ჩაუფიქრდით, გულწრფელად თქვით, განა ყოველთვის მაღალი მიზნისათვის ომობდით? მექსიკაში

¹ ტორი — გერმანელთა ომის ღმერთი.

² ველშები — პირველად სახელი კელტებისა გალეთში.

თქვენი წასვლა განა მალალმა მიზანმა გამოიწვია? თქვენ კარგად ხე-
დავთ. თქვენი იაკობინელობა განზე გადასდეთ. იყავით კარგი ფრან-
გები პრუსიულად, ძველი ფრანგები. ამისათვის ყველაფერი გაქვთ,
რაც საჭიროა: მორალი, ტრადიცია, ტრიუმფის თაღები, ლეგენ-
დები. თქვენც 'ყავთ ჯარში დაქირავებული, სიკედილის ჰუსა-
რები, თეთრი ბეგთაროსნები. თავი ანებეთ ლიტერატურას, ფიზიკას,
მეტაფიზიკას, ყველაფერს, რაც ომს გავიწყებთ, ყველაფერს, რაც
სამშობლოს გავიწყებთ. იმდერეთ მხოლოდ გმირული პიმნები, რომ-
ლებიც შემოგვბრუნებენ ბრძოლისათვის აღანთებენ. თქვენც დასწვით წიგ-
ნები. აღარ მინდა ამ „მშვიდობიანობის მარსელიოზის“ გაგონება, არც
ეს სასაცილო ელეგიები, რომლებიც ბუნებით მეომარ ხალხს ან შეშ-
ვენის. ყველაფერი ეს თაღლითობაა, გეუბნებით, ან უდიდესი დალა-
ტი. თქვენ რომ პატროსნების გრძნობა გქონდეთ, განათლებული პატ-
რიოტები რომ იყვეთ, ლამარტიქს ჩამოახრჩობდით. მაშ გამოტყდით,
რომ ომი გიყვართ! მაშ თქვენ გერმანიაც გიყვართ, ეს ძვირფასი, მა-
რადუცკელეზი მოქიშპე. მაშ, ასე: მხოლოდ და მხოლოდ გერმანიაზე
იფიქრეთ, გძულდეთ, იგი, მიჰბაძეთ მას. რატომ? თქვენც არა გაქვთ
ანტისემიტობა? რატომ თქვენც არა ფიქრობთ ებრაელების ამოყლე-
ტას? რატომ, გეკითხებით, უვარგისო პატრიოტებო, ცერცეტა, უგუ-
ნურო ფრანგებო?

— ესეც შეიძლება მოხდეს, — თქვა ჰიფრელენმა, — ამაზეც ფიქ-
რობენ.

— გისურვებთ ამაზედაც იფიქროთ! — წამოიძახა ლინდენმა. გულ-
ზე ხელი დაიკრა, პირს დორბლი მოადგა. — არც ის ვარგა: იმდენად
ეძლევით თავდავიწყებას, რომ აქ ჩემნაირ უცხოელებს იღებთ, მზად
ხართ მთელი მსოფლიო გულში ჩაიხუტოთ. საფრანგეთმა მსოფლიოს-
თან ყოველგვარი ურთიერთობა უნდა გასწყვიტოს. საფრანგეთმა თა-
ვისი თავის გარდა არავინ არ უნდა სცნოს. საფრანგეთი და გერმანია
აი, დახურული ასპარეზი! ეჰ! მე თქვენ გასწავლით, რა არის სამშობ-
ლო. ეკვიანი ქალღმერთი, კართაგენის ქალღმერთი, რომლის გაუმა-
ძლარი სტომაქი განუწყვეტლად უნდა ივისებოდეს! დაბოლოს, ძარ-
ღებში სისხლი გაქვთ, მთვარის შუქი, თუ გეომეტრიის აქსიომები?
მავრამ, არა, მე არა ვცდები: თქვენ ომი გიყვართ, ავი დაგვიმტკიცეთ.
თქვენც იცით სხვებით ქვეყნების აღზრება, სოფლების გადაბუგვა.
ხალხის აწიოკება. თქვენ გიყვართ სისხლი, სისხლი! დიდი ხალხი ხართ,
დიდ ხალხებს კი სისხლი უყვართ. მაშ ასე, დაიწყეთ ომი და კარგა-
დაც იომეთ! აბა, ნახეთ, — დაამთავრა მან, ზველება აუტყდა, ხელმან-

დილი ტუჩებთან მიიტანა, — აი, ზომ ხედავთ, — მეც მიყვარს სისხლი. — და მან გვიჩვენა ვარდისფერი, შედედებულ სისხლის ნაფლეთებით გასვრილი ზელმანდილი და ღვინო დაისხა.

ყველამ თავი დაეხარეთ, ბეკერმა ჩიბუხს მოუტიდა და თქვა:

— სირცხვილით ვიწვი იმის გამო, რაც შენ ახლა ილაპარაკე. ბევრი რამ მართალი თქვი. დიახ, ხშირად გრცხვენია, რომ ადამიანი ხარ. მე მინდა მხოლოდ საფრანგეთი და აქ მყოფი ფრანგები დავიცვა. ჯანდაბას! შომხდარა, რომ ფრანგები სხვებს აპყოლიან და ომი დაუწყიათ... დოლი: რაკრაკებდა, მღეროდნენ „მარსელიოზას“, არა „მშვიდობიანობის მარსელიოზას“, არა, მეორეს. თქვენ იცით, როგორ მოხდა ყველაფერი ეს. მაგრამ მე ძლიერ მიყვარს საფრანგეთი. მამაპაპისგან გამიგონია, როგორ შემოიჭრნენ ჩვენში რესპუბლიკელები. ისინი, რასაკვირველია, ხიშტებით შემოვიდნენ... ფრანგები მაინც მშვენიერი ხალხია, ლინდენ. მაგრამ თქვენ ეს კარგად იცით, მე დარწმუნებულ ადამიანს ვაჭერებ. სხვანაირად თქვენ აქ არ იქნებოდით, ნაპოლეონის სურათს თან არ ატარებდით; პორტფელში გაქვთ ნაპოლეონის სურათი.

— აღარა მაქვს. დავხიე.

— კარგი, თქვენ ის გკონდათ. ნაპოლეონი რომ არ ყოფილიყო, გერმანიაში არ იქნებოდა იმდენი ადამიანი, რომელიც იმავეს ფიქრობს, რასაც დღეს თქვენ ფიქრობთ.

— ისინი. ძალიან წინ წავიდნენ! კჟუათხელთა ბრბო.

— და მერე! — წამოიძახა ბეკერმა და ეშმაკავით აღიმართა, სიფრელენს წვერში ხელი ჩაავლო, — შეხედეთ ამას. ასეთ ბალნიან ცხოველს მხოლოდ საფრანგეთში, პარიზში ნახავ! შეხედეთ ამას, ლინდენ! აი ის, იბრძოდა სენ-მეროსთან. 34 წელს, ამან განდევნა თებერვალში ლუი-ფილიპე, 48 წლის ივლისში აი ეს დანკრეს მკლავში, ერთხელ იქნებ თავიც წააგოს.

როდესაც აღტყინება დაცხრა, ბეკერმა წყნარად ვანაგრძო:

— ლინდენ, ყური დამიგდეთ, დავუშვათ... რას იტყოდით თქვენ, რომ საფრანგეთი გენერალი კი არ ყოფილიყო, რომელსაც უკან ჯარისკაცები და ზარბაზნები მისდევს, არამედ იგი იყოს... მაგალითად, ეს ჩვენ ვიყოთ?

კედელზე მიკრულ ლითოგრაფიულ სურათზე მიუთითა:

— ან ბლანკი?

— თქვენ არავინ დაგიჭერებდათ, — თქვა ლინდენმა.

— ეს რომ ბოდღერი იყოს? — მორცხვად ჩაილაპარაკა ქულ დე რენომ.

— ვინ? პოეტი? — წაშოიძახა ლინდენმა. — რას მიედ-მოედებით!..

— მაგრამ...

ბეკერს სურდა ლაპარაკში ჩარეულიყო, მაგრამ ქულ დე რენომ, ერთიანად ვაწითლებულმა, განაგრძო:

— მაგრამ ეს პოეტის ციხეში იჯდა. ეს რალაცას ნიშნავს... ჰოდა, საფრანგეთს რომ იგი წარმოადგენდეს და არა მისი მოსამართლენი?

— ვიცი, — თქვა ლინდენმა, — შეიძლება ასევე ითქვას, პანრიხ პაინე გერმანიის გენიის განხორციელებას წარმოადგენს. ასეთი ხუმრობა კჳუათმყოფელი ხალხის აღშფოთებას იწვევს. მაგრამ საფრანგეთისა და გერმანიის ომში ორ დევნილ პოეტზე კი აღარ ილაპარაკებენ, არამედ ნახევარ მილიონ ჯარისკაცზე, რომელიც მეორე ნახევარი მილიონი ჯარისკაცის წინააღმდეგ გაილაშქრებს.

მაშინ ბეკერმა თქვა:

— ომები, შინდა აგისხნათ... სიტყრელენი გამისწორებს, თუ ვცდები. საფრანგეთის ხალხს არ უნდა განუურისხდეთ იმისათვის, რომ ამ საუკუნის მანძილზე ასე უყვარდა ომი. ხალხს თანასწორობაზე ელაპარაკნენ და მთავრობებმა მალე მოისაზრეს, რომ ერთადერთი საშუალება ზალხისათვის ამ საუცხოო თანასწორობის შესაცემად ომი იყო. ჯარი შეიქნა ყოველგვარი იმედების შემცველ ადგილად. იქ მეჯინიბეს შეეძლო თავადი გამხდარიყო. იქ დამყარდა მზიარული და მგზნებარე ძმაბიჳობა, რასაც შეეძლო რევოლუციური გატაცება სხვა გზით წარემართა. ხომ დემოკრატია უნდოდათ? და ჰქონდათ დემოკრატიული ომი, შეიარაღებული ერი. ეს განა თანასწორობა არ არის? ამ ხნის განმავლობაში ბურჳუაზიას, რომლის სასარგებლოდ შემოტრიალდა ამ საუკუნის ყველა რევოლუცია, შეეძლო კვლავ გამდიდრება განეგრძო, პროლეტარიატს კი შიმშილისაგან სული ამოხდებოდა. გაუმარჯოს იმპერატორს, არა? და როდესაც ეს, მეორე, მოევლინათ, მაშინვე კვლავ მორთეს ყვირილი: იმპერატორს გაუმარჯოსო. მოელოდნენ, რომ დაუბრუნდებოდათ თანასწორობის სასუკვარი დიდება, საბანკო ძმაბიჳობა და ჩანთაში მარშლის კვერთხი. და კვლავ ემზადებოდნენ ევროპაში რევოლუციის მოსახდენად, ახლა უკვე ეროვნული პრინციპის ნიღბით, დაჩაგრული ერების გასათავისუფლებლად, იტალიის გასაერთიანებლად. აგრეთვე, კარგად დაიხსომეთ, ბანკირ ეეკერისთვის ნდობის მოსაპოვებლად. მე ვფიქრობ, ჩვენთვის ახლა ყველაფერი ეს ნათელია, არა? ხომ გათავდა ეს ბრწყინვალე, დიდებული ხუმრობა ნა-

ციონალური ომების შესახებ? მე ვფიქრობ, ჩვენ სხვანაირი თანასწორობა გვინდა, ვიდრე ისეთი, რომელიც იმით გამოიხატება, რომ შკლავზე რამდენიმე სირმა დაიკერონ. რას იტყვი, სიფრულენ? თქვენ, ავირ? ამიერიდან გეცოდინებათ: თუ მომავალში საფრანგეთი ოპს დაიწყებს, მოპყვებიან ლაპარაკს, ომი სწარმოებს ამაღა ამ პრინციპისათვის. ეპ! თუ მომავალში საფრანგეთი ომს დაიწყებს, აშკარა იქნება, ეს ომი მას მოუსურვებია.

— მერცა თქვას საფრანგეთმა ესა! — წამოიძახა ლინდენმა. — ეყოს გამბედაობა ამის სათქმელად. თუ ამ ომში ჩაებმებით, თქვენც, ყველამ, საქვეყნოდ მორთეთ ყვირილი, რომ ომობთ, რადგან ეს მოგწონთ. ეს მოგწონთ, რადგან სამშობლო გიყვართ, როგორც სასაქლავოს ჰაერის სუნთქვა. თქვით, რომ ომს იწყებთ არა სამართლიანობისა და კიდევ რალაც სხვა მიზეზების გამო! თავს გონიერ ადამიანს ეძახით, რადგან ყველაფერში გონიერ ნოსაზრებას დაეძებთ, მაგრამ სრული უგუნურება სწორედ ეს არის. ჩვენ, გერმანელები, ასე შორს არაფერს დავეძებთ, ვინაიდან ნათელი გონება გვაქვს. სცადეთ და ომში მიმაღალ პრუსიელს უთხარით, სამართლიანობის დასაცავად იბრძვიო! გლეხი იქნება იგი, თუ ბრანდენბურგელი აზნაური, თქვენს ცხვირწინ გადაიხარხარებს. ის იბრძვის თავისი გერმანული სამშობლოსათვის. თქვენც იბრძოლეთ ფრანგული სამშობლოსათვის!

— ან ბანკირ ექვერისათვის, — თქვა ელზასელმა.

— ის გარემოება, რომ ომის საბაზი ბანკირი ექვერდა, რომელიც დაღვრილ სისხლს თავის სასარგებლოდ იყენებს, ომის სიწმინდეს არაფერს აკლებს. ჰირმა წაიღოს! ჩვენცა გვეყვანან ბანკირები, თავადები, როსკიპები, რომლებსაც შეუძლიათ ომის ღროს გამდიდრდნენ. მაგრამ რად გინდათ, ამით მებრძოლებს სიამოვნება წაართვათ? სარწმუნოება იეზუიტების რომელიმე მონასტრისათვის ან რომელიმე პაპისთვის შემოსავლის წყაროს რომ წარმოადგენდეს, განა ეს აძნელებს იმათ ღვთისმორწმუნეობას, რომლებსაც ამქვეყნად ყველაფერზე უარი უთქვამთ, ცხოვრებას განდგომიან, დაუტოვებიათ ყველაფერი, რაც შეიძლება ადამიანს უყვარდეს, ოღონდ მომავალი ცხოვრების ბედნიერება დაიმკვიდრონ და რომლებიც შუალამისას საგანგებოდ დგებიან. რათა რბილი ადგილები მათრახებით აიქრელონ?

— ნუთუ საკმარისი არ არის ორი ანაოლეონი? — ჩაიბუტბუტა ეჟულ დე რენომ.

— თქვენი ანაოლეონები? — უპასუხა ლინდენმა და მხრები აიჩეჩა. — ჩვენ ჯერ არაფერი გვინახავს. თქვენ ლაპარაკობთ, როგორც

ფრანგი, რომელიც, ვიშორებ, პირმოთნეობით არის ეს გამოწვეული, თუ სისულელითა და თავმოწონებით, ომში ყოველთვის რაღაც ჰუმანურობას ჩაურთავს. თქვენ მუდამ ცივილიზაციაზე ფიქრობთ, ეს თქვენი კოპწიობა და ცბიერებაა. ასე ათას ადამიანს რომ აუღლებინებთ, იმის საშუალებასაც გამოიწვევთ, ამტკიცოთ, აქ ცივილიზაციის საკითხი დგასო. მე კი, როგორც გერმანელი, ისე გელაპარაკებით. მე ვიცი, ომი გერმანელებისათვის რა არის. ის, ომი, მე წამოვიღე ჩემს განდევნაში. აი, აქა მაქვს, სტომაქში. ამას დაინახავთ. თქვენც მოხვალთ ომთან. ფრანგული სამშობლო ჯერ არ დაბადებულა. თქვენც გექნებათ ეს წმინდა, პრუსიული პატრიოტიზმი, რომელიც ფუჟად სიტყვებს არ ისვრის, რომელიც მხოლოდ რწმენაა, ბრმა, მაღალი და სისხლს მოწყურებული. სიცილს მგვრით თქვენი ნაპოლეონებით. ისინი იდეოლოგები იყვნენ; პირველიც კი, დიდი ნაპოლეონი, თუმცა იგი ამას უარყოფდა! ის ჯარისკაცი იყო? ომის ღმერთი? ევროპას თავისი სამოქალაქო კოდექსი მოახვია თავს! ჰა! ჰა! შეიძლება თქვენ ამას რაინდობად სთვლით? ასე იქცევიან საეჭვო და არაკეთილსინდისიერი ვეჟილები, რომლებიც იქ მიძვრებიან, სადაც არაფერი ეკითხებათ. ამავე დროს, თქვენ რომ მოგესურვებინათ, ოჰ, თქვენ რომ მოგესურვებინათ იყოთ ისა, რაცა ხართ! მხოლოდ ომზე გეფიქრათ! აი რა იქნებოდა რაინდობა. რა კმაყოფილი იქნებოდა გერმანია, რომელსაც ეს გაეგება! რა პატივის გცემდათ! როგორ მტერს იპოვინდა თქვენი სახით სამარადისოდ!

ლინდენი სიცილით მიუბრუნდა მაქსიმ დე რიოზს, რომელიც გულხელდაკრეფილი უსმენდა.

— მაშ, ჩემო ოფიცერო, ამაზე იფიქრეთ.

სიჩუმე ჩამოვარდა.

— ძალიან მიყვარდა გერმანია, — ჩაილაპარაკა ოცნებაში გართულმა ბეკერმა.

— მეც მიყვარდა, — განაგრძო ლინდენმა. — მიყვარდა. მგონია, მიყვარს კიდევაც გერმანელი, რომელიც ჩემში არის, მეგობარო ბეკერ, ამ ახალგაზრდა ადამიანს თქვენ ხშირად ეუბნებით. — უჟღერე რენოზე ლაპარაკობდა, — რომ ცხოვრებაში არ ირჩევენო. მე ჩემს ბედს ვემორჩილები: მე გერმანელი ვარ. აქაც, პარიზში, სადაც ჩემი გერმანული ქურჩი გავიხადე. გერმანელად ვრჩები და ჩემი ხვედრი კიდევ უფრო რთულდება იმის გამო, რომ ებრაელი ვარ, თუმცა გერმანელად ვგვძნობ თავს, გერმანელებს არაფრად მივაჩნევარ. მათი ვაჟრები ვერ ჰგუობენ ქუდისა და ბეწვეულის ვაჟრებს. ამის გამო

მთელი ჩემი ბავშვობა მღელვარებაში უნდა გამეტარებინა. მე ებრაელი ვარ, როგორც ქულის ვაჟარი ებრაელი, და ამას წუთითაც ვერ დავივიწყებ. მე მყავდა ღიღედა, აცხობდა ღვეზელს, რომლებსაც ქრისტიანები არა სჭამდნენ. აქ კი ვერაფერს ვახდები, ქედი უნდა მოიხარო. მე ხომ არ ამირჩევიან. ბეკერ? ეჰ, თქვენ გინდათ ქვეყნის გარდაქმნა? მე კი გეუბნებით, რომ არსებობს ბედისწერა. არიან გერმანელები და ფრანგები, რომლებმაც ერთმანეთს ყელი უნდა გამოლადრონ, არიან ებრაელები, რომლებსაც ყველა უნდა სდევნიდეს.

ლაპარაკში ჩავერიე, რადგან ჩემში რაღაც ბუნდოვანი თრთოდა, ხელი ავწიე და ვთქვი:

— არა მგონია, რომ ბეკერს სურდეს თავისი ფატალიზმი აქამდე მიიყვანოს. იგი ფიქრობს, რომ ჩვენ უნდა ვიმოქმედოთ ორგანიული, ღრმა და აუცილებელი მიზეზების გამო და მივიღოთ, — როგორ ვთქვა? — ჩვენი პირადი პრობლემის მოცემულობანი. ხომ ასეა, ბეკერ? მაგრამ კარგად დაიხსომეთ, მე ვთქვი ვიმოქმედოთ-მეთქი. დიახ, ვიმოქმედოთ. დიახ, ბატონო ლინდენ, ჩვენ გვინდა ქვეყნის შეცვლა, თქვენც აგრეთვე. თქვენც გინდათ და ხელმძღვანელობთ თქვენი მონაცემებით, თანახმა ხართ, რომ იყოთ გერმანელი და ებრაელი. მერე თქვენ თავი უნდა დაიხსნათ სწორედ ამ მონაცემებისაგან, ნიატოვით გერმანია, მოიშორეთ აკვიატებული აზრი და თქვენი ებრაული მონობა, რადგან ესეც ერთ-ერთი საშუალებაა შეურიგდეთ ბედისწერას, სახეში რომ შეხედავ მას შესაბრძოლებლად. უნდა უარყოთ ისინი, ეს ერთი; მერე მეორე, რომ მათი განადგურებით ყველაზე უფრო საიდუმლო და ყველაზე უფრო გატიტვლებულ ბედისწერას მივადგეთ.

უეცარმა აღტაცებამ ამიტანა და ისე ვლაპარაკობდი, თითქოს ხელთ შეპყრა ჩემი ბედი, ვხედებოდი, რომელი მხრიდან უნდა მცემოდა იგი წასაქცევად და მთელ ძალას იქით მივმართავდი. და რამდენადაც უფრო გეცნობოდი ჩემს ბედს, იმდენად უფრო მეტს წინააღმდეგობას ვუწევდი მას.

— შენც, — წამოვიძახე და გულმოსული მივუბრუნდი ყულ დერენოს, — დიახ, შენ, ჩვენ შორის რას აკეთებ? მხოლოდ მოუსვენრობასა სთესავ, შენს მოუსვენრობას! რა ძლიერ გიყვარს იგი, თავს ევლები აქ არავენ არის შებყრობილი მოუსვენრობით. ყოველმა ჩვენგანმა იცის თავისი ჭირი, ყოველი მხრით აქვს შესწავლილი, როგორც რაღაც ნივთიერი, როგორც მალარო, რომელსაც თხრიან. საეჭვო აქ არაფერია: ერთი ღარიბია, მეორე ავადმყოფი, ეს ხელოსანი, ეს გერმანელი, ებრაელი და სხვა კი ის არის, ვისაც რა შეუძლია იყოს.

რაც შეუძლია იყოს და აქედან იწყებენ! ხომ ასეა, ბეკერ? კარგად მიემხვდარვარ? ზვალისთვის შეიძლება ყველაფერი შეიცვალოს. ერთი განიკურნება, მეორე ალარ იქნება გერმანელი ებრაელი. კოშმარი გაიფანტება, რადგან თავს მოგვახვიეს კოშმარი, რომლის დაფლეთააც ვცდილობთ თავპირის მტვრევით. უკვე დაბადებიდანვე გვიყვეს რალაც ისეთი, რომელიც ხელს გვიშლის ის ვიყოთ, რაცა ვართ.

— სწორედ ეს არის, მეც ჩენს თავს ვეძებ! — მომადხაა უფლ დე რენომ. — სწორედ ამის ძიებაში ვარ. რა ვარ? მითხარით, თუ იცით! თქვენგან მხოლოდ ამას ველოდები. შენ იცი ესა?

— თავისი თავი თვითონ ეძიე, ამოკვლიჯე, მოთხარე, მოჰხადე: დანახავ, რაც დარჩება. რადგან ბოლოს და ბოლოს, — წამოვიძახე და მივუბრუნდი ლინდენს, — ნუთუ ასე აუცილებელია და, მე ვიტყვოდი, გარდუვალცი: განა ეს სიმართლეა, რომ არსებობენ ფრანგები, გერმანელები და ებრაელები! ვის უნდა ასე იყოს?

— ღმერთს, — თქვა დინჯად ბეკერმა.

— ნუ ხუმრობ, — ვუთხარი მას.

— კარგი, — თქვა ბეკერმა, — ის, რაცა ვთქვი, არც ისეთი სისულელია. მაგრამ, თუ ეს თქვენ მეტად განყენებულად მიგაჩნიათ, ლინდენს მიმართეთ, ის ირონისტია, მაგრამ ამასთანავე გერმანელიც არის. ამიტომ ლინდენი ხუმრობას არ დაიწყებდს. ნაგრამ რადგან ის, ვგონებ, დაიღალა, მის მაგივრად მე გიბასუხებ. გინდათ გაგოთ, ვის უნდა მარად არსებობდნენ ფრანგები, გერმანელები და ებრაელები? ეჰ, ჩემო კარგო, თვით ფრანგებს, გერმანელებს და ებრაელებს. ფრანგებსა და გერმანელებს იმიტომ, რომ ერთმანეთს ებრძოდნენ, ებრაელებს კი იმიტომ, რომ დამარცხდნენ, ხომ ასეა, ლინდენ?

ლინდენმა დასტურის ნიშნად გადაიხარხარა. ბეკერმა განავრძო:

— მაგრამ შენ, ტეოდორ, უკვე ხვდები, თუ შენში ცრუ ღმერთებს დაამსხვრევ, დაამსხვრევ ყალბ ღმერთს, რაც შენ თვითონა ხარ, თუ ნაფლეთებად აქცევ ფრანგის, გერმანელისა და ებრაელის თვისებას, მაშინ მხოლოდ მიხვალ საშინელ ქეშმარიტებასთან. აღმოაჩენ ნამდვილ განსაზღვრას. შენ ფულისა და შიმშილის ქვეყანაში ხარ. გატყუილებენ, როდესაც ფრანგებსა და გერმანელებს მიგაკუთვნებენ. ლინდენ, ამას შენთვისაც ვლაპარაკობ: შენც გატყუილებენ, ებრაელებსა რომ მიგაკუთვნებენ, შეცდომაში შეჰყავხართ, გართობენ. შენ ეს კარგად იცი. საკითხი სხვა რამეს ეხება. საქმე ის არის იცოდე, მდიდარი ხარ თუ ღარიბი, მეტი არაფერი. რალაც მანქანებით საშინელ, მძიმე, აუ-

ტანელ მდგომარეობაში მოვიხდება ცხოვრება, თუ იმის გაგების შესაძლებლობაც არ გექნება, ცხოვრობ თუ არა, — ამ ორ მდგომარეობას შორის საზიზღარი განსხვავებაა. ხანამ ასე გაგრძელდება, ადამიანის მოღვა ამქვეყნად კიდეც არ იქნება. ჩვენ ჯერ მიწაზე არ ვარსებობთ.

— კარგი, — თქვა სიფრეულენმა და მსხვილი თითები მოკუმშა, — როდესაც ჩვენი მეგობარი ფილოსოფოსი ამბობს, ბედისწერას არ ირჩევენო, ამით იმის თქმა უნდა, რომ ადამიანები ბარიადის ან ერთ ან მეორე მხარეს იბადებიანო. ხომ მართალია? იბადებიან ან ექსპლუატატორებად ან ექსპლუატირებულად.

— პროლეტარიატს მხოლოდ ერთი მოვალეობა აქვს: მიხედეს, რომ იგი პროლეტარია, — განაგრძო ბეკერმა, — დანარჩენი თავისთავად მოვა. მე რე მისი ჯზა გარკვეულია.

— როდესაც მე ღურგლობა დავიწყე, — თქვა ჩუმად სიფრეულენმა, — მახსოვს... მეც სხვებივით ღატაკი ვიყავი, ასეთებს კიდეც ნახავთ შარონის ქუჩაში. მეც წყველ გადამყიდველებს ჩაეუვარდი კლანჭებში. ისინი არაფრად გაგდებენ და შენს მიერ გაკეთებულ ავეჯს ნახევარ ფასად ყიდულობენ. ასე არ უნდა ხდებოდეს, არა! — წაპოიძანა და მაგიდაზე ხელი დაჰკრა, — ნე ამას თავი დავაღწიე, მაგრამ უზომო შრომისაგან მეუღლე გარდამეცვალა. ავეჯს იგი აკრიალებდა, მთელ ლამეებს ათენებდა შრომაში.

გაფითრებული ქულ დე რენო წამოღდა.

— ჩემო მეგობრებო, — თქვა მან, — მე თქვენს შორის დარჩენაზე ვოცნებობდი, მაგრამ ეს შეუძლებელია. ამ საღამოს ამას ნათლად ვხედავ, ვიღრე ოდესმე.

მეგონა, ტირილს დაიწყებს-მეთქი. სახე დაემანჭა, ოფლიან შუბლზე კულულები მიჰკვროდა. თავი შეაქანა და ჩაილაპარაკა:

— მე მდიდარი ვარ.

— ეცი, — უთხრა ბეკერმა. — შენთვის ეს ძალიან ძნელია. შენ მდიდარი ხარ, გულკეთილი და გრცხვენია. მოიქეცი ისე, როგორც ტეოდორმა გითხრა: შენში ყველაფერი დაფლითე. შენ უფრო დაუნდობლად უნდა დაფლითო, ვიდრე სხვებმა. მაშინ შეიძლება იპოვნო ის ბედნიერი კრილობა, რომელიც ჩვენთან მოგიყვანს. და ეს მსკელობით გამოწვეული არჩევანი როდი იქნება. ხალხს არ უყვარს, როცა მხარს ისე დაუჭერენ. თითქოს ბიბლიოთეკიდან წიგნი წაუღიათო. სიყვარული ვიწინამძღვრებს: ეძიე კრილობა, კპოვე უბედურება.

— უჰ! — წამოვიძახე მე. — შენ ხომ პოეტი ხარ?

— მართლაც, — შენიშნა ბეკერმა, — პოეტობა საკმაო ნაკლია, ეს

დიდ წინააღმდეგობას წარმოშობს. მაშ იყავ პოეტი, იყავ პოეტი სასო-
წარკვეთილებამდე. ერთ საღამოს გითხარი: წერე-მეთქი ლექსები! წერე
და მერე დაფლითე. შეგიძლია შენში ყველაფერი გაანადგურო, გაა-
ნადგურო ფრანგი, გერმანელი, მდიდარი, მუშა, ბურჟუა. მერე ნახავ,
ყოველივე ეს როგორ, მოისპობა, რადგან ეს, რაც არსებობს, ბორო-
ტებაა.

— ჩვენ, — თქვა მოხუცმა სიფრელებმა, — ჩვენ ვიცი საშუალება,
როგორ მოვსპოთ ყველაფერი ეს. როდესაც საათი დაჰკრავს, ყველა-
ზე უწინ ჩვენ გავიგონებთ.

— მაშინ მე მკვდარი ვიქნები, — თქვა ლინდენმა და ხველება
აუტყდა.

VII

გარეთ რომ გამოვედით, ერთმანეთს გამოვეთხოვეთ. მე ბეკერს,
ჟულ დე რენოს, ლინდენსა და ლეიტენანტს ვავყევი. ცოტა ხნის შემ-
დეგ მე და ლეიტენანტი მარტო დავრჩით, სხვები ჩამოგვშორდნენ.
ჩვენ ტიუილისკენ წავედით.

— როგორ ებრძვის თავის თავს ეს გერმანელი? — მითხრა ლეიტე-
ნანტმა.

— თქვენ რას შვრებით? — მოუფიქრებლად ვკითხე.

— როგორ, მე?

— მე იმის თქმა მინდოდა: ყოველივე ამის შესახებ თქვენ რასა
ფიქრობთ? რატომ არაფერი თქვით? მინდა ვიცოდე, როგორ მოხდა,
რომ... მაგრამ თავს ხომ არ გაბეზრებთ?

— სრულიადაც არა.

— თქვენ ხომ დედოფლის სამსახურში ხართ...

— თქვენც ზომ ბატონი ავლოტის, იმპერატორის ოფიციალური
კანდიდატის, სამსახურში ბრძანდებით.

ერთხანს გაცეცხლებული დავრჩი.

— ეს მართალია, — ჩავილაპარაკე. — მაგრამ თქვენ უნდა იცოდეთ,
რა შემთხვევით მოხდა ეს.

— განა შემთხვევა საკმარისია, რომ თავი იმართლოთ? ადამიანი
ყოველთვის ამ შემთხვევის მსახურია, თუ იგი ჟულ დე რენოსავით
მდიდარი არ არის და მასავით თავისუფალი დრო არა აქვს თავის მო-
წოდებას ელოდოს, თუ მოწოდება მაშინვე არ მოდის. საზოგადოებაში
კი მაინც უნდა გამოჩნდნენ. ამიტომ დაუკვეთენ ხოლმე საზომის მი-

ხედვით გამოკრილ შეხედულებას და ელოდებიან. სეზონი გაივლის, და მოღას იცვლიან.

— ეს გაზვიადებულია. გარწმუნებთ, რომ ჟულ დე რენო, რომელსაც დიდი ხანია ვიცნობ, გულწრფელი ბიჭია და საუკეთესო განზრახვები აქვს.

— ჰმ! გულწრფელი... რა არის გულწრფელობა? საუკეთესო ზრანვები? მე გულწრფელი არა ვარ. მე დედოფლის ადიუტანტი ვარ, საღამო კი გავატარე... ვთქვათ, რევოლუციის მიმდევრებთან. თქვენ ეს გაკვირვებით, არა? მართლაც, მე უნდა დამესმინა სიფრელები, თქვენც დამესმინეთ... თავის შეწუხებად არა ღირს. პოლიცია ყველას გიცნობთ.

— პოლიცია მე მიცნობს?

— უეჭველად.

— რატომ ზომებს არ იღებს ჩემს წინააღმდეგ?

— იმიტომ, რომ თავის შეწუხებად არა ღირხართ, თუმცა პოლიციამ იცის, რომ სამიკიტნოს ბშირი სტუმრები ხართ და შუალამემდე დროს, საექვო საზოგადოებაში ატარებთ, შვენე თეორიებით ყელს ირეცხავთ.

— პოლიცია ბატონ ავლოტს რატომ არ აფრთხილებს?

— ამას არასოდეს არ იზამს.

— მან იცის აგრეთვე თქვენი... ურთიერთობა?

— დიახ. მე კიდევ წავიკითხე პოლიციის მიერ ჩემ შესახებ შედგენილი ერთ-ერთი მოხსენება. პოლიციისთვის უფრო მოხერხებულია, მე რომ ტიუილრიში ვცხოვრობ. რამდენიც სურთ მითვალთვალევენ, თუკი რაიმე სათვალთვალე აქვთ. ერთ დღეს, როდესაც მასაზში¹ ჩემს დაბინავებას მოისურვებენ, ეცოდინებათ, სად მიპოვნონ. ოჰ! როგორ ცივა...

ჯიბიდან აბრეშუმის ყელსახვევი ამოიღო და შემოიფუთნა. ცილინდრი ყურამდე ჩამოიწია. მხიბლავდა მისი დამცინავი ტუჩები, მკაფიო გამოთქმა და წარბების აწევა, რაც მისი სიტყვების ირონიას ხაზს უსვამდა. მაქსიმ დე რიოზი არაჩვეულებრივ და მომხიბვლელ ადამიანად შეჩვენებოდა, მის მსგავსს ჯერ არ შევხვედროდი.

— მაშ, მე სასაცილო როლს ვთამაშობ? — წამოვიძახე.

— როლს? მე ვფიქრობ, იმდენად პატივმოყვარე არა ხართ, რომ როლის თამაში ისურვოთ.

— სრულიად არა ვარ პატივმოყვარე.

— არ შეიძლება პატივმოყვარე იყოთ, ისე ჰკვიანი მეჩვენებით.

¹ მასაზი — პარიზის საპატრო.

— ვმადლობთ, — ეუთხარი დაცინვით, მაგრამ მისმა ნათქვამმა ძალიან მასიამოვნა და განვაგრძე:

— ვამაყობ, რომ არავითარი პატივმოყვარეობა არ გამაჩნია. თავს ვიწონებ, რომ პატივმოყვარე არა ვარ, შეიძლება ეს ჭკუით არ მომდის, მაგრამ მე ამით ვერთობი. ამას წინათ...

— ამის წინათ, რაც მე შეემთხება, ვთქვათ, როდესაც სულ ახალგაზრდა ვიყავი, არ ვიცოდი, რომ ვერთობოდი. ამ ასაკში კაცს არაფერი გაეგება, მაგრამ ახლა კი ვერკვევი: მე ვერთობი.

— ბევრს?

— ჰკვირს.

— ყველაზე უფრო რა გართობს? — მკითხა სახის საიდუმლო გამომეტყველებით და შკლავში, ხელი გამიყარა, — სანაძლეოს ვდებ, რომ ეს...

— მიმიხვდით.

— ცხადია, ყველაზე უფრო ეს გვართობს.

— აჰ! — წამოვიძახე ცეცხლმოღებულმა. — ეს ქალები მომიხიბვლელი არიან!

— გეთანხმებით.

— და მერე, — განვაგრძე მე და თან გავწითლდი, — როდესაც მარტო ხარ, ღარიბი, უმეგობრო, ესე იგი, არა გყავს შენს მდგომარეობაში მყოფი მეგობრები, რომლებსაც იგივე სიძნელები განუცდიათ, რაც შენ, და რომლებსაც ამ სიძნელების გაგება შეუძლიათ; როდესაც სრულიად მარტო ხარ, თითქმის განწირული დამარცხებისათვის და შენი ცხოვრება დაუსრულებელი დამცირებაა, როდესაც ვერავითარ გამოსავალს ვერა ხედავ და გეშინია...

— რისი?

— ყველაფრისა, განსაკუთრებით, ადამიანებისა: ისინი, ყველანი, ძლიერი არიან. თქვენ გარშემო, თქვენ ზევით მხოლოდ უფროსები არიან. მუდამ გეშინია, ცუდად არ მიგიღონ, არ შეუარაცბყონ, არ დაგსაჯონ, არ დაიგვიანო და არ დაჰკარგო ის, რაც ამდენი წვალებით მოგიპოვებია!

— ქალები რასა შერებია?

— ქალები... რასაკვირველია, საჭირო არ არის ყველაფერი მათ გაანდო. საჭირო არ არის, რომ ქალებს ეცოდებოდეთ. საკმარისია, ისინი თქვენს მახლობლად იყვნენ და დაუჯერონ მათთვის გათამაშებულ კომედიას და მერე, როგორ ვთქვა? ისინი კი არ განუგეშებენ, რადგან მათ თავისი თავის შესახებ არაფერს უამბობთ. მაგრამ ისინი

რწმენას გინერგავენ, გიბრუნებენ თქვენი ღირსების მცირე ნაწილს. გაჯერებენ, რომ ძლიერი ხარ, რომ არსებობ. განსაკუთრებით გარწმუნებენ, რომ იარსებებ, რადგან ისინი გშველიან, რომ მომავალი წარმოიდგინოთ, რომ მას გემო გაუსინჯოთ. ქალები...

— ვხედავ, ისინი თქვენ შეუბრალებლად არ გეპყრობიან. გილოცათ.

— არ იფიქროთ, რომ მე მსურს თავი დონ ქუანად წარმოგიდგინოთ. არ განმიზრახავს ჩემი გამარჯვება გაემარავლო. მაგრამ მე მსიამოვნებს, რომ ქალები ჩემ მახლობლად არიან. მომითმინეთ, მათი ქება ჯერ არ დამისრულებია. მივხვდი, თუ რა დიდ სამსახურს გვიწვევენ ქალები. ისინი ცხოვრებასთან გვათანასწორებენ. ხომ გაიგეთ, რისი თქმა მინდა? ისინი დიდ სიკეთეს მიშვრებიან. ჩემი არსებობა შესაბრაღისია, მაგრამ ქალების წყალობით, ზევით ავღრვარ, ვსუნთქავ. მაშინ მე ვრწმუნდები, რომ ამქვეყნად მარტო უფროსები და მსახურნი კი არ არიან, არამედ არის ყვაილები, ცეკვა, ჰასაცილო ამბები, და გაოცებული ვატყობ, რომ რაღაც ძალაუფლება მეცა მაქვს.

— მეც ხშირად განმიცდია იგივე...

— ოჰ! თქვენ, — წამოვიძახე, — საზოგადოებრივი მდგომარეობა გაქვთ. და რაც ყველაფერს სჯობს, გაქვთ მუნდირი! მუნდირი შესანიშნავი რამ არის!

— ეჰ! არ მოტყუვდეთ. მე აქ 'ისე გავები მანში, როგორც თქვენ სხვა ადგილას, ნამდვილად კი საცოდავ ცხოვრებას მივაჩანჩალებ: პატარა აზნაურობა, სიღარიბე, ბანქოს მოთამაშე მამა და ავანტიურისტი, რომელმაც დედაჩემის საუბედუროდ მადრიდში შეირთო ფრანგი ქალი, მკერავი მონტიუოს ქალიშვილებისა. დაგვიანებით გამიხსენეს. დაქვრივებული დედაჩემი პარიზში სამსახურში მოეწყო, მე კი სწავლა დამაწყებინეს. თქვენ იცით, დედოფალი ძალიან გულკეთილია... გულწრფელად გეუბნებით.

მან მწარედ ჩაიციანა. ჩვენ ლუერთან მივედით და წყლის ნაპირას გალერის მაღალ კედლებს მივყვებოდით.

— რა შორს წამოვედით!

— არა უშავს რა, — მითხრა მან, — კიდეც რამდენი რამ გვაქვს სათქმელი. მე მხოლოდ გთხოვთ, ნაბიჯს ავუჩქაროთ, სულ გავიყინე.

ტიუილრის ჩავუარეთ, კურ-ლა-რენის ხეივანებში გავისეირნეთ, ფლორის პავილიონთან მივედით, სანაპირო ქუჩაზე ვიხეტიალეთ. ერთმანეთს ვეღარ ვშორდებოდით. მართლა ციოდა, მაგრამ მშვენიერი, მშრალი, კაშკაშა ღამე იყო.

კითხვას კითხვაზე ვაძლევი, ვეკითხებოდი დედოფლის, იმპერატორის, სიფრელენის ამბავს.

— სიფრელენს წინადაც შეხვედრიხართ, არა?

— დიახ, ამგვარ შეკრებულებაში.

მან მარი-როზის ამბავი მკითხა.

— ისიც ხომ ერთი იმ ქალთაგანია, — მითხრა დამცინავი კილოთი, — რომელიც თქვენს არსებობას ეკლებს აცლის. მე ეს გამახარებდა, რადგან იგი ძალიან ლამაზია.

— არა, — ვუთხარი უბრალოდ, მერე დაეუმატე: — ისა, არ ვიცი. ის სხვა ვინმეა.

— ყოველ შემთხვევაში, თქვენთან შეხვედრას მას ვუმაღლი. არ დავივიწყებ.

სახეში ჩაეაცქერდი, რომ დავრწმუნებულიყავ, ხომ არ ხუმრობს-მეთქი. ეკლავში ხელი ჩამავლო, ხელი თავისი პალტოს ჯიბეში ჩამაყოფინა და ზედ ხელი ნაზად მომიჭირა.

— ჩვენ ხომ მეგობრები ვიქნებით.

— დიახ, ვიყოთ მეგობრები! — წამოვიძახე. — ჩვენ ყველაფერი გვაახლოებს და გვაკავშირებს.

— აწ მაქსიმი დამიძახე.

— შენ კი ტეოდორი. ხშირად ვინახულოთ ერთმანეთი!

— შენ მარი-როზზე მიაბობ, მე კი ყველა ჩემს საიდუმლოებას გაგანდობ. იცი, ამ საღამოს რა კუზომოდ ბედნიერი ვარ? და როდესაც შარტო ვიქნები სხვენზე, უხეირო ბინაში, რომელიც სასახლეში მაქვს! ტეოდორ, თუმცა სასახლეში ვარ, მაგრამ ასეთ სხვენზე ცხოვრებას არ გისურვებდი...

— მეც ასეთსავე საკუჭნაოში ვცხოვრობ, — წამოვიძახე. — ოჰ ეს ძალიან სასაცილოა. ყველაფერში ვგავართ ერთმანეთს.

— შეუძლებელია, ეჰ, კარგი, როდესაც ჩემს საკუჭნაოში დაგბრუნდები, შენზე ვიფიქრებ; ვიტყვი, ჩემს ცხოვრებაში ეს ყველაზე უფრო საკვირველი დამეა-მეთქი.

— მითხარი, მაქსიმ...

— რა?

— მარი-როზს არ შეიყვარებ?

— ეს ჩვენი მეგობრობის უცნაური დასაწყისი იქნებოდა. არა, მე გაიბობ, ვინ მიყვარს, თუ იგი მართლა მიყვარს...

— მიგიხვდი.

— ვინ?

— დედოფალი.

სიცილი შეგვესკდა. დავუბრუნდით ისევ ჩვენთვის ამოუწურავ ამბავს ქალებზე.

— როგორც შენ მელაპარაკე ქალებზე, ტეოდორ, მეც დიდი ხანია ასე ვფიქრობ, ხომ მომხიბვლელი არიან ისინი?

— მომხიბვლელი არიან, მაქსიმ...

— ტეოდორ, შენ ამას ყურადღება მიაქციე? როდესაც ელზასეღ ფილოსოფოსს შეხვდები, შენი აზრები გაუზიარე. მინდა ვიცოდე ამის შესახებ რას ფიქრობს. ხომ მეთანხმები, რომ ქალები კონსერვატიული აღამიანები არიან.

— ამით რა გინდა თქვა?

— დიახ, ქალი ხომ კონსერვატიული არსებაა? ისინი იცავენ საზოგადოებას, ოჯახს; მამაკაცს კერას არ აშორებენ, წარსულთან აკავშირებენ. სამშობლოც, რომლის შესახებაც გერმანელი გველაპარაკებოდა, იგიც ხომ ქალია?

— ის დედაც არის.

— და მაინც ამ ვნების წყალობით არის, რომ ქალები გვანთებენ და თვითონაც ცეცხლი ედებათ, რომ მამაკაცები ჰქმნიან, ესე იგი, სცვლიან, ანადგურებენ და ამსხვრევენ. ქალებს, მოვლეობის ქურუხთ, იზიდავს კანონის დამრღვევი და ფიცის გამტეხი მამაკაცი. ქალები მამაკაცს გამბრუნებისთვის აღანთებენ, აჯაღოებენ. ისინი მხოლოდ იმაზე ოცნებობენ, რომ წესებს დაუმორჩილებელი მამაკაცი მოხიბლონ და თვითონაც სიგიჟეს მიეცნენ.

— ეჰ! ყველაფერი ეს როგორ ართობს ადამიანს. — წამოვიძახე. — ამ საღამოს კარგი დრო გავატარეთ. მაქსიმ, — განვაგრძე უფრო დამშვიდებულად, — შეცდომა იქნება იმის თქმა, რომ ჩვენ ვერთობით? განა გართობა ცულია? ყულ დე რენოსავით ხომ არ მოვიქცევით, რომელიც ხან ერთი, ხან მეორე თეორიით ერთობა?

ყულ დე რენოზე დავიწყეთ ლაპარაკი.

— ერთ დროს მასთან დამეგობრება ნინდოდა, მაგრამ ყოველთვის რაღაც მაკავებდა. შენ, მაქსიმ, პირველ ნახვისთანავე შემიყვარდი, აი, მაშინ, მარი-როზს თავდახრილნი რომ დავცქეროდით.

— მეც, ტეოდორ, გული მიცემდა. არ ვიცოდი, ეს აღელვებამ, შიშმა, თუ ცხენიდან უცბად ჩამოხტომამ გამოიწვია. ამ აღელვების დროს ვიგრძენი, რაღაც ახალი შემოიჭრა ჩემს ცხოვრებაში.

— ჩემო მეგობარო, არა ვფიქრობ, ბატონი რენო ერთობოდეს, მას ამისათვის საკმაო სიღრმე არა აქვს. შენ კი, როდესაც ამბობ, ვერთო-

ბიო, და ამას სახის ბავშვური გამომეტყველებით ამბობ, ეს ნიშნავს, რომ გიყვარს.

მაქსიმსაც ბავშვური გამომეტყველება ჰქონდა, ნათელი თვალები და ტკბილეულობის მოყვარული ტუჩები.

— ჩვენ ძალიან გავერთობით, — წამოვიძახე, — ჩვენ ბევრ სიყვარულს განვიცდით. ერთმანეთი ძლიერ გვეყვარება. მაქსიმ, რა ბედნიერებაა! რა მშვენიერი ღამე გავატარეთ! და კიდევ რამდენ მშვენიერ ღამეს გავატარებთ!

კოლონადის კუთხეში ერთმანეთს მაგრად ვაკოცეთ და გამოვემშვიდობეთ.

ყოველი ნაბიჯის გადადგმაზე უკან ვიხედებოდით და დიდი ამბით ერთი-მეორეს ნიშანს ვაძლევდით. შთელი ღამე არ მიძინია.

მეორე დღეს ბატონმა ავლოტმა რამდენიმე დღის შვებულება მომცა. იგი თავის საარჩევნო უბანში გაემგზავრა. მისი არყოფნის დროს მხოლოდ წერილები უნდა გამეჩრია და მნიშვნელოვანი საქმეებისათვის თვალყური მედევნებია. სიცივე მატულობდა. ბულონის ტყეში ტბა გაიყინა. ჩემი ბიძაშვილები წავიყვანე იქ საციგურაოდ. თუმცა ვალერი თავისუფლად მოაზროვნე იყო, მაგრამ მარტო მინიც არ გაგვიშვა. თავისი სიმკაცრე რომ შეემციებინა, ქალიშვილებზე უფრო მეტად იგი გიჟობდა, წივილ-კვილით ყინულზე სამჯერ დაეცა, ფეხებაშვერილი.

კლემანსი და ადელაიდა მომხიბვლელნი იყვნენ. ყარყატის ფრთით გაწყობილი ხავერდის პატარა ქულები ეხურათ და პოლონელი ქალეზით ერთიანად ბეწვეულში იყვნენ შეფუთულნი. იმის შემდეგ, რაც მე ბატონ ავლოტთან სამსახური დავიწყე, ისინი მეც ისეთივე პატივისცემით მეპყრობოდნენ, როგორც ორ მამლაყინწას. მათს წრეში მოვხვდი და მერე რა ბრწყინვალე გზით უკვე აღარ ვიყავი პირქუში და განებვიერებული ავაზაკი: მათ დაუუახლოვდი, ჩემით თავს იწონებდნენ.

— შენ სასახლეში ბალებზე ივლი, — მითხრა ადელაიდამ, — მერე გვიამბობ...

ისინი თავის სინარჩარეს მინაწილებდნენ და სასახლის მანდილოსნებთან მგზავნიდნენ თავიანთ წარმომადგენლად. ის მაპატივეს, რაც ჩემს პიროვნებაში უკანონო და მოუსვენარი იყო. ვამართლებდი იმ ალერსს, რომლითაც დამაჯილდოეს. ამიერიდან მათ ცოდვად არ ჩაეთვლებოდათ, თუ ჩემს კოცნაში სიამოვნებას ჰპოვებდნენ. ისინი კოცნიდნენ მშვენიერ ბიძაშვილს, მომავალ მინისტრს. მათი კოცნა იმის მაგივრად, რომ ჯოჯოხეთში ცოდვად ჩაეთვალათ, იერარქიული გზით,

უბრალოდ მისი უდიდებულესობის დედოფლის ხელამდე მიადწევდა.

მე, რასაკვირველია, სინანულით ვიგონებდი იმ დროს, როდესაც ბიძაშვილები ჩემი მდგომარეობის შესამსუბუქებლად ყურადღებით მაჯილდოებდნენ. ამის შესახებ მაქსიმ დე რიოზს აღგზნებული ვუამბობდი. საღამოობით, ჩემს საკუჭნაოში, სინიღისის ქენჯნით ვუცქეროდი კრამიტთან სახურავს, ბარბიუშეს შუშაბანდიან, საბრალო შენობას, კანტორისა და სახელოსნოების ფანჯრებს, ამ მძიმე შრომის სამეფოს, რომელიც მივატოვე უფრო ადვილი და ფუჭი მონობისათვის. ვეუბნებოდი კრამიტებს: „ხომ მიცნობთ კიდევ?“ ფრონტონის ქალღმერთს მივმართავდი: „შენს მიწართ არასოდეს დიდ სინაზეს არ ვიჩენდი, მაგრამ ახლა მინდა ნაზად მოგეპყრო, შენ კი გეზიზღები“. მიუხედავად ამისა, ჩემი ბავშვობის დევები, კაციაშიები, ნესაკუთრემუატრიე, ბიძაჩემი ჟოზეფენი, ცენტრალური საწყობის ხალხი, ეს ბუმბერაზები მშორდებოდნენ, პატარავდებოდნენ, როგორც სურათები საბავშვო წიგნებისა, რომლებიც თანდათანობით. პატივს ჰკარგავენ, რა რომ ვარაყიანი ნატეფრი ყდა გაუხუნდებათ. უფრო საშინელმა სურათებმა შესცვალეს პირველი სურათები, იმდენად საშინელმა, რამდენადაც ისინი უფრო განყენებული იყვნენ და მათი ძალა არა მარტო ჩემს პიროვნებასა და ბედზე ვრცელდებოდა, არამედ ისტორიის ჩარხის ტრიალშიც მითრევდა; მეგონა, ქვეყნის მექანიზმს ვუახლოვდებოდა. მესმოდა ცენტრალური მანქანების ხმაური. უდიდესი შიში მიპყრობდა, ვიკარგებოდი, ველარ ვგრძნობდი თავს, ჩემს ძვირფას პატარა სისუსტეს და ჩემს პატარა კაცობას.

ტბაზე მშვენიერი ზამთრის დღე იყო. ბიძაშვილებისათვის ხელი ხელზე მეკიდა, დიდ წრეს ვაკეთებდით, რის გამოც ქარს ყურში ზუზუნნი გაჰქონდა, კლემანსსა და ადელაიდას კაბები ებერებოდათ და მაღალყელიანი ფეხსაცმელი და თეთრი წვივები მოუჩანდათ. ქალიშვილების სიცილი ჟღერდა გაყინულ ჰაერში. ვალერი რადაცას ხმამაღლა ჩმახავდა, რაც სიხარულს გვიორკეცებდა. ვხედავდი, მეც იმ ახალგაზრდა ვაჟების მსგავსი ვიყავი, გვერდში რომ ჩაგვივლიდნენ, მათსავით ვიყავი ჩაცმული, სახის გამომეტყველებითა და მიხვრა-მოხვრითაც ვგავდი მათ. ისინი კარიერას იკეთებდნენ. მეც ხომ ასე ვიქცეოდი? ამის წარმოდგენა საშინელემა იყო და ვიგრძენი, რომ გავწითლდი. კარიერა უნდა გავიკეთო? და უნდა გამოვტენილიყავ, ჩემს ახალ

უფროსთან თავი კარგად, მოხერხებულად მეჭირა. ვიცოდი მისი პირში შექება, ვაიძულებდი, რომ თავისი საიდუმლო პოლიტიკური ფიქრები ჩემთვის გაენდო. თავის ძვირფას ბავშვს ნებახდა. მოვხიბლე.

„ღიახ, — თავს ვეუბნებოდი ჩემს გასამართლებლად. — მოვხიბლე და მეტი არაფერი. მასთან თითქმის ისე მეჭირა თავი, როგორც ქალებთან იმისათვის, რომ ერთი წუთით მაინც მეფიქრა ადამიანად მთვლიან-მეთქი, ადამიანად, რომელიც არსებობს ან ცდილობს, რომ იარსებოს. რადგან მუდამ იმის შიში მაქვს, არ გამდევნონ და აქ აღარ ვიქნე. მაგრამ თუ მათ ყველას, ნოვხიბლავ, ისინი ნებას მომცემენ ცოტა ხანს მათთან დავრჩე და თავს მოვიტყუებ, მათს წრეს ვეკუთვნი-მეთქი. მე მხოლოდ ამით ვკმაყოფილდები. შეიძლება, მართლაც, მაქვს პატარა ნიჭი სხვას თავი მოვაწონო. სხვები ამით ისარგებლებენ, წარჩინებას რომ მიიღწიონ... მიიღწიონ!.. მე კი მცირე რამეს გთხოვთ“.

ეს ფიქრები ჩემს თავში ირეოდნენ, და სიმწარე-სიამოვნებას ვგრძნობდი. მერე ეს ფიქრები მიმოვფანტე, რათა სიმთვრალეს მივცე-პოდი და ბიძაშვილებთან ერთად ყინულზე მესრიალა. ხელიხელჩაკიდებულნი, ხელთათმანებიანნი, წელზე ხელშემოსალტულნი რვიანს შესანიშნავად ვაკეთებდით. დროგამოშვებით მაქსიმის მეგობრობა მაგონდებოდა „მე მეგობარი მყავს“, — თავს ვეუბნებოდი. იგი ჩვენთან გაჩნდებოდა და ერთობოდა. ჩემს ბიძაშვილებში რომელს ამოირჩევდა: ადელაიდას, რომელიც, რასაკვირველია, უფრო ქარაფშუტაა. მე დამიტოვებდა კლემანსს, უფრო ჭიუტსა და ვნებიანს. რა კარგი წყვილი იქნებოდა ისა და ადელაიდა! რატომ არ შეიძლება ეს მოხდეს? რატომ არ შევირთავთ, ის ადელაიდას, მე — კლემანსს! მაშინ კი ეს ორი მამლაყინწა ხახამშრალი დარჩება თავისი დიპლომებითა და რენტით. ამნაირად ქედს მოვხარვევინებ ჩემს ბიძაშვილებს, განსაკუთრებით, ქედმადალ კლემანსს, ჭიუტ კლემანსს, უღლად დავადგამთ ყოველივე ინას, რაც ჩემსა და მაქსიმში თავისუფალი და გიჟურია. „სწორედ, მეტყვის დაძარცხებული კლემანსი, ლალატი ჩავიდინე. ღიახ, ლალატი. მე ეტკებები საკუთარი ლალატით. დავეცი, დაწყველილი ვარ! შენ იმარჯვებ, მაწანწალავ, უღმერთოვ, დემონო!“ ასეთი საუბარი წარმოვიდგინე და სიცილი შემესკდა. გაკვირვებულმა კლემანსმა შემომხედა. მე ხელი მოვხვიე და შურდულივით გავიტაცე სასრილოდ.

— ტეოდორ! — მიყვიროდა. — წამაქცევთ, გამიშვით, რა გიჟი ხართ! ტეოდორ!

— უფრო ჩქარა! უფრო ჩქარა!.. — ცყვიროდი — მერე ჯანდაბას! —

ვთქვი ჩემთვის და კლემანსს ხელი გავუშვი, ზურგი მივუბრუნე. — ვისაც გინდა იმას გაჰყევი. ჯანდაბას კიშების სახლი და კომპანია. კლემანს, არ მიყვარხარ. მე, მგონი, მარი-როზი მიყვარს. მით უარესი ჩემთვის.

გავიფიქრე, თავს მაინცაღამაინც ანაყად ვერ ვიგრძნობ, როდესაც ბატონ ავლოტს გამოვუცხადებ, რომ სენტ-ანტუანელი დურგლის, სიფრელენის ქალიშვილს ვირთავ ცოლად-მეთქი. ჟოზეფენი და ვალერი კი კარებს გამომიკეტავენ. როგორ? ვილაც ქალიშვილი... მაშინ, როდესაც მარეში პატივცემულ ვაჭრებს ამდენი ქალიშვილი ჰყავთ. იმ დროს, როდესაც ბატონ ავლოტთან სამსახური ნებას მაძლევდა, ჩემი ცხოვრება უკეთ მომეწყო; იმ დროს, როდესაც სასახლეში ბალზე მიპატიებდა მელოდა!

ამ მოლოდინში ოპერაში ვიყავი ბალზე, სადაც ვალერიმაც პირველად წამოიყვანა ქალიშვილები, მე იქ მათთან ვცეკვავდი... ისინი მაქსიმ დე რიოზს გაეცანო. ჩემი ბიძაშვილები აღტაცებისაგან ათრთოლდნენ, კიბეზე ჩამწკრივებული რომ დაინახეს ქანდაკებასავით უძრავი, ჩირაღღნიანი გვარდიელები. მაქსიმმა და მისმა მუნდირმა მოხიბლეს. უეცრად ვილაც ნიღბოსანმა წამოიყვანა, ტანადობა და სიარული ვიცანო; ნოემი იყო.

— კაბა როგორ მიხდება? — ყურში ჩამჩურჩულა, მოსახსნაში გადაიწია და დავინახე თვალისმომკრელი თეთრი კაბა, რომლის ორმაგი ქვედაწელი ზოგ ადგილას აწეული იყო გაფურჩქნული ვარდების მსხვილი გირლანდებით.

— საუცხოოა! — ამოვიოხრე და მკერდზე მივეკარ.

— თმა კარგადა მაქვს?

დაეტკბი მხრებზე ტალღებად დაშვებული მისი თმის ცქერით, შიგ მარჯნის, ბალახისა და ყვავილების ზოლები ჩაეწნა. კვლავ ნიღაბი გავიკეთე და თავი შევაფარეთ ლოყას, სადაც ერთმანეთს თავდავიწყებით ვკოცნიდით. ცალი თვალი დარბაზისაკენ მეჭირა, სადაც ხალხი ირეოდა. ლოყის მოოქრულ მოაჯირს იმპერატორი მოადგა. მკერდს საპატიო ლეგიონის ლენტი უმშვენებდა, უღვაშს იგრებდა, იცინოდა და თოვლივით თეთრი ქალის მხრებისაკენ იხრებოდა.

— იმპერატორის მეუღლე აქ არ არის? — ვკითხე ნოემის.

— არა. სენ-კლუშია. მგონი, ქმართან გაბუტულია.

— იმპერატორი და მისი მეუღლე, მართლა, უბრად არიან? — ვკითხე მაქსიმს, ცოტა ხნის შემდეგ, მარტო რომ დავრჩით.

— დიახ, — მითხრა, — და ხვალ დილით მე სენ-კლუში უნდა დავბრუნდე.

ჩვენ, ორი, ბუფეტში ერთ მაგიდას მოვეუსხედით და იქ მთელი საათი ვისაუბრეთ, ყურადღებას არ ვაქცევდით მტვირთავებად შენიღბულ ორ ქალიშვილს, რომლებიც არ გვასვენებდნენ. უთვალავი მოვალსე ჩვენს გარშემო ყვავილებად იშლებოდა. ისმოდა გუგუნის, სიცილის, ტანისაპოსის შრიალი. მაქსიმი ბევრსა სვამდა. იმპერატორზე ჩამოეუგდე სიტყვა.

— თვითონ იცის თუ არა, რომ იმპერატორია? — ვკითხე მე.

— იშულებულია იცოდეს. სანამ იმპერატორი გახდებოდა, იცოდა, რომ იმპერატორი უნდა გამხდარიყო. ეს ერთადერთი კანდიდატი იყო.

— იგი ხშირად უნდა ფიქრობდეს ნაპოლეონ პირველზე, რომლის ცხოვრებაც ზღაპრული იყო.

— იგი ცდილობს თავის ვარსკვლავს მიაგნოს: მაგრამ თვით არ სჯერა თავისი ვარსკვლავისა. მისი ცხოვრება ნდორედ მიედინება და ახლა ისე არის დაღლილი, როდესაც თავის როლს უკარნახებენ, ისეთ დაქანცულ, სასოწარკვეთილ გამომეტყველებას მიიღებს, თითქოს ამბობდეს: „თავი დამანებეთ, დამასვენეთო...“

— იცი, მე ეს უცნაურად მეჩვენება, — ვუთხარი, — უცნაურად, იძულებული რომ ხარ თავი დააჭერო, იმპერატორი ვარო? მხოლოდ...

და ვიხილე ყველაფერი ეს... უცნაური სიცხადით დამიღვა თვალწინ. ჩემს არსებაში ღრმად ვიგრძენი მირაჟის გამაბრუებელი მიმზიდველობა, მესმოდა ჭარის ვაშას გრიალი. მერე მძიმე დაღლილობამ შემიპყრო.

— მართლაც, — თითქოს ჩემთვის ჩავილაპარაკე, — მართლაც, ეს არაჩვეულებრივად როდი მომხდარა. საჭირო იყო იმპერატორი და ეს იმპერატორი მხოლოდ ბონაპარტი უნდა ყოფილიყო. ასეთი ბონაპარტი სწორედ ის აღმოჩნდა, და იგი იწყებს ბონაპარტობას, როგორც მოჩვენება, წარსულის განშეორება. ეჰ! მაგრამ ის რომ პირველი ბონაპარტი ყოფილიყო, იგი რომ მოეყვანათ ისეთი, რომელსაც ჭერ გაუკეთებელი უნდა გაეკეთებინა! ეს ამბავი ადამიანს ჰკუთას დააკარგვინებს.

— თავისი თავის რწმენა აკლია, ჰკუთასა კი არა ჰკარგავს. ჰკუთის დასაკარგავი აქ სწორედ არაფერია. არა, მეორე კეისარს ჰკუთის დაკარგვა არ შეუძლია. პირველს — კი. ყოველივე ამაზე მე ხშირად ვფიქრობ ტიუილრიში, ვცხოვრობ იმ გარემოში, რომელიც არ არსებობს. უცნაური გრძნობაა. რატომ ვცხოვრობ ამ განმეორებისა და მი-

ბაძვის ხანაში, როდესაც შემეძლო დიდი ამბების უშუალო მნახველი ვყოფილიყავი. დიდი ამბავი ყოველთვის ორი სახით გვევლინება: ნამდვილი და მისი აჩრდილი. პირველი კეისარი ღმერთი იყო. პირველთვის ისტორია ისე ზღაპრულად მოეწყო, რომ შეეძლო ჭკუა დაეკარგა. ღმერთკაცი, რომელმაც ჭკუა დაკარგა. წარმოიდგინე ესა, არასოდეს შეგცდეს, არც შეცდომის დაშვება შეგეძლოს, ფიქრიც არ გკირდებოდეს, რომ რაიმე გადაწყვეტილება მიიღო! რადგან ეს გადაწყვეტილება არის ყოველთვის ერთადერთი და შესაძლებელი, რამდენადაც იგი არის გარდაწყვეტილება ღვთისა. მერე მოდის მეორე კეისარი, და ეპ, ეს არის მხოლოდ კომედიანტი. კომედიანტი, რომელმაც არ იცის, საით მიჰყავს კომედიას.

— კომედიის ავტორს დაეზარა მისთვის კარგად აეხსნა. — განვაგრძე მე. — დედოფალი ხომ ლამაზია?

— ის ღმერთივით ლამაზი იყო. ახლაც მშვენიერია. დედოფალმა იცის, რომ ლამაზია, მაგრამ მან არ იცის და არც შეუძლია იცოდეს, რომ ასე სასურველია.

— შენ გსურს ისა?

— სხვანაირად არც შეიძლებოდა.

— დედოფალი კეკლუცია ფაშატი ცხენივით, დიდებული თეთრი ფაშატივით. შენ კი არ ისურვებდი თეთრი ფაშატის დამორჩილებას? მაგრამ ისე, რომ ამ ფაშატს აგრძნობინო შენი ბატონობა. ეპ! მაგრამ ეს დაკარგული შრომაა, რადგან იგი მხოლოდ ფაშატია.

— მაქსიმ, — ვუთხარი და ხელზე ხელი მოვკიდე, — მაშ არ შევმცდარვარ, იმ ღამეს რომ გითხარი დედოფალი გიყვარს-მეთქი!

— არა, ტეოდორ, მე ის არ მიყვარს. მართალი გითხრა, არც ერთი ქალი არ მიყვარს, რამდენიმე საყვარელი წყავს, და მეტი არაფერი მინდა. ის მაწუხებს მხოლოდ, რომ იგი ჩემს მახლობლად არის, როგორც მულმივი ტანჭვა. მე ვფიქრობ, რომ ჩემს ცხოვრებაში ყველაზე დიდი უბედურება მასთან სამსახურია.

— დედოფალს იმპერატორი უყვარს?

— მხოლოდ თავისი შვილი და მისი დიდება უყვარს. ხომ გითხარი, მას მხოლოდ ცხოველური გრძნობები აქვს. გარეგნულად ეს არსება ვნებისათვის არის გაჩენილი, მაგრამ არავითარ ვნებას არ განიცდის. მის მღელვარებას, აღტყინებას, უცნაურ საქციელს ვნება კი არ იწვევს, არამედ რაღაც ფუჭი და ჭიუტური რამ. თხები არიან ასეთნი. ან ფრინველები, ან, ქალის გარდა, ყველაფერი, რაც გინდა, მე მესმის, რატომ

სურდა იგი იმპერატორს, რატომ მისცა ტახტი, არაფერი დაიშურა, ოღონდ როგორმე ხელში ჩაეგდო. ახლა კი სხვა ქალებს დასდევს.

— მაგრამ დედოფალი ხომ კეთილია?

— იგი კეთილია, ლეთისმორწმუნე, სპეტაკი, ჭკვიანი და შრომის-მოყვარე. ყველა სათნოებით არის შემკობილი. არაფერი ვიცი ამაზე უფრო. გამაღიზიანებელი.

— როდესაც მის ეტლს მიჰყვები, რაზე ფიქრობ?

— მინდა მის თვალწინ მომკლან.

— მაშ, შეყვარებული ყოფილხარ.

— შეყვარებული კი არა, მისგან გაშმაგებული ვარ. გიმეორებ: გამ-მაგებული. ეს ახალი გრძნობაა, რომელიც არასოდეს არ შეუსწავ-ლიათ. „რას მეუბნებით, ბატონო ჩემო? სიყვარულს მიხსნით? შეყვა-რებული ხართ?“ „არა, ქალბატონო, მხოლოდ გაშმაგებული ვარ“.

— ასეთ შემთხვევაში რას შვრებიან? როგორ ექცევიან ქალებს, რომელსაც სიშმაგემდე მიჰყავთ ადამიანი?

— მათ ჰკლავენ ან თავს იკლავენ, ან უცდიან ფერიას, რომელიც ჯოხით შეეხება საყვარელ ქმნილებას და ბოლოს ისევ ქალად აქცევს. შეიძლება ოდესმე ეყენი ქალი გახდეს. ჩვენ შექმნილი ვართ იმისათ-ვის, რომ გვიყვარდეს ქალები, მგრძნობიარე, ნამდვილი ქალები. ქალ-თა შუქმფენი სილამაზე უნდა გამოსახავდეს ინტიმურ გრძნობას, რა-ზედაც შეიძლება ზეგავლენა მოახდინო. ქალი ხელშესახები არსებაა. მის ხელს ეხები და ხელი აუთრთოლდება, შეხედავ და ისიც შემოგხე-დავს. თუ უარს გეტყვის, იცი რატომ და რისთვის. მაგრამ წარმოიდ-გინე, რომ შეყვარებული ხარ ფაშატზე, სათნო თეთრ ფაშატზე.

— უპატივცემულოდ ექცევი! — გუთხარი სიცილით. — მეც ხში-რად წარმოვიდგენ ხოლმე, რომ ქალები მთლიანად ქალები არ არიან. ჩემი ბიძაშვილი ადელაიდა ხანდახან ფურირემი მგონია.

— მე შენ გიცნობ, ტეოდორ: შთაბეჭდილება დიდხანს არ გიპყ-რობს. მას შენ ბრძანებლობ, იგი გართობს, ვადლევებს, არ გტანჯავს. მერედა შენი ალერსი ფურირემს მაშინვე ქალად აქცევს. სწრაფწარმა-ვალი გარდაქმნაა. მაგრამ, ეყენის რომ ახლო გაეცნო, დარწმუნდები; იგი არასოდეს არ არის ქალი. გარდაქმნა დასრულებულია. შეუძლებე-ლია მისი გამობრუნება.

— ჩემი პატარა შენიღბულები! — ზურგს უკან ვილაყის დინჯი ხმა მოგვესმა.

ეს ბატონი ავლოტი იყო, ცილინდრი კეფაზე ჰქონდა მოგდებული. ქილვაში აჩეჩოდა, ფრაკს ზემოთ იისფერი დომინო მოესხა. მეგობ-

რულად ყური ამიწია, მე ლეიტენანტი დე რიოზი წარვუდგინე, რომელსაც უკვე იცნობდა შორიდან. ავლოტს ახლდა კობტა, ენამოჩლე-ქილი მოხუცი, რომელსაც ხელში მონოკლი ეჭირა. მოხუცმა ჩვენს სუფრაზე დადგმული შამპანურის მარკა გასინჯა.

— ამ ძუძუმწოვრებს ღვინისა არაფერი გაეგებათ, — თქვა კობტა მოხუცმა. — მათ პირს ჩავატკბარუნებინებ. ეი, ყმაწვილო! საუკეთესო ღვინო შენს გემოზე, მხოლოდ არ შეგეშალოს.

სანამ ჩვენს სუფრას მოუსხდებოდნენ, ცოტა ხანს ფეხზე იდგნენ გაჯგიმულნი, დაწითლებულნი, ხელში წვრილი ჯოხი ეჭირათ. ჩვენი სტუმრები შენიღბულ წარჩინებულ ქალებს ცნობდნენ და მათ სახელებს გვეუბნებოდნენ. შემდეგ ისინი მძიმედ დასხდნენ. კობტა მოხუცმა ქუდი ჩამოიწია და იგი ცხვირამდე ჩამოეფხატა. მერე ხელისგულზე მონოკლი ისე შეათამაშა, როგორც გლეხი თავის ქისას შეათამაშებს ხოლმე. და უეცრად მომაგონდა ჩემი და მარი-როზის სეირნობა სოფელში, პარიზის მახლობლად, ბაზრობის დღეს იქ ნახული გლეხები, რომლებიც თავის გარშემო ცბიერი თვალთ ძროხებს ათვალიერებდნენ. მერე დინჯი მსჯელობით სამიკიტნოში თავმომწონედ შედიოდნენ: „ოჰ! — ვფიქრობდი. — ყველა მედიდური არის. სადაც წავალ, ყველგან მედიდური ხალხი მხვდება. მედიდურობას ისინი ერთნაირად გამოხატავენ“. მაქსიმს შევხედე, მას თავისუფლად ეჭირა თავი, თითქოს არავის ამჩნევდა. ისეთი შესანიშნავი ქცევა ჰქონდა, როგორც მედიდურობამოკლებულ ადამიანს. მსურდა მას დაემსგავსებოდა. „რასაკვირველია, მე მისი მსგავსი ვარ, — ვფიქრობდი, — რადგან მეც მასავით მედიდურობამოკლებული ვარ“.

მე და მაქსიმს მხოლოდ ის დაგვრჩენოდა, რომ ახალმოსულებისთვის გვესწინა. ისინი მომაველ ომზე ლაპარაკობდნენ.

მიკვირდა, რა აგდებულად ლაპარაკობდა ომზე ბატონი ავლოტი. კიდევ უფრო გამაკვირვა, როგორი აღტაცებით შეხვდა ის ორ მეგობარს: პორტუგალიელ ტადეო რიბეიროს, შავს, თმანუჭუჭკას, მხიარულ ადამიანს და გრაფ ლანგენბახს, ახალგაზრდა მომხიბვლელ ავსტრიელს, რომელიც უნაკლოდ ლაპარაკობდა ფრანგულს. ბატონმა ავლოტმა კობტა მოხუცზე უფრო მეტად გამოხატა თავისი აღტაცება და ეს იმიტომ გამიკვირდა, რომ იგი, როდესაც გულს გადაიხსნიდა, ყოველთვის მეუბნებოდა, უცხოელები არ მიყვარსო. გრაფი ლანგენბახი გუნდრუეს უკმევდა ფრანგული ჯარის ღირსებას, მის ორგანიზაციას და გამარჯვებას უწინასწარმეტყველებდა.

— თქვენ ჯარს კარგად ვიცნობ, — ეუბნებოდა იგი ბატონ ავ-

ლოტს, რომელსაც ეს ქება სიამოვნებდა. თქვენ წინააღმდეგ ვიბრძო-
დი სოლფერიინოში. ჩარის მომარაგება შესანიშნავად გქონდათ მოწყო-
ბილი, მე კი ორი დღის განმავლობაში ლუკმა არ მინახავს. საბედნი-
ეროდ, იმ საღამოს ოდნავ ყელი გავისველეთ.

— რითი?

— ჩვენი ცრემლით.

— ვაშა, გრაფო! — წამოიძახა ბატონმა ავლოტმა. — ნამდვილი
ფრანგული ოხუნჯობაა!

— დიახ, სწორედ ფრანგული, — დაუდასტურა მოხუცმა. — წმინდა
პარიზული. ვოლფს ვუამბობ ამ ოხუნჯობას, გაზეთ „ფიგაროში“ მო-
ათაესებს.

— რა საოცარი ქალაქია პარიზი! — წამოიძახა პორტუგალიელმა
სიცილით.

— მართლა, რიბ? — უთხრა მოხუცმა.

პორტუგალიელს საშინელი გამოთქმა ჰქონდა, მაგრამ გულკეთი-
ლობა ეტყობოდა. მომეწონა. მან მაშინვე იგრძნო ესა და კატასავით
შემომხედა მბრწყინავი თვალებით.

— კარგია! — განაგრძო პორტუგალიელმა. — ავსტრიელები ესი-
ყვარულებიან ფრანგებს. და პატრიოტობას იჩენენ... უკუღმა.

— ოჰ, — წამოიძახა მოხუცმა. — ოჰ, რიბ, „უკუღმა“ კარგია...

— ინგლისელი არასოდეს არ განიამოვნებდათ ასე, — განაგრძო
პორტუგალიელმა — გახსოვთ, ჯემს ჰერსტის ოხუნჯობა, იცით, კოტი-
ლიონის მოცეკვავეთა მეფე, ინგლისელ ელჩთა მუდმივი მწვრთნელი?

პორტუგალიელი ნასიამოვნები იყო, რომ ის, უცხოელი, მიხვდა
ფრანგულ ზმას.

— ჯემს ჰერსტმა პალე რუაილის წინ გაკრულ აფიშაზე წაიკითხა
„უბედნიერესო, სრუტე“ ჰო! — თქვა ჰერსტმა, — ყველაზე უბედნიე-
რესი სრუტე გიბრალტარის სრუტეა, ვინაიდან იგი ინგლისს ეკუთვნის-
სო.

— თქვენ მართალი ხართ, — თქვა ბატონმა ავლოტმა, თან აღტაცე-
ბა და წყენა გამოხატა. — მხოლოდ ინგლისელებმა იციან პატრიოტო-
ბის გამოჩენა.

— თქვენცა გაქვთ, — უფხრა მის სანუგეშებლად პორტუგალიელ-
მა, — მთელი ქვეყნის ყველა სრუტეზე უკეთესი: გაქვთ პარიზი... და
გყავთ ოსმანი.*

* ე. ვ. ოსმანი (1809—1891) მეორე იმპერიის დროს პარიზში სენის პრეფექტი,
ცნობილია იმ სამუშაოთა ჩატარებით, რითაც დაამშვენა პარიზი.

სიყვარულით მოჰყვა პარიზის ქებას. ავსტრიელმა გრაფმა ბატონ ავლოტს ძღვნად ფრანგთა ჯარი მიართვა, პორტუგალიელმა კი პარიზი შესთავაზა გაზვიადებული და იშვიათი ქათინაურებით. კოხტა მოხუცი ოსმანს აკრიტიკებდა. ბატონი ავლოტი ოსმანს იცავდა. იგი ლაპარაკობდა, როგორც დიდი პოლიტიკოსი, რომელიც შორიდან სკვერეტს ყველაფერს.

— თავი გაანებეთ, ჩემო ძვირფასო, — ეუბნებოდა იგი კოხტა მოხუცს. — ოსმანმა ქალაქს ვალი დაადო? ეს ვიცი. კიდევ რას მეტყვი? უკანონობა ჩაიდინაო? იგი მეტად სწრაფად მოქმედებდა? მე მხარს ვუჭერ იმ საშუალებებს, რომლებმაც მის საქმეს ხელი მოუმართეს. რიბი მართალია: ამიერიდან პარიზელი სამოთხეში ცხოვრობს. დღეს მდებრიო პარიზში უკეთესად ცხოვრობს, ვიდრე ძველი რეჟიმის აზნაური. მე ვამბობ: მდებრიო.

— ოღონდაც! — თქვა კოხტა მოხუცმა. — სამ სუს გადაიბდის და ომნიბუსით მთელ პარიზს მოივლის.

— უფასოდ ბალებში სეირნობა, — განაგრძო ბატონმა ავლოტმა. — რამდენი ხარჯია გაწეული მისთვის, მხოლოდ მისთვის! ეს ხალხმა თვითონაც იცის. ნამდვილმა ხალხმა იცის, ჩემო ძვირფასო გრაფო, და თქვენც, რიბ, გაფრთხილებთ, ნამდვილი ხალხი აჯანყების წაშქვებულთა და ბარიკადებს შორის არ უნდა ეძიოთ. თქვით ეს თქვენს ქვეყანაში.

— გაჰიგონეთ, ავლოტ, — უეცრად დინჯად მიმართა მას კოხტა მოხუცმა. — ამ გაუგებრობას მხოლოდ საზღვარგარეთ კი არ უნდა ვებრძოლოთ, არამედ პროვინციაშიც. მე ეს ვიცი, რადგან მამული მაქვს: პროვინცია სწუხს. აღშფოთებულია ყველა ამ წღელვარებით, რომელიც საქმეებს აბრკოლებს. პროვინცია ფიქრობს, რომ პარიზში...

— ჰო! მერე?

— იგი ფიქრობს, რომ პარიზელები ფუქსავატი ხალხი ვართ. დიახ, ყოველივე ამას ფუქსავატურად ვეკიდებით. გარეუბანში ხალხი მეტად თუ ნაკლებად მღელვარებს. ჩვენ კი ამის გამო თავს არ ვიწუხებთ. როცა ბელვილში ბრძოლაა, ბრებანტისას მაინც შამპანურს შეეჭყვიან. მით უკეთესიო, მეტყვი თქვენ. ეს კი ამტკიცებს, რომ ამ მოვლენას დიდ მნიშვნელობას არ ვანიჭებთ. ჰო, მაგრამ რა შეიძლება იფიქროს პროვინცია, რონელმაც არ იცის, ამას არ ხედავს? ჩვენი ცენტრალური უბნის კეთილი მედუქნეები პოლიტიკაზე მაშინ დაიწყებენ ფიქრს, როდესაც თვით მათ დაარბევენ, სხვა ყველაფერი პოლიტიკას ეხება. მაგრამ პროვინცია! პროვინცია, კიდევ ერთხელ ასეთი გულ-

გროლობის მნახველი საბოლოოდ რწმუნდება, რომ მთელი პარიზი დასნებოვნებულია, არავითარი წინააღმდეგობის გაწევა არ შეუძლია, ერთ დღესაც იქნება, ბრბო ტიუილრის აიღებს. პროვინცია დემორალიზებულია. იცოდეთ, დემორალიზაცია წყლულია.

— უნდა დავამშვიდოთ პროვინცია, — თქვა ჩაფიქრებულმა ბატონმა ავლოტმა.

— უნდა ვუჩვენოთ, — თქვა კოხტა მოხუცმა, — რომ პარიზში პატრიოსანი ხალხი კიდეც არის, და დროგამოშვებით გარეუბნები კეტით ხელში უნდა ჩამოვიაროთ.

— კმარა! — თქვა ბატონმა ავლოტმა. — ნამდვილი საფრანგეთის განვითარებას ისინი ვერ შეაჩერებენ. კეთილი: გავროშები ეტლებს აყირავებენ, რის შემდეგაც ჩვენი გმირები თავიანთ ბუნაგებში მიძვრებიან. დემოსთენე თავის შაქარყინულს უბრუნდება და ბრუტუსი საწერილმანო ვაჭრობას. არაფერი შეცვლილა: პარიზი ჯერ კიდევ არ არის შარონი.¹

— დიახ, მაგრამ ეს ხმამალა უნდა ვთქვათ და გავიმეოროთ.

— მაშინ უნდა ითქვას, — განაგრძო ბატონმა ავლოტმა, — რომ ამით ყველა სტუდენტი არ არის მოწამლული. ამას წინათ სტუდენტ-მაფარმაკოლოგებმა უარი თქვეს მისალმების ხელისმოწერაზე რომ-ფორისათვის, ძვირფასი წამებულისათვის, რომელიც ციხეში არხეინად ბრძანდება. რიბ, ჩემო ძვირფასო, ჩვენი სკოლების ახალგაზრდობას თავი უფრო მძიმე აქვს, ვიდრე ზოგიერთს ჰგონია. ახალგაზრდობა ბრიულეს² გაივლის, მაგრამ სორბონში გაჩერდება.

— ყოველივე დანარჩენი, — დაასკვნა კოხტა მოხუცმა, — მხოლოდ ვიქტორ ჰიუგოს გამოადგება ოქროვან კლდეზე. გრაფო, მართლა, მე თქვენ ჩორთითი ქურანი გიშოვნეთ, გამოგადგებათ. გერმანული ჯიშისაა.

მერე ცხენებზე გააბეს საუბარი. მახლობლად ლამაზმა ქალმა ჩაი-არა თავისი თაყვანისმცემლებითურთ, ჩვენი სუფრა მოჰყვა ჭორებს მაღალი საზოგადოების შესახებ.

— შეხეთ! ეს ხომ ოდეთია, — წამოიძახა ბატონმა ავლოტმა მცოდნე კაცივით! მერე მე მომიბრუნდა და დაუმატა: — ერთ-ერთი ყველა-

¹ შარონი — მუშათა უბანი პარიზში.

² ბრიულე — ადგილი, სადაც სტუდენტური საღამო-წვეულება იმართება.

ზე უფრო მომხიბვლელ მრუმე ქალთაგანია. — როგორც ეტყობოდა; ბატონ ავლოტს ყოველ მხრით სურდა ჩემი განათლება.

— იგი ხომ ლამაზია, მაქსიმ? — მიუხებრუნდი მას და ვკითხე. მაქსიმი თავისთვის ჩუმად სვამდა ლენოს. შემომხედა და მისი მოწყენალო, დაფიქრებული სახე ღიმილით განათდა.

— იცით, — თქვა კოსტა მოხუცმა, — რა უთხრა მან ერთ თავის მეგობარ ქალს? ყური დაჰიგდეთ, გრაფო. აი კიდევ ოხუნჯობა ვოლფისათვის ან თქვენთვის. ოდესღაც დედა მოუყვდა და იგი ნახევრად შავებში იყო, მეგობარი ქალი გაოცდა. რა გინდა, — უთხრა ოდესმა, ნახევარსაზოგადოების ქალი ვარ და ნახევარშავებიც მაცვიო.

— დიდი უხეშობაა, — თქვა პორტუგალიელმა.

— დიახ, უხეშობაა, ჩემო პატარა რიბ, უხეშობაა, უხეშობა... — „ტიროლის იხეების“ კილოზე ღიღინი დაიწყო.

— ნახეთ თქვენი ქალბატონი მოსკოფი? — ჰკითხა ბატონმა ავლოტმა.

— იგი სუქდება, — უპასუხა კოსტა მოხუცმა. — უზარმაზარი გახდა და საქმეები ცუდად მიუღის. იგი იმ ზომამდე მივიდა, რომ მოსაწვევ ბარათებს ეტლებში ტოვებს. — ბატონ ავლოტს გაკვირვებისაგან თვალები გაუფართოვდა, მოხუცმა დაუმატა: — დიახ, ეს ახლა ხშირი მოვლენაა. ჯდებით ეტლში და იქ ბალიშებზე შემთხვევით ნახულობთ ამ ქალბატონების სურნელოვან მოსაწვევ ბარათს ზუსტი მისამართით და კიდევ სხვა საჭირო ცნობებით. სად არ იკიდებს ფეხს რეკლამა!

— მე ეს ჯერ არ მინახავს, — თქვა გულუბრყვილოდ ბატონმა ავლოტმა.

ხუთი საათი იქნებოდა, როდესაც მე და მაქსიმმა ბალი დაეტოვეთ, იგი სენ-კლუში უნდა წასულიყო და რვა საათზე სამსახური დაეწყო.

— მიწაცოცე ტიუილრიმდე, — მითხრა მან, — თეთრეულს გამოვიცვლი და ცხენს წამოვიყვან.

ჩაბნელებული პარიზი უდაბური და მოწყენილი იყო. სიმღერა „ტიროლის იხეების“ კილო ამეკვიატა და მას ქვაფენილზე ფეხს ვაყოლებდით, ტიუილრის საგულშაგოში ალყირელი მსროლელები ბანქოს თამაშობდნენ. ლამპის სინათლეზე მუქი კანი უბრწყინავდათ და სიცილის დროს თეთრი კბილები უჩანდათ. კვლავ ვნახე ის პატარა დარბაზი, სადაც დაჭრილი მარი-როზი გვეწვინა. მერე მაქსიმმა დერეფნები გამატარა და ერთი საგულშაგო ოთახი კიდევ გავიარეთ. რელსებიანი დერეფანი ერთი კიბის ძირას სიბნელეში ინთქმებოდა. ეს კიბე ავიარეთ, მერე მეორე. ბოლოს სახურავის ქვეშ მოვხვდით. დერეფნის

აგურის იატაკი ოღორღოღო იყო. მაქსიმმა გააღო უშნო, კრიალა კარი და თავი საკუქნაოში ამოეყავი. იგი ძალიან ჰგავდა ჩემს ბინას. რკინის ლოგინი, ქალაღდაღარებული მაღიღა, კეღლის განჯინა, არეულ-ღარეული თეთრეულით გამოტენილი. სარკის ჩარჩოში საღარბაზო ბარათები იყო ჩაჩხერილი.

— ხომ არ გინღა შენც გასუფთავღე? — მითხრა მაქსიმმა.

— ცივი წყლით გაპარსევა იცი? '

მოსასხამი ღა ქული ლოგინზე ღავაღღე, ფრაკი ღა ღაქმუქენილი ჰერანგი გავიხანღე ღა თავი ცივი წყლით ღავისველე.

— ახლა ღიღი სიამოვნება მომელის... — მითხრა წელამღე ტიტველმა მაქსიმმა, — ცხენით გასეირნება.

— ღა მერე იმას ნახავ?

— ვის?

— ეუენის, ვერ მიხვღი!

— ღიახ, იგი სახის. ცივ გამომეტყველებას მიიღებს ღა ეცღება ბალზე არაფერი მკითხოს. სხვათა შორის, მისი საუკეთესო მეგობრები იქ არ ყოფიღან, სენ-კლუში ღარჩნენ მასთან ერთად თანაგრძნობის გამოსახატავად. მე არ ღამინახავს არც იტალიის ელჩის ცოლი, არც კნეინა მეტერნიხი.

— ღედოფალი ექვიანობს? იტანჯება?

— ღიახ; ექვიანობს ღა იტანჯება, თუმცა მეუღლე არ უყვარს.

— შაგრამ. ღედოფალი იტანჯება? ტანჯვას განიცღის?

— თვითონ კი არა, მისი სიამაყე. მისი ღედობრივი სიყვარული.

მასში იტანჯება ცოლი ღა ღედოფალი....

— ოჰ! — წამოვიძახე — როგორ მინღა მისი ნახვა, ორივეს ნახვა.

მაქსიმმა საიღუმლოღ მითხრა:

— შეიღლება, გიჩვენო ისინი....

— გასაღების ქუქრუტანიღან?

— არა, უკეთესად.

შეტი არაფერი უთქვამს. მოვირთეთ. ეზოში ჯარისკაცმა მაქსიმს ცხენი მოჰვეარა. ერთმანეთს ხელი ჩამოვართვით ღა ღიღხანს შეეცქეროღი სახეში. არასოღეს შემხვეღრია მაქსიმივით ცოცხალი სახის აღამიანი. ამ ღროს მისმა სახემ ნათელი, ღამცინავი გამომეტყველება მიიღო. ღამენათევი გაფითრებულიყო, მაგრამ ნაცრისფერი ღა ცოცხალი თვალები უბრწყინავღა, მის ტუჩებს ღიმილი ღა ბუნებრივი სინაზე ღასთამაშებღა. აღელვება ვიგრძენი, არ ვიცი, რატომ შინღოღა მაქსიმისთვის შეთქევა რაღაც, რომელიც ჩემს მეგობ-

რობას, სიამოვნებას, ჩემს მწუხარებას გამოხატავდა და მე ვუთხარი:
— ნახვამდის, მაქსიმი... ნახვამდის... ყოჩაღად იყავი!

მაქსიმმა მხრები აიჩეჩა. რამდენიმე წუთის შემდეგ ის უკვე მიაჭენებდა ცხენს სანაპიროზე, გვერდზე ჩამოკიდებული ჩანთა უზარმაზარ პეპელასავით მიფრინავდა და მისი ხმალი დილის პირველ სხივზე ბრწყინავდა.

VIII

სანამ მეფე თავისი ოჯახით სენ-კლუში იყო, რამდენჯერმე ვინახულე მაქსიმი. მერე გაზაფხულზე კომპიენში გადავიდნენ. მე მარტოობა ვიგრძენი. მაგრამ ერთხელ ბატონმა ავლოტმა თავის დეპარტამენტში პოსპიტლის აგების საკითხის გამო იმპერატორის ნახვის უფლება მიიღო და მთელი დღია კომპიენში გაატარა, მეც თან წამიყვანა. ანით ვისარგებლე და მაქსიმი ვინახულე. აუდიენციის დროს მასთან ერთად ტყეში ვისეირნე.

მას ჩვეულებრივი ფორმა ეცვა, უხმლოდ იყო. უფრო ტანადი და მომხიბვლელი მონეჩვენა, ვიდრე ოდესმე, მაგრამ იმავე დროს მოწყენილად გამოიქვიჩებოდა, მეც ფარული სევდით ვიყავ შეპყრობილი. მატარებელში ბატონმა ავლოტმა რამდენიმე წერილი მიკარნახა, შემდეგ უკანასკნელ ამბებზე იმდენი მელაპარაკა, რომ თავი ამტკივდა. ომი აუცილებლად მალე დაიწყებაო, ყველა ამის შესახებ ლაპარაკობდა, და ეს გულს დარდით მივსებდა. მაქსიმს ვკითხე: რას ფიქრობ ამის შესახებ-მეთქი. ვერაფერი მიპასუხა.

ჩვენ ჩუმად მივდიოდით. ხეები მხოლოდ იფოთლებოდა. გამხმარი ფოთლებისა და ტყის სინესტის სუნი მეფობდა. მაგრამ მზე გამოჩნდა და ეს სუნი შეათბო, ფოთლების კრიალა სიმწვანე გამოაცოცხლა. გავყევით ვიწრო ბილიკებს, რომლებიც მიხვეულ-მოხვეულად მიდიოდნენ და ისეთ შთაბეჭდილებას ქმნიდნენ, თითქოს უღრან ტყეში იკარგებიანო. ყოველ მოსახვევეში რაღაც საოცარს მოველოდი. მაქსიმი დროგამოშვებით ჩემს ყურადღებას ლამაზ ადგილებს მიაპყრობდა, მაგრამ ჩემი მოლოდინი აღტაცებას მინელებდა.

თავს ვეკითხებოდი, ბავშვობაში ნახული ადგილების მსგავსი მადამოების ხილვა ხომ არ მწყუროდა? იმდენად ცოტა მოგონება მქონდა ტყესა და, საერთოდ, ბუნებაზე, რომ ნახულმა ჩემზე ღრმა შთაბეჭდილება მოახდინა. ამ ტყეში-ყოფნის დროს ვიგონებდი ყველაფერს: ნორმანდიის რომელიმე სოფელში დედ-მამასთან ერთად გატა-

რებულ ხანმოკლე არდადეგებს ან ეტლით გასეირნებას პარიზის მიდამოებში, ფერმაში რომ გავჩერდებოდით და ფინჯნით ნაღებიან რძეს მივირთმევდით, ან მარი-როზთან ერთად მკლავგაყრილნი რომ ვსეირნობდი. ეს მოგონებები გულს მივსებდნენ, მაგრამ მათ ყოველთვის რაღაც უცნაური დაუკმაყოფილებლობის გრძნობა ახლდა. ამ დაუკმაყოფილებლობას ახლაც ვგრძნობდი კომპიენის მწვეანედ შეფოთლილ ხეებქვეშ და ჩემსავით მეოცნებე და "შეშფოთებული მაქსიმის გვერდით. მაგრამ მისი ოცნება და შფოთვა ჩემსას არ უნდა დამთხვეოდა, შეუძლებელი უნდა ყოფილიყო ჩვენი ფიქრებს ერთმანეთისთვის გაზიარება. ამიტომ დუმილი ვამჯობინე. კმაყოფილი ვიყავი მხოლოდ, რომ მაქსიმი ჩემს გვერდით იყო, და ისიც თავის მხრივ ამასვე განიცდიდა. და მე კვლავ ვედღეოდი ღრმა ფიქრებს საკუთარ უბედურებაზე.

ამ ბილიკებს, ამ მინდვრებს, ამ ტყეს, სადაც ახლა მივდიოდი, როგორც იმ ტყეს და მინდვრებს, სადაც სხვა დროს გამივლია, ჩემი აზრით, რაღაც შეურაცხმყოფელი რამ ჰქონდა, ან მე ვიყავი ისეთი, რომელიც ვერ ვახერხებდი ბუნების შესაბამისად გულის აძგერებას. მე არ შემეძლო ამ ბუნებით მთლიანად მოვხიბლულიყავ, ერთიანად აღვფრთოვანებულიყავ და მას მივდნობოდი. მე ვიცოდი ჩემი ნოვალობა. მე უნდა დამეძახა: „ოჰ! რა მშვენიერია, რა მშვენიერია ეს ბუნება! მთელი ჩემი სული ეკუთვნის ტყეს, ზეცას, სტიქიონს, გაზაფხულის ამ სურნელებას, რომელშიც მსურს გავითქვიფო“. მაგრამ ჩემი ფიქრი კვლავ ჩემს მდგომარეობას უბრუნდებოდა: როგორც ჩემს ბავშვობაში ხშირად მიფიქრია, რომ მე, ჩემი დედ-მამის შვილი, ერთი სასაცილო და საცოდავი ბავშვი ვარ-მეთქი. ახლაც არაჩვეულებრივ საცოდავ ადამიანად ვგრძნობდი თავს. ცალი თვალით ჩემს თანამგზავრს გადავხედავდი და იგი საოჯახო დღესასწაულისთვის მოკაზმულ ბავშვად მეჩვენებოდა.

„არც ერთი ჩვენგანი დიდ რამეს არ წარმოვადგენთ, — ვფიქრობდი, — და ამ ტყის მწერთა შორისაც უცხო სახით დავდივართ. მე რომ ტყე მომეწონოს, საჭიროა მისი თანასწორი ვიყო“. ვგრძნობდი, რომ ავი მეტად დიდი იყო, მე კი მეტად უღარსი.

„ეს რა ყალბი სირცხვილია? — მიპასუხებდა ტყე. — მე ხომ შენს სანუგეშოდა ვარ: ადამიანი ბოროტია, მე კი... სწორედ ჩემთან უნდა მოიბრინო მაშინ, როდესაც ამბობ, რომ შენს სულს ვერვინ ჩასწვდა, მე იმისთვის ვარ გაჩენილი, რომ შენს სულს ნანინა ვუმღერო“.

სიცილი შემსკდა, ჩემი სული! ჩემი სული, რომელიც ვერაინ გაიგო! მაშ ჩემს სულზეა ლაპარაკი!

„კარგია, — ვაძლევდი პასუხს. — შეიძლება, მე კიდევ ბავშვის მდგომარეობაში ვარ, დატუქსული, დამცირებული ბავშვისა, მაგრამ ეს ერთადერთი წერტილი მაქვს ბავშვებთან საერთო და ჩემთან ისე ლაპარაკი აღარ შეიძლება, როგორც ბავშვთან, რომელსაც ზღაპრებს უამბობენ და აჭერებენ, თუმცა პატარა ხარ, მაგრამ დიდი, უსაზღვროდ ეთილი გული, კეთილშობილი სული გაქვსო...“

ბილიკებსა და ტყის მინდვრებს არ ვეშვებოდი და მათ ვეუბნებოდი: „თქვენ ჩემთვის სხვა რაზე გაქვთ სათქმელი, ჩემთვის, კერძოდ, ტოდორ კიშისათვის. რაღაც გარკვეული, რომელიც მაინტერესებს. მე თქვენამდე ვერ მოვალწევ, თქვენ გამონახეთ ჩემთან სალაპარაკო ენა და იპოვნეთ ყველაზე უფრო იღუმალი გამოთქმა. მე არა გთხოვთ, რომ იყოთ მშვენიერი ბუნება, უზარმაზარი, მშობლიური და სხვა ასეთი. მე გთხოვთ, დიახ, იღუმალად, შინაურულად, შეგობრულად მომეპყროთ და მიჩვენოთ ის კლდე, ბალახის ღერო, ძველი შვიტა და თეთრი გზის დასასრული, რომლის ბოლოსაც ჩემს მომავალს დავინახავ.“

მე ხომ უნდა ვიცხოვრო კიდევ? დიახ, თქვენ ხომ ამას მაუწყებთ? მე გავხდები... რა? ამას რა ჰქვია? მდიდარი? დიახ, მდიდარი. ღარიბი ოცნებობს სიმდიდრეზე. მდიდრები ვერ წარმოიდგენენ, რას ნიშნავს ეს, ეს სიგჟის წუთებია, სიმღერა, რომელიც არავინ იცის, საიდან მოისმის, ახალგაზრდობის ღვინოა, ტუჩებში ჩადებული ბალახის ღერო, და ეს ნაზი, ნაზი არსება, რომელიც ტოტებს შორის წინ მიიწევს და სახლის კარს ფართოდ აღებს... მაშ, მე შემიძლია მდიდარი გავხდე. კიდევ უკეთესი, თავისუფალი, დიახ, მე კარგად მოვიქეცი, რომ ეს დილა ტყეში გავატარე. მე გავიგე, რომ შემიძლია გავხდე თავისუფალი. ეს დაუვიწყარი გამოცხადებაა. მდიდარი. თავისუფალი. კიდევ რა? ბედნიერი? არა. ეს არაფერს არ ნიშნავს. მაგრამ თავისუფლება, დიახ, ეს სიტყვა ძარღვებში სისხლს მიღუღებს“.

და ტყე უკვე აღარ მიზიდავდა თავისი სილამაზით და აღარ მინდოდა შიგ დავკარგულიყაყი, მთელი ჩემი გრძნობებით მივილტვოდი ტყის მიერ დაწყებული სიმღერისაკენ, რომელიც მოჩვენებასავით ქრებოდა. მერე იმედებით აღსავსე, მზაკვრული, ისევ გაისმოდა იგი. ეს ტყე უცნაურად გამოვიყენე!

— რა გაცილებს? — მკითხა მაქსიმმა.

— ძალიან გართული ვარ.

— რითი?

— სიკვდილ-სიცოცხლის საკითხს ვწყვეტ.

იგი კვლავ შემეკითხა — რითიო. ნეც ჩემი ფიქრს განვავრძე. „მართლაც, ვფიქრობდი, განიცადო მსოფლიოს მღელვარება, ბუნებას გულში ჩაეკრა, მის მკერდზე ალტაცებას მიეცე და ენის მოჩლექით სულ ჩუმიად თხოვდე მას ნუგეშს, დედობრივსა და სულელურ ჭიკჭიკს, რომელსაც დაუინებით მოითხოვენ მტირალი ბავშვები. ეს სიკვდილის ძიებაა. ყველაფერი ის, რაც აქ მიზიდავს, ეს მთრთოლვარე ტოტები, მოალერსე ნიავი, მზისა და სითბოს მოლოდინი, მიძინებული წყლები. ეს სიკვდილია. მე ეს არ მინდა! ეს მეტად ადვილი იქნებოდა! მე სხვა რაღაც მელაპარაკება, სხვა რაღაც მიხმობს“...

მაქსიმს ხელზე ხელი მბრკვიდე და ვუთხარი:

— ადამიანებს ხომ სურთ სიკვდილი? /

ეს კითხვა უეჭველად დაემთხვა მისი საკუთარი ფიქრების ერთ-ერთ მიმართულებას, რადგან გაუკვირებლად, ღრმა და მწარე რწმენით მიპასუხა:

— ამაზე უფრო ჭკვიანურს ისინი ვერაფერს ვერ გააკეთებენ. რაკი მიხვდებიან, როგორი დასასრული ექნებათ. მათთვის უკეთესია მხიარულად შეეგუონ სიკვდილს და ამისთვის, რაც შეიძლება, მალე მოემზადონ.

— მაქსიმ, — ვუთხარი, — შენ ასე იმიტომ მელაპარაკები, რომ დღეს მოწყენილი ხარ. ნაკბენი ხარ, შხამი გზას მიიკვლევს შენს არსებაში. მაგრამ მინახავხარ ჩვენს შეკრებაზე ღამით, როგორ აძლევდი სიცოცხლეს სალამს; ვიცი, რაც ახლა თქვი, შენ ამას არ ფიქრობ, ადამიანებს სურთ სიკვდილი, ეს მართალია, მათ უყვართ ის მოსპობა, რომელსაც საბოლოოდ თავს ვერ დააღწევენ, ისინი მას ყველაზე უფრო საუცხოო საცთურებით ამკობენ. ყველგან დაქდებენ მას, არსებობის ყოველ წუთში, სუფრაზე, ლოგინში, მუსიკაში, ომსა და სიყვარულში ან მოსპობას მსოფლიოსავით აფართოებენ, მსოფლიოს კი აკლდამად აქცევენ. მაგრამ შენ, ჩვენ...

მაშინ მაქსიმმა თავი ასწია, თვალები უბრწყინავდა. მიიღო თავისი ჩვეულებრივი დამცინავი გამომეტყველება, მაგრამ მის სახეზე ვკითხულობდი მოჭარბებულ და მთრთოლვარე მეგობრულ გრძნობას. მან მითხრა:

— შენ ეს იცი?

— ჩემთვის არავის უსწავლებია. მაგრამ ეს, ალბათ, ჩემში იყო დაბადებიდან, მხოლოდ იზრდებოდა. ახლა მინდა ეს შენგან გავიგონო.

— ოჰ! — წამოიძახა და ხელი ხელზე მომიჭირა, — ჩვენ, მართლაც, ერთმანეთისთვის ვართ გაჩენილი.

— შენ მაქსიმ, ეს ოდესმე გეეჭვებოდა?

— გული არ მოგივიდეს! — მითხრა და ხელი მომხვია. — მაგრამ მე ობლად ვარ. თითქოს ეს ასე მოხდა, კეთილი მშობლები, რომლებსაც შესახებაც შენ გელაპარაკე, ხომ გახსოვს? და რომლებმაც აღამიანების მომავალი იციან, დღესასწაულის დასასრულს წავიდნენ და მე მარტოკა დამტოვეს ჩემი ლეიტენანტის ღარიბი მუნდირითა და მძიმე საიდუმლოებებით დატვირთული. მაგრამ, ტეოდორ, შენ მოდი და საემაჩის იყო, რამდენიმე ნაბიჯი მხარდამხარ გაგვევლო, რომ ერთი და იგივე ფიქრები მოგვსვლოდა. მე ვრწმუნდები, ეს წლები აქამდე იმიტომ გვიცხოვრია, წინასწარ დანიშნულ დროს ერთმანეთს რომ შეეხვედროდით და არასოდეს არ დავშორებოდით.

— ოჰ! მაქსიმ! — განვაგრძე თვალცრემლიანმა, — თუ მე და შენ ერთმანეთს არ დავშორდებით და გვეცოდინება ის, რაც ვიცით, ეს მეტად მშვენიერი რამ იქნება...

— არა, ეს შეუძლებელი იქნება, — თქვა და თავი გაიქნია.

მცირე დუმილის შემდეგ განაგრძო:

— მაშ, ტეოდორ, შენ მიხვდი, რომ სიკვდილი ყველასა სურს, მათაც, ვისაც ეს არ შეუცენია, მათაც, ვისაც ყულფთან მიმყვანი ეს საშინელი ფიქრი არ აჰკვიატებია, ისინი სიცოცხლეს ისე არ აფასებენ, რომ მათმა რელიგიებმა სიცოცხლე საიქიოს გადაიტანეს. სიკვდილი!.. ისინი ყოველთვის მას უბრუნდებიან. ყოველი მათი წარმოდგენა, სიამოვნება, დაჯგუფება სიკვდილის თავშესაფარია, მაგრამ შენ ხომ სიკვდილზე აღარა ფიქრობ?

— არასოდეს.

— არანაირად?

— არანაირად, არც ამ ხეების არც ამ ფოთოლთა და არც ამ ბუნების ძალთა სახით. ეს-ეს არის მკითხვე, რა გაღიმებსო. მაშინ მე ერთხელ კიდევ უარეყავი სიკვდილზე ფიქრი.

— კარგი, — თქვა მაქსიმმა, — კარგი... ეს ჩვენ ხალხს უნდა ვასწავლოთ, მაგრამ ეს ძალიან ძნელია, ამის მიღწევა მხოლოდ თანდათანობით შეიძლება, ეს იქნებოდა სხვა რამეზე ფიქრი. იმაზე, რაც ერთხელ გააკეთეს და რის გაკეთებაც კვლავ აღარა სურთ...

— დაბადება! — წამოვიძახე მე.

— დიახ, დაბადება, — გაიმეორა მაქსიმმა, — მეორედ დაბადება, არა სიკვდილი, არამედ აღორძინება.

მღუმარედ ვიდექით დიდ ხეთა შორის, ხავსისა და მკრთალი მზის სურნელებაში, ფოთლების თაღქვეშ და ჩვენ ვგავდით კვერცხის გულში მოქცეულ, ათრთოლებულ ტყუპ ძმებს, რომლებიც საცა არის კვერცხის ნაქუქს გასტეხენ. ჩემს ხელში მაქსიმის აკანკალებული ხელი ვიგრძენი, შევხედე, შემომხედა. ერთმანეთში თავი ვიცანით. მე ვფიქრობდი, რომ მან ჩემი მომავალი იცოდა, მის მომავალს კი ჩემს არსებაში ვატარებდი, მზად ვიყავი ყოველივე მისი მწუხარება განეგო და გამეზიარებია. ამავე დროს მეც ვავალებდი მთელი ჩემი წარსული გადაეწყვიტა.

ნელი ნაბიჯით უკან დავბრუნდით, სასახლისაკენ.

— ახლა ჩვენ ვართ ორი, — ჩაიბუტბუტა მაქსიმმა.

ისეთ რამეს დავეძებდი გარშემო, რის გაყოფაც შესაძლებელი იქნებოდა, გაორადებულ ტოტს, ერთი მეორის მსგავს ყვავილებს. ცოტა ხნის წინათ აქ ნარგიზი ვნახე, მაგრამ ამ ადგილას ყვავილები არ იყო.

— ფული რამდენი გაქვს ჯიბეში? — ვკითხე.

ქისა გახსნა, ოცდათვრამეტი ფრანკი ჰქონდა.

— მოგებული ხარ, — ვუთხარი, — თუმცა არც იმდენად. ორმოცდაათამდე ნაქვს. გამომართვი ჩემი ქისა.

— რატომ?

— გამომართვი, გეუბნები და შენი ფული მე მომეცი, რაც ერთსა აქვს, იგი მეორეს ეკუთვნის. ფულზე უკეთესს ერთმანეთს რას გავუცვლით? ეს ჩვენი ღარიბების სისხლი და ხორცია.

ტყიდან გამოვედით. ჩვენ წინ დიდი მინდორი გადაიშალა.

— დიახ, — ვუთხარი, — ახლა ჩვენ ორი ვართ: ეს ხელახლად დაბადების პირველი სახეა. არის კიდევ სხვა საშუალებები, რომლებსაც ჩვენ ერთად გამოვიყენებთ, ნახვამდის, მაქსიმ, შენ სასახლეში დაბრუნდები. მე პაემანი მაქვს ჩემს ავლოტთან. ჩქარა ვნახავთ ერთმანეთს?

— ამ ცოტა ხნის წინათ საშინლად უბედური ვიყავი, ტეოდორ. ახლა კი თავს გარდაქმნილად ვგრძნობ. გმადლობ. დიახ, ერთმანეთს მალე ვნახავთ.

მაქსიმს შევხედე, მის სახეზე, მართლაც, მხნეობა და სიმშვიდე იხატებოდა. მან გამიმეორა:

— გმადლობ, ტეოდორ.

— ვიცი, რა საათები, დღეები მოგელის, მე მთელ ჩემს დღეებსა და საათებს შენზე ვიფიქრებ. ნახვამდის, ჩემო მეგობარო.

ერთმანეთს ხელი ისე მაგრად ჩამოვართვით, რომ კინალამ დავიმტვრიეთ.

პარიზში რომ დავბრუნდი, იქ გაზაფხული იყო, კომპიენში მხოლოდ იწყებოდა გაზაფხული. პარიზში კი ნამდვილი გაზაფხული ბრწყინავდა. ქუჩებში წაბლის ხეები აყვავებულიყო და თავისი სურნელებით ყავახანების ტერასები აევსო. მარი-როზის სანახავედ გავეშურე, ლოგინზე იჯდა, სულ ჩაცმული, ფეხებგაშეშებული. იგი მომჭობინებულყო, მაგრამ, მოძრაობას მოკლებული, გაფითრებულიყო. გარშემო მისი შეკერილი ქალის თავსაბურავები ეყარა.

— სამი დღეინი უნდა ჩამებარებინა, — მითხრა მან, — მე კი მხოლოდ ოციოდე დავამზადე. იმ შემთხვევამ ძალიან დამაგვიანა.

— მალე მორჩებით, მარი-როზ, და ჩვენ ერთად წავალთ სასიერნოდ. იცით, გარეთ უკვე გაზაფხულია! ამ ფანჯრიდან, რომელიც მოწყვნილ ეზოში გადის, გაზაფხულს ვერც კი იგრძნობთ. მაგრამ მამათქვენის სახელოსნო კი მზით აივსო.

— ოჰ, როგორ მინდა ჰაერზე გასვლა! — ამოიოხრა მარი-როზმა.

ერთი კვირის შემდეგ, ჩემს მკლავზე ხელდაყრდნობილ მარი-როზს უკვე შეეძლო გარეთ გამოსვლა... ეტლით გავასიერნე. არემარეს თვალს ვერ ამორებდა და ჰაერს ხარბად ისუნთქავდა. მეორე კვირას ტრონის სადარაჯოსკენ წავედით და სასადილოში შევედით, იქ მუსიკა უკრავდა. ისე ცხელოდა და იმდენი ხალხი ირეოდა, რომ ყველაფერი შესაძლებლად მეჩვენებოდა. ტალავერქვეშ ვისხედით; მზის სხივები ციმციმებდა მარი-როზის კისერზე, შიშველ ხელებზე. თვალს არ ვაშორებდი მას: მის ლოყებს ძველებური ფერი დასდებოდა, თვალები უბრწყინავდა. მარი-როზმა გამიღიმა, მერე თავისი ყრუ ხმით მკითხა:

— ტოდორ, ასე რატომ მიცქერით?

— მარი-როზ, — ვუთხარ და ხელზე ხელი მოვცილდე. — მარი-როზ... — სიტყვა ვეღარ გავაგრძელე. მოზღვავებულმა გრძნობამ სუნთქვა შემიკრა. მაგრამ ხელს ვუჭერდი მარი-როზის ხელს და ვეალერსებოდი ნემსებით დაჩხვლული თითების რბილ ბოლოებს. დავცქეროდი ამ ოდნავ დიდ ხელს, მოვლილს, ოთხკუთხოვან ფრჩხილებს, გრძელ თითებს და მაგიდის ზემოთ მისი ხელი ჩემკენ მოვიზიდე და ცერზე ვუკბინე, მარი-როზმა ოდნავ წამოიკივლა და ხელის წართმევა მოინდომა.

— რამდენი წლისა ხართ, მარი-როზ?

— ცხრამეტისა.

— მარი-როზ, მე რომ თქვენთვის მეთხოვა ცოლად გამომყევით-
მეთქი, რას მეტყვლით?

— გეტყვლით, რომ გიყი ხართ, — მიპასუხა მოწყენილად. — რის
მაქნისი ვიქნები თქვენს ცხოვრებაში?

— მარი-როზ! — წამოვიძახე, — მე თვითონ არ ვიცი, როგორი იქ-
ნება ეს ჩემი ცხოვრება. მაგრამ, თუ თქვენ არ გინდათ გახდეთ ჩემი
ცხოვრების ნონაწილე და ჩემი თანამგზავრი სამუდამოდ, მაშინ მე სულ
ძარტო ვიცხოვრებ, გესმით? მაცალებთ, დაიცალებთ, ჩვენ არ ვიცი, რა
შობდება, მაგრამ ერთსა გთხოვთ, მენდეთ, მარი-როზ. მიყვარხართ. ეს
თქვენთვის არასოდეს არ მითქვამს, თუმცა ეს თქვენც იცოდით და მეც.

— ტეოდორ, — ჩაიბუტბუტა, — ჩვენ ყველაფერი გვაშორებს, გან-
საკუთრებით, ახლა, როდესაც თქვენ გზას იკვლევთ... წინათ, მე არ ვამ-
ბობ...:

— გზას ვიკვლევ? რა გზას ვიკვლევ? მე თვითონ არ ვიცი, საით
მივდივარ.

— თქვენ, ალბათ, თანამდებობას მიიღებთ; მე არ ვიცი, ასეთი ამბე-
ბი როგორ ხდება...

— თუ მე ოდესმე მივიღებ ისეთ თანამდებობას, რომელიც საშუა-
ლებას მომცემს თქვენთან ერთად ვიცხოვრო, თქვენ ჩემი ცოლი გახ-
ლებით.

— რას იტყვის ხალხი? თქვენი ოჯახი? არა, ტეოდორ, ამაზე ფიქ-
რიც არ არის საჭირო.

— ერთ კითხვას მოგცემთ, მარი-როზ... მიპასუხეთ!.. მითხარით,
მარი-როზ, გიყვარდათ ვინმე?

არაო, თავის გაქნევით მანიშნა.

— რა ლამაზი ხართ, მარი-როზ! როგორ მიყვარს თქვენი თვალე-
ბი! ნუთუ ცოტა მაინც არ გეყვარებთ?

— მე არ მინდა, — ჩაიბუტბუტა.

— რა არ გინდათ?

— რომ თქვენ მიყვარდეთ... მაგრამ, — დაუმატა მორცხვად, —
თქვენ მომწონხართ, დიახ, ყველაზე უფრო, ვინც ჩვენს ოჯახში დადის.

— მაქსიმზე უფრო მოგწონვართ?

— მაქსიმი ვინ არის?

— ლეიტენანტი. იცით, მარი-როზ, იგი ჩემი საუკეთესო მეგობარი
გახდა.

— კარგი ვაჟაკია, თუმცა კინაღამ მომკლა, — თქვა ღიმილით, —
მაგრამ ის არ მიყვარს ნამდვილი სიყვარულით.

— მე, მარი-როზ, მე?

ორივე ხელს ეუჭვრდი ხელზე, ვეალერსებოდი მაჯაზე, მკლავზე, კინაღამ წაეაქციეთ ბოთლი, რომელიც ჩვენ შუა იდგა მაგიდაზე და სიცილი შეგვესკდა. მაშინ ადგილი გამოვიცვალე, მარი-როზს გვერდით მივეუჭეკი. სახე ჩემკენ მოიბრუნა და დაეინახე მისი ცრემლით ავსებულ-ლი თვალები და დაჭიმული, მთრთოლვარე ტუჩები.

ნელი ნაბიჯით მივიდოდით შინისაკენ, წელზე ხელშემოხვეულნი გზას მივიკვლევდით, მარი-როზს მომავალზე ველაპარაკებოდი. ვუხსნიდი, რომ მომავალი, თუ იგი გიყური. არ არის, არ არის მომავალი. ცხოვრება რომ მისაღებად ჩასთვალო. უთუოდ წარმოუდგენელი მომავალი უნდა გეხატებოდეს.

— მე ვიცი მომავალი, — მიპასუხებდა იგი ჯიუტად. — მე თქვენი ცოლი ვერ გავხდები, ტეოდორ, მაგრამ ვიქნები ყველაფერი, რაც თქვენ გინდათ. ასე უმჯობესი იქნება.

— ასეთი მომავალი მე არ მინდა! ის, რაც, შენა თქვი, რაგინდ მომხიბვლელიც უნდა იყოს ჩემთვის, მაინც არ მინდა. მე მსურს ისეთი მომავალი, სადაც თქვენ ჩემი ცოლი იქნებით. ეს იქნება ნამდვილი მომავალი, დიან, ძნელი, მაგრამ ჩვენი შესაფერი.

— თქვენ გინდათ თქვენი ცხოვრება დააჰსხვრიოთ, ტეოდორ!

— რომელი ცხოვრება? ჩემი ცხოვრება კი არა, არამედ ცხოვრება, რომელსაც თავზე მანვევენ, ჩემი ცხოვრება კი, მარი-როზ, თქვენთან ერთად არის.

— მეშინია, — თქვა მან.

შემდეგი დღეები მოვანდომე მთლიანად ფანტასტიურ ოცნებას გაზაფხულსა და მომავალზე. ომზე ჩურჩული თანდათან ძლიერდებოდა, მაგრამ იგი ჩემს ზეიმს აძლიერებდა მხოლოდ. მოუთმენლობამ შემიბყრო, მსურდა რაღაც იშვიათი გმირობა ჩამედინა. ნაკლებად სასაცილო ამბებიც კი მაინებდა. როდესაც ბატონი ავლოტი ჩემთან ჩვეულებრივ მსჯელობას მოჰყვებოდა, სურვილი მომივილიდა, მისთვის მუცელზე ერთი ლაზათიანად ხელი მეკრა. მისი ცოლი თავისი ბინის სადმე კუთხეში რომ დამიჭერდა, ბრწყინავ თვალებს შემოშანათებდა და ჩამილაპარაკებდა:

— როდის? დღეს?.. არა?

მე სასწრაფოდ ვაკოცებდი და ვეტყვოდი:

— დღეს შეუძლებელია. შენი ქმარი მთელ დღეს არ მიშორებს.

— ტეო, აღარ გიყვარვარ?

— გაღმერთებ! — ვეტყვოდი და გავრბოდი. მაგრამ არც მისი, არც

ჩემი ბიძაშვილების ნახვა აღარ მინდოდა, მათი ბავშვური ქცევა მამრანებდა. მაგრამ ეს სიბრანეც სიხარულად შექცეოდა. თავი საფრინველში მეგონა და სიცილით ყურებს ვიგმანავდი, მაგრამ ჭიკჭიკი უფრო იზრდებოდა და აღარ ვიცოდი, რა მინდოდა: მომესმინა ეს ჭიკჭიკი, თუ გავქცეოდი მას, რომელიც საშინლად ძლიერდებოდა, ომზე ლაპარაკიც მამხიარულებდა. „რაკი ომის დაწყება სურთ, ვამბობდრ, დაე დაიწყონ! დაე მთელი მსოფლიო გადაიროს“. მაქსიმს გრძელ წერილებს ვწერდი. ისიც ვრცლად მიპასუხებდა. „მაქსიმ! ჩემო უსაყვარლესო მეგობარო, ჩემო ძვირფასო მეგობარო!—მიემართავდი მას, — როდის დაბრუნდები? შენ აქ უნდა იყო, რომ ერთად განვიცადოთ ჩვენი ცხოვრება!“ ეს იყო ნეტარების აღგზნება.

მეფის ოჯახი რამდენიმე დღით პარიზს ჩამოვიდა. მერე ისევ სენკლუს დაბრუნდა. მე ვნახე ნაქსიმი. მასთან საუცხოოდ გავატარე ერთი საათი, მაქსიმი ტიულირნიმდე მივაცილე. ათასი რამ დაგვრჩა უტქმელი.

— წამოდი ჩემს ოთახში, — მითხრა მან, — ტანისამოსი უნდა გამოვიცვალო.

ჩვენ ვესტიბიულში ვიწრო მარმარილოს კიბის ძირას ვიყავით, რომ გონჯის ხმა მოგვესმა.

— გესმის? — მითხრა მაქსიმმა, გაშეშებულმა, თითაწეულმა.

— მერე?

— დედოფალია.

და ჩუმად დაუმატა:

— თავის ოთახშია და მას ეძახის. სურს სულ მარტო შეხვდეს. ისიც, უეჭველად, თავის კაბინეტშია, ბალს რომ დაჰყურებს. იგი აქ გაივლის, წამო.

კარი გააღო და პატარა ცარიელ ოთახში შემიყვანა. იქ მეკარეები გრძელ სკამზე ისხდნენ და საუბრობდნენ. ეს ოთახი გავიარეთ და ბნელ, დაქანებულ დერეფანში მოვხვდით, სადაც სინათლე ერთიმეორეს დაშორებული სარკმლებიდან იჭრებოდა. ეს დერეფანი თითქოს მენახა.

— ტოდორ, — მითხრა მაქსიმმა და მკლავში ხელი ჩამავლო, — ვინდა მათი ნახვა?

— კი! — ვუპასუხე და გული საშინლად ამიძგერდა.

— ერთ საიდუმლოებას გაგანდობ... ახლა იგი მხოლოდ მე ერთადერთმა ვიცი... წამოდი.

დერეფანში რამდენიმე ნაბიჯი გადავდგი და მაქსიმი სარკმლის

პირდაპირ შეჩერდა, რომ გარკვეულიყო, სად ვიმყოფებოდით. ხელი კედელს გააყოლა. ჩვენ წინ პატარა კარი გაიღო.

— ასანთი გაქვს? — შკითხა.

ასანთს მოეუყიდე და ვიწრო, ბნელ ტალანს გავეყვით. მერე ჩემი ფეხი კიბის საფეხურს მოხვდა.

— აფეხეთ, — მითხრა მაქსიმმა.

კიბეზე რომ ავდიოდით, მაქსიმმა მითხრა:

— ლუი-ფილიპეს დარბაზბატონმა იცოდა ეს გ'ა. იგი ბიძაჩემის მეგობარი იყო. ახლა კი აღარაფერი იცის ამის შესახებ. — და მერე სიცილით დაუმატა: — ჰა! ჰა! ტეოდორ! ჩვენ უკანასკნელი მოწმე ვიქნებით.

— მერედა ის კიბე სად მიდის? — ეკითხე.

— დედოფლის კაბინეტის კუთხეში არის პატარა ოთახი, სადაც საიდუმლო შეხვედრას აწყობენ. ახლავე ნახავ...

კარი გაიღო, და ჩვენ სინათლეში მოვხვდით, ალკოვის მსგავსს ოთახში ვიყავით, აქ იდგა ლუი XVI-ის დროინდელი ვარაუდოვანი საში სკამი, ზედ გადაკრული ძველი ატლასი დახეულიყო.

ალკოვიდან ჩვენ წინ მოჩანდა თვალსმომპყრელი სილამაზის სასტუმრო დარბაზი, მწვანე მცენარეები, მშვენიერი აბრეშუმით გადაკრული ორი სავარძელი.

— აქ ჩვენ ვერაფერი გვხვდავს, — მითხრა მაქსიმმა, — ხელი ახლავ: აქ, სადაც არაფერი გგონია, არის დიდი მინა, ჩვენი მხრიდან გამკვირვალა, მეორე მხრიდან კი სარკე. არა გჯერა? ისინი აქ მოვლენ, ჩვენ წინაშე ილაპარაკებენ. დაჯექ! შენ თეატრში ხარ.

მუხლა მიკანკალებდა. ლუი XVI-ის დროინდელ სავარძელში დავეწვი და გარემოს დაუაყქერდი. ჩემ წინ იყო პატარა ოთახი, ან, უფრო სწორად რომ ვთქვათ. მეორე ნაწილი იმ ალკოვისა, სადაც ჩვენ ვიყავით. მას ყალბი მინა გვაშორებდა. ის ნაწილი სადად მოერთოთ. ორი სავარძლის გარდა, რომელიც უკვე დავინახე, კარებში მოჩანდა აგრეთვე დედოფლის დიდი სამუშაო კაბინეტის ერთი კუთხე. მის სიღრმეში, მაღალი ფანჯრის პირდაპირ, ზამთრის ბალი გაუშენებიათ. იქიდან სინათლე იჭრებოდა, რის გამოც თვალს ვერ ვახელებდი. ალკოვის კედლის პირდაპირ, თაროებზე ბრწყინავდა ესპანურ ყაიდაზე გაკეთებული, მინებჩასმული მოოქრული სამარტვილე, რომელშიც წითელი ატლასით გადაკრულ ბალიშზე ძვლები ესვენა. მაქსიმმა გვერდით მომიჯდა.

— აქ ძალიან ცხელა, — ჩავილულულე და შუბლზე ჩამოდენილი

ოფლი მოვიწმინდე. მერე კანკალმა ამიტანა. ნაბიჯები ახლოვდებოდა. მკლერი ხმა მოისმა:

— ლუიზა, დედოფალი მანდ არა ბრძანდება?

— მისი უდიდებულესობა ეს-ეს არის თავის თოთახში გავიდა, — უპასუხა ქალის ხმამ, — მაგრამ ახლავე დაბრუნდება.

— მარტო დაგვტოვებ, — უთხრა ხმამ.

მერე, ჩემ პირდაპირ, თითქოს არაფერი გვაშორებდა, დავინახე, კეისარი შემოვიდა. ყარი კარგად არ მიუხუროვს, ჩვენი თვალები ერთმანეთს შეხვდნენ. მე წამოვდექი, მაქსიმმა მკლავზე ხელი მტაცა და ძალით ისევ დამსვა. მივხვდი, რომ იმპერატორს არ დავუნახივარ. საოკეში თავისი თავი დაინახა. ერთ ხანს ასე დარჩა უძრავად, თითქოს მე მაცქერდებოდა, ხელი თვალებთან მიიტანა და წამწამებთან. ნარკებზე ნაზად გადაისვა, შავად შეღებილი ულვაში გაისწორა. ძალიან ფერმკრთალი იყო, ცარცის ფერი ედო, მისი ფერმკრთალობა უფრო მკაფიოდ ჩანდა იმის გამო, რომ ორივე ლოყა ყვრიმალის ძვალთან შესწითლებოდა. შიშის ზარი დამცა მისი თვალების სასოწარკვეთილმა გამოხედვამ, სარკეში თავის თავს უმზერდა. მაქსიმის ხელს შევეხე ძაღლობის ნიშნად, რომ ასეთი საშინელი უპირატესობა მომანიჭა, გამოზიარა შესაძლებლობა, საშუალება მომცა, რომ განმარტოებული ადამიანის იდუმალი ფიქრები მუხანათურად დამეჭირა.

იმპერატორს გენერლის ჩვეულებრივი ტანსაცმელი ეცვა, შავი ყაითნის დანაკერიტ, მკერდზე კი საპატიო ლეგიონის ორდენის ვარსკვლავი ჰქონდა. შეხეთ! ვფიქრობდი, რა ტანისამოსსაც მოისურვებს, იქას ჩაიცვამს, სულ უბრალოსაც. მაგრამ ნუთუ მას ასეთ მდგომარეობაში ტანისამოსის ცვლა ართობს? მას ყოველნაირი კოსტიუმი აქვს და ამავე დროს არც ერთი. არც ერთი, რომელიც შეეძლოს თავისად ჩასთვალოს, რომელიც მან დაიმსახურა, რომელიც მას შეეფერება და გარკვეულ სახეს აძლევს. იგი მხოლოდ ტიკინაა, რომელსაც ყოველგვარი ტანსაცმელი უხდება. რატომ არ იმოსება ზუჯად, ან მეხანძრედ, ან ეპისკოპოსად? მას შეუძლია ყველაფერი იყოს და არც არაფერი. ამ ფიქრებში ვიყავი, რომ უეცრად კარი ბელახლა გაიღო და დედოფალი გამოჩნდა. ჯერ მხოლოდ წითელი ლაქა დავინახე, მერე მოკაშკაშე თეთრ სახეზე შავი თვალები, რომლებმაც ჩემ წინ გაიღვეს. ამ დროს მაქსიმმა ხელში ფრჩხილები ჩამასო.

დედოფალს ეცვა წითელი ფლანელის ბლუზა, „გარბალდის“ რომ ეძახდნენ და შავი ატლასის ქვედაწელი. ამ საშინაო ტანსაცმელში, რომელშიც მკაფიოდ მოჩანდა მისი მკერდისა და თეძოების მოხაზუ-

ლობა, რაღაც ამაღლებებელს ვგრძნობდი. იმავეს განვიცდიდი მარი-როზთან ყოფნის დროს, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ხალხში ვიყავით. ნესტოები მებერებოდა და მეგონა, რომ ვისუნთქავდი ამ ქალის სურნელებას, მისი ტანის სურნელებას, თითქოს ვეხებოდი მკვრივ მკერდსა და მხრებს, იღლებში შავ თიფთიკს, ტანის იმ ნაწილს, რომელსაც ხელი მოხერხებულად შემოეხვევა ხოლმე. ყელი ლამაზად მოეღერებინა, პატარა მოძრავი თავი ჰქონდა. ნაკეთოვანი, ოდნავ გაპობილი ტუჩები მზად იყვნენ მძაფრი გრძნობების გამოსახატავად. წარბები ფანქრით გაეშავებინა. სახე გაეპულრა. შეიძლება, ლოყებზე შეუმჩნეველი წითელი ფერი ეცხო. თმა თავისნება ტალღებად იშლებოდა, თითქოს გენიოს მოქანდაკის სასწაულთმოქმედი საკვეთი შეხებოდეს. დედოფალი კარებში შეჩერდა, დამცინავად იცქირებოდა. აპოლონონი მობრუნდა. სავარძელი მისწია, მისკენ დაიხარა და კისერში აკოცა სწრაფად და გიჟურად, მერე ნაზი ხმით, თითქოს თავაზიანად, უთხრა:

— სალამი, ტრაპიზონის პრინცესავ.

— სალამი, შავო პრინციო.

ხმადაბლა უპასუხა, სწრაფად, თითქოს წესს ასრულებდა, მერე სწრაფადვე დაუმატა:

— სალამი, მშვენიერო კრეოლო...

ნაპოლეონი სავარძელში ჩაჯდა. წუთის წინათ ანთებული თვალები ჩაუქრა. დედოფალი მის პირდაპირ დაბრძანდა, სახეზე სიბრალოული და ზიზღი გამოეხატა:

— მერე? — თქვა იმპერატორმა.

— რას დამსგავსებინხართ! შეხედეთ თქვენს თავს! როდის მოხვალთ ქუაზე?

ნაპოლეონმა გაიღიმა ოდნავ მოწყენილად და ოდნავ ფუქსავატურად. მერე თავი გადაიქნია და თითქოს ამღერებულად ჩაიბუტბუტა:

— ტრაპიზონის პრინცესავ, საბას დედოფალო, შიმენ, შიმენ... ჩემგან რა გინდათ კიდევ? ამდენს რატომ მაწვალებთ და თავსაც იწვალებთ? რა საჭიროა ამდენი საყვედური? განა მშვენიერი სახელმწიფო არ გიბოძეთ?

— ცის ქვეშეთში ყველაზე უფრო მშვენიერი სამეფო.

— საფრანგეთი ხელთ გიპყრიათ.

— ახლა მას ვუპყრივარ. თითის განძრევასაც ვერა ვბედავ. ამ ტიულირიში ისე ვარ, როგორც ხაფანგში.

ნაპოლეონმა უღვაში აიგრიხა და არაფერი უპასუხა. საოცარი რაა

იყო ეს ოთახი, სადაც ჩვენ ოთხნი ერთმანეთის პირისპირ ვისხედით, მაგრამ ის ორი ფიქრობდა, მარტო ვართ და ვერავინ გვხედავსო, ჩვენს საუბარსაც არავინ ისმენსო. სულთქმას ვიკავებდით, თითქოს ამის გაგონება შეეძლოთ. ხელს ვუჭერდი მაქსიმის ხელს, რომელსაც ცეცხლი ეკიდებოდა. ხანდახან დაბნეული გადავხედავდით ერთმანეთს. დედოფალმა განაგრძო, ლაპარაკი უჭირდა, გაცხარება ეტყობოდა.

— კარგად იცი, ლუი, ყველაფერ ამას ჩემთვის როდი ვლაპარაკობ. მე ჩემი დრო მოვჭამე, მეტს არაფერს ვითხოვ. მაგრამ პატარასთვის ვზრუნავ. დიახ, შენ მომეცი ეს სამეფო. ვოცნებობდი დიდ სიხარულზე, დიდ დღესასწაულებზე, მაგრამ ხალხმა არ ისურვა. ან მე ვერ მოვახერხე. შენც თავის თავს მშვენიერ პირობას აძლევდი! ჩვენ ხალხს ავუშენეთ დავრდომილთა თავშესაფარნი, ჩვენ... ოჰ! როგორ მინდოდა ხალხს ვეყარებოდი. ვფიქრობ, მათ ძარღვებში სისხლი არა აქვთ. მათ სიყვარული არ იციან. რა ვქნათ, მე და მათ ერთმანეთს ვერა გავუგეთ რა. საქმე გათავებულა. ხომ, ლუი?

ლუიმ თავი ასწია და მის ხმაში წინააღმდეგობა ისმოდა:

— შიმენ, შიმენ! უსამართლო ხარ.

— სიყვარული უსამართლოა. უნდა ვიფიქროთ, რომ მე ესპანელი დავრჩი და ისინი მართალი არიან, როდესაც მუდამ ესპანელს მეძახიან. ჩვენში სიყვარული იციან.

მაქსიმს შევხედე. მან მხრები აიჩეჩა. დედოფალმა განაგრძო:

— ახლა ყველაფერი გათავებულა. მაგრამ მინდა, გესმის, ლუი, მინდა, რომ პატარა ჩვენზე უფრო ბედნიერი დარჩეს. მინდა მისთვის მშვენიერი მეფობა. თუ შენ არა გსურს ამ საქმეს ხელი მოჰკიდო, ჩემი პატარა ბიჭისათვის სამეფოს დაცვას შევძლებ, ჩემი ახალი პატარა შავი პრინცისათვის!

იმპერატორმა მძიმე წამწამები ასწია და კვლავ დავინახე მისი უნუგეშო, არაფრის გამომხატველი თვალები. დედოფალს დიდხანს უცქე-როდა, მერე ჩაიბუტბუტა:

— ეს იმას ნიშნავს, რომ ომი გვექნება?

— ეს იმას ნიშნავს, რომ მე არ ვეძებ არც დიდებას, არც ავანტიურას. როგორც შენ და ისინიც საკმაოდ მისაყვედურებდნენ. ჩემთვის, ლუი, ვინეორებ, ყველაფერი სულ ერთია, დიახ, უფრო მეტად, ვიდრე შენთვის! მაგრამ მე მინდა პატარა პრინცის მომავალი დავიცვა.

— მე ხალხს მაინც მშვენიერი დედოფალი მივეცი, — თქვა ჩაფიქრებულმა იმპერატორმა.

-- შენ უეჭველად გსურდა ჩვენი, ჩემი და ხალხის ბედნიერება: ეჰ!

მე სინდისი წმინდა მაქვს, იგი ნუგეშს სხვა ქვეყანაში კპოვებს. ოჰ, ლუი! — წამოიძახა უეცრად და თავი დახარა. — მე მხოლოდ ჩვენს ბაჭშვზე ვფიქრობ. შენ რომ იცოდე პორტსაიდში, როგორ ვფიქრობდი ბავშვსა და შენზე, ყველაფერზე, რაც მისთვის უნდა გაგვეკეთებინა...

ხელმანდილი თვალებთან მიიტანა. იმპერატორმა მისკენ ხელი გასწია და სულ ჩუმად უთხრა:

— ეჰ! მაშინ შენ, მართლა, ჩემი საბას დედოფალი იყავი....

— რა მშვენიერი იყო ეს მგზავრობა. ეს მზე. ლუი, და ჩემს გულში დაბუდებული, განუშორებელი ფიქრი... როგორ ნათლად ხედავ ყველაფერს, რაც დაშორებულია. ივიწყებ ყოველგვარ სიმახინჯეს. მე აღარ ვფიქრობდი არც პერსინზე, გარწმუნებ, არც ნაპოლეონზე, არც ყველა იმ ადამიანზე, რომელსაც ვეზიზღები. ეჰ, მაშინ მე აღარ ვიყავ ბადენგეტი!

— ჩემო პატარა დედოფალო... შენ ყოველთვის ჩემი პატარა დედოფალი ხარ, მეტად მგრძნობიარე, მეტად აწყაი.

— ლუი, საყოყმანო არა არის რა, — უთხრა მან და თავი ასწია, — მე მეორედ გთხოვ ჩემს სამეფოს ჩემთვის კი არა, არამედ ჩემი ბავშვისათვის. გთხოვ ტახტსა და არა სანარცვინო ბოძს. ყველაფერი ისევ ხელში უნდა ჩაიგდო, ლუი, და პრუსია დაამარცხო, ხალხი კვლავ დაიპყრო. დაივიწყე, რაც გითხარი: ხალხზე გული არ მომდის, მაგრამ არ მინდა, ბავშვმა იცოდეს, თუ როგორი ცხოვრება მქონდა. მეტერნიხი და ნიგრა ჩვენს მხარეზე არიან. ისინი შემპირდნენ. შენს ბატონო ოლივიეს არა სურს, რომ მე საბჭოში ვიყო; მაგრამ იგი მუშაობას ვერ დამიშლის! მე ვმუშაობ. შენი რესპუბლიკელებით ისეთ ავანტიურაში ჩაები, რომლიდანაც თავის დაღწევა არ შეგიძლია. რამდენადაც მეტ თავისუფლებას ანიჭებ მათ, იმდენად მეტ შეურაცხყოფას გვაყენებენ. გამარჯვება ნებას მოგვცემს უკან დავიხიოთ. ცუდი დღეები წაიშლებიან, კოშმარი დასრულდება. ხომ გამიგე, ლუი? არ შეიძლება ეს არ გინდოდეს.

იმპერატორმა თავი გვერდზე გადახარა. თავის დასიებულ ფერმკრთალ სახეზე თვალეები დაახამხამა.

— ნიგრა საცინლად გიგდებს.

— ნიგრა საცინლად მიგდებს? — თითქოს მძინარემ გაიმეორა დედოფალმა.

— ღმერთო ჩემო! — ამოიოხრა იმპერატორმა. — რა უცნაური საუბარია კაცსა და ქალს შორის!...

— სამხრეთი გერმანია...

— სამხრეთი გერმანია?

იმპერატორმა ულუაში აიგრიხა და ღიმილით დაუმატა:

— დარწმუნებული ხარ, რომ სამხრეთი გერმანია და ზეცაც ჩვენ-
კენ იქნებიან?..

— ლუი, — უპასუხა დედოფალმა და ამაყად შეხედა. — შენ გარდა ყველაფერში დარწმუნებული ვარ.

— ჩემო ძვირფასო, — უთხრა იმპერატორმა ისევ ღიმილით, — შენ გარდა არავის რწმენა არა მაქვს... ფეიეს რომ ჩვენთვის მოესმინა, თავის კომედიებში გამოგვიყვანდა. ისე ხშირად ვნახულობთ კომედიებს. რომ ჩვენ მხოლოდ აბლაუბდაზე ვლაპარაკობთ. ეს კიდევ ბედნიერებაა, როდესაც ვიცით, რომ აბლაუბდას ვლაპარაკობთ. მაგრამ საბოლოო ანგარიშში ისიც აღარ ვიცით, რას ვლაპარაკობთ.

— შენ თუ აღარ იცი, მე ვიცი სამაგიეროდ.

მძიმე სიჩუმე ჩანოვარდა, შემდეგ იმპერატორმა ნელა განაგრძო:

— რატომ არ გინდა დაუშვა, რომ მე მართლა ავადა ვარ, ეუენი? რასაკვირველია, არც ისე, როგორც ამბობენ, კორვიზარი აზვიადებს, იგი ყველაფერს აზვიადებს, მაგრამ მე მაინც თავს ავადა ვგრძნობ. მე სიმშვიდე ნქირდება და საფრანგეთსაც. მერე რა მოხდა, თუ შეურაცხყოფას გვაყენებენ? მერე რა, თუ ხალხი უმადურია. ამ საწყალ ხალხს ხომ მივეციოთ თავისუფლება, რომელიც მას სჭირდება. მართვანისწინავეს წინასწარ ხილვას, თანხმობას და ნებაზე მიშვებას.

— მაგრამ შენი ვაჟი, ლუი? შენი ვაჟი? შენ ერთი შვილი გყავს.

— იგი მიიღებს მემკვიდრეობად მშვიდ, აყვავებულ იმპერიას, სადაც ვაზეთები მის კარიკატურას მოათავსებენ.

— მის კარიკატურას? მაგრამ შენ გიჟი ხარ, ლუი! მე ამას ვერ ავიტან!

— რა გინდა? ორჯერ სახელმწიფო გადატრიალებას არ ახდენენ. ეს მძიმე ოპერაცია მაინც ავაცდინე ჩემს.

— ამის შესახებ არაფერი იცი. შეიძლება ისიც შეიქნას იძულებული, რომ სახელმწიფო გადატრიალება მოახდინოს.

— არ ვუსურვებ.

— მაშინ მას მტარვალად ჩასთვლიან. საპატიმროებს მსხვერპლით აავსებენ, დახვრეტს მათ, გადაასახლებს. ლუი, ჩვენ შეგვიძლია ეს ავაცილოთ! ჩვენ ეს კიდევ შეგვიძლია. ახლა ჩვენ ყველაფერი შეგვიძლია. მთელი სიმძიმე, მთელი პასუხისმგებლობა მას ავაშორეთ.

— საბჭო იწყება, — თქვა ცივად იმპერატორმა; როდესაც კედლის

საათმა დარეკა. — ნახვამდის, შიმენ. დღეს სენ-კლუს მიემგზავრები? ხვალ მეც იქ ვიქნები.

— რა გადაწყვიტე!?

— საჩქარო არაფერია. პლემბისციტს დაუცადე. ეს თავზარდამცემი წარმატება იქნება ჩვენთვის, შენი შვილისათვის. ხელისუფლებას ის ხალხისაგან მოიღებს. ამაში შენ არაფერი გაგეგება, მაგრამ დამიჯერე, ეჟენი, დამიჯერე.

— ნიგრას უნდა მოლაპარაკებოდი.

— დიახ, ვიცი. ჩვენ უნდა გვესარგებლა სადოვის ამბით. ბისმარკი საზოგადოებრივი საფრთხეა. მაშ, მშვიდობით, შიმენ. შენ მშვენიერი ხარ. მიკვირს, რომ სცენაზე ასე ცუდი ხარ. იქ მართლაც, — უთხრა კვლავ დამცინავი ღიმილით, — საზიზღარი ხარ.

— მე მხოლოდ იმ როლების შესრულება შემძლია, რომელსაც განვიცდი, — თქვა დედოფალმა, — ასეთი როლი კი ერთის მეტი არ არის.

— მხოლოდ ერთი? — თქვა კოპწიად იმპერატორმა, ხელზე ხელი მოჰკიდა, — მართლა, მხოლოდ ერთი? სხვა როლები დავიწყებულია? დედოფალმა ამოიოსრა. იმპერატორმა ხელზე და შუბლზე აკოცა.

— წადი, ჩემო მეგობარო, — უთხრა დედოფალმა სულ ჩუმად, — ძლიერ მიყვარხარ... ოლივიე გიცდის, წადი.

უკანასკნელად მოხვდა იმპერატორის თვალი სარკეს და უკანასკნელად დავინახე მისი მიმქრალი გამოსხედა, თითქოს რაღაც უნდა ეთქვა, მაგრამ თავი შეიკავა და ხელახლა გაიღიმა. ეს ღიმილი დაღრეჯად შეეცვალა, ბაგენი ერთმანეთს დაშორდნენ. პატარა წვერი აუცანცარდა. მიბრუნდა და გავიდა. დედოფალი მას მიჰყვა, კარი ღია დასტოვა, და ჩვენ დავინახეთ, მისი „გარიბალდი“ რომ წითელ ვარდად გადაიშალა ძლიერ გამთბარი სასტუმრო დარბაზის სიმწვანეში. ზარი გაისმა. ხმა გავიგონეთ.

— პონის ეტლი მომგვარეთ!

მსუბუქი და მარდი სიარულის ხმა თანდათან გვეშორებოდა. კარი მიიხურა. ჩვენ, მე და მაქსიმი, მარტო დავრჩით, გვერდიგვერდ ვიჯექით დაცარიელებული სცენის წინაშე.

IX

ამბები სწრაფად ვითარდებოდა: პლემბისციტი, 1.530.000 შავი კენჭი, ინტერნაციონალის მესამე პროცესი, პოპენცოლერნების კანდიდატურა. შფოთვა-მღელვარებაში ეცხოვრობდი. 14 ივლისს, საღამოს.

სადღობის დროს, განეცხადე, რომ ომი გამოცხადებულია, ან ხვალ გამოცხადებენ-მეთქი. საკანონმდებლო კრებიდან დაბრუნებული ავლოტისაგან გავიგე ეს, მის ბინაზე. ბიცოლა ვალერიმ აცრემლებული თვალეზი მოიწმინდა. აღელაიდამ ჰიქა წააქცია. კლემანსინა დატუქსა:

— სიმშვიდე! ჩვენ, ქალებმა, უნდა მივცეთ სიმშვიდისა და თავშეკავების მაგალითი.

შეეხედე, ლამაზი ნესტოები დაბეროდა. სახე სულ გაფითრებოდა.

— მაგრამ ეს ომია! — დაუყვირა აღელაიდამ. — როგორ შეიძლება, მშვიდად იყვე, როდესაც ომია?

— ამ საღამოს პალე-რუაილის ყავახანასთან ჩავიარე, — თქვა დინჯად ეოზეფენმა, — მაგიდაზე შემდგარი ქალი „გერმანულ რეინს“ მღეროდა. დიდებული რამ იყო. შემდეგ ქალი ჩამოხტა და ზუავს აკოცა.

— შენ არაფერს იტყვი, ბაძაშვილო? — შემომძახა აღელაიდამ, — შენც ხომ აღელვებული ხარ? ტუჩები გაფითრებია, შესვი, შევსვათ ჩვენი გამარჯვების საღლეგრძელო!

მიუხედავად სიმშვიდისა, კლემანსიც მოჰყვა ტირილს. ეოზეფენმა სარდაფიდან ერთი ბოთლი შამპანური მოატანინა. ზარი დარეკეს: მეგობრები მოვიდნენ თავშიშველნი, ხელში გაზეთები ეჭირათ. ერთი ახალი ამბავი კიდევ ვთქვი, რომელიც ჭერ არავინ იცოდა:

— ამბობენ, თვითონ იმპერატორი გაუძღვება ჯარს და საომარ ოპერაციას პირადად უხელმძღვანელებსო.

— ვაშა! — წამოიძახა ეოზეფენმა და წამოდგა, ღონიჭი შემოიყარა. კვლავ დარეკეს ზარი. შიკრიკმა წერილი მომიტანა.

— რასაკვირველია, ავლოტისაგან არის? — თქვა ეოზეფენმა.

წერილი სიფრულენისაგან იყო, მწერდა, ამ საღამოს ჩემთან შემოიარეო.

— დიახ, — ვუთხარი, — ავლოტისაგან არის. მიცდის. — აღტაცებით შემომხედეს და ლოცვა-კურთხევით გამისტუმრეს.

ეტლი დავიჭირავე. მეეტლე მთვრალი იყო, არანაკლებ მთვრალი იყო ხალხი, რომელიც ქუჩის ყოველ კუთხეში გვაჩერებდა, რომ დაეძახა: „ბერლინისაკენ“. ბასტილიასთან ერთმა ჯგუფმა სცადა დაეძახა: „გაუმარჯოს მშვიდობას.“ ბრბომ ჯგუფი გაფანტა ყვირილით: „მხდალები“, ჩემი მეეტლე კოფოზე სიცილით კვდებოდა, როგორც იქნა სიფრულენამდე მივალწიე.

— ეტლი არ გაუშვა! — დამიძახა მან. — ღინდენი სიკვდილის პირზეა. ამ ღამეს ვერ გააწევს. ვინახულოთ.

მეტლეს ლინდენის მისამართი უთხრა, ლათინთა უბანის პატარა ქუჩაზე, და ჩვენ გავემგზავრეთ.

— ეს უბედური უპატრონოდ არის მიტოვებული, — მითხრა სიფრელენმა. — არ მინდა ასე ამოხდეს სული, ძალღივით. ეჰ, მას შეუძლია დაიკვებნოს, რომ კარგ დროს კვდება. რას იტყვი იმის შესახებ, რაც ახლა ხდება.

— არც კი ვიცი. რა უნდა ვთქვა.

— კიდევ რომ ვთქვათ რაიმე, გარიყული დაერჩებით, — თქვა სიფრელენმა. — დუმილი აჯობებს.

ეუამბე, კონტრმანიფესტაციის ნოწყობა სცადეს-მეთქი. მხრები აიჩიჩა.

ლინდენს მიწისფერი ედო. სული ეხუთებოდა, მეშვიდე სართულის სახურავის ქვეშ მოთავსებულ საშინელ ოთახში იწვა. შიგ აუტანლად ცხელოდა.

ლინდენის გარშემო ფუსფუსებდა მისი ხასა, კერესიანი სქელი ქალი, ტლანქი, თმადაუვარცხნელი; ალებდა, ხურავდა ფანჯარას, გადადგამდა, გადმოდგამდა წამლებიან შუშებს, ასწევდა-დასწევდა ფერდაკარგულ; დაზიანებულ შტორებს. ლინდენი კენესოდა:

— ასე ნუ ხმაურობთ. ნინეტ, გთხოვთ.

ქალი ქშინავდა, მისი ცრემლები ოფლს ერთვოდა წითელ სახეზე. ჩვენ რომ შევედით, დიდი ყურადღებითა და წუწუნით შეგვხვდა. გაგვითავისუფლა ორი სკამი. რომელზედაც წიგნები ეყარა, თვითონ მეზობელ სამზარეულოში დაიძალა. ლინდენს ხელი ხელზე მოეკიდე.

— ხომ გითხარით? — პირველად ესა თქვა.

სიფრელენმა ლოგინზე ორი ვარდი დაუდო.

— ჩემმა ქალიშვილმა თქვენთვის მოწყვიტა, — უთხრა მან.

მომაკვდავს დიდი თვალები გამოუცოცხლდა, გამპკირვალე ხელებით ვარდის წითელ ფურცელს მიუალერსა.

— მათს გაფურჩქენას ველარ ვიხილავ, — თქვა საცოდავი ღიმილით. — ეჰ, არის სხვა რამეც. საშინელი, რომელსაც ვერა ვნახავ... მე ეს ვიცი. დიდი ხანია მინდოდა გამგზავრება, მაგრამ ნინეტმა შემაჩერა, მერე ავადმყოფობამ. ეჰ არ დასჭირდებათ ჩემი გაშვება საფრანგეთიდან.

კარი გაიღო. ბეკერის მალალი ლანდი გამოჩნდა. გვერდზე თავადანხრილი ლოგინს მიუახლოვდა, მერე ხმის გასაწმენდად ჩაახველა და ჩაიბურღლუნა:

— ჰმ!... Nun... nun... Was denn?!

— Das Lied ist aus¹, — უპასუხა ლინდენმა.

ბეკერმა ხელი ჩამოგვართვა, და ცოტა ხანს ჩუმად ვიყავით. სამზარეულოდან ისმოდა მხოლოდ ტირილი და ქვაბების რაჩხუნნი.

— დიახ, — განაგრძო ლინდენმა, — გამგზავრება მინდოდა ჩემს მეგობრებთან შევიცარიაში, ან კარლთან ლონდონში. მათ დიდი სამუშაო ექნებათ. მაგრამ თქვენც კაი ამბებს ნახავთ. ეჰ! საზიზღრობა იქნება! შე თქვენ რა გითხარით? ველშები² და ბორუსები³ ერთმანეთს მიეისყვარულებიან... ბასრი კლანჭებით. ეს საუკუნეებს, საუკუნეებს გააგრძელებდა... სანამ მოისურვებენ!..

სულთქმა გაუძნელდა და ლოგინზე წამოდგომა მოისურვა. მის განუწყვეტელ ხველებაში გავარჩიე, რამდენიმე სიტყვა:

— სანამ პროლეტარები... პროლეტარები...

მერე თითი ასწია და სქევა:

— ერთა შორის ომი, ეს სიყვარულია... თამაში... მაგრამ, როდესაც იფეთქებს ომი კლასთა შორის, მაშინ ნახავენ, სიძულვილს რა შეუძლია... სიძულვილს აქტიურს, ნაყოფიერს, რომელიც ბოლოს...

— როგორც კუჭიდან ქოდის, — თქვა ბეკერმა.

— Richtig, Becker! — როგორც კი შეეძლო, ძლიერად წამოიძახა მომაკვდავმა. — ganz richtig!⁴

რამდენიმე სიტყვა კიდევ წარმოთქვა და გესლიანად ჩაიცინა, მაგრამ ფრთხილად და თავშეკავებულად, თითქოს შიშობდა, სიცილისაგან ხველება ისევ არ ამიტყდესო.

— ეს გართობა აღარ იქნება, — განაგრძო მან, — გართობა ამ მეომარ ტომთა შორის, რომლებიც პატიოსნად დაეტაკნენ ერთმანეთს. ეს იქნება... ადამიანთა და ღმერთთა ომი. ბალიშზე თავი გადასწია, — თქვენ შესძლებთ ამის ნახვას, თქვენ... — მერე თვალდახუჭულმა ჩაილულლულა: — პრომეთე...

სქელი ქალი შემოვიდა, ისევ მტრალი მოგვიახლოვდა და გვითხრა:

— ბატონებო, ბატონებო... მომიტყევთ... ისე ვწუხვარ, ვწუხვარ... ხუთი წელია...

¹ აბა... აბა... როგორა ხარ?

² სიმღერა დასრულდა.

³ ველშები — პირველადი სახელი კელტებისა გალეთში.

⁴ ბორუსები — პრუსიელები.

⁵ მართალია, ბეკერი სახეებით მართალი.

ქალმა ფარდა ჩამოუშვა. ჩრდილისა და სინათლის ზოლებმა მო-
მაკვდავის სახეზე გადაიარა.

— უყურეთ, — თქვა ლინდენმა და კვლავ ჩუმად ჩაიცინა, — უყუ-
რეთ, ვენერა ტირის. ნუ ტირი, ჩემო განძო. შენ კარგი, კარგი მეგობა-
რი იყავი, მეტად კარგი... შეხედე, აი ყვავილები მომიტანეს. ერთი შენ
ლაიტოვე, ნინეტ, მეორე კი, ჩემთან ერთად ყუთში ჩასდეთ.

ქალმა ქვითინს უმატა; სიფრელებს შეხედა.

— ჩვენ უნდა წავიდეთ, — თქვა მან, — ნახვამდის, მეგობარო ლინ-
დენ. მშველად იყავით. კიდევ მოვალთ თქვენს სანახავად.

— იჩქარეთ, — თქვა ლინდენმა.

— მე ცოტა ხანს კიდევ დავრჩები, — თქვა ბეკერმა. — აქვე ვცხოვ-
რობ.

მე და სიფრელები ერთად გამოვედით. სენ-მიშელის ბულვარზე
ხალხი მოდიოდა სიშფერით, წინ ჩირალდნიანები მიუძლოდნენ. ვილაც
ქალმა წელზე ხელი მომხვია და გადაამკონა. მკერდზე ვიგრძენი მისი
რბილი ძეძუები, ჩემი ხელები მის თეძოებს შეეხო. ერთმა კობტა
ახალგაზრდა კაცმა ხელჯოხის ოქროს ბუნიკი სიფრელებს მხარზე ჩა-
მოჰკრა და შესძახა: „გაუმარჯოს საფრანგეთს, პაპავ!“ ჩვენ მოყაყანე
ტალღამ გაგვიტაცა და სენ-მიშელის შადრევანთან აღმოვჩნდით. იგი
დროშებსა და ქუჩის ბიჭებს დაეფარა. ეს ბიჭები ყველგან მიძვრე-
ბოდნენ. ხეებზე ლამპრებს ჰკიდებდნენ. ბაიარლებს — ქუჩის ფარეზებ-
ზე. მე და სიფრელები ვცდილობდით სენანუ გადავსულიყავით, ამ
დროს ვილაცამ მოგვაშურა. ეს ეულ დე რენო იყო. ალექსებისაგან
სახე არეოდა.

— ოჰ! მეგობრებო, — იძახდა იგი, — რა ბედნიერი წუთებია! რა
შესანიშნავ წუთებს განვიცდით?! ოჰ! მეგობრებო....

— კმაყოფილი ხარ? — ვკითხვ.

— კმაყოფილი ვარო? მეტს არაფერს დავეძებ, გესმის, ტეოდორ.
ვეძლევი ამ ნიაღვარს, ვტოკავ, საუცხოო არის, საკითხი ადვილად
წყდება: ხალხი მართალია, მე მხოლოდ ის დამრჩენია, რომ ხალხივით
ვიფიქრო.

— მაშ, მით უკეთესი! — თქვა სიფრელებმა და მთელი სხეულით
გაიწია, ეულ დე რენოს რომ მოშორებოდა.

ხალხის ტალღამ გაგვიტაცა. ეულ დე რენო გაქრა; იგი მისმა მსგავს-
ებმა შესცვალეს. ისინი ხახალდებულნი ღრიალებდნენ. თავზე ქუდი
ჩამოეფხატათ, ჰალსტუხი გვერდზე მოქცეოდით. ისმოდა: „ბერლინის-
კენ! ბერლინისკენ! ბერლინისკენ.“ აქა-იქ მარსელიოზას ნაწყვეტები

იფეთქებდა, მაგრამ ეს სიმღერა ოკეანეში ინთქებოდა და სადღაც შორს ისევ გაისმოდა. ყველა ფანჯარა ბაიროლებით იყო მორთული. ბნელში მძიმე და ფართო დროშები ფრიალებდნენ. ეტლმა ჩაიარა, რომელსაც თეთრხელთათმანიანი კლუბმენი¹ მართავდა, მას ლილიკილოში უზარმაზარი ლენტი გამოესკვნა. ეტლი ხალათიან მუშებს აევსო. ისინი ლანჩებს აქნევდნენ და „გამგზავრების სიმღერას“ მღეროდნენ. კლუბმენი იცინოდა. ერთ მუშას მისთვის ცილინდრი მოეხადა და თვითონ დაეხურა. მეპურეთა პატარა შეგიკრდების გუნდი გამოჩნდა. ისინი დიდებს ფეხებში უძვრებოდნენ. ხალხს ეტაკებოდნენ, ერთმანეთს ხელს ჩასკიდებდნენ, თითქოს ფერხულს ცეკვავნო, შემდეგ მწკრივში ოთნ-ოთხი დგებოდნენ და ბრბოში შეიკრებოდნენ, ლოყებზე ცეცხლი ეკიდებოდათ, პირზე დორბლი მოსდებოდათ; თეთრი ჩაჩები გვერდზე მოქცეოდათ. ხალხი ტაშს უკრავდა, ქალები ჰკოცნიდნენ მათ. „რა კარგი ბიჭუნებია!“ იძახდნენ ისინი. ყავახანების წინ ოფიცრებს აბსენეტი უმასპინძლებოდნენ. სვამდნენ იმპერატორისა და ტახტის მემკვიდრის სადღეგრძელოს. თმაგაშლილი როსკიპი სკამზე შემდგარაყო, თქობებზე ხელს ირტყამდა და ყვიროდა: „ამ საღამოს მუქთად არის“. ერთმა ჯარისკაცმა იგი მხრებზე შეისვა და პირდაპირ სასტუმროში წაიყვანა. ამ სურათის მნახველმა ვიღაც მოხუცმა მკლავზე ხელი მტაცა; სიცილი აუტყდა, ცრემლები ცვივოდა: საბედნიეროდ, ხელი გაიშვა, რომ ლორნეტი გაეწმინდა.

— ჰეშმარტად გალური სულია, — ეთქვი.

— ჩემო ბავშვო, — შითხრა ბატონმა ავლოტმა, მეორე დღით მის კაბანეტში რომ შევედი. — ეს ამბები იმას ნიშნავს, რომ არასოდეს საფრანგეთის რწმენა არ უნდა დავკარგოთ, ჩვენზე ამბობენ, ფუქსაეატნი და სკეპტიკოსნი ხართო. ჯერ უნდა ნახონ ეს გატაცება, რომელიც ამ წუთში გვაფრთოვანებს, ყველა კლასის მიერ გამოძვლავნებული გრძნობათა სიღრმე, ეს ერთსულოვნება, რომელსაც მთელი ერი განიცდის. და მერე იმსჯელონ ჩვენს ფუქსავატობასა და სკეპტიციზმზე. ნამდვილი საფრანგეთი ეს არის, და ახლა აქ მყოფ უცხოელებს შეუძლიათ ამით ისარგებლონ და თავიანთ მსჯელობაში შესწორება შეიტანონ. სხვათა შორის, ჩვენი ბრალია ასეთი ყალბი რეპუტაცია რომ გვაქვს; რაღაც ბიწიერ სიამოვნებას გვანიჭებს იგი, რომ ყოველნაირად შევიქმნათ ასეთი რეპუტაცია. ეს ზღემა იმის გამო, რომ ვითმენთ ჩვენს ბოროტოგრაფიულ რომანებს და ჩვენს პარადოქსების შემთხვეულ კვიუს

¹ კლუბმენი — ბერეუაზიული კლუბის მუღმივი სტუმარი.

კოლოფებს. რასაკვირველია, გვყავს ქეციანი ცხვრები, პრუდონივით ბრაზიანები, რენანივით ბოროტი მასხრები, სიბინძურის მხატვრები; როგორც კურბეა. უცხოელებს ამ ლეჩების დანახვის მეტი არაფერი სურთ, მზეს კი ივიწყებენ. მაგრამ ზომ ზედავთ, როგორც კი ისტორიას ქარი დაიზუზუნებს, ყველა ეს კულტურული და სოციალისტური დოქტრინა შიმობნევა. აღარაფერი რჩება გონების ამ თამაშისაგან, და საფრანგეთი თავის თავს პოულობს როგორც იგი ნამდვილად არის: ერი სპირიტუალისტი, ქვეყანა, რომელსაც თავის რწმენაზე უარის თქმა არ შეუძლია. რეჟიმის ძველი მოწინააღმდეგენი უეცრად თავისი მმართველის გარშემო შემოიკრებიან. გუშინ ჯალამოს ბევრი იყვირებდა, გაუმარჯოს იმპერატორსო. იცით, რომ ტახტის მემკვიდრე მამას ლაშქრობაში მიჰყვება და საბრძოლო ნათლობისათვის ემზადება? ანეთმა საქციელმა არ შეიძლება არ შესძრას ქვეყანა. ეს კარგია, დავიწყებულია ოქანური პატარა უსიამოვნება. საფრანგეთი ერთსულოვანია. ამადლევებელი სანახაობის მოწმე გავხდი: პოლიციელებს მიესალმებოდნენ, ქუჩის ბიჭები ჟანდარმებს ფეხზე ეკიდებოდნენ. ყოველი-კლუბის წინ რომ გავიარე, დავინახე საფრანგეთის საუკეთესო ოქანის შვილები უძმობილდებოდნენ ქუჩის ხალხს: მეკარეებს, რესტორნის ზღზე მოსამსახურე ქალებს, მუშებს. ხედავთ, ჩვენ მგრძნობიარე ხალხი ვართ, პატარა ბიჭი ჩვენს გულს აღვიძებს. მიუხედავად ჩვენი გარეგნული ბრძოლისა, ჩვენ გვიყვარს ერთმანეთს შორის, ფრანგებს შორის, შეთანხმება. აღარაფერი აქვთ სადავო მუშაა და მესაკუთრეს, შვდელსა და ურწმუნოს, ბონაპარტიტსა და რესპუბლიკელს, ქოხსა და სასახლეს. ჩვენ ხომ ფრანგები ვართ, კეთილი ფრანგები? და როდესაც სისულელეს მოჰყვებიან, მოიგონეთ ამ დაუვიწყარ დღეებში ნახული. თქვით, რომ საკუთარი თვალთ ნახეთ. ეს არჰაოდეს დაივიწყეთ. მუდამ გახსოვდეთ. ცხვირპირში მიახალეთ ეს მათ, ვინც კიდევ შეეცდება ჩვენ შორის უთანხმოება და არეულობა შემოიტანოს.

ქუჩაში აღტყინება გრძელდებოდა. ბრბო უსაზღვროდ იზრდებოდა. ამავე დროს აქ მეტი ხელისქნევა და მოძრაობა იყო, ვიდრე წინა დღეებში. საკვირველი იყო ამ საშინელ კვლევებში. ყოველი ადამიანი როგორ ახერხებდა, ადგილი ჰქონოდა, ხელი ექნია, ეცეკვა, ებტუნა. ომი! ყველას სახეზე, თვალებში ომი ეხატებოდა, შვილებს მამები მხრებზე ისვამდნენ, დედებს ხელში აჰყავდათ და ყველა ომს აგებებდა მათ. ომი მღეროდა ფანჯრებში, ცაში. ომს მისჯალმებლად ისე ძლიერ ყვიროდნენ, რომ სახე მოქცეოდათ, დასწითლებოდათ. ტიროდნენ, ერთმანეთს კოცნიდნენ და გაჰკიოდნენ: ომი! და ამ ღვთაებრივი

სიტყვის თქმით დაღებული პირის დახურვას ვერ ახერხებდნენ. ქილიკები ძველ ცოცხს იქნევდნენ, გაიძნოვნენ, ელჭელმსა და ბისმარკს აღვკვითო.

სამართლის სასახლემდე მივალწიე. საფეხურებზე, ეზოში, ბრბოს ტევა არ იყო. კარი ვაიღო. პოლიციელებმა ძლივს შესძლეს ხალხს გარღვევა და გზა გაუკაფეს უცნაურ პროცესიას. მოსასამაინი ვეჭილები და სასამართლოს მოხელენი მოდიოდნენ. ხელზე აყვანილი ვილაე კაცი მოჰყავდათ. დავინახე მისი სახე, ტუჩები დასიებული ჰქონდა. დორბლი სდიოდა. მას მოსდევდა ხელებგაწვდილი, კარგად ჩაცმული ქალი. ეტლი მოიყვანეს და კაცი შიგ ჩააწვინეს. ეს ახალგაზრდა პროკურორის თანაშემწე ყოფილა. დიდი მომავალი ჰქონდაო, ამბობდნენ. იგი გაგიებულიყო. „წარპიდიდინეთ! — მიმართა ბრბოს ქალმა. — ხამი დღეა იგი თავს არა ზოგავს. მინები ჩაუშტვრია ტივრს, პრუსიის საელჩოს, დალეწა „მარსელიოზას“ რედაქციის საბეჭდი დაზგები. საწყალი!“ ავადმყოფს შუბლი გაუშშრალა. მოსასამაინეები სახელოებს აფართხნებდნენ და ერთმანეთს ესაუბრებოდნენ. მერე სიგიემ ხალხს ისევ მოუარა. ისმოდა ყვირილი: „სიკვდილი პრუსიელებს!“

— იქნებ ჩვენ შორისაც არის, ამ ხალხში, პრუსიელი? — წამოიყვირა უზარმაზარმა აყლაყულამ.

— სად? — დაიღრიალა მეორემ და მუშტები მოამზადა. — აბა გამოჩნდეს!

საღამოს ექვს საათზე ვიეი-დიუ ტამპლის ქუჩაზე ვიყავი. ჩემს ოთახში შესასვლელად საწყობები გავიარე, რომ უეცრად ერთი ყუთის უკან რაღაც თეთრი წამოდგა. ეს კლემანსი იყო.

— ტო, შენთან სალაპარაკო მაქვს, — მითხრა ტრაგიკული ხმით. ოთახში შემომყვა. შემოსვლისთანავე კარი მიხურა, ზედ მიეყრდნო, სრულიად ფერდაკარგული, და მითხრა:

— შენ ხომ წახვალ?

პირველი შემთხვევა იყო, რომ იგი შენობით ველაპარაკებოდა. მე ვუპასუხე:

— სად წავალ?

— ომში.

— თუ გამგზავნიან, წავალ. რა გზა მაქვს.

ფართო, ჩინური სახელოებიანი ფულარის კაბა ეცვა და ჰაეროვან მოშრიალე არსებად მეჩვენებოდა. გაზაფხულის გამო სპეტაკ სახეზე

ქორფლის ახალი წინწყლები მოჰფენოდა. ღროგამოშვებით თავს მოუსვენრად ამოძრავებდა, ინესტოები უთრთოდა.

— იმედი მაქვს მხალღივით არ მოიქცევი, — თქვა მან.

— მოვიქცევი ისე, როგორც შეეძლება, და ყველა ასე მოიქცევა.

— ახლა ცუდი ფრანგები აღარ არიან, ერთიც კი. ახირებას არაჟინ იჩენს.

— ოჰ! ამაში გეთანხმები, მდგომარეობა ახირებას ხელს ვერ უწყობს!

— ტეო! — დაიყვირა. — მოთმინებას მაკარგეინებ. რა სისხლი გაქვს? რას ფიქრობ, რა გინდა გააკეთო?

— არც არაფერს ვფიქრობ, არც რაიმეს გაკეთება მინდა. არაფერი დაგვრჩენია საფიქრებელი და სასურველი.

— არა, უნდა გვინდოდეს უფრო მეტად, ვიდრე ოდესმე, გვინდოდეს მთელი არსებით.

— რა უნდა გვინდოდეს?

— გამარჯვება.

— ამაზე უკეთესი არც მე მსურს.

მაგიდის კიდზე ჩამოჯექი. ხელები ჯიბეში ჩავიწყვე, ვსტვენდი და ჩემი ფესსაცმელის ცხვირს დაეცქეროდი. კლემანსი მომიახლოვდა, სახე სახესთან მომიტანა. ტანი უთრთოდა, ხელები უკანკალებდა.

— ტეო... თქვენ მე ახლა მეზიზღებით, — ჩამჩურჩულა.

წელზე ხელი მოვხვიე. კლემანსი გაინაბა, თვალი დახუჭა, ჩინური სახელოებიდან ხელები გაითავისუფლა და კისერზე შემომაჭდო. ტუჩები გააპო, ბაგენი მიეუახლოვე, მიკბინა.

— ეს, ჩემო ბიძაშვილო, ჩემთვის უფრო გასაგებია.

უცბად ხელიდან დამისხლტა და დაჰიყვირა:

— ჰო! მეზიზღებით. არაკეთილშობილი არსება ხარ, შენ...

ახლა კი მე აეინთე სიბრაზით.

— არაკეთილშობილია, — ვიყვირე მე, — ყველა ეს მანკვა-გრეხა, ბისმარკის გამო ასეთ მდგომარეობაში თავის ჩაყენება! მაგრამ გაიხედე გარეთ. ჰო, გაიხედე გარეთ...

ფანჯარა ფართოდ გაღალე: ბრწყინვალე დღე იწურებოდა.

— შეხედე: რამდენი მზეა, ივლისის თვე დგას. ახლა მე, ჩემს საუკეთესო მეგობართან მკლავში ხელგაყრილს კომპიენის ტყეში სეირნობა შემეძლო, აი რასა აქვს მნიშვნელობა! შეხედე, რა მშვენიერია ეს ეზო, თუმცა იგი გაიძვერა მამაშენის ფაბრიკის ეზოა. დიახ, შეხედე ბარბიუმეს ამ პატარა სახლს, ამ ბრწყინავ მინებს, ამ კრამიტთან სახუ-

რავს, რომელიც წლების მანძილზე ერთადერთი ჩემი მეგობარი იყო. ახლა იგი გაქრება, სრულიად აღარ იქნება, რადგან მხოლოდ ომზე ფიქრობენ, ომის საძაგლობაზე. შეხედე ამ ვარდისფერ კრამიტებს! ჰო, შეხედე, ჩემო ბიძაშვილო! ეს კრამიტები შენ არასოდეს გინახავს.

ბელი ეტაცა და ოთახის სიღრმისაკენ წამიყვანა:

— გაჩუქდი, გევედრები, ჩემს ხმას კავიგონებენ. დახურე ფანჯარა, როდი აქ, აღარაფერს გეტყვი, ჩემთან მოდი.

ფანჯარა დავხურე. კლემანსმა ლოგინზე დამსვა, თვითონაც გვერდით მომიჯდა.

— შენ მეტად ავი ხარ, ტეო, მეტად ავი, — დაიკვნესა. — მინდა გავიგო მხოლოდ, მაგრამ არის ისეთი რამ, რასაც ვერასოდეს გავიგებ.

— ვიცი, რას ითხოვ, — ვუთხარი შეუბრალებელი ხმით. — შენს გალახვას ითხოვ. კარგად მოგცხებ დუნდულეებზე.

— ტეო! — შემომძახა თვალდაჭყეტილმა.

— ჩუმაღ! თუ იყვირე, შემოვლენ.

კლემანსი თავს იცავდა, ისეთი შეშინებული სახის სასაცილო კამომეტყველებით, რომ გულისმოსვლა დამიცხრა. სახე კოცნით დავუფარე. მან დამკაწრა.

— მაგრამ, კლემანს, შენ ძალიან ღონიერი ყოფილხარ! ნამდვილი ძუ ვეფხვი!

— კოცნის ნებას არ გაძლევ.

კოცნით ტუჩები დავუფარე. წინააღმდეგობას აღარ მიწევდა.

— აჰ! ტეო! — ამოიოხრა.

მაშინ ფრთხილად ავუწიე კაბები. ფურჩალი, პერანგის ამხანაგი ჩავუწიე. ჩემმა თითებმა იგრძნეს ქორფა და ამობურთული ტანი.

— ტეო, რას შვრები? ტეო!

— დღეს ისტორიული თარიღია, — ვუპასუბე, — დაინსომებ, ბიძაშვილო, რომ ომის გამოცხადების დღეს თქვენმა ბიძაშვილმა მიგტყუა. დაიჭით, ტკაც, ბისმარკისთვის! ტკაც, პრუსიის მეფისთვის. ეს კი ყველაზე მშვენიერი მისი უდიდებულესობა იმპერატორისთვის. ახლა კი შაკოცე და გაიპარე.

კლემანსი გაქრა გაცოფებული, გაწითლებული, ერთი გავიზმორე რაღაც უცნაური და მხეცური კმაყოფილებით. მერე სადილობას დავუტადე.

სასადილო ოთახში რომ შევედი, თეფშებზე წვენს ორთქლი ასდიოდა. ჟოზეფენი მკვერმეტყველებდა, ერთი მამლაყინწა. ადელაიდასი, დაეპატიუნათ ამ სადამოს. წვენის ჰამის დროს აგვიხსნა ფრანგული შაშ-

ხანის უპირატესობა მაუზერის წინაშე. ადელაიდა აღტაცებით უსმენდა, ეკითხებოდა დაწვრილებით ტექნიკურ ნაწილებზე. 'სახელაღწილი კლემანსი თეფშს თვალს არ აშორებდა, ძალით ქამდა. წვნის ორთქლითი თქოს მის მთრთოლვარე ნესტოებიდან გამოდიოდა. მკერდაბურცული ვალერი ბორგაედა, მოსამსახურე ქალს ტუქსაედა, მერე ღრმად-ობხაედა.

— რაკი რეინს გადავლახავთ, — თქვა მამლაყინწამ, — ბრძოლა გაადვილდება. ეს რვა დღის საქმეა.

კლემანსმა თავი ასწია, თვლებში შემომაჩერდა და დაიყვირა:

— დიახ, რეინს გადავლენ! გადავლენ რეინს!

— დიდებულისა, — ვთქვი მე, — რეინს გადავლენ.

— იცით თქვენ, — განავრძობდა მამლაყინწა, — რამდენი წუთი გეჭირდება ბატალიონის გასამგზავრებლად? თერთმეტი წუთი. პრუსიას კი თხუთმეტიდან ოც წუთამდე, ესკადრონის გასამგზავრებლად... თავის მხრივ ადელაიდამაც მოგვაწოდა ცნობები:

— „ფიგაროში“ წაეკითხე, ჟანა დ' არკისა და ჟანა აშეტის დრო დაგვიბრუნდაო. მარკიზა გ... კარაბინის სროლაში ვარჯიშობს. როგორც კი ომის გამოცხადება გაუგია, გაქცეულა და დეპეშით დევიზმისთვის შაშხანა დაუკვეთნია.

— ჩვენ ფთილის კეთებას შევუდგეთ, — გამოაცხადა აღგზნებულად ვალერიმ. — როგორც ჩანს, ჩვენს სალონებში უკვე მტკიცედ შეუდგნენ მუშაობას. დედოფალმა მაგალითი მისცა. აბა, ჩემო ქალიშვილებო, — დაუმატა და ნაზად გადახედა მათ, — ყველა ლამაზითი მუშაობას შეუდგეს.

— პრუსიელები შიშით კანკალებენ, — დაიწყო ადელაიდამ. — გასულ კვირას, ორას თვრამეტი კაცი ზომკვდარა ბერლინში ფლარათით. ეს სტატისტიკოსების მიერ მოწოდებული ზუსტი რიცხვია.

მამლაყინწამ თავით დაუდასტურა.

— და ომი მაინც სურთ! უცნაური ამბავია. ეს ნამდვილი თვით-მკვლელობაა. მათ ომი სწყურიათ და ჩვენც გვაიძულებენ ვიომოთ. ჩვენ ხომ ომი არაფერს გვაძლევს, პრუსიას კი სურს გზა გაიკაფოს. ანტვერპენისაკენ, ამსტერდამისა და ვენეციისაკენ. პრუსიას ჰგონია, რომ ამ სამი ნავსადგურის გასაღებს პარიზში იპოვნის.

— არა, — თქვა ჟოზეფენმა, — საფრანგეთს ომი არ უნდა, მაგრამ არც ომისა ეშინია. საფრანგეთი მშვიდობისმოყვარე და ძლიერია.

— რა მშვენიერ მაგალითს აძლევს საფრანგეთი მთელ მსოფლიოს! — სიტყვა ჩაუერთო მამლაყინწამ.

— მაგრამ წარმოიდგინეთ, — წამოიძახა უოზეფენმა, — ამ ხნის განმავლობაში ჩვენი ვეჭილები ლაქლაქებენ და ლაქლაქებენ! წარმოიდგინეთ, რომ ტიერი და ფაერი წარმოთქეპუნ სიტყვებს, ლაპარაკობენ... ლაპარაკობენ... ეს ფუჭი დოქტრინერების ხროვა!

— ჩემი აზრით, — თქვა მამლაყინწამ. — ამ ხალხს მტერთან აქვს კავშირი, მე წავეკითხე, რომ ინტერნაციონალს ბაზელში სამშვიდობო კონგრესის მოწვევა სურდა, კარგი ხალხია! მათ შორის არის იტალიელი მაძინი, რუსი ბაკუნინი, სხვები კი არ ვიცი. ჩვენგან კიდევ რამდენიმე გაიძვერაა, ედგარ კინი, ბლანკიც იქნებოდა, რასაკვირველია, მაგრამ საბედნიეროდ ციხეში ბრძანდება. გამბეტაც, ალბათ...

— თქვენ, ჩემო ბიძაშვილო! — თქვა კლემანსმა და შემომხედა იოფმორეული სიხარულით, თითქოს ერთი დარტყმით გაჰანადგურა.

— რაო? — ვკითხე მე.

— დიახ, — განაგრძო მან საერთო განცვიფრებაში, — ჩვენ შორის არის ერთი ვინმე, რომელიც ჩვენსავით არა ფიქრობს! ამ ვინმეს სურს საფრანგეთის დამარცხება და პრუსიის გამარჯვება! ამ ვინმეს...

სახეში ზელმანდილი ვესროლე.

— ამ ბავშვს გონება დაუქარგავს! — ვიყვირე მე.

ყველა აღელდა. ვალერის კინალამ გული წაუვიდა. ადელიადა ჰქიოდა.

— კლემანს, ჩემო დაო, ნუ გასცემ მას! ნუ გამოამძლავნებ. შეიძლება ის დახვრიტონ, ჩვენი ბიძაშვილია.

— დიახ, მე ორი ჩერჩეტის ბიძაშვილი ვარ!

— ტეოდორ!

— მას საფრანგეთი ეზიზლება.

— მე მეზიზლება ნერვების აშლა და ტრაგედიები. რაც შეეხება...

უეცრად ვალერიმ თავდაქერილობა გამოიჩინა.

— ჩვენ ნერვებაშლილი ვართ, — თქვა მან. — ეს გასაგებია... ამადლელებელი მდგომარეობა! მაგრამ თავს ძალა უნდა დავატანოთ და სიმშვიდე დავიკვათ. გუშინ საღამოს შენ თვითონ თქვი ეს, კლემანს: ქალებმა სიმშვიდის მაგალითი უნდა მივცეთო, არ ვიცი, ეს ერთი ხანია, რატომ ხარ შენი ბიძაშვილის წინააღმდეგ ამხედრებული. შესაძლებელია, იგი აქამდე იზიარებდა ოდნავ გაბედულ შეხედულებებს. ახალგაზრდობა იყო ამის მიზეზი. მაგრამ დღეს იგი, როგორც ყველა, მხოლოდ იმაზე ფიქრობს, რომ თავისი მოვალეობა შეასრულოს. მე ვიცნობ ტეოდორს, ის კარგი ბიჭია. უეჭველია, ახლა ისიც ნერვებაშლილია. ყველა ეს საქმე, რომელიც მას ეხება... ხომ, ტეოდორ?

— მართალია, — თქვა ეოზეფენმა — ტეოდორი ახლა ამ საქმეებთან ახლოს არის. ეს დიდ პასუხისმგებლობას აკისრებს. მე ვფიქრობ, იგი ამ პასუხისმგებლობით არის გამსჭვალული. რასაკვირველია, მაშინ-საგან მიიღო მოუსვენარი გონება. მაგრამ ასეთ მდგონარეობაში, როგორც ახლა არის, მამამისიც დაგვიპტკიცებდა თავის კარგ ფრანგობას. სანაქლოს დავდებ, რომ იგი მოხალისედ წავიდოდა. ჩემს ძვირფას ძმას ამისთვის ჰქუა ეყოფოდა.

— ბიცოლა, ბიძია, — მიემართე მათ და წამოედექ, — გთხოვთ ნება მომცეთ ცოტა გავისეირნო.

— საღილი? — შემეკითხა ეოზეფენი. — დღეს შამპანური გვაქვს. ახლა ყოველდღე შამპანურს სვაჟდნენ.

— ტეოდორ, შეიძლება ასე სჯობს, — თქვა ვალერიმ, — წადი, ტეო, წადი, ცოტა გაიხეირნე. დამშვიდდები.

კიბეზე დავეშვი. მეკარის სადგომთან მაქსიმს შევეჩეხე.

— ოჰ, მაქსიმ, — ჩაეხუტებუტე და გადავეხვიე, — ქვეყანა შეიშალა.

წარბები შეეკრა, ქვედა ყბა წინ გამოსწოლა.

— ეს საზიზღრობაა! — მითხრა მან.

გამოვედით თუ არა, მაშინვე გაგიყებულმა ქუჩამ შეგვიპყრო.

— საით წავიდეთ?! — ვკითხე. — ყველგან ასეა, ადგილს ვირიპონენი, რომ საუბარი შესძლო.

როგორც იქნა, ვიპოვეთ წყნარი კუთხე თამბაქოს დუქნის უკანა ოთახში, მაგრამ ქუჩის ხმაური აქაც აღწევდა.

— შენკენ მოვიჩქაროდი, როგორც კი შემეძლო. გამოსამშვიდობებლად, — მითხრა მაქსიმმა, — საქმეების მოსაგვარებლად. ხვალ სენკლუში ვბრუნდები, იქიდან კი ეშპაკმა უწყის — სად. გათავდა, — და უშატა მან, სახეზე შეშფოთება ეტყობოდა. — ყველაფერი გათავდა.

მერე განავრძო:

— ათი ან ოცი წლის წინათ შეიძლებოდა ჩვენს მეგობრებსა და კიდევ სხვებს შეთქმულება მოგვეწყო. იმპერატორს ჩამოგადგებდით და მერე მალალი ფანჯრიდან გადმომდგარი გაბედულთა ჭგუფი რესპუბლიკას გამოაცხადებდა, მთელს ქვეყანას მშვიდობას მისცემდა. ზღაპრულმა ხანამ გაიარა, ან კი ოდესმე არსებობდა?

— მაქსიმ, — ვუთხარი და თავი გავიქნიე. — მე ვფიქრობ, რომ იგი არასოდეს არ არსებობდა, არასოდეს, საიღუმლო შეთქმულებებს იმტორიაში არასოდეს არავითარი როლი არ უთამაშნიათ. მხოლოდ ძალა წყვეტდა ყველაფერს.

— მაშ...

— მაშ, — ვუთხარი, — უნდა დავუცადოთ. უნდა დავუცადოთ იმას, რასაც ლინდენი. თავის საფლავეში დაუცდის.

მაქსიმს ვუთხარი, ლინდენი კვდება-მეთქი. ალტაცებისაგან გამოთავანებულ ეულ დე რენოსთან შეხვედრის შესახებაც ვუამბე.

— ჩვენ კი... — დავუმატე.

— ჩვენი საქმე გათავებულია. ხომ გახსოვს კონპიენი? ჩვენ გვინდოდა გარდავქმნილიყავით ყველას ჯიბრზე, რაც უნდა მომხდარიყო, ჩვენ, მე და შენ, გავწევდით ხელახელჩაკიდებულნი. დროგამოშვებით მოვიდოდი შენს კუთხეში შენს სანახავად. „როგორა ხარ?“ „ჰო, არა მიშავს.“ მერე შენ მოხვიდოდი ოქროს მადნის ჩემს ხერელში: „ნახე ოქროს ძარღვი? კარგად მიდის საქმე?“ ერთმანეთს შევხედავდით, ოფლისა და ტალახისაგან გაშავებულნი, მაგრამ მოცინარნი. ერთ დღეს ერთი ჩვენთაგანი იყვირებდა: „აი, ვნახე! როგორც იქნა, ვნახე, უკვე ვნახე... ცოტა ოქრო!“

— ჩემო მეგობარო...

— ჩვენ გასრესილი ვართ. ყველაფერი გათავებულია, ტეოდორ, ყველაფერი...

სახე ხელებით დაიფარა და წყნარად ატირდა, თავშეკავებულად ქვითინებდა.

— მე ჩემზე კი არა ვტირი, — თქვა მან, — არამედ ჩვენს დაღუპულ მეგობრობაზე და იმაზე, რის გაკეთებასაც ჩვენს ახალგაზრდობაში შევძლებდით. ყველაფერი განადგურებულია. არაფერი შეგვრჩენია, აღარც იმედი, სიცოცხლე წაგვეერთვა. ჩვენ მკვდარი ვართ, ტეოდორ. შემხედვით: ორი მკვდარი ვართ.

ტირილისაგან დასიებული მისი სახე გულს მიფლეთდა. ათასნაირმა გრძნობამ შემიპყრო, მათ შორის ყველაზე საშინელი ასატანი იყო სირცხვილი; სირცხვილი, რომ უძლური ვიყავი. ეს სირცხვილი ზიზღს უდრიდა. წამოვდექი. აქ ნუ დავრჩებით-მეთქი, ვუთხარი მაქსიმს. — წავიდეთ.

— კი, მაგრამ იქ მათ წავაწყდებით.

ისევ დავჯექი. ჩვენს ოთახში მუშები შემოვიდნენ. მაქსიმი რომ დაინახეს, მისასალმებლად მიაშურეს.

— დიდება ცხენოსნებს, — შესძახა ერთმა შაოგანმა.

— არა, — განაცხადა გადაქრით მეორემ. — ეს აფრიკელი მსროლელია.

— ეს დედოფლის ოფიცერია, — გადაწყვიტა უფრო მკონდნემ. — გაუშარჯოს დედოფალს:

— ხომ ხედავ? — თქვა მაქსიმმა. სახეზე სასოწარკვეთილება გამოუხატა.

— გმადლობთ, ბატონებო! — ვუთხარი მე.

მკერდში ჩაკვრას გვიპირებდნენ, მაგრამ თავი დავაღწიეთ და გამოვედით. ვიე-დიუ ტამპლის ქუჩა ხალხს აეცსო და ყურთასმენა აღარ იყო. ვიწრო შესახვევში გავედით, რომელმაც ოტელ დე ვილის გეტო მომავონა. ეს შესახვევი უფრო წყნარი იყო. ზევით ავიხედე და ცის ზოლზე რამდენიმე ვარსკვლავი დავინახე, სახლების სახურავებს შორის რომ მოჩანდა, მაქსიმსაც შევახედე.

— ჩვენ მკვდრები ვართ, — მითხრა მან. — მაგრამ შეიძლება ის სიცოცხლე, რომელიც ჩვენ გვეყუთვნოდა, ახლა ამ ვარსკვლავებზეა მოფენილი: ან მომავალშია, რომელიც ჩვენი სიცოცხლით იკვებება, რომ ჩვენთვის მუდმივად იქნება.

— მაქსიმ. — ვკითხე მას, — ნუთუ მართალია, რომ არასოდეს არაფერი იკარგება? არაფერი, ისიც კი, რომელიც განადგურებულია უკანასკნელ ატომამდე...

ყვირილი უკან მოგვედევდა. შესახვევის ბოლოში ისევ დაგვიბნედა. ბრბოსთან ერთად რამდენიმე ნაბიჯი გავიარეთ, რიეოლის ქუჩაზე გავედით. გზა აქ სრულიად შეიკრა.

— ვერ გავივლით, — მითხრა მაქსიმმა. — შინ დაბრუნდი, მეც ტიუილრიში წავალ, სალაპარაკოც არაფერი გვაქვს. მკვდრები არ ლაპარაკობენ, მწვდობით, ტეოდორ.

— მაქსიმ! — წამოვიძახე და მკერდში ჩავეყარ, — მაქსიმ, — ჩემო მეგობარო...

ამის შემდეგ მაქსიმმა აღარ მინახავს. სამი კვირის შემდეგ იგი ფრეშვილერთან მოკლეს.

ნ ა წ ი ლ ი მ ე ო რ ა

I

1871 წ. 1 ი ა ნ ვ ა რ ი. დაუსრულებელ ღამეს საგუშაგოზე დგომა ვოჟირარის კარიბჭესთან, მედონის ტყის პირდაპირ, დაუსრულებელი სასტიკი ღამე, თოვლქყაპი. გათოშილი ვარ, დანძიმებული ტყაპუკით, ფარაჯით, ფეხებსა და მკერდზე შემოხვეული გაზეთებით. ღამის ცას შევხედე, როგორც ეს წინათ ვიცოდი, ამოვიოხრე: „ღმერთო ჩემო!“

ღმერთო ჩემო, როგორ გავიტანჯე! გამოჩნდება თუ არა რაიმე ჰორიზონტის იმ წერტილში, რომელსაც თვალს არ ვაშორებ სასაფლაოს მღუმარებაში? ან შეიძლება ეს წერტილია, განუწყვეტლივ რომ მიცქერის და მიცდის. ვინ რას უცდის? სრულ სიჩუმეში ზარბაზნის სროლა გაისმა და მიწყდა. ჩემს ყელსახვევს კბილებს ვუჭერ. ყურები მეწვის. მხოლოდ ყურებზე ვფიქრობ და მერე ღვინიან წვეწვზე, რომელიც ეს-ეს არის ჩაყლაპე ბასტიონზე. რა თბილი იყო. ამ სითბოს ახლა ვეღარ ვგრძნობ. მხოლოდ ყურებსა ვგრძნობ.

5 ი ა ნ ვ ა რ ი. ჩაბნელებული უძრავი დღეა. დილით ადრე სენტ-ანტუანის ქუჩაზე მივდიოდი. როდესაც ზარბაზნების სროლა გაისმა: უეცრად ქუჩაში ხალხი ქინკველებივით აირია. ბრბოს სენისაკენ გაყუყუი. აქ მიხედნენ: ისინი ქალაქს უშენდნენ. ჩაიარა ორთვალამ, რომელშიც კარადა და კუბოკრულბირიანი ლეიბი იდო. იქვე ჰყვირალა ბავშვები ისხდნენ, კაცი, რომელსაც ორთვალა მიჰყავდა, ყვიროდა: „პანთონი აფეთქდა!“ — „როგორ?“ — ეკითხებოდნენ. — „ეს რას ნიშნავს?!“

„მე თქვენ გეუბნებით, რომ აფეთქდა!“ — იმეორებდა ის კაცი.

15 ი ა ნ ვ ა რ ი. თავდასხმაზე ლაპარაკობენ, მაგრამ არავის სჯერა. თუ ამ თავდასხმას მოაწყობენ, ეს მოხდება ბერეერისა და ვერსალის.

დამცველი სიმაგრეების მხრიდან. ამავე დროს კატაკომბებით პლატო-შატელინამდე მივალწევთ, მას დაენალმავთ და ავაფეთქებთ. მაგრამ მანამდე იქ, რაც შეიძლება, მეტი პრუსიელი უნდა მივიტყუოთ. ბარბიუშე მეტად აღგზნებულია. ოჰ! მას რომ შეეძლოს თავისი რწმენა ტროშიუს¹ ჩაუნერგოს, აიძულოს იგი, რომ ბარბიუშე სწამდეს უფრო, ვიდრე სენტ ჟენევიევა².

ბარბიუშე ახლა ჩემი ამხანაგია. ჩემს ბატალიონშია. ყოველდღე ვხედავ მას ისე, როგორც ჩვენს მეკარეს, ოდესღაც ჩემს მტერს, ისიც ნაციონალურ გვარდიაშია. ძალიან დავმეგობრდით. ვიეი-დიუ-ტამპლის ქუჩაზე, ძველ სახლში, ჩვენ გარდა არავინ დარჩენილა. ყველა გაიქრიფა: ეოზეფენი, ვალერი, ჩემი ბიძაშვილები პროვინციაში დაიმაღნენ, ლაქის წარმოება დაიხურა. ავლოტებმა კი ნიევრს, თავიანთ მამულს შეათარეს თავი.

ჩემი საკუჭნაოს გასაღები დამიტოვეს. საღამოს, როცა ჩვენ საგუ-შაგოზე არა ვდგავართ. შევდივარ მეკარესთან. მის სადარაჯო ოთახში ჩვენს სანახავად ბარბიუშეც მოდის. იგი უტკეპრის დაცარიელებულ ეზოს, ეტლის ფარდულს, დაჩუმებულ საჩინბოებს და პატარა შუშაბანდიან შენობას, სადაც ამდენი უნაყოფო ღლე გაუტარებია. წვერი მოეზარდა, ქალარა თმა კურტაკის გახუნებულ საყელოს უფარავს. ახლა უფროა თეთრი ყოვანი, ვიდრე ოდესმე. ერთადერთი ცვლილება დაეტყო: წინათ სრულიად არ ლაპარაკობდა, ახლა კი რაღაცაზე ლაპარაკობს — თავდასხმაზე. თავდასხმა, გარღვევა, გეგმა... ტროშიუ ხან მოლაღატეა, ხან გმირი, რომელიც ავანპოსტების დათვალეირების დროს კინაღამ მოჰკლეს, მაგრამ დაუნდობლად ეჯავრება შმიტცი, რომელსაც ხან შმიტს ხან შიტცს ეძახის. ამბობენ, ტროშიუს გარს ახვევიაო ოფიცერის ტანისამოსიანი ბავარიელი მღვდლებიო. მზვირაგებს დაუხაბავთ, ყოფილი იჰპერატორი რომ ბისმარკის ეტლით დასეირნობდა.

მეც ვუტკეპრი ეზოს. ჩემი ფანჯრიდან ვუტკეპრი მას ლამის სიბნელეში. კვლავ ვხედავ კრამიტიან სახურავს, ახლა რომ მძიმე თოვლს დაუფარავს შთლიანად. ფრონტონის ქალღმერთს შავი ათინათი ხვდება. სიცივისაგან აძიგძიგებული ვწვები და ვიხურავ საბნებს, ზევიდან.

¹ გენერალი ტროშიუ — პარიზის გუბერნატორი, რომელმაც დაცვის მოლაღატე-რი „გეგმა“ შეადგინა.

² წმინდა ენევიევა პარიზის მფარველად ითვლებოდა. არის ჯადმოცემა, ატილას. გალეთზე თავდასხმის დროს ენევიევა შეპირდა პარიზის (მშინ ლუტეციი!) ნესოვრებთ, რომ ატილა შათ ქალაქს შეიბრალებდა.

.კიდევ წაშეშებულ ფარაჯას გადავიფარებ, მაგრამ კლემანსი და ადელაიდა აღარ მოდიან ჩემს სასთუმალთან.

რა სიცარიელეა, ლმერთო ჩემო, რა სიცარიელეა! თითქოს გრიგალმა მოხვეტა ყველაფერი. ახლა გარშემო თოვლია, თოვლი თავბრუდამხვევი, ჩემი უზარმაზარი ფეხსაცმელი შიგეფლობა და, თოვლს რომ მოსცილდება, საცოდავად ჰრბინებს. ზოგჯერ თვალი უნდა დაეხუჭო, რომ არ გამაბრუოს თოვლმა, ან უფრო კი სიცივემ, შიმშილმა, ძილმა, დაღლილობამ. განთიადზე ძალღივით ჩაეუვლი ქალთა ჯერს, საყასბოების რკინის დარაბების წინ. განზე გავიხედავ, რომ მათს შორის არ დავინახო გამზდარი, ლოყებდალურჯებული, ტირილით თვალდასიებული მარი-როზი, რომელიც სხეებივით თავის ჯერს უცდის. ასეა ყოველთვის, თვალებს ვმალავ, ჩემს არსებაში ვიციკირები. თუ ამ უკუნეთსა და გაშეშებაში რაიმე აზრი შესძლებდა გაელვებას, ეს აზრი მრისხანებით იყო სავსე. მეგობარი წაპართვეს. იგი მომიკლეს, რადგან ჩვენ სიცოცხლე გეწყუროდა. რასაკვირველია. ეს გიჟური სურვილი დანაშაული იყო. ყულ დე რენოც მოკვდა. იგი ვიწონვილთან მოკლეს. ბრძოლის წინ, თითქოს თავისი აღსასრულის წინათგრძნობა ჰქონდა, უკანასკნელი ბართი მომწერა: თავისი ნაწერები მომანდო, რომლებიც ერთი მეგობრისათვის დაუტოვებია, მისი მისამართი მაცნობა. მასთან რომ შემეგლო. ის კაცი ჯერ კიდევ არ მინახავს. დე ვოზაჟის მოედანზე ცხოვრობს. პარიზში თუ დარჩა, წაეალ ერთხელ. თუ შეიძლება რაიმე მნიშვნელობა ჰქონდეს მკედრის უკანასკნელ სურვილს ამ სულთმობრძავ ქვეყანაში, სადაც ცოცხლები უკვე აჩრდილებივით დადიან.

სიფრელენი და ბეკერი კლუბებში დარბიან. რა სანახავი არიან ისინი რაციონალური გვარდიის ფორმით: სიფრელენი უზარმაზარი, წვერმოშეკებული, თვალეზრცეენილი. ბეკერი კიდევ უფრო გამზდარია, ვიდრე ოდესმე, მოკლესახელოიანი ხალათი და ძალიან მოკლე შარვალი აცვია. ახლა ოცდაათი სუ აქვს ყოველდღიურად, იშვიათი დღესასწაულია მის ცხოვრებაში. სამწუხაროდ, ამ ფულს ვერაფერში მოიხმარს. ბეკერი იმით კმაყოფილდება, რომ ძია ავრილს უკანასკნელ ნარჩენებს უნადგურებს. მის სიტყვებში ისეთი აღგზნება ისმის, რომელიც ფილოსოფოსს სრულიად არ შეეფერება. ერთხელ კინაღამ სამხედრო-საველე სასამართლოს არ გადასცეს იმისთვის, რომ სასაზღვრო ჯარის ოფიცერს ქუჩაში უბიძგა. ბრბო აღელდა და შას გაპარვის საშუალება მიეცა.

ოფიცერს ყოენა დააყარეს, იგი იძულებული გახდა გაპარულიყო.

19 ი ა ნ ვ ა რ ი. გამოხდომა მოაწყეს. მთელი ღამე ტალახში ვიწე-
ქი, წვიმაში, მონ-ვალურიენზე. მერე აღარ ვიცი, რა მოხდა. ჩვენ თიხ-
ნარის ფერდობზე ავფოფხდით, კარტეჩს გვაყრიდნენ, გავიგონე ყვი-
რილი, პრუსიელები იხვევნო, ბუზენვალის პარკი აღებულაო. მერე
უკანდახევის ბრძანება მომესმა. როშბარუნი, მეცხრამეტე პოლკის კო-
მენდანტი, მონტრატუტზე მოჰკლეს. მას უღალატეს. ბარბიუშე მკლავზე
ჩამომეკიდა და ღრიალებდა: „სიკვდილი მოღალატეებს!“ ყვირილი პა-
რიზში დაბრუნებამდე არ შეუწყვეტია.

23 ი ა ნ ვ ა რ ი. გუშინ დილით სიფრელებმა ლოგინიდან ამაგდო.
„დაიწყო, შეილო, ახლა კი დაიწყო!“ თვალი უბრწყინავდა, იმეორებ-
და: „ახლა კი ნამდვილად. ეს 31 ოქტომბერივით არ ჩაივლის“. ქუჩაში
დოლი ბრახუნებდა. ოტელ დე ვილის მოედანზე ხალხი გროვდებოდა.
ფანჯრებიდან ბრეტონელი მობილები¹ გვიცქერდნენ. „ეი, თქვენ!“ შეს-
ძახოდნენ მათ. ხუმრობით თოფს უმიზნებდნენ. ისანი არ იძვროდნენ.
მთელი დილა იქ გავატარე. ჩანთაში ჩარჩენილი პატარა შავი პური გა-
ვინაწილეთ. შუადღისას მღელვარება იწყება. 207 პოლკი მოედანზე
გამოდის. ბიჭები ფარნის ბოძებზე ადიან და ყვირიან: „ძირს!“

— წავიდეთ, — მეუბნება სიფრელები.

იღლიაში თოფამოდებული ნაციონალური გვარდიის ყავახანის წინ
გავჩერდით. უეცრად სიფრელები აღიმართა და მთრთოლვარე ხმით
წარმოთქვა:

— აი, წითელშარვლიანები!

მართლაც, სასაზღვრო ჯარის ნაწილი ქალაქის თვითმმართველობის
შენობისაკენ წავიდა და მის წინ დაეწყო ქალების ჯიბრზე, რომლებიც
ჯარისკაცებს თავისკენ ეწეოდნენ და ეძახოდნენ: „ეი, ნუთუ მართლაც
ესვრით თქვენს მეგობრებს? გაუმარჯოს სასაზღვრო რაზმს!“ ქალების
გულის გასასეტქად მოულოდნელად ვიქტორიას ავენიუზე ფანჯრიდან
სროლა გაისმა, მერე მოედანზედაც. ვილაც კაცი ჩემს ფეხთან დაეცა.
ხალხი გვაწვებოდა. მე ყავახანის ვიტრინისაკენ მიმაგდეს. ყვირილისა-
გან გარშემო ყურთასმენა არ იყო. თავებს ზემოთ დავინახე, ცხენოსა-
ნი ჟანდარმები გამოჩნდნენ. მათ მტრედისფერი, თეთრზოლებიანი კე-
პები ეხურათ. უეცრად ბრბო მომაწვა, გამიტაცა და შუა მოედანზე გა-
დამისროლა. ქალაქის თვითმმართველობის ფანჯრებიდან ბრეტონებმა
სროლა დაიწყეს. ჰაერში დენთის სუნი დადგა. თეთრი კვამლის ღრუბ-
ლები დავინახე. ტყვიამ ქალაქის თვითმმართველობის კოშკის საათის
ისარი დაამსხვრია. როგორც იქნა ვიეი-დიუ-ტამპლის ქუჩას მივადწიე.

¹ მობილები — „მოძრავი გვარდიის“ მონაწილენი.

რამდენიმე წუთში მეკარეც მოვიდა. მან მიაშბო, ბევრი მოჰკლესო, ქალაქის თვითმმართველობის შენობა ისევ ვინუას¹ უჭირავსო. მეკარეს სახე სულ გაშავებოდა. სიფრელენთან შევირბინე, მარი-როზი ტიროდა. პატარა გოგონა მაგიდის ქვეშ მიუყაოს ნაჭრებს წუწნიდა.

— იგი დააპატიმრეს! — მომამახა მარი-როზმა.

პოლიციის სიფრელენის დასაპყერად მოსულა, ჩხრეკა მოუხდენიათ. კარადებიდან ყველაფერი გადმოუყრიათ, ლოგინები მიყრილ-მოყრილი იყო.

— ბეკერიც დაიჭირეს, — მითხრა მარი-როზმა. — ისინი ვენსენში არიან დელეკლუზთან ერთად.

მარი-როზმა მხრის აწევით გამოხატა თავისი მწუხარება და თვალ-ცრემლიანმა დაუმატა:

— იმ უხეშთაგან ერთმა მხარზე დამარტყა. პრუსიელებს გვეძახნენ.

ფერნანდა და ზეინკალი შემოვიდნენ. ზეინკალს მკედრის ფერი ედო.

— ნუ ტირი, — თქვა მან. — ეს ჯერ არ დამთავრებულა.

ჩვენ მაგიდას მოვეუსხედით. ფერნანდა თავის დასთან ერთად ტიროდა. ზეინკალი კეპს მოიხდიდა, ხან კეფაზე მოიგდებდა.

— მათ ახლა, — ჩაილულლულა ზეინკალმა, — ვერავინ დაუშლის და ისინი იარაღს დაყვნიან.

— მერე? — წამოიძახა მარი-როზმა, — მერე მამა?

— არა, — თქვა ზეინკალმა თავის ქნევით... — ეს არ გათავებულა. შეუძლებელია ასე გათავდეს. — მერე დაუმატა: — ჩვენ სიფრელენს ვენსენიდან დავიხსნით. როგორც ამასწინათ მაზას ფლურენსი დავიხსენით.

— მაგრამ თუ მთავრობა დანებდა? — გაიმეორა მარი-როზმა.

25 ი ა ნ ვ ა რ ი. მარი-როზს აღარ ეტოვებ. როგორც კი დროს ვიხელთებ, ალიგრის ქუჩისაკენ გავრბივარ. რაც შეიძლება, ადრე მივდივარ, მარი-როზი რომ მარტო ვნახო, რადგან მისი და, სიძე, მეზობლები მასთან იკრიბებიან სასადილო ოთახში. მოაქვთ ცოტა შეშა, რამდენსაც მოახერხებენ, ნედლი შეშა, რომელიც ბოლავს. გაყინულ მინებში მოჩანს სახელოსნო. იგი უპატრონო სათბურსა ჰგავს. რაც კი იქ ფიცრები და ბურბუშელა იყო, ყველაფერი დაწვეს. დღეს საუზმის შემდეგ მარი-როზთან მარტო დავრჩი, მბოლავ ღუმელს ვუსხედით.

¹ ეოზეფ ვინუა — რეაქციონერი გენერალი.

ვუცქერდი მის შავ თმას, რომელსაც არავითარი ცვლილება არ ეტყობოდა, მხოლოდ მას შეენარჩუნებინა ნაშთი იმ სავესე, ლალი სიცოცხლისა, რომელიც ასე მალეღვებდა, მის სხეულს, ზელებს კი სიცოცხლე წართმეოდათ. მარი-როზი მხოლოდ მტრალი, გამხდარი, ავადმყოფი და უშეწო ქალიშვილი იყო. მაქსიმის ცხენის მიერ დანარცხებულ მარი-როზს ჰგავდა, შინ რომ წავიყვანე, თავის ღარიბ ლოგინში ჩავაწვინე და მის სანახავად რომ დაედიოდი. მაგრამ მაშინ მისი ტანი მაინც სურვილს მიღვიძებდა. არტახქვეშ შიშველ ფეხს შევავლე თვალი. ახლა ლოყები ჩაცვენილი აქვს, ტუჩები გამოწეული. შალმოხურული კანკალებს. მაქსიმი მკვდარია. ველარ გვრძნობ მაქსიმის სიახლოვეს; იგი გულში სიცოცხლის ხალისს მინთებდა, ცხოვრებას ცნობისმოყვარეობით ვეტანებოდი. თავის შეწუხებდად აღარა ღირს მარი-როზის სიყვარული.

— გახსოვთ, მარი-როზ, რა გითხარით ერთ დღეს ტრონის საგუშაგოსთან, ტალავერში?

თუ თავის შეწუხებდად აღარა ღირს მისი სიყვარული, სიყვარულზე რატომ ველაპარაკები? რატომ ვკიდებ ხელს მის საბრალო ხელებს, ვეალერსები, ვიხუტებ გასათბობად ბინიურ, უხეშ კურტაკზე? იგი ხელებს მანებებს, გაწითლებულ თვლებს მომაპყრობს, მესაუჯერ მეკითხება, თითქოს ამისი ცოდნა შემეძლოს, მამაჩემს რას უზამენო.

— თუ ნაპოლეონის ჭარები გერმანელებს დანებდებიან, ტეოდორ, ისინი ხომ თავს გაითავისუფლებენ, მდგომარეობის ბატონ-პატრონი გახდებიან და ჩვენ წინააღმდეგ გაძრილაშქრებენ.

ასე მგონია, ახლა ყველაფერი უფრო გათავებულია, ვიდრე მაშინ, როდესაც ომი გამოცხადდა და როდესაც მაქსიმმა ჩემთან გამოთხოვებისას მხოლოდ ამის თქმა მოახერხა: ყველაფერი გათავებულიაო.

— ისინი ხომ დახვრეტენ მამაჩემს, ტეოდორ?

მხრებს ვიჩეჩავ, არაფერს ვეუბნები და ვეალერსები მის გამჟღავნებულ ხელებს, ხელების ძვლებს, მაჯის ძვალს, ძვალ-ტყავად ქცეულ სახეს. ვკოცნი მის გაფითრებულ და რბილ, მოშვებულ ტუჩებს. არ მეწინააღმდეგება და უაზროდ იცქირება.

3 მ ა რ ტ ი. პრუსიელები შან-ელიზეში არიან. ბეკერი და სიფრენი გაათავისუფლეს. რამდენი დრო გავიდა, მე მგონია, საუკუნე, რაც ამ რვეულში არაფერი ჩაიწერია. უცნაურად აღგზნებული ვცხოვრობდი, იმედის მსგავსი რაღაც ნელ-ნელა იფურჩქნებოდა. პარიზი სურსათ-სანოვაგეს იღებს, ეს რამდენიმე დღე მზიანი დარია.

ქველი, თითქმის მცხუნვარე მზე ძალიან შორიდან დაგვიბრუნდა და მისმა ნახვამ გაგვაოცა.

არჩევნები. კლუბები. პრუსიელების შემოსვლა, ფანჯრებზე შაჟი დროშები. დიახ, ყველაფერი ეს ვნახე აღზნებულმა, როგორც თავდა-კარგულმა. ხელებს ვიქნევდი, ვყვიროდი, არ ვიცი, საით მივყვევარ მათ. მაინც განვაახლე ქამა, ეს სინამდვილე იყო. ისე გავუგე თეთრ პურს გემო. მარი-როზის ლოყებს თანდათან ვარდის ფერი უბრუნდებოდა. დიმილი უტოცხლდებოდა. მესმოდა, როგორ ჟღერდა მისი დაბშული ხმა უფრო მშვიდსა და საამო ჰაერში. მარი-როზის გარდა, ახლა არა-ვინ მანადია, მხოლოდ იგი მყავს თავისი მშვენიერებით, რომელიც უნდა დაიბრუნოს. მაგრამ ეს არ იქნება ქორფა მარი-როზი; მაშინდელი მარი-როზი, როდესაც მაქსიმს ვმეგობრობდი, არამედ სხვანაირი, უფრო მიუკარებელი. პირვანდელი მარი-როზი არ მეჩვენებოდა მი-უკარებლად, ის იყო ქორფა, ნაზა ქალიშვილი, რომელსაც ჩემი შეყვ-რება არა სურდა და არცა სჯეროდა, რომ მის სიყვარულს შევძლებ-დი... მაგრამ იგი მაინც მიყვარდა. ამაში დარწმუნებული ვარ. სწო-რედ ის მიყვარდა და არა კლემანსი, ან ნოემი, არც რომელიმე სხვა ქა-ლი. მომავალში მარი-როზი კიდევ უფრო მეყვარებოდა, უეჭველია, იმდენი ტანჯვა გამოიარა!

რადგან პარიზი, რომელიც იმდენ ხანს მარტო იყო, განთავისუფლე-ბულია, მან შეიძლება გამოიგონოს რაიმე არაჩვეულებრივი, მიუხედა-ვად იმისა, რომ იგი დანგრეულია, კრილობები აქვს და სხეულში პრუ-სიელები ჩაბრკობია. ისინი წინ წამოსვლას ველარ ბედავენ, მაგრამ ამ გრძელ გაძარცულ აგენიუმზე გარშემორტყმული არიან ბარკადებიო, საიდანაც მათ თვალს ადევნებენ.

დღეს ჩემმა ბატალიონმა ვოკსალში დღლეგატად გამგზავნა. რატომ მე? მაშ, ისინი ვერ ამჩნევენ; რა ზომამდე ვარ წაშლილი, უჩინარი? რა უნდათ ჩემგან? რატომ დამასახელეს, რატომ დამაწინაურეს, როგორც ალყის შემორტყმის დროს ტროშიუ. დააწინაურეს? განა აჩრდილს შე-უძლია სხეულის მაგივრობა გასწიოს მხოლოდ იმისათვის, რომ მათ ასე მოისურვეს? ეს არის სურვილი? ამგვარად კეთდება საქმეები? ასე სურთ, ფეხს დაჰკრავენ, სულს ჩაუბერავენ უსიცოცხლო ტიკინა-ჯამბაზებს, გაშეშებულ სხეულებს. მერე დატრიალდება ამბავი, უცნაუ-რი ამბავი. კარგი, მე ვოკსალში წავედი, იგი ნაციონალური გვარდი-ელებით იყო საფსე. უმრავლესობას ხიშტიანი თოფი ჰქონდა. ბეკერა და სიფრელენი ფიცარნაგზე პრეზიდენტში ისხდნენ. მაგიდაზე იდგა ერთი ლეგიონის უფროსი და, როგორც კი შეეძლო, რაღაცას ხმამალ-

ლა კითხულობდა. ყვიროდნენ. ერთმა მსხვილმა, წვერიანმა, თამაშებულმა ვაჟკაცმა კისერში მომასუნთქა და ცხვირში ტყავის, ოფლისა და ღვინის სუნი მომხვდა. ერთ წამს გაგბრუვდი, ეს მას შემდეგ დაჩემდა, რაც გარეთ თოვლში მორიგეობა მიხდებოდა, მთელ სხეულში, თავში სიცარიელესა ვგრძნობ, ყველაფერი ბუნდოვნად მეჩვენება. თავს ვეკითხებოდი: „ეს ხალხი როგორ ბედებს ლაპარაკს? ლაპარაკის დასრულების შემდეგ რატომ სირცხვილისაგან გული არ უღონდებათ, წარმოუქმული სიტყვა რომ ჰაერში გამოკიდებული რჩება?“ ამ დროს ფიცარნაგზე შემდგარი ერთი ორატორი გაჰკიოდა:

— ჩვენ იაკობინელები ვართ როგორც ჩვენი მამები! გაიხსენეთ: ჩვენმა მამებმა „ადამიანის უფლებათა დეკლარაციაში“ ჩაწერეს, რომ საკუთრება შეადგენს ურყევსა და წმინდა უფლებას. ჩვენმა მამებმა ჩაწერეს ეს.

— მაგრამ საქმიე ამას როდი ეხება! — დაიძახა ჩემს მახლობლად ერთმა პატარა გამხდარმა კაცმა. — რას მიედ-მოედება. საიდან მოსულა?

უეცრად სიბრძნით ავინთე, წამოვიჭერ, დავიღრიალე:

— ნუთუ აქ იმისთვის შეგკვრიბეს, რომ კერძო საკუთრება დავიცვათ?

— ვაშა, მოქალაქე კიშ! — შემომქახა სიფრელენმა. — მოდი აქ, ტეოდორ. ფიცარნაგზე ამოდი. სიტყვა ეკუთვნის მოქალაქე კიშს.

ხველება აუტყდა, რაც მას ვენსენის ციხეში პატიმრობის შემდეგ დასჩემდა. იქ იგი თავის ამხანაგებთან ერთად კოშკის, სიბინძურით სავსე ვიწრო საკანში ჩაადგეს, სადაც ფანჯრიდან ათოვდათ. მერე პელაქში გადაიყვანეს. იქ უარეს მდგომარეობაში იყო.

— ეს იმიტომ ვთქვი, — განაგრძო ამასობაში ორატორმა, — რომ ეროვნულ კრებასთან დამაკავშირებელი ხიდი არ ჩავტეხოთ. მერწმუნეთ, მოქალაქენო, ეროვნული კრების შეშინება გონიერი ნაბიჯი არ იქნება.

— ეროვნულის კი არა, როიალისტების კრებისა, — თქვა სიფრელენმა. — იმაში მამაცი არიან, რომ პომერანიის აზნაურებს შეუთანხმდნენ.

— გარიბალდი და ვიქტორ ჰიუგო კი შეურაცხჰყონ! — წამოიძახა ვილაკამ.

მე ხალხში გზა გავიკვლიე და ფიცარნაგზე ავედი.

— დაიწყე, კიშ! — მითხრა სიფრელენმა.

ჩემ წინ დავინახე კეპების, ხიშტების ზღვა და ვაბრაზება დამიცხრა, მაგრამ მაინც უნდა მელაპარაკნა.

— მოქალაქენო, — დავიძახე, რაც პირზე მომადგა. — რა დროის სიფრთხილია, როდესაც საკითხი რესპუბლიკას ეხება, ერთადერთ კანონიერ ხელისუფლებას, რომლის დამყარებაც შესაძლებელია. მაგრამ ამისათვის გაბედულად უნდა აღვდგეთ, უკუუვადოთ ფიქრი რაიმე შეთანხმებაზე ოთხფეხა ვაჭრების საკრებულოსთან, რომელმაც არ იცის და არც სურს იცოდეს, რამდენი ტანჯვა გამოვიარეთ.

რაცა ვთქვი, საკმარისია-მეთქი, გავიფიქრე, და ტაშმა დაიგრიალა. მერხის ბოლოზე ჩამოვკვებ, ბეკერის გვერდით, იგი იცინოდა. წითელწვერა გოლიათი წამოდგა:

— მოქალაქენო, — დაიწყო მან, — იმ ტანჯვას, რომელიც აი ახლა მოგვაგონებს, რა პასუხს აძლევს ფუტრიკე¹. გვემუქრება, პარიზს სატახტო ქალაქობას ჩამოვართმევ და თავზე დამარცხებულ, შერცხვენილ გენერალს დაგასვამთო. დათანხმდებით?..

ღრიალმა სიტყვა შეაწყვეტინა. ორატორმა ჯიბიდან ქალაღლი ამოიღო.

— შემომაქვს შემდეგი წინადადება:

„იმ შემთხვევაში, თუ პარიზს სატახტო ქალაქობას ჩამოართმევენ, სენის დეპარტამენტი დამოუკიდებელ რესპუბლიკად გამოცხადდეს“.

— მწყურია, — თქვა ბეკერმა.

ხალხი კვლავ აღრიალდა. ხიშტებზე ჩამოცმულ კეპებს იქნევდნენ. ყელი გამიშრა. მკერდში გული მიხტოდა. ამასობაში სიფრელენიც წამოდგა, ისიც რაღაც ქალაღლს კითხულობდა. დაასახელეს აღმასრულებელი კომიტეტი. გავიგონე გვარები: ვარლენ, ბეკერი, ჟაკ დიურანი, ჩემი გვარი, შემდეგ კიდევ ჟაკ დიურანი.

— დასახელებული იყო! — დაიძახა ვილაკამ.

— რაო! — ვთქვი. — რატომ მე? რატომ?

მხარზე ხელი დამადეს. მივბრუნდი და თვალაგზნებული ახალგაზრდა კაცი დავინახე, შუბლზე თმა მისწებებოდა, მან წამჩურჩულა:

— შენ ეს კარგად თქვი წელან. საკუთრება... აი მე, მოქალაქევ, ინტერნაციონალს ვეკუთვნი. რევოლუციას მხოლოდ მუშები მოახდენენ, მუშებს გარდა არავენ. კორდერში² ეს არ ესმით.

¹ ფუტრიკე — ტიერის დამამცირებელი მეტსახელი.

² კორდერის ქუჩაზე მოთავსებულ იყო ინტერნაციონალის პარიზის სექცია.

ლაპარაკის კილოზე მივხვდი, რომ იგი პარიზის გარეუბნის მცხოვრები იყო. კილო ისე ძლიერ ეტყობოდა, თითქოს ასე განზრახ ლაპარაკობსო.

— მაშ, ეს რევოლუცია არის? შენ დარწმუნებული ხარ, რომ ეს რევოლუცია არის? — ვკითხე მას.

— შეიძლება... — ჩაილაპარაკა და კინაღამ მხარი დამამტვრია.

სხდომა დასრულდა. დუანის ქუჩაზე ქალები მარსელიოზას მღეროდნენ.

13 მ ა რ ტ ი. ამ საღამოს მე და ბარბიუშემ ზომაზე მეტად გადავჯარით რახნი. ჩემ გარშემო ქუჩა ტრიალებს, თან მიაქვს ნათლიდედების ყვირილი, ერთმანეთს ახალ ამბებს რომ უზიარებენ: მთავრობა მოითხოვს ბინის ქირის დაუყოვნებლივ გადახდას, ვადაგასული თამასუქების განადგებას და ნაციონალური გვარდიისათვის ხელფასის მოსპობასო. ბარბიუშემ ხელი ჩამკიდა:

— ეჰ! მოქალაქევე... ყოჩაღად იყავ...

ჩემს ოთახში მიმიყვანა, ლოგინზე დამაწვინა. მერმე ფარდები ჩამოუშვა და მარტო დამტოვა. მესიზმრა, ვილაც მომიანლოვდა. რასაკვირველია, ქალი. რა უნდა გავაქეოთ ახლა ჩვენ, როდესაც ზამთარმა გაიარა-მეთქი? ვკითხე მას. „ვინ ჩვენ?“ „ეჰ, ჩვენ, ბარბიუშემ, მე და სხვებმა.“ „შენ და სხვებმა?“ „მე და სხვებმა.“ „შენ სადა ხარ?“ მე ჩემს ცივ ჭურღმულში ვიწექი და ნელ-ნელა საბნებს ვიბდიდი. „ბევრი რამ გადავიტანეთ“, ვამბობდი.

18 მ ა რ ტ ი. შეკარემ გამაღვიძა:

სახელმწიფო გადატრიალება მოხდა! სურთ ზარბაზნები წაგვართვან. მერე ფუტრიკე ხალხს დაუშენს!

ბასფრუას ქუჩაზე სკოლისაკენ გავიქეცი, სადაც კომიტეტმა გადაწყვიტა შეკრებილიყო. ბასტილიის მოედანზე უკვე ხალხის ტევა აღარ იყო. განსაკუთრებით ქალები იყვნენ აღელვებულნი. სასაზღვრო ჯარისკაცებმა და მოზილებმა თავიანთი კეპები ნაციონალურ გვარდიელებს გაუცვალეს, „ჩვენ თქვენთანა ვართ!“ — იძახდნენ ისინი.

სიფრელენი კომიტეტის რამდენიმე წევრთან ერთად სკოლის კარის წინ იდგა. მალე მარი-როზიც შემოგვიერთდა. ლოყები დასწითლებოდა, ქარისაგან თმა ასწეწოდა. თოფი გამომართვა:

— გამარჯობა, მოქალაქე ტეოდორ! — მომესალმა.

— თქვენა ხართ, მარი-როზ? — წამოვიძახე. — აქ რას აკეთებთ?

— მარტო არ გტოვებთ, — მიპასუხა სიცილით. — თუ ბრძოლა იქნა საჭირო, მეც თქვენთან ერთად ვიბრძოლებ.

— თქვენ, მარი-როზ? — ვიმეორებდი. — მარი-როზ...
ვრილოდა. მალე მზე გამოჩნდა. ჩვენ გარშემო ბრბო გროვდებოდა.
ჩვილა ერთად ლაპარაკობდა.

— ხალხს ყველა უბნიდან უნდა მოვუხმოთ. ვარლენი სად არის?

— ვარლენი ეს-ეს არის ბატინიოლს გაემგზავრა.

— მგონი, ხალხმა ლუქსემბურგში ზარბაზნები დაიბრუნა.

— გავაგდოთ ფუტრიკე ქალაქის თვითმმართველობის შენობიდან.

— სად არის შენი ბატალიონი?

— ზესამე ოლქში.

— ვაიქეც მესამეში, ატეხე განგაში ჯარის შესაკრებად.

მარი-როზი ისევ ჩემთან იყო, არაჩვეულებრივად ოდიმებოდა, ასეთი ღიმილი მის სახეზე არასოდეს მინახავს. ხელზე ხელი მოვკიდე.

— თქვენ მართლა არ დამტოვებთ? — ვკითხე ჩუმად.

— აღარასოდეს.

სიფრელენმა სკოლაში შეგვიყვანა. კომიტეტი საკლასო ოთახში მოეწყო. მაგიდებზე დავსხედით. მარი-როზი სულ ჩემთან იყო. კედლებზე ჩამოკიდებულ ცხრილებს კითხულობდა: მეტრული სისტემა, სტერი, დეკასტერი, და იცინოდა. დილის თერთმეტ საათამდე დავრჩით აქ. დროგამოშვებით ქუჩაში გამოვდიოდით, აქ ბარიკადებს იგებდნენ. პატრულებს ყოველ წუთში მოჰყავდათ დაპატიმრებულნი, რომლებსაც სარდაფებში ამწყვდევენ. ერთიმეორის საწინააღმდეგო ცნობები მოდიოდა: დ'ორელ დე პალადინმა მონმარტრზე ზარბაზნები ხელთ იგდო. პიგალის მოედანზე იბრძვიანო, ბუტშომონზე ჟანდარმებმა გაიმარჯვესო. უეცრად სამჯერ ზარბაზნის სროლა მოისმა. ჩემ წინ მჭდომ სიფრელენს შევხედე, გაფითრებულიყო. ბოლოს ბეკერი გამოჩნდა, ჩემი მეგობარი მეკარე თან ახლდა.

— მოქალაქე, თქვენი ბატალიონი პრენს ეყენის ყაზარმის წინა დგას, — მაცნობა მეკარემ.

— წავიდეთ, — ვუთხარი მას და მარი-როზს მივუბრუნდი.

— ახლა სერიოზული მდგომარეობაა. ნახვამდის, მარი-როზ. აქ დარჩით.

— დიახ, დიახ, — თქვა სიფრელენმა — ის აქ დარჩება.

— ჩვენ მოვუვლით, — მითხრა ბეკერმა, შემდეგ მაგიდაზე ავიდა, უხერხულად ხელებს იქნევდა და ყვიროდა:— მოქალაქენო, მეტერამიკე ოლქიდან მოვდივარ. ვინუას საქმე ცუდად წაუვიდა. თუმცა აღრიხანად, დილის სამ საათზე შეუდგა საქმეს, მაგრამ არც ისე ადვილია ზარბაზნების გაპარება. ხალხმა ღვედები გადაჭრა და ზარბაზნები ისევ

ბუტმომონზე აიტანა. ორნანოს ბულვარზე სასაზღვრო ჯარისკაცები ყიროდნენ: გაუმარჯოს რესპუბლიკას! პოლიციელები თვითონ ხრიან ძირს თოფის ლულას ან თოფებს გვაბარებენ. ამბობენ, ვინუა დაჭერილიაო. ერთი რამ დანამდვილებით შემძლია გითხრათ, რომ ბუტმომონი გაწმენდილია და ზარბაზნები ჩვენ დაგვრჩა. გაუმარჯოს რესპუბლიკას! ძირს კაპიტულანტები.

ამ ცნობას ტაშისცემით შეხედნენ. ზეიმით შემოგვიყვანეს ვილაც თმაგაწეწილი კაცი, ლულიე, ძველი მეზღვაური ოფიცერი და მაშინვე გენერლობა უბოძეს. მე და ჩემი მეგობარი მეკარე წავედით. პირველის ნახევარზე ჩვენი ბიჭები ვნახეთ ტაშპლის ქუჩაზე, ისინი სასაზღვრო 120-ე პოლკის ჯარისკაცებში არეულიყვნენ. ხმლიანი ოფიცერი მომი-
ახლოვდა.

— მოქალაქე კიში ბრძანდებით, ხომ? — მითხრა მან. — მე ბრიუნელს მიძახიან! მივდივართ ქალაქის თვითმმართველობის ასაღებად.

— თუ შევძლებთ! — ვუპასუხე.

მართლაც, წავედით არეულ-დარეულად. ბრბო უნდა გაგვერღვია ხალხი თანდათან მკვირვდებოდა. დაფლეთილტანისამოსიანი ბავშვებო გახეთქეს: „მარსელიოზას“, „ახალ რესპუბლიკას“ ჰყიდდნენ. მალაზიები დაკეტილი იყო. ქუჩების კუთხეებში პროკლამაციებს კითხულობდნენ: პალადინისას, მთავრობისას, რომელსაც ხელს აწერდნენ: ტიერი, ჟიულ ფავრი, ჟიულ სიმონი და სხვები, და ცენტრალური კომიტეტის პროკლამაციას, რომლის ბოლოში სიფრელებისა და ბეკერის გვარებთან ერთად ჩემი გვარიც ამოვიკითხე.

— აქ შევჩერდეთ, — ვუთხარი ბრიუნელს, — და ბარიკადები ავაგოთ.

ჯარისკაცებმა ბრბოს დახმარებით ქუჩის ქვაფენილის აყრა დაწყეს. ეტლი, რომელიც გავლას ცდილობდა, გააჩერეს, ცხენი გამოხსნეს. ქვაფენილზე ააყირავეს, სადაც თვალისმომჭრელ ყვითელ ლაქად აკი-
აფდა. ეტლის ცხენი მახლობელ სასაქლაოზე გაგზავნეს. ნაშუადღევს შორს თოფის ხმა გაისმა, და მუშაობას უფრო შმაგად შევეუდექით. მაგრამ ბრბო იზრდებოდა, მუშაობას აბრკოლებდა. ნაცნობს ველარავის ვხედავდი, მეკარეც კი დამეკარგა, დროგამოშვებით ბრიუნელს ავედევნებოდი, რომელიც ამ არევ-დარევაში, ეტყობოდა, კარგად ერ-
კვეოდა, იძლეოდა განკარგულებებს, თავის ხალხს მოსაზღვრე ქუ-
ჩებში აყენებდა, ბრბოს მირეკ-მორეკას ახერხებდა და გათავისუფლე-
ბულ ადგილებს თოფმომარჯვებულ ჯარისკაცებს ღობესავით შემოაგ-
ლებდა, რაც სხვა ამხანაგებს საშუალებას აძლევდა ქუჩის ამ ნაწილში

ქვაფენილი აეყარათ, ქვებით ურიკა დაეტვირთათ და ბარიკადებისათვის სისქე მიემატებინათ. დროგამოშვებით ვინმე არასამხედრო პირს ან შეღუქნეს მიმართავდნენ.

— აბა, მოქალაქეკ, შენი ქვა... არა, ორი... ერთიც შენი ცოლის შავიერ.

ბოლოს რაღაც ჩოჩქოლი შეიქნა. სხვა ბატალიონები შემოგვიერთდნენ. ყვიროდნენ:

— წინ წინ! შეიძლება წინ წასვლა!

დამდებოდა, მოედანს რომ მივალწიე. მოუსვენარ აჩრდილებს შორის ბრიუნელი მოვძებნე, მან მკლავში ხელი ჩამავლო:

— ისინი გარშემორტყმული არიან. მოედანს გარშემო ბარიკადები უვლის! — დაიძახა მან. — ბარიკადები!

რიგოლის ქუჩაზე ბატალიონები ეწყობოდნენ. პარიზის უფარნო ქუჩების წყველიაღში საშინლად ბნელოდა. ჭარისკაცებს თვლიდნენ, ერთმანეთს ცნობილობდნენ. ქალაქის თვითმმართველობის ფასადი შავი იყო. ბრიუნელმა რამდენიმე პატრული გაგზავნა მახლობელ რაიონებისაკენ: მეოთხე და ლუერის მერიებისაკენ, მერე რამდენიმე კაცით ჩვენ მოედნისაკენ გავეშურეთ. ვილაც კაცი მოგვიახლოვდა. მას სირმიანი ქურთუჯი და, ცირკის მოჭირითესავით, ფეხებზე შემოსხლეტილი ჩექმები ეცვა.

— ბუნავი ცარიელია, — გვითხრა მან და ქალაქის თვითმმართველობის უზარმაზარ შენობაზე მიგვითითა.

— შევიდეთ, — თქვა ბრიუნელმა.

კარებთან გუშაგები დააყენა, ვილაცამ ფარანი აანთო და ჩვენ თაღებქვეშ შევედით. მე კი კიბესთან მივედი და აირმაშუქი ავანთე. მერე სანახევროდ განათებულ სიბნელეში ავედი და შემდეგი აირმაშუქი ავანთე. ამხანაგები უკან მომდევდნენ. ამნაირად სინათლიდან სინათლემდე შუშაბანდიან გრძელ დერეფანს მივალწიეთ. კარს ხელი ვკარი: ვეებერთელა დარბაზიდან ცივი სიბნელე მეტაკა სახეში. ქერზე ბროლის ანარეკლი ციმციმებდა. მალე მოედნიდან ღრიანცელი მოგვესმა. ხალხი ფანჯრების განათებას და აივანზე წითელი დროშების გამოჩენას მიესალმებოდა.

სიფრელები და ბეკერი მოვიდნენ, მთელი ცენტრალური კომიტეტი. ბეკერს ვკითხე:

— ბოლოს და ბოლოს აქ რა უნდა გავაკეთოთ?

— მართლა, ჩვენ ხომ მთავრობა არა ვართ, — ჩაილაპარაკა ვილაცამ.

მაგრამ ჩვენ მაინც ჩაეჯექით სავარძელში, მწევანე მაუდგადაფარებული მაგიდისა და ანთებული ჭალის გარშემო.

— ტროშიუ აქ ბკობდა, — თქვა ვილაცამ მორცხვად.

— დიახ, მოლაღატეთა საბჭო აქ იყო.

— ექ! — წამოიძახა სიფრელენმა, — ეს ადგილები ჩვენ უფრო შეგვეფარება, ვიდრე მოლაღატებს.

— მოქალაქენო, — თქვა ვაქრობის კომისიონერმა, გვარად მორომ, რომლის მქვერმეტყველება ხშირად მაკვირვებდა. — ვინაიდან აქა ვართ, აქვე უნდა დავრჩეთ. ჩვენს მოვალეობას მაშინ მოვიხდით, როდესაც პარიზი ისევ თავისი თავის პატრონი გახდება. მუნიციპალური არჩევნები ჩვენ უნდა ჩავატაროთ. როდესაც პარიზი თავის კომუნას აირჩევს, ჩვენ აქაურობას გავეცლებით. ვის უნდა სიტყვა?

— მე! — თქვა სირმებიანმა, — ჩვენ ჩავატარებთ არჩევნებს, თუ ფუტრიკე ამის ნებას მოგვცემს. მე გეუბნებით, ვერსალს უნდა მივაშუროთ და მემამულენი მოვსპოთ.

საშინელი აურხაური ატყდა. ახალმოსულებმა წყევლა-კრულვით გვაცნობეს, მთავრობა პარიზში გვიწევს კიდევ წინააღმდეგობას, ბირჟის რაიონშიო.

— უიულ ფავრი სად არის? — დაიძახა ვილაცამ.

— გაიპარა.

— კარები უნდა დავკეტოთ. ყველა სადარაჯოზე გუშაგები დავაყენოთ! — დაიღრიალა სირმებიანმა და სკამზე შეხტა, მერე მავიდაზე, ბოლთის ცემას მოჰყვა ქაღალდებზე, ჩექმით სამელნე დაამსხვრია და დაიღრიალა: — მოქალაქენო! ჯანდაბას თქვენნი თავი! 93 წლის ღლეჯი დაგვიბრუნდა...

მაგიდიდან ჩამოსვლა აიძულეს.

— შენ პატარა ფლურანსივით ნუ იქცევი! გეყოფა.

— დიახ, ის ზართალია. ლუღი რატომ არავითარ ზომებს არ იღებს?

— იგი მთვრალია.

— ვინ არის მთვრალი?

სირმებიანმა ძირს დააფურთხა. გავიდა და კარები გაიჭახუნა. დერეფანში მისი ღრიალი ისმოდა.

— საქმეს შევუდგეთ! — დაიძახა მორომ.

სანთლის შუქზე გაუპარსავი, ფერმკრთალი სახეები მოჩანდა.

დაიწყეს დელეგატების დასახელება სამინისტროებსა და სხვადასხვა დაწესებულებებში გასაგზავნად. სიფრელენი ქაღალდებს ხელს

აწერდა. ერთმა მსხვილმა გუშაგმა, რომელსაც მხარზე ორი თოფი ეკი-
და და ფალასკები სავსე ჰქონდა, კარი შემოაღო და დაიძახა:

— მოქალაქენო! მოქალაქენო! გენერალი მოვიდა მოსალაპარაკებ-
ლად... გენერალი...

გენერალი შემოაყვანივნეს. ეს ლანგლუა იყო. მაგიდას დიდი ზეიმუ-
რობით მიუახლოვდა, კეპი მოიხადა, თავისი გრძელი თმა ნერვულად
გაისწორა და თქვა:

— ბატონებო, მე თქვენი გენერალი ვარ. ეროვნულმა კრებამ შე-
რიგების მიზნით ეს-ეს არის დ'ორელ დე პალადინის მაგივრად დამნიშ-
ნა. თქვენ მე მიცნობთ. ჩემი სახელი ნიშნავს შეთანხმებას. მე მზადა
ვარ თქვენთან ერთად ვიმუშაო, რომ პარიზმა თავისი კანონიერი თა-
ვისუფლება მოიპოვოს, და რესპუბლიკა განვამტკიცოთ.

ატყდა ერთი სიცილი.

— ჩემო გენერალო, — მიმართა მორომ, მისი სახე უხერხულობას
გამოხატავდა, — ნაციონალურ გეარდიას განზრახული აქვს უფროსე-
ბი თვითონ დანიშნოს. აბა, გენერალო, გვიბრძანეთ, რა ნდობა უნდა
გვქონდეს ისეთი კრებისა, რომელმაც გვიღალატა და თავს დაგვესხა?

— რესპუბლიკის განმტკიცება! ამნაირი კრებით?

— მოქალაქენო! — თქვა ლანგლუამ და სახე დაემანჭა. — ეჭვი ნუ
გეპარებათ, რომ მე რესპუბლიკის ერთგული ვარ.

— ეჭვი ბატონ ადოლფ ტიერის ერთგულებაში გვეპარება.

— გამიგონეთ, — თქვა მერე ბეკერმა და თავისი გრძელი ძვალტყავი
ხელი გაიშვირა, — გამიგონეთ, გენერალო, ძალიან გვინდა რომ ჩვენი
მეთაური იყოთ, მაგრამ თქვენ მაშინ არჩევენებს ჩაგვტარებინებთ და
ცენტრალურ კომიტეტს სცნობთ.

— ეს სიგიჟეა! — დაიღრიალა ლანგლუამ და მთლიანად ვაწითლდა.

— მაშინ მოჰკურცხლეთ!

— დააკავეთ, როგორც მძევალი!

— მე გაძლევთ უკანასკნელ შესაძლებლობას! — წამოიძახა გენე-
რალმა. — ნუ დაივიწყებთ, რომ უკანონო მთავრობა ხართ...

— ეს ხალხს უთხარით!

— რომ უცნობი პირები ხართ?

— ეს დანაშაული არ არის.

გენერალს ღმუილი აღმოხდა. მერე წელში გაიმართა და დაიყვირა:

— ოჰ, რაც შეეხება დანაშაულს, სხვებიც საკმარისად არის თქვენს
სინიდისზე... ჩემი კოლეგები კლემან ტომასი და ლეკონტი, რომლებიც
ამ დილას მოჰკლეს...

— ჩვენ არ ვიწონებთ მათს მოკვლას!

— მოკვლას! ვინ ლაპარაკობს მოკვლაზე?

— რას ჰქვია, არ ვიწონებთ! — იყვირა ბრიუნელმა. — ხალხის მრისხანებას ჩვენ ვიწონებთ, მაგრამ კომიტეტი პასუხისმგებლობას იხსნის.

— ჩვენ ბასფრუას ქუჩაში ვიყავით, ბასტილიის უკან...

— რუსომ ილაპარაკოს!..

— იგი ტყუის და არაკეთილშობილურად იქცევა, ვინც ამტკიცებს, რომ ეს ჩვენს თვალწინ ჩაიდინეს, — თქვა რუსომ. — მაგრამ ჩვენ ვიზიარებთ ამის ჩამდენთა პასუხისმგებლობას. ჩვენ ხალხს არ უნდა გავეთიშოთ. მასთან ერთად ვართ და მასთანვე ვრჩებით!

— მერე რა? ორი გენერალი მოჰკლეს? გენერლები მხოლოდ ამოსათვის არიან გაჩენილი, გესმით, მოქალაქე ლანგლუა?

— შენმა ლეკონტმა სამჯერ გასცა ბრძანება, ხალხს ესროლეთო!

— ტომასმა 48 წლის ივლისში ხალხს ესროლა!

— ჩვენ ვომობთ, მოქალაქე ლანგლუა!

— ჩვენ არ ვომობთ, — დაიღრიალა გენერალმა. — თქვენ აჯანყებულები ხართ! ვის სასარგებლოდ მოქმედებთ? ბონაპარტისტებისა თუ პრუსიელებისა?

სტვენა დაუწყეს. ბეკერი დავინახე, იგი გრძელი ხელით ჩიბუხს იქნევდა და ყვიროდა:

— კმარა კამათი! მე გენერალ ლანგლუას მხოლოდ ერთს რამეს ვეკითხები, სენობს თუ არა ცენტრალურ კომიტეტს?

— არა, არა, არა.

— კარამდე მიაცილეთ გენერალი!

საშინლად მეძინებოდა. მაღალ ბუხარს ზემოთ კედლის საათმა დარქვა. ღამის ორი საათი იყო. წამოვდექი, რომ მუხლები გამემართა და ფანჯრისაკენ წავედი. მოედანზე ხალხი ირეოდა, ბნელში ხიშტები ბრწყინავდა.

ბეკერი მომიახლოვდა:

— ეჰ! ბეკერ, — ვუთხარი მას, — რას ვაკეთებ აქ, ქალაქის სასახლის ამ დარბაზში?

— რაო? — მითხრა და წარბები ასწია.

— რა გამოვა აქედან, ბეკერ?

— როგორ? განა ეს ის არ არის, რასაც ვნატრობდით? პარიზი თავისუფალია. პარიზი სულს ითქვამს. რა უცნაური ღამეა, ტეოლორ! საშინელ მოუთმენლობასა ვგრძნობ.

მინებიანი კარი გააღო და აივანზე გამიყვანა. ბოლიანი დარბაზიდან რომ გავედი, ღამის სიგრილე ღრმად ჩავისუნთქე. ჩვენ ქვემოთ თაყე-ბის, ხიშტების ზღვა იდგა. სიმღერა გრიანობდა.

— ბეკერ, — ვუთხარი, — შენ ფილოსოფოსივით არ ლაპარაკობ.

— მე ვფიქრობ, რომ ფილოსოფოსი არა ვარ.

— მართლაც, არა ხარ.

— დადგება დღე, როდესაც ყველა ჩემსავით ფილოსოფოსი აქნე-ბა.

წამს სიჩუმე ჩამოვარდა.

— რას იზამს ვერსალი? — ვკითხე მე.

— აი ახლა ხომ გაიგონე? ლულიემ კარების ჩაქეტვა არ ინება. წყეული ლოთი! ახლა კი ძალიან დაგვიანებულა.

— რაკი საქმეში ჩავებით, კიდევაც უნდა გავიმარჯვოთ, — ვუთხარი ნაწყენმა და მთქნარებით დავუმატე: — ჩავებით... ძილი... ბეკერ, შენ აქა ხარ? ვეღარ გხედავ... ბეკერ, სიცხე მაქვს. შევიდეთ, აქ ცივა ბეკერ. შენ აქა ხარ?

მკლავში ხელი გამიყარა და დარბაზში შემიყვანა, სადაც ბოლი და ღრიანცელი იდგა.

ფანჯარა დახურა და მითხრა:

— აქეთ წამოდი.

დარბაზი გავიარეთ. ბეკერმა კარი გააღო და ჩვენ ბნელ ოთახში მოვბვდით. სანათს გავკარი და ქალაღდით სავსე, მოოქრული მაგიდის კუთხეში ლამპა დავინახე. ავანთე.

— დაწეჭი აქ, ცოტა ხანს იძინე, — მითხრა ბეკერმა და ტყავგადაკრული დივანი მიჩვენა, რომელიც კედელთან იდგა.

თვითონ სავარძელში ჩაჯდა და ჩიბუხი გააბოლა. მისი გაძვალტყა-ვებული გრძელი სილუეტი ლამპის სინათლეს მიფარავდა. დარბაზის მშაურობა აქ ოდნავ აღწევდა. მე ჩავიბუტბუტე:

— ბეკერ...

— რა იყო?

— ქალი არასოდეს გყვარებია?

პირიდან ჩიბუხი გამოიღო და მიპასუხა:

— რატომ მეკითხები?

— არ ვიცი. მე მინდოდა გამეგო, რაზე ფიქრობ ამ სწამოს. მე კი არ ვიცი, რაზე ვფიქრობ. დედ-მამა გყავს, ბეკერ?

— ელზასში დედა მყავს, თავის ძმასთან ცხოვრობს სელესტაში.

— მოხუცებულნი არიან?

— ჰო, მოხუცებულნი. მათ აღმზარდეს.

— ისინი ახლა გერმანელები გახდებიან.

— რასაკვირველია...

— შენც, ბეკერ?

— მე? განა მე ვიცი, რა გავხდები? ან კი ოდესმე ვიცოდი?

— ელზასში დაბრუნდები?

— მაგრამ, ტეოდორ...

— რაო?

ადგა და მომიახლოვდა...

— ტეოდორ!

— ჰო, რა იყო?

— შენ ვერ გაიგე, რომ დღეიდან ქვეყანა გარდაიქმნა?

მეც წამოვდექი და მკლავში ხელი მოვკიდე.

— არ შემიძლია ეს დავიჭერო, გესმის! — ვეუბნებოდი და ხმა მიწყებოდა. — ვერა ვბედავ... ნუთუ ეს მართალია, ნუთუ ეს მართალია? ოჰ!

ისევ გავიშხლართე, დივანის გრილ ტყავს ლოყით დავეკარი და თვალზე ხელი მივიფარე. ბეკერი ცოტა ხანს ბოლთას სცემდა, მერე დაჯდა.

— ტეოდორ, — მითხრა, — ფილოსოფოსი რომ იყვე, ეს კიდეც არაფერს ნიშნავს. როდესაც, განსაკუთრებით, კუქის ფილოსოფოსად სთვლი თავს, ამას შორს მიჰყავხარ. ჩაბმული ვარ და შენ გეუბნები, ისეთი საშინელი მოუთმენლობითა ვარ შეპყრობილი... საშინელი მოუთმენლობით, რომ ვნახო, რა მოხდება. ეჰ! ეჰ! შენც ჩაბმული ხარ, ჩემო პატარა ტეოდორ.

— რასა ვკარგავ? — თვალზე ხელმოუშორებლად ჩავიბუტბუტე.

— მართალია, არაფერი გვაქვს დასაჯარგი. ჩვენ თავისუფალი ვართ. ამ წუთში უფრო თავისუფალი ვართ, ვიდრე ოდესმე! ამას ხომ კარგადა გრძნობ? მიპასუხე, ტეოდორ.

— დიახ. ბეკერ, მე მწამს, ვგრძნობ, მწამს, რომ უსაზღვროდ ბედნიერი ვიქნები. მხოლოდ...

მოკრუნჩხული ხელი თვალებიდან ყელისკენ დამიციურდა და განვაგარძე:

— მხოლოდ, ასე უეცარი მოწყვეტა. ამაში თითქოს დაკარგული საიდუმლოების კვალს ვგრძნობ. ასე მგონია, საჭაროდ გამიყვანეს, რომ ყველამ დამინახოს. საჭიროა აქ ყოფნა, ლაპარაკი, კამათი? ოჰ, ბეკერ, — წამოვიძახე და უეცრად ქვითინი ამიტყდა, — ბეკერ! რატომ

მივეციოთ იმ ბინძურებს გაქცევის საშუალება? რატომ არ ჩაეკეტოთ სადარაჯოები? რატომ მხოლოდ ლეკონტი და ტომასი მოვკალით? — ვღრიალებდი, რაც ძალა მქონდა. — ყველა, ყველა უნდა დაგვეხოცა ახლა კი...

კარი გააღო, ვილაცის შეწუხებული სახე გამოჩნდა.

— არაფერია! — მიაძახა მას ბეკერმა. მერე მე მომიბრუნდა და მხრებში ხელი ჩამავლო:

— შე საბრალო, რატომ არაფერი თქვი? რატომ დროზე არ იფიქრე ამაზე? ახლახან ილაპარაკეს ამის შესახებ. ყველაფერზე ილაპარაკეს. შენი აზრი უნდა გამოგეთქვა. ახლა ყველა ხმამაღლა აზროვნობს, ამას უნდა მივეჩვიოთ. მაგრამ ხმამაღლა ფიქრი იმას კი არა ნიშნავს, რომ ხბოსავით იბღველო და ამხანაგები შეჰყარო. აბა, დაწეკი და ტყაღე, დაიძინო.

— ძილი არ ბინდა. მაგრამ დარწმუნებული იყავი, აღარ ვიყვირებ. სულ ჩუმად ვილაპარაკებ. აი ასე, ხომ ხედავ, დიახ, შენ მართალი ხარ, ახლა იმის დრო არ არის, ხალხს ეთვალთმაქცო. მე დაკავშირებული ვარ...

— დიახ, — ჩაილაპარაკა მხიარულად, — მორჩა და გათავდა, ტეოდორ: შენ კანონგარეშე ხარ. იმ ლანგლუამ წელან კარგად თქვა: შენ შეამბოხე ხარ. შენი ძველი მეგობარი აელოტი ეროვნული კრების წევრია. ყველა თავ-თავის ადგილას არის. ხომ ხედავ, ტეოდორ: ყველა თავ-თავის ადგილას არის. აი, ამას ეძახიან რევოლუციას.

ცოტა ხნის შემდეგ ბეკერს შევეკითხე:

— შენი მოხუცი ბიძა რას აკეთებს?

— მტარე პენხია აქვს. წინათ ფოსტაში მსახურობდა, ისა და დედაჩემი, საცოდავები, თავს არ ზოგავდნენ, რომ მე სწავლა მიმეღო. პასტორმა უთხრა მათ, ეს საჭირო არისო. იქნებ, ვეჭილი გამოვსულიყავი. სტრასბურგის უნივერსიტეტში ვსწავლობდი. გაკვეთილები მქონდა და მათ ცოტას ვეხმარებოდი. მერმე პარიზი.

— ეჰ! — განაგრძო მან. — მოხუცებს როგორღაც გააქვთ თავი. მაგრამ ისინი არ უნდა მომეტყუილებინა. სერიოზულად უნდა მესწავლა. დი მათ პატივსაცემად ვეჭილი გავმხდარიყავი. ამის მაგივრად მეტაფიზიკამ გამიტაცა, ათასნაირ ეშმაკობაში ჩავები, კუჭიდან დაწყებული ბალენგენეზისამდე, და პალენგენეზისიდან, არ ვიცი, სადამდე. ეს ცის დაპყრობაო, სულის ამბოხება, საერთო აღორძინება, ჰუმანურობის დამკვიდრებაო, უკვდავება დედამიწაზე. არაფერი იმის მსგავსი, რასაც ისინი ჩემგან მოელოდნენ... წარმოვიდგენია! — ჩაიციხა. — არა, ამი-

სათვის მათ არ გავუზრდივარ. ის საწყალი პასტორიც მოვატყუილე... რა შეაჩერებს ერთხელ ამოდრავებულ აზრს? მით უარესი დასასრულ შევედი არაკანონიერ მემამბოხეთა კომიტეტში, რომელსაც გენერალი ლანგლუა არა სცნობს და რომელსაც ბატონი ტიერი ააფეთქებს, თუკი მოახერხებს. უკანასკნელი სიტყვა ჯერ არ თქმულა. მაგრამ ყოველ შემთხვევაში, ჩემგან არ მოელოდნენ ამას. ამაზე რას იტყვი, ტეოდორ? ხომ წარმოგიდგენია ორი პატარა მოხუცი სელესტაში?

— მიწერ-მოწერა გაქვთ?

— ვწერდი და ყოველწლიურად დავდიოდი მათ სანახავად.

— თუ გაიგეს, რომ დაგხვრიტეს?

— ისინი ვერ მოისაზრებენ, რომ ეს შეიძლება მე ვიყო. ამის შემდეგ ისინი საერთოდ ვერაფერს მიხვდებიან.

— და თუ ჩვენ ახალი ქვეყნის შექმნას შევძლებთ, ამას ხომ მიხვდებიან? — სიტყვების მკაფიოდ გამოთქმით შევეკითხე.

ბეკერი ბოლოს სცემდა.

— საშინელი ცნობისმოყვარეობითა ვარ შეპყრობილი... ოჰ, ტეოდორ, როდესაც უკანასკნელ წერტილს მივალწევთ და ყველა ადამიანი განათავისუფლდება, ნიღბები ძირს დაცვივა, აღარ იქნება აღარც მითები, აღარც ღმერთები, აღარც კომპრომისი იქნება შესაძლებელი ღვთისმორწმუნეთა და ურწმუნოთა შორის. როდესაც ყველა ადამიანი ღმერთების მსგავსი გახდება, რადგან, გიმეორებ, ღმერთები აღარ იქნებიან, მაშინ, ტეოდორ, მაშინ რას ვნახავთ? რას გავაკეთებთ? ბოლოს და ბოლოს ადამიანი რის გაკეთებას შესძლებს? იცი, ადამიანი უცნაური ქმნილებაა. სრულიად უიარაღო მსოფლოს წინაშე, ამასთანავე რა გაქანების, ძალის მქონე... ამ ძალას მსოფლიო ვერ დაიტევს. ადამიანი იბადება ცხოვრებისათვის სრულიად მოურგებელი, ყოველ მწერზე უფრო შიშველი, უფრო უძლური, რადგან მწერებს მაშინვე შეუძლიათ რაღაც გააკეთონ. მერე კი ნელ-ნელა ამ ადამიანში იღვიძებს უზომო ბატონობისმოყვარულობა... ხომ საოცრებაა? საჭიროა მხოლოდ ადამიანი თავისუფალი იყოს. თავისთავადი უნდა იყოს. ეჰ! როდესაც იგი დაიწყებს სინჯვას... როდესაც ნამდვილად დაიწყებს ძალის სინჯვას... გძინავს?

მე არ მეძინა, ბეკერს ვუსმენდი, და ის ცრემლები, რომლებიც ჩემმა განვლილმა გაცოფებამ დაჰალვრევინა, დაუშრეტელი იყო. მაგრამ ცრემლებს მშვიდად ვაფრქვევდი, რადგან ახლა იმედი და სიყვარული მათიერბდა. ბეკერს ეწრაფერი ვუპასუხე, ცრემლები მახრჩობდა.

— გძინავს? — გაიმეორა მან. — მაგრამ შენ სტირი! ტეოდორ, რად სტირი?

მაშინ გაბრაზებული ხმით ვუთხარი:

— ბეკერ, მინდოდა შენთვის მეკითხა: ეს ადამიანის მოდგმა, რომელზედაც ლაპარაკობ...

— მერე?

— ის უნდა გვიყვარდეს, ხომ? უნდა გვიყვარდეს ადამიანები? შენ ხომ გიყვარს ისინი, ხომ?

— ჰჰ, — ჩაიბურღლუნა ბეკერმა.

მერე ჩაიციხა და ოცნებაში გართულმა თქვა:

— შენ რომ ეს ჩემი საწყალი ლინდენისთვის გეკითხა, ის, ალბათ, გიპასუხებდა: „ნურაფერს ნუ გადავაჭარბებთო...“ მე აქ მისი ხმა მესმის, საწყალი ლინდენი! ის ამ საღამოს კმაყოფილი იქნებოდა.

— ბეკერ, შენ გიყვარს ადამიანები?

— კარგი, — თქვა ბეკერმა. — მიყვარს... მომავალი, რომელიც მათში არის. ეს ნიშნავს ადამიანების სიყვარულს? შენ რას ფიქრობ?

ალარ ვიცი, რას ვუპასუხებდი, მაგრამ ამ დროს დარბაზში ხმაურობამ იმატა. ბეკერი კარს მივარდა. ამ არევ-დარევაში სიფრეულენის ხმა გავიგონე:

— ბეკერ გვეჭირდება! ხვალისთვის მიმართვას ვწერთ.

მგონი, ჩაუეძინა. მერე მათთან მივედი, ქალაღდებს უსხდნენ. მსჯელობდნენ, რა დღისთვის დაენიშნათ არჩევნები. არ ვიცი, როგორ მოხდა, უეცრად მზე შემოიჭრა, გაანათა მწვანე ნოხი, კედლებისა და ჭერის მოოქრულობა, მკედრის შსგავსი სახეები. ეს იყო კვირა, 19, კაშკაშა დღე, რომელმაც ძარღვები დაგვიმშვიდა. მთელი ხალხი ქუჩაში გამოიყვანა, არა საბრძოლველად, ან ბრძოლის საყურებლად, არამედ სასეირნოდ. დილა ნაციონალურ სტამბაში გავატარე მოროსთან ერთად. ნაშუადღევს ქალაქის სასახლის შოედანს რომ გადავიდოდი, გაოცებით ვუტკეპროდი ამ მშვიდ ხალხს, ბავშვებს, ქალებს, რომლებსაც ქმრებისთვის მკლავში ხელი გაეყარათ. ისინი ათვალიერებდნენ ბარიკადებს, მზეზე მოელვარე ზარბაზნების ლულას, ახალგაქრულ მოწოდებებს. მთვრალი ვიყავი გაკვირვებისა და უძილობისაგან. მარიროზის ნახვა მეჩქარებოდა და ვფიქრობდი: „ამ საღამოს, შეიძლება, ხვალ, ანდა როგორც კი კომიტეტი თავის საჭმეს მორჩება და პარიზი განთავისუფლდება, მთელი ქვეყანა განთავისუფლდება და თავისი ბედის მკვდელი გახდება“... სანამ მარი-როზს შევხვდებოდი, წარმოვიდგინე, რომ იგი ჩემ გვერდით იყო და ახალ ამბებს ვუზიარებდი:

„თქვენ იცით, ვეუბნებოდი, მგონი, ამ დილით ტიერი კე დ'ორსეზე იყო. რატომ არ დააპატიმრეს იგი, რატომ? ოჰ, შეიძლება ეს შეცდომა იყო, რომ ლანგლუას არ შევეუთანხმდით. ყოველ შემთხვევაში, უსდა გვენახა მერები და დეპუტატები. ჩვენ ჯერ კიდევ საკმაოდ ძლიერი არა ვართ. ჩვენ მეტად მარტონი ვართ. მაგრამ პარიზი ჩვენა ვართ, ეს კი ჯერ არ იციან, ამაში საკმაოდ დარწმუნებული ჩვენ თვითონ არა ვართ!“

ეს სიტყვები ჩემს თავში ჟღერდნენ. მესმოდა, როგორ წარმოგ-
თქვამდი მათ. მესმოდა, ღამის ხმები როგორ იმეორებდნენ ამ სიტყვებს
ბოლსა და შეუწყვეტელ ყაყანში. მერე მარი-როზს დავუძახე. ვუთხა-
რი: „თქვენ გარდა აღარავინ მყავს და სულ მუდამ ჩემთან უნდა იყოთ.
თუ ამ საღამოს ქალაქის სასახლეში ბალი იქნა, ხომ წამომყვებით?“.
ჩვენ ერთად ვიცეკვებთ. უკანასკნელ წელსაც მე ბალზე ვიყავი, მაგ-
რამ მაქსიმთან ერთად. დიან, ეს ერთი წლის წინათ იყო, ყველიერზე,
ქალაქის სასახლეში კი არა, ოპერაში. გავიგონიათ ლაპარაკი ოპერის
ბალის შესახებ? იგი სხვანაირი ბალი იყო. უნდა ითქვას, რომ ერთი
წლის განმავლობაში მოდები შეიძლება თავიდან ბოლომდე შეიცვა-
ლოს. სხვანაირი ტანსაცმელებია, სხვა გარემოებანი, სხვანაირი საუბა-
რი. ეს ძველი ბალი, რომელზედაც გელაპარაკები, იმპერიის დროს
იყო. მაქსიმს ოფიცრის, დედოფლის ადიუტანტის სამხედრო ფორმა
ეცვა. იგი მომიკლეს, მარი-როზ, და უეცრად მოდაც შეიცვალა, მე კი
ვარსებობ. უნდა ვიარსებო, ვიარსებო კიდევ, და თქვენ, თქვენ ყველ-
გან უნდა მახლდეთ“.

ამ ფიქრებით შევედი კომიტეტის ახლა უკვე დაძველებულ, მკრთალ
დარბაზში. ხმები გუგუნებდნენ. თანდათან უფრო ბრინჯიანად და მო-
დუნებულად ისმოდა. საღამოს ძებვები მოგვიტანეს. რვა საათზე დე-
პუტატებისა და მერების დელეგაცია მივიღეთ. ცხადია, ჩვენი ცნობა
არა სურთ. თვით მუშები ნდობას არ გვიცხადებენ. ინტერნაციონალის
წევრს ტოლენს ვეზიზღებით. არ ესმით, რა გვინდა.

— ჩვენ სრული უფლებამოსილება გვაქვს, — უბნის ბეკერი. —
ჩვენ ეს ნაციონალურმა გვარდიამ მოგვანიჭა, ესე იგი, იარაღსა და ხელ-
ხალხმა, რომელსაც იარაღი ვერ დააყრევინეს. საფრანგეთს იარაღი
აჰყარეს, ეს შესაძლებელია. ჩვენ კი ვერა, ჩვენი ვალია ახალ სახელ-
მწიფო გადატრიალებას, ახალ 48 წლის ივნისს, ხელი შევეშალოთ.
ჩვენ ვიცნობთ ეროვნული კრების ხალხს. ყველა ლუი ფილიპესი, ბო-
ნაპარტის მომხრენი არიან. ისინი აღარ გვჭირდებიან.

მთელ ამ მოლაპარაკებაში განსაკუთრებით მილიერის სახე დამა-

მახსოვრდა. მოწყენილი ძაღლის თვალები და დაშვებული უღვაშები
ჰქონდა, ნიკაპამდე შებნეული ლურჯი სერთუკი ეცვა. ჩემს ახლოს
იყო. ლაპარაკის დროს სახის გამოჩეტყველება მშვიდი და მწუხარე
ჰქონდა; ყველაფერზე, რასაც ვტყვოდი, გვიპასუხებდა:

— ფრთხილად იყავით...

თავს აქეთ-იქით გადააქანებდა.

— სწორედ თქვენ მიდიხართ სახელმწიფო გადატრიალებისაკენ, 48
წლის იენისააკენ... მე ძველი რევოლუციონერი ვარ, თქვენ ეს კარგად
იცით, მაგრამ გაფრთხილებთ: სოციალური რევოლუციის დრო ჯერ
არ დამდგარა.

— მაშ, ესენი სოციალურ რევოლუციას ახდენენ? — იკითხა ქედ-
მალლად მილიერის ერთ-ერთმა კოლეგამ. — ჰო, ჰო, მათ წარმატებას
ვეუწიანსწარმეტყველებ.

— არა, არა. ჩვენ გვინდა ფედერაცია.

— პარიზი — თავისუფალი ქალაქი.

— ღიახ! — თქვა ბეკერმა მშვიდად და მეც მხარი დავეუჭირე. —

ჩვენ სწორედ სოციალური რევოლუცია გვინდა.

— მაშ, თქვენ ხართ მატერიალისტები, ინდივიდუალისტები. მომ-
ხბე ამ მიმართულებისა, რომელიც რესპუბლიკას საყოველთაო საარ-
ჩევნო უფლებაზე მაღლა აყენებს, — თქვა მერის თანაშემწემ, უილტ-
ზე ხელი რომ ედო.

— როგორა თქვით? — წამოიძახა ბეკერმა, რომელსაც ეს ფილო-
სოფიური დომხალი გულს მოხვდა.

— აბა, დააზუსტეთ, როგორია თქვენი პროგრამა? არჩეული მუნი-
ციპალური საბჭო? მერე?

— ბინის დამქირავებლებს დავალიანება უნდა მოეხსნას სრულიად.

— ჰო, ჰო!

— მოვალეებს თამასუქების ვადა უნდა გაუფრთხილდეს.

— მერე კიდევ რა?

— ერთმანეთისა გავიგოთ, — თქვა ერთმა დეპუტატმა გულკეთი-
ლად. არ მახსოვს, ეს ლოკრუა იყო, თუ კლემანსო, — ჩვენ კოლეგებ-
თან უნდა წავიდეთ. ისინი ჩვენსავით კეთილად განწყობილი ადამიან-
ები არიან, ხალხის მეგობრები. მათ სურთ მოგისმინონ. და თქვენ
უნდა წამოაყენოთ ზუსტი და მისაღები პროგრამა, რომლის წარდგე-
ნაც მთავრობისათვის ჩვენ თავას შეურცხვენლად შეგვეძლოს.

— გვენდობით თუ არა? ჩვენ ხომ გვიცნობთ? თქვენ იცნობთ ჩვენს
კოლეგებს, ლუი ბლანს, ედგარ კინეს, შელზერს...

— კარნოს...

— ფლოკეს...

— ჩვენ კი არავინ გვიცნობს, — უპასუხა სიფრელენმა. — ამაზე საკმაოდ გველაპარაკნენ.

— ჩვენ გვინდოდა დაგხმარებოდით! — ამოიოხრა ერთმა მერმა.

— და სამოქალაქო ოში თავიდან აგვეცილებინა, — დაუმატა მეორემ.

— ლუი ბლანი რას აპბობს?

— გაუგზავნეთ დელეგაცია. იგი მეორე ოლქის მერიამია, იმასაც შეუთანხმდით, როგორც ჩვენ.

ბეკერი განზე გავიხმე.

— ჩვენ ხომ, მართლაც, სრულიად მარტონი ვართ?

— მერე რა? — მიპასუხა მან, — რაც გასაკეთებელი გვაქვს, მარტო გავაკეთოთ. მერე ვნახოთ.

იქ ღამეს შინ წავედი დასაძინებლად. პირველი საათი იქნებოდა, ჩემს საკუჭნაოში რომ მივედი, კიშის დაცარიელებული სახლის გვერდით. ეზოს ჰაერში გაზაფხულის ჭერ კიდევ ოდნავ მთრთოლვარე და მწკლარტე სუნთქვა ვიგრძენი და უეცრად მოგონებებმა მომიცვა. ხელები გაუღვივრე კრამიტთან სახურავს. ახალ გრძობათა ტალღა შეიჭრა ჩემს მოგონებებში და წარიტაცა ჩემი ახალგაზრდობა, კლემანსისა და ადელაიდას კოცნა, მათი ტანის რხევა ცეკვის დროს. და ყველაფერი ეს სევდა-ზეიმის ნიაღვარს მისცა. მერე ნაშწეის სინათლეზე სარკეში თვალი მოვკარი ჩემს გამხდარსა და გაყვითლებულ სახეს. მოვიხარე და თავს შევეკითებ: შესძლებდა თუ არა ჩემი დასუსტებული სხეული აეტანა ყველაფერი ის, უცნობი და ძლიერი, რაც მომელოდა. საფეთქლები ძალზე მიცემდა. დაეკეჭი და ამ ცნობების ნაწილი დაეწირე, ბოლოს დაეწეჭი. სიზმარი სიზმარს მოსდევდა და მოუსვენრად მეძინა, ერთმანეთში განუწყვეტლად ირეოდა სიტყვები, ადამიანები, მათი მოძრაობა.

22 მ ა რ ტ ი. ზეაქცია ძალას იკრებს. იგი ცენტრში, ბირჯის გარშემო იყრის თავს. მზად არიან ბირჯის კიბის საფეხურებზე თავი დაიხოცონ. დღეს იუსტიციის სამინისტროს აიენიდან დიდ იერიშს დაეცნა. ჩემ გვერდით მდგომი ბეკერი მიხსნიდა, რაც ხდებოდა.

— გმირობა მშვენიერია, — მეუბნებოდა იგი, — სადაც უნდა იყოს, აღტაცების ღირსია. ხედავ, ტეოდორ, ამ ხალხმა გადაწყვიტა სიცოცხლე გასწიროს თავისი ქისის დასაცავად. შათ დასტოვეს თავიანთი ბინები, ან სარდაფები. ქუჩაში გამოვიდნენ. უმრავლესობა უიარაღო,

მათ მხოლოდ რწმენა და გმირობა ამოქმედებთ. საკუთარი ეტლებისა და უწვი სალაროების მქონე ადამიანები თავიანთი საკუთრების დაცვას რომ ცდილობენ, ეს გასაგებია. ეს მშვენიერია. ბუნებრივიც არის. ჩაუფქრდი. რამდენად მალა დგანან ისინი, რომლებსაც არაფერი აქვთ დასაცავი. მათ მხოლოდ წესრიგის სიყვარული და მდაბიო ზალხისადმი სიძულვილი ამოძრავებთ! ესენი არიან წვრილი მოხელენი, შიშობილისგან რომ სული ხდებათ. ღარიბ-ღატაკნი, თავს რომ ძლივს ირჩენენ. დაუფიქრდი ამ ლაქიების დიდებულ უანგარობას! ისინი ბატონ გრაფთან ერთად არიან. ისინი გრაფივით გრძნობენ, ფიქრობენ. ვულით მისი ფუფუნებისა და ძალაუფლების მონაწილენი არიან. ისინი გრაფის პარტიას ეკუთვნიან. ეს წესრიგის პარტია არის, ჩვენ კი ყაჩაღები ვართ, სრულიად უზნეო ხალხი ვართ. ვძარცვავთ სალაროებს, ვაუპატიურებთ ქალებს. ისინი, ისინი კი მზად არიან იდეალისტვის თავი გასწირონ.

დე-ლა-პეს ქუჩაზე ისმოდა ძახილი: „გაუმარჯოს წესრიგს, გაუმარჯოს საყოველთაო კენჭისყრას! გაუმარჯოს ეროვნულ კრებას!“

მოდებისა და ჯავაირჩების სავაჭროები მაგრად იყო ჩაკეტილი, ჩაკეტილი, მაგრამ ზემოდან, ფანჯრებიდან ოქრომჭედლები და ქუდის მკერავი ქალები მიესალმებოდნენ დემონსტრანტებს და ხელმანდილს უქნევდნენ. დემონსტრაციამ მიადწია იმ ქუჩის ბოლოს, რომლის დანახვაც პენ შეგვეძლო. იგი შეჩერდა, ჯახებსა და ქუდებს იქნევდა. დემონსტრაციაში რამდენიმე ქალბატონი ერიო, მათ ცალი ხელით ქვედაწელი ეჭირათ. მეორე ზევით აეშვირათ და საშინლად ღრიალებდნენ. მებრძოლის გამომეტყველება ჰქონდათ, სასაცილო. ოპერეტების მოვაჭრე ქალებს ჰგავდნენ. ჩვენმა მოკავშირე ნაწილებმა თავი მოიყარეს ვანდომის სვეტის წინ, რომელზედაც დროშა ფრიალებდა. ისინი იდგნენ, ფეხებთან თოფდაშვებულნი. ერთმა ჩვენგანმა ბერყერეს დაუძახა:

— უბრძანე, დაიშალონ!

დემონსტრანტები დე-ლა-პეს ქუჩაზე ღრიალსა და მძვინვარებას განაგრძობდნენ. ერთი სერთუკიანი აყლაყულა ქვაფენილზე უზარმაზარ სამფეროვან დროშას მიათრევდა. იგი მიუახლოვდა ზარბაზნებს, რომლებიც მოედანს იცავდა, და დაიძახა:

— ლულები არა აქვთ! მუყაოსია!

უეცრად დე-ლა-პეს ქუჩიდან სროლა გაისმა. ბრბო მოედანს მიაწყდა.

— ისინი ქალებს ესვრიან! ზარბაზნებს ესვრიან! მკვლელები!

მაშინ ბერეერი წინ გამოვიდა, დაფდაფი დაუკართო. მისი კაცები მზეზე მოელვარე ხიზტებით დაიძრნენ, დე-ლა-პეს ქუჩა დაიკავეს. კვლავ გავიგონეთ ღოღის ცემა, ყვირილი, თოფების ბათქი, სვეტთან, რიკულის წინ გამოჩნდა უაზრო და მივიწყებული, ცისკენ თვალაშვერილი ღურბინდი, რომლითაც წინათ მთვარეს უქვრეტდნენ და ამისათვის რამდენიმე სუს იხდიდნენ, ბეკერმა მითხრა:

— ყველაზე სამწუხარო ის არის, რომ ბურჟუაზიული ახალგაზრდობა იმ საზიზღრებს ემხრობა. იცი, რომ უმადლესი სკოლები კომიტეტს ეწინააღმდეგებიან? ვანაცხადეს კიდევ. მე ხომ გიწინასწარმეტყველე? აჟღერე რენო რომ პრუსიელებს არ მოეკლათ, რაიცი იქ იქნებოდა. ერთიანად აღტყინებული. ეჰ! სანამ ლაპარაკობდნენ ხალხზე, მოქალაქეობრივ თავისუფლებათა მოპოვებაზე, გაზეთებში წერის უფლებებაზე, კანონის წინაშე თანასწორობაზე და კიდევ, რა ვიცი, რაზე, — ყველაფერი კარგად მიდიოდა, დიდსულოვნებად და კარგ საქციელად ითვლებოდა ხალხის რიგებში ბრძოლა, ახლა კი ლაპარაკია არა ხალხზე, არამედ პროლეტარიატზე. ისინი მხოლოდ ფარისევლობენ: ისინი თავს კლასად კი არ აცხადებენ, პროლეტარიატის მტრებად, არც ბურჟუაზიად და ბურჟუაზიული პრივილეგიების დამცველად. მათ სურთ განაგრძონ ბრძოლა იდეალის, წესრიგის, ზნეობისა და სამშობლოს დასაცავად...

მხრებზე აიჩეჩა.

— სამშობლო! დიახ, ისინი პატრიოტები არიან, და როდესაც იმპერატორი ომობს, მხოლოდ ჭრილობებზე ოცნებობენ. მაგრამ როდესაც გამბეტა ომობს, პატრიოტები აღარ არიან, ოღონდაც!

ყვირილი შორს იკარგებოდა. მოედანი და დე-ლა-პეს ქუჩის ბოლო დაცარიელდა. ქვაფენილზე დარჩა მხოლოდ რამდენიმე საბიჭვი ჯოხი და მიწაში ცხვირჩარგული დიდი გვამი, რომელსაც ქუდი ხელში შერჩენოდა.

— შეხედე ამას, — განაგრძობდა ბეკერი, — ვინ იყო ეს? პატივცემული ვაჭარი, წვერი ჟოკეი-კლუბისა, კეთილმოაზროვნე ბულვარდიე? თუ მევახშეების მიერ გაკოტრებული, განებივრებული ბავშვი? ან თვით მევახშე ამ განებივრებული ბავშვისა? თუ ჭარის მენარდე? ბრეტერი? ბირჟის დალალი? ან ბირჟის დალალის მოსამსახურე? ანდა ბირჟის დალალის მოსამსახურის მეეტლე? ან დიდკაცებს მიტმასნებულის ერთი იმ გაიძვერათაგანი, რომლებიც ვაჟიდკაცებისათვის იღვწიან? ან „ფიგაროს“ რომელიმე იმ ვაჟბატონთაგანი, რომლებსაც გონებამახვილობა არ აკლიათ, ძველი კარგი ფრანგული გონებამახვილობა, იმი-

სათვის, რომ მოაზროვნეს, გენიოსს, ვინც უნდა იყოს, თავისი ჯდგილი მიუჩინონ, მაგრამ ამავე დროს მზად არიან თავგამოდებით დაიცვან ოჯახი, დიდი და მხიარული ფრანგული მუსიკა? შეიძლება, იგი ვოლტერელია, მაგრამ... ღმერთმა დალახვროს ეშმაკი, როგორ შეიძლებოდა მღვდლებს შეხებოდნენ! არც პოლიციას! არც ფრანგ რანტიეს! ხუმრობასაც საზღვარი აქვს. ეჰ! შენც გქონდა გმირობის მცირე წუთი... ტუჩებზე ღიმილით, კბილებში გაჩრილი ვარდით, მოკვდი გულად, როგორც ფრანგს შეჭფერის. ყველაფერი ფრანგულ ყაიდაზე, რენტა, ძველი კარგი სიმღერები... ქული გვერდზე დაიხურე, ხელში საბიჯი ჩოხი დაიკავე და გადაწყვიტე გეჩვენებინა, როგორია ნამდვილი ფრანგი რანდი, ასეა ხომ? ეს ნაყარნუყარა ხალხია, რომ თავს ნებას აძლევს... აქ ჩვენსა ვართ. პატიოსანი ხალხი ვართ. ვანდომის მოედანი ჩვენ გვეკუთვნის, ბირჟაც, საროსკიპო სახლებიც, გარშემო რომ აკრავს. ჩვენ გამობრძმედილი ფრანგები ვართ. ჩვენ წარმოვადგენთ თავაზიანობას, ლიბერალიზმს, ხელოვნებასა და ჩვენი მამების რწმენას. დიდება ბანოვანთ! წინ, კოხტა ბიჭებო, გაუმარჯოს ნავარდს! მერე უეცრად ნაციონალგვარდიელმა ესროლა ამ კრებულს. ტკაც! უეჭველია, შენ ვალები გქონდა, ხასა გყავდა, რომელიც ლოყას სილით გიწითლებდა. ყველაფერი მოგვარებულია. ვინ იყო ეს ნაციონალგვარდიელი? რასაკვირველია, ყაჩაღი. კიდევ ვინ? მეშეშე, მელითონე; ხარატი, მეჩუქურთმე, მეპურე. ხვალ, შეიძლება, იგი გახდეს მეპატრონე? ეს შენ გაკვირვებს ხომ? ქვეყანა გადატრიალდა. შენ სწორადა თქვი: ქვეყანას ააცირავენ. ბერძნულად ამას მეტაფიზიკის შესწავლა ჰქვია, მაგრამ დამაფიწყდა, რომ შენ ბერძნული არ იცი, სულელო. მიუხედავად შენი პრანქვა-გრეხისა...

მორო და ვარლენი ჩვენთან აივანზე გამოვიდნენ და ბეკერს ეს სამგლოვიარო სიტყვა შეაწყვეტინეს.

— ბოლო უნდა მოვუღოთ, — თქვა ვარლენმა, — ცენტრში ბატალიონები უნდა გავგზავნოთ და ყველა მერია დავიკავოთ. იცით, რომ ვერსალი ტყვეების დაბრუნებაზე ბისმარკს ევაჭრება? ბისმარკს მეტიც არაფერი უნდა! რასაკვირველია, ჩემო ძვირფასო კოლეგა! თქვენთვის ყველა ჩემი საკონცენტრაციო ბანაკი გაიხსნებაო!

— ვნახავთ დაბრუნებულ ამ ძველ მებრძოლებს, 2 დეკემბრის მამულუქებს.

მალე დამხმარე ძალები მოვიდნენ და ვანდომის მოედნის ორივე მისასვლელთან ბარიკადების აგება დაიწყეს.

— მე წავალ „ოფისიელში“¹ და სტამბაში,—მითხრა მორომ.—
რომელ საათზე შესძლებ შემცვალო?

— ნასადილევს მოვალ შენთან „ოფისიელში.“ ღამეს იქ გავატარებ.

— კარგი. წადი, დაისვენე.

დასვენებით ვისარგებლე და მარი-როზის სანახავად გავეშურე. რი-
ვოლის ქუჩა ჩავიარე, იქ ბარაკადებს აშენებდნენ და პატრულს შევ-
ხვდი, რომელმაც სენ-ჟერმენ ლ'ოქსერუს მალლობამდე მიმაძილა. მე-
რიის წინ სასაზღვრო ნაწილები დაბნაკებულიყვნენ, თოფები ჯოჯგი-
ნად დაედგათ. ჯარისკაცების ჯგუფებში რამდენიმე უსაქმური შერე-
ოდა და ისინი მშვიდად იბრუნებდნენ პირს, როგორც კი მათ
ოფიცრები დაუყვირებდნენ, აქაურობას გაეცალეთო. ხუთი საათი იქ-
ნებოდა. ბარტელოს რომ მივალწიეთ და გარეუბნისაკენ შევეუხვებე. დღე
იწურებოდა. ალიგრის ქუჩაზე ვილაც მოხუცი ქალი იჯდა კარის
ზღურბლზე და წინდებს კემსაუდა. გვერდით რომ ჩავუარე, გავიგონე,
ჩუმად თვლებს ითვლიდა. შემომხედა, მაგრამ არ შეეკუნიშნოვარ და
ბურღღუნო განაგრძო. სიფრელების სახელოსნოს წინ პატარა კუზიანი
სხვა ბავშვებთან ერთად კლასობიას თამაშობდა. სახელოსნო კვლავ
ცარიელი იყო, მის შეწითლებულ მინებში მზის უკანასკნელი სხივი
შეჭრილიყო. შორიდან საყვირის ხმა მოისმა. მე არ ვინძრეოდი, რომ
იგი მომესმინა, გული მიღონდებოდა, „ენ რევოლუციის საღამოა,—
გავიფიქრე, — რევოლუციის მშვენიერი საღამო“.

პატარა კუზიანს კუბოკრული წინსაფარი ეკეთა. მიცნო, მუხლებზე
მომეხვია, თავი უკან გადაიგდო, მხრებში ჩაიმალა და ანგელოზის,
ჯერ კიდევ ფიქრით დაუდალავი სახით მომაჩერდა. შიმშილობისაგან
უბები ერთმანეთს მიჰკვროდა, თვალები ამოლილავებოდა. მაგრამ
თვით შიმშილისა არა გაეგებოდა რა მას. შიმშილი ბავშვებში არ იწ-
ვევდა არც ზრუნვას, არც ფიქრს: საბრალო ბავშვი დაბადებიდანვე
ისეთ ქვეყანაში მოხვდა, სადაც შიათ, ისე როგორც სულ ადვილად
შეიძლებოდა, იგი დაბადებულიყო მაწანწალა. ძაღლების ან ბედით
განწირული მგლების ხროვაში.

— საძაგელო ბავშვო... მაიმუნო, მაიმუნო... — ვუთხარი მას.

გოგონამ ღიმილით შემომხედა, რადგან იცოდა, რომ ყველა ბავშვს
ამნაირად ელაპარაკებიან, და ეს სიტყვები ნიშნავს მხოლოდ „კარგს“
და „მაწანწკინას.“

— გიჟო, — დავიწყე ისევ, — გიჟო, რატომ გაჩნდი ამქვეყნად?..

¹ გაზეთი „ქრანალ ოფისიელ“ — კომუნის ორგანო.

გლახავ, ბორტო... შენი თავის მტერო, პაწია, უბედურო, პატარა სულელო...

მერე ხელში ავიყვანე და რამდენჯერმე ვაკოცე. ამ დროს ტროტუ-არზე მისი ამხანაგები კლასიდან კლასში ხტოდნენ, ჯოჯოხეთიდან სამოთხეში. შორიდან ისევ მოისმა საყვირის ხმა, და უეცრად მარი-როზი დავინახე.

— რევოლუციის აღსანიშნავად უნდა დავლიოთ, — ვთქვი ხმამალ-ლა. — გქვთ ღვინო. მარი-როზ?

— ბეკრი არა, — მითხრა მან, — ვნახავ. თქვენ არ შემოხვალთ?

— არა, — ვუთხარი, ყაბიწი მოვიხსენი და ფანჯრის რაფაზე ჩამოყ-ჩვეი. ჰე აჰ, ქუჩაში ყოფნა მინდა. ისეთი სიწყნარეა, ისეთი კარგი ამინდია ამ საღამოს.

ბავშვები მომიახლოდნენ და ჩემი ჩექმები ხელით მოსინჯეს. მერე ისე განავრძეს თამაში. მარი-როზი დაბრუნდა, ბოთლი და ჭიქა მოიტა-ხა, წითელი ღვინო იყო. ღვინო დამისხა, ჭიქა ერთი მოსმით გამოეცა-ლე. მარი-როზს სიცილით შევხედე, მანაც შემოჰკინა და თავისი თეთ-რი კბილები გამოაჩინა. დამავიწყდა ის სიმწარე, რომელიც პატარა კუზიახის ნახვამ მაგრძნობინა და მარი-როზის მეტს ვერავის ვხედავ-დი. ბინდში ჩანდა მისი მოხდენილი ტანი. შავი ხშირი თმით შემკობი-ლი სახე საღამოს სინათლეზე შესცვლოდა. დაღლილობა, რომლის-განაც სხეული მეკარუნჩხებოდა, უეცრად მძაფრ სურვილად გადამქ-ცა, ავინთე, კრიჭა შემეკრა. ასე მეგონა, ვსუნთქავდი ფერმის, კარაპა-ნის სურნელებასა და მთის ჰაერს. ხელი გავიშვირე და მარი-როზის თმაში ჩავმალე, როგორც ბალახში.

— მოქალაქე ტეოდორ, რაზე ფიქრობ? — მკითხა ღიმილით მარი-როზმა.

— შენზე ვფიქრობ, მოქალაქე მარი-როზ, — ვუპასუხე სიცილით. მერე ხმადაბლა დავუმატე: — მე ვფიქრობ, რომ შენ მშვენიერი ხარ, მარი-როზ. უფრო მომიახლოვდი.

— ბავშვები, — მითხრა მან და წამწალები დახარა, ტუჩების ოღნა-ვი მოკუევიით ბავშვებზე მანიშნა.

— მერე რა? ანლა ხომ რევოლუციაა? რევოლუცია ყველასთვის არის. ნუთუ შეგარცხვება, რომ მათ თვალწინ ვაკოცო, ქუჩაში?

მსუბუქად სილა გამართყა.

— არ მინდა რომ მაკოცოთ არც ბავშვების წინაშე, არც არავის-თან, არც ქუჩაში, არც არსად. რა ახირებული აზრია!

— მე კი ისე ძლიერ მინდა!

—ოჰო! — თქვა მან, გვერდზე თავი გადახარა და შემომამჩერდა. ამ დათვალიერების შემდეგ ასეთი საშინელი კიოხვა მომცა:

— წვერს როდის გაიპარსავ?

— არჩევნების შემდეგ, — ვუპასუხე დიდი ამბით. — როდესაც ჩემს რწმუნებულებას კომუნას გადავცემ.

ორივეს ისევ სიცილი შეგვესკდა.

— რა უცნაურად შეჩვენება, შენობით რომ გელაპარაკები. რა უცხო სიამოვნებაა, მეგობარს პირველად შენობით რომ ელაპარაკები... — და დაეუმატე სულ ჩუმაღ: — იმ ქალს, რომელიც გიყვარს. გესმის, რასაც ვამბობ? ქალს, რომელიც გიყვარს.

— მესმის, — მითხრა და თვალი მოპარიდა, მაგრამ მაშინვე ისევ შემომხედა.

ბავშვები ქუჩის მეორე ბოლოსკენ გაფრინდნენ. მარი-როზს მხარში ხელი მოვიკიდე და მკერდზე მივიკარი. უძრავად იდგა, მაგრამ თავისი ხელი ჩემს თავისუფალ ხელში ჩამიდო. დავინახე, ახეზე სინაზე მოეფინა ისე, როგორც მზის ჩასვლის წინ გორაკებს სინათლის ანარეკლი მოედება ხოლმე.

— ნუთუ მართალია, რომ ცოტათი გიყვარვართ? — ჩაიბუტბუტა თავისი ყრუ ხმით.

— რატომ ამბობთ ცოტათიო? .

— არ ვიცი... სხვა სიტყვები მეტად მყვირალაა.

— თქვენ მეტად მყვირალა სიტყვების თქმა არ გინდათ.

— იცით... როდესაც თქვენ ამბობთ, მიყვარხარო, ასე მგონია, რომ ამბობთ იმას, რაც ენაზე მოგხედებათ. ეს უაზრობაა. მაგრამ, როდესაც თქვენ ამბობთ, ცოტათი მიყვარხარო, მზად ვარ დაგიჭეროთ... და მოგისმინოთ.

— რატომ შენობით აღარ მელაპარაკებით?

— იმიტომ რომ, როდესაც შენობით გელაპარაკები, ველარ გცნობ...

— უნდა...

— უნდა რა?

— ეს თანდათან უნდა მოხდეს, რომ მივეჩვიო თანდათან იმ ტოლოდორს, რომელსაც შენობით უნდა ველაპარაკო.

— თქვენ იმასაც შეეჩვევით, რომ ის გიყვარდეთ?

— დიახ, მაგრამ ერთ რამეზე მწყდება გული.

— რაზე?

— რომ ვტოვებ მეორეს, იმას.

— იმას?

— რომელზედაც არ ვფიქრობდი, რომ ოდესმე შენობით დაველაპარაკებოდი და არც ისა მჭეროდა, რომ შეიყვარდა.

— თუმცა არა გჭეროდათ, მაგრამ ის მეორე ხომ გიყვარდათ?

— სხვანაირად, რასაკვირველია, რადგან ეს არ ვიცოდით.

— ეს ორი ტეოდორი ერთიმეორისაგან ძალიან განსხვავდება? რომელი მათგანი დგას ახლა თქვენ წინაშე, მარი-როზ? და თქვენ თვითონ აღარ იქნებით უკვე წინანდელი მარი-როზი?

ყველა ამ კითხვას და სხვებს, რომლებიც ერთიმეორეს მოსდევდა, მარი-როზი გამოუცნობი დუმილით უპასუხებდა. მერე ისევ დაიწყო ფრთხილად ლაპარაკი და დარცხვენილად იღიმებოდა.

— ტეოდორ, რა უცნაური რამ არის, როცა იცი, რომ გიყვარს... ამის თქმას რომ თავის თავს გაუბედავ, განსაკუთრებით გაუმეორებ. ღმერთო ჩემო, როდესაც ვიფიქრებდი ხოლმე, ვინმეს შეყვარებას შევძლებ-მეთქი, ეს ვინმე ხშირად თქვენ იყავით... დიახ, საერთოდ ეს ყოველთვის თქვენ იყავით... მაგრამ ეს ფიქრი, როგორც მომივიდოდა, ისევ მალე გაქრებოდა, და მე იგივე მარი-როზი ვრჩებოდი. ახლა...

— ახლა კი, წამსაც არ დაჰკარგავთ, მუდამ იფიქრებთ, რომ გიყვარვართ. ნუთუ ეს შართალია, მარი-როზ? ნუთუ ეს შესაძლებელია?

— თქვენ?

— მეც ვიფიქრებ რომ მიყვარხართ, დღე და ღამე, ყოველ წუთს ვიფიქრებ.

ერთმა და იმავე თრთოლვამ ერთმანეთისაკენ მიგვიზიდა, კვლავ ვიხილე ჩემკენ გადმოხრილი მინაზებული ტუჩები და გამოხედვა, როგორც მაშინ, ტრონის სადაზაჯოს ტალავარში რომ ვიყავით, მაგრამ მაშინდელი მორჩილება და სევდა აღარ გვექონდა, ახალი ცეცხლი ათბობდა ამ კოცნას. ეს კოცნა მოვწყვეტე თუ არა, ვისურვე, რომ ის კვლავ ამენტო ისეთ თავისუფალ და ძლიერ ცეცხლად. მახლობელი ფანჯრის ფიტონიდან ბოთლი ავიღე და მეორე ჭიქა წითელი ღვინო სწრაფად გადავკარი. ბოთლში ცოტა კიდევ დარჩა. ის მარი-როზს დავალევი.

— აი ასე, — ვუთხარი სიცილით. — მარტო მე არ შექნება ღვინის სუნი და შენ კიდევ მაკოცებ.

— რამდენიც გინდა! — მიპასუხა მან.

ფანჯრის რაფიდან ჩამოვხტი და გვერდით დავუდექი, მხარზე ზელი დავადე. გული გაუმადლარი ზეიმით ამევსო.

— იცი, — ყვირილით ვეუბნებოდი, — ადამიანთა შორის თანასწორობა დამყარდება. ზომ იცი, მარი-როზ?! ომი დასრულებულია, პრუ-

მივლები წავლენ, ვერსაღლებს დავამარცხებთ, პარიზი განთავისუფლდება, და მე არაფერი მბოჭავს, არაფერი მაკავებს. გაზაფხული მოდის: ეს ყველაზე უმშვენიერესი გაზაფხული, როგორც კი მიწაზე ოდესმე ყოფილა. ჩემი ნამდვილი ახალგაზრდობა იწყება, თავისუფალი ახალგაზრდობა, და უფლება მაქვს ვიყვირო ქვეყნის გასაგონად ყველაფერი, რასაც ვფიქრობ! ეჰ! მაქსიმი რომ ცოცხალი იყოს! მაშინ ცხოვრების მეფე ვიქნებოდი. მაგრამ შეიძლება მისი სიკვდილი საჭირო იყო იმისთვის, რომ მე კიდევ უფრო განმარტოებული ვყოფილიყავი, უფრო ამაყი, და უფრო თავდავიწყებით მყვარებოდი შენ, მარი-როზ. ამერიდან ჩვენ ერთმანეთს ვეკუთვნით, ერთმანეთთან ვართ დაკავშირებულნი, არავინ გაგვაჩნია ჩვენს გრძელსა და გამოუცნობ ცხოვრებაში, ამ უცნაურ ქვეყანაში.

— ოჰ, არასოდეს დავიჯერებდი, რომ ერთ დღეს ყოველივე ამას მეტყობდი, — ჩაიბუტბუტა. — მე მაინც ველოდი იმ წუთს, როდესაც ამას შეტყობდი, ველოდი, თუმცა ვერ ვბედავდი ამაში დავრწმუნებულაყავი.

— ნახვამდის მარი-როზ! მამაშენთან მივდივარ ქალაქის თვითმმართველობაში, მერე ღამეს „ოფისიელში“ გავატარებ.

— მე იქ საჭმელს მოგიტან. შუალამისას, გინდა? ღამე ნებისა! ნახვამდის. ტეოდორ.

მის მკერდს მოვწყუდი და ჩემი ტუჩები ეძახდნენ მას შორიდან, მღუშმარედ:

— ჩემო სიყვარულო!

26 მარტი. ქალაქის თვითმმართველობაში კომუნა გამოაცხადეს. „ერმინანდის რა მშვენიერი დღეა!“ — მოთხრა ტრიბუნაზე მყოფმა სიფრელენმა. იგი ტიროდა. გაფითრებული ბეკერი თავს იქნევდა. ჩვენს უკან სახურავიდან ფართო წითელი ქსოვილი ეშვებოდა და მთელ ფასადს, ჰენრი მეოთხის ძეგლს ფარავდა... ქალაქის თვითმმართველობა ჩვენ გვეკუთვნოდა, ჩვენს თავზე ფრიალებდა ოქროსფერფოჩებიანი წითელი პატარა ბაირალები. თითქოს თეატრში ვიყავი. ჩვენ წინ მოედანის ბრწყინავდა ერთიმეორეს მიკრული ხიზტებით, ისმოდა მათი რაწყუნის, ირხეოდნენ ალმები, რომლებზედაც შავი ციფრებით ბატალიონების ნომრები იყო აღნიშნული, წითელი და სამფეროვანი ფრიგოული ჩაჩით შემკობილი დროშები. ყველაფერი ეს მღეროდა „მარსელიოზას“, „სალაშქრო სიმღერას“, მერე ისევ „მარსელიოზას“ იწყებდნენ დაუღალავად. პატარა ოთხკუთხა კეპები დაკმუჭვნილი, მოთელილი, ჰაერში ცეკვავდნენ. ჯარისკაცებში გარეული ბურჟუებიც იქნევდნენ

ცილნდრებს, ზოგიერთი მათგანი კეპსაც. ქალებიც არ იყვნენ ნაკლებ გაცოფებულნი. რაც ძალა ჰქონდათ, ღრიალებდნენ: „გაუმარჯოს კომუნას!“ და თითქოს მზად იყვნენ, რომ ხიშტებს და კეპებს ზემოთ ჰაერში აფრენილიყვნენ.

ვუცქერდი პარიზის წითელშარფშემოხვეულ ახალ პატრონებს, ჩვენ გვერდით იყვნენ: ფელიქს პია, რომელსაც დიდებული თმა და მედიდური გამოხედვა ჰქონდა: ყურდი თავისი პატარა, შუაზე გაყოფილი შავი წვერით; წარბშეკმუხენილი ვალესი, მოკლე და მკაცრი ცხვირით; ფლურენსი, ქერა და გულადი; თავდაჭერილი, ჰალარა დელეკლუზი, მკერდჩაყარდნილი, ტუჩებგამოწეული; ფართო ნესტოებით ჰაერს ხარბად ისუნთქავდა. ვენსენის პატიმრობიდან გათავისუფლების შემდეგ ისიც სიფრელებით ახველებდა. სიფრელები მომჯობინდა. სხეული გაუმავრდა, დელეკლუზს კი გამხდარი ტანი ხველებისაგან უთრთოდა. აქ იყო ძია ბესლე, რომელსაც პალსტუხი ნიკაპამდე სწვდებოდა და თავი მაღლა ეჭირა; ვერპორელი, რომელსაც სტუდენტისებრ პატარა, კობტა უღვაშები ჰქონდა; შეუპოვარი რაულ რიგო საზეიმო რერით. თმა-წვერმოშვებულ ფერეს კეხიან ცხვირზე დამაგრებული პენსნე მზეზე უცნაურად ბრწყინავდა: მან თვალმოუშორებლად იცოდა ცქერა. ერთი სავარძელი ცარიელი იდგა. ეს ადგილი ბლანკისთვის იყო დატოვებული.

მერე ბრიუნელის მეთაურობით ჯარებმა ჩაიარეს. ისმოდა საყვირთა გუგუნე, დოლების რაკრაკი, სენაზე ზარბაზანმა დაიქუბა, მოედნის ყველა ფანჯარაში და სახურავზე ხელმანდილები ფრიალებდნენ. ტრიბუნასთან ვიდაც კობტად წვერშეკრეჭილი სერთუკიანები, ღილილოში რომ ასკილის ყვავილი გაერჭოთ, და ქუდიანი ქალები ხმამაღლა, როგორც კი შეეძლოთ, კომუნას სალამს უძღვნიდნენ. აღზნებული სახით ჩვენკენ იცქირებოდნენ! ცისკენ, სადაც ქალაქის თვითმმართველობის კოშკი თავისი ზარებითა და ღროშებით იკარგებოდა. გაისმა მარსელიოზა, უფრო ძლიერი, მოგუგუნე, ვიდრე ოდესმე, და მთელი სივრცე აშოავსო, თითქოს ბრინჯაოს მარსელიოზა აღმართულიყოს. ეს ხმები კი არა, ძლიერი მკერდებიდან აღმოხეთქილი ცეცხლი იყო.

II

იმ დღიდან დღიურის წერა შეეწყვიტე, და ჩემი მოთხრობა იმ სახით უნდა განვაგრძო, როგორც ხსოვნაში ჩამჩხა. ჩემი პოლიტიკური როლი, სხვათა შორის, შეიძლებოდა აქ დამთავრებულიყო. თუმცა ცენ-

ტრალურმა კომიტეტმა განაცხადა, ჩემს უფლებებს კომუნას გადავცე-
მო, მაგრამ კომიტეტი სხდომებს მაინც განაგრძობდა და საქმეში ერე-
ოდა. ამ გარემოებამ უამრავი კონფლიქტი წარმოშვა, რაშიც, უნდა
ვთქვა, მე არავითარი მონაწილეობა არ მიმიღია. როდესაც ცენტრალურ
კომიტეტის შემადგენლობის განახლება ზღებოდა ნაწილობრივი
გადარჩევით, ჩემს კანდიდატურას არ წამოვყენებდი ხოლმე, მე ვიყა-
ვი მიმაგრებული „ოფისიელთან“ და ნაციონალურ სტამბასთან, იქ ვმუ-
შაობდი. მერე, როდესაც სამოქალაქო ომი გაჩაღდა, მე და მორო სა-
ერთო ინფორმაციის კონტროლში გადავედი. მეცვა ნახევრადსამო-
ქალაქო, ნახევრადსამხედრო ფორმა. თუმცა მეტად სულელური, უც-
ნაური ტანისამოსი იყო, მაგრამ თავს მაინც ამაყად ვგრძნობდი ამ ტან-
საცმელში, თავზე მეხურა მამლის კალმით გაწყობილი ფეტრის ქუდი.
ნაციონალ-გვარდიელის ზალათი, მონადირის შარვალი და ჩექმები მეც-
ვა. თავისუფალ დროს ცხენოსნობის შესასწავლად ყაზარმის ეზოში
დავდიოდი. ბეკერმა კი თავისი თავი დომბროვსკის გენერალურ შტაბში
დაანიშნინა.

სამოქალაქო ომი დაიწყო და პირველი ყუმბარები კურბევუს ყა-
ზარმებსა და ნეის ავენიუს დაეცა. ყუმბარების დაშენა განახლდა! ისევ
აღყა! მონ-ვალერიანიდან სროლის ზმა კვლავ აღწევდა ჩვენამდე. ისევ
დაიწყეს თავდასხმაზე ლაპარაკი. კვლავ უნდა შევჩვეოდით იმას, რომ
აღყა შემოგვარტყეს, დაგვამწყვდიეს, რომ გვახრჩობდნენ. ბარიკადე-
ბი უნდა აღგვედგინა... მაგრამ ახლა კი ყველაფერი დამთავრდება: ამ
დღეს მე გავყევი ბრბოს, ქალებს, თავშეუკავებელ სრბოლას, რომელიც
ჰაიოს ჭიშკართან და ტერნთან მიიჭრა და რომელმაც იქ მიათრია ზარ-
ბაზნები, თან შიიტანა ორმოცდაათი ათასი ადამიანის სასოწარკვეთი-
ლება და მძვინვარება. ქალები ბუნდოვნად იგონებდნენ ასი წლის
წინათ მომხდარ ამბებს და ყვიროდნენ: „ვერსალისკენ“. პირდაღებულ-
ნი, შიშველ ხელებს იწვდიდნენ, შურისძიების ქალღმერთებივით მიდი-
ოდნენ. ჩვენ შორს არ წავსულვართ.

სალამოს ბრბოს მრისხანება ჩაქრა, სევდად იქცა. შემდგომ დღეებ-
ში უნდა მისჩვეოდნენ არა მხოლოდ აკვიტებულ თავდასხმებს, არამედ
თავიანთ დამარცხებებსაც. პირველი თავდასხმა საშინელი მარცხით
დამთავრდა: ფლურენსი და დიუვალი მაშინ დაიღუპნენ..

მაგრამ ბუნდოვანი და საუცხოო ომები ჩემს გულში მაინც ღვი-
ოდა. როგორღაც გაბრუებულივით ვიყავი, ყუმბარების სროლაში მოკ-
ხვდებოდი თუ სამხედრო სამინისტროს კანცელარიაში ვმუშაობდი,
სრულიად ველარ ვამჩნევდი დღისა და ღამის საზღვარს. კანცელარიის

ფანჯარა სკვერში გადიოდა, სადაც სენ-კლოტილდას საყდრის აშენება ახლახან დაამთავრეს. ჭერ კიდევ მეჩხერ ფოთლებს შორის მოჩანდა სულ ახალი, ნორჩი საყდარი, არაჩვეულებრივი სოფლის საყდარი, მინდვრის საყდარი, უცნაური სოფლის კულტის ტაძარი. ჩემ გარშემო რომ შეუწყვეტელი ხმაურობა იყო, ომის აურზაური, გაუთავებელი კამათი, დაბნეულობა, ვნებათაღელვა, მე თვალს მივაპყრობდი ხოლმე ამ თეთრ შენობას და მარი-როზზე ვფიქრობდი.

იგი ახლდა იყო. მოწყალების დად მუშაობდა ოცდახუთსაწოლიან ლაზარეთში, რომელიც მეშვიდე მერიის რაიონში მოაწყვეს. ზოგჯერ შეეფვლიდი ხოლმე მის სანახავად. ლაზარეთშიც მღელვარება იყო და იგივე დღე-ღამის განურჩევლობა. მაგრამ რა დროსაც უნდა მივსულიყავი, მარი-როზი ყოველთვის ერთნაირად ნაზი და მშვიდი იყო, რადაცნაირად უვნებო და გულჩათბობილი, რაც მისი პატარა დისწულის უმანკობას მაგონებდა. მარი-როზმა იცოდა, დაკრილებისათვის რა უნდა ეთქვა, ექიმებს როგორ დამორჩილებოდა. სწრაფად ხედებოდა, ავადმყოფებს რა სჭირდებოდათ, ექიმები რა განკარგულებებს იძლეოდნენ. ყველაფერს ისე უბრალოდ, ბუნებრივი სიმტკიცით ასრულებდა, თითქოს თავის სიცოცხლეში ამ საქმის მეტი არაფერი უკეთებიო. ხან ისეთი მდგომარეობა შეიქმნებოდა, რომ ლაზარეთში ტევა აღარ იყო. საკაცეებით იმდენი უპკრილი მოჰყავდათ, რომ მათი მოთავსება არ ხერხდებოდა. ისინი იგინებოდნენ, ღრიალებდნენ, ექიმებო შიღებაზე უარს ეუბნებოდნენ. ადგილი აღარ იყო. მაგრამ აბურძგნული ამხანაგები, თმაგაწეწილი ქალები, დაკრილებს რომ ახლდნენ, პროტესტს აცხადებდნენ, იხვეწებოდნენ, უკვე მრავალი ლაზარეთი და ჰოსპიტალი ჩამოვევლოთ. ქალები დაკრილებს ხელს ჰკიდებდნენ, შუბლსა და ტუჩებს უწმენდნენ. მარი-როზი მოვიდოდა და საქმეს მოაგვარებდა, მოიძებნებოდა, გამოინახებოდა დამატებითი ლეიბი და თავისუფალი კუთხე კანცელარიაში. არევიდარევა მიწყნარდებოდა. მერე ქალების დამშვიდება იყო საჭირო, ტკბილი სიტყვით გასტუმრება, და მე გავიგონე ყველა საალერსო სიტყვა, რომელიც მარი-როზს სცოდნია, რომელიც მის არსებაში თვლემდა, მდუმარე ღიმილს ამოფარებულა.

ერთხელ ლაზარეთის დასათვალიერებლად მოსულ ლუიზ მიშელს შევხვდი. იგი კომუნის ყველა ლაზარეთში დადიოდა და დაკრილებს ანუგეშებდა. სახეზე მოჰყვნოდა ჩაუქრობელი, მერმისით მთვრალი ღიმილი. ლუიზ მიშელს მოკლე შეკრებილი თმა ჰქონდა და თავისუფალ მსროლელთა ფეტრის ქუდი ეხურა. ქუდქვეშ დიდი შუბლა მოუ-

ჩანდა, მღარე ხარისხის ბეწვეულის პელერინი და ჯარისკაცის უბეშო ჩექმები ეცვა. მე თვალს არ ვაშორებდი ამ არსებას, რომელსაც ასეთი დიდი ქული და უცნაური გარეგნობა ჰქონდა. მან ჯერ მარი-როზს აკოცა, მერე წითელშარფიან მოწყალეების დობილებს, რომლებიც წინათ მონაზვნები იყვნენ, მაგრამ მათ სამონაზვნო ტანსაცმელი გაახდენინეს და პირსაბურთი ჩამოხსნეს.

— აბა, მოქალაქენო. — ჰკითხა მათ ლუიზმა. — დაპრილები ხომ არ გაწუხებენ? ხომ კვიანად იქცევიან?

საწყალი ქალიშვილები გულკეთილად, დაბნეულად იღიმებოდნენ. ლუიზმა სიყვარულით მიიღბინა საწოლებთან, დაპრილებთან დაიხარა და ანბანი გამოჰკითხა. სიშმაგითა და სიბრალულით შეპყრობილმა ჩაიარა და წახელის წინ მოგვადგა:

— ევრსალიდან ცნობები მაქვს. ვულგატეხილი არიან, მათს ბიულეტენებში. სიცრულს გარდა, არაფერია. ნარბონსა და ტულუზაში კომუნის გამოაცხადეს. თქვენ ეს იცოდით? დიახ, ნარბონშიც! რას ამბობთ? ლიონში ყველაფერი გათავდა? რა იცით? გათავდა, ამით რის თქმა გინდათ, გათავდა?

მარი-როზი ორჯერ თვატრში წავიყვანე: ერთხელ ფრანგულ კომედიაში. დაპრილების სასარგებლოდ გამართულ განსაკუთრებულ წარმოდგენაზე, მეორეჯერ — ოპერაში, კონცერტზე, სადაც მთავარ სასიყვარულო ნომრებს შორის მიშომ „მარსელიოზა“, „ბადენგეტი“ და „ქარგი ბიტი“ იმღერა. კონცერტის შემდეგ ბულვარში გავისეირნეთ. ყავახანების ტერასებზე გაზეთის გამყიდველები ყვიროდნენ: „ვანეერ“, „აფრაქსი“: თავი მუსიკით მქონდა გაქეპილი, არც დაღლილობას, არც უძილობას არა ვგრძნობდი. მე ვკითხე მარი-როზს:

— რომელ საათზე უნდა დაბრუნდეთ ლაზარეთში?

— ექვს საათზე, — მიბასუხა მან.

— მთელი ღამე გვაქვს წინ. ძილი გინდათ?

ძილის სურვილი არა ჰქონდა. ისეთ საუცხოო წუთებს განვიცდიდით, ისეთი თბილი ღამეები იყო, რომ დაძინება სიგიჟე იქნებოდა.

— როდესაც ყველაფერი ეს დამთავრდება, ჩვენ ძილს გადაჩვეული ვიქნებით.

— როდის იქნება. რომ ყველაფერი გათავდეს? — მკითხა მარი-როზმა.

— როდესაც სამოქალაქო ომი დასრულდება, ევრსალს გაეანადგუ-

რებთ და თავისუფალ კომუნათა ფედერაციას მოვაწყობთ. მაშინ ისევ ძილს შევეუდგებით.

— მაგრამ...

— მაი-როს, რისა გეშინიათ?

— პროვინციიდან ცუდი ამბები მოდის; საკმარისი არ არის, რომ მხოლოდ პარიზი იყოს თავისუფალი; საჭიროა სხვაგანაც, ყველგან, თავისუფალი ცხოვრება იქნას. სისულელეს ხომ არ ვლაპარაკობ?

— არა, ჩემო ძვირფასო, — ვუთხარი, — ეს სისულელე არ არის, მაგრამ ფიქრებმა ასე შორს არ უნდა გაგვიტაცოს. უნდა ვიბრძოლოთ ყოველდღე, ყოველ წუთს და თავი უნდა დავირწმუნოთ, რომ ამით შეუძლებელია რაიმეს არ მივადწიოთ.

ახლა, როდესაც ამ მოგონებებს ვწერ და ქვეყანა დამშვიდებულია, მაგრამ რა დამშვიდება! უმჯობესია ასე ვთქვათ, ახლა, როდესაც ქვეყანა ომში აღარ არის და მხოლოდ დამარცხებულნი იბრძვიან იმ ფაქტის გამო. რომ ისინი დაპარცხდნენ, თავს ვეკითხები, თუ შესძლებს ვინმე, ოდესმე წარმოიდგინოს, რა იყო ალყაშემორტყმულ და ბომბარდირებულ პარიზში ცხოვრება, სადაც ცხოვრება იყო უაზრო, უანგარო, ზღაპრული, გაურკვეველი! არავინ არაფერს არ კითხულობდა, არავითარ პრინციპებზე აღარ დაობდა. ყველა ამ ტრაგედიას და ყოველდღიურ ოროტორიას შეეპყრო. მხოლოდ ყოველი დღის ბოლოს ძეგონა, რომ საუცხოო განთიადი დაგვიდგებოდა, რატომ? — არ ვიცო. მაგრამ ეს იმიტომ უნდა მომხდარიყო, რომ დღევანდელი დღე იყო სისხლიანი და საშინელი. განთიადი, რომელიც უეცრად მთელ სამყაროს ცეცხლად მოედებოდა. განთიადი დაიწყებოდა დანგრეული გამზირების ბოლოში, მაიოს კარებთან, ბულონის ტყის პირას, ან სენისკენ, ცის დასალიერს, უსაზღვრო სივრცეში, რომლისთვისაც კარგად დაურქმევიათ „პუენ დიუ ჟურ“.¹ ჩვენ მოწყვეტილი ვიყავით მთელ სამყაროს, მაგრამ სამყაროს ბედი გვათამაშებდა. რამდენადაც უფრო მიტოვებულად ვგრძნობდით თავს, მით უფრო აღგზნებით ვიბრძოდით, იმედით ვივსებოდით და გამარჯვებას მით უფრო ახლოს ვგრძნობდით, რამდენადაც იგი შეუძლებელი ხდებოდა.

ოჰ! როგორ ვცხოვრობდით! რა დარბაისილობას ვიჩენდით ყოველ ჩვენს მოქმედებაში! რა სისწრაფითა და დაუსრეტელი ენერგიით მუშაობდა ჩვენი ადმინისტრაციული და სამხედრო ორგანიზაცია! ადამიანთა ურთიერთობაში რა უხეში გულითადობა იყო, ბრძანებები, საყ-

¹ განთიადი.

ვედურები, ლანძღვა-გინება, მითქმა-მოთქმა! რა უსაზღვროდ ვითგრებოდი ჩვენი შესვენებით, ასეთივე თრობა იყო ისიც, ამ უძილო ღამეში მარი-როზთან მკლავში ხელგაყრილი რომ განვიცდიდი. ცეცხლის ენები ცეკვავენ თვალწინ: განა ეს იყო ოპერის სინათლის ანარეკლი, სადაც ეს-ეს არის მუსიკით დავტყობთ, ან ანარეკლი ცისა, რომელიც ყუმბარებისა და ხანძარებისაგან დღე და ღამე სულ ელვარებდა? განა ეს იყო ჩვენი ცა, რომელიც გვიშუქებდა ღამისთევასა და ოცნებას? მარი-როზის ხელს ხელი მოვუჭირე და მაჯის ზემოთ მსუბუქი მოსასხამის სახელოში მოვუალერსე.

— როდის დავექორწინდეთ? — გკითხე უეცრად.

ნხრები აჩეჩა. ვაკვირვებულმა შევხედე:

— არ გინდა?

— მართლა, — თქვა მარი-როზმა, — ახლა ჩვენ შეგვეძლო დავექორწინებულყავით. არაფერი ხელს არ გვიშლის. — მის ხმაში წყენა იმ-მოდა და მე ნაზად ვუთხარი:

— შენ ფიქრობ, რადგან ახლა დაქორწინება შეგვიძლია, ეს საჭირო აღარ არის. როდესაც ეს ჩვენ არ შეგვეძლო, მე მაშინაც მინდოდა, რომ დავექორწინებულყავით. მე ეს მინდოდა, და შენ იცი, რომ გულწრფელი ვიყავი და ვფიცავ, რომ დავექორწინდებოდით. მაგრამ როდესაც არაფერი გვიშლის, ამიტომ ნუღარ დაექორწინდებით.

— ოჰ! — წამოიძახა მარი-როზმა და ხელი წამართვა. — ყველაფერი ეს ძალიან რთული ამბავია. ამას რატომ მეუბნები? ხომ გიყვარვარ? მხოლოდ ეს არის მნიშვნელოვანი! მე...

— მიყვარხარ, მარი-როზ, როგორ შეგიძლია...

— მე ანგარიშში მისაღები არა ვარ, — თქვა მან. — მე ანგარიშში მისაღები არა ვარ, მაგრამ თუ დარწმუნებული ვარ, რომ გიყვარვარ, მაშინ იცოდე, დავექორწინდებით, თუ არა, სულერთია, ყველაფერს შეგისრულებ, რასაც მოისურვებ.

მადლენას საყდრის ვალავანს მიეყვებოდით, ჩვენ გარშემო იშვიათად თუ ვინმე მგზავრის ჩრდილი ჩაივლიდა. მარი-როზს წელზე ხილი მოვხვიე და ვუთხარი:

— მარი-როზ, მიყვარხარ და მინდა, რომ ჩემი გახდე, ჩემი ცოლი სამუდამოდ, გვიყვარდეს ერთმანეთი, მარი-როზ. ქვეყანა ინგრევა და თავის გადარჩენას ცდილობს: ჩვენც ამ ხნის განმავლობაში უნდა გვიყვარდეს ერთმანეთი, რომ მასთან ერთად დავიღუპოთ ან თავი გადავირჩინოთ. მაგრამ მე და შენ, მარი-როზ, ერთად უნდა ვიყოთ...

მთელი ძალით მკერდზე მივიკარ, ტუჩებზე ვუკბინე. მარი-როზი სუსტდებოდა. მე ვუთხარი:

—სად? სად გინდა წაივლი?—ვეკითხებოდი,—შენთან, ჩემთან, თუ სულ ერთია სად, პარიზში? ჩვენს ხელთ არის მთელი ღამე ხუთ საათამდე: გინდა წამოხვიდე ჩემს ოთახში, იქ, სადაც მთელი ჩემი ახალგაზრდობა გავატარე, როდესაც ასე მარტო, ასე უცხო ვიყავი ყველასთვის. შენ იქ არასოდეს ყოფილხარ. შენ ჩემს ლამპარს არ იცნობ. არ იცი, ჩემი ფანჯრისა რას ეუცქერდი და რა მანუგეშებდა: ეს ოთახი არის მთელი ჩემი წარსული, რომელსაც განდევნი იქიდან, და შენ დამკვიდრდები, ამიერიდან შენ გარდა იქ არავინ იქნება.

პარი-როზი რუაილის ქუჩით კონკორდის მოედნისკენ წავიყვანე. მონღოლით გადაწვეული, გვერდ სიტყვებს ჩაფურჩულელები, იგი მისმენდა და მშვიდი თვალებით შემოკვიტებოდა, მაგრამ ვერძნობდი, რომ მოლოდინისაგან მთელი სხეული უცაბეცადად და ჩემი სიყვარულისკენ მოაღებოდა. კონკორდის მოედანზე დავისვენეთ. იგი უფრო ჩაბნელებული იყო, ვიდრე ოდესმე. მისი უსულო უზარმაზარი ქანდაკებანი შავ რკინეს დაეფარა. გადავიარეთ ხის ხიდეები და დაგროვილი ქვები, რომლებზეც ჩვენს სიარულში იბნებოდა. უზარმაზარი სიმაგრე, სენ-ფლორენტიანის კუთხეში რომ აშენებდნენ. შერე გავყევით რივოლის ქუჩის თავს. აგრეთვე უზარმაზრად უდაბურად რომ მოგვეჩვენა. შორს ცხენოსანი პატრული დავინახეთ. ამ ქუჩას გადადიოდა, მათი იარაღი ბრწყინავდა. ჩვენ თითქმის გავბოდიშეთ. უაზრო სიტყვებს ვამბობდა. რაც კი უსაზღვრო და თავისუფალი შეეძლო შეექმნა ღამეს, დროსა და დაქანცულობას, ყველაფერს პარი-როზს ვთავაზობდი, აღვუთქვამდი შა და ეს ჩემი სურვილის დედაობად იქცეოდა. მარი-როზის ხსოვნას ვაძნებდი ახალი შთაბეჭდილებებით. ეს განუმეორებელი ღამე ამიერიდან მისი ცხოვრებიდან არ ამოიშლებოდა, საუკუნოდ მის სისხლ-ხორციში ინახებოდა.

ვერე-დიუ-ტამპლის ქუჩას რომ ვუახლოვდებოდი, ქალაქის თვითმმართველობის წინ ცხარედ მოკამათე ადამიანთა ჯგუფები შეენიშნეთ. ქუჩა გადავკვირეთ და ხალხს შევუერთდით. კომუნაში პიასა და ვერმორელს შორის სასტიკი შეტაკება მომხდარიყო. მწვავედ კამათობდნენ. ერთი ჯგუფი პიას უქერდა მხარს. მეორე კი — ვერმორელს. „თვით კომუნაში არიან ჯაშუშები! — ყვიროდა ვიღაც გაცოფებული და გრძელ, ზმულ ხელს იქნევდა. — რას აკეთებს საზოგადოებრივი ხსნის კომიტეტი? — შერე ხმა გავრცელდა, რომ ისის მანლობლად ეს-ეს არის მოულოდნელად თავს დაგვესხნენ, ორმოცდაათ კომუნარს ყელი გამოსჭირეს და ოცი ზარბაზანი წაგვართვესო. „არა, ხუთი!“ — დაიძახა ვიღაცამ.

— რას შერება დომბროვსკი? — ღრიალებდა გაცოფებული ადამიანი. — საღ არის დომბროვსკი? მის დახვრეტას რას აყოვნებენ?

— აბა, წავიდეთ! — უთხრა მას ერთმა ქალმა და სახელოში ხელი ჩაავლო.

— ეს ძალიან ცუდი ამბავია, — მიუხრა ხმადაბლა მარი-როზმა.

— არაფერია, — ვუბასუხე ცხარედ. — რა მოხდება, წინასწარ ვერ მივხვდებით, ამ ამბებში ვერ გავერკვევით. ქვეყანა მუდამ ახალია.

— როგორც ჩვენი სიყვარული. — ჩაიბუტბუტა ჩემს ტუჩებთან.

უკან დავბრუნდით. ჩვენ წინ ღამე, მიყრუებული ქუჩა, სურნელოვანი პაერი გაიშალა, უცბად სურვილმა შემიაყრო, კვლავ მენახა ოტელ-დე-ვილის ქუჩა, სადაც ბავშვობა გავატარე და მერე არასოდეს ვყოფილვარ. მარი-როზი ამ ჭეშისკენ წავიყვანე. ჩვენ ლობოს ყაზარმას, სენ-ეერეეს მაღალ საფეხურებს წინ ჩავუარეთ. შემდეგ საცოდავმა, ჩაბნელებულმა, გაპრიანებულმა გეტომ ჩაგვიგდო ხელში. ლაქების პატარა სახელოსნოში ახლა ფეხსაცმლის სახელოსნო მოეწყოთ. მისი დარბები დაეხურათ: შეიძლება ეს ჩემ პირდაპირ მცხოვრები ფეხსაცმლის მკერავი, ჩემი ძველი მეგობარი, ყორანი არის. მან თუ მიატოვა თავისი ოთახი და ამ სახელოსნოში გადამოვიდა, თავისი ზღაპრული ოცნება განახორციელა. მიხვეულ-მოხვეულ ქუჩაში ჩვენი ფეხის ხმა ისმოდა. აქედან ოტელ-დე-სანთან გავედით, რომელიც ტიტველი კედლის ბოლოში იყო. გამოჩნდა სენა, ილსენ-ლუის სანაპირო და ვარსკვლავებით მოჭედილი, უსაზღვრო ღამე.

— მე, მგონი, აქ არასოდეს არა ვყოფილვარ, — ჩაიბუტბუტა მარი-როზმა.

— აქ უცნაური ქვეყანაა, — ვუთხარი მას. — მე აქ დავიბადე, ოდესღაც კარგად ვიცნობდი ამ კუთხეს. აი, რა! — დაუშინებლად და მხრები ავიჩეჩე.

— რატომ თქვა: აი, რა?

— იმიტომ... იმიტომ, რომ შენ მიყვარხარ. კარგად დამიგდე ყური: როდესაც მე ამ უბანში ვცხოვრობდი, პატარა ბიჭი ვიყავი და შენ ამ დროს პატარა გოგონა იყავი შენს უბანში. უეჭველია, ჩვენ უკვე მაშინ ვიყავით ერთიმეორის დანიშნული. მაგრამ ეს რას ნიშნავს? არა, ჩვენ ერთმანეთის დანიშნული არ ვიყავით. პრინცებს ნიშნავენ აკვანში, მაგრამ ჩვენ ხომ პრინცები არ ვიყავით? ჩვენ არაფერი ვიყავით. ჩვენ ახლა ვართ რაღაც, შენ მარი-როზი ხარ და მე მამაკაცი, რომელსაც უყ-

ვარზარ: აღარ არის წარსული. გავიქცეთ ამ ქაობიანი ადგილიდან. ჩვენ ვკარგავთ ჩვენი ცხოვრების ყველაზე უმშვენიერეს წუთებს.

მარი-როზი გარშემო იხედებოდა, მე კი ყურადღებით მის სახეს გვერდიდან ვუცქერდი. სენის მოაჯირს მივუახლოვდით და მდინარისაკენ დაბრუნდით რამდენაქე წავს შევჩერდით. მძივე და ქონიანი სენს მიიზღაბნებოდა. წყლის ზედაპირი ღამის მკრთალ სინათლეზე ციმციმებდა. ჩვენ ზემოთ მხოლოდ ქუჩის ჩაქჩქალი ფარნის მინები ისროდა შუქს, შორეული სიჩუქე მეფობდა, რომელიც ჩვენს წარსულის წიაღიდან მოიღვტოდა. შიშის თრთოლვამ ამიტანა, მარი-როზს ხელი ვტაცე და გავიქორე:

— გავიქცეთ... წავიდეთ, წავიდეთ მალე...

მარი-როზი თან გავიტაცე, ქალაქის თვითმმართველობის წინ დაგროვილ ხალხთან არ შევჩერებულვართ, ვიეი-დიუ-ტამპლის ქუჩაზე გავედით. იქაც, ცარიელ ეზოში, კვლავ ვიპოვნე წარსული ამბებით დამძიმებული საკუთარი თავი. მაგრამ მისი ცნობა აღარ მოვისურვე. ჰაერში ვგოქნობდი ლაქების სუნს, ალქიმიის კეთილსურნელებას, რომელიც დაბადებიდანვე არ მეშვებოდა. ამ სუნის გასაფანტავად ხელი გავიქნიე. მარი-როზს წელზე მკლავი მაგრად მოვხვიე და ჩემს საკუქნაოში წავიყვანე. ლამა ავანთე.

— მაშ, აქ ცხოვრობ, და შენ აქ ცხოვრობდი?

— დიახ, — ვუპასუხე, — აქ. მაგრამ სულეერთი არ არის? მე მხოლოდ ერთი რამ მინდა ვიცოდე: აი, აქ გვეყვარება ერთმანეთი. შემოდი, დაჯექ მარი-როზ, დაათვალიერე, დაათვალიერე ყველგან. ახლა აქ შენ ცხოვრობ. მე შენთანა ვარ.

იგი საწოლის კიდეზე ჩამოჯდა, მე კი მის წინ მუხლებზე დავიჩოქე, ფეხებზე ხელები მოვხვიე და თავი კალთაში ჩავუდე. იგი მორცხვად მიაღერებდა თმაზე, თვალებზე, ლოყებზე. მისი თითები თავისუფლად მობიბინე სიოზე მსუბუქი იყო.

— ცხელა, — ჩაიბუტბუტა.

— თუ გინდა, ფანჯარას გავაღებ?

— მინდა... და ლამა ჩააქრე.

— ველარ დაგინახავ. — ვუთხარი და მის მშვიდ სახეს მივაჩერდი, მისი წყლიანი თვალები წმინდა და გაკვირვებული მომჩვენა.

— თუ ფანჯარა ღია იქნება, საკმარისად დამინახავ.

ფანჯრის გასაღებად ავდექი. მაგრამ, საუბრის ძაფი რომ არ გამეწყვიტა, ვიმეორებდი:

— მარი-როზ, გიყვარვარ? გიყვარვარ, მარი-როზ? მე შენ გაღმერთებ.

ლაშა ჩავაქრე და მარი-როზთან დავბრუნდი. ჩემი ოთახის სიღრმეში იგი მხოლოდ აჩრდილს წარმოადგენდა, მაგრამ ისეთ აჩრდილს, რომელშიც ღამისა და ზაფხულის მთელი ძალა დაგროვილიყო, სულ ახლოს ვუცქერდი მის სახეს, მის სუნთქვას ვისუნთქავდი. ჩემი ტურები აკვდებოდნენ მის ლოყებს, ბაგეთა კუთხეს, ჩემს კოცნას ვაბნევდი მის ყელზე, წყლიან თვალებზე, ვეკონებოდი მას ტურებს, კბილებს, მის მთრთლვარე ენას, მკერდში ვიხუტებდი და ისე ვარწევდი, როგორც სხეულს, რომელთანაც ერთად მზადა ხარ უსასრულობაში გადაეშვა. ლოგიაზე წავაქცე. თითებში ვბლართავდი მისი თმის ქარიშხალს, ხელეებით ვეხებოდი მთელ მის ტანს, ტანისამოსის სათბოს ქვეშ ვგრძნობდი სხეულის სიბოხს, თავბრუდამხვევი ვნებით შეპყრობილი ვეხებოდი ატლასის კორსაჯს, ტილოს ქვედატანს, გახამებულ თეთრეულს, ვგლეჯდი ღილებსა და ნასკევებს, მესმოდა შესაკრავების ხმელი ტკაცანი და ბოლოს მოწყურებული თითების წვერები დასრიალებდნენ ცოცხალი სხეულის ნაწილებზე, რომლებიც უეცრად მისხლტებოდნენ ან მნებდებოდნენ, კატის მაგნიტური თრთოლვა ჰქონდათ. ლოყებით ერთმანეთს ვეკვროდი, დანაპული შუბლით ერთმანეთს ვეხებოდი და ხანვევრადპირდაღებულნი ერთიმეორის სუნთქვას ვიჭერდი. მე ვლულლულედი:

— რა სურნელება აქვს შენს ტანს! მხოლოდ შენ გაქვს ასეთი სურნელება... მოიცილე ყველაფერი ეს...

სულს ძლივს ვითქვამდი და ვისროდი ოთახის შუაგულში მის კორსაჯს, როგორც თეთრ ფრინველს; ყელიან წინდებს, ქვედატანს. ფანჯრიდან ღამის ნიავე იჭროდა და სიცილით გვიალერსებდა. მალე გატიტვლებულნი ერთმანეთს ვეხვეოდით ჩემი ახალგაზრდობის ოთახის სიღრმეში და ჩვენ დავივიწყეთ ის საათი, რომელიც ერთმანეთს დავვაშორებდა, ზარბაზანი და ცეცხლი, გარშემო რომ გვერტყა. დრო და სიკვდილი აღარ არსებობდა. მე ვიქცეოდი იმ სულწასულ მოსეირნესავით, რომელიც რამდენადაც თანდათანობით მთაზე მალა აღის, იმდენად სულ ახალსა და ახალს ნახულობს ნაცნობ პეიზაჟში, მაგრამ იგი მთელი თავისი არსებით განსაკუთრებით იმ პეიზაჟისაკენ მიისწრაფვის, რომელსაც მთის გადაღმა ნახავს. როდესაც მწვერვალს მიაღწევს, მაშინ მოსეირნე დაჯილდოებული იქნება ერთიანად ახალი სინათლითა და ბედნიერებით მბრწყინავი ქვეყნის ბილით. ამ ღამის მშვენიერებით მოხიბლული მეც ასე მივისწრაფოდი წინ და მოველოდი, რომ მა-

რი-როზის ტანი, ოზვრა, კოცნა და აღსარება უფრო და უფრო თვალისმომკრელი აღმოჩენით დამაჯილდოებდა. ეს აღმოჩენა ხან მიღასტურებდა მხოლოდ უკვე ჩემ მიერ ნახულს მისი სხეულისა და სულის მშვენიერებას, ხან, პირიქით, ეს მოულოდნელი ნეტარება იყო, რომელიც ერთიანად ამაფორიაქებდა: არასოდეს ფიქრადაც კი არ გამივილია, რომ დედამიწაზე ასეთ მოულოდნელ ნეტარებას არსებობა შეეძლო.

„ეს ძეცისმეტია! — ეკვსსოდი მაშინ. — არ ვიცოდი, არ შემეძლო მცოდნობა, რომ ერთ დღეს, ჩემთან ახლოს იქნებოდი, ჩემკენ ყელს მოიღერებდი. მეტყობი იმას, რასაც აი ახლა მეუბნებოდი, მარი-როზ... ჩემო ძვირფასო ბავშვო, ჩემო სიყვარულო...“ მე არ შემეძლო მცოდნობა, რომ მისი ტანი ასეთი მოქნილი, მკვრივი, მოკზიბლავი და ღონიერი იქნებოდა. ეს სურვილს მიმძაფრებდა და წინასწარ მაგრძნობინებდა, სურვილის დაკმაყოფილების შემდეგაც, უფრო მხურვალე გავიძებას, უფრო წმინდა და აყვავებულ დილას. სიყვარულის ღაჟეში პატარა ღაჟეებია, რომლებიც ზღვის ნაპირივით იშლებიან და რომლებსაც მოსდევს აურაცხელი განახლებული დილა. მერე უცნაური მიბნედილი საღამოები და ათასი პატარა მარადისობა მარადისობის წილში. და ეს პატარა მარადისობანი უფრო ხანგრძლივი, უფრო მდიდარი და უსაზღვრო ჩანან, ვიდრე თვით მარადისობა, რომელსაც ეს მცირე მარადისობანი აღრმავებენ. ტრფობის ღამეს აქვს არა მხოლოდ საათები, არამედ წელიწადის ოთხი დროც, თავბრუდამხვევი სისწრაფით რომ მიჰქრიან. მწვანე გაზაფხულები, რომლებიც მისრიალებენ ერთმანეთის მაძიებელ ფეხთა გვერდით. ოქროს შემოდგომანი, რომელთაც, საცა არის, ფოთლები შემოეცლებათ და მთრთოლვარე ზამთარნი, როდესაც ზეწარში ეხვევი, რომ გრძელი ზამთრის თვეებში ჰპოვო მფარველობა სიკვდილივით მომაჯადოებელი გარინდების ჟამს. გიჟური ზაფხულები და მაისის თვეები იმალებოდნენ ვარდებსა და ამ მაისის თვის ცვართა შორის, სადაც ჩვენმა სიყვარულმა გაფურჩქვნა ისურვა. აქ იყო თვეები, კვირები, აღდგომისა და შობის დღესასწაულები, ადამიანთა სიცოცხლენი, თაობანი, საუკუნენი, რომლებიც ამსხვრევენ თასს და სიყვარულის მხოლოდ ერთი ღამით ცის კამარას ბზარავენ. შეუძლებელია ამ სასწაულის მიხვედრა, რომელსაც მამაკაცი და ქალი მხოლოდ ხვევნა-აღერსის უბრალოებით ახდენს.

- ღამის სინათლეზე მკრთალად მოჩანდა თმაში ჩაკარგული მარი-როზის სახე, სიამოვნების ცვლილებანი რაღაც უცნობსა და მიბნედილი იერს აძლევდნენ მის სახეს. ეს იდუმალი თავი ჩემი კოცნისაკენ დაცურდებოდა და მის ბავთავან ისმოდა სიტყვები, რომლებიც მსურდა

მესხიერებაში კარგად აღმბეჭდოდნენ და დიდხანს მერკვია ყოველივე, რასაც ეს სიტყვები მოულოდნელს შეიცავდნენ. მარი-როზი მთლიანად შორეულ სტიქიონიდან ამოვარდნილ არსებად მეჩვენებოდა. იგი ჩემს ქვეშ ცურავდა, ღამის ქარს ტანს აყოლებდა, და მისი თვალები, სურნელება, მისი ოხვრა, მისი ყველაფერი ჩემთვის აღმოჩენა იყო, როგორც თვით მარი-როზისათვის. ისიც ჩემსავით ლულულუღებდა: — ოჰ, არ ვიცოდი... ვერასოდეს წარმომედგინა, რომ ასე მოხდებოდა... რომ შენ აქ იქნებოდი, ერთ დღეს შენთან აქ ვიქნებოდი... ასეთი ღამე უადგებოდა...“ იმ წუთებში, როდესაც ვნება გვიცხრებოდა, ჩვენ გონს მოვიდოდით და ვამბობდით: „ეს მართალია... მართალი... ეს ხომ შენა ხარ ჩემთან? დიახ, სწორედ შენა ხარ...“ წამით რომელიმე ჩვენგანს ძილი მოიტაცებდა და უეცრად ათრთოლებული ერთმანეთს ვეუბნებოდით: „იცო, მეძინა? დიახ, ეს-ეს არის მეძინა, სხვაგან ვიყავი, მეგონა. და მეყვსეულად ვიგრძენი, რომ შენ აქ იყავი...“ რომელი საათია? მაშინ საპი საათი და ნახევარი იყო. ან ოთხ საათს ათი წუთი აკლდა. ერთი მარადისობა ღასრულდა, მეორე იწყებოდა, ჩვენ ვშრრდებოდით ნაპირს. სადაც ჩვენი ვნება გვაკავებდა. ოდნავი მოძრაობა და იშლებოდა ახალი სივრცე, სადაც ნელა დავსეირნობდით დინჯი ნაბიჯით, გაბედულად ვიცქირებოდით და ძვირფას მსხვერპლს უეცრად თავს ვესხმოლო. მივატოვებდი სხეულის ერთ ნაწილს, რომლის ყოველივე საიდუმლოება მეგონა ამოვწურე, და ჩემი ხელი წელისკენ მიცურავდა, უმშვენიერეს მუცელს ვეხებოდი და ისე ქორფა იყო იგი, ისე ამაღლვებლად მორჩილი... მე ვამბობდი: „მოდით... დიახ, აჰ, ასე ჭერ კიდევ საკმაოდ არ მიმიკრავხარ მკერდზე... ჭერ კიდევ არ მიგრძენია საკმაოდ, სანამდე მიყვარხარ...“ „შენა ხარ? — მეუბნებოდა. — მე კი რა ვარ შენი? შენი სატრფო ვარ? შეყვარებულები ვართ? ეს, მაშ, მართალია...“ მე ვეუბნებოდი:

— შენ ჩემი ცოლი ხარ, ცოლი თუ საყვარელი. რას ნიშნავს ეს? არაფერს, არაფერს არ ნიშნავს. მხოლოდ ერთი სიტყვა არის, რომელსაც მნიშვნელობა აქვს.

— ეს სიყვარულია, ხომ?

— დიახ, სიყვარული.

მარი-როზი იპეორებდა: „სიყვარული“... და მისი ხელები ყელზე მეხვეოდა, ჩემი ტუჩები აკვდებოდა ჩემკენ მსრბოლ სხეულს, რომელსაც ოდნავი შერხევა უფრო სურნელოვანს, უფრო სასურველს ხდიდა.

— იმოდრავე, — ვეუბნებოდი, — ამოდრავე ეს ხელი, ეს ფეხი, უფ-

რო ახლოს, უფრო მომიახლოვდი. რა საუცხოოა, რომ შენს სიცოცხლეს ვკარგობ.

ლოუას მკერდზე დავადებდი და მის გულისცემას ვუსმენდი.

— იყავი, იყავი ასე! — მეუბნებოდა იგა.

ათასნაირ უგუნურ რამეს ვიგონებდით.

— ჩვენ რომ ორივემ ასე დავიძინოთ და არასოდეს გავიღვიძოთ?

— ჩვენ რომ მღვიძარე ვიყოთ და არასოდეს დავიძინოთ?

გავიხსენებდით ჩვენი წარსულის უმნიშვნელო წვრილმანებს.

— იმ დღეს, — მეუბნებოდა, — როდესაც შენ ჩვენს სახლში მოდი, ცილი ხანია მას შემდეგ... მამაჩემი გავიდა სასადილო ოთახში, მხოლოდ ჩვენ დავრჩით... შენ არ ისურვე დარჩენა... — და იმ დღის ყოველივე წვრილმანი რომ მოიგონა, მკითხა:

— მაშინ უკვე გიყვარდი?

— რასაკვირველია, — ვუთხარი, — რადგან ახლა ჩვენ ერთმანეთი გვიყვარს.

— მაშინ შეიძლება ჩვენ ერთმანეთი გვიყვარებოდა, მაგრამ ეს კი არ მომხდარიყო

— მაშინ ეს სიყვარული არ იქნებოდა.

— არიან ისეთი ადამიანებიც, რომლებსაც ერთმანეთი უყვართ, მაგრამ თავიანთ სიყვარულს ვერ ახორციელებენ.

— ნუ ვაწუხებთ ამ საწყალ ადამიანებს. ჩვენ, ჩვენ განვახორციელებთ ჩვენი სიყვარული. მაშასადამე, ჩვენ ერთმანეთი ყოველთვის გვიყვარდა.

— მაშინაც კი, როდესაც ეს არ ვიცოდით. მაშინაც კი, როდესაც ჩვენ ერთმანეთს არ ვიცნობდით. ამაღამ ჩვენ ერთმანეთს იმიტომ ვეხუტებით, რომ, როდესაც გეუბნებოდი: „დღლა მშვიდობია, მარი-როზ!“ მე შენ უკვე მიყვარდი, მიყვარდი...“ ან მაშინ ჩვენ არ ვარსებობდით, არც შენ, არც მე და ერთი აჩრდილი ეუბნებოდა მეორე აჩრდილს: „გამარჯობა, მარი-როზ!“ მაგრამ მე მირჩევნია ვიფიქრო, რომ ჩვენ ვარსებობდით და ერთმანეთი გვიყვარდა.

— მეც ასე მირჩევნია ვიფიქრო.

განთიადი შეუძმჩნევლად მოიპარებოდა ოთახში. უეცრად ოდნავ ნესტიანი სიგრილე ვიგრძენით. ფანჯარა დაეხურე. მარი-როზის სახე უფრო გარკვევით მოჩანდა; ოთახში ნივთების ადგილმდებარეობასა და გაცვეთილი ავეჯის მოხაზულობას ვხედავდი. თვალს მტაცებდა მარი-როზის ტიტველი მხარი, ხელი, თითები, რომლებიც მინახავს მაშინ,

როდესაც მარი-როზი ჩემს წინ ტანჩაცმული იდგა. ახლა, ჩვეულებრივ სინამდვილეა რომ ეუბრუნდებოდი, მარი-როზი ჩემთვის უფრო ძვირფასი ზღებოდა. ამ ახალი ცნობებით რომ დამაჯილდოვა, მის მიპართ ზღობითა და მადლობით ვივსებოდი. ამიერიდან ვიცოდი, რომ შევძლებდი მის სიყვარულს შევჩვეოდი, იგი ჩემი ჩვეულებრივი ცხოვრების ყოველდღიურობის მონაწილე გაქვხადა, და მე ვეცდები, რომ მარი-როზმა დაუშრეტელი, მოულოდნელი სიხარული არ მომაკლოს...

— მარი-როზ... — ჩაიბუტბუტე.

ჩემი სახელი მანაც ჩაიბუტბუტა და მომეკრა.

— მარი-როზ, ეს შენა ხარ... — განვაგრძე ნახად, — შენა ხარ, რომელიც აი ახლა აქ იყავი. ეს შენა ხარ, რომელიც ჩემთან იყავი გუშინ საღამოს. ეს კიდეც შენა ხარ, აქ, ამ დილას: არ გამოცვლილხარ, არაფერი არ გამოცვლილა, ეს სულ მუდამ შენ იქნები. და მაშინაც. როდესაც მე აღარ მეცოდინება, რომ ეს შენა ხარ, ეს მაინც შენ იქნები.

— დარწმუნებული ხარ, რომ მე სწორედ იგივე ვარ? ხომ მცნობ?

— შეკარგები და ისევე გნახულობ: შენ მუდამ მარი-როზი ხარ, დიახ, გცნობ. და ისევე საუცხოოა შენი ნახვა. როგორც შენი დაკარგვა.

— თუ დამკარგავ, იცოდე, ისევე მომნახე.

მისი ხმა... მე კვლავ ვცნობილობდი მის ხმას, რომლის ყრუ ბგერა ღამის განმავლობაში მიქრა. დაიხშო, თითქოს იმიტომ, რომ ღამის ხმად იქცა. კვლავ ვხედავდი მის წყნარ, მტკიცე და ოდნავ ცივ გაპოზედვას; მეტად ახალგაზრდა სურვილს, რომელიც იმ გამოხედვისაგან დიდად განსხვავდებოდა. პოლოს ისევე ვიხილე სკამზე დაგდებული მისი ტანისამოსი, ერთი სახელი დაკმუჭვნილი. მეორე ჩამოკიდებული. ამ დროს კოშკის საათმა ხუთჯერ დარეკა. მერე ზარბაზნების შორეული სროლა მოისმა.

— ზარბაზანი. — ჩაიბუტბუტა მარი-როზმა.

ფანჯარასთან მივედი და ყური მივაპყარი, რომ გამეგო, საიდან მოდიოდა ხმა.

— მგონია, ისევე ისის მხრიდან არის. — ვთქვი მე.

საწოლთან დაებრუნდი. დავაკტერდი მარი-როზის სახეს, ტანთან გაწვდილ ხელებს. ალერსიანად შემომტკეროდა, თვალზე ცრემლი ადგებოდა.

— ღამე გათავდა, — თქვა მან.

— მშვენიერი ღამე...

— დიახ, მშვენიერი ღამე, — გაიმეორა.

თვალზე ცრემლი ნახად მოვწმინდე, მერე ტანზე ჩაცმა დაიწყო.

აპსობაში ზარბაზნის სროლა მატულობდა. მე კი სხვადასხვა ხმაზე ვიმეორებდი:

— მშვენიერი, მშვენიერი ღამე... ჰო, მშვენიერი ღამე, მარი-როზ. ჩემო მშვენიერო მარი-როზ...

— ასეთი მშვენიერი ღამეები ხომ კიდევ გვექნება? — მკითხა მან.

— გვექნება. მარი-როზ, ჩვენ ბედნიერები ვიქნებით!

— ნუთუ ეს შესაძლებელია?

— განა ისინი, რომელთაც ერთმანეთი უყვართ, ბედნიერები არ არიან?

— განა ნება აქვთ ბედნიერი იყვნენ?

— უნდა გამოგიტყდეს, რომ მაინცდამაინც კარგი ამბები არ არის, — ვთქვი და დავიღმიჭე.

— ნუ ხუმრობ, — მითხრა საყვედურით.

ტანჩაცმული ვიყავი. ისიც წამოდგა, ერთ წამს საწოლის კიდეზე ჩამოჯდა, სრულიად ტიტველი. მის წინ მუხლებზე დავეწვი.

— იქნება სხვა მშვენიერი ღამეები, — ვუთხარი. — მშვენიერი ღამეები კი იქნებიან? ეს არ ვიცი, მაგრამ კიდევ რამდენიმე ღამე გვრჩება, თუ კიდევ რამდენიმე ღამე დაგვრჩენია. ეჰ! კარგი! თავი ბედნიერად ჩაეთვალათ. შეიძლება ჩვენ მხოლოდ ღამისთვის ვართ გაჩენილნი.

მის ტანზე კვლავ ვიგრძენი ღამის უკანასკნელი სურნელება. მის სხეულზე უკანასკნელი კოცნა აღებეჭდე. მის გლუვ მუხლებს დილის სინათლე მოეფინა, თეძოების ქარვისფერ კანქვეშ ლურჯი ვენების მოძრაობა მოუჩანდა. წამოვდექი.

— განდა, დაბლა დაგიციდი, სანამ შენ ტანზე ჩაიცივამ? ეზოში ვიქნები.

ძირს ჩავედი და ღილის სიგრილეში კვლავ ვნახე ბარბიუშეს შუშის გალია, ეტლის ფარდული, მშვიდი საჩინბო, ცარიელი ბინის ფანჯრები, ფრონტონის ფერმკრთალი ქალღმერთი. მეკარემ, რომელსაც პერანგზე არაფერი გადაეცვა, სადარაჯოს კარი გამოაღო.

— ეტყობა ვანეში სიცხე ადგიათ, — მითხრა მან, — მაგრამ უმკლავდებიან.

ამ დროს მარი-როზი გამოჩნდა, სახეგაწითლებული, მეკარეს ვუთხარი:

— აი, ჩემი ცოლი, მოქალაქე.

მოგვილოცა და ყავაზე დაგვპატიყა. ჯარის შესაკრებად საყვირს სცემდნენ ქუჩაში. სადარაჯო ოთახში მეზობელი შემოვიდა. ეს იყო „დაკარგული ბავშვი“ ედის რაზმიდან, მამლის ფრთით შემკობილი, გა-

ტიბალდული ქული ეხურა, მუქი მწვანე მუნდირი და მწვანე ზუავური შარვალი ეცვა, თეთრი ტყავის გეტრებში ჩატანებული.

— ჩვენ ერთი სანგარიც არ დაგვიკარგავს, — გვითხრა მან. — თუცა, ქირმა წააღოს მათი თავი, ყუმბარებმა არ ზოგავენ.

— შენ ისევ დაბრუნდები? — ჰკითხა მექარემ.

— საჭიროა, — უბასუხა მეზობელმა, — მხდალნი საკმაოდ აღმოჩნდნენ. ამბობენ ასორმოცდამეთხეს საბრძოლველად გასვლა არა სურსო.

ჩვენ, მე და მარი-როზი, მკლავში ხელგაყრილნი ქუჩაში გავედით. ეს მწვანე ცეცხლის ალები მოსდებოდა, ჰაერში თბილად იძვროდა და ადამიანს ბეჯინებების სურვილი აღეძვროდა.

— მშვენიერი დღე იქნება, — ჩავიბუტბუტე და მარი-როზი მკერდზე მივიკარი.

სანვრძლივი კოცნის შემდეგ იგი ჰოსპიტალში დავტოვე და სამონისტროს მივაშურე. სამხედრო დელეგატად ახალღანიმნული როსელის კაბინეტში წვედი. წვრილი კაცი იყო. კრაველშოკოლებული კურტაკი ტანზე შემოსტეული ჰქონდა. პენსიდან ძისი თვალები გამგმირავად იტკირებოდა, ტუჩებზე უღვაშები დაშვებოდა. უსიტყვოდ შემომხედა. მერე ისევ ეჭრნალის კითხვას შეუდგა, ხელში რომ ეკიარა.

— გათარგობა, შოქალაქე დელეგატო: — ეუთხარი. მან თავი დამიკარა.

— ეს ვერაღის გაზეთებია? უკვე მიიღეთ?

თავალი გადაუავლე ეროვნული კრების სხდომის ანგარიშებს, კანონპროექტს, რომლის ძალითაც მატერიალისტები და ათეისტები ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს წინაშე უნდა წაპუგარიყვნენ, ფრანცისკ სარსეის ყბედობას „სამფეროვან დროშაში“. ეს ბილწი ადამიანი თავს იხუფეშებდა იმით, რომ ის, განდევნილი, პრუსიელებთან იმყოფებოდა, „ამ პატიოსან ხალხთან, რომელსაც ცილი დაწამეს“. სარსეის ისინი მოწინავე პოზიციებზე უნახავს და მათი გულკეთილობით ტკებოდა. მათს „ქა“-ს ალტაცებით უსმენდა.

„ვერ წარმოიდგენთ, რამდენ რამეს ზეიცავს „ქა“. თითქოს ეს ამბობს: დიახ, საბრალო ფრანგო, ჩვენ აქა ვართ, ნულარაფრის გეშინია; ციხეში აღარ ჩაგსვამენ, შენ გექნება უფლება გაიარ-გამოიარო; შენ ველარ გაიძულებენ წაიკითხო ყულ ვალესის ლაყბობა ან ვოდველისტ რომფორის სისხლიანი პასკვილები, შენ თავსუფალ ქვეყანაში ხარ, „ქა.“ მეგობრულ ტერიტორიაზე. „ქა.“ ბავარიელთა ხიშტების მფარველობის ქვეშ. ვერ შევძელი თავის შეკვება და მეც გავიმეორე ეს „ქა.“

თითქოს გერმანული გამოთქმით. გერმანელმა პირიდან ჩიბუხი გამოიღო: ფრანგები მიტომ „მქიარული ქართ“, — მითხრა. — Ja, Ja! და ჩვენ ორივეს სიცილი აგვიტყდა.“

მეც სიცილი შემსკდა და ბროშურა როსელს გადავეცი. მან წაიკითხა და კრიკა შეიკრა.

ამ დროს ბეკერი შემოვიდა და მას ვუთხარი:

— აჰა, ეს შენც უნდა წაიკითხო.

— გამარჯობა, ლუი-ნათანელ, — მიესალმა ბეკერი როსელს და ხელი ჩამოართვა; მან ოდნავ გააღიმა. — ეს რა არის? დიუმა-შვილის ნაწარმოებია? ოჰ, არა, სარსეისა. კარგი ლიტერატურაა... ტეოდორ, მე დამე ნეში გავატარე, ცოცხალ-მკვდარი ვარ. ვერმერში მოვა, თუ იცი? როსელმა შეხედა და ჩაიჩურჩულა:

— ვამჯობინებდი, მას სხვაგან შევხვედროდი, ვიდრე აქ.

— შუადღისას მასთან წავალთ და ერთად ვისაუბრებთ, — თქვა ბეკერმა.

მე ჩემს ოთახში გავედი. ბეკერი გამომყვა.

— ტეო, — მითხრა. — შეიძლება ახალი ამბავი გავიგოთ.

— მართლა?

— ახლა რაღაც აზრი მომივიდა. მერე გეტყვი. შენ რა დაგემართა? რა გაცინებს?

— ბეკერ! — წამოვიძახე. — ბეკერ, მე ბედნიერი ვარ!

— ასეთ ხასიათზე ნუთუ სარსეის პროზამ დაგაყენა?

— ეჰ, — ვთქვი მე. — ეს ხომ ფრანგული პროზის შესანიშნავი ფურცელია? პატრიოტული პროზის შესანიშნავი ფურცელი შეიძლება სკოლებს მივცეთ საკითხავად? ეჰ, ბეკერ, დიახ, ეს საუცხოოა, საუცხოო. საჭირო იყო, მსგავსი რამ დაეწერათ! ეს საჭირო, აუცილებელი იყო. საჭირო, რომ არსებობდეს ვერსალი და ყველაფერი ის, რასაც იქ იტყვიან და დაწერენ. გარწმუნებ, რომ ყველაფერი ეს დიდებულია. ოჰ, ბეკერ, მე ძალიან კმაყოფილი ვარ!

სალამოს ცბრა საათი აქნებოდა, რომ მარი-როზი, როგორც შეთანხმებული ვიყავით, ჩემთან მოვიდა, კანცელარიაში. მარტოკა ვიყავი, კარი დავკეტე და მკერდში ჩავიკარი.

— რა გრძელი დღე იყო! — ვუთხარი. — დაბოლოს შენ ჩემთანა ხარ.

დადლილობისაგან ფეხზე ძლივს იდგა, თვალები ჩასცვენოდა, ტუჩები დარბილებოდა. ნახევრად ქალაღებით დაფარულ დივანზე დავაწვინე, ლამპას საფარი გავუკეთე, რომ სინათლეს არ შეეწუხებინა.

— იმდენი სამუშაო მქონდა, — მეუბნებოდა და ხმა უწყდებოდა. — საშინელებაა... ერთ უბედურს ორივე ფეხი მოსჭრეს. ერთ ვაჟარ ქალს ტყვია ფერდში ჰქონდა, საშინლად ღრიალებდა. ამბობენ, ვოყირარი და მონრუჟი აღარ ისვრიან, ან არასაკმაოდ ისვრიანო. არ ვიცი, ყოველ შემთხვევაში ისის აღარ იცავენ... ოჰ, ტეოდორ, როდის გათავდება ყველაფერი ეს? მთელი დღე გულადად ვიყავი, შენ იცი, მაგრამ ამ საღამოს უკვე აღარ შემძლია... მე იქ უნდა დავბრუნდე. დამეს იქ გავატარებ, სადმე კუთხეში მივიძინებ.

— რომელ საათზე უნდა დაბრუნდე? არ შეგიძლია, ცოტა ხანს აქ დარჩე? და მერე, — განვაგრძე მე, — მამაშენის ნახვა მინდოდა... მისთვის მეთქვა.

იგი გაწითლდა და მითხრა:

— კარგი, ახლავე წავიდეთ მასთან, მამა, ალბათ, ქალაქის თვითმმართველობაში იქნება.

დერეფანში თავი ავარიდე საზოგადოებრივი ხსნის კომიტეტის წევრების მყვირალა ჯგუფს. გაჰკიოდნენ სახელებს: „ვეტიცელ! ლა სესილია!“ ყვიროდნენ: „გადააყენეთ!“ ორი ქალიშვილი ამ აურზაურში გზას მიიკვლევდა და როსელის ოთახის კარზე დააკაკუნეს. უფრო ახალგაზრდას, რომელსაც ჯერ კიდევ ბავშვის იერი შერჩენოდა, ჩითის კაპორი ეხურა, მეორეს — ქული, ლამპის სინათლეზე დავინახე ერთმანეთს საქმოდ დაშორებული, ნათელი და დიდრონი თვალები. კარი გაიღო. როსელი გამოჩნდა.

— რა ამბავია? — ჰკითხა ცივი ხმით. — მოითმინეთ ერთი წუთით, — უთხრა ახალგაზრდა ქალიშვილებს და თავის ოთახში საზოგადოებრივი ხსნის კომიტეტის წევრები შეუშვა.

ქალაქის თვითმმართველობაც არანაკლებ ღელავდა. დერეფანში სხვადასხვანაირ ფორმაში ჩაცმული სამხედრო პირები ირეოდნენ, განსაკუთრებით ბევრი იყო ზუავი, რომლებსაც შეშია ეხურათ და ღენთისაგან სახე გაშვებოდათ. მებუჟე ეზოში დაისს უკრავდა. ამით ერთობოდა. უფრო ნელა და უფრო სევდიანად იმეორებდა კილოს. როგორც იქნა, ძია სიფრელენს კიბეზე შეეხვდით, სეფედარბაზში შეგვიყვანა.

— აქ ჩვენს ნებაზე ვისაუბრებთ, — გვითხრა.

— ძია სიფრელენ, თქვენ მეწუხნია არა ყოფილხართ, — ვუთხარი სიცოლით.

დარბაზი ლასკარების ასეულს ეჭირა. ზოგს ეძინა, ზოგი თამბაქოს აბოლებდა, ზოგი სადილს იმზადებდა. ჯოჯგინებდად დადგმული თოფები სიბნელეში ბრწყინავდნენ. რამდენიმე ჯარისკაცი ჩაცმული დაწოლი-

ლიყო ჩალის ლეიბებზე. ფანჯრების სიგარძეზე ჩამწკრივებული ღუმ-
ლებს შორის ნაძურში ჰერის მოოქრულობის ელვარება თვალში გე-
ცნობდა. ცუდი სასადილოს სუნი ყელში მეცა. ხმაურობა-ყვირილისა-
გან ხომ ყურთასმენა არ იყო. ამ აურზაურში თითის წვერებზე დაე-
დებო. რათა სიფრელების ყურს მიეწვდომოდი და ჩაეყვირე:

— ძია სიფრელებს, თქვენ იცით, რომ მარი-როზი მიყვარს და მინდა
ჩემი ჰელღე გახდეს.

მან თავის ქალაჩა წვერზე ხელი ჩამოისვა, გაიღიმა, რის გამოც
თვალეზი მოქუტა.

— მერე? — თქვა და თავის ქალიშვილს ნიკაში ხელი მოჰკიდა.

— თქვენ იცით, რომ მას ვუყვარვარ, ძია სიფრელებს!

— მერე, — განაგრძო მან, — გინდა ეს ბიჭი, მარი-როზი? კარგია: ის
ჩვენაა. დიახ, იგი ნამდვილად ჩვენიანია.

— სულითა და გულით, ძია სიფრელებს!

— როდის ფიქრობთ დაქორწინებას?

— იცით, — ვთქვი, — მარი-როზს ქორწინება არა სურს.

— რაო! — წამოიძახა მან. — ქორწინება გაჩაღებული რევოლუციის
დროს! ასეთი შემთხვევა არ უნდა გავუშვათ. თქვენ დაგაქორწინებთ
კომუნა. თვით ხალხი, თავისი თავის ბატონი!

ამაირად გვითხრა პატარა სიტყვა და მიმავალ ბეკერს დაუძახა,
რომელმაც მოგვილოცა. მაგრამ ფალოსოფოსს შეწუხებული სახე
ჰქონდა.

— ბეკერ, — მხარზე ხელი დაკრა სიფრელებს და უთხრა, — ეს
მეთორმეტე ოლქის მერიასი უნდა მოვაწყოთ. მშვენიერი ქორწინება,
ბეკერ! რა დაგემართა?

— ძია სიფრელებს, — ჰკითხა ბეკერმა, — ცენტრალურ კომიტეტში
როსტოვზე რას ამბობენ?

სიფრელებს თავი მოიფხანა.

ლამით ჩვენ სენის მარცხენა ნაპირზე გავედით. ომნიბუსებით მონ-
რუეისკენ სურსათს ეზიდებოდნენ. მათ უკან არტილერიის ყუმბარების
ყუთებით დატვირთული ორთვალები მიდიოდა, მზიდავები „გამგზავ-
რების სიმღერას“ მღეროდნენ, მათი ხმა თვლების გრუხუნს უერთდებო-
ბოდა. მარი-როზი კიდევ ერთხელ დავტოვე ლაზარეთში, მე კი კანკე-
ლარიაში წავედი, რომ ცოტა ხნით დივანზე მომესვენა. დილას მორომ
გამაღვიძა.

— გამომართვი, — მითხრა ღა ქალაღი მომაწოდა, — ეს დომბროკ-
სკის უნდა წაუღო.

დომბროვსკის შტაბი ნეის ერთ-ერთ სახლში იყო მოთავსებული, პეირონეს ბარიკადის მახლობლად. იქვე მოეწყოთ შოძრავი ლაზარეთა, აქ კვლავ შეეგვდი ლუიზ მიშელს. მუნდირი და შარვალი ეცვა, თოფი მხარზე ჩამოეყიდა, დამბაჩები ქამარში გაეჩქო.

— თავზეხელაღებული, გულადი ქალია, — მითხრა მძიმედ პირადმა მწოლარე დაჭრილმა, რომელსაც წვერმოშვებულ, ლოთობისაგან დასიებულ სახეში თვალები ჩაჰკარგოდა.

პარკის ახალამწვანებულ ტოტებს შორის ტყვია ცვიოდა, ლითონის მსუბუქ სეტყვასავით ხმაურობდა. მშვენიერი დილა იყო: მთელი მკერდით ვისუნთქავდით სირვაშლას, ღარიბა ბალახოსა და იასამნის სურნელებას.

— აქ ჩვენ სოფლად ვართ, — მითხრა დომბროვსკიმ პოლონური გამოთქმით.

იგი პატარა ტანის კაცი იყო, მწითური, მოთენთილი სახე და პატარა წვერი ჰქონდა. ერთ სანგრამდე მიყუევი, საიდანაც მოჩანდა განადგურებული ორანჟერეები, რკინისა და ნამსხვრევეების გროვა, მათს შორის ნემსიწვერას პატარა ბუჩქები, კაქტუსები, აუზი, რომელშიც დამპალი, სისხლისაგან გაწითლებული წყალი იდგა: სანგრის წინ, წითელი დროშის გვერდით აღემართათ მასონური დროშები, რომლებზედაც ოქროს ტაძარი, ნიველირი და კომპასი იყო გამოხატული. ზოგიერთ მებრძოლს ხალათზე მასონური ნიშნებით ამოქარგული ცისფერი ლენტის ეკეთა.

— აქ ჩემთან ორი ლოჯაა: „პოლარული ვარსკვლავი“ და „სრული დუმილის ვარდი“.

ერთს ყველაზე დიდ დროშაზე ხმამაღლა წავიკითხე: „გიყვარდეთ ერთმანეთი“.

— დიახ, — ჩაილულლულა ჩვენთან მოსულმა ლუიზმა.

— შეხედეთ აი იმას, — განაგრძო დომბროვსკიმ და სიამაყით დაგვანახა უზარმაზარი ვაჟკაცი, რომელსაც აქსელბანტებთან წითელი ხალათი ეცვა. მართლაც, დომბროვსკი თავისი ჭარის თვალწარმტაც მორთულობას გულგრილად ვერ უცქეროდა. თეთრ დროშას ხელახლა შეხედა, წარწერა თვითონაც ხმამაღლა წავიკითხა.

მთავარ ბანაკისაკენ წავედით. ჩვენს მახლობლად ტყვიამ იწვილა. მაგრამ ჰაერი ისეთი გამჭვირვალე და ალერსიანი იყო, რომ ვერ იტყოდი, ეს ტყვია არისო. მე კვლავ მივბრუნდი და ერთხელ კიდევ უკანასკნელად შევხედე სპეტაკ ზეცას. შორს, შორს, სანამდე თვალი წვდებოდა, წარმოვფიდგინე იდილიური სეირნობა, ისეთივე არაჩვეულებრივა, როგორც მარი-როზის სიყვარული, ჩემს გულში ღრმად დაფარული.

ლუიზმა ფართო თვალები მომაპყრო, პიკიურის და სენ-ლორენის¹ საყდრებში აღმოჩენილ ჩონჩხებსა და წამების იარაღებზე მიაშობო...

— რამდენი ფანტასტიკური რამ არის, — თქვა მან ხმადაბლა, — მომავალიც ხომ ფანტასტიკურია, ეჰ! წარსულიც... მაგრამ საშინლად ფანტასტიკური, ოჰ! ისე შავია წარსული, ისე შავი...

მაგრამ...

— მაგრამ შენ, დომბროვსკი, — უთხრა და ყელზე შემოეხვია, — შენ ხომ გჯერა ყველაფერი ეს? ხომ გჯერა, რომ იყვნენ დაპატიმრებული ქალები, რომლებიც გიჟდებოდნენ... ეს ხომ შესაძლებელია?

დომბროვსკი დაეთანხმა. ყველაფერი ეს შესაძლებლად მიაჩნდა. ლუიზის თვალებში, სიმწრისაგან მოკუმულ დიდ ტუჩებზე შიში აღბეჭდილიყო.

— ყველაფერი ეს ადვილი წარმოსადგენია, — განაგრძო ლუიზმა. — რატომ არ წარმოიდგენთ? როდესაც ვფიქრობ იმაზედაც, რაც ჩემამდე იყო, როდესაც უკან მივიხედავ, იქ ღამეა. ღამეში კი უფრო უარესს წარმოიდგენ. ასე არ არის? მე უკან დახევა არ შემიძლია: ვიცი, ადამიანი რის გამკეთებელიც არის. ეს საშინელებაა. მაგრამ აგრეთვე შემიძლია წარმოვიდგინო ყველაფერი ის, რის გაკეთებაც ადამიანს შეუძლია, როდესაც ღმერთი მის საქმეში აღარ ერევა, — დაუმატა ხნადაბლა, — შენ, დომბროვსკი, იყავი თუ არა იქ იმ დღეს, როდესაც კარუსელის მოედანზე შენი მეგობრები, ფრანკ-მასონები შეიკრიბნენ და ვერსალში წავიდნენ? ეს მშვენიერება იყო. ეს იყო ჩემთვის მომავალი დროის გამოსახულება, როდესაც ადამიანთა გრძნობები უფრო ძლიერი იქნება, როდესაც კიდევ სხვა გრძნობები იქნება! დომბროვსკი, ხომ იქნება სხვა გრძნობები?

მთავარ ბანაკში ვიყავით. დომბროვსკიმ მინებჩამტვრეულ სასტუმრო დარბაზში შეგვიყვანა. იქ დამტვრეული ავეჯი იდგა, მსუბუქი ავეჯი, მისი ხის ნაწილები ღია ფერად იყო გაკრიალებული. საგანგებოდ გაკეთებული რამ იყო. ასე მეგონა, ეს ავეჯი ახლოს რომ დამეყნოსა, ვიგრძნობდი პარკში ახალაყვავებული ხეების ტოტების სურნელებას. ნოხი სისხლითა და ტალახით, იყო მოსკრილი. დომბროვსკი ლუი XV სტილის პატარა მაგიდას მიუჯდა. მისწია მაგიდაზე ბოთლა, თამბაქოს შეკვრა და ქალაღდის ნაგლეჯზე ფანქრით რამდენიმე სტრიქონი დაწერა, მერე დაწერილი მომაწოდა და მითხრა:

¹ სენ-ლორენის (ლავერენტის) საყდარში აღმოჩენილ იქნა ბერების მიერ გაუპატარებული ქალების ძვლები; პიკიურის საყდარშიც, სადაც ქალებს, ვითომდა გიჟებს, ათავსებდნენ და აუპატიურებდნენ.

— ხუთი ათასი კაცი სამ დღეში... თქვენ ხომ ეტყვიტ მათ? მხოლოდ ჯაშუშად ნუ მთვლიან. მე მათ წინადადება მივეცი მოლაპარაკება ბოლომდე განეგრძოთ, რომ გვენახა ეს რითი დაბოლოვდებოდა. მაგრამ თუ არ მენდობიან, თუ ისინი ფიქრობენ, რომ მე კომედიას ვთამაშობ, თავს მოვიკლავ. მაშინ კარგად დაინახავენ!

იგი ლაპარაკობდა მშვიდად, რბილი და გულუბრყვილო ხმით. მე ვიცოდი, რომ ის მაინცდამაინც არ უყვარდათ, რადგან უცხოელი იყო. სამხედრო სამინისტროში ზშირად გამიგონია, რომ მას ხან ერთი, ხან მეორე იცავდა. მაგრამ თავის დაცვას თვითონ სრულიად არ ფიქრობდა. უცხოელი? დიახ, ყველგან უცხოელი. ის იყო იქ. ნეიში, მას შეეძლო სხვაგანაც ასე თავისუფლად ეგრძნო თავი, რასაკვირველია, როგორც ის იყო ყველა თავის სამხედრო ავანტიურაში, კავკასიაშიც ან პოლონელთა აჯანყების დროს. იმნაირადვე თავისუფალი, როგორც შეიძლება ყოფილიყო ციმბირში თავისი ტყვეობის დროს. მისი მდგომარეობა მეხარბებოდა. მე ვფიქრობდი, მასთან რომ დავრჩენილიყავი, უეჭველია, არავითარი წვრილმანი სიძნელე არ მექნებოდა გადასაწყვეტი. მთელ დედამიწას გადავივლ-გადმოვივლიდი, მუდამ საფრთხიში, ნამდვილ და სპეტაკ საფრთხეში. ჯიბეში ხელბეჩაწყობილი დომბროვსკი ბოლთასა სცემდა განადგურებულ ოთახში, უმანკო თვალები ჰქონდა. მერე ფანჯარას მიუახლოვდა. ჩემი იქ ყოფნა დაავიწყდა.

ლუიზ მიშელი თავის ლაზარეთში დაბრუნდა. მეც იქ მივედი. იმ სუფთა ჰაერის შემდეგ ცხვირში მეცა შმორის, იოდის, ბინძური თეთრეულის, ტალახითა და სისხლით დამძიმებული ფარაჯების საშინელი სუნი და კინაღამ სული შემეხუთა. ვილაც დაქრილი გმინავდა. კუთხეში, იატაკზე ზეწარგადაფარებული რამდენიმე გვამი ესვენა.

— ამ ერთი ღამის მსხვერპლნი არიან, — მითხრა ლუიზმა.

მე დავინახე და მათ სახეზე ფრთხილად ზეწარი ავხადე. იქ სულ ახალგაზრდა, ქერაწვერიანი კაცი იყო, ქალიშვილივით წვრილი კისერი ჰქონდა.

— უნგრელია, — მითხრა ლუიზმა.

მერე მოულოდნელად დავიყვირე: უნგრელის გვერდით ბარბიუშე ვიცანი.

— ბარბიუშე! — ვყვიროდი, — ბარბიუშე! ჩემო საწყალო ყორანო!

ის იწვა აქ. ეს პატიონანი კაცი, სახეგამხდარი, სასაცილოდ დამანკული, წვერი მოზრდოდა, ყბები ჩასცვენოდა, ქალარა თმა შუბლზე ჩამოსწეწოდა, ხვანჩი გამოშვეროდა. კურტაკი გაეხადათ. უხეში კუბო-კრული ქსოვილის პერანგი ეცვა.

— იცნობ? — მკითხა ლუიზმა.

— დიახ, — ვუპასუხე. — ეს იყო ჩემი ძველი მეგობარი, სიყრმის ამხანაგი. ყორანს ვუძახოდი, რას იტყვი, არა ჰგავს ბებერ გაუტუტულ ყორანს? როგორ მოკვდა?

— ყუმბარის ნამსხვრევი მოხვდა მუცელში. სცადეს ოპერაცია, მაგრამ საოპერაციო მაგიდაზე დალია სული.

— იწვალა?

— ძალიან.

სახეზე ზეწარი მოწიწებით დავაფარე. საშინელი სროლა გაისმა. დაკრილმა კიდევ უფრო უმატა ღრიალს.

— გესმის! — თქვა ლუიზმა. — იწყებენ.

III

მრავალი დღის განმავლობაში მივდი-მოვდიოდი ცხენით ან ფეხით, ნეის, სამხედრო სამინისტროსა და ქალაქის თვითმმართველობას შორის, მომქონდა ცნობები, ვაწვდიდი ბრძანებებს. წინააღმდეგობათა ხლართში გარკვევას ამაოდ ვცდილობდი. როსელი სამსახურიდან გადადგომაზე ლაპარაკობდა, ფელიქს პია ყვიროდა, როსელი დახვრიტეთო. ცენტრალური კომიტეტი ლეგიონის უფროსებს თავის კაპრიზებს ასრულებინებდა, კომუნასა და საზოგადოებრივი ხსნის კომიტეტს შორის აშკარა ომი იყო. პროვინციიდან იმედისმომცემი ამბები მოდიოდა. ლიონი ისევ დელავდა და ტიერს დელეგაციებს უგზავნიდა, დეპარტამენტებში კონგრესები იქმნებოდა. მაგრამ ეს იმედები ცრუვდებოდა. თავის თავსა და სიშმაგეს მინდობილი პარიზი ეცემოდა. ბრალს სდებდნენ გენერლებს: დომბროვსკის, ლა სესილიას, ედს, ლისბონს. ისინი თავის მხრივ კომიტეტების წინააღმდეგ ილაშქრებდნენ. ერთხელ დავალების შესასრულებლად ისის სიმაგრეში გამგზავრება მომიხდა. იქ ნანგრევების მეტი არაფერი იყო. მათს შორის ვირთაგვასავით დავძვრებოდი. არ ვიცი, როგორ წავაწყდი ჩემს მეგობარ მეკარეს, დენტით გაშავებული შუბლი სისხლიანი ბანდით ჰქონდა შეხვეული. მას ბარბიუშეს სიკვდილი შევატყობინე.

— მალე ჩემი ჭერიც მოვა, — მითხრა.

იმ დროს, როდესაც ტიერი პარიზს ყუმბარებს უშენდა, ქუჩებში ვაკრული აფიშა პარიზელებს მოაგონებდა ოცდახუთი წლის წინათ ტიერის მიერ მეფის წინააღმდეგ წარმოთქმულ მრისხანე სიტყვას, როდესაც იგი თავის ქალაქს პალერმოს ყუმბარებს უშენდა... „თქვენ,

ბატონებო, შიშის ზარმა აგიტანათ, როდესაც გაიგეთ, რომ ორმოც-
დარვა საათის განმავლობაში დიდ ქალაქს ყუმბარებს უშენდნენ.
ვინ? ეს უცხოელი მტერია, რომელსაც ომი ამის უფლებას აძლევს?
არა, ბატონებო, თავისი საკუთარი მთავრობა უშენს. რატომ? იმრტომ,
რომ ამ უბედურმა ქალაქმა თავისი უფლებები მოითხოვა.“ ახლა კი
ეტუალის მოედნის გარშემო კედლები ინგრეოდა. თითქოს ცეცხლი
თვით გამარჯვების თალიდან იფრქვეოდა, თვალწინ მდგა სახე ახალი
მეფე-ბომბისა, გენერალური შტაბით გარემოცული, ტახტზე რომ
იჯდა ვერსალში. როგორც იქნა, ტიერმა შესძლო სტრატეგიული ოს-
ტატობისათვის ხელი მოეკიდა, რაზედაც იგი თავის სამუშაო კაბინე-
ტის სიმშვიდეში ხშირად ოცნებობდა. ტიერზე რომ ვფიქრობდი,
ისეთი მძაფრი ცნობისმოყვარეობა მიპყრობდა, როგორც ნაპოლე-
ონმა და ეჟენიმ აღძრეს ჩემში. საერთოდ, ამ ცნობისმოყვარეობას
აღმიძრავდა ყველა ის ადამიანი, რომელიც: ცხოვრებაში სცენის
წინა ადგილს იკავებდა.

— ეს ხომ არამზადაა? — ვკითხე ბეკერს, რომელთანაც ერთად
შან ზ'ელისეს სანგრებით დასერილ ავენიუზე მივდიოდით.

— არამზადაზე მეტია.

— მაგრამ ბოლოს და ბოლოს რას ფიქრობს? რას სურს მიაღწიოს?
როდესაც პატარა სტუდენტი იყო, იცოდა თუ არა, რომ ერთ დღეს
პარიზს ყუმბარებს დაუშენდა.

— ადამიანთა თავები უნდა გაისინჯოს. — თქვა ჩუმად ბეკერმა, —
ტიერი მარსელელია, ცოცხალი თვალები აქვს, მკვეთრად მოხაზული
ტუჩები. ასეთი ადამიანები ხდებიან ექიმები, ნოტარიუსები, რომლე-
ბიც თავიანთ ხელობას მაშინვე ეგუებიან, მაშინვე იწყებენ ლაპარაკს
ქედმაღლურად და გაბედულად.

— ისინი ხდებიან აგრეთვე. — ვთქვი მე, — კონდოტიერები.
ავანტიურისტები...

— არა, არა! — წამოიძახა ბეკერმა, — კონდოტიერები, ავან-
ტიურისტები სულ სხვა ჯურის ხალხია. სამხრეთელები, რომლებზე-
დაც გელაპარაკები, არც სახელს, არც ხიფათს არ ეძებენ, არამედ
პატივს. ისინი ყურადღების ღირსნი არიან და უფრო და უფრო გავ-
ლენიანნი ხდებიან. სახელი და რისკი თავისთავად მოდის. ამასთანავე
ხელისუფლებაც და ფულიც. რასაკვირველია, ყოველივე ამას
ზიზღით არ ეკიდებიან, პირიქით! მაგრამ, უწინარეს ყოვლისა, მათ სწყუ-
რიათ ყურადღების ღირსნი გახდნენ. რომანტიკულობის გარეშე, მაგ-
რამ რწმენით, ყოყოჩობით და საქმის ცოდნით მათ ყოველგვარი

გპროპისა და ბოროტმოქმედების ჩადენა შეუძლიათ. ყველაფერს იცნობენ, ყველაფერი იციან, ყველაფრის მოყვარული არიან, გემოვნება და ერუდიცია აქვთ, კოლექციებს აგროვებენ; მათ იციან მაშინვე უპოეზიო, მაგრამ მყუდრო და დიდკაცური ცხოვრების მოწყობა ფუფუნებით.

მიწას ვავეკარით, ყუმბარამ სტვენით თავს გადაგვიქროლა.

— მაგრამ არც შენ, არც შეუ იმისათვის კი არ ვიბრძვით, რომ ავიზიდავს ან ავანტიურა, ან ხიფათი, ან ხელისუფლება, ან ფული, ან პატივმოყვარეობა, რაც ჩვენს ბურჟუაზიულ ეპოქაში პოლიტიკურ ნიქს ემთხვევა. როგორ გითხრა? ნამდვილი მოქმედების, ადამიანის ფიგურა, ფუტრიკე იქნება იგი, თუ ფელიქს პია, მოქმედებასთან ერთად დიდდება. როდესაც მე ვამბობ, დიდდება-მეთქი, ამით მინდა ვთქვა, გასაგებია, იზრდება-მეთქი. ჩვენი ფიგურა კი არ იცვლება, იგი რჩება შეუმჩნეველი, გაურკვეველი, ისეთი, როგორც ჩვენ გვინდოდა შევკვენარჩუნებინა, მას ჩვენ შიგნიდან ვალრმავებთ. ტეოდორ, სად არის ჩემი ფიგურა, სად არის ჩემი სიტყვა და საქმე? რა მქვია? სადა ვარ? სანაძღოს ვღებ, შენც აძლევი თავს ასეთ კითხვებს. დიახ, მე ფილოსოფოსი ვარ და, რასაკვირველია, ამით რევოლუცია არაფერს იგებს, რომ მის რიგებში ფილოსოფოსი არის. მე კი რას ვიგებ? მაგრამ ჩემსა და რევოლუციას შორის მაინც არის საიდუმლო შეთანხმება, საბედისწერო შეთანხმება, მაგრამ ამის შესახებ მარტო მე და იმან ვიცით.

იმ დროს, როდესაც ყუმბარები ეტუალის მოედნის გარშემო სკდებოდნენ, ბეკერს დავაკეირდი, მის მაღალ, უცნაურ სილუეტს, სევდიან თვალებს, მის გრძელ საზეიმო და სასაცილო ხელებს და ჩემს თავს ვეკითხებოდი, ცოტათი ხომ არ ვგავარ-მეთქი მას.

— მე მგონია, — ვუთხარი, — ყველაფერი ის, რაც ახლა თქვი, მეც მეხება.

— ეს მე კარკად ვიცი. — მითხრა და მხარზე ხელი დამადო. — სწორედ ამიტომ მიყვარხარ, პატარა კიშო.

— ერთი ეს გამაგებინეთ, — განაგრძო მან სარკაზმული ბურდუნით. — აქ რას ვაკეთებთ? მე რას ვაკეთებ? განა რაიმე საქმეს ვემსახურები? ამისთვის მე საკმაოდ ლოგიკური არა ვარ. მე არც ჩემს საკუთარ საქმეს ვემსახურები: კუჭი ფიქრს მაიძულებს, მაგრამ მას დიდი მოთხოვნები აქვს, რომ იმის ამოსავსებად კისერი მოვიტეხო. მაგრამ არ იფიქრო, რომ დამარცხება მიყვარდა და რევოლუციას იმიტომ მივემხრე. მე არ მიყვარს არც განადგურება, არც

სიკვდილი. მე ვიცი, რომ ერთ დღეს რევოლუცია იფეთქებს, მე ვიცი, რომ ჩემი მსხვერპლი უნაყოფო არ იქნება. მაგრამ მე ვიცი აგრეთვე, რომ ის, რაც დღეს ხდება, განწირულია.

— განწირულია?

— განწირული.

დავდუმდით. ჩვენ წინ ცა წითელი იყო.

— მაშინ ეს ღონისძიებანი, ეს იმედები... — განვაგრძე ხმა-
ჩაწყვეტილმა.

— ხელახლა უნდა დავიწყოთ.

— მერე ჩვენ?

ბეკერმა ხელი ისე გაიჭნია, თითქოს რალაცას ცელავდა, მისმა ტუ-
ჩებმა კი ამ დროს მოქნეული ცელის სტვენა გამოსცეს.

— მაგრამ, — ჩავილულულე მე, — ხომ მომხდარა გამარჯვებით
დამთავრებული რევოლუციები... ის რევოლუციებიც ისეთივე გიჟუ-
რი იყო, როგორც ჩენი. მათ იმდენი სისხლი დაღვარეს, იმდენი არეუ-
ლარევა გამოიწვიეს, მაგრამ რევოლუციურმა კომიტეტებმა და რე-
ვოლუციონერებმა გაიმარჯვეს, განმტკიცდნენ...

ბეკერმა თავი გადაიქნ-გადმოიქნია.

— ტეოდორ, — მითხრა. — მე არ მივიღებ განმტკიცებისაკენ, ოლ-
ონდ ფელიქს პია სამისდღემჩიო დიქტატორად მენახა და სხვა რაიმეს,
ამაზე უკეთესს, არაფერს ვისურვებდი. არა, მე რევოლუციას იმითომ
მივემხრე, რომ ამით ადამიანის პიროვნება, — როგორ გამოვხატო? —
ფართოვდება. სამწუხაროდ, მიწა ჯერ კიდევ საკმაოდ გახურებული
არ არის; ბევრი წინააღმდეგობა არის: აქედან ვამომდინარეობს აფეთ-
ქება, რომელსაც მოვესწრებით.

— მაგრამ მერე, ბეკერ?

— ჩვენ ხომ ჩავებით რევოლუციაში, როგორც უცნობნი და იქ
ამწიარაღვე სიბნელეში ჯამარხული დავრჩებით. ჩვენთვის არაფერი
შეიცვლება. ეჰ! რასაკვირველია. არის ისეთი რევოლუციები, რომლე-
ბიც იმარჯვებენ. მათ მე არ შევნატრი. ეს რევოლუციები მოიხლეჩს.
მამინ იმ სანკიულოტებს და მეფისპყვლელებს, რომლებსაც წინათ
აძაგებდნენ, ძეგლები დაუღვეს. ღიახ, დარჩნენ რევოლუციის კომი-
ტეტები და დაწესებულებანი, ისინი მუშაობას განაგრძობენ. ყველა-
ფერი ეს ისტორიაში შედის. ჩვენ...

ბეკერმა მეტად მწარედ ვარლიმა. ხმას დაუწია და განაგრძო:

— ჩვენ ისტორიიდან გარიყული დავრჩებით. ჩვენ არაფერს ვვაპა-
ტიებენ, თუმცა კრომველს და დანტონს აპატიეს. მაგრამ ჩვენ... ჩვენა

მოგონება ვამოიწვევს უხერხულობას, ან სიძულვილს. არაეინ იტყვის, რომ ჩვენ გმირობა, ან გულადობა გამოვიჩინეთ, რომ ჩვენ ვიბრძოლეთ თავკანწირული სიმამაცით. ჩვენზე არაფერს იტყვიან. არც არაფრის თქმას მოისურვებენ. ჰანიბალს, თემურ-ლენგს, ნაპოლეონს შეეძლოთ ადამიანთა მრავალი ახასი სიცოცხლე გაენადგურებინათ: ისინი უდიდეს პიროვნებებად დარჩებდნენ. ჩვენზე გამარჯვებულნი კი მოკლენ, რომ მოწიწებით ისევ აღმართონ ის სვეტი, რომელსაც აი ამ დღეებში ჩვენ ძირს დავცემთ. ისინი მორთავენ ყვირილს ღვთის მგობელობაზე. ხომ ზედავ, შეიძლება მოახდინო რევოლუცია თავისუფლების დასამკვიდრებლად. ან იმისათვის, რომ მტარვალს მსოფლიოზე გაბატონების საშუალება მისცე. ან ქარტია დაიკვა, ან კიდევ, ეს ცუდად არ არის მოგონილი, სათნოება დაამყარო. მაგრამ ჩვენ უკან რაღაც საზარელს, სრულიად მიუღებელს ზედავენ: ხომ ხვდები რასა?

— თქვი.

— ეპ, საშინელი რამ არის ის, რაც ჩვენ უკან ისახება, არაადამიანური. ეს არის... ოღნავ დაფიქრდი! კერძო საკუთრების ვაუქმება. დიდი გაჭირვებით კიდევ შეეძლოთ ეპატეებინათ ჩვენი სიძულვილი გამარჯვებულთა მიმართ, აეტანათ ჩვენი ურწმუნოება, ათეიზმი. ნამდვილად კი, ამას სრულიად არ გვაპატიებენ, რადგან იციან. ეს რასაც მოასწავებს. იგი, ვინც პატივს არა სცემს არც ნაპოლეონს, არც სამშობლოს, არც ოჯახს, არც მოწყალე ღმერთს, ოჰო! ის ყველაფერს ჩაიდენს... სუ! ის ისურვებს კაპიტალის დამხობასაც. დიახ, ზედავენ, აი ის შოდის: იგი ყველაფერს ჩაიდენს. შენ ნახავ, ტეოდორ, ან უფრო კი ველარ ნახავ, რადგან ჩვენ მოგვსპობენ და მერე... დავიწყება, უდაბნოს მღუმარება იმათთვის, რომლებიც ისტორიის გარეშე რჩებიან. გაუგებარ ამბებსა და სკანდალს ღუმელი დააწვება. უკვე ყველამ მიკვატოვა ჩვენს კეთრთან. ლუი ბლანკმა გაგვცა, გარიბალდიმ ნაციონალური გვარდიის ხელმძღვანელობაზე ზრდილობიანად უარი კვითხრა. ვიქტორ ჰიუგოც ზურგს გვაქცევს. აბა რაა: განა დაწყველილი არა ვართ?

— მაგრამ მაინც... — ვთქვი ჭიუტად.

— მაინც რა?

— რომ გაგვემარჯვნა!

— პატარა კიშო, — მითხრა და ხელი მომიკიდა, — შეიძლებოდა, კიდევ ვუცადა რამე, თუმცა გვიან არის, თუმცა იმდენი სისულელე ჩავიდინეთ. ჯერ საჭირო იყო ბანკი ჩაგვეგდო ხელში, მაგრამ ქურდი და ძია ბესლე სულელები არიან, მონაგარიშის სული აქვთ. მართლაც,

ხალხს რომ ბანკი ხელში ჩაეგდო, ბატონი ტრანსნონენი ჯავრისაგან ყვირილს მორთავდა. გარიბალდიმ გვითხრა: „უნდა გვაუღეთ ბელადი. დიქტატორი“. აი რა გვაკლია.

დუმილი ჩამოვარდა. ბეკერმა განაგრძო:

— მოდი ამ საღამოს რვა საათზე „პერ დიუშენი“. შესძლებ?

— მარი-როზის ნახვას ვფიქრობდი.

— მარი-როზს ნუ აწუხებ, მის ნახვას მოასწრებ. ახლა რაიმე უნდა გცადოთ. აღსასრულს მივეუახლოვდით, ტეო. მოდი, ხომ იცი სად არის? „ლე პერ დიუშენი“ ვერმერშის ბინაზე იყო მოთავსებული, სენის ქუჩაზე: მე იქ ერთხელ ვიყავი, ვერმერშმა მითხრა ამაყად, ამ ოთახში ბოლღერი ცხოვრობდაო.

რვა საათზე კარი დავაკაკუნე. ვერმერში და ბეკერი დამხვდნენ იქ. საწოლზე ჩამომჯდარიყვნენ, წიგნებსა და ქაღალდებს შორის. იქ იყვნენ: ერთი წვერაანი კაცი, სიმპატიური, რომელსაც ვილიომს ეძახდნენ; მხატვარი, მისი სახელი დამავიწყდა. იგი, როგორც მოქალაქენი კურბე, მანე, კორო, დალუ და სხვები, მხატვართა ფედერაციაში ირიცხებოდა. ამ მხატვრებმა შემდეგ სახელი გაითქვეს. როგორც ამბობენ, მათ ნაწარმოებებს იძენენ და მუზეუმში ინახავენ. კიდევ ერთი ყვითელთმიანი ბიჭი იყო, ელამი, რომელიც გაპირვებით ამბობდა თიხის დაპირქვევებულ ჩიბუხს. თითქოს ვიღაცას ელოდნენ. მხატვარი მაღალფარდოვან სიტყვას ამბობდა. ვერმერშმა იგი შეაჩერა და თვითონ დაიწყო ლაპარაკი. ვერმერშის მსგავსი მოლაპარაკე არასოდეს მინახავს. ასეთი სიტყვის წარმოთქმა მისგან მოულოდნელი იყო. მშვიდი სახე არ ეცვლებოდა, ცივად იცქირებოდა, მაგრამ სიტყვები, დამცინავი და მოელვარე, ზრის უმაღ ინთებოდნენ. იგი ჰყოფდა საკითხებს; ამბობდა: „პირველი საკითხი... მეორე საკითხი“... ძირითად დებულებებს გაარკვევდა და ყველაფერი ნათელი ხდებოდა, მერე უეცრად სიცილი შესკდებოდა და მოულოდნელ დასკვნას გააკეთებდა, რომელიც წინა მოსაზრებიდან სრულიად არ გამომდინარეობდა. მხრებს აიჩიჩადა, თითქოს ამით გვაგებინებდა, ბოლოს მხოლოდ ესა დაგვერჩინია, რომ რაღაც მოულოდნელი და ღიადი გვაკეთოთო. მის ლაპარაკს მეგობრები უსმენდნენ, მაგრამ, როგორც ეტყობოდა, დიდ მნიშვნელობას არ აძლევდნენ. ბეკერი სტვენდა, მალე მხატვარი და ვილიომი გამოგვემშვიდობნენ. ჩიბუხიანმა ბიჭმა წითელი და ოფლიანი ხელი ჩამოგვართვა და ისიც წავიდა. ვერმერშმა ლაპარაკი განაგრძო, კითხვებს თვითონ სვამდა და თვითონვე პასუხობდა. თავის თავს ეკამათებოდა და ანადგურებდა, მერე ფელიქს პია გამოაჯავრა,

როგორ ამბობდა იგი სიტყვას. ამან იმდენი მაცინა, სულ ცრემლები მცვიოდა. ბოლოს ჩქარი ნაბიჯით ვილაყამ კიბე ამოიბრინა და დაეინახე, შემოვიდა უფროსი და, ულამაზესი იმ ორ ქალიშვილს შორის, რომელსაც როსელის კართან გზა გადავუღობე. ჩვენ წამოვდექით.

— ჩემი ძმა ახლა ვერ მოვა. სადილის შემდეგ მოვა, — გვითხრა იზაბელამ.

ხუთი წუთის შემდეგ ერთ მეზობელ სამიკიტნოში ამ ქალიშვილთან ერთად მაგიდას ვუსხედით და ბოცვერის მობრაკულ ხორცს შევექცეოდით. იზაბელა ვერმერშა და ბეკერს გვარს ეძახდა, არც მოქალაქეს, არც ბატონს არ ურთავდა. როდესაც ჩემი გვარი გაიგო, მეც დამიძახა კიშ, ძალიან ბუნებრივად. ვერმერში მას მოქალაქე როსელს ეძახდა, ბეკერი და მე მივმართავდით: მადმუაზელ. სანამ მაგიდას მოვუსხდებოდით, დახლთან აბსენტი გადავკარიით. ჭიქა მასაც მივაწოდეთ, გამოგვართვა და ნახევარი დალია.

— თქვენ ხომ იცნობთ ლიზეს? — იკითხა მან. — ჰო, ლიზე, შინ იქას ასე ვეძახით. თქვენ იცით, მას გულის გადახსნა არ უყვარს. მაგრამ, — დაუმატა ამაყად, — მე მისი ყოველივე აზრი ვიცი. მას, ენდეთ მას, ყველაფერი უთხარიით. იგი მტკიცეა. ვის შეიძლება დაეუნდოთ?

დავასახელეთ რიგო, ფერე, რამდენიმე ბლანკისტი.

— დელეკლუზი?

— დელეკლუზი.

— ლიზე პატრემოყვარე არ არის, — განაგრძობდა ახალგაზრდა ქალი. — ეს მე მკითხეთ. უიმედობა აგიყებს, კავშირის გაწყვეტის მოთხოვნისება აქვს, თქვენ რომ მოგასმენინათ, როდესაც მეტყუე ლაპარაკობს... როგორ იტანჯებოდა თქვენ ხომ იცით. რომ შეთქმულებამ კინალამ გაიმარჯვა? ჯარები მზად იყო ასაჯანყებლად ბაზენის წინააღმდეგ და სიმაგრის გადასარჩენად. ყველაფერი შეიცვლებოდა. პარიზს ფრანგთა საუკეთესო ჯარი მოეშველებოდა. ვაცრუებული სიგიჟე... ამ აჯანყებამ კი უნდა გაიმარჯვოს.

იგი ჩიუტად ლაპარაკობდა:

— საწყალი ლიზესთვის კი არა... მას არაფერი უნდა, არაფერს ითხოვს. მე კარგად ვიცი, რომ პია მას პატარა ცეზარს ეძახის.

— პია! — ზიზღით წარმოთქვა ბეკერმა.

— საწყალი ლიზე! — გაიმეორა ახალგაზრდა ქალმა. — მას, ისეთ სპეტაკს... ჩემი ხომ გჯერათ? თქვით, ვერმერში! თქვენ, ყველას, ჩემი

ხომ გჯერათ? ხომ შემიძლია თქვენ წინაშე ვილაპარაკო, ყველაფერი ვთქვა?

მე აღელვებული ვუცქეროდი მას, ვერმერში თითქმის არაფერს ამბობდა. ბეკერი ჭამდა და სვამდა, თავი თეფშში ჩაერგო, თვალი ქალიშვილისთვის მიეპყრო. მე მისი ლამაზი ხელების მშვიდი მოძრაობით ვტკბებოდი, სუფრის კალს ჭურჭელს, რქისტარიან დანას ხელს რომ ჰკიდებდა, მისი დიდრონი, ნათელი თვალები სრულ უმანკოებას გამოხატავდა. მარი-როზი მომაგონდა, მასაც აგრეთვე უმანკო თვალები ჰქონდა. მაგრამ მარი-როზს შრომამ და მწუხარებამ უმანკოება შეულახა. მარი-როზი გახდება მოწიფული, ის ახლა უკვე ქალია. როსელის და ისეთივე უცვლელი დარჩება, როგორსაც დღეს ვხედავ. იგი შეინარჩუნებს თავის დიდრონს და მიმნობ თვალებს. არ ვიცი, რა შედეგით ეფიქრნათ ბეკერს და ვერმერს ამ ქალიშვილის წაქევაზე. უეჭველია, მისმა სიტყვებმა ისინი აღელვა, შეიძლება, ოღონდ კიდევ შეკრთნენ. მადმუაზელ როსელი ამას ყურადღებას არ აქცევდა... თავის ძმაზე ისე ლაპარაკობდა, როგორც მას ბუნებრივად მიაჩნდა, რომ მასზე ელაპარაკნათ. მე დროგამოშვებით ვამხნევებდი. მსურდა მიმხედარყო, რომ მისი მესმოდა, მაგრამ მისას გაიგებდნენ თუ ვერა, ჩვენ წინაშე ან ვის წინაშეც უნდა ყოფილიყო, მსაჯულებისა თუ მტრების წინაშე, მადმუაზელ როსელი მაინც ასე ილაპარაკებდა.

— როდესაც იგი პარიზში ჩამოვიდა, თქვენ შორის მოხვდა, მან იკისრა ის, რაც მას დაავალეს. არაოდეს პირველობა არ მოუხსურვებია. იგი თუ ახლა სამხედრო დელეგატია, ეს იმიტომ, რომ სხვებმა ასე იწებეს... დიახ! და თუ ხვალ მას მეტს მოსთხოვენ, იგი დათანხმდება. იცით. მე ის როდი მაკვირვებს, რომ მას ხელისუფლებამაც მოუწოდებენ. მე ყოველთვის ვფიქრობდი, რომ იგი ხელისუფლებისათვის ყო გაჩენილი. ერთხელ, ბავშვები რომ ვიყავით, პასტორმა ვუთხარა, რომელიც საღვთო სჯულს გვასწავლიდა: მე ვიცი, რომ ლუი დიდი საქმეებისთვის იქნება მოწოდებული-მეთქი. პასტორმა მიპასუხა, ეს ქედნადლობა არისო. დაე, ვიყო იმის გამო ქედმაღალი. მაგრამ ჩვენ ხომ უნდა გავინარჩვით, ბატონებო! უნდა გავიმარჩვით!

— ჩვენ გავიმარჩვებით, მადმუაზელ, — წამოვიძახე მე.

— მაშინაც უკვე, — განავრძობდა მადმუაზელ როსელი, — ასეთივე დინჯი, ჩაფიქრებული იყო, როგორც ახლა არის. წიგნებს მისი ხელმძღვანელობით ვკითხულობდი. მერე, როდესაც პოლიტექნიკურ სკოლაში სწავლობდა, იგი ნამდვილ ლექციებს მიგზავნიდა, ფილოსოფიას მასწავლიდა, ლეიბნიცს, დეკარტს. მახსოვს ერთი წერილი, რომელ-

ზიც მიხანდა: დეკარტის შემდეგ ჩვენ თავისუფალი ვართო. თავის თავს ყოველთვის თავისუფლად სთვლიდა. ამიტომ მან არღამორჩილება ამჯობინა ბრძოლაზე ხელის აღებას, თუმცა იგი ნამდვილი ჯარისკაცია. როდესაც გავიგეთ, ბაზენი მთელი ჯარით ტყვედ ჩაბარდაო, დედამ წამოიძახა: „ჩემს შვილს იარაღი არ ჩაუბარებია“. ეს მართალი გამოდგა: იგი გამოიქცა.

ქალიშვილმა მშვენიერი თვალები ამ საშინელ სამიკიტნოს სიბნელეს მიმოავლო. მერე მომავტერდა, თითქოს თვალებზე ბინდი გადაეფარაო.

— ბოდიშს ვიხდი თქვენ წინაშე, — თქვა მან, თითქოს ახლა მოიხაზრაო. — ხედავთ, როდესაც მის შესახებ ვლაპარაკობ, თავშეკავება არ შემძლია. მაგრამ ის ასეთი საოცარია! როდესაც მას პირველად შეხვდებიან, მე დარწმუნებული ვარ, გრძნობენ, რომ ისეთი არ არის, როგორც ყველა. ნუთუ თქვენც არ გაოცებთ მისი ჩაფიქრებული სახის გამომეტყველება? განსაკუთრებით, რაც მე არაჩვეულჯობრივად პიამანია, ეს არის მისი მშვიდი გამოხედვა, მისი პირი, ტუჩები, touched with pensiveness¹, როგორც ერთი ინგლისელი მწერალი ამბობს... დიახ, როდესაც კუინსის ეს ფრაზა წავიკითხე, მაშინვე ძმა გამახსენდა. ხომ მშვენივრად არის წათქვამი? ეს არასოდეს დამავიწყდება.

სახეზე ვარდისფერმა გადაჰკრა და დადუმდა. კარი გაიღო და შემოვიდა ლოყაწითელი კაცი, რომელსაც მოოქრული აქსელბანტებით დაფარული მუნდირი ეცვა. იგი უზარმაზარ ხმალს მოათრევდა. ზუკუჭა თმა გასთეთრებოდა, წვერი მხოლოდ ოდნავ შექადარავებოდა, სახე კი თითქოს ახალგაზრდული ჰქონდა. მოგვიახლოვდა. მადმუაზელ როსელის წინაშე მოწიწებით თავი დახარა, ვერმერშა და ბეკერს ხელი ჩამოართვა. მე გამეცნო:

— კომენდანტი პეშენი.

— ისაღილე, მოქალაქე კომენდანტო? — ჰკითხა ვერმერშმა.

— დიახ, რომიტანონ ყავა და კონიაკი! შეთქმულებას აწყობთ? როგორ არის საქმე? მშვენიერო ასულო, — მიუბრუნდა ქალიშვილს და უთხრა. — როგორ მოხდა, რომ ჩვენი გმირი აქ არ არის?

იგი საიდუმლოებით მოცული და მოფუსფუსე კაცი იყო, რაღაც თეატრალობა ეტყობოდა, რითაც მაშინვე მიმიზიდა. თავი ზვიადად ეპირა და ყველაფერს, რაც მის გარშემო იყო, აზვიადებდა. კიდევ ერთხელ ზედმეტჯერ განვიცადე სინანული იმისა, რაც ხშირად გულს ლახვრად მესობოდა: აღარ შემეძლო მაქსიმისტვის გამეზიარებინა

¹ რომელსაც ფიქრი შეჰხვია.

ჩემი ცხოვრების ეს წუთები, მერე მარი-როზის სახეს წარმოვიდგენდი და ვფიქრობდი:

— ოჰ! რა ძლიერ მეყვარები! ჩქარა ჩვენ გავთავისუფლდებით, გავიმარჯვებთ. ყველაფერი ეს მეტად მნიშვნელოვანია და მეტად მნიშვნელოვანი აღამიანების მიერ არის მომზადებული. შეუძლებელია, რომ არ გავიმარჯვოთ. ძალა, ხერხი, იმედი, მშვენიერება ჩვენთან არის. ის, რაც ასე გონივრულად იყო მოსაზრებული, უნდა აღსრულდეს. მაშინ; მარი-როზ, ერთმანეთი გვეყვარება! ჩვენ ვიცხოვრებთ, მარი-როზ! და გიბილავ ისეთსავე მშვენიერს, როგორც ეს ჩემ წინ მყოფი ახალგაზრდა ქალიშვილია, მასავით სპეტაკს და უმანკოს, მაგრამ უფრო... როგორ ვთქვა? უფრო რეალურს, შესაძლებელია, ჰო, უფრო რეალურს და აღამიანურს.

ჩვენ ვისადილეთ და კომენდანტ პეშენთან ერთად კონიასს ვსვამდით, მაგრამ მადმუაზელ როსელმა ახლა ჩვენს მიპატიებებაზე უარი გვითხრა და მხოლოდ ნახევარი ფინჯანი ყავა დალია.

— რიგო ვნახე, — თქვა კომენდანტმა პეშენმა.

— როდის? დღეს?

— მზაჟ არის.

— ჩვენ ეს ვიცოდით, — თქვა ვერმერმა.

— თქვენ ეს იცოდით? — შეეკითხა ღიმილით პეშენი და სახეზე უნდობლობა გამოეჩაბა. — მართლა? ნამდვილად? მაგრამ მე დღესაც კი მასთან დიდი ლაპარაკი მქონდა. რიგო ჩემი ძველი მეგობარია. ის, როგორც მე, ნამდვილი იაკობინელია, — მადმუაზელ როსელს მიუბრუნდა, ალერსიანად გაუღიმა და უთხრა: — თუმცა თქვენი ძმა მაინცადამაინც არ უყვარს, მაგრამ ნუ შეწუხდებით, რიგოსთან საქმეს მე მოვაგვარებ, ის ჩემს ხელთ არის. როდესაც დრო დადგება, რგილა როკეტში ჩაყრის ყველა იმ ხალხს, რომელსაც შეუძლია ხელი შეგვიშალოს. მაშ ასე, — განაგრძობდა და ვერმერს მხარზე ხელი დაჰკრა, — ეს ძალიან კარგი რამ არის, რომ „პერდიუშენი“ ჩვენთანაა. სამოცი ათასი ტირაჟი ხუმრობა არ არის! მე, ჩემო ძვირფასო ამხანაგო, მოგიყვანთ „აფრანშის“, დარწმუნებული ვარ პაშალ გრუხეც ჩვენთან იქნება...

— განსაკუთრებით თქვენი ბატალიონი გვჭირდება, — თქვა ბეკერმა. — ამით ქალაქის სასახლეს გავწმენდთ. მერე საყოველთაო აჯანყებას გამოვაცხადებთ. გენერლები თანახმა არიან. დომბროვსკის ყოველდღე ვნახულობ. ედი და ლა სესილია მოუთმენლობისაგან ტოკავენ. იცით, უკანასკნელად ფელიქს პიამ რა ჩაიდინა?

— ვრობლევსკი სხვა ადგილზე გადაიყვანა, — თქვა პეშენმა სიცი-
ლით.

— დიახ, ამან დიდი აურზაური გამოიწვია. პიამ განაცხადა, ამ
საქმეში მონაწილეობა არ მიმიღიაო. მაშინ მის მიერ ხელმოწერილი
ბრძანება უჩვენეს. სახე გაულურჯდა, მედიდურობა დაიწყო და მერე
გარეთ გავიდა, კარი მოახეთქა.

— ლიზე ძალიან გულმოსული იყო. — წამოიძახა მადმუაზელ რო-
სელმა. — თქვენც აღიარებთ, რომ ამას ბოლო უნდა მოეღოს.

— კარგი, — მოისმა მკაფიო ხმა, ჩვენ მახლობლად როსელის მა-
ღალი ჰილუეტი აღიმართა. მას სამოქალაქო ტანისამოსი ეცვა.
წელში გამოყვანილი სერთუკი. როდესაც მისი ქაბუკური სახე გამოჩ-
ნდა, ჩაღრმავებული თვალები, პატარა ახალაკოკრილი, მოქდალო ულ-
ვაშები, ჭკვიან შუბლზე გადავარცხნილი რბილი, მზზინავე ქოჩორი.
მადმუაზელ როსელს სახე გაუბრწყინდა.

— ლიზე, გიცდით, დაჯექი. ესენი ძალიან კარგად მეპყრობოდნენ.
მაგრამ მე არა ვარ დიდი პოლიტიკოსი და მგონია, მხოლოდ სისუ-
ლელე ვილაპარაკე.

— პატარას რა უყავი? — ჰკითხა როსელმა ღიმილით.

— სარას? ამ დროს მას უნდა ეძინოს. რასაკვირველია, მას სურდა
წამოყოლოდა, მაგრამ მე დასაძინებლად გავგზავნე.

როსელმა ხელი ჩამოგვართვა, ჩვენ გვერდით დაჯდა, მერე წარ-
ბეზი შეიჭმუხნა და თქვა:

— ბატონებო, აი რამდენიმე დღეა, რაც სამხედრო დელეგატად
დავინიშნე და ჯერ ვერაფრის გაკეთება ვერ შევძელი. ვერაფრისა.
უწინარეს ყოვლისა, მინდოდა არტილერიის რეორგანიზაცია. არტი-
ლერიის ცენტრალური კომიტეტი თათბირობს და არავითარ ბრძანე-
ბას არა სცემს. ცხენების ზეკვიზიცია, იარაღის მოგროვება, დეზერ-
ტირების დევნა, ყველა ამ ღონისძიების გატარება აუცილებლად მი-
მანდა, როგორც კი სამინისტროში დავინიშნე. ამ მიმართულებით
არაფრის გაკეთება არ მოხერხდა. არაფრის, არაფრის, არაფრის. ყველ-
გან წინააღმდეგობას ვხვდები. პია გენერლებს დეპეშებს უგზავნის. დამ-
ცინიან. მე არ გეხუმრებით. მინდა რამე გავაკეთო. ასე რომ არ იყოს,
განა ახლა აქ ვიქნებოდით? მე შემეძლო საკონცენტრაციო ბანაკში არ-
ხეინად ვყოფილიყავი ბაზენის არმიასთან ერთად, ჩემს ამხანაგებთან.
უკვე ნევერში იმაზე ვოცნებობდით, სამსახური მიმეტოვებინა. მაგრამ
ბოლოს და ბოლოს, როდესაც მსოფლიო ორად იყოფა, ხომ უნდა
იყო რომელიმე მხარეს? შენს პარტიასთან უნდა მიხვიდე. მე ვიც-

ნობდი რესპუბლიკელებს ან მათ, რომლებიც თავს ასე ეძახდნენ: დრო დადგა, მათ ვერსად ვპოულობ. ძალიან კარგია სწორედ! და მერე, როდესაც ქარიშხალი ჩადგება, ჩვენ თუ გავიმარჯვეთ, ისინი ჩვენთან იქნებიან. თუ დავეცით, ისინი ჩემს ცხელარს მონახავენ, რომ დროშად აღმართონ. მე მათ არ ვეკუთვნი, მე იმათგანი ვარ, ვინც იბრძვის.

— მაგრამ ჩვენ არ დავეცემით, ლიზე — ჩაიბუტბუტა მისმა დამ.

— იზაბელა, ყველაფერი უნდა. გავითვალისწინოთ და ყველაფრისათვის მზად უნდა ვიყოთ.

— შენ მხოლოდ ოცდარვა წლისა ხარ, — უთხრა დამ. — ოცდარვა წლისანი არ იღუპებიან. ეს შეუძლებელია. — და მერე დაუმატა, სულ ჩუმად, თითქოს თავისთვის თქვაო:

— დავითი ოცდაათი წლისა იყო, როდესაც ხევრონში¹ მკრინცხებულ იქნა.

იზაბელამ უეცრად თავი შეაქანა და როსელი ჩვენ მოგვიბრუნდა. ის რალაც ყინულოვანი, რასაც მასში ყოველთვის ვხედავდი, გალხვა და ახალგაზრდა, მომხიბვლელი გახდა.

— ბატონებო, — განაგრძო, — მე უყოყმანოდ იმ პარტიის რიგებში ჩავდექი, რომელმაც ზავს ხელი არ მოაწერა და რომლის რიგებშიც არ არიან კაპიტულაციის დამნაშავე გენერლები. იცით, დროებითი ზავის პირველ დღეებში ვედილობდი სხავეო ხელშეკრულებისგან განკუთრებას. ვედილობდი, თქვენც, მთელი პარიზიც ამით ავად იყო. პეშენ, შეიძლება თქვენი ბატალიონის იმედი ვიქონიოთ?

— ჩემო ძვირფასო ამხანაგო, — უბასუხა პეშენმა, — მხოლოდ დღის დანიშვნა არის საჭირო. ზეგ ქალაქის თვითმმართველობა გაიწმინდება. საზოგადოებრივი ხსნის კომიტეტის ხსნომა აღარ შესდგება. პიას თავის ბინაზე ჩავიგდებთ ხელში. ეს ძალიან სასაცილო იქნება!

როსელმა ყველას აღტაცებით გადმოგვხედა. მეც ძალიან კმაყოფილი ვიყავი, მაგრამ ბეკერმა თავისი გამვალტყავებული ხელი მხარზე დამადო, მეორე ხელი, რომელშიც ყოველთვის ჩიბუხი ეჭირა, ასწია და განაცხადა:

— დილის თერთმეტ საათზე აქ მყოფი მოქალაქე კიში მიიჭრება ქალაქის თვითმმართველობაში, ჯარს შეკრებს, მოითხოვს დომბროვსკისათვის ლასკარებსა და სხვა უსაქმურებს, დაფდაფის ცემით ისინი მოედანს ჩაივლიან, და ადგილს გაათავისუფლებენ. ამ დროს პეშენიც მოვა. მოწოდებებს ღამით მოვამზადებ, მე ვკისრულობ.

¹ ხევრონი — ქალაქია პალესტინაში, იერუსალიმის მახლობლად.

გული ამიძგერდა. ნუთუ ყველაფერი ასე მოხდება, როგორც გაითვალისწინეს, ასე უბრალოდ, ბუნებრივად? უეჭველად, რადგან არავინ იყო ისეთი, რომელსაც ბეკერზე უფრო მეტად ვენდობოდი. ვერმერშიც იწვევდა ჩემში ნდობას თავისი პოეტური, შშვენიერი თავით, გადავარცხნილი თმით, გრძელი უღვაშით, დაუდევრად გამოსყვნილი ჰალსტუხით, ცივი გამოხედვითა და ზღაპრული მქვერმეტყველებით. პეშენს კი თავისი თავის ისეთი რწმენა ჰქონდა, რომ მისი მოსვლა გამარჯვებას ნიშნავდა: ის ითვალისწინებდა ყოველნაირ შეპასუხებას, არაფერი გამოეპარებოდა, ყველაფერი წინასწარ იცოდა.

— ხვალ სამინისტროში შემოვივლი, — წამოდგა იგი და უთხრა როსელს.

მკლავები მოღუნა, მხრები ასწია, თვალგაბრწყინებულმა ყველამ მეგობრულად ჩამოგვართვა ხელი და წავიდა.

— ეგ კაცი არ მომწონს, ნამეტანი დიდებისმოყვარულია, — ჩაილულლულა როსელმა.

მისმა ნათქვამმა ძალიან გაგვაკვირვა.

— სწორედ ამიტომ არის იგი ჩვენთან, — თქვა ბეკერმა მშვიდად. იზაბელა როსელი წამოხტა.

— ბეკერ, თქვენ ფიქრობთ, რომ ჩემი ძმაც დიდებისმოყვარულია და აქ იმიტომ არის? თქვენ ასე ფიქრობთ?

როსელმა იზაბელა ხელის მოძრაობით გააჩერა და გაიღიმა:

— ამაზე მეტი ვილაპარაკოთ, — თქვა მან. — ვერმერშმა აიჩიმა ეს სიტყვა: „დიდებისმოყვარულობა, დიდებისმოყვარულობა, დიდებისმოყვარულობა...“ — გაიმეორა მთქნარებით. ყველას გადაგვაელო მახვილი თვალი, იმანაც დაგვეტოვა და გაზეთის გამოსაშვებად წავიდა. ბეკერი და მე მართო დავრჩით და-ძმასთან. ამ ორს შორის გაიმართა დიალოგი, რომელმაც ისე გაიტაცა ისინი, თითქოს მათს გარშემო არაფერი არსებობდა.

— მე ვფიქრობ იმაზე, რაც შენ ერთხელ ლონდონში მითხარი: „იცი, ჩემი „მე“ ჩემ მიმართ გულგრილი გახდა“. შენ მართლაც არღილივით დადიოდი. არა, ლიზე, შეუძლებელია ბრალი დაგდონ, რომ შენ შენი თავისთვის მოქმედებ.

— ჩემგან რაღა უნდათ? — ჩაილულლულა როსელმა, — როდესაც სამხედრო სამინისტრო გადმომოცეს, მთელი გამოცდა ჩამაბარებინეს. რატომ ხარ რესპუბლიკელი? დიდი ხანი არისო? გულწრფელი ხარო? ეს რომ სკოდნოდათ! მართალია, ჩემი „მე“ აღარ მაინტერესებს, მაგ-

რამ როგორ გავაგებინო ეს სხვებს? ჩემს „მე“-ში უნდა იყვნენ, რომ ნახონ, თუ რამდენად უდაბურია იგი.

ჩვენ მოგვიბრუნდა და განაგრძო:

— საჭირო იყო ჩემს გზას კვალდაკვალ მიჰყოლოდნენ. თქვენ იცით, ახალგაზრდა ოფიცრისათვის ეს უდიდესი საკითხია, ის მხოლოდ ამაზე ფიქრობს და ფიქრობს: ყოფნა თუ არყოფნა. „მე“ გექნება, თუ აღარ გექნება. ბონაპარტი თუ არაფერი. მე არაფერი ამოვიჩიე. ეს თქვენ გაკვირვებთ? მაგრამ ამაში დაწმუნებული იყავით: თქვენი შეთქმულება დაამყარეთ ისეთ ადამიანზე, რომელიც არაფერია. დამშვიდებული ხართ? მერწმუნეთ, გული გულს იცნობს.

— მეც გცნობ, ლიზე, — უთხრა იზაბელამ და ხელზე ხელი მოჰკიდა.

როსელმა მშვიდად ხელი გააშვებინა, ჩვენკენ დაიხარა, თვალი მოკვაპყრო. წყნარად გვითხრა:

— მე გეტყვით რაღაცას, რაც თქვენ ჩემს სრულ გულწრფელობას დაგიმტკიცებთ, რაღაცას, რასაც ვფიქრობ, და თუ ამას ვფიქრობ, ეს ნიშნავს, რომ გულწრფელი ვარ, ეს ნიშნავს, რომ იმ საზღვარს მივალწიე. დიახ, იცით, რა საიდუმლოება აღმოვაჩინე და საქვეყნოდ გამოვაცხადე? ისა, რომ ბონაპარტი გიყი იყო.

ბეკერს შევხედე, ჩიბუხი პირში ჰქონდა, თვალი ჰერისთვის მიეპყრო და იღიმებოდა.

— იგი გიყი იყო, — განაგრძობდა როსელი. — მაშინ დაირქვა ნაპოლეონ პირველის სახელი და გიჟურად მოირთო, ტაკიმასხარის ქული დაიხურა, უნდოდა მთელ მსოფლიოს გაეღმერთებინა. ვალენშტეინიც გიყი იყო, მაგრამ გიყი, რომელიც შიშისგან კანკალებდა და ფიქრობდა თავისი ბედი ვარსკვლავებში ამოეკითხა. თქვენ შილერი წაგიკითხავთ? გიყი უნდა იყო, რომ ადამიანთა საქმეებში ასე ჩაერო, თავი მოაბეზრო, საშინელი და საზიზღარი თამაშობანი ითამაშო. საზიზღარი! გიყი და მხდალი უნდა იყო! რადგან ყველა ეს ცნობილი სარდალი, ყველა ეს გმირი მხდალი იყო. აღგზნებული, მშიშარა ადამიანები, დაბალი ხარისხის კომედიანტები. იცით, ახლა რა ხდება? იცით, რას ნიშნავს ეს კომუნა, ეს უკანასკნელი ომი? ეს თაღლითების აღსასრულია. ეს თანასწორობის შეფობაა: ყველა ადამიანი თავის „მე“-სგან გათავისუფლდება და ბოლოს ადამიანი ხდება! თავისუფალი პიროვნებანი! დიახ, ეს თქვენ ხომ ერთიმეორის საწინააღმდეგოდ გეჩვენებათ? რასაც გეუბნებით, დადასტურებული ფაქტია, მაგრამ ძნელად ასახსნელი კი არის. იმის შემდეგ, რაც ჩემს „მე“-ზე

უარი ვთქვი, მას შემდეგ, რაც იქ პოლიტექნიკოს სტუდენტად ყოფნის დროს თავს ვუთხარი, რომ არასოდეს ნაპოლეონი არ ვიქნებო-მეთქი. მასავეთ დიდთავიანი, უზარმაზარქუდიანი. იმ დროიდან უფრო მეტად ვგრძნობ თავს ადამიანად. მომისმინეთ: ამ დილას მოწინავე პოზიციები დავათვალიერე. ვუტკეპრდი ამ ჯარს, რომელიც ჩამაბარეთ. ან რომელსაც ჩემი თავი ჩააბარეთ, დაკმუჭვნილ შარვლებს, ბინძურ ხალათებს, გრძელ ფარაჯებს, რომლებიც უხეშ ფეხსაცმალად ემუქებოდა.

რა ვქნა, მე არ შემძლია დავივიწყო, რომ ოფიცერი ვარ. რომ სამხედრო მეცნიერება შევისწავლე, რომ მასწავლიდნენ დისციპლინას. შეიძლება, უმჯობესია სხვა რამეს მოვიკიდო ზელი, ეს შესაძლებელია. მაგალითად, მუსიკას. ხომ გახსოვს, ბელა, ჩვენ რომ ოთხი ხელით ვუკრავდით „ფინგალის გამოქვაბულს?“ მშვენიერი უვერტიჟურაა. ეს სულ სხვა რამეა. ეს სამხედრო მეცნიერება არ არის. ამ საბრალოებს მაინც სასაცილოდ აცვიათ. მაგრამ მათს ბრძოლას გამართლება აქვს. ვუმზერდი მათ და ვფიქრობდი: „დიახ, ისინი მართალი არიან, რომ იბრძვიან, ისინი იბრძვიან იმისთვის, რომ ისეთი სუსტი, სურავანდიანი და ცარყენილი ბავშვები არა ჰყავდეთ, როგორც თვითონ არიან“. რადგან ისინი მართალი არიან, მეც მათთანა ვარ. მე იარაღი ვარ, — დაუმატა მან, წამოდგა და ხელი გამოგვიწოდა.

— აბა, — თქვა იზაბელამ და ადგზნებული თვალით მოგვაჩერდა, — თქვენ კიდევ ფიქრობთ, რომ ჩემი ძმა ცუდი კაცია? — როსელი ისევ დაჯდა და დას ხელზე ხელი მოჰკიდა.

— ჩემო კარგო მეგობარო, — ჩაილულულა ძმამ, — როგორ იტან-ჯები.

იზაბელამ დიდრონი, წათელი თვალები დახუჭა და ცრემლი გაღ-მოღვარა. ხელების გათავისუფლება უნდოდა, მაგრამ ძმას მაგრად ეჭირა და ცრემლი ტუჩებამდე დაუცურდა.

— ზოგჯერ, — ჩაიბუტბუტა იზაბელამ, — საშინელი წინათგრძნო-ბა მაქვს. როგორც მაშინ, როდესაც მეორე საინჟინერო პოლკი მონ-პელიეს გაემგზავრა. იმ წუთიდან იშვიათად თუ დადგებოდა ხანმოკლე დრო, რომ ჩვენი ოჯახი მთლიანად შეკრებილიყო. ოპ, როგორ იტან-ჯება, ალბათ, ახლა დედაჩემი! ნათლიაც! შენ ძალიან ახალგაზრდას გინდოდა ცოლის შერთვა. ყოველთვის ამაზე ლაპარაკობდი. ნეტავ, დადგება ისეთი დღე, რომ ყველა ერთად შევიკრიბოთ, თავი მოვიყა-როთ, შენი ახალგაზრდა ლამაზი ცოლითურთ, რომელიც ისე მეყვარება,

როგორც შენ ეყვარები მას. შეიძლება, შენი საბედო ამ წუთში სადმე ამ ქვეყანაზე არსებობს, ლიზე...

როსელი ადგა.

— ზეგამდე, — თქვა მან.

— ღიახ, ზეგამდე...

— თქვენ, — მომმართა მე, — სამინისტროში გნახავთ, ჩვენ კი დანარჩენ წვერილმან საკითხებს მოვაგვარებთ.

როსელმა და წინ გაუშვა, წელზე ნაზად მოხვია ხელი და წავიდინებ.

— გჯერა, რომ მართალს ლაპარაკობს? — კვითხე ბეკერს.

— თვითონ მას სჯერა, — მიპასუხა მან. — მაგრამ თავს ყველაზე უფრო წაკლებად უნდა/დაუჯერო. ასეთ თამაშს თუ ხელს მოვკიდებდი, იმის საშინელი შიში შემიპყრობდა, რომ უეცრად აჩრდილივით წინ ჩემი „მე“ დამიდგებოდა. მაშინ გეტყვოდი: „დაპკარ!“ ბოლოს და ბოლოს, როსელი იქნა არჩეული: ვნახოთ, რა მოხდება. მაგრამ წარმოიდგინე სხვა, ვინც გინდა იყოს!

— მაშ, შენ არავის ენდობი? ვერმერს, მაგალითად?

— მას? ეჰ! როსელს ვამჯობინებ, მას უაზროვნია მაინც. ვერმერში კი არ აზროვნებს. იგი ფიქრობს... ან ლაპარაკობს. და ამ ორ საქმეს არასოდეს ერთსა და იმავე დროს არ აკეთებს. შენ მას არ იცნობ: ის პოეტია, წერს, იგი სასოწარკვეთილია, ადამიანის ყველაზე უსაშინელები ტიპია.

— იგი მომხიბვლელია! — წამოვიძახე და წარბები ავწიე.

— ისინი, ყველა, ტეოდორ, ყულ დე რენონი არიან. ადამიანები, რომლებიც მოიწყენენ ხოლმე და თავიანთ სევდასთან ერთად გამოპყოფენ რალაც უცნობ ნივთიერებას, ამზადებენ, ფიქრობენ წარმოუდგენელს. მათთვის რევოლუცია ისეთივე წარმოუდგენელია, როგორც ღმერთი.

მერე?

— მერე? პირველი პრობლემა... მეორე პრობლემა... უკანასკნელი პრობლემა. სიკვდილი. ტყაც!

და თავისი დრდი ხელებით ბეკერმა მოხაზა უზარმაზარი სტიქიური უბედურება.

„აჟი-დიუ-ტამპლის ქუჩაზე გავედი. იქ მარი-როზი დამხვდა. მისათვის საკუქნაოს ერთ-ერთი გასაღები მჭონდა მიცემული, როგორც კი დასვენების საათები ექნებოდა, მარი-როზი ჩემს სანახავად მოდიოდა აქ.

სა იწვა. ეძინა. ჩემი შესვლა არ გაუგია, მაგრამ ლამაზ ავანთე თუ
აოა, თვალი გაახილა.

— შენა ხარ? — ჩაიბუტბუტა. — სიზმარი ვნახე, ცუდი სიზმარი:
გიცდიდი, შენ ყველგან დამეძებდი, ერთმანეთთან შეხვედრას ვერ ვა-
ხერხებდი. მოდი მალე ჩემთან ახლოს.

ლამბის სინათლეზე დაეინახე, რა ფერმკრთალი და დაღლილი სახე
ჭქონდა. ლაზარეთზე მელაპარაკა, თუ როგორ აწუხებდნენ დაქირლები.

— აი, ეს-ეს არის ვნახე ძალიან ლამაზი ქალიშვილი.

— მართლა? — ჩამკითხა მარი-როზმა და თვალები შემომმანათა.

— მაგრამ შენსავით ლამაზი მაინც არ არის.

— დამცინი... მე ლამაზი არა ვარ, ქვეყანა კი ლამაზი ქალიშვილე-
ბით არის სავსე, მე ეს ვიცი... ყოველთვის ვხვდები მათ.

სიცილი შემსკდა და ვაკოცე, უკან დაიხია და შეწუხებული სახი.
მკითხა:

— ხომ არ შეგყვარებია? ვინ არის? რა ქვია?

— იზაბელა. ამ სახელს ვალმერთებ. შინაურები ბელას ეძახიან. ხომ
შშვენიერია?

— ის ქალიშვილი, მართლაც ასე ლამაზია?

— მომხიბვლელია.

ჩვენ რომ სისულელეს ვლაპარაკობდით, გარედან თბილი წვიმის
მსხვილი წვეთების შხაპუნი მოისმა.

— გესმის! — ჩაიბუტბუტა მარი-როზმა. — წვიმს.

— ზაფხულის წვიმაა.

მესმოდა, როგორ შხაპუნებდა წვიმა ეზოს ქვაფენილზე. ვარდის-
ფერკრამიტის სახურავზე. ფანჯარასთან მივედი და ფარდა ავწიე.

— კიდევ ფიქრობ იზაბელაზე? — მკითხა მარი-როზმა.

ბაწოლთან დავბრუნდი, ტანთ გახდა დავიწყე, თან უუამბობდი იმ
შეთქმულებაზე, რომლის მონაწილეც ვიყავი. ამ ამბავს რომ ვუყვებ-
ბოდი, გული ისე ამიძგერდა, როგორც სადილობის დროს.

— თუ გამარჯვებით დამთავრდა, ეს არაჩვეულებრივი, არაჩვეულებ-
რივი ხომ მაინც იქნება! — წამოვიძახე!

— სუ!

— რა იყო? ვინ გაიგონებს? სახლი ცარიელია, ყველაფერი ვირ-
თაგვებს დარჩა. ეჰ! ახლა ჩვენ შეგვიძლია შეთქმულება მოვაწყოთ,
შეგვიძლია ვცადოთ იმის მოპოვება, რაც არასოდეს არავის მოუპოვე-
ბია. მაგრამ, მარი-როზ, ანუ მიმატოვებ, — დავუმატე და ლოგინის წინ
დავიჩოქე. — მე და შენ ხომ სამუდამოდ? სამუდამოდ...

მეორე დღეს დილით აღარ წვიმდა, საამოდ გრილოდა. პაერი მარი-როზის ლოყებზე ჩავსუნთქე, როდესაც ღია ფანჯარასთან ვიცვამდით. ერთად გამოვედით. მარი-როზი ლაზარეთში დავტოვე, მე სამინისტროსკენ გავეშურე.

როსელთან რომ შევედი, იგი დამშვიდებით გაზეთებს კითხულობდა. ხელი გამომიწოდა. გახსნილი და გაუხსნელი წერილები შაგიდაზე გროვად ეყარა. მოწყენილი თვალთ ეს ქაღალდების გროვა მიჩვენა და ჩაილაპარაკა:

— ყველას ჩაღაც უნდა. სასაცილოა!

რამდენიმე წერილი გადავიკითხე. ერთში ვიღაც გიყს ჩამოეწერა ყველა თავისი ხარისხი, დიპლომი, ორდენები და სტრატეგიულ გეგმას იძლეოდა... სხვა წერილებში ითხოვდნენ სამსახურს, ხარისხს, თამბაქოს, დუქნის გახსნის ნებართვას, ფულს, ზოგი როსელს ლექსს უძღვნადა. ვიღაცას კი ჰიმნი შეედგინა მარსელიოზას შესაცვლელად.

ლა კომუნეზი:

წინ გასწით, კომუნის შეილნო!
დაგვიდგა დღე დიდებისა.

— ეს უამრავი თხოვნა! — მითხრა როსელმა, აილო მყვირალა ქაღალდები და იატაკზე მიმოფანტა. — ჩვე დღეც არ არის, რაც მთავრობაში ვარ, ხვალ შეიძლება დამხვრეტონ, მაგრამ ისინი, ყველანი, მოვიდნენ ჩემთან. სურთ, რომ თავიანთი პატარა ამბები მიაშობონ ისე, როგორც უამბობენ დეპუტატს, მღვდელს, სენატორს და იმას, რომელიც ჩემ შემდეგ მრვა. ვინც უნდა იყოს იგი. ოღონდ სირმა ეკეროს. ყური დაუგდე, — დაუმატა და ხელში შემთხვევით მოხვედრილი წერილი აიღო. — მხატვარი ქალი მთხოვს, პატივი დავდო და ჩემი სურათი დავანატყინო. სამი სეანსი საქმარისი იქნება. სწორედ ამისთვის მცალია! როდესაც დამნიშნეს, მივიღე მოსალოცი ბარათები ძველი მეგობრებისაგან. უცნობებთანაგანაც და სენ-ჟერმენის გარეუბნისაგანაც. დიახ, მაღალი საზოგადოების აღამიანთაგან, რომლებიც ისე იქცევიან, როგორც იმ შემთხვევაში, როდესაც ვინმე ბატონს სადმე დანიშნავენ. ღმერთო, ჩემო! ბატონს, ეს ძალიან კარგია, რასაკვირველია, რადგან იგი დანიშნეს; ბატონს, რომლის მოკრძალებით მისალმება სასიქაღულოდ მიაჩნიათ... დიახ, კიშ, როდესაც გაიგებენ, რომ ვინმე ბატონს დიდი თანამდებობა მისცეს, გული აუთრთოლდებათ, მას იწონებენ... თვითონაც თავი მოსწონთ. ბარათს უგზავნიან, რადგან წარჩინებულმა უნდა იცოდეს, რომ თქვენც არსებობთ, რომ თქვენც პატივცემული

ადამიანი ხართ! აი, რაზე იკარგება დრო: მთელი ამ სიბინძურის კითხვა! თქვენც, შეიძლება, ერთ წამს გულში გაივლეთ, რომ მე ეს მართობდა! — წამოიძახა, გაწითლდა, საყელოში ხელი მტაცა, — შენ, გამოჩერჩეტებულ! შეიძლება, შენც, შენც გინდა რამე.

არ შევრხებულვარ და ღიმილით შევხედე. იგი დამშვიდდა. მაგიდასთან მივიდა, პენსნე მოიხსნა და თვალები მოიფშვნიტა.

— ვიმუშაოთ, — მითხრა, — იცით, რა შემატყობინეს?

— რა?

— ლეგიონების უფროსებს აჯანყება განუზრახავთ.

— ვის წინააღმდეგ?

— ჩემ წინააღმდეგ.

— ჩვენ უნდა დავასწოროთ.

— უყურეთ, — მითხრა და წამოდგა, ფანჯარასთან მიმიყვანა. — მე მათ ველოდები.

ეზოში ჯარისკაცების ოცეული იდგა. თოფი ფეხთან ჰქონდათ დაშვებული. ზოსელი მწარე ღიმილით დაატყერდა მათ.

— მერე?

— როდესაც ლეგიონების უფროსები მოვლენ... სამწუხაროდ, მზად არა ვართ. პეშენის გაფრთხილება ვერ შევძელი. რა კარგი შემთხვევაა! ხვალამდე ლოდინი არ დაგვჭირდებოდა.

ფანჯრებში რამდენიმე თავი გამოჩნდა. ლურჯი ცა დაგვეურებდა. ჰაერში გაზაფხულის მუსიკის ტალღა ლივლივებდა, და მე ღილინი დავიწყე. მერე უეცრად გული ძლიერ ამიძგერდა. როდესაც ვფიქრობდი იმ შეთქმულებაზე, რომლის მონაწილე ვიყავი, სეცდა შემიპყრობდა, კვლავ მსურდა ღილინი. ეს დილა, ვგრძნობდი, თითქოს გრძელი და არაჩვეულებრივი უნდა ყოფილიყო. ეზოში აქსელბანტებიანი და სამხრებებიანი ოციოდე კაცი შემოვიდა. მათი ხმლები ქვაფენილზე რაწყუნებდა.

— გამარჯობა, ბატონებო! — დაუძახა როსელმა. — დიდ გამბედაობას იჩენთ.

ზევით ამოიხედეს და გაჩერდნენ. როსელმა თითოთ ოცეული დაანახა.

— ხომ არ გინდათ თქვენი თავი დავახვრეტინო?

— მაგრამ, მოქალაქე დელეგატო, — თქვა ფარაჯის ჯიბეში ხელებჩაწყობილმა ერთმა უფროსთაგანმა, — ეს არ დაგვიმსახურებია... ჩვენ შოვდივართ იმისათვის, რომ ნაციონალური გვარდიის ორგანიზაციასე მოგელაპარაკოთ... ეს თავხედობად არ უნდა ჩაგვეთვალოს.

— კარგი რამ არის ეს თქვენი ორგანიზაცია!

— ჩვენ მზალ ვართ შევისწავლოთ ახალი პროექტი... თქვენი დასტურით, მოქალაქე დელეგატო... ჩვენ მგონი, გვაქვს მსჯელობის უფლება...

როსელმა მხრები აიჩეჩა.

— ოცული წაიყვანეთ, — დაიძახა მან. — თქვენ ამოდით! დღეს კერაფერს გვაყენებთ, — მითხრა. — მაგრამ ხვალ დიდი ამბების დღე გვექნება. როგორც შევთანხმდით, თქვენ ქალაქის თვითმმართველონაში იქნებით.

დერეფანში ოფიცრების ფეხის ზმა მოისმა. კარი გაიღო.

— დამტოვეთ ამ ბატონებთან, კიშ, თქვენს საქმეს შეუდევით. ხვალამდე ზომ?

ჩემს კანცელარიაში დამხვდა ერთი პატარა კაცი.

— ვინა ხართ? — ვკითხე მას.

უცნაურად შემომხედა, — მეგობრულად, თან ფარისევლურად, სიტყვებს სანახევროდ ყლაპავდა, თითქოს ჩვენ საიდუმლოება გვქონოდა.

— მოქალაქე კიში ბრძანდებით? — მითხრა. — თქვენ მე არ მიცნობთ. პოლიციის პრეფექტურამ თქვენთან დავალება მომცა. მოქალაქე რიგომ დამავალა გითხრათ...

— მე მზალა ვარ მოქალაქე რიგოსთან გამოვეცხადდე, თუ მას რაიმე სათქმელი აქვს...

— მოქალაქე რიგო ძალიან მოუცლელია. მაგრამ მან ყველაფერი იცის.

— რა იცის?

— გვიბრძანა, პეშენს თვალყური ადევნეთო. იგი ვერსალის აგენტია. ოჰ! თქვენ ეს არ იცოდით? პეშენი, შოდე, იეზუიტები...

ხელი ოდნავ ჩაიქნია, თითქოს იმის სათქმელად: ისინი, ყველა, ერთ ჭკუფს ეკუთვნიანო.

— თუ პეშენი... — კვლავ ჩაილაპარაკა ცხვირში.

— თუ პეშენი საეჭვოა, რატომ მოქალაქე რიგო არ აპატიმრებს?

— ამასაც არ დააყოვნებს. მაგრამ რიგომ მოისურვა ჯერ თქვენ გაეფრთხილებინეთ.

— მე გაეფრთხილებინე?

— თქვენ პეშენს ხშირად ნახულობთ. მოქალაქე რიგო თქვენ გულწრფელად აღამიანად გთვლით...

— იგი მე არ მიცნობს. თქვენ კი ვინა ხართ? ვინ მიდასტურებს, რომ თქვენ. მოქალაქე რიგოს გამოგზავნილი ხართ?

პატარა კაცმა ჭიბიდან ამოიღო პრეფექტურის დელეგატის მიერ ხელმოწერილი, გაქონილი საშვები, მერე დაუმატა:

— რასაც პეშენზე გვეტყვიო, ყველაფერი გამოგვადგება. ჩვენ ცნობები გვჭირდება.

— თქვენი არაფერი მესმის, — ვუთხარი მაშინ. — გთხოვთ წახვიდეთ.

— როგორც გნებავთ, — მითხრა პატარა კაცმა და გაუჩინარდა.

ვაოცებული დავრჩი, მერე მიხდოდა იმ კაცს დავწეოდი, დამეძახებინა, ვინმე გამედევნებინა. გვიანლა იყო. ანგარიშმიუცემლად ჩემს მაგიდაზე დაყრილი წერილების გახსნას შევეუდექი და პაპიროსს პაპიროსზე ვწევდი. ვილიოში შემოვიდა, მერე ბეკერი. მათ უკამბე ის, რაც აი ახლა შემემთხვა. ჩემი დაბნეულობის გამო დამცინეს.

— მე ვფიქრობდი, რომ რიგო ჩვენთან ერთად იყო, — ვუთხარი მათ ჩუმად.

— დიას, — თქვა ვილიომმა. — ჩვენთან არის, მე ეს ვიცი:

— მაშინ ის ჯაშუში ვინ მომიგზავნა? რა უნდა ჩვენგან?

— რატომ გაუშვი, სულელო?

მეორე დღეს დანიშნულ საათზე ქალაქის თვითმმართველობის წინ გამოვცხადდი. დომბროვსკის წერილი და როსელის ბრძანება ჭიბეში მდო. თავი აღელვებულად მოვაჩვენე და პირველსავე შეხვედრილ გუშაგებს ვკითხე:

— ჩქარა ვინმე! მოქალაქე დელეკლუში, მოქალაქე ფელიქს პია! გადაუდებელი საქმეა! მალე!

ერთი აურზაური შეიქნა ეზოში, კიბეზე. მე წინ გამიშვეს, დავინახე ტალახში მოსვრილი ოფიცერი, უკმაყოფილო სახით.

— რა გინდა? — მკითხა მან.

IV

მაშინ დაიწყო ეს არეული, სრულიად გაუგებარი ამბები. ამ ამბებზე მერეც ხშირად მიფიქრია, თავს ვეკითხები, ამის შესახებ დავწერო თუ არა, გარკვეული გამოხატულება და რეალობა მივცე, თუ კომუნის ისტორიის მოყოლა სხვებს მივანებო ისე, როგორც გაიგეს, როგორც მისი დანახვა და მიხვედრა შესძლეს. ვიცი, იმ დღით უზმად აბსენტი გადაეკარი ჩემს მეგობარ მეკარესთან ერთად და ცოტა გავ-

ბრუვდი. უფრო გაბედული რომ ვყოფილიყავი, მერე კიდევ ორი ჭიქა მაზაგრანი¹ დავაყოლე. ცოტა თავი მიბრუნდა, და მეგონა, სიზმარში ვიყავი. ჩემ გარშემო ყველაფერი გრიგალისებურად ირეოდა. მე ვიცი აგრეთვე, ჩვენ: როსელმა, ვერმერშმა, ბეკერმა, პეშენმა რა გადაწყვიტეთ. ისინი აჩრდილები კი არ იყვნენ, ნამდვილად არსებობდნენ, ეს ჩემში ექვს არ იწვევდა. ვიცი, ეს დილა ამოირჩიეს, რადგან ფელიქს პია ქალაქის თვითმმართველობაში არ უნდა ყოფილიყო. იმის ნახვას რომ ვითხოვდი, თავს ვისულელებდი. როგორც კი მძის სახელი წარმოვთქვი, ტალახით მოსვრილმა ოფიცერმა ხმამაღლა, როგორც კი შეეძლო, დაუძახა მას, იგი მაშინვე გამოჩნდა.

— მოქალაქე პია, — ვლულულებდი, — მოქალაქე პია... სამხედრო სამინისტრო გადაჭრით მოგმართავთ... რამდენადაც კი შეიძლება მოგროვეთულ უნდა იქნას ადამიანი და იარაღი და ყველაფერი ნეიში გაიზავნოს. ბრძანებები თანა მაქვს.

— რაო? — თქვა პიამ. — ეს როგორ? წინასწარ არ უნდა ვიმსჯელოთ? ეს ოფიცრები დაგვეცინიან, — უთხრა მის უკან მდგომ პირებს.

პია იყო დიდი, წელგამართული, დილში ოქრომკედით მოქარგული როზეტი გაეკეთებინა, სამხრეთული კილო ჰქონდა. სამხედრო ხელისუფლების წინააღმდეგ გრგვინავდა და ჯარში კომისრების ღანიშენას მოითხოვდა.

ოფიცერმა ქალაქლები გამომართვა, გასიწჯა, წვერი აიჩეჩა და თქვა:

— კარგი. მე ჩემს ბელვილელებს მოვაგროვებ. საშინლად დაღლილი არიან, მაგრამ, რადგან პოლონელი ითხოვს, მივეყვანთ. საჭიროებას არასოდეს გავქვეყვიარ. ისეთებიც გვყავს, რომლებიც ამასვე ვერ იტყვიან. შენ, — მიმართა პატარა გამხდარ კაცს, თავით ფეხამდე მოსირბულს, — განგაშით მოუხმე შენს ლასკარებს. მეტუყვე! მოუხმეთ!

ბუკის ხმა გაისმა. ამ დროს პია და მისი ამხანაგები მოქარულ დარბაზში შეიჭრნენ ყაყანით. მე ტყვიისფერ, მინებიან დერეფანში აღმოვჩნდი, რომელიც მოედნისკენ გადიოდა. ერთი ფანჯარა გავაღე: დაბლა, ზარბაზნების პარკში ფანტასტიკური არეუდარევა მეფობდა. ბატალიონები იკრიბებოდნენ, ოფიცრებს ხმა უწყდებოდათ ღრიალით, იძლეოდნენ ბრძანებებს, რომლებსაც არავინ ასრულებდა. ამას მეტუყეთა საშინელი კაკაფონია ერთვოდა.

უეცრად მოედანი დაცარიელდა. დაცარიელდა დერეფანიც, სადაც

¹ მაზაგრანი — გამაგრილებელი სასმელი, რომელსაც წყლით, შაქრით და ყავით აკეთებენ.

მე ვიყავი. მხოლოდ ერთ ჯარს უკან ლაპარაკი ისმოდა. ერთმა ჯარისკაცმა ჩაიარა ნელა, რაღაცას ღეჭდა. ცალ ხელში ბოთლი ეჭირა, მეორეთი თოფს მიათრევდა, თვალზე ბინდგადაკრული მთვარეულივით იცქირებოდა. მან ყრუ ხმით მითხრა: „სალამი“. ისეე დავხედე მოედანს. ზარბაზნებს შორის პატარა ბიჭები თამაშობდნენ. ერთ მათგანს პოლიტი ერქვა. სხვები ეძახოდნენ:

— პოლიტი! ეი! პოლიტი!

ვფიქრობდი, აი ახლავე გამოჩნდებიან პეშენისა და მერე სხვა შეთქმული კომენდანტების ბატალიონები. მე ხელმანდილით ნიშანს მივცემდი. ისინი მოედნის გასასვლელებს ჩაჰკეტავდნენ. მერე როსელი გამოჩნდება თავისი მომხრეებით. ქალაქის თვითმმართველობაში შეიკრიბოდნენ, კიბეს ამოვილიდნენ, მათ შესახებედრად წავიდოდი. ჯარისკაცები დარბაზებში შემოვიდოდნენ. აივნიდან ახალ მთავრობას გამოაცხადებდნენ, მის წევრებს, და მათს მეთაურს გენერალ როსელს დაასახელებდნენ. ფანჯრის კიდე მუცელს მტკენდა. ფრჩხილებით ქვას ვფხაჰნიდი, შუბლზე ოფლით დამეფარა.

ბიჭუნები ჩიტებივით თამაშობდნენ. თითქოს მასთან სულ ახლო ვყოფილიყავი, ისე ვხედავდი პოლიტს, მის პაპიე-მაშეს სახეს, სულელურ სიცილს, ყვითელფოჩიანი წითელი ქუდიდან შუბლზე ჩამოშლილ თმას. ზუავის ჟილეტი ეცვა და ამით თავი მოსწონდა. შავ-ზოლიანი რუხი შარვალი ძალიან მოკლე ჰქონდა და ჯარისკაცის უზარმაზარი უხეში ფეხსაცმლიდან გამხდარი ტიტველი გოჯები მოუჩანდა. „ნეტავ არ მოჰქლან! — ვფიქრობდი. — ტყვია ხომ ბრმაა“.

მაწანწალები მოვიდნენ, ტროტუარზე ჩამოსხდნენ, ჩანთებიდან პუჩის ყუა ამოიღეს: „ეს კარგია!“ — ვთქვი ჩემთვის. როდესაც რაიმე ამბავი მზადდება, საიდანაც მანქვა-გრეხით ეს სათოკე ბრბო გაჩნდება. ზოცვა-ჟლეტის მომწყობნიც აი აქვე არიან, საგუშაგოზე.

ყველაფერი კარგად არის. მართლაც, ყველაფერი კარგად იყო, ყველაფერი ხელს უწყობდა იმ ამბავს, რაც უნდა მომხდარიყო. წუთი და მრედანზე ხიშტები აბზინდებიან, პოლიტი ფანრის ბოძზე აცოცდება, წითელ ქუდს დაიქნევს და ბუმბერაზული მარსელიოზა დაიგრიალებს. ინეთი, როგორც 28 მარტს გრგვინავდა. „დღეს რა რიცხვია? რვა მაისი. კიდეც ერთი ისტორიული თარიღი. ილაპარაკებენ რვა მაისზე“... ასე, მარსელიოზას მარსელიოზა შესცვლის, აღტყინება აღტყინებას, ისტორიის მწვერვალებს მივალწევთ, სადაც ძალის გამოყენება საჭირო აღარ იქნება. ლაპარაკს მოვეყვი, თითქოს ქვემოთ ამ უძველეს ქვებზე მჯდარ მაწანწალათა. შორის ვიყავი. მაწანწალებმა

გადაიტანეს ყველა უბედურება, ომი, ალყა, შიმშილი, კიარი, აჯანყება აჯანყებაზე, გააფთრება გააფთრებაზე და ახლაც მზად იყვნენ, ჩავარდნილი მკერდიდან რომ ახალი ყვირილი აღმოეხეთქათ, უკანასკნელი ყვირილი, უსაბულო... საათმა ნახევარი დაჩეკა. შორს ზარბაზნის გრიალი გაისმა. „უყურე! დღეს ამის მეტად არ გავგიგონია“.

უეცრად ძველებურად დავიწყე შფოთვა. რას შერებოდა პეშენი? მისი ბატალიონები რატომ არ მოვიდნენ? სად იყო როსელი? იქნებ გადატრიალება ჩაიშალა. დამიკერენ და მარი-როზს ველარასოდეს ვნახავ. იგი დარჩება მარტო, მარტო, პარიზის მეორე მხარეს. ვის მიაპყრობს მაშინ თავის კარგსა და მშვენიერ თვალებს? როსელსაც დააპატიმრებენ. როსელის და იზაბელა ჰასოწარკვეთილი იხეტიალებს; იგი შეხედება მარი-როზს, და ორივე მხოლოდ იმითომ იტოცხლებენ, რომ ჩვენ მოგვიგონონ. ჩვენ კი, როსელსა და მე, სხვებს, რას გვიზამენ? შეიძლება მათ თავს უშველონ, ან მე ვერაფერს გავიგებ, თუ რა ბედი ეწიათ. მე აქ დამაპატიმრებენ, 'ამ ნათელ და ახმაურებულ დერეფანში, და ჩემს ცხოვრებას დავასრულებ წარმოუდგენელ მარტოობაში. სევდამ შემიპყრო. იმის მსგავსმა სევდამ, როგორიც იპყრობს აღაშიანს ახალ სამსახურში მოწყობის პირველ დღეს. როცა ჭერ კიდევ სამუშაოს არ შესჩვევია, როცა ჭერ კიდევ არ იცნობს თავის უფროსებს. ისინი ჰაშინლად ერჩენებიან, ყველაფერი ეუცხოება, დღე გრძელდება, შიშით მიიწევს წინ ამ უღაბნოში. კარს უკან ყურს ვუგდებდი უფროსების ხმას. თავისუფალ მოედანს ვუცქეროდი, ახალი მშფოთვარე დღის მზეზე მშვიდად რომ თბებოდა. ცხედადი ბავშვებისა და ჩიტების თამაშს, მაწანწალების დინჯ მოძრაობას, ზარბაზნების ბრინჯაოს ბზინვას. დროის დაუსრულებელ დუმილს, რომელსაც ნამდვილად უჭერეტი და რომელიც ავითონაც თვალს არ მაშორებდა. ამ დროს ჩემ უკან დერეფანი ადამიანთა ხმებით აივსო. კარი გაიღო. ფელიქს პია გამოჩნდა, მას კომუნის სხვა წევრები და ახმაურებული მთელი შტაბი მოჰყვებოდა. მათ შორის იყო დელეკლუზი; რომელსაც ზველებით მკერდი უსკდებოდა. ყვიროდნენ:

— საზოგადოებრივი ხსნის კომიტეტის კონტროლი... კომიტეტის კონტროლქვეშ...

— როსელი არასოდეს დათანხმდება.

— მაშ გადადგეს!

— ელმარის სადგური, აი სტრატეგიული წერტილი!

— დიქტატურა, არასოდეს.

გვერდით ჩამიარეს. ვერ დამინახეს. მათ ვერც კი წარმოუდგინათ,

რომ ჩემი გეგმა მეც მქონდა. ამ სიტყვების, ინტერესებისა და პატივ-მოყვარეობის აღრევაში მეც ვეძებდი გამოსავალს. მაგრამ ვგრძნობდი, წყალში ვიზრჩვებოდი. მათ საომრად აღჭურვილი, ზურგზე ჩანთამოკიდებული ჯარსკაცები მიჰყვნენ. თოფის ლულაზე ხიშტები გაეკეთებინათ. ამ ვიწრო დერეფანში ჯოჯოხეთური ხმაურობა ატეხეს. ბრბომ გამიტაცა. ჩიბუხისა და ზახვის სუნით კინალამ გამგუდეს. არ ვიცი, როგორ მოვხვდი სენის ნაპირას, მოაჯირზე დახრილი. საათმა თორმეტჯერ დარეკა. ჩაიარა ზარბაზნიანმა ნავმა, რომელსაც ბანჯგელიანი მეზღვაურები შართავდნენ. ერთი მათგანი იჭდა და წელზე ხელი მოეხვია წითელზედატანიან ქალიშვილსათვის, რომელსაც მეზღვაურის თეთრი ბერეტი გვერდზე დაეხურა. ქალიშვილი ხმამაღლა რომანსს მღეროდა. მე იქ დავრჩი, სანამ ზარბაზნიანი ნავი ხიდებქვეშ მიიმალებოდა. მერე სამხედრო სამინისტროსკენ გავიქეცი.

იქ დიდი არეულობა დამხვდა. როსელი არ იყო. წინა ოთახებში ღრიანცელი იდგა.

ბოლოს ბეკერის მოუხეშავი სილუეტი შევნიშნე და მისკენ გავიქეცი.

— რა ხდება? — შევძახე მას.

გაკვირვებით შემომხედა, მე დავიხიე.

— მაგრამ ბოლოს, — ჩავილულულე. — ამ დილას არ იყო?..

ბეკერმა თითი ტუჩებზე მიიდო და გარეთ გამიყვანა.

— როსელი სად არის? — ვკითხე მამინ. — პეშენი რატომ არ მოვიდა? მთელი დილა ქალაქის თვითმმართველობაში გავატარე.

შხრები აიჩეჩა და არაფერი მიპასუხა.

— როსელის ნახვა მინდა, — დავიძახე შე.

ბეკერი მიკიტანთან წავიყვანე, ვისთანაც ამასწინათ „პერ დიუ შენის“ ხალხთან ერთად ვისადილე. დარბაზი ცარიელი იყო. შე კი ბეკერს კითხვებით არ ვეშვებოდი. ბოლოს მან მიპასუხა:

- - კარგი, ყველაფერი ეს სხვანაირად მოეწყობა.

— სხვანაირად?

იუსტები მოვკუმშე.

— ბოლოს და ბოლოს, სასაცილოდ ამიგდეს.

— შენ? შენ რატომ?

— შე გავაკეთე ყველაფერი, რაც მითხრეს. ბრძანება შევასრულე. რატომ სხვებმაც იმდენივე არ გააკეთეს? სად იყავი ამ დროს, ფილოსოფოსო? როსელიც, სულ რომ ბონაპარტსა და შილერზე მსჯელობს? რა მოხდა? რას ნიშნავს ყოველივე ეს?

ბეკერს საშინელი სიცილი აუტყდა და ჩიბუხს ცეცხლს უკიდებდა. ჩიბუხნი ხელიდან გამოვგლიჯე.

— ხედავ, — ვუყვიროდი მას, — მე კეთილსინდისიერი ვარ.

— ეჭამოთ რაჲმე, — მიპასუხა. — მერე როსეელის სანახავად გავეშუროთ. დამიბრუნე ჩიბუხნი.

— რა მოხდა?

— არაფერი მომხდარა.

— რატომ?

— პეშენი მოკვდა.

— ძოკვდა?

— დიახ, ნეიში ყუმბარამ მოჰკლა.

— არ შეგეძლო ეს მაშინვე გეთქვა?

— დარწმუნებული ჯერ არა ვარ.

სამიკიტნოში წავისაუზმეთ და ბევრი ვსვით. საუბრის დასასრულს მთვრალი ვიყავი. „მეორე შეთქმულებას მოვაწყობთ, — ვფიქრობდი ალტაცებული, — და ეს შეთქმულება გაიმარჯვებს“.

— ხომ, ბეკერ?

— რაო?

— ხომ განვაახლებთ.

— განვაახლოთ, რადგან ვერაფერი გავაკეთეთ?

— ოჰ! მოთმინებას მაკარგვინებ!

ყაესთან ერთად რამდენიმე სირჩა კონიაკი გადავკარი და საშინელმა სურვილმა შემიპყრო სამინისტროში წასვლამდე ლაზარეთში წავსულიყავი მარი-როზის სანახავად, მაგრამ ბეკერმა მითხრა:

— მე დომბროვსკის სანახავად მივრბივარ. შენ კი როსელთან გაიქეცი.

— რა ვუთხრა?

— რაც გინდა.

— შარი-როზის ნახვა მირჩევნია.

— როგორ? — წამოიძახა ბეკერმა. — ყური შეთქმულების ამბით გამომიჰყედე და მარი-როზის ნახვისთვის ახლა გინდა ყველაფერზე ხელი აიღო! აბა, როსელთან გაიქეცი.

— კარგი, — ვუთხარი.

სამხედრო სამინისტროსკენ გავწიე. ერთი დერეფნის ბოლოში თითქოს ის პატარა-ჯაშუში დავინახე, რომელსაც გუშინ ველაპარაკე. მაგრამ შემეშალა. გვერდით შიკრიკმა ჩამიარა. მას ვკითხე:

— მოქალაქე დელეგატი მოვიდა?

— ჯერ არა, — მითხრა შიკრიკმა.

ჩემს კანცელარიაში შევედი. მაგიდაზე წერილები დამხვდა. ერთი მათგანი ოხვრით გავხსენი და წავიკითხე. ერთი კმარმოკლული ქალი წერდა, დახმარებას ითხოვდა. მეორეც წავიკითხე: ვილაც კანტორის მოხელე გეგმას გვიდგენდა, კონდეს ჯარს ზურგში როგორ მოვქცეოდით და ვერსალს როგორ მოგვეწყობოდა. გაბრაზებულმა თანმიმდევრობით გავხსენი ყველა დანარჩენი წერილი. ზოგი უჭრულა ქალაღზე იყო დაწერილი, ზოგი შესანიშნავ ვენზელიან ქალაღზე. ლექსებიც შემხვდა, დამამცირებელი თხოვნები, შეცდომებით სავსე, ლანძღვა-გინება, დასმენა. რატომ არის, — კითხულობდა ვილაც, — რომ ყავახანებში ხელზე მოსამსახურე ბიჭები ნაციონალურ გვარდიაში არ არიან? როგორ ითმენენ, რომ ზემოთდასახელებული მასო, ეს სიმულანტი, იმის მაგივრად, რომ თავის ამხანაგებთან, ერთად ჯარში იყოს, მთელ ღლებს თავის დანიშნულთან ელაღისთან ატარებს, სენსოვერის ქუჩაზე, № 43? და ბერძნული ცეცხლი? როდის გამოიყენებენ მას, ბოლოს და ბოლოს, ბერძნულ ცეცხლს? ყურები მიწიოდა. კონვერტები კალათაში ჩავყარე, წერილებს ჩემ წინ ერთიმეორეზე ვაწყობდი, მზრუნველობით ვასწორებდი. ამ დროს კი უაზრო უძიებლობა ცოფს მგვრიდა.

უცბად წამოვხტი ახალგამოდვიებულივით. „როსელი აქ უნდა იყოს“, მისი კაბინეტისკენ გავეშურე. იგი, მართლაც, იქ იყო, ბოლთასა სცემდა. ირგვლივ, კედლებთან მსხდომი ლეგიონების უფროსები, რომლებსაც ხმალი ფეხებშუა მოეთავსებინათ, ხმამაღლა კამათობდნენ. კომუნის ერთი წევრი, რომელსაც არ ვიცნობდი, ისიც ფეხზე იდგა, ფანჯარასთან, დილკილოში წითელი როზეტი ჰქონდა გაკეთებული.

— მე ეს ვიცი, — ამბობდა როსელი, — მე ძალები არა მყავს. — მე ეს ვიცი. მეტად, ვიღრე ოდესმე. — გაიმეორა და შემომხვდა. — მაგრამ არც თქვენა გყავთ, რა? რას ამბობთ? თქვენი ჯარები... კარგი. მიჩვენეთ თქვენი ჯარები. მას შემდეგ, რაც აქა ვარ, ისინი ჯერ არ ძინახავს.

— რატომ არ ეცადეთ გენახათ? — დაიძახა ერთმა მეთაურმა...

— რატომ თქვენი პირობები არ წამოაყენეთ, როდესაც სამხედრო სამინისტრო ჩაიბარეთ? — დაიძახა მეორემ.

— ახლა გიყენებთ. აი, ახლა მინდა ვცადო უკანასკნელად ყველაფრის გადარჩენა, უკანასკნელად... მინდა მთელი ძალები ისისკენ მივ-

მართო. მერე მოვილაპარაკოთ. ზვალ დილით თერთმეტ საათზე, კონკორდის მოედანზე მომიყვანეთ თორმეტი ათასი ჯარისკაცი.

— კარგი! — დაიქუხა მეთაურმა და როსელს სიძულვილით მიაჩერდა. — მოვიყვან. მივდივარ ჩემი ხალხის შესაყრებად, ჯანდაბას!

— ასე, იმედი კიდეც უნდა ვიქონიოთ, — თქვა როსელმა და დაღლილი მაგიდას მიუჯდა. უფრო ჩუმად დაუმატა: — კიდეც ერთი დღე... კიდეც ერთი დღე. ეს უკანასკნელი ვადაა... კიშ, თქვენ წადით. არ მჭირდებათ, ზვალ თერთმეტ საათზე კონკორდის მოედანზე მოხვალთ.

გამოვედი დაბნეული, ჩემს კანცელარიაში დავბრუნდი, მაგრამ როგორც კი კარი გავაღე, დავინახე წერილები, წერილების გამაბრუნებელი მთა, ზიზლით უკან დავიხიე, კარი მიეხურა... დერეფნებში, კიბეებზე, სამინისტროს ეზოში საქმიანი ხალხი ფუსფუსებდა. მე მხოლოდ, მე არ ვიცოდი, საით წავსულიყავი. როდესაც შენობიდან გამოვიდოდი, თაღქვეშ კიდეც შევნიშნე ჯაშუში. ჰწორედ ის იყო, როგორც ეტყობოდა, მე მიცდიდა, მიღიმოდა, ხელები ზურგზე დაეწყო, მისკენ გავეჭანე:

— ო, ჩაგვადეთ ხელში? — ვუთხარი.

— როგორ, თქვენ ჩამიგდეთ?

— დიას, მეტყვიეთ თუ არა ბოლოს და ბოლოს, ვინა ხართ და ჩემგან რა გინდათ.

— მე, მე არაფერი მინდა, ეს მოქალაქე რიგოა, რომელსაც...

— კარგი, შეიძლება მისი ნახვა, მოქალაქე რიგოსი?

— მე უკვე გითხარით, რომ ის ძალიან დაკავებულია, მაგრამ თუ თქვენ მოხთხოვთ...

— მოვითხოვ.

— თუ ასე გინდათ ინახულოთ პოლიციის პრეფექტურა! კარგი, მომყევით.

პოლიციელმა ქუდი ჩამოიფხატა და სტვენა დაიწყო. სენ-ჟერმენის ბულვარისკენ გავწიეთ. ეტლმა ჩავვიარა. ჩავსხედით. მთელ გზაზე არც ჯაშუშს, არც მე სიტყვა არ გვითქვამს.

ორეფექტურის ეზოებში ხალხი ფუსფუსებდა. უნდა გაგვევლო თოფების ჯოჯგინებსა და ქვაბებს შორის, საიდანაც სადილის ოწვივარი ამოდოდა. მერე კიბეები, წინკარები, სადაც ძახილი, გინება ისმოდა.

— აქ დაიცადეთ, — მითხრა ჯაშუშმა და ერთი კარის წინ სკამზე დამსვა. იმავე დროს გულშაგს ანიშნა, თვალი გეჭიროსო.

— მშვიდად იყავით, — ვუთხარი მას, — რაკი, აქამდე მოგყევით, აღარ გავიქცევით...

იმწამსვე კარი გააღო და დაშიძახა. შევედი დიდ, ნათელ ოთახში, რომლის უფარლო ფანჯრები სენისკენ გადიოდა. იქ იყო ქალაღლებით დაჭარული მაგიდები, კარადები. ერთ კუთხეში დივანზე გვერდი-გვერდ ისხდნენ რაულ რიგო და თეოფილე ფერე, მაშინვე ვიცანი კომუნის გამოცხადების დღეს შევხვედი მათ.

ფერემ პენსნეს მინებიდან ცივად შემომხედა. რიგოს პენსნეს მეტი სიძებო ჰქონდა, რალაც პროფესორული ცეცხლი. თავი აწეულად ეჭირა, თავისი კეხიანი ცხვირითა და დიდი თმით ღამის მტაცებელს მოგავონებდათ. რიგო მშვენივრად გამოიყურებოდა, წვერი ტალღასავით გაშლოდა, პენსნეს ყაითანი ჰაერში პორწიალებდა, მსაჯულის გამოხედვა ჰქონდა, კმაყოფილი.

— მოქალაქე კიშ... — დაიწყო რიგომ. გაჩერდა. ერთმანეთს დამორიშორებულ მუხლებზე ხელები დაიწყო და სახეზე გამარჯვებული ცნობისმოყვარეობა გამოეხატა, ასე მათვალისწინებდა, — მოქალაქე კიშ, — განაგრძო მან, — თქვენ 18 მარტის რევოლუციაში მონაწილეობდით, ცენტრალური კომიტეტის წევრი იყავით, ახლა სამხედრო სამინისტროში ხართ მივლენილი, იქ მსახურობთ, ამან მოქალაქე როსელს დაგაახლოვებ, აგრეთვე ბატალიონების სხვადასხვა უფროსებს და ოფიცრებს. ერთ ღროს თქვენს ბიძასთან შეუახლოვდით, ვიედიუ-ტამპლის ქუჩაზე მცხოვრებ ფაბრიკანტთან. მერე იყავით სამსახურში დიდვაჟარ ავლოტთან, რომელიც საკანონმდებლო კორპუსის წევრი და ბადენგეს¹ ერთგული მომხრე იყო. ამჟამად მემამულეთა საკრებულოში არის არჩეული. ვინ მეტყვის, მოქალაქე კიშ, რომ ამ პიროვნებასთან ახლაც არა ხართ დაკავშირებული.

— მოქალაქე დელეგატო, — ვუპასუხე. — როგორც ჩანს, საკმაო ცნობები გაქვთ, ახალს ვერაფერს გეტყვით. თუ აქამდე თქვენი კვლევა-ძიება ზუსტია, თქვენ ისიც უნდა იცოდეთ, რომ მოქალაქე ავლოტთან ახლა არავითარი ურთიერთობა არა მაქვს.

— დიახ, მაგრამ ამ კვლევა-ძიებამ დამარწმუნა, რომ პეშენთან გაქვთ ურთიერთობა.

— მე არ ვიცოდი, თუ შეიძლებოდა, რომ პეშენი თქვენთვის საეჭვო ყოფილიყო.

— იგი შოდეს მეგობარია, რომელმაც 22 იანვარს ტყვია დაგვიშინა.

— მე ეს არ ვიცოდი.

¹ ბადენგე — ნაპოლენ III-ის მეტსახელი:

რაულ რიგო წამოდგა და ბოლთის ცემას მოჰყვა, ფერე კი მომ-
ჩერებოდა, თვალს არ მამორებდა.

— თქვენ არაფერი იცით, — განაგრძო რიგომ. — მე რომ პელაჟში
ვაგვზავნოთ შოდესთან, რას იტყვიო? მე თქვენ გაცნობებთ ერთ რა-
მეს, როგორც კი კომუნა თავის მრისხანებას გამოიჩენს, პირველად
შოდეს დახვრეტს. დღემდე ჩვენ სიფრთხილედ და სირბილედ გამოვიჩი-
ნეთ. კონვენტის დროს სხვანაირად ხდებოდა, არავის ებოდიშებოდ-
ნენ. თქვენ სამხედრო პირთა შუაგულში ტრიალებთ, თქვენ რეაქციუ-
ლი იდეებით ხართ მოწამლული. რა იცით პეშენის შესახებ? სად არის?

მე დავიწყე ლაპარაკი, უკმაყოფილებას გამოვთქვამდი იმის გამო.
რომ ჩემი გულწრფელობა არ სჭეროდათ. ყოველგვარი მოულოდნელი
წვრილმანებით ვუამბობდი ჩემს წარსულს, ჩემი ბავშვობის ეპიზო-
დებს, ავლოტი რა პირობებში გავიციანი, ვუთხარი, თუ როგორ მივე-
სალმე რევოლუციას. მისგან ხსნას მოველოდი. იგი შესაძლებელს
ხდიდა თავი დამეღწია იმ ურთიერთობისაგან, რომელიც ზიზღს მგვრი-
და-მეთქი... მაგრამ იქ, სადაც ვიყავი და როგორც შემეძლო, ჯერ ხომ
ლუკმა პური უნდა მეშოვნა? ავლოტი ჩემთვის დასაყრდენი იყო, თავის
გადასარჩენი ძელი. ბოლოს! რევოლუცია მოხდა, მე მიხლოდა იგი
ძლიერი და სრული ყოფილიყო იმიტომ, რომ რევოლუცია ადამიანებს
უფრო თავისუფალსა და უფრო ბედნიერს გახდიდა. დანარჩენს ყუ-
რადლებას არ ვაქცევდი, რევოლუციას შეეძლო ამოეჩრია ის გზა,
ის სისტემა, რომელსაც ინებებდა, ჩემთვის ამას მნიშვნელობა არ
ჰქონდა. რევოლუციას, რასაკვირველია, სკირდებოდა პოლიცია, ამის
უფლება ჰქონდა, მისი მოვალეობა იყო სიფრთხილედ გამოეჩინა. მე
ვლაპარაკობდი და ვგრძნობდი, რომ მუბლზე ოფლი წურწურით ჩა-
მომდიოდა. რიგო ბოლთის ცემას განაგრძობდა, ფერე მიცქეროდა,
უძრავად, მკრთალი ღიმილი დასთამაშებდა ტუჩებზე, რომლებიც გაც-
რეცილ ხშირ წვერსა და უღვაშებში მოჩანდა. ისიც წამოდგა. დავინახე,
რა პატარა იყო იგი: ქონდრის კაცის ტანი და უზარმაზარი თავი ჰქონ-
და.

— ყველაფერი ეს არაფერს გვეუბნება იმაზე, თუ სად იმყოფება
პეშენი. — წარმოთქვა მან და ისევ დაჯდა.

— მოქალაქენო, — წამოვიძახე. — ამის შესახებ მე არაფერი ვიცი.
პეშენი მხოლოდ ერთხელ მინახავს სიცოცხლეში. მე ვისადილედ მას-
თან „პერ დიუ შენის“ თანამშრომლებთან ერთად, პოეტებთან, ჟურ-
ნალისტებთან. მეცა ვარ, უფრო სწორად, ვიყავი, პოეტი. ამაში, ვფიქ-
რობ, ცუდი არაფერია... თქვენ ეს გაცინებთ. ჩვენ ერთმანეთს შეე-

ხედით სამიკიტროში მარცხენა სანაპირო ქუჩაზე. მერე რა? მე ვერ მივხვდარვარ, ჩემგან რა გინდათ? ჩემსა და პეშენს შორის არაფერი. და თუ ყველა ისე სპეტაკია, როგორც მე, დიახ, კომუნას შეეძლო თავისი შეილებით ეამაყნა.

— რა გინდათ თქვათ? — მომიბრუნდა უეცრად რიგო.

— მე ვამბობ იმას, რასაც ყველა ლაპარაკობს. განა ყველა ასე არ ლაპარაკობს? ხომ სისპეტაკეზეა საუბარი? სპეტაკი უნდა ვიყოთ. ჭე სპეტაკი ვარ, ჩვენ სპეტაკი ვართ. ჩემს კუთხეში მე ვაკეთებ იმას, რაც შემიძლია. კიდევ რა გნებავთ? სხვათა. შორის, პეშენი თითქოს მკვლარი უნდა იყოს.

— საიდან გაიგეთ ეს?

— მეტი არაფერი ვიცი. დღეს ერთმა მეგობარმა მითხრა ქალაქის თვითმმართველობაში.

— ქალაქის თვითმმართველობაში?

მე ამოვიხსნე. მერე თავს ძალა დავატანე და, როგორც კი შემეძლო, მშვიდად მოვუყევი მათ: როსელმა ქალაქის თვითმმართველობაში გამგზავნა დამხმარე ძალების სათხოვნად, იქ შევხვდი ერთ ძველ მეგობარს, ჩემსავით ცენტრალური კომიტეტის ძველ წევრს, ელზასელ ბეკერს, იგი სპეტაკია და ემპეიუტანლად გულწრფელი-მეთქი. — კარგი! — ვთქვი ბოლოს. — რა გნებავთ, რომ გითხრათ? რაღაცას ელით ჩემგან, თქვენ გინდათ გაიგონოთ ჩემ მიერ წარმოთქმული რაღაც ძვირფასი ფრაზა, რომელიც მე ან ვინმე სხვას დადუპავდა, ვისი სახელიც მე არ ვიცი. ვფიცავ, თქვენ ცდებით. მხოლოდ უმნიშვნელო რამეზე შემიძლია გელაპარაკოთ: მე არაფერი შემიძლია, მე არაფერს ვიცი. საჭირო ხომ არ არის, რომ ებერტის, ან მარატის მომხრედ გავზოვაცხადო თავი, ან კიდევ სხვა ვინმესი? ჩემი გული ერთიანად რევოლუციას ეკუთვნის, აი ყველაფერი, რის თქმაც მე შემიძლია. მაგრამ თქვენ ეს არ გაინტერესებთ. მაშინ რა? მეტი რა? რა მაშ?

თავს საშინლად აღელვებულად ვგრძნობდი, ისინი კი მშვიდად იყვნენ! მაგრამ რატომ ვღელავდი? თავის შეკავება მინდოდა, მაგრამ რაღაც უცხო და გაურკვეველი ძალა მებრძოდა. ჩემი არსებიდან ილტვოდა, რომ რაიმე სულელური საქციელის ჩადენა აეძულებინა. რა საქციელისა, გათვალისწინებაც არ შემეძლო.

ფერუს უეცრად ღიმილი ჩაუქრა და მითხრა:

— პეშენი არ არის მკვლარი. მაგრამ ის გაიპარა და თქვენ იცით, სად არის.

— რატომ ფიქრობთ, რომ ვიცი?

— მაშინ როსელმა იცის. ჰკითხეთ მას.

— თქვენ თვითონ ჰკითხეთ. მე ვინა ვარ, რომ სამხედრო დელეგატს შევეკითხო?

— თქვენ იცნობთ მის დას?

— მერე რა? რა უაზრობაა ყველაფერი ეს! — წამოვიძახე გაცოფებულია. — რა უაზრობაა. მაშინ, როდესაც თქვენ დროს ჰქარგავთ. ამ სისულელეებზე მეკითხებით, პარიზი მოღალატეებითა და ჯაშუშებით არის სავსე.

— ყველას ვიცნობ, — თქვა რიგომ და ამაყად გადმომხედა, როგორც საქმის კარგმა მცოდნემ. — ყველას, ყველას, გესმით? თქვენ ვერ მასწავლით ჩემს ხელობას. აქ მოსვლამდე ვმუშაობდი ამ საქმეზე. ჭერ კიდევ იმპერიის დროს ყველა ბარათი მზადა მქონდა. — გაუუშვათ? — მიმართა ფერეს, ჩემზე მხარით ანიშნა და ზიზლი გამოხატა. ფერემ თავის დახრით დაუდასტურა, პატარა ჯაშუშმა თითი ასწია და კარი მიჩვენა.

— სულ ეს იყო? — ვთქვი თავზარდაცემულმა.

— შეიძლება არა, — მითხრა რიგომ უცნაური ხმით. — იმედი მაქვს, მოკალაქე კიშ, თუ პეშენს კვლავ შეხედებით, ჩვენ გავგაფრთხილებთ. გარეთ ცხელი და ნესტიანი ამინდი იყო, თბილი ჰაერის ბოლქვები მომხვდა სახეში. კიდევ ერთხელ მოვიწმინდე ოფლიანი შუბლი და ანგარიშმიუცემლად სადღაც გავწიე. თავს ვლანძღავდი: „სულელო ჩერჩეტო დოყლაპიავ! მაშ, ჩემთვის ტყვიაც არ იშოვება?“ ცოფს ვაფრქვევდი, შრცხვენოდა. ერთი დუქნის წინ გავიარე, აბრა წავუკითხე: „საყასბოს ხელსაწყო ტუმბოები ხბოსთვის“. სიცილი შემსკდა „ტუმბოები ხბოსთვის!“ ეს რას ნიშნავს? აი, რა უნდა მცოდნოდა, აი, რა უნდა მეკეთებინა. ეს კონკრეტული, რეალური რამ არის. ამ იარაღების სახელი და ხმარება ყველამ იცის. ოდესღაც მეც ვიცოდი მამაჩემივით ლაქის კეთება, მამაჩემი ისეთი ადამიანი იყო, როგორც ყველა სხვა. ყოველ შემთხვევაში, ასე მგონია, მე კი კალაპოტიდან ამოვეარდი და არაფერი ხელობა არა მაქვს. რადგან მე პოეტი ვარ... შე დოყლაპიავ, დოყლაპიავ! ერთი ქუჩის მოსახლევემი მღესავის ბორბლის აბრეშუმისებურმა საუცხოო შრიალმა ღამიდასტურა ჩემი ფიქრები. ბედნიერი მღესავი! იგი ყვიროდა: „ვის უნდა ხმლის გაღესვა, ხიშტის გაღესვა“, მე კი არც ხმალი და არც ხიშტი მქონდა გასაღესი. „აი ნახავთ! — წამოვიძახე ჩემთვის. — ერთ დღეს თავს უბრძოლველად მოვაკვლევინებ“.

ვცადე, მამა მომეგონებინა. „როგორი შეიძლებაოდა ყოფილიყო

მამაჩემი? მართლაც, ისეთი იყო, როგორც ყველა? რას იზამდა იგი ახლა? ვისკენ იქნებოდა? რას იტყოდა? შეიძლება, კომუნა არ მოსწონებოდა... თავისი დუქანი დაექეტა, ისიც ვერსალში გამგზავრებულიყო. ან დარჩებოდა, ლაქის კეთებას, გაზეთების კითხვას განაგრძობდა. სხვებთან ერთად ამბების მოლოდინში იქნებოდა. როგორი იყო? იგი კარგი ადამიანი იყო, მეოცნებე და უჩინარი. შეიძლება მას გმირის ნიშნები ჰქონდა... ვინ იცის? შეიძლება, თავისი ხიშტი გაელესა და ხეის ბარიკადებზე ბრძოლაში დაცემულიყო, ჩემს ხელზე დაეღია სული. მაშინ მას შუბლზე ვაკოცებდი და ტირილით მიწაზე დავასვენებდი... მამაჩემი?.. რა კაცი გამოიყვანა? ახლა რას ვაკეთებ? სადა ვარ?

სენ-ჟერმენის ბულვარში ვიყავი. შეუშინველად სამხედრო სამინისტროს შივადექ, გულდამძიმებული, გონებააბნეული, გული მერეოდა. როსელი იქ არ დამხვდა, ვიკითხე, ბეკერი ან ვერმერში ხომ არ გინახავთ-მეთქი. დერეფნებში, ეზოებში დავეხეტებოდი. მერე, ბუნებრივია, მარი-როზი მომაგონდა და მასთან გავიქეცი თავშესაფრის საძებრად.

მერიის წინ სანიტარულ რაზმებს დაქირალები გადმოჰყავდა. საკაცეზე ერთი ზორბა, ბანჯგვლიანი ბიჭი დააწვინეს, იგი ღრიალებდა და ხელს ადაპყრობდა, თითქოს ჩვენს დასაწყველად. რამდენიმე კაცი დასჭირდა საკაცეზე დასამაგრებლად, რომ არ გადმოვარდნილიყო. მეც მოვკიდე ხელი. გაფითრებული მარი-როზი წინკარში გამოჩნდა.

— მე ვარ! — ვუპასუხე მას. — ხალხი მოვიყვანეს.

საკაცის უკანა სახელურებს მოვკიდე ხელი. დაჭრილს ზემოდან დავაცქერდი. სახე ემანჭებოდა, ღრიალებდა. საკაცის გვერდით მყოფ ორ ამხანაგს მისთვის ხელ-ფეხი გაეკავებინა. ასე შევედით ლაზარეთში და დაუსრულებელ კიბეს ავყევით.

„დამეკარგენით! — ღრიალებდა დაჭრილი. — თქვენ მოლაღატენი ხართ. თქვენც, ყველანი. თქვენი დახმარება არა მჭირდება, ისედაც ჩავძაღლდები.“ მერე კენესოდა: „აჰ, ჯანდაბას, ოჰ, ოჰ!“ მარი-როზი ჩვენ წინ წყნარად აღიოდა. როდესაც კიბეს ზემოთ მოვექეციით, დაჭრილმა უეცრად კენესა შეწყვიტა. საკაცის კიდე მკერდზე მაწვებოდა.

დავინარე და დავინახე: დაჭრილი მომკვდარიყო. გალურჯებული, უძრავი სახე მშვიდად ესვენა შედედებული სისხლით გაწებულ, აწეწილ თმაში. მიცვალებულს შუბლზე ვაკოცე. ცუდი სუნი ასდიოდა.

— ეს ამდენ ტანჯვად არა ღირდა, — თქვა ვილაკამ.

საკაცე დავდგით. მარი-როზი მობრუნდა:

— აქეთ წამოასვენეთ, — თქვა მან და კარი გვიჩვენა.

ჩვენ უკან სხვა სააკაციები მოჰქონდათ. მარი როზს დაეწიე და ვუთხარი:

— რაიმე გასაკეთებელი მომეცი. მე მკვდრების სამსახურის გარდა არაფერი შემიძლია.

— რა დაგემართა? — მითხრა. — დაიღალე?

— დავიღალე.

სულ ჩუმად ჩაიბუტბუტა:

— როსელი? თქვენი ამბავი?

მე სხრები ავიჩიჩე. მარი-როზმა განაგრძო:

— ჩაფლავდა?

— მგონი, არ ვიცი, არაფერი ვიცი.

— ის ხომ მაინც იცი, რომ გიყვარვარ.

და თავისი მოღიშარი თვალები მომაპყრო, პატარა გოგონას თვალებში, შერე გაქრა, დაუძახეს. ლაზარეთში საღამოს ცხრა საათამდე დავრჩი.

ბოლოს მარი-როზი სადილის საჭმელად სამიკიტნოში წავიყვანე. მას სურდა, რაც შეიძლება მალე, თავის დაქრილებს დაბრუნებოდა. მაგრამ თერთმეტ საათამდე არ გავუშვი. დავეხეტებოდით ბნელ და თბილ ქუჩებში წელზე ხელმოხვეულნი და სიყვარულზე ვლაპარაკობდით. სენ-კლოტილდას საყდარს რომ ჩავუარე, იქ შესვლა მომეხალისა.

ბოძებზე მიმაგრებული ნავთლამპების რძისფერი სინათლე აქა-იქ იჭრებოდა სიბნელეში, მნათეს სკამი და კათედრა უფრო განათებული იყო. კათედრაზე იდგა წითელი ხილაბანდით თავწაქრული ქალი, იგი მიშველ ხელს იქნევდა და დროდადრო რაღაცას წამოიძახებდა ხოლმე. სკამებზე მსხდომნი ღვინოს სვამდნენ და პაპიროსს აბოლებდნენ. ჩვენ გვერდით მივუსხედით ლურჯხალათიან მუშას, რომელსაც ამერიკული ქუდი ეხურა. ნახევრადმძინარე ქალი მას მხარზე ეკვროდა. სიბნელეში გრილოდა, ამ სქელ სიგრილეში, სადაც თამბაქოს სუნი საკმევლის სურნელებში არეულიყო. მნათეს სკამზე უზარმაზარი გარიბალდიელი იჯდა. თავზე ფარშავანგისფრთიანი ტოკი ეხურა და სერთუკი ეცვა, წითელი ქამარი ერტყა. იგი ამ უცნაური საეკლესიო მსახურების კარდინალი გეგონებოდათ. დროგამოშვებით თავისი ხმლით იატაკს დააკაკუნებდა სიჩუმის დასამყარებლად ან ორატორის ასაჩქარებლად. წითელხილაბანდიანი ქალის შემდეგ ახალგაზრდა კაცმა დაიქირა კათედრა, სულ ჩია ახალგაზრდა კაცმა, გამხდარმა, მორიდებულ-

მა. მაგრამ მისი ხმა ამ თაღებქვეშ იშვიათი სიძლიერით გაისმა. ყუ-
რები ვცქვრტე, რადგან იგი თავიდანვე შესანიშნავ რაღაცას ლაპარა-
კობდა. იმ ქალმაც კი ასწია თავი, რომელიც მუშის მხარზე თვლებდა.
ახალგაზრდა მშვიდად ლაპარაკობდა, უძრავად იდგა, ხელები ჩაეწყო
ხავერდისსაყელიდან პატარა პალტოს ჯიბეში. ამბობდა, კაცობრიობა
თეთრებისა და წითლებისაგან შედგებაო. თეთრები ადამიანის ხორცის
მკამელები არიანო, წითლები კი პურისაო.

— პატიოსანი ადამიანები წითლებია, როგორცა ხართ თქვენც
და თვით ბუნება, როგორც იყვნენ ლამნეცა და პრუდონიც, იესო
ქრისტეც, — დაუმატა მან და მთავარი საკურთხეველისკენ მიბრუნდა,
სადაც ადამიანთა სილუეტები მოჩანდა, ისინი ფეხდაკიდებულნი ოსხ-
დნენ. — იესო ქრისტეც. ცოცხალი რომ ყოფილიყო, ახლა ჩვენთან იქ-
ნებოდა.

მერე აგვიხსნა, თეთრები იმისათვის კი არა სჭამენ, რომ იარსე-
ბონო: ისინი ღორმუცელები არიანო. მათთვის არსებობენ 'შაბოები',
რომლებსაც ორდენებით აჯილდოებენ იმისათვის, რომ თირკმელის
გემრიელად შეკაზმვაში თავი გამოიჩინესო. თეთრები კი არ ცხოვრო-
ბენ, განცალკევებულ სასახლეში ნებივრობენ. მათ ჰყავთ ყოველგვარი
მსახური, მხლებლით დაწყებული ოყნის გამკეთებლამდე. თეთრები ისე
კი არ იცვამენ, როგორც ამას ჩვეულება და ამინდი მოითხოვს: ყვე-
ლამ იცის ისინი როგორ ირთვებიანო! — დახეთ ამ მასკარადს. მითხა-
რით, ეს ხომ ნამდვილი კომედია, საკარნავალო პროცესიაა?! მაგრამ
ეი, წითლებმა გადაწყვიტეს ყველაფერში წესრიგი დაამყარონ, ქეშ-
მარიტება აღადგინონ, მოიპოვონ ის, რაც აუცილებელი და სამარ-
თლიანია. ეი, წითლებო! თქვენ მხოლოდ ის დაგრჩენიათ, ხელი ხელს
ჩააკიდოთ და ცეკვით გარს შემოევლოთ თქვენს მტანჯველს, მის და-
სახრჩობად.

მერე იმაზე ილაპარაკა, რაც ადამიანს აწუხებს, რაც აუცილებლად
უნდა მოისპოს. ბედნიერი და წყნარი ცხოვრება უნდა გაიფურჩქნოს.
აღარ იქნება არც ყაზარმები, არც ჯარისკაცები! როდესაც ჩვენს საზღ-
ვრებს, თუ საზღვრები კიდევ იარსებებს, მტერი დაემუქრება, მაშინ
მთელი ხალხი აისხამს იარაღს. აღარ იქნება ქველმოქმედების, მო-
წყალების კომიტეტები, ქველმოქმედებას მთელი კაცობრიობა გასწევს,
მოწყალებას ყველა მოქალაქე გაიღებს. ილაპარაკა იმ სიხარულზე,
რომელიც მსოფლიოს მოეფინება; როდესაც ყოველი ადამიანი იგ-

¹ შაბო — ცნობილი კულინარი.

რძნობს, რომ აწ არაფერი, სრულიად არაფერი არ აშორებს მას სხვა ადამიანებს, არც მსოფლიოს. და მაშინ, თუ სახელს ჰკითხავენ, იგი არ იტყვის რიჩარდ დე ლა პეტროდიერი ვარო, არამედ ვიპასუხებს: პიერ ბუნება ვარო.

მართალია, ტაშის გრიალი არ გაისმა, მაგრამ ამ მთართოლვარე ღუშშილში თავი ყველამ უფრო ამაყად იგრძნო. ჩემს გვერდით მდგომ მუშას ყბები შეეკრა და მის მეგობარს თვალზე, მგონი, ცრემლი შევნიშნე. მარი-როზმა ხელზე ხელი მომიჭირა. მას ნდობითა და მხურვალე გრძნობით შევხედე. ნაშუადღევს წყენა დამავიწყდა. მარი-როზისაკენ დავიხარე და ყურში ჩაეჩურჩულე:

— ხომ გიყვარვარ? გიყვარვარ მე? აი, ასეთი, როგორიცა ვარ? იცი, მე ძალიან ამაყი ვარ... ზოგჯერ თავი თვითონ მეზიზღება. მაგრამ ნამდვილად უზომოდ ამაყი ვარ და მინდა, რომ გიყვარდე მთელი ჩემი სიამაყით.

— მაგრამ, — თქვა მარი-როზმა, — რომ გეუბნები, მიყვარხარ-მეთქი, მაშასადამე, შენ მიყვარხარ. აბა, სხვა ვინ?

— შეიძლება, შენ სიყვარული გყვარებოდა?

— რისი თქმა გინდა?

— შენ ახალგაზრდა ხარ, გინდა ცხოვრება. მეც ვიყავი გიჟურად ახალგაზრდა და გიჟურად შეყვარებულნი. მაგრამ ეს, რასაც გეუბნები, წარსულს ეკუთვნის. ახლა კი მე და შენ ერთმანეთს კარგად უნდა ვიცნობდეთ, ერთმანეთი უნდა გიყვარდეს.

ერთმანეთს მიკრულნი საყდრიდან გამოვედით და საუბარს განვაგრძობდით. წინკარში უეცრად ვნებამ შეგვიპყრო. ერთმანეთს ჩავეკონეთ, ტუჩი ტუჩს შეეწება. დაშორება აღარ შეგვეძლო. მე ვფიქრობდი: ჩვენ აჩრდილები არა ვართ. ხორცშესხმული არსებანი ვართ. ერთმანეთს ვხედავთ, ერთმანეთს ვგრძნობთ, ვეხებით. მე უიცნობდი მარი-როზს და იგი მე შიცნობდა. აღსრულდა, უკან დაბრუნება აღარ შეიძლება. ერთი ჩვენგანი რომ მოკვდეს... მაგრამ ჩვენ მხოლოდ ერთად სიკვდილი შეგვიძლია, ერთმანეთი სრულიად და სავსებით რომ გავიცნოთ.

— ჩვენ, მარი-როზ, ხომ ერთად მოგკვდებით? — ეთქვი ხმამალა.

— პირობას გაძლევ, — მიპასუხა.

ამ რწმენით დავტოვე იგი. სამხედრო სამინისტროს წინ გავიარე, სურვილი აღმეძრა, გამეგო, როსელი რას აკეთებდა ან რის გაკეთებას ფიქრობდა. თუმცა ასე ვფიქრობდი, მაგრამ ვიე-დიუ-ტამპლის ქუჩისკენ შევუხვით. მეკარე იქ არ იყო. მარტო ვიყავი. ეზო გადავჭერი

და განსვენებული ბარბიუშეს შუშაბანდის წინ თავი დავხარე და ჩემს საკუქნაოში შევედი. ფანჯარა ღია იყო. მაისის ღამის გრილი და სურნელოვანი ჰაერი ოთახს ავსებდა. ფანჯარას მივადექი და ვუცქერდი ბინის მკვდარ ფანჯარებს, ოთახის ფანჯარას, სადაც დედაჩემი გარდაიცვალა, იმ ოთახების ფანჯარებს, სადაც ადელია და კლემანსი ცხოვრობდნენ. ვიგონებდი კლემანსის ვნებიან გამოხედვას, მის გატაცებას, გულისმოსვლას; მე შევექმენი რომანი, რომლის დასასრულამდე ამ პატარა ბავშვს ჩემი სიყვარული არ შეუწყვეტია.

ვერსალში ლტოლვილი ნაძირალებით გარს შემოხვეული კლემანსი კვლავ ჩემზე ფიქრობდა და თანდათან იმ დასკვნამდე მიდიოდა, რომ მე მართალი ვიყავი, ბოლოს და ბოლოს მე არ ვიყავი ავაზაკი, როგორც მახასიათებდნენ. სიბრაღე, სამშობლოს ჰეველა იჭრებოდა ქალიშვილის გულში, როდესაც მის თვალწინ ჩაატარებდნენ დატყვევებულ, გასისხლიანებულ, ტანისამოსდაფლეთილ, მძვინვარე კომუნარებს, რომლებსაც მეძავეები ქოლგის წვერით თვალებს სთხრიდნენ. ზურგზე ხელებშიკრული ტყვე ძაღლივით ღმუის. უსაქმურების, კლუბმენების, ქრონიკორების, უცხოელი ელჩების, ვაბზიანებული ღამაში ოფიცრების ბრბო ჭიცილით კვდება. ოჰ, წყეული ვალენტინა! წყეული ოლიმპიადა! მომხიბვლელი პამელა მხოლოდ ასე გაბედული ის არის! კლემანსმა წარბები შექმუხნა. შეიძლება, ერთ დღეს მას მოუხადეს ჩემი ცნობა ამ საბრალოთა შორის: მე იქ წინსაფრიან და ხილაბანდიან ქალებს შორის ვიქნებოდი ზურგზე ხელებგაქრული, ტუჩებმოკუმული, ბანჯგელიანი, გვერდზე საშინელი ჰრილობა მექნებოდა. მაშინ კლემანსი ამაზე ფიქრს ვეღარ აიტანდა, ვერსალიდან გამოიქცეოდა, დაბრკოლებებს გადალახავდა და ჩემს ოთხში გაჩნდებოდა, მასზე მოგონებებით სავსე ოთახში. ათრთოლებული კლემანსი ჩემთან მოვიდოდა და ჩემს გულში საშინელი ბრძოლა იფეთქებდა: იგი თუ მარიროზი?

„სანამ შენ აქ არ იყავი, — ვეუბნებოდი კლემანსს, — მე სულ სხვა მოდგმის ქალიშვილი შევიყვარე; ახლა მე და ის ისე ვართ, როგორც ერთი სხეული. ჩემო ძვირფასო პატარავ, ეს ძალიან საწყენი, გულის დამღონებელია. რა მოგვივა?“ აქ უეცრად ფანჯარა მივხურე და მხრები ავიჩეჩე. სისულელეა! ყველაფერი ისე მოხდა, როგორც უნდა მომხდარიყო. მე მხოლოდ მარიროზი უნდა მყვარებოდა აწ და მარადის, ცხადად და ოცნებაში.

მეორე დღით გვიან გამეღვიძა. სამხედრო სამინისტროში გავიქეცი. უწესრიგოდ მიმავალი ჯარით სენ-დომინიკის ქუჩა გაშავებული-

ყო. ძლივს მოკვარი თვალი როსელს, რომელმაც თავისი შტაბის თანხლებით ჩამიქროლა ცხენით. ჩემ გარშემო ყვიროდნენ: სიმაგრე დასტოვესო. სამინისტროს ეზოში დავინახე მოხდენილი, შავხელთათმინიანი იზაბელა, დაბნეული ხან ერთ, ხან მეორე ჯგუფთან მიდიოდა. იგი მკლავზე ჩამომეკიდა.

— რა ამბავია? — ვკითხე მას. — თქვენს ძმას ამ დილით კონკორდის მოედანზე ჰყავდა თორმეტი ათასი ჯარისკაცი?

იზაბელას ნერვული სიცილი აუტყდა.

— შვიდი ათასი! — წამოძახა. — შვიდი ათასი ძლივს. უნდა გენახათ, როგორ იყო შეჭურვილი. გთხოვთ წამომყვეთ ქალაქის თვითმმართველობაში. ლიზე გაგიყდა, მას სურს, რომ დააპატიმრონ და მახასის¹ საკანში ჩაჰკეტონ. ხელი უნდა შეეუშალოთ. ცენტრალურ კომიტეტს სურს მას მხარი დაუჭიროს, მისთვის განუსაზღვრელი ძალაუფლება მოითხოვოს. სად არიან თქვენი მეგობრები? სიფრელები, ნორო? ვერმერში რას აკეთებს?

იზაბელამ ქუჩაში გამიყვანა. ბრბო იმდენად მჭიდრო იყო, რომ სენეერმენის ბულვარს დიდი ვაჭირვებით მივალწიეთ. ერთი ქუჩის კუთხეში თეთრი, ახალდაბეჭდილი განცხადება გაეკრათ:

„სამფეროვანი დრომა ფრიალებს ისინი სიმაგრეზე, რომელიც გუშინ მისმა გარნიზონმა დასუოა. სამხედრო დელეგატი როსელი“.

— საშინელებაა, — ჩავილულლულე.

— როსელი საღრჩობელაზე! — დაიძახა ვიღაცამ ბრბოში ხრინწიანი ხმით.

იზაბელა ცარცივით გაფითრდა. ხელი მოვხვიე, რომ არ წაქცეულიყო. ასე განვავრძეთ გზა. იმ ყველაზე უთავბოლო და გაურკვეველი წუთებიდან, რომელიც მიცხოვრია, ეს მომდევნო წუთები ჩამრჩა მეხსიერებაში. ახლაც ვხედავ იზაბელა როსელს, მის თვალებს, უფრო გაკვირვებულს, უფრო გულუბრყვილოს, ვიდრე მის დამანჯულ სახეზე ოდესმე ყოფილა. ყურს ვუგდებ ვიქტორ კამათს. როგორც ჰექაქუხილი, მესმის დელეკლუზის ზმა, რომელიც ხველებისაგან უწყდება. მისი მოწოდება, მისი ვედრება. ისმის ერთიმეორის საწინააღმდეგო ამბები: სიმაგრე არ აულიათ, შეეი და ვიდი დააპატიმრეს, მალონმა პიას კომუნის ბოროტი გენია უწოდა. დელეკლუზი სამხედრო მინისტრად აირჩიეს. კურბე მოითხოვს, კომუნა ტიუილრიში გადავიდესო. სად არის როსელი? მას პასუხისგებაში მისცემენ. იზაბელა მკლავზე ჩამომეკი-

¹ მახასი — საპატიმრო.

და. დილას აქეთ ჩვენ მხოლოდ შაშხის პატარა ნაჭერი და ყველი ვჭამეთ, მაგრამ მე ბევრი ვსვი. ღამე ილევა. ამბობენ. შეთქმულების კვლევადიებას იწყებენო. რომელი შეთქმულებისას? დიახ, ამ შავბნელით მოცული შეთქმულებისას... ისი მეფის მომხრეებით ავსებულა. პეშენიც იქ შეპარულა, პეშენი, ტიერის კაცი, ყველგან დალატია. დალატს გრძობენ, ხედავენ დერეფნებში, სადაც კრელი და მყვირალა ბრბოს ტევა არ არის. უეცრად იზაბელას ძახილი ისმის:

— ეერარდენ!

ერთი კაცი ჩვენკენ მობრუნდება, ნიშანს. გვაძლევს, მივყავართ ერთი კიბისაკენ. რომელიც უეცრად ცარიელი აღმოჩნდა, ჩვენ წინ კარი იღება: როსელი იქ არის, გალურჯებული, ჩამოშვებული უღვაშის ქვემოთ მოჩანს საშინელი ტუჩები. ნიკაპი წითელი წვერით აქვს დაღარული. იზაბელას მთელი ტანი უკანკალებს, თითქოს საცაა დაეცემო. მგონია, წაიქცევა. ყველაფერი საოცრად და ადვილად ირკვევა.

— მე არ მინდა წასვლა, — ამბობს როსელი.

მაგრამ იგი მოგვყვება. მივიჩქარით. ისევ ქალაქის თვითმმართველობის ეზოში ვართ...

თაღქვეშ მდგომე გუშავი შაშხანით სალამს გვაძლევს.

ეერარდენი გაქრა. რივოლის ქუჩაზე ეტლი მოდის, ჩვენ შიგვსდებით, როსელი, მე და მისი და. როსელი მოწყვეტილად ზის. უსიცოცხლო თვალები აქვს. იზაბელას ძმას ქუდს მოხდის, ნიშანს — ვერცხლის ყუმბარას — მოჰგლეჯს, ეტლის კარს აღებს და ისვრის. მერე ძმას ხელზე ხელს მოჰკიდებს და, ნაზად შესცქერის.

— სად მივდივართ? — ვკითხულობ.

იზაბელა მიცქერის და ლუღლუღებს:

— გმადლობთ... გმადლობთ... დმერთმა თქვენ... ოჰ, ლიზე, — უმატებს იგი. — შენ ახლა სარას ნახავი.. პატარას...

სენ-მიშელის ბულვართან ვხტებით ეტლიდან ერთი სახლის წინ, სადაც როსელი და მისი და შედიან. მე მართო ვრჩები ტროტუარზე, ბრბოში. არ ვიცი, რა დღეა, დილა თუ ნაშუადღევი. წუთის შემდეგ სენ-მიშელის ხილზე შეეჩერდი და ალისფერ ცაზე ვცადე ამომეკითხა, რომელი საათი იყო. ჰაერს სროლის გრიალი აზანზარებდა. გონებადაკარგულ ხალხში გავვრეი. სიმაგრე ისის აღებას უარყოფდნენ... აცხადებდნენ, დელეკლუზი სამხედრო დელეგატად არის დანიშნულიო, საზოგადოებრივი ხსნის კომიტეტმა სრული რწმუნება მიიღო. ბოლოს ერთხელ კიდევ ქალაქის თვითმმართველობის ზარბაზნების წინ

გავჩნდი. უეცრად ერთ ზარბაზანზე დაყრდნობილი ბეკერი დავინახე, მუშტებს კუმშავდა.

— შენა ხარ? საიდან მოდიხარ? რა დაგემართა, ბეკერი?

შემომხედა. დენთისგან სახე გაშავებოდა, თვალები ჩასცვენოდა, წვერი დასვროდა. სრულიად გამოცვლილი ხმით მითხრა:

შენა ხარ, ტეოდორ? მეტი აღარ შემიძლია. ისიში ვიყავი. ქვა ქვაზე არ დარჩენილა. გათავდა. ისინი აღამიანზე მონასტრის დერეფნებში ნადირობდნენ. ფინდიხი... ეს უნდა გენახა. ტეოდორ, ერთმა არტილერისტმა გამომიყვანა. არ ვიცი, როგორ გადავრჩინე, დამსვეს ალაღის ოთხთვალაზე, რომლის გადარჩენაც შესძლეს. ოჰ, რა ამბავია, რა ამბავი!

მხარზე ჩამომეკიდა, მე იგი უახლოეს კაფეში მივიყვანე, იქ თითქმის ერთი ლიტრა ღვინო დასცალა.

— დავიძინებ, — მითხრა და გრძელ სკამზე გაწვა. — ახლავე შემომიარე, ასე აჯობებს. ერთად ვისადილოთ. დასასრულია, მე გეუბნები. სხვა რამეზე ვილაპარაკოთ. ამისთვის მეტს აღარ ვზრუნავ... აღარ...

თავისი დიდი ხელი გაიქნია, რათა მაქლაქუნა მოეშორებინა და განაგრძო:

— ასეთი ხომ არასოდეს გინაზავარ, ტეოდორ? ძილი მაცალე. გასწი, გააკეთე, რაც გინდა და ახლავე დაბრუნდი, მაგრამ დაბრუნდები, ხომ? საღამოს მარი-როზს თავი დაანებე, ფელიქს პიას და ყველა ამ აღამიანს, ყველას მიანებე თავი. დაბრუნდი ჩემს გასაღვიძებლად. ერთად ვისადილებთ, ვჭამთ ბევრს, ბევრს. მერე წავალთ სასეირნოდ, ხომ გინდა?

ქალაქის თვითმმართველობას ვესტუმრე. სხვებთან ერთად დიდ დარბაზში შევედი, სადაც ცენტრალური კომიტეტი პირველად შეიკრიბა. მაგიდასთან დელეგატები და კომუნის სამი თუ ოთხი წევრი იჯდა, ბრბოში მორთო შევნიშნე, დამიძახა:

— მოდი აქ, კიშ! მოქალაქე დელეგატებს ჩვენი ნახვა სურს.

მაგიდამდე გზა გავიკვლიე. დელეგატებმა ხელი ჩამომართვა.

— როსელი თქვენ გენდობათ. სამხედრო სამინისტროში თქვენი იმედი მაქვს. იყავით აქ პირველ საათზე. დეპუტებს გადმოგცემთ საგზავნად. — სიცხისაგან თვალები ანთებული ჰქონდა და თავს ძალას ატანდა, რომ წელში გასწორებულყო, მისი სკამის საზურგეზე დაბრლილი, წითელხალათიანი მსხვილი კაცი მწარე სიგარას ეწეოდა და სახეში აბოლებდა დელეგატებს, რის გამოც მას ხველება აუტყდებოდა ხოლმე.

— სიმაგრე აიღეს თუ არა? — ვკითხე.

არავენ მიპასუხა. კითხვა უფრო ხმაოდლა გავიმეორე, ვიყვირე. ჩენ გარშემო უფრო ძლიერ ღრიალებდნენ. მორომ მკლავში მტაცა ხელი.

— არა, არ აუღიათ.

— ბეკერი ვნახე, რომელიც იქიდან დაბრუნდა, მან თქვა, რომ...

— ბრიუნელი გაემგზავრა იქ. ჯერ ჩვენ გვიკავია.

— სანამ რამდენიმე მოლალატეს არ დახვრეტენ, — გაისმა ვილაცის ხმა, — არაფერი გამოვა.

ცოტა ხნის შემდეგ ბეკერს მივაკითხე ყავახანაში. გრძელ სკამზე გაქმული ხვრინავდა, ხელი ჩამოვარდნოდა, თითებით იატაკს ეხებოდა. მის წინ დავჯექი და აბსენტი მოვითხოვე. ჯარისკაცებს თოფები სკამების საზურგეზე მიეყუდებინათ და ბანქოს თამაშობდნენ. ბოლოს ბეკერმა გაიღვიძა, გაიზმორა, წამოდგა და მითხრა:

— კარგი, მოდი ვისადილოთ! ჯიბეში ცოტა რამ სახარჯო გვაქვს? ორი ღლეა ხელფასი არ ამიღია. მერე ჩვენ წავალთ იმ ბატონის სანახავად, ვოჟის მოედანზე რომ არის, არ ვიცი, რა ჰქვია...

— რას მიედ-მოედები? შენ კიდეც გძინავს, ბეკერ?

— მაშ შენ არ გახსოვს? აუღ დე რენოს მეგობარი... ის ხომ ვოჟის მოედანზე ცხოვრობს? წერილი თანა გაქვს?

— აჰ! — წამოვიძახე. — მომავონდა, მართლაც, დავალეზა, რომლითაც აუღ დე რენომ თავის უკანასკნელ წერილში მომმართა. დიახ, დიახ, კარგია... შენ გინდა იმ კაცის სანახავად წავიდეთ. მშვენიერი აზრია!

— თუ ამ საღამოს არ წავედით იქ, ვერასოდეს წავალთ, — თქვა მთქნარებით. — აუღ დე რენო მოკვდა, დიახ, მოკვდა. როგორც სულელი! მაგრამ ჰიკვიდილის წინ თავისი ლექსების პატრონობა შენ მოგანდო. გადაიკითხე მისი წერილი. შენ მითხარი, წერილი სულ თანა მაქვსო. ვნახოთ, ძალიან საინტერესოა. ვიცი, შენ როგორ ფიქრობ, მე კი ძალზე საინტერესოდ მიმაჩნია.

ჯიბიდან საფულე ამოვიღე.

— ოჰო! — თქვა ბეკერმა ჩახლეჩილი და დამცინავი ხმით, ელზასური კილო ძალიან ეტყობოდა. — მე სანაძლეოს ვდებ, რომ ლექსები შენცა გაქვს იქ... ჰო! ჰო!

— შენ სცდები, — გუბასუხე ცივად: — მე მხოლოდ მაქსიმ რიოზის წერილები მაქვს და აუღ დე რენოს ყბადაღებული წერილი. აი აჰ არა, სხვათა შორის.

წერილი გავუწოდე, მაგრამ ბეკერი დაცინვას განაგრძობდა.

— ჰო! ჰო! ძვირფასო ტეოდორ... მაშინ ძალიან მაყინე, როდის იყო ეს?.. მე გულწრფელი ადამიანი ვარო, ხომ ამბობდი, უნდა დავგენახა, როგორი გამომეტყველება გქონდა. ბაღლი ხარ, ტეოდორ.

— დიახ, — ვუბასუხე, როგორც კი შემეძლო, დინჯად, რომ შთაბეჭდილება მომეხდინა. — დიახ, ბეკერ. როდესაც ყველას ძინავს, მე კფიქრობ ანდა, როდესაც ყველა ფხიზლობს, მე... მაგრამ განა ყველა ფიქრობს.

— თავი დაანებე! — თქვა და ხელი ჩაიქნია, თითქოს რაღაც ფიქრები მიმოფანტაო. — თავი დაანებე! ვნახოთ, რა არის მაგ წერილში. შეიძლება გავხსნა?

— ქული შენიც ისეთივე მეგობარი იყო, როგორიც ჩემი.

— გული ნუ მოგდის, აბა: „ჩემო ძვირფასო ტეოდორ, ბანაკიდან გწერ“... ძალიან მშვენიერია, მხედრულია. ხომ წარმოგადგენია. ტეოდორ, ბანაკში, ცეცხლი ანთია. კარები, ჭოჭგინად დადგმული თოფები... საუცხოო სურათია! განვაგრძობთ.

V

აი რა ეწერა ქულ დე რენოს წერილში:

„ჩემო ძვირფასო ტეოდორ, მე ბანაკიდან გწერ. ხვალინდელი დღე, შეიძლება, გადაწყვეტი დარჩეს. შიშითა და არაჩვეულებრივი ცნობისმოყვარეობით ვარ შეპყრობილი. არ ძალმიძს გადმოგეცე ის ბედნიერება, რასაც განვიცდი ამ ვაკეებს შორის, რომლებიც ჩემი მეგობრები, თანამებრძოლნი, ჩემი ძმები არიან. მე ვიცი, შესანიშნავ ავანტიურაში ჩაეები, რაც ბოლოს შეიძლება მბოლოდ საფრანგეთის კანთაისუფლებით დამთავრდეს. მაგრამ ამავე დროს უტყუარი წინათგრძნობა მაქვს, რომ მე აქ დავიღუპები. მაშ ეს, შეიძლება, უფრო კი ნამდვილად, ეს ჩემგან მიღებული უკანასკნელი წერილი იქნება... ვიგონებ ძია სიფრელენტონ გატარებულ საღამოებს, ჩვენს სეირნობას ლათინთა უბანში, ჩვენს კამათს. ყველა ჩვენს მეგობარს, სიფრელენტს. ბეკერს ჩემგან უგულითადესი მშვიდობა უსურვეთ. მაგრამ, რადგან შენც პოეტი ხარ, მინდა შენ მოგმართო, მოგანდო ჩემი ლექსების ბედი. თუ ამ გრიგალს ცოცხალი გადარჩები, მე ვთხოვ, ნახო ერთი ჩემი მეგობართაგანი, რომელსაც ხელნაწერები დაუბრუნე და შეუეთანხმდი მას ჩემი ლექსების გამოქვეყნების შესახებ. ის არის ბატონი გრაფი მორტყაუ, რომელიც ვოისის მოედანზე ცხოვრობს, მეთოთხმეტე ნომერში. შეიძლება მისი სახელი გავიგონია ან იქნებ გახსოვს, ხანდახან ამ გრაფზე გელაპარაკებოდი. ოლივიე მორტყაუ არის ორმოციოდღე წლის კაცი, რომელსაც ბევრი წაუციფხავს, ბევრი უმოგზაურია და ცოტა დაუწერია. ძალიან ნაკლებად არის ცნობილი, თუმცა მგზავრის წერილები ერთ ეურნალში ჰქონდა დაბეჭდილი. საუცხოო წერილებია, მაგრამ ყურადღება არაეის მიუქცევია. გაგიყვებით უყვარს პოეზია და ჩემზე დიდი გავლენა მოახდინა, მისგან ბევრი რამ ვისწაელე, მაგრამ სრულიად განმარტოებულად ცხოვრობს, მის შეწუხებას მხოლოდ

იმყოფად ვებედადი. ყურადღებას მაქცევდა და მეგობრულად მეპყრობოდა. მან იცოდა, რომ შეთქმულებს ებედებოდი და ამით ერთობოდა, რადგან ფიქრობდა, რომ ანას ზეც უნდა გავერთე. ჩვენი მეგობრობის სუსტი მხარე ნამდვილად აი რა იყო: მას ვერ წარმოედგინა, ან არ სურდა წარმოედგინა, რომ სერიოზულად მალეუვებდა ყოველივე ის, რაც შენთვის ხშირად გამინდვია, მაგრამ პოეზიისა და ჟალების საკითხში ცოდნისა და უსაზღვრო სიღინჭეს იჩენდა. მიდი მასთან, როდესაც ამქვეყნად აღარ ვიქნები და ჩემზე ელაპარაკე.

ოჰ! ტოდორ, მთელი ის გატაცება, რომლის გამოჩენაც მე შეიქმელი ჩემი თავის შესაცნობად, ასახსნელად, თავის დასაუფლებლად, ყველაფერი ეს ბოლივიო გაიფანტება. კარგი წუთები გამიტარებია, ახლა კიდევ გასაოცარ წუთებს განვიცდი. სწორედ ამდენი ძიება იმით უნდა დასრულებულიყო, რომ ნავსადგურისათვის მიმავნო და ერთ რომელიმე რწმენაზე შევჩერებულიყავი. ბედმა ამის ღრო აღარ ნომცა. იმის შეგნება მგერის კმაყოფილებას, რომ ჩემი სამშობლოსათვის ვკვდები და ვტოვებ რამდენიმე ლექსს, რომელმაც შეიძლება იარსებოს ახალგაზრდა ქალ-ეკათო ტუჩანზე. ამ იმედით ლექსებს განდობთ თქვენ: ბატონ მორტყაუსა და შენ. მშვიდობით, ტოდორ. გისურვებ, გეკეთებინოს საქმე უფრო ხანგრძლივი, ვიდრე მე, და უფრო დასრულებული. გეხვევი მხურვალედ“.

— კარგია, — წამოიძახა ბეკერმა, როდესაც წერილის კითხვა დავასრულე, — ისლა დავგრჩენია, რომ ვისადილოთ და წავიდეთ ვოჟის მოედანზე, მეთოთხმეტე ნომერში, იმ პიროვნებასთან.

— მაგრამ, ბეკერ, რატომ ამ საღამოს? მართლა გსურს იქ წასვლა?

— არ ვინდა წამოგყვე?

— როგორ არა! მხოლოდ...

— შენ არ გინდა ამ ბიჭს უკანასკნელი სურვილი შეუსრულო? იგი ხომ შენი თანამომძევა პოეზიაში? პოეზია კი ფრიალ მნიშვნელოვანი რამ არის!

— ბეკერ, არ ვიცი, ხუმრობ თუ...

ზარბაზნის გრიალმა სიტყვა შემაწყვეტინა. ბეკერმა თითი გაიმკირა და. მითხრა:

— შენ გგონია, რომ ახლა ხუმრობის ღრთა?

ვისადილეთ. მერე ვოჟის მოედნისკენ გავსწიეთ. თალბქვეშ ბნელოდა, არავინ იყო. დიდი გაქირვებით მეთოთხმეტე ნომერს მივაგეინით. შემკრთალმა, ფარნიანმა მეკარემ კარი გაგვიღო.

— ბატონი მორტყაუ შინ არის?

მეკარემ რაღაც ჩაიბურტყუნა. როგორც ეტყობოდა, ჩვენი მუნდირები ღიდ შიშა ჰგვრიდა მას.

— დიახ, — თქვა ბოლოს, — შინ არის... ერთადერთი მდგმურია, რომელიც აქ დარჩა... რა გნებავთ მისგან, ბატონებო... მოქალაქენო...

— ნუ გეშინიათ, — უთხრა ბეკერმა; — ჩვენ მოვედით იმისათვის,

რომ პრუსიელების მიერ მოკლულ მის ერთ მეგობარზე მოველაპარაკოთ. შეიძლება ვნახოთ?

— მეორე სართულზე. გაგინათებთ.

მალალი ტანის კაცმა მიგვიღო. ერთი ხელი ხალათის ჯიბეში ჰქონდა, მეორეთი ნავთის ლამპა აეწია. ჩვენი დანახვა სრულიად არ გაკვირვებია და მშვიდი ღიმილით დაგვათვალიერა. ჟულ დე რენოს მეგობრებად გავაცანით თავი. გეითხრა, მობრძანდითო. ზურგი შეგვაქცია, და ჩვენ გავყევით წიგნებით ამოვსებულ გრძელ დერეფანს. ჩაბნელებული, ფართო ოთახი გავიარეთ. ბოლოს მასპინძელმა შპალერგაქრულ კაბინეტში მაგიდაზე ლამპა დადგა და დაგვსვა. ქალარა თმა ჰქონდა, შუბლი მალღი, ხმელი და გაპარსული სახე. არ ვიცო, თავი მშვიდად ეპირა, თუ ასე გვაჩვენებდა თავს. იგი რბილ სავარძელში მოთავსდა, გერმანულ, გრძელ ჩიბუხს მოუკიდა და იცდიდა, რომელიმე ჩვენგანს რომ ლაპარაკი დაეწყო. მე ჟულ დე რენოს წერილი ვუჩვენე. მან წერილი ყურადღებით წაიკითხა, კიდევ გაიღიმა და ჩაბუტბუტა:

— ბატონებო, მართლაც, არასოდეს არ მინდოდა ჩვენი უბედური მეგობრის ზოგიერთი წინასწარ აკვიტებული გატაცება ტრაგიკულად ჩამეთვალა. მე მხოლოდ ერთი სურვილი მქონდა, რომ მას კარგი ლექსები დაეწერა.

სიტყვა შევაწყვეტიანე.

— თქვენ ფიქრობთ, რომ შეიძლება მშვენიერი ლექსების წერა ამ გატაცების გარეშე, რომელსაც თქვენ ზედმეტად სთვლით?

მორტცაუმ მხრები აიჩიჩა.

— საქმე ის არის, ვიცოდეთ, რომელ გატაცებაზეა ლაპარაკი? მე სრულიადაც არა ვარ ვნების წინააღმდეგი... პირიქით... ამ სალამოს რა იცით ახალი ამბავი? — განაგრძო მან. — ისიში კიდევ იბრძვიან?

— სიმაგრე აიღეს.

მორტცაუმ დაწვრილებით გამოგვიკითხა ისის შესახებ. დიდი ინტერესი და თავაზიანობა გამოიჩინა, თითქოს ამით სურდა, ჩვენს საქმესა და ჩვენ ზრდილობით მოგვეპყრობოდა. მერე ადგა, ოთახის ბნელი კუთხისაკენ წავიდა. პატარა კარადა გააღო და ქალაქების დიდი გრაგნილი გამოიღო.

— აი, რა დარჩა ჟულ დე რენოს, — თქვა მან.

ლამპასთან დავიხარეთ და ჩვენ თვალწინ იშლებოდა ნერვული, უსწორმასწორო, ზოგჯერ ოდნავ ბავშვური ხელით ნაწერი ფურცლები.

— ზოგიერთ მის პოემას ვიცნობდი, — ვთქვი სულ ჩუმად. — მაგრამ მთელი კრებული, ალბათ, დიდებულია. უმთავრესად რას ეხება ეს ლექსები?

— ბულბულს, — მიპასუხა ბატონმა მორტცაუმ წყნარი, ოდნავ დამცინავი ხმით, — ბულბულს. სწორედ ეს აქვს აკვიტებული. ზოგჯერ სხვა თემაც აქვს, სხვა საგანი, ყვავილები, ქალები და რამდენიმე ტაეპის ბოლოს მიხვდებით, რომ სხვადასხვა ნიღაბქვეშ ისევ ბულბული იგულახსმება.

— მეტად უცნაურია, — ჩაილაპარაკა ჩუმად ბეკერმა.

— ხომ ასეა? — თქვა ბატონმა მორტცაუმ. — ეს ბულბული არ არის უბრალო სიტყვა, როგორც ეს მრავალ პოეზიაში. ეს რაღაც დიდი საიდუმლოებაა, ისეთი საიდუმლოებაა, როგორც თვით ბულბული, ეს პატარა ჩიტი, ტყეში მცხოვრები, ღამით მომღერალი, რომლის არსებობა ასე რეალური და ასე ძლიერია. ჩვენი მეგობარი საიდან იცნობდა ასე ბულბულს, საიდან ჰქონდა მისი სიყვარული, არ ვიცო, მაგრამ იგი ბულბულზე ისე ლაპარაკობს, თითქოს აქ მისთვის წარმტაცი და სასწრაფოდ გასამზელი საიდუმლოება ყოფილიყოს. თითქოს შეუძლებელი იყო ის ამ ქვეყანას ისე გასცლოდა, რომ არ მოესწრო ღველაფრის თქმა, რაც ამ საოცარ ბულბულზე იცოდა: ბულბული... ჰაი ჰაი ეს თქვენც საოცრად მიგაჩნიათ. თქვენც, რასაკვირველია, ფიქრობთ, რომ ყველა ეს გატაცება, რაზედაც ვილაპარაკეთ, სრულიად არ იყო საჭირო იმისთვის, რომ ბულბულით დაგვესრულებინა. ასეა ხომ?

— შეიძლება, — ვთქვი მე, — ეს გატაცება გვიხსნის ბულბულის პოვნის სურვილს, ბულბულის მიღწევას.

ბატონი მორტცაუ დაეჰვდა და ხელი ჩაიქნია, არაფერი უთქვამს.

— მაშ ასე — თქვა და ხელნაწერს ხელი დაადო. — აი... როგორ გნებავთ, რა ვუყოთ ამ ლექსებს? ხვალ ჩემი სახლი შეიძლება ყუმბარამ დაანგრის, ან თქვენმა მეგობრებმა მოითაცონ ხელნაწერი და ბინძურ წყალში გადაუძახონ. აი, რვეული აქ არის, ვნახოთ, რა მოხდება.

— დიახ, — ვთქვი მე, — ვნახოთ რა მოხდება.

— ვნახოთ, — განაგრძობდა ბატონი მორტცაუ, — თუ ხვალ დაწერენ ლექსებს!

— რატომ აღარ დაწერენ?

— ადამიანები სულელები და ბოროტები არიან, — თქვა ბატონმა მორტცაუმ. — ერთხელ რომ ამ უბრალო და იმავე დროს უიმიდო

დასკენამდე მიხვალ, ისლა დაგრჩენია, აცოცხლო და ელოდო, გაერთო ნებადართულის ფარგალში.

— როგორ გძულებით პოეზია! — წამოვიძახე მე.

— შე! — თქვა და თავი ასწია. — მე მხოლოდ პოეზია მიყვარს.

— თქვენ იგი ცუდად გიყვართ. საკმაოდ არ გიყვართ. თქვენ სრულიად არ გიყვართ! სრულიად!

მე ხმამაღლა ვყვიროდი. მორტყაუმ წარბები შეიკმუხნა და შუბლზე ხელი გადაისვა.

— ბატონებო, — თქვა თავისი აღუშფოთებელი კილოთი. — მე ვერ წარმომიდგენია, რომ აღამიანს შეეძლოს პოეზიას ემსახუროს ისეთი სოციალური რეჟიმის დროს, რომელიც არ ემორჩილება წესრიგს.

— რომელ წესრიგს? — ჰკითხა ბეკერმა.

— სულ ერთია, რომელსაც. ამაზე ნუ ვიკამათებთ. მე მხოლოდ ნაიმუმს ვითხოვ.

— თქვენ აქ რას აკეთებთ? რატომ ვერსალში არა ხართ?

— მე ვსიამოვნებ ისეთი მოგზაურობით, რომელსაც თვითონ ამოვირჩევ ხოლმე, არავის შეუძლია ძალით ადგილი გამომაძვლევინოს, თუ მე არა მსურს... ახლა ბატონებო, — განაგრძო მოულოდნელად, — ვუტდი თქვენს დეკლარაციას. თქვენ ქვეყნის შეცვლა გსურთ. ეს უკვე ისე ხშირად მოუხდენიათ, რომ აღარ მაინტერესებს. ყველაფერი ცუდია, ეს ცხადია. მაგრამ, ვთქვათ, თქვენ გაიმარჯვებთ, მაშინ გამოინდებთ სხვა ბოროტება, ექსპლუატაციის სხვა ფორმები და ასე გაგრძელდება უკუნითი უკუნისამდე. რა არის ეს თქვენი პრუდონი? ან ის მეორეც? ეს მარქსი? ეკონომისტია ხომ?

— არა, — უპასუხა ცხარედ ბეკერმა, — ის ფილოსოფოსია.

— მაგრამ, — დაფუმატე მე, — ცხოვრება თუნდაც წარმოდგენდეს მუდმივ შინწრაფებას კარგისადმი, რომლითაც ცუდადქცეული კარგი უნდა შეიცვალოს, ამიტომ განა ხელი უნდა ავიღოთ ცხოვრების გაუმჯობესებაზე! თქვენ აბუჩად ამგდები და ამაყი სჩანხართ. ჩვენ კიდევ თქვენზე უფრო ამაყი ვართ. იცით თუ არა, რომ რევოლუციურად აზროვნება ნიშნავს არისტოკრატიულად აზროვნებას? დიახ, ეს ზაუყეთესოდ აზროვნებას ნიშნავს.

— შეიძლება, — თქვა და მხრები აიჩეჩა. — მაგრამ ვერ დამარწმუნებთ, რომ არისტოკრატიულობა ეს არის გულაჩუყება სუსტების, დაჩაგრულების, საწყალი ხალხის, ზანგების მიმართ. მე ვიცი, რომ ეს არის ეპოქის არსი, რაობა. დღევანდელი ლიტერატურა უბედურებისათვის არსებობს.

— დიახ. უბედურებისათვის, ეს სწორია, — წამოიძახა ბეკერმა და ხელი წინ ვაიშვირა, როგორც მას სჩვეოდა, როდესაც დიდი სიტყვის თქმას აპირებდა. — მაგრამ ლიტერატურა. ამაზე არ გაიყინება. არა! რა არის უბედურთა სიყვარული? ამ საყვარულს არ შეუძლია არ წავიდეს. უფრო შორს, მე თქვენ გეუბნებით. თქვენ მართალი ხართ, ეს დიდი, ახალი ამბავია, დიდი მნიშვნელობისა. ძველებმა ეს არ იცოდნენ, მაგრამ ეს სიყვარული აძლევს უბედურებას... იცი თუ არა? ის აძლევს ძალას. უბედურება აღარ არის ის, რასაც ზიზღით ზურგს აქცევენ იმიტომ, რომ ის ბინძურია... ფუი! არა, ახლა მასზე ფიქრობენ. მას ყურადღებას აქცევენ, ადიდებენ, ის ჩვენგან განუშორებელია, რაკი ერთხელ ნახეს უბედურება, მისი არსებობა ყველგან აღმოაჩინეს. როგორ შეიძლება მისი დაიწყება, სხვა რამის დანახვა და მისი კი არა? როგორ არ დასვას მტკიცეული საკითხები? ერთხელ რომ უბედურები ქვეყანას დაეპატრონონ და ვაბედნიერდნენ, სხვა უბედურებს რაღა მოუვათო, — მკითხავთ თქვენ. არა, არა, სხვა უბედურებზე ნულარ ვილაპარაკებთ... რადგან უბედურება მოსპობილია. მე ხომ გიჟურ რამეს ვლაპარაკობ? უეჭველად გიჟურს. ეს სიგიჟეა. სპარტაკი ნამდვილი გიჟი იყო. იგი სასოწარკვეთილებას უკანასკნელ ზომამდე უნდა მიეყვანა, უბედურების შეიარაღება რომ გაებოდა და ენოქმედნისე, თითქოს მას აჯანყების წარმატებით დაბოლოება, ქვეყნის პატრონად გახდომა შესძლებოდა. ხომ ხედავთ ამას? მონები ქვეყნის პატრონები ხდებიან. ეს იმ დროს, როდესაც უბედურება გონებრიდან განდევნილია, როდესაც იგი არც შეიძლება წარმოიშვას, მაგრამ მაინც... თუ სპარტაკი უფრო ძლიერი გახდებოდა? თუ სპარტაკი გაიმარჯვებდა? ოპ, საშინელება იქნებოდა, რასაკვირველია, ისეთი რამ, როგორც ბუნების კანონების დარღვევა, არსის მიერ თავის თავის მიტოვება, არარსობის არსებობად ქცევა. წარმოიდგინეთ... თქვენ კი ვერ წარმოიდგინთ, თქვენ ოცნებობთ. ეს ერთი და იგივე არ არის. თქვენ ოცნებობთ ხომ? სხვა რის გაკეთებას შესძლებდით? ახლა დაგტოვებთ, ბოდიშს ვიხდით.

ბატონი მორტყაუ წამოდგა, თავი დაბლა დაგვიკრა და მე იგი უფრო დიდი მომეჩვენა, ვიდრე პირველი ნახვის დროს. ამასთანავე გულჩათხრობილი. მოკუმულ ტუჩებზე ოდნავი უკმაყოფილება გამოეხატა და იკვიპასუხა:

— დიახ, ბატონებო, მე ვოცნებობ, მხოლოდ ჩემი ოცნებისა მწამს, მხოლოდ ჩემი ოცნებანი მიყვარს. არ ვიცი, ისინი წარსულში იმყოფებიან, (რაც თქვენ შეგეძლოთ ჩემთვის გესაყვედურებინათ), თუ

მოზავალში, (რაც თქვენ შეგეძლოთ გესურვათ), მაგრამ ისინი მეხმარებნენ, რომ აწმყოში ვიცხოვრო, და მარტოობას მიმსუბუქებენ. თქვენ შეგიძლიათ დამცინოთ, მაგრამ მე უზომოდ კმაყოფილი ვარ იმ სიძაბით, რომელსაც ჩემუადმი იჩენენ და იმ წყალობით, რომლითაც მაჯილდოებენ. მათს გარეშე ჩემთვის ყველაფერი არათუ უმნიშვნელოა, საშინელი რამ არის, ნათ რომ მიმატოვონ, შებლში სყვიან ვიყარა.

მორტყაუმი ფარდები გასწია, ფანჯარა გააღო და ელვითა და ცეცხლით დასწერილი ღამე დაგვიანა.

— აი, რა არის სიგიჟე! — თქვა მან. ეტყობოდა, მოთმინება დაეკარგა. მართლაც, სახეზე აუტანელმა ზიზღმა გადაურბინა. — დიხ, ეს არის სიგიჟე საძაბელი და სიგიჟე სასტიკი. ღამე მშვიდობისა, ბატონებო...

მალაღმა ღამებამ გზა გაგვინათა კარამდე. მორტყაუს თავი ისევე მშვიდად ექირა და ხელი გამოგვიწოდა.

— ამ აღამიანთაგან ზოგიერთები, — ვუთხარი მას მაშინ, — ამ აღამიანთაგან ზოგიერთები მაინც წერენ ლექსებს.

— რასაკვირველია, ისინი ლექსებს წერენ თავისი ოცნებით.

თავისი სიცოცხლით-მეთქი, მინდოდა მეპასუხა, მაგრამ ეს მეტად მცირეწონიანი და უმნიშვნელო რამ იყო ბატონ მორტყაუსათვის, და ჩავიბუტბუტე.

— საწყალი ყული! მის ოცნებაში, მე მგონია, დიდი ქაოსი სუფევდა, მაგრამ მან დაწერა ლექსები, დაწერა ლექსები, ილაპარაკა ბულბულზე.

— გეტხოვრებთ თქვენი მონა-მორჩილი, — სიტყვა შემაწყვეტინა ბატონმა მორტყაუმ.

— ნახვამდის, ბატონო, — ჩავილულლულე. — თუ კიდევ ვნახავთ ერთმანეთს.

თავი დაგვიჯრა და კარი წყნარად მიიხურა.

— ვნახავთ ერთმანეთს? — ვკითხე ბეკერს და ასანთს გავკარი, რომ ფართო, ბნელ კიბეზე გზა გაგვეკვლია. მეკარემ გაიგონა, რომ ჩავდიოდით და ფარნით ჩვენ შესახვედრად წამოვიდა. მე განვაგრძე: — ვნახავთ ერთმანეთს? ვნახავთ ყულ დე რენოს ლექსებს დაბეჭდილს? დადგება მშვიდობიანი დრო, რომ ლექსები წაიკითხოთ? კიდევ რა მოხდება, ბეკერ? ჩვენ ხომ განწირული ვართ?

— უკანასკნელი სიტყვა, რომელიც როსელის პირით გავიგონე... — მიუხრა ბეკერმა. მე უეცრად ლაპარაკი შევაწყვეტინე.

— როდის ნაწე როსელი უქანასკნელად? ზოღალატევე, ნთელი დი-
ლა რატომ გამიწყალე გული ლოდინით ქალაქის თვითმმართველო-
ბაში?

— სუ! — მითხრა ბეკერმა და მანიშნა მეკარეზე, რომელიც ხელში
ფარნით კარს გვიღებდა. გარეთ რომ გამოვვდიოთ, ბეკერმა განაგ-
რძო: — უქანასკნელი სიტყვა, რომელიც როსელის პირით გავიგონე,
ის იყო. რომ ჩვენი კომუნა მხოლოდ ავანგარდული ბრძოლა იქნებო-
შენთვის სულ ერთი არ არის ის, რაც შეიძლებოდა მომხდარიყო, ან
არ მომხდარიყო. ტეოდორ? საქმე ზოგეარებულა. არ ვიცი, შენი წირ-
ვაც გამოსულია თუ არა, მაგრამ გირჩევ, შენი ხელნაწერებიც ჩა-
ბარო იმას, ვისთანაც აი ახლა სტუმრად ვიყავით. ანდერძის შემსრუ-
ლებლის როლი მას ბრწყინვალედ შეეფერება. ჰე! ჰე! ტეოდორ,
როგორი სახე გექნება, როდესაც დასახვერეტად დაგაყენებენ?

— არ მიყვარს შენი ოხუნჯობა, ბეკერ, — ვუთხარი უკმაყოფილოდ.

— აბა, — განაგრძო მან, — ინახულე მარი-როზი. ისარგებლე შემ-
თხვევით, სანამ დრო კიდევ დაგრჩენია!

— მაგრამ ყველაფერი ეს საშინელებაა, რასაც შენ ლაპარაკობ, —
წამოვიძახე, — მალე გაათავებ?

— მალე, დიახ, მე ამის მეშინია...

— კარგი. მე ვხედავ, შენ ხუმრობის გუნებაზე ხარ. ამ დროს შენ-
თან ეშმაკიც ვერაფერს გახდება. ყველაზე სასაცილო ამბავი ის იქ-
ნება, რომ ჩემზე ადრე შეიძლება შენ დაგხვრიტონ. თქვი რაღა, ბე-
კერ, რას ფიქრობ, ეს ამბები როგორ ჩაივლის? თუ ჩვენ დახვერეტას
გადავრჩით, თუ ბურჟუები პარიზში დაბრუნდნენ, თუ ყველა ამ სახ-
ლმა, — განვაგრძე და ოთხკუთხოვან ბნელ მოედანზე მივუთითე, —
თუ ყველა ამ სახლმა თავისი ძველებური ცხოვრება განაახლა, თუ
ბოლოს და ბოლოს ეს ქვეყნის დასასრული არ იქნება... და თუ ქვე-
ყანა კვლავ დაიწყებს თავის წინანდებურ ცხოვრებას სულელურად,
ზანტად, როგორც მუდამ იყო, მაშინ მე და შენ როგორ გამომეტყ-
ველებას მივიღებთ? ოჰ! მე მინდა ეს წარმოვიდგინო, ამაზე კი არ
ვოცნებობ... შენ ფილოსოფოსობას განაგრძობ. მე კი, ბეკერ, რას გა-
ვაკეთებ? ლექსებს დავწერ ზომ? მერე რაიმე ხელობას მოვკიდებ
ხელს, სიფრულენი დურგლობას მასწავლის და მარი-როზის ქმარი
ვიქნები. ნუთუ ჩვენ განვაგრძობთ ჩვენს შეთქმულებას, რევოლუციის
მოლოდინს? თუ ჩვენ ისეთი ადამიანები ვიქნებით, რომლებსაც სულ
ციხეში ამწყვდევენ. ან ჩვენ ხელობას მოვკიდებთ ხელს სულელურად,
ზანტად. გულის სიღრმეში კი სასტიკი საიდუმლოება გვექნება. შეი-

ნარჩუნებენ ჩვენი თვალები ამ ოდნავ ნახულ სინათლეს, ხანძრის ანარეკლს?... ამ ანარეკლის მნახველნი ხომ მაინც უცნაური აღამიანები ვიქნებით, ბეკერ, და არა ისეთი, როგორც ყველა სხვა... ჩვენი ტანჯვა სხვის ტანჯვას არ ემსგავსება, თავისებურადვე გულგრილად მოვეკიდებით ტანჯვას, თავისებურად ვიმუშავებთ და მოვზუტდებით... ქალები დიდო ცნობისმოყვარეობით შემოგვხედავენ, ჰა, როგორ ფიქრობ, ბეკერ?

— ქალები! ამ ქალებით თავს მამბებრებ.

— ეჰ! ჩვენ სწორედ ქალებისათვის ვცოცხლობთ, რომ მათ ჩვენს ცხოვრებას უყურონ და ჩვენზე იფიქრონ. განა ასე არ არის, ბეკერ?

— ეფერები, არა, მე, ჩემო პატარა კომ, ვარსებობ იმისდა მიუხედავად, ჩემზე ფიქრობს ვინმე თუ არა.

— ეჰ! — ამოვიწიე. — ფრლოსოფოსებს ბედი გწყალობთ.

ბეკერმა ვიეი-დიუ-ტამპლის ქუჩის კუთხეში მიმატოვა და მე ჩემს საკუქნაოში ავედი. იმედი მქონდა, რომ იქ მარი-როზი დამხვდებოდა. ვიცოდი, რომ მის გულში ვცოცხლობდი. მართლაც, დამხვდა, ლოგინში ღრმად მოკრუნჩხული. ისეთი დაღლილი იყო, რომ ჩემს მისვლას არ გაუღვიძებია. როდესაც დაკვოცა, მაშინ ოდნავ შეტოკდა, ცოტა ხნის შემდეგ თვალი გაახილა.

ხელში მეჭირა მისი ხელები, მშვენიერი ხელები, ღონიერი და თბილი. ქალის ხელები. რომლებსაც ჩემს გონებაში ვადარებდი პატარა გოგონას ხელებს ჩემი ბიძაშვილებისას. ვნებიანს, მაგრამ ნახს. ოდნავ მოუთავებელს, ოდნავ დაუნდობელ ხელებს, რომლებიც თავდასავიწყებლად იყვნენ შექმნილი, თუ კაცს სურდა ამაყად და აღგზნებულად ეცხოვრა. როგორც ამიერიდან მე უნდა მეცხოვრა. მარი-როზის ხელები დამით გაღვიძებული ფრინველის სიხალისით მოძრაობდნენ. ამ ხელებმა ყველაფერი იცოდნენ, რის ნებაც ჰქონდათ; ჩემს ჩახუტებას უპასუხებდნენ და ყელზე მეხვეოდნენ. ლამპის სინათლეზე ჩემს მახლობლად მაგიდაზე დავინახე თასი, ჭიქა, ნაჭერი პური.

— აქ ვამე? — კვითხე.

— ჰო, რომ მოვედი, სპირტქურაზე ცოტა რძე გავითბე. პური და ლორის პატარა ნაჭერი ვქამე...

მარი-როზის ხელებს ხელი მოვკიდე. ასე მეგონა, მე ხელს კვიდებდი ყველა ამ ნივთს, თასს და წახნაგოვან ჭიქას, ცივსა და გამკვირვალეს, პურს.

— ერთ დღეს, — ჩავბუტბუტე. — ჩვენ ერთმანეთის პირისპირ დავჯდებით და ვქამთ, ერთ სუფრაზე, ღია ფანჯრის წინ.

— ერთ დღეს... რომელ დღეს?

თვალდახუჭული მკეცროდა, თითქმის შიანარე, მისი ტუჩებიდან კი ფეხტარის ბზულივით ნაზი ბუტბუტი ისმოდა.

მერე ჩვენმა დღეებმა, ჩვენმა ღამეებმა ისევ იწყეს დენა, ბნელმა, დაფლეთილმა დღე-ღამეებმა. ყუმბარების გრიალი ჰაერს აზანზარებდა. მარნი-როხს ვკარავადი, არეულ-ღარეულ ადგილებში ღავრბოდი, მერე მას კვლავ ეპოულობდი, უძილობით მოწყვეტილსა და დაჭრილ-თა სისხლით დაფარულს, რომ იგი ხელახლა დამეკარგა. სამხედრო სამინისტროს შენობაში მრისხანე ღრიალი ისმოდა. განოჩნდებოდა ცილინდრდახურული დღეეკლუზი, რომელსაც ვრძელი, წელში გამოყვანილი სერთუკი ეცვა და ხელში ჯოხი ეჭირა... მვზნებარე სიტყვებს ისროდა, მაგრამ ძლიერი ხველება ლაპარაკს აწყვეტიანებდა. არასაეჭვო, იმედის გამტეხი დებეშები მოდიოდა. მაშინვე ახალ ნაწოდებას ადგენდნენ. ცხედრის გასვენება გასვენებას მიხდევდა: წითელი კატაფალკა. წითელი უკვდავს თაიფულით შემკობილი. ცხედას უკან მიჰყვებოდა გონებადაკარგული ქალი და რამდენიმე წვერგაბურძნული ჯანისკაცი, რომლებსაც თოფის ლულა დაეხარათ, საგუშაგოებთან პასში, ვანვში ნანგრევები აღმართულიყო. მოჩანდა გატიტვლებული კოჭები, კედელჩამოცობილი, როგორც თეატრში, ოთახები, დაღწილი აეეჩი ამ გატიტვლებული ჩონჩხის, ჰაერში გამოკიდებული დამწვარი ხის ნაწილების, დაღწილი ფანჯრების დანახვა ადამიანს გულს უწუხებდა, თითქმის ჰირცხვილში აგდებდა. უცრად მტვრისა და ბათქაშის ნაფშეენის კორიანტელში კედელი ჩამოინგრეოდა. აღი შადრენაღ ამოვარდებოდა.

ამ არე-ღარევაში ვისაც გადავეყრებოდი, იმას ავღდევენებოდი, ძია სიფრელენს, ბეკერს, მოროს, ვერმერს, მეკარეს, ყველანი ვაშაგებულო, სისხლში მოსვრილი იყვნენ, რაღაცას ღრიალებდნენ. როდესაც ვანდომის სვეტი გრუხუნით დაეცა დაფენილ ფიჩხკონებსა და ნაკელზე. მარსელიოზას გუგუნი უფრო ძლიერად გაისმა ჰაერში. ყველაფერი, რაც კი შეიძლებოდა, უნდა დავემსხვრია. ამ დაუსრულებელი მარსელიოზას სიძლიერის დროს, მარსელიოზასი, რომელიც იმედს გვიცრუებდა.

ვიდაცამ ოფიცრებისთვის საკონკურსო გამოცდები გამოიგონა. მეუ მივიღე მონაწილეობა ერთ კომისიაში, რომელსაც მწითური; პენსეიანი ახმაწი თავმჯდომარეობდა. ამბობდნენ, უნივერსიტეტის პროფესორი არისო. გამოცდები მერიის ერთ დარბაზში ჩატარდა, წითელქამრიანი და სირმიანი ოფიცრები მოწაფესავით უსხდნენ მაგილებს.

ისინი უწყებით გამოიძახეს. ჯერჯერობაში ხალხის ტყეა არ იყო, მერე ოთახში კომისიის სხდომა მიმდინარეობდა. ჯერისნომერს ყვიროდნენ, ვვარს იძახდნენ, გამოძახებულთ კარი ეშლებოდათ და საშუებს აფრიალებდნენ. მე კათედრის უკან ვიჯექი, უნივერსიტეტის პროფესორისა და გაკრეპილი მღვდლის გვერდით. ჯერ კარნახი დააწერინეს, მერე საშრალოებს საფრანგეთის ისტორია და ლიტერატურა გამოჰკითხეს.

მე ვფიქრობდი: „ბოლოს და ბოლოს, შეიძლება ისინი სწორად იქცევიან. რადგან, როდესაც ისინი დაინახავენ, რომ ჩვენ გამოცდებს ვატარებთ, ყოველდღიური საკითხებით ვართ გართული, ჩვენთვის ვართ. შეიძლება სიმშვიდე არ დავვირღვიოთ, საშუალება მოგვცენ, რამდენიმე დღე შევმატოთ ჩვენს ჯლებს და ამნაირად უყვავება დავიმკვიდროთ“. მე განვაგრძობდი ოცნებას, მარი-როზთან ერთად როგორ ვიცხოვრებდი, როგორ ვისეირნებდი ქალაქკარეთ, გაშლილ მინდორში. ტყეში, სადაც აშოლტილი, ცოცხალი ხეები დაუზიანებელი, ტოტებუნაწილი, ამწვანებული არიან. ტიუილრით უნდა დავკმაყოფილებულიყავი, მისი ხეებიც მომზიბულელი იყო სხივების მფრქვევ ამ მაისის თვეში. კვირას, 21-ს, ნაშუადღევს კონცერტი იყო, ტოტებქვეშ ვიჯექი. მარი-როზი ტანზე მეკვროდა. წაბლის ხეების ყვავილები თავს მაწვიმდა. სიმფონია, რომელიც თავისი შექმნის დღიდან ერთნაირად ჟღერას-იყო ნაჩვევი ამქვეყნად ყველგან. როგორც ტყვედჩავარდნილ ხალხთა შორის, ისე ბედნიერ ქალაქებში, ახლაც ატუგუნებდა სპილენძის საკრავებს, ისმოდა მისი ერთი და იგივე საზეიმო ხმები, მისი მუდამ ერთნაირი მოთქმა-ქვითანი. ზოგჯერ კონკორდის შოედანზე ყუმბარის ვრიალი ისმოდა. სიმფონია კრძლდებოდა. ბოლომდე უნდა დაეკრათ. უსმენდნენ. სიმფონიის ნოახსმენად მოსული ქალები საზაფხულო ტანსაცმელში მორთულიყვნენ.

როდესაც კონცერტი დასრულდა, პასუხულ მოვებრუნდა, თავი დავეიქრა, როგორც ეს ორკესტრის უფროსებმა იციან. ტაშის გრიალი გაისმა, სკამების მიწვე-მოწვევამ და კაბების შრიალმა დიდი ხმაურობა გამოიწვია. მარი-როზს წელზე ხელი მოვხვიე და ხეივნებში გავისეირნეთ. ახლა ისეთი გრძობა მქონდა, რომ ეს დასასრული იყო. ყათარისკენ წავედით და მოაჯირის სიმაღლიდან გავცქეროდით გამომიგნულ კონკორდის შოედანს, სენ-ფლორენტის ქუჩის უზარმაზარ ბარკადს, შავებით შემოსილ ქანდაკებებს, ყუთებს, სადაც მარლის ცხენები მიმალულიყვნენ, და შორს ხანძრის ციმციმს, რომლის სინათლესაც საზეიმო თალი მოჩანდა დახშული კართურით.

— უკანასკნელი ექმეა. — სულ ჩუმად ჩავიბუტბუტე.
საშინლად დაღლილ მარბროზი მკლავზე დამეყრდნო.
— მაშინ შეიძლება დავისვენოთ, — ამოიოხრა მან.

ერთმანეთსთვის არაფერი გვითქვამს, მაგრამ მე და მარი-როზმა ვიცოდით, რომ ეკვდავნი ვერ დავრჩებოვით, და ეს იყო ერთ-ერთი დღე ჩვეულებრივ დღეთა შორის. კონცერტის დასასრულს, ერთი ოფიცერი ესტრადაზე ავიდა და ხმამაღლა დაიყვირა: „მოქალაქენო, ბატონმა ტიერმა აღკვეთქვა, რომ გუშინ პარიზში შემოვიდოდა. ბატონი ტიერი ვერ შემოვიდა. გპატივებთ მომავალ კვირას აქვე, იმავე საათზე...“ ჩვენ ვიცოდით, რომ იგი სტყუოდა. კონცერტი აღარ შემდგარა. გუშინ რომ ტიერი ვერ შემოვიდა, ჩვენ ისე გვიხაროდა. როგორც სიკვდილმისჯილს შეუძლია უხაროდეს, რომ კიდევ ერთხელ იზილა განთიადი პროკურორისა და მღვდლის დაუსწრებლად. მერე რა? ასე გაივლიდა ცხოვრება ამ კონცერტებში, საუკუნოდ ჩვენს თავზე გადმოვიდებოდა მუქარაში, რომელიც არასოდეს დაგვეცემოდა? არა, ჰაერი ისე ზომიანზე შეტად იყო გაქვინთილი სიტკბოებითა და აშკარა სევდით, რომ არ შეიძლებოდა ამ დღეს ხვალინდელი დღე მოჰყოლოდა. საჭირო იყო ვაჩერება ამ უმადლესი მუსიკის ნაკადში და მის შემდეგ ჩამოვარდნილ სამგლოვიარო დემილში, რომელსაც მხოლოდ ხეივნებში მოსიერნეთა ფეხის ხმა არღვევდა. ჩვენ ზარბაზნების გრიალი დავივიწყეთ. გვესმოდა მხოლოდ ჩვენი ფეხის ხმა და კიდევ უფრო მოკრძალებული საკუთარი გულის ცემა.

საღამომდე კიდევ შორის იყო, როდესაც ერთმანეთს დავშორდით, მარი-როზი ლაზარეთში წავიდა, მე კი ლამუეტში, სადაც დომბროვსკისაგან პატაკი უნდა წამომეღო. მარი-როზს ასე მხურვალედ და სევდიანად არასოდეს გამოვმშვიდობებია. პირში სიკვდილის გემო მქონდა და მარი-როზის ტუჩებზე იგივე ვიგრძენი. როდესაც ლამუეტის ნანგრევებში მივედი, გაიგე, რომ დომბროვსკი თავის მთავარ შტაბში არ იყო. ერთ სანგარში მოვეწყვე მოსაცდელად და ზოგიერთ იმ უბედურთაგანს გამოვესაუბრე, რომლებიც იქ იყვნენ. თავი მხრებში ჩაეშალათ, პირქუშად გამოიყურებოდნენ. როდესაც ზარბაზნის სროლა მიწყნარდა, ჩემი ხვრელიდან გამოვძვერი და უმიზნოდ ხეტიალი დავიწყე.

უცნაური პეიზაჟი ვნახე. ასეთი ბუნება ჩემს ოცნებას არ იზიდავდა. შავბნელი ვლანსებრი, გაბიონები, მიწისა და ნანგრევების შვავი. ამ აფორაქებულ ნიადაგზე ბორძივით დავდიოდით... აქა-იქ, დაუანგული რკინის, ნაცრისა და ბანაყის ნანგრევებს შორის, საშინე-

ლი და ჭიუტი სარეველა ბალახი ამოსულიყო. ჩემს სასაიროს აღ-
გისს ლაღად გაშლილი თბილი ცა დასცქეროდა. უეცრად შევნიშნე,
რომ დამსხვრეულ ზარბაზანთან ვიყავი. მაღლა ბატონონზე ვილა-
სერთუყიანი აღიმართა, მისი მხარ-ბეჭი, მგონია, ვიცანი. მოულოდნე-
ლად მისკენ გავეშურე. იგი გაქრა. დიახ, სწორედ ის იყო: პეშენი.
სამოქალაქო ტანისამოსი ეცვა, მაგრამ მისი დიდკაცური და ზვიადი
სიარული ვიცანი. დავედევნე, ის უფრო შორს გამოჩნდა, შემნიშნა
და ხელი ჭიბისკენ წაიღო. მე არ გაენძრეულვარ. ბელი ჩემკენ განო-
იშვორა. სროლა გაისმა. მეც ვესროლე დამბაჩა. მაგრამ იგი სანგრის
სიღრმეში ისეთი სისწრაფით დაეშვა, რომ ანეთი მსხვილი კაცსაგან
არ მოველოდი. გაქრა.

მისკენ ვავიქეცი. მე მეგონა, სენ-კლუს კარს გვერდით ვიყავი
მაშინ. უკან დავბრუნდი, მზე დასაფლეთისკენ გადანრილიყო. არ ვი-
ცოდი კარგად, სად ვრყავი.

ფერდობზე ავცოცდი, ვცდილობდი გავრკვეულიყავი. ჩემ-წინ
დაცარიელებული ბასტიონები, ნანგრევებად ქცეული სახლები გაჭი-
მულიყო. მოულოდნელად საშინელმა თრთოლვამ ამიტანა: დავინახე
რადაც შავი ფუთფუთებდა. ბიშტების ბრწყინვა... ვერსალელები! აქ
იყვნენ ისინი! ვირთაგვებივით მოცოცავდნენ. გამოვიქეცი. პაროზში
დავბრუნდი. ნანგრევების შემდეგ კვლავ ვნახე ქუჩები, სახლები, ნან-
დვილი მაღალი სახლები, დაკეტილი დარაბებოთურთ. ყვირილი მო-
მინდა, მაგრამ ამ მიტოვებულ უბანში ვის გავაკონებდი. აქ მხოლოდ
აჩრდილები იყვნენ, უეჭველია, ან მოღალატენი, რომლებსაც ვერსა-
ლელების მოსვლა გაახარებს. კიდევ ვაკიქეცი. ერთი მოუღნის კუ-
თხეში არტილერიისტები შევნიშნე, ისინი ზარბაზანს მოათრევდნენ.
ჩვენები იყვნენ, ცოცხალი ადამიანები, რომლებიც მოავიწყებდნენ
კარგ პატარა ზარბაზანს. მათ დაეუძახე:

— ვერსალელები შემოვიდნენ!

ერთმა მათგანმა თოფი ხელიდან გააგდო, კეპი გადაისროლა და
გაიქცა. მეორემ მოინდომა ჩემთვის სახელოში ხელი ჩაეკლო და გა-
ეჩერებინე.

— რას ამბობ?

— ვერსალელები-მეთქი.

და ისევ მოკვურცხლე. მთელი ძალით ვყვიროდი.

— მარი-როზ, ვერსალელები! მარი-როზ! ბუკერ!

ცოტა დაშორებით ვილაყამ ტანზე ბელი მომხვია. მას სრული-
ლურჯი ზალათი ეცვა. ძალიან ღონიერი იყო, ამოღო ვიბრძოდი, რომ

ჯანსხლტომოდი. ტანზე მიკრული ვყავდი და სახეში მასუნთქავდა ჰერნი სუნით აყროლებულ ჰაერს!

— ვერაალებები? — ყვიროდა იგი. — სად არიან?

მერე ჩვენ ვარშემო ხალხმა დაიწყო სიბილი. ფანჯრები გაიღო. ღერჯხალათიანა ხელი გამიშვა. თოფი აიღო, რომელიც ხელიდან გაუვარდა და ფანჯრებს დაუწყო სროლა. მე კვლავ გავიქეცი და ხილს მივადრევი. შუა ხილიდან პუენ-დიუ-ქურისკენ გავიშვირე ხელი, სადაც მთლად წითლად მოსჩანდა ყველაფერი და დაეიღრიალე:

— ისინი შემოვიდნენ! ისინი იქ არიან, პარიზში!

ჩემ ვარშენო ხალხი გროვდებოდა. აქლოშინებული ნაციონალ-გვარდიელები მოიჭრნენ ჩვენთან.

— მართალია! — თქვა ერთმა მათგანმა, თეთრწვერიანმა. რომელიც მიტრეღენს ჰგავდა. — მე ისინი დავინახე. ერთმა ჯაშუშმა მათ ხელმანდილით ნიშანი მისცა. ისინი დავინახე, მე თქვენ გეუბნებთ. ისინი შემოვიდნენ.

ირველივე ყველას სახეზე შევხედე. სიტყვას არავინ ამბობდა. ნაციონალ-გვარდიელმა ჩახლეჩილი ხმით დაიძახა:

— ვაუმარჯოს კომუნას!

მე ვხედავდი სენაზე გადმომდგარ პარიზის მოლურჯო სილუეტს, ვაჯახულის მწვანე ფოთლებს, მზის სხივებით განათებულს, აბოლე-ზელ დიდებულ სახლებს ქებული მწვერვალებითურთ. შეუძლებელი იყო მეფიქრა, რომ ყველაფერი ეს მალე ღპობას დაიწყებდა. მაგრამ მე ისინი ვნახე, მყრალები. ისინი დავინახე ჭიანჭველებით რომ ფუს-ფუსებდნენ, ჩანთის სიმძიმით წელმოხრილნი, მათი აბურძგნული ხიშტები. ჭრილობაში რომ იჭრებოდნენ. გვიახლოვდებოდნენ! მოხუცმა მოკავშირემ! ზურგზე ხელი დამკრა და მარცხენა ნაპირისკენ წამათარია. რესპუბლიკის ცხენოსნის ფორმით გამოწყობილმა შიკრიკმა ცხენი გააჩერა და ჩვენკენ დაიხარა:

— მართალია, რასაც ამბობენ?

— სწრაფად! — ვუთხარი. — გასწი. ქალაქის თვითმმართველობაში მიტრინდი! ვერსალელები პარიზში არიან.

სახლებიდან ნაციონალ-გვარდიელები გამოდიოდნენ, ხელში თოფი ეჭირათ.

— ბარბაცლებზე! — დაიყვირა ერთმა მათგანმა.

მაგრამ ქაშინელმა ღრიანცელმა შეგვატოვა. ქუჩის მოსახვევიდან

1 Le fédéré — მოკავშირე ეწოდებოდა 1871 წ. პარიზის კომუნის მონაწილეს.

კომუნარების უიარაღო ბრბო გამოჩნდა. ღრიალებდნენ, გვიღალატესო. ერთი ოფიცერი, რომელსაც ზელში ხმალი ეჭირა, ცდილობდა მათთვის თავი დაეღწია, ვერაფერს გახდა. ამ ქარბუქმა გვერდით ჩაგვიარა. ოფიცერი განმარტოვდა, მელოდრამატულად ხმალი ჩაიჭინა, თითქოს ცას ემუქრებოდა, მერე ჩვენ წინ დარჩა დარცხვენილი, უსიცოცხლო თვალებით, ქვედა ტუჩი ჩამოვარდნოდა.

— თვითონ არიან მოღალატენი! — დაიძახა მან. — მოღალატენი ღორები! მზღალები! თვითონ არიან მზღალები, მზღალები...

ამ სიტყვებს რაღაც უზერხულად იმეორებდა, თითქოს ჩვენი დარწმუნება სურდაო. ბოლოს გზას გაჰყვა, ამოწვდილი ხმალი ხელში ეჭირა.

— საით მიდიხარ? — მკითხა მოხუცმა ნაციონალ-გვარდიელმა:

— სამხედრო სამინისტროში. დელეკლუზის გასაფრთხილებლად. ის ჩემი უფროსია. —

— ჰოო! — თქვა მან აღტაცებით. — მეც მოგყვები. მე ბიზერელი მჭეია. მე ქვითხურო ვარ. გინდა? მითხარი?

— რა?

— რომ წამოგყვე?

— როგორც გინდა, ბიზერელ.

ამ ცხარო დიალოგმა დამამშვიდა. უფრო მშვიდი ნაბიჯით ვაუღექი ვზას და ისე ვსაუბრობდით, თითქოს არაფერი მომხდარიყოს, მხოლოდ დროგამოშვებით ჩემი თანამგზავრი წამოიძახებდა:

— აი უყურეთ, რა მოხდა!

მერე მიბრუნდებოდა და უხილავ ძაღლს უსტვენდა.

— სასაცილოა, სულ ასე მგონია, რომ ძაღლი მყავს.

— შენ ძაღლი მყავს?

— იმ დღიდან, რაც ქალაქს ალყა შემოარტყეს, ძაღლს ვინახავდი, — მითხრა ამყავდ. — არ შემიჭამეს და მისთვის საჭმელს ყოველთვის ვმოულობდი!

— ახლა სად არის?

— ჩემს ცოლთან. ომამდე, როდესაც ვმუშაობდი, ძაღლი ვწენებლობაზე დამყვებოდა.

საღამოს ცხრა საათი იყო, როდესაც სამხედრო სამინისტროში მივედი. დელეკლუზმა მაშინვე არ მიმიღო, კანცელარიაში ნაცდევინა. მე კი ვიმეორებდი:

— ერთი უთხარით, რომ ეს მნიშვნელოვანი რამ არის! ვერსაღე-

ლები პაროზო არიან. მე ისინი დავინახე. ამ კაცმაც, რომელიც ამ არის. პასა და გრენელში პანიკაა...

ბოლოს დელეკლუზი გამოჩნდა, გაფითრებული, ხმაჩაბლენილი, პირის კუთხეში ჩამქრალი სივარა გაეჩხირა.

— ტრინტვალტრი თალის სათვალთვალ პუნქტი თქვენს ცნობას უარჰყოფს.

— მაგრამ მე ვერსაღელები დავინახე, ბატონო დელეგატო, მე ისინი დავინახე.

— კარგი — თქვა დელეკლუზმა და წელში გაიმართა. — ქუჩებში ვიბრძობებთ. მომაბეზრა თავი სტრატეგიამ და მილიტარიზმმა. გზა მიეციოთ ხალხს! რა მოხდა? — თქვა და მიბრუნდა.

განკარგულებათა მისაღებად ოფიცრები მოვიდნენ, ცნობა დასტურდებოდა. ვილაკამ წინადადება შემოიტანა: განგაში ავტეხთო.

— არ გაბედოთ, — წამოიძახა დელეკლუზმა.

დაბალი ხმით დაიწყეს მსჯელობა, თითქოს უშინოდათ, რომ პარიზს, რომელმაც ჯერ კიდევ არაფერი იცოდა, ჩვენი ლაპარაკი არ გაეგონა.

— ბოლოს და ბოლოს, ისინი შემოვიდნენ თუ არა?

— რას ამბობენ ქალაქის თვითმმართველობაში?

— დომბროვსკისაგან დეპეშა მოვიდა.

— მაგრამ ეს წარმოუდგენელია! დომბროვსკიმ როგორ შემოიღწვა ისინი. კიდევ ერთი მოღალატე, როსელივით.

— რატომ არ გაგვაფრთხილა?

— გაუფრთხილებივართ!

— მთავარია, ხალხი არ შეშინდეს.

— ისინი ალებზე რომ პროკლამაცია გამოიცა, ისეთი შეცდომა არ დავუშვათ.

გადაწყვიტეს ჩემი გაგზავნა ლამუეტის მხარის დასაზვერად. წავედი. ბიზერელიც თან გამომყვა. თითქოს გადაეწყვიტა, აღარ მომშობრებოდა.

— საკმელი გაქვს ჩანთაში? — ვკითხე.

მსუბუქ საკმელს შევექცეოდი, ამ დროს ბიზერელს ვუთხარი:

— მე წუთით მეშვიდე ოლქის მერიიაში შევივლი, ერთი ვინმეს სახახავად. მომიცდი?

— თალის ქვეშ. მაგრამ აჩქარდი. დავალება გვაქვს.

კიბეზე ავირბინე მარი-როზის მოსანახად. როგორც კი მდგომარეობა გავაცანი, ფორმის ხალათი გაიხადა და შორს გადაისროლა:

— ჩემი ადგილი აქ აღარ არის, ტეოდორ. მონაზვნები კჳარა ამ საქმისათვის. ქუჩებში იბრძობებენ, ნეც იქ მივდივარ.

— ყველა თავთავის უბანში! აი ახლა მითხრა დელეკლუზმა. მაჳა-შენი მონაზვ. ბარკადის შენებას შეუდექით ვიეი-დიუ-ტამპლის ქუჩაზე, ან ქალაქის თვითმმართველობის გარშემო. ყოველ შემთხვევაში, ხვალ აქ შევხვდებით ერთმანეთს, შეიძლება ამ საღამოსაც, ნახვამდის, მარი-როზ!

მივედი ბიზერელთან, რომელიც ჩემს ლოდინში გულისმუსულას იწყებდა. წავედით. ბიზერელი შეუწყნარებლად ლაპარაკობდა. კათოვითი ქალიშვილის, შვილიშვილების ამბავს მიყვებოდა, უბაროდა, რომ ბარკადის შენება მოუწყვედა, რადგან ქვითხურო იყო და ეს საქმე კარგად იცოდა.

სანაპირო ქუჩას გაყვევით. ბიზერელი არაფერს ამბობდა, მაგრამ „კარმანიოლას“ მღეროდა კრინით. პასის რომ მივუახლოვდით. ნაბიჯი შევანელებით. ბიზერელი დადუმდა. ერთი ქუჩის კუთხეში უეცრად შევიჩერდი.

— აქ რაღაც ამბავია, — ეუთხარი სულ ჩემად.

მოწმენდილ ცის ქვეშ მიწაზე ხალხი გაწოლილიყო. არასოდეს ეს გამოთქმა არ ყოფილა ასე ზუსტი, რადგან, მართლაც, მშვენიერი ნათელი ღამე იყო. ტლაპოში ფეხი დამისხლტა. დავიხარე: ეს სისხლი იყო. ჩვენ წინ კისერგამოღადრული კომუნარები ეყარნენ. ქუჩის ბოლოს ვიდაცის ჩრდილი შეირხა. უკან გამოვბრუნდი. ბიზერელმა ჩემ მახლობლად გვამზე ფეხი წაიკრა და შევიგინა. ქუჩის კუთხეში მოვეუხვიეთ და გავიქეცი. სხვა ქუჩაში გავუხვიე, რომელიღაც ბალის კედლის გასწვრივ გავბოდი. პირი არ მიმბრუნებია, მაგრამ ვიცოდი ყველაფერი, რაც ჩემ უკან მოხდა. ბიზერელი ხელში ჩაუვარდათ, და არ გამკვირვებია, როცა სროლა გავიგონე. ბიზერელი მოჰკლეს.

არც კი ვიცოდი, საით მივდიოდი, დაცარიელებულ ქუჩებს მიყვებოდი, თვალეზრაცენილ მაღალ ნანგრევთა შორის. მერე დასახლებული ქუჩები შემომეგება. დროგამოშვებით მკრთალად განათებული ფანჯარა გამოჩნდებოდა, გვერდს ჩაუფუღიდი. სახლებს შორის შევიტყერი, არ გავბოდი, მაგრამ ძალიან ჩქარა მივდიოდი, უკან თავგადაგდებული, თითქოს ჩემს გზას სახურავების ხაზზე ვკითხულობდი. ცა ვარსკვლავებით იყო მოქედილი, თბილი ვარსკვლავებით, რომლებიც სახურავების გასწვრივ მისცურავდნენ, და მე თითქოს ამ ვარსკვლავთა უნაზესი დუდუნი მომესმა. ხანდახან ბარკადებს გადავეყუდებოდი, უზარმაზარ ძეგლს, მრეწველობის სასახლეს დავეტაკებოდი.

რამდენ ხანს გაგზავლდა ეს კომპარი, არ მახსოვს. მაგრამ შთერალივით მივდიოდი, ელისეს საშინლად მიწყნარებული მინდვრები გადავკვერი და უეცრად ბულვარში აღმოვჩნდი. მაშინ გაეჩერდი. მივედი. ხალხი, სინათლე ვნახე. აბსენტის სუნი იდგა, სიცილი ისმოდა, განათებული ტავეზანების ყათარებზე მღეროდნენ. წაბლის ხეების ყვავილება მწვანე ფოთლებს შუქს ჰფენდნენ. ნათის ლამპები ანათებდნენ ხანდახან შორიშორს, აირის მზიარული და სუფთა ალიც მოჩანდა. ვარსკვლავები გაუჩინარდნენ. კინალამ დავიყვირე: თავს უშველეთ! მაგრამ ვერაინ გამოვბედა. იმ შავბნელ მხარეში, საიდანაც მე მოვედი, სისხლს შეეძლო საიდუმლოდ დაღვრილიყო. აქ სისხლი კი არ იღვრებოდა, არამედ ძარღვებში სჩქვდა. მე პარიზში, ცხოვრების სიბარულის გულში ვიყავი. ჭაღიშვილებს მბრწყინავი თმა კეფაზე ლამაზად დაეხვიათ. წერწეტა ქალიშვილები ფეხს აჩენდნენ კეკლუცად. ეჰ! უსირცხვილონი! უნდა ვენახათ, როგორ გადაეკრათ მკერდზე ატლასები. ხალხი გახეთქებს ჰკითხულობდა. სიცილით ათვალეირებდნენ შურისმგებელ კარიკატურებს, რომლებიც ამტიკებდნენ, პარიზს მიწინააღმდეგეზე უეჭველი. უპირატესობა აქვსო. ოფიცრები, რომლებსაც თავი ან ხელი ჰქონდათ შეხვეული, მავიდებს შორის გზას მოიკვლევიდნენ პრინციების თავნომწონეობით. ონინბუსმა ჩაიარა, მისი მინების უღარუნი, მათრახის ტკაცანი ღამის სიბნელემ შთანთქა. „აქ რას ვაყეთებ? — ვავიფიქრე. — თავის ადვილას ჟერ არ მივსულვარ. ვხა კიდევ დამებნა. ამას არ დავეძებდი“. ისევ წინ გავეშურე. როგორც იქნა, ქალაქის თვითმმართველობას მივალწიე.

ვნახე სიფრელები, რომელმაც მკლავში ხელი მომკიდა და დამსვა. ალბათ, მკვდარივით ფერდაკარგული ვიყავი. როგორც კი დავჯექი, ვიგრძენი, ფეხი მიკანკალებდა. გარს შემომხევივნენ, ჩემყენ დახრილი ბეკერიც დავინახე. მაშინ ავლაპარაკდი, მოყვევი, რაც ვნახე.

— სამხედრო სამინისტროში არაფრის გაგება არა. სურთ, — განვაგრძე მე. — მოქალაქე დელეკლუზმა ეს უარჰყო... თუმცა...

დომბროვსკი შემოვიდა. მუცელში ჭვა მოხვედროდა და ძლივს ლაპარაკობდა, მე თავი დამანებეს და საყვედურებითა და გინებით იმას მისცვივდნენ.

— კარგი, — ამბობდა იგი, — მე მოლაღატედ მთვლიან. თქვენ ნახავთ, თქვენ ნახავთ... სად არის საზოგადოებრივი ხსნის კომიტეტი?

იგი წაიყვანეს. გამაყრუებელი ყაყანი იდგა. მე ვიკითხე:

— მარი-როზი სად არის?

— ბარიკადებზე, — მიპასუხა სიფრელებმა.

სიფრულენს დავაჯკერდი. ასე მოწვებული წვერი არასოდეს ჰქონია, სახეზე მიწის ფერი ელო. პოლარულ ნადირს დანსხავსებოდა. თავის მეორე ქალიშვილზე, ფერანანდზე მიაბბო, ისიც გარეუბანში ბარკიადებზე არისო.

— ქმარი?

— ისიც მასთან არა.

ფუტკეროდი, ჰაერს ღრმად ისუნთქავდა, მკერდს დაიბერავდა. თითქოს სიკვდილს იწვევდა საბრძოლველად. მზაობე თოფი გადაეკიდა. და ქამარი ვახნებით ვაეჭვდა. მიიხრა, თოფი და ვახნები შენც უნდა აილოო.

რივოლის ქუჩით დავეშვით, იქმოფუსფუსე ჩრდილებს შორის ბარკიადი ნელა იბრდებოდა. რკინის და წინაქვის ყრუ ხმაფრი იმპოდა. მარი-როზი მოენახე, ბარზე დახრილი ქვაფენილია ქვებს თარადა. ქალები ფარანს სინათლზე მიწისთვის ცომრებს კერავდნენ. პატარა ბიჭები კირს ამხადებდნენ. ლიტრები ხელიდან ხელში გადადიოდა. ლაპარაკი თითქმის არ ისმოდა. დროგამოშვებით რამელომე ვენდნი სიმღერას წამოიწყებდა, მაგრამ იგი მაშინვე მიწყდებოდა. სამადარომოვიდა, მოიტანა ერთი პატარა კასრი დენთი. ვახნები, თოფები. მე მოწყეს ჩემი წალი. მერე სიტყვა არ მითქვამს, მარი-როზს ბარი გადამოვართვი და მუშაობას შევეუღეჭი.

დილის სამი საათი იყო.

განთიადისას ზარბაზნების გრიალი განახლდა და უეცრად განგაში გაისმა. სიფრულენმა მარი-როზი ქალაქის თვითმმართველობაში წაიყვანა დასაძინებლად. მეც ვავყევი. აცნიდან დავინახე, ჭარბს ნაწილები მობობდნენ მოედანზე, მარსელიოზას სიმღერით ეწყობოდნენ. საყოველთაო შეკრების ნიშანი მისცეს. არტილერიისტებმა ზარბაზნებს ცხენები შეუბნეს. ქვითხუროების მთელმა რაზმმა მოჰკიდა ხელი იმ ბარკიადის შენებას, რომელიც ღამით დავიწყეთ და იგი უზარმაზარი გახდა. კომუნარების მიერ გარშემორტყმული დომბროვსკი გამოჩნდა. მას აგინებდნენ, იგი ყვიროდა:

— მე მინდა საზოგადოებრივი ხსნის კომიტეტის ნაჭვა.

— კიდევ რა გნებავს? — ეკითხებოდნენ.

კისერწავრძელებული, სახედამანქული თავს იცავს, იგი თავს იცავს, გაქცევა არ მინდოდაო. სიფრულენი ბრბოს გაარღვევს, თავის მძიზე ხელს დომბროვსკის მხარზე ადებს და მაჰყავს.

— დამშვიდდი, ჩემო სარდალო, — უთხრა მას, — შენ გაქცევა არ გინდოდა, ეს ყველამ იცის.

მეც მინდოდა დომბროვსკისთან მივსულიყავი, დამემშვიდებინა, მისთვის ხელი ჩამომერთმია, გადავხვევდი. მე მჭიროდა ამხანაგი. ბეკერი გაქრა. ვხედავდი მხოლოდ დომბროვსკის დატანჯულ სახეს, გაშტერებულ თვალებს, მწითურ, პატარა წვერს, რომელიც ხელოვნური წვერივით თითქოს უნდა ჩამოვარდნოდა. ეს წვერი სრულიად არ შეფერებოდა შავბნელი და გარკვეული აზრით ერთიანად შეპყრობილ მის სახეს. სად წაიყვანეს? მე ვიცოდი, რომ მას ვჭირდებოდი. შემომხედა, მიძახოდა. აი, ბეკერიც აქ არის.

— ბეკერ! სად არის დომბროვსკი?

— წავიდა.

— სად? მე მინდოდა მას გავყოლოდი.

— წამოდი, — უბრალოდ მითხრა ბეკერმა.

— დომბროვსკი უნდა ვნახოთ, — ეყვიროდი, — მაღე, მაღე.

დაბლა დავეშვიტე. გვითხრეს, დომბროვსკი ჰალის მიმართულებით წავიდაო, მარტო, უიარაღო. ყველგან განგაში ატეხეს. დუქნები დაკეტილი იყო. მშაია. თოფის ღვედმა მხარი ჩამჰკრა. ვინ ნახა დომბროვსკი? აი ახლა ის იქ იყო, სენ-დენის გარეუბნის ბარიკადთან. ქვების შუაგულში. წითელი დროშა თვითონ მან აღმართა. მერე შონმარტრის გარეუბნისკენ გასწია. სწორედ ის იყო. იცნეს. სარდლის მუნდირი ეცვა, მაგრამ ქუდი და ხმალი არა ჰქონდა. თავის თავს ელაპარაკებოდა.

ტრინიტეს სკვერში ბანაკი გაეშალათ. შუადღისას იქ ვისადილეთ. ქალებმა კარდალით წვენი მოგვიტანეს, ზოგიერთი ძალიან ლამაზი, მხიარული იყო, ჭინკასავით კეკლუტობდა, აბა რა! ეს ლამაზი ქალიშვილების უბანი იყო. ცაზე პატარა ღრუბლები მიცურავდა და სახლის სახურავები ოქროსფერ ნისლში იკარგებოდა, კაცების, ქალების გაჭიანურებულ გამოთქმას სიამით ვესმენდი. ისინი გარშემო გვეხვივნეს და ჩვენთან ერთად ფუსფუსებდნენ. ასე მეგონა, თითქოს აქამდე ჰარიზული გამოთქმა არასოდეს არ გამიგონია-მეთქი.

— კარგია აქ, — ვუთხარი ბეკერს, რომელმაც გაკვირვებით შეომომხედა.

მერე დადამებადღე ბლანშის მოედანზე ბარიკადს ვაშენებდით. მახლობელი სახლებიდან ლეიბები და საბნები მოიტანეს, მაგრამ მე ისე დადლილი ვიყავი, რომ დაძინება ვერ შევძელი. ძილი არ მეკარებოდა. სარზე ჩამოკიდებული ფარანი დიდი თვალივით კვეთდა სიბნელეს. მესმოდა გუშაგების ხმა: „გაიარეთ!“ მაშინ ვგრძნობდი, რომ მე მცველი მყავდა. გამველი ჩემს სხეულზე ვერ გადაივიდოდა ვერ

გადაგვთვალავდა, უზარმაზარ ბარიკადებს ვერ გადააღაჭებდა, დაპყრობილ მონმარტრის სიმაღლეებზე ვერსაღვლეებს ვერ შეუერთდებოდა. არა, იგი გვერდს ჩაგვივლიდა და ჩვენ დასვენების ერთი ღამე კიდევ გვექნებოდა.

ჩვენი ღამე? რომელი ღამე? რამდენმა საღამომ, რამდენმა ღამემ გაიარა, რაც ვერსაღვლეები შემოვიდნენ. ანგარიში დამებნა. ვანა რა შეიცვალა? წინათ ვერსაღვლეები აზნიერში იმყოფებოდნენ. მერე კლიშში, ახლა მონმარტრზე იყვნენ. ყოველ შემთხვევაში, მე საფარში ვგრძნობდი თავს, ჩემს ლეიბზე; ბარიკადებს მიღმა, კედელს მიკრული, ქულადი ამხანაგები მერტყა გარშემო.

მისის მშვენიერი ღამე გვდარაჯობდა. ღამე ჩემკენ იხრებოდა, ქალივით მეჩურჩულებოდა. „კიდევ ქალები!“ — იტყოდა ბეკერი. მაგრამ ბეკერი აღარ ლაპარაკობს. მთელი დღე არაფერი უთქვამს. ვეღარ ვცნობილობ. ახლა კი სძინავს. სად გაქრა მისი ფილოსოფია, მისი სიტყვები, დაცინვა? მას სძინავს, აღარ ვიცი, იგი ვინ არის, ფილოსოფოსი თუ გიჟი, ცოცხალი არსება, ჩემი მეგობარი, თუ ჩემი ანგელოზი? მაგრამ მე კმაყოფილი ვარ, რომ ის აქ არის. და კიდევ უფრო იმიტა ვარ კმაყოფილი, რომ ის არაფერს ლაპარაკობს, სძინავს, ნებას შაძლევს, მშვიდად ვიოცნებო. რაზე ვიოცნებო? რაჰაკვირველია, მაისის ღამის სურნელებაში ერთად შეკრებილ ყველა ქალზე... გაიარეთ... უკანასკნელი იმედის იყო, უკანასკნელი ძალის ნოკრება, უკანასკნელი დღესასწაული და უკანასკნელი დღე, აი უკანასკნელი ღამე, საშინელი სამგლოვიარო ღამისთევა. მაგრამ მამაკაცი უსმენს ქალების ამაფორიაქებელ ხმებს და მთელი არსება უთრთის, თუმცა იცის, რომ ყველაფერი გათავებულია და უკვდავება არ არის.

გახსოვს ნოემი აელოტი? მეუბნებოდა დანე. ნოემის შენ ხომ კარგად იცნობ? ეს ისეთი გართობა იყო! ნოემის ოდნავ სულელური თვალები ჰქონდა, მაგრამ ეს იყო ქალის თვალები, წყლიანი და ციხფერი. და ის კბა, ბალზე რომ ეცვა... ეს საღეჩაქე, ეს დოლბანდი, გარდების გირლანდები, ყველაფერი ეს, ასეთი მსუბუქი, ხელში გეპყრა; შენ ბიძაშვილების ქორფა ტუჩები დაპკოცნე, როდესაც ისინი სასთუმალთან დასაჯდომად მოდიოდნენ. შესანიშნავად მოიქეცი. სავსებით სწორად მოიქეცი, პატარა მამაკაცო. პატარა მოკვდავო აღამიანო... და მერე გრძნობდი, რომ ძალითა და სიანაყით ივსებოდი ვაშლივით, რომელიც ტოტზე წითლდება და მსხვილდება; ვაშლში რომ კბილი ჩაესობა, კბილი იგრძნობს, რომ მას მკვრივი და წვნიანი ხორცი აქვს. იგი ვნებდება მას შემდეგ, როდესაც გააკეთებს ყველაფერს, რაც

კი შეეძლო! ეჰ! შენ ტყბილი ხარ და შენ ხარ ნაყოფი, შენ ხარ რკინა და ხარ გული. შენ ხარ... ვინა ხარ შენ? სიკვდილმისჯილი, რომელსაც ეს სიკვდილი გწყუროდა... ხომ არ გგონია, რომ წოდებით, კლემანსი და ადელაიდა დაგითირებენ? იცი თუ არა, როგორი სიშმაგით გკიცხავენ? შენ განდევნილი, უარყოფილი ხარ, ვერ გაგიგეს. ეს ქალები აშბობენ: „მაგრამ ბოლოს, როგორ შესძლო ეს ტეოდორმა? მან, რომელიც... ჩვენ ვფიქრობდით, რომ ტეოდორი კეკიანი ბიჭი იყო... იგი ისეთი მომხიბვლელი იყო! ჩვენ სულ სხვანაირი გვეგონა...“ შენზე ყველა ამას იტყვის. არაეინ იცის, შენ რა ხარ. ისეთი უნდა ყოფილიყავი, როგორც ყველა, ყველასავით გემოქმედა, შენ კი გასაოცარს, შეუწყნარებელ ბედისწერას დაემორჩილე. ასე რომ, ისეთი, როგორცა ხარ, არავის უნდისხარ. იღმეჭებიან, პირს იბრუნებენ, თვალს გარიდებენ. ამ წუთში, როდესაც ბარიკადს უკან წევხარ, როდესაც ოცნებობ და მაისის ღამით თავს ინუგეშებ, თითქოს მაისის ღამე არსებობდეს, შენზე ლაპარაკობენ: ეს თავბრულდამხვევ გამაყრუებელ ხმაურობას იწვევს და შენ შესახებ ისეთ რამეებს ლაპარაკობენ, რომ თავს ვერ იცნობ, აშბობენ ისეთ რამეებს, რომლებიც შენ არ გეხება, რადგან შენ გსურდა ყველას დაენახე, გაეგოთ შენი, პატივცემული ყოფილიყავი. შე პატარა, შედიდურო აღამიანო... შენ გინდოდა, ბოლოს მაინც ეთქვათ ისეთი რამ, რაც შენ შეგეხებოდა. ამიტომ გჭირდებოდა ქალები, რადგან შენი სიამაყე ისეთი ძლიერი და შორსმჭვრეტელი იყო, ისეთ ღრმა შედიდურობად გადაიქცა, რომ შენ არ გაქმყოფილებდა გეთქვა: შე. გინდოდა, რომ ყველა ქალს შენთვის ეთქვა: შენ.

მაშინ იარსებებდი შენ, მთელი შენი ცხოვრება, შენი სილარიბე, შენი უცნაურობა, შენი თავისნება და შორსმჭვრეტელი აზრებები, შენი კომპრომისები, გადაწყვეტილებანი და შენი საბოლოო ყოფნა ბარიკადს უკან გამართლებული იქნებოდა, მაგრამ შენ იცი, რომ ამას არც მაღალი საზოგადოება არ გაამართლებს და არც ქალები...

— იქ რაღაც იწვის.

— ფინანსთა სამინისტრო.

— შენ გგონია? ვინ გითხრა ესა?

— ვინ და...

და გავიგონე სახელი, რუკარდენი თუ ფუკარდენი, სახელი აღამიანისა, რომელიც ჩემთან ერთად მოკვდება. მშვეფი ხმები ისმის... ეს ხმები... გამდნარი ვერცხლივით იღვრებიან ღამეში... მოულოდნე-

ღა ყურადღებით ვუსმენ საუბარს, თითქოს სანამ ამ ზმათა კრებულს გავეცლები, აუცილებელ საიდუმლოებას გავიგებ მათგან.

— მაშაჩემის თხოვნა შევიტანე. მინდოდა იგი კომუნის სასამართლოში მოწყობილიყო. მისგან კარგი პოლიციის კომისარი გამოვიდოდა... როგორ გგონია, ა?

— გამოფენამდე შეპურე ბიჭი კვირაში ოცდათხუთმეტ ფრანკს გამოიმუშავებდა, ერთ ფრანკს ზედმეტი მუშაობისათვის... უკანასკნელ დროს, შეიძლებოდა, გვეანგარიშა კვირაში ოცდათვრამეტი ან ორმოცი ფრანკი.

— მე ვმუშაობდი ქუდის სახელოსნოში, გამოვიმუშავებდი ოთხ ფრანკსა და 75 სანტიმს დღეში, როდესაც კომუნა გამოცხადდა, მე თავს ვუთხარი...

მე კი რა ვუთხარი ჩემს თავს, როდესაც კომუნა გამოცხადდა. ლეიბზე ვტრიალებდი, სურვილით გავიზმორე, სასიკვდილოდ განწირული ჩემი სხეულით, რომ რაიმეს მივეყრა, რაიმეს, რაც ჩემი იყო. მაგალითად, ჩემს ქარაფშუტობას, რადგან კომუნას ქარაფშუტობით მივემხრე. როდესაც ის გამოცხადდა, დიახ, ქარაფშუტობით. ხელის დაქნევით გამიტაცეს ქალებმა, რომლებმაც უარი თქვეს მე გამომყოლოდნენ, და მათ გაქცევის საშუალება მივეცი. მაგრამ ზოგიერთმა მათგანმა გამამხნევებელი აღერსი დამიტოვა... ჰა! ჰა! ზოგიერთები თავს პრინციპებისთვის იკლავენ, მე კი სახელისთვის, რადგან ეს სახელია: ქალების ფიქრი მკვდარს გაგაცილებს იმ ადამიანებთან ერთად, რომლებიც ოთხ ფრანკსა და სამოცდათხუთმეტ სანტიმს შოულობდნენ ყოველდღიურად... ისიც დიდი ქარაფშუტობაა, რომ ყოველდღიური ოთხი ფრანკისა და სამოცდათხუთმეტი სანტიმისთვის თავი მოიკლა! შენ არ გინდა ჩემი ოთხი ფრანკი და სამოცდათხუთმეტი სანტიმი დანიტოვო? არა? შენ გინდა ესეც წამართვა? ჩემი ტყავიც თან გაიყოლო? ეჰ! კარგი, წაიღე ჩემი ტყავი, წაიღეთ ყველაფერი. თვალებს ხუჭავ, ხედავ ქალების ვარსკვლავით მოციმციმე თვალებს, რომლებსაც ცა აუესია. მოუქეღია. ხმის უკანასკნელი სიცილი შარვის ფრიალივით, და სალამო მშვიდობისა!

განა ეს ყველაფერია? არა, ეს ყველაფერი არ არის, ადამიანის ვული არასოდეს გაძლება. მას ფანტასტიკური მოთხოვნილებები განსაკუთრებით იმ წუთში აღეძვრის, როდესაც ფეთქვას სწყვეტს. არა, ეს ყველაფერი არ არის. მხოლოდ ახლა იქნება ყველაფერი, ახლა, როდესაც ბედნიერებით აღვისილი, აღგზნებული, საკუთარი გამარჯვებით და ნადავლით გატაცებული, თავის თავში ჩახედული და ბოლოს

თავისუფალი, ოჰ! თავისუფალი ისე, რომ არც ერთ არსებას არც წყალში, არც ჰაერში ასე თავისუფლად თავი არ უგრძენია. წამოვდგები. წელზე ხელს შემოვხვევ ქალებს კი აღარა, არამედ ნამდვილ სიყვარულს, სიყვარულს! სიყვარულს! ის ჩემში ღრმად მიმაღული ამოვარჩიე, როგორ ჩემი არსების უნადვილესი ნაწილი, ის აღარ არის ისეთი ნაწილი, რომელიც მინდოდა სხვებს დაენახათ, უმნიშვნელო, მატყუარა, წარმავალი, არამედ ჩემშია ის მშვენიერი ქალიშვილი, რომელსაც მარი-როზს ვუძახი, რომელიც აღარ ვიცი, არის თუ არა მშვენიერი ქალიშვილი, არც ის, გონიერია იგი თუ არა. ვიცი მხოლოდ, რომ ის ჩემი სილამაზე და ჩემი გონებაა. გულითადი სიტყვები იმას გავუზიარე, აღარ ვიცი რომელ ენაზე. არ ვიცი, სად, ალბათ. წამისა და ღამის სიღრმეში.

ხელს ვიშვერ. პარიზის მეორე მხარეს არის მარი-როზი, ჩემსავით მკვდარი და ჩემსავით ცოცხალი. ვეხები მას. ჩვენ მოგვკლავენ, მარი-როზ, ან, ალბათ, მე, რომელსაც მძაგს სიკვდილი, მე თავს დავესხმი სიკვდილს, როდესაც დილა ბარიკადის მეორე მხარეს სიკვდილს აღმართავს. დიახ, მარი-როზ, მე თავს დავესხმი სიკვდილს ჩემს არსებაში აზვირთებული შენი სიყვარულით. ახლო ხარ თუ შორს. შენ აქ ხარ, ჩემი ცხოვრების ბავშვო, ძვირფასო ქმნილება. მე შენ არ გუიხზავ, რას ფიქრობდი ჩემ შესახებ ჩვენი არსებობის მანძილზე, არც იმას, მოგწონდი თუ არა, არც იმას, გამიგე, გიყვარდი თუ არა. შენ არა ხარ ჩემი დიდება, ან კი რად მინდა დიდება? რად მინდა ყველაფერი, თუ შენ ყველაფერი ხარ, ზარ, ჩემო სიყვარულო? განა შემეძლო ეჭვიანობა? განა შემეძლო შენგან ტანჯვა განმეცადა? რა სულელური კითხვებია! ასეთი კითხვებით ვიგინდარა ქალს მინართავენ. ეს ძალიან ართობთ. მაგრამ შენ ჩემი სიყვარული ხარ! ვუყვარდი მე ჩემს სიყვარულს? ეს კითხვა ისე მაცინებს, ცრემლები მცვივა, რა შეუძლია დამაქლოს იმან, რომ ვკედები და ჩემგან არაფერი რჩება, თუ მე ჩემში. სიყვარული მქონდა და ჩემი სიყვარული ჩემთან ერთად დიდება?

ახლა კი ეს ყველაფერია. დიახ, ყველაფერი. ჩემი სიყვარული ჩემშია. და ვაკეთებ ყველაფერს, რაც გასაკეთებელი მქონდა, ყველაფერს. მე ჩემს გზას გავყევი, ჩემმა სიყვარულმა შთამაგონა და შემთხვევას მივყვებოდი, ჩემს საკუთარ შემთხვევას, მივყვებოდი გზის ყოველ ხვეულს. ამ სიარულში ზოგჯერ სინათლეს რასმე დავიჭერდი, რომ აქ გამოვსულიყავი, სადაც გზა თავდება. თავდება? როგორი არაზუსტი. სიტყვაა! განა გათავებებს ნიშნავს, როდესაც შეგიძლია თქვა: ეს ყვე-

ლაფერიო? დიდსა და მშვიდ სიხარულს ვგრძნობ. იგი ნთქავს ყველა დასაწყისს, ყველა მისწრაფებას, ყველა იმედს. განა იმაში, რაც თავდება, არის სიხარული? ეს არის უშველებელი ჯამი ყოველივე იმისა, რაც იწყება. არა. ჩემი გზა არ თავდება: იმას მივყავდი და ერთხელ კიდევ შემიძლია. ვთქვა: ეს ყველაფერია.

— ბეკერ, გძინავს? ეი, ბეკერ!

მას სულ ძინავს. ფილოსოფოსის გრძელი ტანი ჩემ გვერდით გაჰიმულა და ძინავს ისე, თითქოს არც არსი, არც აკციდენციები, არც კატეგორიები არ არსებობდეს. მას ძინავს საერთო ძილით, მას, ალბათ, საკუთარი სიზმარიც არა აქვს, იგი ხედავს გაურკვეველ სიზმარს, როგორც ძროხა ან ვირთაგვა, სიზმარს, რომელიც გატიტვლებულ ქვაფენილაყრილ მიწას ძლივს სცილდება. ეჰ! ბეკერ! შენ უკვე წასული ხარ? ჩვენ უკვე ერთმანეთს დავეშორდით? განა ოდესმე შევხვდებით კიდევ ერთმანეთს? რამდენი რამ მქონდა შენთვის სათქმელი, რამდენი რამ მინდოდა შეკითხვა შენთვის. შენ შესახებ ხომ მე არაფერი ვიცი. მინდოდა მაინც მცოდნოდა... მაინც მცოდნოდა. შენ ვინ იყავი. ახლა კი გვიან არის, რადგან გძინავს, ხომ ასეა. შენ ღარჩები, როგორც სწრაფწარმავალი სახე ჩემს ცხოვრებაში, რომელიც დაიმსხვრევა, ღარჩება, როგორც ცარიელი სიტყვა, მეტი არაფერი? მიპასუხე მაინც! არა, იძინე, გაძეხ ძილით. შენი უკანასკნელი ღამე ძილისთვის განოიყენე: დიდ ფილოსოფოსს ასე შეჰფერის. ძველი დროის ბრძენი ასე მოიქცეოდა. ჩემი აზრით, ეს ძალიან კარგია, მეტად ისტორიული რამ არის, იძინე, ჩემო ძველო.

მე რატომ არა მძინავს? მართლაც, ყოველდღე ამაზე ფიქრი ხომ იგივე ძილია. სიკვდილის გარდა, ყველაფერზე ვფიქრობ. რადგან მკვდარი კი არ კვდება ჩვენში, არამედ ცოცხალი, მეტად ცოცხალი და მარი-როზის ბელნიერი შეყვარებულა. მე მინდა თავს გამოვუცხადო, კიდევ გავუმეორო: სიკვდილის მშვენიერი თვალებისთვის კი არა ვარ აქ, არა, არა, არა, მე არა ვარ დამარცხებული, მე არა ვარ სასოწარ-ცვეთილი. მე სიკვდილი არ მსურდა. რაც უნდა გამეკეთებინა, გავაკეთე, არა მოვალეობის გამო. არა, არა, განსაკუთრებით არა მოვალეობის გამო. მოვალეობის გამო? რა საზიზღრობაა! ეს ერთადერთი სიტყვა მოთმინებას მაკარგვინებს, მყინავს. საზიზღრობაა, საზიზღრობა... არა, ნე გავაკეთე ის, რასაც ვაკეთებდი. მიყვარდა მარი-როზი, ეს არ იყო მოვალეობის გამო. ეს იყო სიყვარულის გამო. და მიყვარდა... ყველაფერი ის, რამაც აქ მომიყვანა. მე ამ მხარეს ვიყავი, თეთრ გზებს შორის, რომლებიც ტყეში იწყებოდა. ყველა იმ უთ-

ვალავ გზას შორის, რომლებიც ერთმანეთს ხვდებიან... პარიზში... დიდ ქალაქში... რომელიც იწვის! მეც ვიწვი, მე არა ვკვდები.

ძალიან მაღლა თბილ ღამეში ვარსკვლავები ციმციმებდნენ. ერთი განსაკუთრებით კრთოდა, თითქოს ჩაქრობას ლამობსო. მაგრამ ვარსკვლავი სძლებს, ყოჩაღი ვარსკვლავი! ჩემ გარშემო მძინარენი ბურღლუნებენ. კიდევ ლაპარაკობენ, მოძრაობენ, კვლავ იწყებენ ქვაფენილის აყრას. თითქოს ვიღაც ზღვის ნაპირზე კენჭებით თამაშობსო, ვიღაც მოწყენილი და მიტოვებული, რომელიც თავს ეუბნებოდა:

„რას ვაკეთებ აქ სულ მარტოა?“

მე კი? ეს კარგია, მე ჩემი თამაშობა ვითამაშე და არა სხვისი. ყველა ჩემი ბანქოს ქალაღი გადავშალე. შემეძლო მეთაღლითა. მე-ზობლის ბანქოს ქაღალდების აღება მეცადა, ან უბრალოდ, თულფი მომეთხოვა. ახლა მეორე მხარეს ვიქნებოდი, როგორც სხვები, როგორც სხვა! ბატონ ავლოტს ვუყვარდი, მის ცოლსაც, ღმერთმანი! ბიძია და ბიცოლა პატიოსანი ხალხი იყო, ვის შეუძლია ამის საწინააღმდეგო რამე თქვას? შემეძლო ერთ-ერთი ჩემი ბიძაშვილი კლემანსი ან აფელაიდა, სულ ერთია რომელი, ცოლად შემერთო. მეყოლებოდა წაყვარელიც... ვერაფერს მისაყვედურებდნენ. მაგრამ რა მოხდა, მაინც რა მოხდა? რატომ დავრჩი აქ, როდესაც ეს ცნობილი ალყა დაიწყო? ისინი, ყველანი, წავიდნენ, დაკეტეს კარი, აღმართეს კედლები, უზარმაზარი ქვის კედლები. და ტეოდორი მიღმა დარჩა, რომ დიდინოს, ვარსკვლავებს უცქიროს. სხვებსაც იქ სძინავთ და იმავე ვარსკვლავებს უცქერენ. არა გჯერა! სწორედ მართალი არ არის... იმავე ვარსკვლავებს... არა, არა...

მაგრამ სხვებთან ერთად რომ გავმგზავრებულიყავი, ნოემი ავლოტთან ერთად, ჩემს ლამაზ ბიძაშვილებთან და იმ ქალებთან ერთად, რომლებიც სანგრებს მიღმა არიან? მე ქალებს შორის ვიქნებოდი, საათის ძეწვეს ხელში ვათამაშებდი და მათ შეეძლოთ შემეკითხოდნენ: „ძვირფასო ტეო, რომელი საათია? ოჰ, ძვირფასო ტეო“. მე მათ ვუპასუხებდი: „საუზმის დროა, ან ბალზე წასვლის დროა... შეიძლება, შუალამე...“ და ჩვენ გარშემო დაუსრულებელი სიმშვიდე იქნებოდა, სხვა საათები გაივლიდა, მწვანე ფოთლები კვლავ ათრთოლდებოდა. შეიძლება, სწორედ ეს ყოფილიყო სიკვდილი.

— გაიარეთ!

გაიარეთ, ნოემი! გაიარეთ სხვებმაც, ყველამ, ყველამ! ეჰ! აქ ტიტველ მიწაზე მწოლარეს რა საოცარ სიამავეს მგვრიდა ეს ღამე! რა სიამაყეს! ისინი ჩამივლიან შორს, მე, რომელიც მიწაზე ვწევარ

ამასობაში ლუი მეთოთბმეტის დროის ფასადიან ბინაში მალალი ფან-
ჯრები განათდებოდა, უკან მივიხედავდი: ჩემს ოთახში ბნელოდა,
აგურის ოღროჩოღრო იატაკიან საწყობებს გავივლიდი, წყვილიაღში ყუ-
თებს ვეჭახებოდი და სასაღილო ოთახში ასე შევდიოვდი.

იქ, გაზის სანათის ქვეშ, დამზვდებოდნენ: ჟოზეფენი, ბიკოლა ვა-
ლერი და ბიძაშვილები: კლემანსი და ადელაიდა. იმ დაუსრულებელ
სიძულვილს ჯერ კიდევ არა ვგრძნობდი, რაც მათ შემდეგ ჩამინერგეს
გულში. ისინი ჩემთვის მხოლოდ უცხონი იყვნენ, როგორც მთელი ის
სამყარო, რომელსაც უნდა შეეგუებოდი. მაშინ არ ვიცოდი, ეს ამო-
ცანა ჩემთვის რატომ და როგორ შეიქნა მეტად რთული. ჯერ ჩემს ბედ-
ზე არ მეფიქრნა. ბავშვურ გაურკვეველობაში ფეხვებგაზარტული, ჩემს
ხვედრს ვიტანდი. ჩემი არაებით, თავისებურებით ისე ვიყავი გატაცე-
ბული, მოხიბლული, რომ არ შემეძლო მეფიქრნა, თუ რა ნაპრაალი
უნდა გადაეგლო უცნობსა და დაუდებარ სინამდვილეში შესასვლე-
ლად ჩენი პიროვნების დიდს, შუქმფენ ბირთვის... ჯერჯერობით მაკმა-
ყოფილებდა და მახარებდა იმ მანძილის გაზომვა, რომელიც სინამდვი-
ლეს მამორებდა. ვფიქრობდი, რომ ჟოზეფენს არა ვგავდი ისე, რო-
გორც ყოველი ბავშვი ფიქრობს, რომ იგი დიდს არა ჰგავს. სხვათა
შორის, ეს განსხვავება იდუმალი სიამით მავსებდა, როგორც ლექსების
წერა და კრამიტაიანი სახურავის სიყვარული. ამ სიამოვნების შენარ-
ჩუნება მინდოდა. არ დავფიქვბდი, ასე რატომ ხდებოდა. არ ვეკითხე-
ბოდი თავს, ვიყავი თუ არა მართალი. არც იმის გამოკვლევას შეედეგო-
მივარ, ეს თრი ფილოსოფიური კონცეფცია — ბიძაჩემისა, სადაც კრა-
მიტიან სახურავს ადგილი არა ჰქონდა დათმობილი, და ჩემი, რომე-
ლიც შეიცავდა კრამიტაიანი სახურავის სიყვარულს, დაეტაკებოდა ერთ-
მანეთს თუ არა და რომელი გაიმარჯვებდა. ბუნებრივად ვთვლიდი, სა-
კუჭნაოში რომ მომათავსეს. მით უფრო, რომ იქ ვხედავდი კრამიტაიან
სახურავს, თეთრ ყორანს, მაშისვეულ წიგნებს, დედაჩემის სურათს.
ყოველივე იმას, რაც არ შეიძლებოდა ჟოზეფენის ბინაში ყოფილიყო.
ამ ქვეყნისა ჯერ არ ვიყავი და არც მასში შესვლის სურვილი მქონდა.

რასაკვირველია, ჰიროველი შეხვედრისთანავე ვიგრძენი, რომ ჟოზე-
ფენი უზრდელი, გონებაჩლუნგი კაცი იყო. მაგრამ მასთან ერთ ხანს
რომ დავრჩი, დავრწმუნდი, არც შეიძლებოდა იგი სხვანაირი ყოფი-
ლიყო. იმასაც კი ვფიქრობდი, რომ, როდესაც დიდი გავხდებოდი და,
აღბათ, ჩემს ქიმერებს მიმოფანტავდი, ცოტად თუ ბევრად, ჰეც მას
დავემსგავსებოდი. მუშაობაში ვართული, როდესაც კომერციულ წერი-
ლებს ვადგენდი, ან კლიენტებთან დავდიოდი, შეენიშნავდი ხოლმე,

და ჩემს უზენაეს ფიქრებს ბოლომდე მივყვები. მაწვება თავზე ღამე და დიდი კედელი, რომელიც აღმართეს, არა, რომელიც ქვაფენილის ქვებით მე საკუთარი ხელით ავაშენე. ეს დიდი კედელი, რომლის უკან მთელი ჩემი სიცოცხლე დაინგრევა. სად დავეცემი? ჩემს ლეიბზე წამოვიწვი. ბეკერი ბუზღუნებს. მაგრამ არა, იძინე, ცხოველო! ნუ სწუხარ. მე მხოლოდ ადგილს ვეძებ. მკვდარი სად დავეცემი აქ, ტროტუარის კუთხეში? ამ ტომარაზე? ამ ომნიბუსის თვალზე? ხომ ზურგით დავეცემი და თავს ომნიბუსის თვალს მივახეთქებ? მერე ჩენზე არაეინ დაიხრება. ისინი ძალიან გართული იქნებიან! ტეოდორ კიშის აღსასრულია, მით უარესი მაგრამ საქმე ტეოდორ კიშს კი არ ეხება. არა, ბატონებო, ის, თქვენ ვისაც ხედავთ, სრულიად არ არის ტეოდორ კიში, არამედ გამომგონებელია, დიახ, გამომგონებელი ახალი საშუალებისა, რომ ბრძოლის წინა ღამეს სიკვდილზე არ იფიქრო. ეს დიდა გამოგონებაა. დიდი, ბატონო, ღირს წუთით ყურადღება მიაქციოთ. მართლაც, დაფიქრდით, თქვით, რომ... რა? გაქვთ რაიმე შენიშვნა? ახლავე, გთხოვთ, მაგრამ მას შემდეგ, როდესაც ჩემს აზრს გამოვთქვამ. უწინარეს ყოვლისა, მე მინდა ჩემი აზრი გამოვთქვა, თქვენ მერე ილაპარაკეთ. თუ მე აქ ვიქნები, რომ მოგსმინოთ... ეს ხომ ბრძოლის წინა ღამეა. ხომ ასე ეძახიან? ჩვენ შეუთანხმდით. მე კი გამომგონებელი ვარ. თქვენ გესმით: გამომგონებელი. რაც გინდა ილაპარაკოთ და გააკეთოთ, ამოდ დაშვრებით, ყოველთვის გამომგონებლენი არიან მართალნი. ეს თვითონ ვცი. მე მათ ვიცნობ, გამომგონებლებს. ისინი, ყველანი, აქ არიან თავიანთი გამომგონებით. შეგიძლიათ ესროლოთ. ეს მათ ვერაფერს დააკლებს. ისევე როგორც შეყვარებულებს ტყვია შუაში გაუვლის. ტყვია...

ახლა კი ნამდვილმა ტყვიამ დაიზუზუნა. თავს გადამიარა, თუმცა ჭერ კიდევ ღამე იყო, ღამე ოდნავ იტრიცებოდა. ტყვიები კი ზუზუნებდნენ. კვლავ გაისმა ხმები, დახრინწიანებული და ავისმომასწავებელი, ზართა დილის რეკვასავით. ბეკერმა დაიფრუტუნა და ახლა მან მომშართა:

— გძინავს?

— მე? მთელი ღამე თვალი არ დამიხუჭავს. შენ კი ხერინვა არ შეგიწყვეტია.

— რას ხუმრობ? ჭერ თვალიც არ გაგიხელია. და უკვე შეგვაფუცხუნეს.

ყველა დგებოდა, თოფს ხელს ჰკიდებდა. მეც ავდექი, ტომრებზე ავცოცდი და ბარიკადის მეორე მხარეს გავიხედე. სქელ ნისლში ვი-

დაცის ნილუეტი გამოჩნდა, თოფი დავეუმიხნე და ვესროლე. სილუეტმა მოხრილი ხელი აღმართა. გადაექანა და დაეცა. მე ტომრებიდან დავგორდი და გარეტიანებულმა გარშემო მიმოვიხედე. პირი გამშრალი ჰქონდა. ქალი მომიახლოვდა.

— ეს მახლობლად ღვინის ვაჭრებს ჩამოვართვი, — მითხრა მან, — დალიე.

ქალმა ბოთლი გამომიწოდა, და მე დაველიე. ღვინოს უცნობი, ცხარე გემო ჰქონდა.

— რა არის? — ვკითხე.

— წითელი.

— წითელი ღვინო?

— ჰო! აბა, დალიე, გაგამაგრებს.

ბარიკადს დავუბრუნდი და სროლა განვაახლე. ანაზღად, ერთი სახელი შეიქრა ჩემს ცარიელ თავში: ტიერი. და საშინელმა ზიზღმა ამითრთოლა ხელები, თვალი, კონდახზე მიყრდნობილი მხარი. საძაგელი პატარა მოხუცი მინდოდა მომეკლა, სწორედ იმას ვესროდი, ნისლს იქით, რომელიც ჩემ წინ თანდათან სქელდებოდა, ვგრძნობდი, რომ ტიერი დგებოდა თავისი მუცლით, მოკლე ფეხებით, ყალბი საყელოთი, პარიკით და სათვალით. მთელი ეს მორთულობა თანდათან ცვიოდა, მისი ხითხითი მესმოდა, და მის პოლიშინელისებურ დიდ ცხვირზე სათვალე ისევ ჩნდებოდა, ტიტველ თავზე პარიკი კვლავ გაეფურჩქნებოდა. გაცოფებული ვისროდი. ამასობაში კარგად გათენებულიყო. ნისლს ზემოთ მოჩანდა სახლების ფანჯრები და სახურავები. ჩვენს უკან კარის ზღურბლზე, მოხუცი, კოჭლი ქალი, რომელსაც განზე დახურული თავსაბურიდან თეთრი თმა გამოსჩეჩოდა, პატარა არღნის წინ იჯდა, იცინოდა, უკბილო პირით, იგინებოდა, მერე რაღაც პატარა ვალსის დაკვრა დაიწყო, სროლის ხმელი ტკაცანი თითქოს ეწეოდა ვალსს, ლეწდა მას, მაგრამ ყურთასმენის წამლები, დანჯღრეული ვალსი ისევ ისმოდა.

— როგორ არის საქმე? — თქვა ბეკერმა.

იგი ისროდა მშვიდად, თანამიმდევრობით, როგორც კარგად გამართული მანქანა. სროლას შუა იგი ჩაიცინებდა თავისი ელზასური სიცილით. ვალსის ხრინწიანი ხმები ჩვენს უკან კვლავ ისმოდა, უდიდესმა ხმაურობამ სულ ჩაახშო მისი ხმა. ქუჩის სიღრმიდან ჩვენი ბარიკადისაკენ შეიარაღებული ქალების მთელი ბატალიონი მობოდა, წინ წითელი დროშა მოუძღოდა. ათასნაირი ტანისამოსი ეცვათ, ლენტებიანი ქუდები, ვაჭარი ქალის განიერი ქვედაწელი, ან ნაცრო-

ნალური გვარდიის მუნდირი. ზოგიერთს მხოლოდ შარვალი და მკერდზე გახსნილი ზედაწელი ეცვა, თოფებს იქნევდნენ. მოხუცმა ქალმა მუსიკას თავი გაანება, კოჭლობით, სახეანთებული, მთვრალთვალეებიანი ამ ქალებში შეერია. მოხუცმა ქალმა ეცევა დაიწყო. სახლების ფანჯრები გაიღო და მოწონების ხმები გაისმა.

— ექ! — წამოიძახა ვილაცამ, — ყველა ამ ფანჯარაში კაცი უნდა ჩაეაყენოთ.

— წავიდეთ, — ვთქვი მე.

ერთ-ერთ სახლში შევედი, კიბე ავიარე, კარზე დავაკაკუნე. ერთმა თმაგამლილმა ქალმა კარი გამიღო. ოთახი, რომელშიც შემიყვანა, ნახევრადჩაბნელებული იყო, რადგან ფანჯარაზე ლეიბი ჩამოეფარებინათ. ლეიბს უკან ქუჩას უთვალთვალებდა რუხი შალისხალათიანი კაცი. დროგამოშვებით თოფს უმიზნებდა და ისროდა. ოთახის სიღრმეში, ტიტველი კედლის პირდაპირ, ერთი მოხუცი ქალი იყო, დამოკიდებული, ორი ბავშვი მკერდზე მიხუტებოდა.

— მოვედი დასახმარებლად, — ვუთხარი კაცს.

ლეიბს უკან მოვეწვეე და მეც დავუმიზნე ვერსალელების გროვას, რომლებიც ბოლში, ბარკიადიდან ორმოცდაათ მეტრზე ფუსფუსებდნენ. თმაცამლილი ქალი ვაზნებს გვაწოდებდა. ჩემი უხეში ფეხსაცმლის ქვეშ მინების ნატეხები იმსხვრეოდა.

არ გასულა წუთი, რომ ჩვენს ქვემოთ, ბარკიადის დამცველთა შორის, არევიდა დაიწყო. ქალებმა უფრო მძაფრად მორთეს კვილი. წითელი დროშა დაეშვა. ბეკერის ხმა გავიგონე.

— ტეოდორ! ტეოდორ! ჩამოდი!

საბანი გაეწიე და დავუძახე:

— რა იყო?

— ჩამოდი! ზურგიდან მოგვიარეს.

მოხუცმა ქალმა ოთახის სიღრმეში კვნესა მორთო. ერთი აკანკალებული ბავშვი იატაკზე დაეცა და აღრიალდა.

— ნუ მიგვატოვებთ! — დაიძახა მოხუცმა ქალმა.

— ჩუმაღ! — უთხრა. მას ხალათიანმა კაცმა. ტყვიამ ვაიზუზუნა. ლეიბს ცეცხლი წაუქიდა. მე კარებისკენ გავეშურე და ძირს ჩავედი.

— ჩაფლავდით, — მითხრა ბეკერმა და მკლავში ხელი ჩამავლო. — ბარკიადს შემოუფელიან. მარჯვნივ უნდა გავიქცეთ.

— მონმარტრის სასაფლაოზე გუნდ-გუნდად ზვრეტენ, — თქვა ვილაც ქალმა, რომელმაც თოფი ილღიაში ამოიღო და, რაც ძალა ჰქონდა, მოჰკურცხლა. ჩვენ ქუჩების ლაბირინთში შევიჭერთ, ვერაფერს

ვერ ვცნობდით. ტყვია და ყუმბარა ჩვენ გარშემო ცვივოდა. რატომ ამ ქუჩაში შევუხვევდით და არა მეორეში? ვინ გვესროლა? ვის ვესროდით? თვალი მოვკარი ერთსართულიან სახლებს, რომლებსაც წინ პატარა ბალი, გლიცინით დაფარული კედლები, დაქანებული ბორცვაკი ჰქონდა. მწირი მიწა ერთიანად გადაებრუნებინათ, ბორცვაკს სიგრძეზე ბინძური ნაკადული ჩაუდიოდა და დაყრილ მიწაში იყარგებოდა. მაღალ ჩაშავებულ კედელს მივადექი, მის სამერცხულებიდან ისროდნენ. განზე გავუხვიეთ! ბეკერი რამდენიმე ნაბიჯით ჩემ წინ გარბოდა. ერთმა ტანისამოსჩამოფლტითილმა, ტუჩებზე ნამწვიწვიმებულმა ახალგაზრდა კაცმა გაგვაჩერა, თვალანთებულმა, ხელი განივრად და დიდებულად შეიქნია.

— მირის ქუჩაზეა შეკრება! — გვითხრა მან.

— რაო?

— იქ, მოსახვევში, მშვენიერი ბარიკადია. შეკრებაა!

თავისი შავი ხელები საყვირივით გაიკეთა პირზე და დაიღრიალა:

— შეკრება!

მართლაც, აღმოვჩნდით ქვაფენილის ქვებით გაცეთებულ ბარიკადთან, მას ზარბაზანი იცავდა, ზარბაზანს ქვებითა და ბიტუმით ტენიდნენ. ერთი სახლი იწვოდა, ალი ტაკანებდა და სცენას ხანგრძლივი შუქით ანათებდა. უეცრად ბეკერს ქამარში ხელი ვტაცე:

— შეხედე.

ბარიკადის კუთხეში, ფანჯრებდათხრილ პატარა დაბალ კედელთან დავინახე მიტრალიეზის დაფის უკან ორად მოხრილი დომბროვსკი. მოჭრიჭინე ბერკეტს თანაბარი მოძრაობით აბრუნებდა, და მისი მოკუმული ტუჩები, ჩაბნელებული თვალები აზრის სიცარჩევს, სასოწარკვეთილებას გამოხატავდნენ. გიჟური აღფრთოვანება ვიგრძენი, ვუტყერდი დომბროვსკის და ვერ ვებუდავდი დამეძახა, ან მხარზე ხელი დამედო. ვიცოდი, რომ მისთვის ხელი არ უნდა შემეშალა. უნდა გვეცლია, სანამ მთელ ფინდიხს დახარჯავდა. მივუახლოვდი, მის დაქიშულ პროფილს ვუმზერდი, ნიკაპზე დარჩენილ პატარა მწითურ წვერს, რომელიც ღრუგამოშვებით უცანცარებდა. ბეკერი მის გვერდით ქვაფენილზე გაწვა, თოფი მხარზე მიიღო და გაისროლა. მეც ავიღე ვაზნა და თოფი გავტენე. ამ დროს აფეთქება გაისმა. ინსტინქტურად დავიხარე და ვიგრძენი, რომ მტერის ღრუბელში გავეხვიე. როდესაც თვალი გავახილე, ჩემს მახლობლად ბეკერი დავინახე არა მსროლელის მდგომარეობაში, მუცელზე დაწოლილი, არამედ პირადმა, აყრილ ქვებს შორის, ხელებგადაშლილი, გასისხლიანებული შუბლით.

დომბროვსკი თავის მიტრალიეზზე დაშვებულისყო, თავი, ხელები ჩამოჰკიდებოდა. ვერსალელების ზარბაზანი დაღუმდა, თითქოს მიხვდაო, რა კარგად გაისროლა. ისეთი სიჩუმე ჩამოვარდა, რომ იგი დაუსრულებელი მეგონა.

— ღორები! — თქვა ხრინწიანმა ხმამ, — დომბროვსკი მოგვიკლეს.

— ბეკერ! — ვლუღლუღბლი, — ბეკერ, წამოდექ!... გემუდარები...

— ეს, — ჩაიბუტბუტა ერთმა ქალმა ნაზად და ხელზე ხელი მომკიდა, — ეს შენი ამხანაგი იყო?

უხეშ, პატარა ხელს ხელი მოუუჭირე და თავის დახრით დაუუდასტურე, მაგრამ ბეკერის სიკვდილი შეუძლებელი იყო. ეს იმას ნიშნავდა, რომ ქეყანა დარჩებოდა უაზროდ, ან ჩემს მახლობლად ვინღა იქნებოდა, ეინ ამიხსნიდა ყველაფერს, რაც ხდებოდა? ამიერიდან აღარაფერი მოხდება, კარგად მაგონდება, რომ უკვე რამდენიმე საათის წინ დაღუმდა ბეკერი. იგი უკვე მაშინ იყო მკვდარი, უეჭველად. მეტი სათქმელი არაფერი ჰქონდა.

— აღარაფერი აქვს სათქმელი, — ვთქვი ხმამაღლა.

ამ ორი მკვდრის გარშემო იკრიბებოდნენ, გულზე ხელს ადებდნენ. ხელებს უწევდნენ, მაგრამ ისინი ისევ ძირს ვარდებოდნენ, ნამდვილად მომკვდარიყვნენ. ჩემ ირგვლივ ბალხი თავს იყრიდა. მე მათ ნელა გადავხედე. ზოგიერთი ქალი ვიცანი, ისინი ბლანშის მოედნის კუთხეში შემოგვიერთდნენ. იმ ქალს, რომელმაც ხელზე ხელი მომკიდა, ჩემი ხელი ვერ კიდევ ეჭირა. ქალებს შორის მამაკაცების სახეებიც მოჩანდა, თმაგაჩეჩილი, სისხლში მოსერილი თვალები ეცრემლებოდათ. ერთმა მათგანმა თვალი დაახამხამა, ყელი ამოიწმინდა, თამბაქოსა და ღვინისაგან ჩახლეჩილი ხმით ეს სიტყვები ამოგრაგნა:

— ეჰ! შიძიმე ასათანია...

ლოყები დაიბერა და ენამოჩლექით დაუმატა.

— დომბროვსკი... იგი მოკვდა ვაჟყაცევით... შენი ამხანაგიც...

— ერთად უნდა დაიმარხონ.

— ცხედრებს შენ ჩავაბარებთ, — მითხრა ქალმა, — შენ წაასვენებ.

ამ ქალს ქუდზე სამგლოვიარო დოღბანდი ჰქონდა ლენტეხითა და ფუჩქფუჩებით გაწყობილი, შავი, ბურჯუის ქალის კაბა ეცვა. ტანსამოსს ზემოთ შალის წითელი შარფი გადაეკრა. გაშტერებულმა შევხედე, ქალმა განაგრძო:

— საყატეს მოძებნიან, შენ ორივეს გაასვენებ.

ძის თვალებში სიბრალული იხატებოდა. იგი ახალგაზრდა იყო. ფერმკრთალი, გრძელი სახე ჰქონდა, რომელსაც ოდნავ ვარდისფერი

გადაპკრავდა, ზედა ტუჩსა და ლოყას შორის. მარჯვნივ, ძალიან თეთრ, პატარა კუთხეში ზალი ჰქონდა.

— ჟონფოსი წავიდა საკაცის მოსატანად, — ჩაილულულულა ენაჩლი-ქინამ.

— სამი ან ოთხი წავიღებთ. პიესუ, წამოხვალ?

ზარბაზნის ჭროლა განახლდა. მინაზებული სახეები ისევ ჩემ გარშემო ირეოდნენ. მაგრამ წრე გაირღვა, და დავინახე ერთ საკაცეზე გვერდგვერდ დაწვენილი ჩემი ორი მკვდარი, წითელი მაუდიდან მხოლოდ თავები მოუჩანდათ. საკაცე ოთხ კაცს მიჰქონდა.

— გასწი ქალაქის თვითმმართველობაში, — თქვა ერთმა ქალმა, — უთხარით, რომ დომბროვსკი და ეს მეორე ვაჟკაცი რესპუბლიკისთვის დაიღუპნენ.

— წადი, — მითხრეს ქალებმა და ფრთხილად მიბიძგეს.

გავყევი. თოფი უღონო ზელში მეჭირა, მიწაზე მივათრევი.

— ეი, ჟონფოს, — თქვა ჩემ უკან ერთმა წამლებთაგანმა. — ქუჩით წავიდეთ?

— დიახ, მერე სევასტოპოლის ბულვარით.

— კამბალუზიე, ნუ ჩქარობ.

ასე გავიგე ჩემი თანამგზავრების სახელები. არ დამვიწყებია: ჟონფოსი, პიესუ, კამბალუზიე. მეოთხეს ვიქტორს ეძახდნენ.

ღროვამოშვებით უკან მივბრუნდებოდი და მათ გაუპარსავ სახეს ვუმზერდი, ჟონფოსის მოწყენილ და მრისხანე სახეს. ის იყო ტანდაბალი, სქელი, გახსნილი ხალათიდან ღიპი მოუჩანდა. სათვალეს ატარებდა, რომელიც ცხვირზე უცურდებოდა. ბოლოს გვამებს მივამტერდი. მერე გზას გაუღდექი, მივდიოდი და ვფიქრობდი:

„აი, ხომ ვნახეთ დომბროვსკი. რას იტყვი ამაზე, ჩემო ძველო, ბეკერ? ჩვენ ხომ მოვძებნეთ იგი და ახლა კომუნაში მიგვყავს. ისინი ამბობდნენ, ნოლალატე არისო. აი ნახონ“...

ზარბაზნის სროლის საშინელი გრიალი აღარ წყდებოდა. ხალხი გვეკითხებოდა:

— მონმარტრი ჭერ კიდევ უმაგრდება?

მერე ახალ ამბებს გვიყვებოდნენ, მარცხენა ნაპირის დაცვის ხელმძღვანელობა ვრობლევსკიმ იღო თავსო. კრუა რუჟთან, მენის შარავზატთან იბრძოდნენ. იქ, ჰადაც ჩვენ მივდიოდით, სიწყნარე იყო და სასწრაფოდ ბარიკადებს აგებდნენ. ისინი ჩვენ გზას გვიხსნიდნენ, ჟონფოსი ზარზეიმით ყვიროდა:

— გზა გმირებს! გაატარეთ გენერალი, დომბროვსკი, რომელმაც ხალხს თავი გმირულად უმესწირა.

მებრძოლნი ქედს უხდიდნენ, ან თოფით აძლევდნენ სალამს.

— დომბროვსკი! — ამბობდნენ ისინი. — მათ მოჰკლეს დომბროვსკი.

— შურს ვიძიებთ.

— შურს იძიებენ? — ეფიქრობდი მე. — ამით რისი თქმა უნდათ? მათ არ იციან, რომ ისინიც, ყველანი, მოკვდებიან?

გზას განუგაგრძობლივად. დარაბები ყველგან დაკეტილი იყო. ცა არაჩვეულებრივ ფერებს იღებდა. ფენშიშვეული პატარა ბიჭები უკან მოგვდევდნენ, მძიმე თოფი მხარზე გაედოთ. თანდათან წინ რომ მივიწვევდით, ჰაერს ხარბად ვისუნთქავდით. ასე ცხენმა იცისო, ამბობენ, როდესაც ივი საწმობლო აღდგის, ან თავის საჭინბოს უახლოვდება. მეტი არაფერი ვიცი. არის შედარება, რომელსაც ამ შემთხვევაში ამბობენ ხოლმე და რომელიც არ მაგონდება.

— ეჰ! ასე, სწორედ ასე, ჩვენ პარიზში ვბრუნდებით, ჩვენს პატარა პარიზში, რომელიც სულ დაპატარავდა. თქ, სადაც ჩემი ოთახი, ჩემი ქალაქის თვითმმართველობა, ჩემი სენტ-ანტუანის გარეუბანია, სადაც მარი-როზი მყავს. ენახავ მარი-როზსა და რაიმეს მიუტან... მართლაც. მარი-როზ. ჯერ შენთვის საქორწინო საჩუქარი არ მომიერთმევი... მომაქვს შენთან ორი ცხეღარი. აი ჩვენი ბეკერი... ჩემი მეგობრებისგან ამის გარდა არავინ ღამრჩა. ახლა კი ყველაფერი გათავდა. ახლა ამქვეყნად არავინ გყავს, ჩვენ ორს, ეჰ, უბედურებაა... უბედურებაა... — ვიმეორებდი.

თავში სიცარიელეს ვგრძნობდი. უაზრო რაღაცას წამოვიძახებდი ხოლმე, უშნოდ ვიკრიჭებოდი, ამიტომ სახე მემანჭებოდა. მე არ ვტიროდი, მაგრამ კბილების კრეჭა უფრო მტკივნეულია, ვიდრე ტირილი. მე მივიჩქაროდი, როგორც კი შემეძლო. სხვები მიძახოდნენ:

— ასე ნუ იჩქარი! ველარ მოგდევთ.

ღროგამოშვებით მათ საკაცის წაღებაში შევეცვლებოდი, მაშინ სულ ახლოს ვიყავი ჩემს მკვდრებთან, შემეძლო დამენახა ისინი. დომბროვსკის პატარა, სულ თეთრი სახე ჰქონდა, რძისფერი. შუბლზე სისხლი შედედებოდა. უღვაშსა და მწითურ პატარა წვერს შუა თითქოს ღიმილი შერჩენოდა. დომბროვსკის გვერდით ბეკერის სახე რა შავი მოჩანდა და ბოროტი, დიახ, ბოროტი, კაცი იტყოდა: კეთილი დომბროვსკი, ბოროტი ბეკერი. ეს სწორად ნათქვამი იქნებოდა. სიარულის დროს რომ წავიბორძიკებდით, მიცვალებულთა თავები ერთმანეთს

მიხვლებოდნენ, ამ მირტყმისაგან ტკივილს ჩემს შუბლზე ვგრძნობდი.. თითქოს ჩემი შუბლიც იხსნებოდა და იქიდან სისხლი სჩქედდა. მაშინ მეც მათს გვერდით მომათავსებდნენ, ამ კეთილსა და ბოროტ გვამს შორის. ჰო, ბეკერს, მართლაც, ბოროტი გამომეტყველება ჰქონდა. წვერი სახეზე მოზრდოდა, ყბები გამოსწეოდა, ლოყები ჩასცვენოდა. როდესაც ვილატამ თქვა, მთელ პარიზს ხანძარი მოედოო, ასე მეგონა, პატარა ალი ბეკერის ტუჩებზე ცეკვავდა. მე ვლულულულებდი. — ბეკერ. გთხოვ... ადექი... ეგ წითელი მაუდი გადაიგდე და ადექი... შენ მკვდარი არა ხარ, გამიგონე!

ბეკერი არ ინძრეოდა, მე ჩავჩიხინებდი:

— ეგ საძაგელი ხუმრობაა, ბეკერ, იგი საკმაოდ დიდხანს გაგრძელდა. გარწმუნებ...

ასე მივედით ქალაქის თვითმმართველობაში. ყველა დერეფანი, დარბაზი დაქრილებითა და მომაკვდავებით იყო სავსე. რა აურზაური! ჩვენმა პროცესიამ შთაბეჭდილება მოახდინა. ისმოდა ლულულუდი: „დომბროვსკი“, და ქუღს იხდიდნენ. ორი მკვდარი პატარა ოთახში მაგიდაზე დაასვენეს. სანთელი დაუნთეს. ერთხანს მიცვალებულებთან მე დავჩი. ერთი ოფიცერი მრვიდა, მან ხატვა იცოდა, ფანქრით და პატარა ალბომით მათს სასთუმალთან მოეწყო, უკეთ რომ დაენახა. დროგამოშვებით იგი მიცვალებულთა სახისკენ დაიხრებოდა. ყონფოსმა, პიესუმ, ვიქტორმა და კამბალუზიკ მხარზე ხელი დამკრეს და შემკრთაღნი წავიდნენ.

— მუშაობას უნდა შევუდგეთ, — თქვა ყონფოსმა და სათვალე გაისწორა.

— აქაც გექნებათ სამუშაო, — ვუთხარი მათ.

— არა, არა, ჩვენს უბანში უნდა დავბრუნდეთ.

მარი-როზისა და სიფრელენის საძებრად წავედი. ჩემს საკუქნა-ოშიც კი შევიარე ვიეი-დიუ-ტამპლის ქუჩაზე. კვლავ ვნახე ეზო, კრამიტიანი სახურავი. „თქვენ, — ვუთხარი მათ, — თქვენც მიმატოვებთ!“ რივოლის ქუჩის ბარიკადთან უნდოდით ჩემი შეჩერება ქვების საზიდავად.

— მე ქალაქის თვითმმართველობის მორიგე ვარ.

— რის მორიგე, მოქალაქე, ქვა მოიტანე.

— ცოლს ვეძებ.

— ახლავე ნახავ. გამომართვი ნიჩაბი.

ნებსით თუ უნებლიეთ ბარიკადზე მუშაობა მომიხდა. ჰაშინელ დაღლილობას ვგრძნობდი, ქვები ხელებს მიფლეთდა, მეტი აღარ შე-

მეძლო, მაგრამ ბარიკალებზე მუშაობას მექანიკურად განვაგრძობდი, ქვაფენილის ქვევებს ვიღებდი, გროვასთან მიმქონდა, სადაც ისინი სამგლოვიარო ხმაურით ცვიოდნენ. უცბად ვიგრძენი სახეზე ნიაღვარი ჩამომდიოდა, ეს ოფლი იყო, ამასთანავე ცრემლებიც. გენერლის გვერდით. პატარა ოთახში მომადლოდ მწოლარე, სანთელდანთებულ ბეკერზე ვფიქრობდი. ვილატის ხელი ჩემს მხარზე დაეშვა.

— რა დაგემართა?

იმ კაცისთვის, რომელიც მელაპარაკებოდა, არც კი შემინებდავს: განრისხებული განვაგრძობდი ნიჩბის ჩასობას ფენის ღონიერი დაკვრით და ვლულულულებდი:

— არაფერი... მეგობარი მომიკლეს. მერე ჩემს ცოლს ვეძებ. ის მიხდა... არ ვიცი, სად არის.

— წადი, მონახე.

ნიჩბი დავაგდე და გავიქეცი. ამ კაცისთვის არც ახლა შემინებდავს. 'მას რომ დაესახნა, დაბრუნდიო, დავბრუნდებოდი... დაბინძვული თვალები ამოვიწმინდე და წინ გავწიე. მშობდა და მწყუროდა. არ ვიცოდი, რომელი საათი იყო. ალბათ, ნაშუადღევის ოთხი ან ხუთი საათი. შავი ღრუბლები ფარავდა ზეცას, ქალაქის თვითმმართველობის მხარეს. ხალხში მოულოდნელად ეონფოსს წავაწყდი.

— მე ისინი დავკარგე. აბა, რაღა დაგვრჩენია, ერთად ვიყოთ. მე თოფი ვიშოვნე. შენ ხომ გაქვს?

მე უაზროდ შევხედე. ტანი მოვისინჯე, ჩემი თოფი? ჰო! მხარზე მქონდა გადაკიდებული, ჩავილულულდე:

— არა გშია?

სამიკიტნოში წამიყვანა, სადაც ღვინო და პური ვიშოვნეთ.

— ფული გაქვს?

მან გადაიხადა. მერე ვკითხე, მშვიდობიანობის დროს რას აკეთებდი-მეთქი. ეს ჩემთვის სულ ერთი იყო, მაგრამ ჩემთვის საჭირო იყო, ვინმესთან მესაუბრნა. იგი ოქრომფერავი ყოფილა.

— კამბალუზიეც, — დაუმატა მან. — დანარჩენი ორი, ზუსტად არ ვიცი. შგონი ბრინჯაოზე მომუშავე ხარატი, რაღაც ამდაგვარი... ოჰ! — განავრძობდა იგი. — მწყინს მათი დაკარგვა, მწყინს. მე ჩემს უბანში ბრძოლა მინდოდა.

— არჩევანი ალარა გვაქვს. ჩვენ აქა ვართ და აქვე უნდა დავრჩეთ.

მან მითხრა, რა დრო იყო: ხუთი საათი. ახალი ამბებიც გამიზიანა-

რა. ვერსაღელები ცენტრში შემოკრილიყვნენ. ტრინიტე და რუაია-
ლის ქუჩა ადლოთ, ტიუილრი იწვოდა.

— მე ჩემს ცოლს ვეძებ, — შვეაწყვეტინე მას. — ის აქ უნდა
იყოს. მარი-როზი ჰქვია. წავიდეთ, ან ქალაქის თვითმმართველობაში
დავბრუნდეთ. შეიძლება, მარი-როზი იქ ვნახოთ. ის ჩემი ცრლია, გეს-
მის?

მარი-როზი მხოლოდ საღამოს ვნახე მღუმარე ბრბოში, სანაპიროს
ქუჩაზე. მამასთან ერთად. ცეცხლწაქიდებული პარიზის სანახავად
წამოსულიყო. თვალი ტიუილრის მხარეს მივაპყარი. არაეინ იცოდა,
ვინ გასცა განკარგულება იქ ხანძარი გაეჩინათ, ჩურჩულებდნენ: „რი-
გომ ქნ... ან ედმა...“ კარგადაც მოქცეულანო. მაგრამ მართო ტიუ-
ილრი კი არ იწვოდა, იწვოდა აგრეთვე საპატიო ლეგიონი, უმაღლესი
საკონტროლო პალატა, სახელმწიფო საბჭო... უზარმაზარი ცეცხლის
ენები შავ ცას წვდებოდა და მათს ანარეკლს სენა მიაგორებდა. დრო-
გამოშვებით ბრბოში ყვირილი ისმოდა, როგორც შშვენიერი მამხა-
ლის დანახვის დროს. განსაკუთრებით პატარა ბიჭები ერთობოდნენ.
ისინი ფენებში დაძვრებოდნენ და მათ რბილ ნაწილებზე სცემდნენ.
დაიკარგეთ, ბაყაყებო! როდესაც მოვბრუნდებოდი, სინათლე თვალს
მჭრიდა. ვხედავდი ქალაქის თვითმმართველობის განათებულ ფასადს და
რივოლის ქუჩაზე, ბარიკადების გარშემო, ჩირაღდნების, ფარნების,
ბანაკების სინათლეს. ასე რომ მოვბრუნდი, უეცრად მარი-როზი. შვე-
ნიშნე. იგი მამას ეკვროდა. სიფრეღენს შვილისთვის მხარზე ხელს
მოეხვია, უქულო იყო. ქარი თმას უბიზინებდა, მე დაეუძახე:

— მარი-როზ! ძია სიფრეღენ!

მაშინ მარი-როზმა თავი ასწია. სიფრეღენის ათროლოებული თმა
და წვერი დავინახე. ბრბო გავარღვიე და მათ გულში ჩავეკარ.

— ტეოდორ! სად იყავი? რა გააკეთე? მკვდარსა ჰგავხარ.

ისინი კითხვებს მაყრიდნენ. მე მათ ვუთხარი.

— არა, მე მკვდარი არა ვარ, მე მკვდარი არა ვარ... მე ჯერ არა
ვარ...

და თვალი ქალაქის თვითმმართველობის განათებულ ფანჯრებს
მივაპყარი.

— იქ, მაღლა სხვები არიან... თქვენ ისინი ნახეთ?

ვუამბე. დომბროვსკი, ბეკერი... ახლა ვგრძნობდი მრისხანებას,
რომელიც მახჩობდა, ამის გამო ხელები მიკანკალებდა. სიფრეღენიც
და მარი-როზიც იტანჯებოდნენ. მარი-როზი თვალარეული მიცქერდა.
მის სახეზე მხოლოდ ცეცხლმოდებულ თვალებსა და სისხლიან ტუჩებს

ვზნდავდი. ასე ამაყი იგი არასოდეს მომჩვენებია. მარი-როზი ხილა-
ზანდს მკერდზე იხვევდა, ყრუ ხნით შეკითხებოდა, თითქმის მდაბიო
ხალხის ენაზე მელაპარაკებოდა. ხელი მოვუჭირე მკლავზე, მაჯაზე.
ხელი მოვკიდე მის მაგარ და გაუხეშებულ ხელს. მარი-როზი მე-
ვროდა. იმანაც დაჰკარგა და კვლავ მიპოვნა, მეც დაკარგული მყავდა
იგი და კვლავ ვიპოვნე.

— მთელი ღამე შენზე ვფიქრობდი, — ვუთხარი მარი-როზს ხმა-
დაბლა. — მთელი ღამე, განუწყვეტლივ, არ მძინებია.

— ჭამე მაინც რაძე?

— მომარაგების საქმე ცუდად არის, — თქვა სიფრელენმა. — მე-
დუქნეები რეკვიზიციას ეწინააღმდეგებიან. როდესაც მათ ბონებს აძ-
ლევენ, ისინი ამ ბონებს ცხვირპირში გახლიან. გვეუბნებიან, თქვენ
ფიქრობთ, რომ ვერსაღელები ამ ქალაქის ნაგლეჯებს სცნობენო?
ჩვენს დამარცხებაში ისინი დარწმუნებული არიან.

— ჩვენც.

— რას ფიქრობ?

— მაშ ეს მართალია? — წამოიძახა მარი-როზმა. — მართალია? ჩვენ
მოვეკვდებით?

არ ვიცოდი, რა იხატებოდა მარი-როზის თვალებში — აღტაცება
თუ შიში? მაგრამ მე წელზე ხელი მოვკიდე და ყურში ჩავჩურჩულე:

— სანამ ეს ტანი ჩემს ხელთ მექნება, მე არ ვიკითხავ, უნდა მოვ-
კვდე თუ არა.

— მაშ, მართალია, უნდა მოვეკვდე? — გაიმეორა მან.

— ეს ჩვენ არ გვეხება, — ვუთხარი ხმამაღლა, ხელი კი ისევ წელ-
ზე მქონდა შემოხვეული.

მარი-როზმა ჩემკენ თავი დახარა და გამიღიმა. მის ღიმილში ბედ-
ნიერება და თითქმის გამოშფევეი თავაზიანობა დავინახე, ასეთ თავა-
ზიანობას შეყვარებული ქალიშვილები იჩენენ, როდესაც ისინი თავ-
ვიანთ მამაკაცებს უცქერენ, მთელი სხეულითა და მთელი თავიანთი
ბედნიერებით მათ მიენდობიან.

— გამიგონე! — ვუთხარი მას. — აი ასეთი მომწონხარ.

— შენც მომწონხარ, — მითხრა მან.

სიფრელენმა სიტყვა შეგვაწყვეტინა:

— ჩემო შვილებო, მაინც უნდა ვიშოვნოთ სადმე საკმელი, სას-
შელი და დასაძინებელი ადგილი.

— დაძინება? — წამოვიძახეთ ჩვენ.

— აბა რა, რამდენიმე საათი მაინც. წავიდეთ ქალაქის თვითმმართველობაში.

გავეპარეთ წითლად განათებულ დიდი ფასადისაკენ.

— ძია სიფრელენ, — ვუთხარი, — პატარა კუთხეს გიპოვნით, სადაც მოისვენებთ. მე კი დელეკლუზს ვნახავ.

— მეც წამოგყვები, — მითხრა მარი-როზმა.

დღუფანში მიცლიდა, მე რომ დელეგატთან შევედი. დელეკლუზი მაგილას უჯდა და ქაღალდებს ხელს აწერდა. გარს რამდენიმე ოფიცერი ეწვია. მისი ყვითელი, ჩაცვნილი ლოყები, მწარედ მოკუმულ დიდი ტუჩების გარშემო ღრმა ღარებს დაესერა, საშინელი სანახავე იყო. ხალხი შემოდირდა და გადიოდა. დაბალი ხმით ლაპარაკობდნენ.

— აი, ვინ გააკეთებს ამას, — თქვა, მე რომ დამინახა შესული დანობათითა, — ლოტელ დიეს ევაკუაცია მოაწყვეთ. იქ რვაასამდე ავადმყოფია. ყუმბარების დაშენის დროს ისინი დაიღუპებიან. ნოტრ-დამში გადაიყვანეთ. აი ქაღალდი. სხვა საქმეს შევუდგეთ. ბრიუნელი სად არის?

ლოტელ დიეში მარი-როზიც წავიყვანე. ჩვენ მოვნახეთ დირექტორი და ბრძანება ვუჩვენეთ.

— გადაწყვეტილია, მკვდრებსა და მომაკვდავებს თავს ვერ დავაღწევ, — ეთქვი მე გზაში.

ლოტელ დიეში ცოტა საქმელ-სასმელო მაინც ვიშოვნეთ. ყავა გამიკეთეს და მე ერთი ლიტრი ღვინო გამოვცალე. შემდეგ მუშაობას შევეუდექით. თითქოს ახლაც ვხედავ სანთლის ნამწვებით განათებულ, ჩამწკრივებულ ოთახებს, თეთრ ლოგინებს, ავადმყოფებს, დაქრილებს, რომლებიც ღრიალებდნენ. უმრავლესობას აქვე დარჩენა სურდა. მით უკეთესი, თუ ეს საროსკიპო აფეთქდებოდა. საკმაოდ გაიტანჯნენ. აქეთ-იქით თრევა აღარ უნდათ. მონახვნები არწმუნებდნენ ავადმყოფებს, აქ დარჩენა საშიშიაო, მაგრამ ამაოდ. ავადმყოფები იგინებოდნენ და ილანძლებოდნენ. წითელი ცის ქვეშ აუარებელი საკაცე დაგროვდა. ზარბაზნების სროლის საშინელი ხმაურობა ისევ განახლდა. „ნოტრ-დამში განა უფრო უშიშარ ადგილას ვიქნებით? წირვის წყელი დუქანი“... გზას გავუყენეთ ავადმყოფების პროცესო, კარიბჭისაკენ და წირვის დიდი დუქნისაკენ, სადაც ჩირალდნების სინათლეზე წესრიგის დამყარება იყო სჯირო, რადგან იქ დღისით სკამები ცეცხლში ჩაეყარათ. ალტაცებული ვიყავი მარი-როზის სიმშვიდით, გავლენით, რომელსაც იჩენდა ავადმყოფების მოვლის, დაწყნარების, აქეთ-იქით გადაყვანისა და მათ დასაჩუქმებლად დატუქსვის დროს. ყოველივე ამას

ისე ბუნებრივად აკეთებდა, რომ მისდამი პატივისცემით ვიმსჯელებოდი. მან იცოდა, რა უნდა ეთქვა. თავს ვეკითხებოდი, სად პოულობდა ყველა ამ სათქმელ სიტყვას, ამ უბრალოებას, ამ გადაწყვეტილებებს... მივყვებოდი თეთრ საკაცებს შორის. საკმარისი იყო მარი-როზს ერთი სიტყვა ეთქვა, და ისინი გზას გაუდგნენ. ვიღაც პატარა აკანკალებული მოხუცი ქალის ლოგინი მშვიდ კუთხეში მოათავსეს, აქედან მას შეეძლო დაენახა მრგვალი სარკმელი, ქანდაკებანი და ბევრი რამ საინტერესო. ერთ წამს ვინატრე, ნეტავ ეს მოხუცი მე ვიყო და იმ დროს, როდესაც გარეთ გაცოფებული ქარიშხალი იქნება, დარჩენილი დღეები თუ წუთები ამ უცნაურ, ნახევრადბნელ საფარქვეშ გამეტარებინა-მეთქი.

— ბებია, აქ ძალიან კარგად იქნებით... ხომ? აბა, გულში შიშში არ გაიტაროთ.

აღბათ, შუალამე გადასული იქნებოდა, როდესაც მე, მარი-როზი, მოქალაქე დირექტორი რამდენიმე ექიმთან ერთად ლოტელ დიეს ეზოში დავბრუნდი. სიფრელენიც მოვიდა.

— არ გეძინა? — ჰკითხა მას ქალიშვილმა.

— ეჰ! — თქვა მან, — რა დროს ძილია, ქალაქის თვითმმართველობის შენობას სტლიან და მეთერთმეტე ოლქის მერიისკენ გადადიან.

— როგორ?

— ასეა. კომუნა სტოვებს თავის ბინას, საზოგადოებრივი ხსნის კომიტეტი და ყველა დანარჩენი. რა მოხდა! გარეუბანში ვიბრძოლებთ. — შერე დაუმატა: — დომბროვსკისა და ბეკერსაც თან მიასვენებენ.

— სად?

— ბერ-ლა-შეზთან. თქვენ საქმეს აქ მალე მოათავებთ?

— ერთ-ორ საათში.

— წავალ, ვნახავ, რა ხდება, — გვითხრა მან, — და ახლავე დავბრუნდები.

სიფრელენი მალე მობრუნდა.

— მზად არის, — თქვა მან. — გასვენება იწყება.

— მეც. მოვდივარ! — წამოვიძახე.

— შენ აღარ მჭირდება, — მითხრა დირექტორმა. — ჩემი ხალხის დახმარებით მოვახდენ ევაკუაციას; შეგიძლია წახვიდე.

ქალაქის თვითმმართველობის მოედანი ახლა წყნარი და უდაბური იყო: არც ერთი ზარბაზანი, არც ერთი ადამიანი არა ჩანდა. კარის წინ მხოლოდ ლანდები მოძრაობდნენ. ჩვენ ერთმანეთს მივეუახლოვ-

დით. აქ კიდევ დავინახე საკაცეები, ღაპრილები. ისინი ყვიროდნენ, ან წყალს ითხოვდნენ, ან კვნესოდნენ და ხშირად, ხარბად ისუნთქავდნენ ჰაერს, რის გამოც სუნთქვა მიჭირდა. მთავარი კარის წინ საზიდარი იღვა, რომლიდანაც ნავთის ბალონებს სცლიდნენ.

— პუნშის გასაკეთებლად გამოდგება, — თქვა ჩვენს მახლობლად ვიღაცამ სევდიანად.

ხალხი ჯგუფ-ჯგუფად იკრიბებოდა. კამათობდნენ. მერე გამოჩნდა ბეკერისა და დომბროვსკის საკაცე. ზედ გადაფარებული წითელი მუდი მიწაზე მიეთრეოდა. ყველამ ქუდი მოიხადა. ჩირადღნებიანი კომუნარები საკაცეს მიჰყვებოდნენ. პროცესია სენტ-ანტუანის ქუჩისაკენ გაემართა. ჩვენ უკან გავყევით. ვიღაც სირბილით დაგვეწია. ვერმორელი ვიცანი. ცოტა დაშორებით სხვები აგვედევნენ. ზარბაზნის სროლის ხმა თან მიგვყვებოდა.

— დანახე, — ვუთხარი მარი-როზს, — რა მშვენიერი არიან?

— ჰო, — მიბასუხა კანკალით, — ბეკერის სახე დავინახე.

ნაბიჯი შევანელეთ. სიფრელენმა გაგვისწრო. ვერმორელს ესაუბრებოდა.

მარი-როზს მკლავში ზელი ვაფუყარე და ვუთხარი:

— როგორ კანკალებ?

— ტანზე მიმიკარ, — მიბასუხა მან. — ტანზე მიმიკარ ისე, როგორც ამას წინათ.

ტანზე მივიკარ და იმ ძლიერმა სურვილმა, შმაგმა სურვილმა შემიპყრო, რომელსაც მარი-როზი იწვევდა ჩემში მას შემდეგ, რაც ის გავიცანი. კუბოკრული ზილაბანდი მოვხსენი, ვეხებოდი მის თმას, ისე როგორც ეხებიან ჩალას, ან ბალახს, მის შავ თვალებს, ზშირსა და ტალღისებურს, ღიმილით თავი უკან გადაიგდო, მერე წელზე ზელი მოვხვიე და მისი ნაბიჯის ყოველ გადადგმაზე თეძოების მოძრაობას რომ ვგრძნობდი, მსიამოვნებდა.

— მინდინხარ, — ვუთხარი ხმადაბლა.

ნიკაპის მოძრაობით ცხედრებისაკენ მიმახედა, ჩვენ წინ რომ მიასვენებდნენ და ჩაიბუტბუტა:

— მათ ველარასოდეს ვერ ვნახავთ?

— ველარასოდეს, — ვუპასუხე.

— საწყალი ბეკერი!

— მოკვდა.

— მითხარი, ტეოდორ, შენ ასეთი ნასწავლი ხარ.. რომ მოგვკვდებით, მერე...

— ჩემო პატარავ, — გუთხარი ნახად, — როდესაც ფეთქვას შეწყვეტ, შემდეგ აღარაფერი არ იქნება.

— არაფერი? სრულიად აღარაფერი?

— მაშინ, — დაიწყო მან და გაბუტული ბავშვის სახის გამომეტყველება მიიღო, — მაშ, რა იქნება? ტეოდორსა და მარი-როზს რა მოუვათ? ერთმანეთის ნაცნობები აღარ იქნებიან? ერთმანეთი არ ეყვარებათ? ოჰ! მითხარი, შენ ეს უნდა იცოდე, იცოდე...

— მე ვიცი ის, რაც იყო, მარი-როზ, და რაც საკმაოდ არაჩვეულებრივად იყო. ტეოდორი და მარი-როზი ერთმანეთს იცნობდნენ და ერთმანეთი უყვარდათ. ამ სიყვარულს დაემორჩილნენ და მთელ ქვეყანას ანგარიში არ გაუწიეს. ეჰ! დიახ, ეს თვითონ გააკეთეს პატარა ეშმაკებმა... რადგან მათ ასე უნდოდათ. და ახლა ამასა აქვს მნიშვნელობა. ახლა ეს სასწაულია. აი: ეს მე გვაკეთე. შენ მიყვარდი. გრძელი, გრძელი გზის გავლის შემდეგ ახლა კი ჩვენ უკან ზედიზედ პარიზი იწვის, ნელ-ნელა. მე გავწყვიტე კავშირი იმასთან, რაც სხვა ქვეყანასთან მაკავშირებდა. ცეცხლის ზღუდე აღიმართა ჩვენსა და მათ შორის. და ჩვენ მხარდაწმინდარ მივდივართ, ერთმანეთს მიკრულნი. კიდევ რას დაეძებ?

— სხვა არაფერია საძებარი? მე ერთი პატარა გოგონა ვარ, ტეოდორ, ჩვენ ერთსა და იმავე საზოგადოებას არ ვეკუთვნით...

— ერთი და იმავე საზოგადოებისა არ ვიყავით, მართალია, მაგრამ განა მე ვიცი, რომელ საზოგადოებას ვეკუთვნოდი. მე და შენ ერთმანეთს შეეხვდით. შენ გინდა გითხრა, რომ ჩვენ უკვდავი სული გვაქვს, ხომ მართლა გინდა? მაგრამ ეს უსუსური ტყუილი იქნებოდა, მარი-როზ. მე ნასწავლი ვარ? დიახ, ჩემო პატარა, ძვირფასო გოგონავ, შენზე მეტად ნასწავლი, ეს მართალია. მაგრამ, ხომ ხედავ, მე არა მჯერა, რომ ჩვენ ორივეს უკვდავი სული გვაქვს. შემიძლია მხოლოდ ვთქვა, რომ ჩვენ ორი სული გვაქვს. ისინი, ეს-ეს არის, ძლივს დაიბადნენ: ერთი, სიფრელების ქალიშვილი, ხილაბანდწაყრული და წეორე ჩემი სული, ცეცხლმოღებული. ეს სულები ერთმანეთს ეკვრიან.

ვბოდავდი, კბილები მიკაწყაწებდა, აცახცახებული ხელებით მარი-როზს ვიხუტებდი. ასე მეგონა, სირბილით მივდევი საშლოვან პროცესიას, რომელიც მიიჩქაროდა აგრეთვე ჩვენ წინ, სენტ-ანტუანის ქუჩაზე. ბასტილია განოჩნდა. იქ ხიშტები ტოკავდნენ და ყვირილი ისმოდა. ყოველი მხრიდან ჩირაღდნებიანი მობობდნენ, რომ დომ-

ბროესკისა და ბეკერის ცხედრებს გარსშემოხვეულ ჩირალდნებს შეერთებოდნენ.

იძახდნენ: „გზა!“ უზარმაზარი პროცესია შედგა, და ღიღი საკაცე დავასვენეთ უკვდავთა გვირგვინებისა და დროშების მთიდან ცად აღმართული, წითლად მორთული სვეტის ძირში. ჩემ მახლობლად კვარცხლბეკზე შემდგარმა კაცმა, რომელსაც გადაჯვარედინებულ ხელებში თითო ჩირალდანი ეჭირა, დაიღრიალა:

— გაუმარჯოს მსოფლიო რესპუბლიკას!

ეს შეძახილი ხანძარმოდებულ ზეცას მოეფინა. მომეჩვენა, რომ მალა თავისუფლების ანგელოზი ამ შეძახილს მთელ სამყაროს გადასცემდა. დაეინახე, რომ მე და მარი-როზი გარშემორტყმული ვიყავით. წრეში ყველას სახეს მკაცრი გამომეტყველება ჰქონდა, კაცებს წვერ-ულვაში მოზრდოდათ, ქალები შესაბრაღისად გამოიციქობოდნენ, როგორც მაშინ, როდესაც ჩემს ფეხთან მირის ბარცადს უკან ბეკერი და დომბროესკი ესვენენ. როგორც მაშინ, მათი ვანოხედვა გულს მითბობდა: ისინი მარი-როზს ათვალეგრებდნენ და, მკონი, მას ლაშაზად თვლიდნენ და გრძნობდნენ, რომ ჩვენ ერთმანეთი გვიყვარდა.

— რა ხდება იქ? — იკითხა ვილაცამ, — ქალაქის თვითმმართველობა კომუნამ მართლა დატოვა?

— და წამოსვლის წინ ცეცხლი წაუქიღეს?

— ყველაფერი იწვის, ყველაფერი იწვის, ყველაფერი, ყველაფერი, — თქვა მოხუცმა ქალმა აკანკალებული ხმით.

— ყური დაუგდეთ, — რა გრიალი ისმის! — თქვა მეორე მოხუცმა ქალმა. — ყველგან ყუმბარებს უშენენ.

— პარიზისაგან არაფერი დარჩება.

კვარცხლბეკის სიმალიდან ვხედავდი უკანასკნელ პარიზელებს, ამ ბრბოში თითქოს ვცნობდი ყოველი უბნისათვის დამახასიათებელ სახეებს. აქ იყვნენ მენილმონტანის, ვოჟირარის მცხოვრებნი, აგრეთვე პოპენკურელები და ლავიეტელები, მარელი, შინ მომუშავე ხელოსნები, სათვალის მკეთებელნი პასტურელის ქუჩიდან. მუნდირდაფლეთილ ადამიანებში ვცნობდი ყოველგვარი ხელობის კაცებს, მბეჭდავებს, მომბრინჯაობელებს, ქვის მთლელებს, მექასრეებს, მეჭლანეებს, ხელოვნური ყვავილების მკეთებლებს, მეფუნთუშეების შევირდებსა და მებურეებს, რომლებსაც „მკვნესავეებს“ ეძახიან, რადგან ლამე პურის ზელის დროს სარკმლებიდან მათი კვნესა მოისმის. აგრეთვე ბაზრის კონკია-მეულარუნეებს, სანაპიროს მაწანწალებს, ხიდის მათხოვრებს და

რევოლტის ქუჩის გლახაკებს. შემეძლო შეეცდომლად დამედო მხარზე ზელი რომელიმესთვის და მეთქვა: „შენ მარცხენა სანაპირო ქუჩიდანა ჯარ, შენ კი, ნათლიმაზე, პანთონს უკან ვაქვს საამყინძაო. იქ თქვენ ახლა სიცხე ვადგიათ, ხომ? მაგრამ აქ ჯერ კიდევ ბატონები ჩვენა ვართ...“ მარბ-როზი ისევ მიხუტებული მყავდა, ცალი ხელი მის წელზე მქონდა შემოხვეული, მეორე კი თუძობჯ. ჩირალდნების შუქით წითლად განათებულ ბეკერის უძრავ სახეზე, მის დახრილ წამწამებზე შევაჩერე თვალი. წინანდებურად მას საუბარი გავუმართე:

— ეი, ბეკერ!.. რაო?.. რას ამბობ? ვერპერში? შენ ამბობ: „იგი მასოწარკვეთილია“. შენ ხომ არა ხარ სასოწარკვეთილი? მკედრად ყოფნა სასოწარკვეთილებაში არ გაგდებს... დიახ, დიახ, სასოწარკვეთილება პრინციპად გაიხადეს, ისინი იტანჯებიან იმის გამო, რომ ადამიანები არიან და მოწყენილობა-უიმედობისა გამო სურთ მოქმედება. მოქმედება. მოჰკლან, მოკვდნენ. ეს ძალიან საყურადღებოა. ერთ ვრძნობას. სევდას, შიშს, უიმედობას იღებენ. გამოაცალკავებენ, ძალიან მალლა, ძალიან შორს ათავსებენ და ისე იტანენ მას, რომ არა გაეგებათ რა, ასეთია მათი მეტაფიზიკა. მე საჩქაროდ ვაკეთებ დასკვნას, მაგრამ ამას იმიტომ ვშერები, რომ მომაგონოთ, რაზე შეეჩერდით. კარკი. მაგრამ შენ, შენი მეტაფიზიკა ხომ კუჭიდან იწყება? ცხოვრებიდან, ცოცხალი ცხოვრებიდან, სიხარულიდან. დიახ, რატომ სიხარულიც არ უნდა იყოს ისე ნამდვილი, როგორც სევდა, შიში და უიმედობა? რა საშიში რამ არის ადამიანად ყოფნა? ადამიანად ყოფნის სიხარული, ადამიანად გახდომისა და ცხოვრებაში თავის ძალთა გამოყენების სიხარული და არა სიკვდილში. რა თქმა უნდა. რას ამბობ? ჩემი სიხარული... შენ ლაპარაკობ ჩემს სიხარულზე, ტეოდორის სიხარულზე... შენ ამბობ, რომ ივი ჩემს მახლობლად არის? აქ, სულ ახლოს. ჩემთან. ჩემს მკლავზე ჩანოკიდებული, ალუბლით სავსე დიდი კალათივით. მარბ-როზი, ხომ? იც, ვინც მე ამოვიჩიე, რადგან არარაით არ ვიყავი მისთვის ვაჩენალი. არარაით... მისკენ მხოლოდ სიხარულის სურვილი მიზიდავდა. და ხომ ასე წარვიდნენ დრონი, ბეკერ? მე სიხარულისგან მოკვდები, ფინდხი, ცეცხლი, რომლებიც დამდუბავენ, განა სიხარულით, მთელი ამ სიხარულით არ არის გამოწყეული? სიხარულით, რომელიც ცეცხლმოდებულ ზღვასავით მარტყია გარშემო... ოჰ; ბეკერ, ილაპარაკე კიდევ, მითხარი, მითხარი რამე...

— ტეოდორ, — მითხრა ხმაწასულმა მარბ-როზმა, — შენ კანკალე.

— მე ვკანკალებ სიყვარულისაგან. — ვუპასუხე, — ერთმანეთისა კიდევ ვიქნებით, კიდევ ერთხელ, უკანასკნელად?

ვიგრძენი ჩემს სხეულთან მარი-როზის ფეხი. მიხი მკვრივი თეძო.

— ამ ჭოჯობეთში ჩვენთვის ლოგინი კიდევ იქნება.

უეცრად სიფრელენი გამოჩნდა, თავზე ზაგვაღგა;

— წავიდეთ, ჩემო პატარებო, წავიდეთ ჩვენი სახლის დასაცავად ბრბო გადაკვერით და გარეუბნისკენ ვავეშურვთ.

— კარვია, — ვთქვი მე, — წავიდეთ ჩვენსას. იქ იქნება ლოგინი, ჩვენსას, ოთხ კედელ შუა, გარეუბნის შუაგულში.

— გეძინება? — მკითხა სიფრელენმა და წვერი ჩამოიბერტყა. არა-ნეთქი, მე თავი გადავიქნინე, თითქოს იმის თქმა მინდოდა: დაძინება არა, არ მინდა, არამედ ამ ქალის მკერდში ჩაკვრა მინდა. ერთხელ კიდევ, უკანასკნელად მასზე გაწოლა, ტუჩებით ტუჩებზე დჯონება, კედლებს შიგნით, სანამ ეს კედლები დაინგრევა, სანამ ცეცხლი ჩაგვყლაპავს. სიფრელენი წინ მიგვიძლოდა. მე და მარი-როზი უკან მივყვებოდით, ერთმანეთს მიკრულნი, როგორც ორი მთვრალი, და ყოველ ნაბიჯზე ვბორძიკობდით, ალიგრის ქუჩამდე ასე მივედით.

V1

მინებს იქით, მიტოვებულ სახელოსნოში პატარა კუზიანი დავინახე. სხვა პავშევებთან ერთად თამაშობდა და. როგორც წინათ, ყველანი აქ შეკრებილიყვნენ: ფერნანდა, მისი ქმარი, საყურიანი ხურო, მოხუცი ფურიერისტი, გრძელ დაშვებულულვაშიანი, რომანსების მომღერალი. ახლა ის აღარ მღეროდა, სახე დენთისგან გაშავებოდა, გასისხლიანებული შუბლი შეეხვია, მაგრამ მის თვალებში ბედნიერო კუნძულების¹ ცის ანარეკლი დავინახე. მერე ეს ანარეკლი ჩაქრა. მეტი არაფერი ვიცი, თუ რა მოხდა. მარი-როზის ოთახში ვიყავით, დროგამოშვებით ეს ანარეკლი თვალწინ გამოელვებდა. ლოგინზე დავეცი და მარი-როზი ფეხსაცმლის ზონარს მიხსნიდა, შუბლზე მეფერებოდა. გადაწყვეტილი მქონდა მარი-როზი მკერდში ჩამეკრა, მაგრამ ძალა აღარ შემწვევდა. თითქოს საკაცეებს, მკვდრებისა და მომაკვდავების პროცესიას მივყვებოდით უკან. დავდიოდი ლ'ოტელ დიეს გრძელ დერეფანებში: ზღანჯის დერეფანში, ბარბეს დერეფანში... მაგრამ ეს ახალდახატული წარწერები იშლებოდა. „წმინდანები დაბ-

¹ ბედნიერო კუნძულები — კუნძულთა ჯგუფი ატლანტის ოკეანეში. ცნობილია საუცხოო პავით.

რუნდებიან“, ამბობდა წითელქაშიანი მონაზონი. და ისევ საკაცეებს მიუყვებოდი. ანარეკლს ცის დასალიერთან ვეწეოდიო. მერე ყველაფერს ქაოსი ნთქავდა.

როდესაც გავიღვიძე, ბნელოდა. იგივე ღამე იყო, თუ შემდეგი საღამო? მარი-როზს დავუძახე. სახლი ცარიელი იყო. ქუჩაში ბარცადს აშენებდნენ. ჩვენები იქ ვნახე. მარი-როზი, სუფთად გამოწყობილნი. უკანასკნელი ბრძოლისათვის კაბა გამოეცვალა. ზარბაზანი გრიანობდა. ჩვენებიაო, ამბობდნენ. ბისეტრი, პერ-ლა-შეზი. ბუტ-შომონი ჩვენს ზარბაზნებს ეჭირათ და პარიზის მეორე ნახევარს ყუმბარებს უშენდნენ. ვერსალელების ზარბაზნები პანთეონიდან, ტროკადეროდან და მონმარტრიდან გვაძლევდნენ პასუხს. დელეკლუზი და კომუნა მეთერთმეტე ოლქის მერიაში გაიქცნენ. ბასტილია ჭერ კიდევ ჩვენს ზელთ იყო. მაგრამ რამდენ ხანს გამაგრდებოდა იგი? ამ მოლოდინში პატარა კუზიანი თამაშობდა სხვა გამხდარ გოგონებთან, ლანდაღქცულ ბავშვებთან. ქვაფენილის ქვებს შორის, კასრებსა, მიწით სავსე ტომრებსა და წნულ კალათებს შორის. ცა წითელი იყო. ბევრმეტი ყვაროდნენ და იცინოდნენ. სიფრელებმა მითხრა:

— პურის საწყობებსაც ცეცხლი წაუქიდეს.

— ძალიან კარგია, — ვუთხარი. — ესღა დაგვრჩენია, ყველაფერი ცეცხლს მივცეთ.

ის ახრი, რომ ყველაფერი ცეცხლისთვის მიგვეცა. სასაცილოდ მიმაჩნდა. და სულელური, თავშეუკავებელი სიცილი შემსკდა. თვალზე ტრემლები მომადგა. სიცილი რომ დამეძლია, ქვებიანი ურიკა ვაჯგორე და ბარიკადზე დავცალე, მაგრამ კვლავ სიცილი მწყუროდა. პატარა კუზიანი ფეხებში მეცა. ავაცვანე და ვკითხე:

— რას თამაშობ?

— ერთ თამაშობას, — მიპასუხა. არაჩვეულებრივი თამაშობა უნდა ყოფილიყო, რადგან საცოდავს საბრალო ლოყები დასწითლებოდა და, ნარბენი, სულს ძლივს ითქვამდა. მისი მშვენიერი თვალები გამირბოდნენ, ბავშვი სიცილით კვდებოდა. მისი ამხანაგები ჩემს ფეხებთან უცდიდნენ, რომ გამეშვა და თამაში განეგრძო.

— წადი, გაიქეცი, — ვუთხარი და მიწაზე დავსვი. განთავისუფლებული გოგონა ისევ სიცილს მოჰყვა. ბავშვთა გუნდი მიპირფანტა ქუჩის, ქვებისა და ტომრების თვალწარმატებულ ბაღში. ზოგჯერ ისინი ძია სიფრელების სახელოსნოში შედიოდნენ და ნინებში მოჩანდნენ. აღტაცებული იყვნენ, რომ ამოდენა მიტოვებული სივრცე მათი სამფლობელო გახდა. იქ, შიგნით, თითოეული მათგანი ცდილობდა ყვე-

ლასთვის ეჭობნა ყვირილში. პატარა კუზიანი მთლიანად ნეტარებას უძლეოდა.

ასე ნათლად მეტს ველარაფერს ვიგონებ. არ მახსოვს, როგორ გაიარა ღამემ. ამ წუთიდან ჩემს ხსოვნას ერთმანეთთან დაუკავშირებელი სურათები შეჰორჩა. ვიხსენებ მოულოდნელ წუთებს, უდიდესი ადრეუების წუთებს. მაგალითად, იმ წუთს, როდესაც გავიგეთ, რომ მტერი ბასტილიისკენ მიიწეოდა, რომ მას ერთი ბარიკადი აელო, კასტეისის ქუჩა. მტერი გვიახლოვდება. ხელახლა დამიდგებიან თვალწინ კვამლში წითელშარვლიანი ვერსალელები და ვესვრი მათ ხროვას. მარი-როზს სადღაც ძველისძველი თოფი გამოენახა, ქვების გროვანუ დამჭდარიყო და პატარა ბიჭისაგან ამ თოფის სროლას სწავლობდა.

— აინი გვიახლოვდებიან! — ვუთხარი მარი-როზს.

თავი ასწია და შეშინებული, სევდიანი თვალეები მომაპყრო. გვერდით მივეჯექი და მხარზე მივეალერსე.

— ეს კაბა, დღეს რომ ჩაგიცვამს, ღამაზია, — ვუთხარი.

— ეს საზაფხულო კაბაა, — მიპასუხა ღიმილით, — ახლა ხომ ვაზაფხულია? — მერე კეკლუცად განაგრძო: — ყველაფერი ეს რომ არ ყოფილიყო და ჩვენ ერთად გვეცხოვრა, შენ გესიამოვნებოდა, რომ ღამაზი კაბები ჩამეცვა?

— ჰო. მარი-როზ, ბევრს, ძალიან ღამაზ კაბებს გიყიდი.

— შენა გგონია, ჩვენ ბედნიერი ვიქნებოდით? კარვი თჯახი გვექნებოდა?

— დარწმუნებული ვარ.

— ოპ, — ამოიოხრა. — ჯობს, რომ ყველაფერი ასე გათავდა. ჩვენ შორის მეტად დიდი განსხვავება იყო.

— არა, მარი-როზ, არა. განსხვავება არ იყო, და ჩვენ ცხოვრება დიდხანს შეგვეძლო, დიდხანს, მრავალ დღეს, მრავალ წელს.

— შენ ჩემთან. მოგწყინდებოდა.

— არა, ჩემო პატარა მარი-როზ, ჩემო პატარა მარი-როზ! — მან უსაჩიქროდ მოიწყინა, მინდოდა გასცინებოდა.

— ჩემთან. სწორედ შენ მოიწყინდი, — ვუთხარი მას, — შენ იჯექარებდი. რომ მე გართული ვარ ათასნაირი სისულელით, რომ შენთვის სულელურად რთულ რაღაცას წარმოვადგენ...

— რას ამბობ! — თქვა და მხრები აიჩეჩა.

— შენ იცი, — ვთქვი მორცხვად, — რომ... მე ლექსებს ვწერდი?

— ჰო, როგორც ჟულ დე რენო.

— სწორედ, — ვთქვი და ოცნებით წარმოვიდგინე. — შენ რომ უფლ დე რენო შეგყვარებოდა, იგი მოისურვებდა, რაც უნდა დაქლო- შოდა, მისი ლექსები გაგეგო, მათს საიდუმლოებას ჩასწვლომოდი... ოჰ! ეს ძალიან, ძალიან ძნელი იქნებოდა... დაკვირდებოდათ ერთმანეთს გაგება, ზრდა, ზრდა... მას ცოტა აკლდა, მარი-როზ. მე რომ შენთვის ჩემი ლექსები წამეკითხა, შენ მათ გაიგებდი. მერედა რა მნიშვნელობა აქვს! ისინი იქ დარჩნენ, ვიეი-დიუ-ტამპლის ქუჩაზე. შეიძლება; ისინი ახლა იწვიან.

ჩვენ, ორი ბავშვი, ერთმანეთს ვიყავით მიხუტებული, პარიზ-ს სილ- რმეში, პარიზს წავითს ღვარი სდიოდა და იწვიოდა. მომაგონდა: ერთ ხანძარმოდებულ ქუჩაში ქალაღები დავინახე, ცეცხლოვან ქარს მიჰქონდა, ქალაღები მიფრიალებდა. ჩემი ლექსები უეჭველად ამ ჯოჯოხეთში ასე დაცურავდნენ. მარი-როზს ხელზე ზღლი მოვიკიდე. ჩემი ძვირფასი პაწია... ჩემი ცოლი, ჩემი მეუღლე. ცეცხლის ენები. ჩვენს ფეხებს სწვდებოდა, მთელ მსოფლიოს ცეცხლი ედებოდა. მერე შავი უზარმაზარი ღრუბელი ცეცხლის აღს მიმოფანტავდა, უკუნეთი ფარავდა ყველაფერს, სადაც უფერად აფეთქებული ყუპ- ბარის ელვარება შეიქრებოდა გრიალით და ტყაცანით, ცეცხლის ენებს კვლავ ვხედავდით.

— ისინი გვიბლოვებდნენ... — გავიმეორე გულაძგერებულმა. ოჰ! რომ შეხადლებელი ყოფილიყო, ისინი არასოდეს არ მოსულიყვნენ... საუკუნოდ გზაში ყოფილიყვნენ. ჩვენ, მე და მარი-როზი, ვიქნებო- დით მიმალული ჩიხის სიღრმეში. მისი ხელი ხელში მეჭირა; შიშმა შემიპყრო, თუმცა ბრძოლაში ნამყოფი ვიყავი, ვიცოდი, რას ნიშნავდა კვამლში, ბარიკადის მეორე მხარეს, წითელი შარვლების გამოჩენა, მაგრამ მაშინ უკან დასახევი მქონდა: ახლა კი ისინი ჩვენ აუცილებ- ლად ავკრევ-დაგვრევენ. ცეცხლის სისწრაფით მოდიოდნენ, ჩვენ კი, მარი-როზი, მე... ჩემი საბრალო პატარა გოგონა!..

მე ვხედავ მთედანს მეთერთმეტე ოლქის მერიის წინ. ვოლტერის დამცინავ ქანდაკებას, რაღაც სასწაულით ზარაფხანიდან მოსულ, ახა- ლი ფულით დატვირთულ ორ ფურგონს. ეს ფული კომუნის ვანკარგუ- ლებით იყო მოჭრილი. ჩემი უკანასკნელი ხელფასი ამ ფულით მივიღე.

— ამ ფულით შორს ვერ წახვალ! — თქვა ვიღაცამ ხუმრობით.

მერიის ერთ-ერთ კანცელარიაში ყვითელი, ძალწარმეტელი დე- ლეკლუზი ჯერ კიდევ ხელს აწერდა ქალაღებს. მის გარშემო ღრიან- ცელი იყო. საკაცეებით დაჭრილები მოჰყავდათ. კედელზე პროკლა- მაცია იყო გაკრული: „კომუნამ სიკვდილთან შეკრა კავშირი“. და მე-

რე უეცრად ხელახლა ვხედავ ალიგრის ქუჩას, გაჩაღებული ბრძოლაა. ახლა კი ისინი აქ არიან! ისინი აქ არიან! მარი-როზი ჩემ გვერდით ისვრის თოფს. როგორც მე. არ ვიცი, სიფრელები, მისი სიძე და სხვები საით წავიდნენ, მაგრამ მე ვისვრი, ვისვრი და ვიცი, რომ მარი-როზი ჩემთან არის. პირში ცხარე გემო მაქვს დენთისა, რომელიც მათრობს. ყურები მისკდება. ჩვენ ზემოთ, ყველა ფანჯრიდან, გვესერია. უეცრად ნისლი ირევა და, როგორც ციების სიციხის დავარდნის შემდეგ, ვხედავ, რა ხდება ჩემ გარშემო. მე ვხედავ! პატარა კუზიანი გოგონა ეს-ეს არის ქვაფენილზე დაეცა, როგორც გატეხილი სათამაშო, როგორც ენაგადმოგდებული ძალი. წითელმა ღარმა დაუფარა ლოყა და ცხვირი, თავი მხრებში ჩაუვარდა. ეს ნამდვილი პატარა კუზიანია. ტანისამოსდაფლეთილი, თმაგაშლილი ფერნანდა კარებში გამოჩნდება, ღრიალებს, თავის ბავშვს, როგორც ფუთას ხელს წამოავლებს და ერთ ადგილას ტრიალებს. მისი გაჩერება სურთ. ფერნანდას პატარა ცხედარი გაწვდილ ხელებზე დაუსვენებია. ბარიკადზე, ქვების გროვაზე, აფორთხდება, კასრს ჩაეჭიდება, ფეხქვეშ ქვები გამოეშლება, კვამლში აღიმართება. გვამს, როგორც ქვას, ის დააგდებს და თვითონაც მუხლზე ეცემა. იგი კი არ ღრიალებს, წკაფწკაფებს.

უკანასკნელად ვხედავ მის დამანჯულ სახეს, გაწეწილ თმას, დაფლეთილი, თეთრი პერანგიდან შავი და გამხმარი ტანი მოუჩანს. ბოლოს ფერნანდა ბარიკადის მეორე მხარეს დაგორდება. შიშისაგან გაფითრებული სიფრელებისკენ მივბრუნდი, იგი ჩემ გვერდით აღმართულიყო. ზეინკალისა და ჩემ მახლობლად კრამიტი დაეცა. დავინახე, ზეინკალი წინ რომ გადახტა, ზიზლისგან პირი დაეღო, სახე შესცვლოდა, ხელში თოფი ეჭირა, ბარიკადისკენ გაეჭანა. ყუმბარები ისევ გასკდა, ჩვენ უკან გრიალით კედლის ნაწილი ჩამოინგრა და ლოყაზე ალი მომხვდა, თითქოს სილა გამარტყესო.

მე წამოვიძახე:

— მარი-როზ!

მარი-როზის ნახვა მჭიროდა. მე იგი მხოლოდ შორს ვიპოვნე ცეცხლმოღებულ ქუჩებში, უკან რომ ვიხევედით. მარი-როზს ხელში თოფი ეჭირა, გააფთრებისაგან თვალები გადიდებოდა.

— დაინახე? — ვკითხე მას.

ვიღაც ფეხმონგრეულმა აყლაყულამ დაგვიძახა:

— ჯერ კიდევ ბელვილი დაგვრჩა! ეს დასასრული არ არის.

მან წამიყვანა და მარი-როზი ისევ დამეკარგა. ყუმბარა გასკდა. აყლაყულა ოთხად ჩაიკეცა, წამოიძახა: „სკუპ“ და დაეცა. გზა

მარტომ განვაგრძე. წვიმამაც ხელი გამოიღო. მსხვილი მომაბეზრებული წვიმა წანოვიდა, მაგრამ მალე შეწყდა... მენილმონტანზე დავეხეტებოდი, ვეკითხებოდი მეგობრებს, რომლებსაც ვხვდებოდი. სიფრულენი და მისი ქალიშვილი პუებლას ქუჩის ბარიკადთან ენახათ. ამ ქუჩის ძებნა დავიწყე, დავიბენი. ტალახში ფეხები მისრიალებდა. საყულოაწეული ლანდები გარბოდნენ. გვიამბობდნენ, რომ დაპყრობილ ქუჩებში ვერსაღელები ყველას ხოცავენ, ვისაც გადაეყრებიანო, ქალებს. ბავშვებს. პარის ქუჩით ამომავალ ფანტასტიკურ პროცესიას შევხვდი. მებუქენი უკრავდნენ. ჯერ ცხენოსანი ოფიცრები — კომუნარები მოდიოდნენ, მათ თან ახლდა სურსათის ვაჭარი ქალი, ისიც ცხენზე იჯდა, დოინჯემოყრილი, ქუდზე გაკეთებულ ფრთას ქარი ურხევდა; ეს ხომ მარი-როზი არ იყო, ასე რომ თვალწინ დამიდგა, ზღაპრული და პარიზის უკანასკნელი სიმაგრეებისკენ ლტოლვილი, უკანასკნელი კედლებისკენ, რომელთა იქით მხოლოდ პრუსიელების ზარბაზნები იყო? ჩემი თვალი მხედარი ქალის თვალებს შეხვდა, მათ ერთმანეთი ვერ იცნეს. ეს მარი-როზი არ იყო. მარი-როზი მხოლოდ ჩემთვის უნდა ყოფილიყო საბელოვანი, ჩვენი დამეების საიდუმლოებისათვის და ჩემი ბედკრული პირადი ცხოვრების დასასრულისათვის. ამ მშვენიერი ვაჭარი ქალის დანახვაზე შე მანც სიყვარულის თრთოლვამ ამიტანა. იგი მოდიოდა დიდებულის, ერთი ზელით კვლავ დოინჯი შემოეყარა, მეორე ხელით დამბაჩას იქნევდა. ერთ ადგილას გავეშვიდი, მერე კი მხოლოდ ის მოვახერხე, რომ ამ ქალს უკან დავედევნე. მთელი ეს მსგელობა ავსებდა ქუჩას, ვიღაც თმაგაჩეჩილმა არამზადამ მკლავში ხელი ჩამავლო და მე ბრბოში გავერიე. მაშინ დავინახე, რომ ჩვენ წრე შემოგვეკრტყა ტყვეების ჯგუფისთვის, მღვდლებისთვის, ჟანდარმებისთვის, სხვებისთვის, რომლებსაც ტანთ ბურჯუებივით ეცვათ. ერთ მათგანს, ჩემ მახლობლად მყოფს, ღია ლურჯი შარვალი და ცისფერი ხალათი ეცვა, საიდანაც წითელი შალის ჟილეტი მოუჩანდა. ესენი მძევლები იყვნენ.

— ზოგიერთები უკვე მიახვრიტეს ანაწინათ, — მითხრა ჩემმა თანამგზავრმა მთვრალის ხმით. — არქიეპისკოპოსიც...

— ის სამოქალაქო ტანისამოსიანები, ვინ არიან? — ვკითხე მე.

— ჯაშუშები.

ჩვენ რომ ჩავივლიდით, ხალხი ყვიროდა: „სიკვდილი მაგათ“, განსაკუთრებით მღვდლებს ემუქრებოდნენ.

— ღორებო! — უყვიროდნენ ქალები, — ველარ გარყვნით ჩვენს ქალიშვილებს.

მე შევხედე ლურჯნალათიან მძევალს. ფერი დაჰკარგოდა, ბაგე უთრთოდა, ერთი კომუნარი საჯდომზე კონდახს ურტყამდა, წინ მიიდენიდა. ხელდაბორკილი მღვდელი ლოცვებს ლულულულებდა. მის ლოყაზე ნაფურთხი მოწვეთავდა. ზოგიერთებს ხელით პატარა ფუთა მოჰქონდათ. არ იცოდნენ, სად მიჰყავდათ, შეიძლება სხვა ციხეში, ყოველ შემთხვევისათვის, თან წამოედოთ, რაც კი ამქვეყნად დარჩენოდათ. მეც არ ვიცოდი, სად მიჰყავდათ ისინი. მაგრამ ამას გაგება საშინლად მსურდა. დამავიწყდა, რომ პარიზი აღებული იყო, რომ იგი დაეცა და რამდენიმე საათში ქვა ქვაზე აღარ დარჩებოდა. დამავიწყდა, რომ კაცი, რომელსაც ჩემთვის მკლავში ხელი ჩაეკლო, ჩამოხრჩობილის ან დახვრეტილის ლანდი იყო, და მეც უკეთეს რამეს არ წარმოვადგენდი, მაგრამ მე საყვირთა ავისმომასწავებელ ხმას და მშვენიერ ვაჟარ ქალს მივყვებოდი, აღმართზე ავდიოდი. უეცრად მებუქენი დაღუმდნენ და დაფდაფების ხმა გაისმა, საშინელი, სამგლოვიარო ღოლისცემა, რომელიც პირდაპირ ჯიგარს სწვდებოდა. არაფერს ყვიროდა. მხოლოდ დაფდაფების ველური მუსიკა იმზოდა, მკვეთრი, ჭიუტი, დაუნდობელი.

— ჯერ კიდევ შორს არის? — ხმაწართმეულმა ვიკითხე.

— აქსოს ქუჩაზე, — მიპასუხეს.

აქსოს ქუჩა მალა იყო. იქ თითქო მთის ჰაერს ისუნთქავდი. აქ იყო პატარა სახლები, რომლებსაც ქანგმიწით შეღებილი კედლები ჰქონდა, ეზოები, ხის ღობეები, გახუნებული მწვანე ფერი ფოთლების სიმწვანეში ითქვიფებოდა, რომლებმაც გრძელ და ბნელ შესახვევში ჯოგივით შევიტყვრით. შუკის ბოლოში სინათლე გამოჩნდა. ეს ბალი იყო. ფოთლებში ღრმად მოჩანდა უზარმაზარი, შავი კედელი. ჩემ ზემოთ ვაჟარი ქალი ცხენს აჯირითებდა, ხალხში შეიქრებოდა. მისი ცხენის მკერდქვეშ მყვირალა სახეები მობრუნდებოდნენ და იბღვირებოდნენ.

წვიმამ მიწასა და ფოთლებს მთელი მათი სურნელება დააფრქვევინა. თავს დაგვცქეროდა კრიალა, ლურჯი ცა, რომელსაც კედლის კიდესთან ოპალის ფერი დასდებოდა. ჩვენ პირდაპირ სველ მიწაზე იდგა ორმოცდაათი მძევალი. მათ ჩვენს თოფებს სიბინძურით სავსე სანაგვე ორმო აშორებდა. ზევით, პატარა სამრეკლოს წინ, კონტარიკულებიან აივანზე (ასეთი აივნები შვეიცარულ სახლებს აქვთ) ვიღაც ლაპარაკობდა. ვარლენი ვიცანი. მაგრამ ისეთი საშინელი ღრიალცელი იდგა, არაფერი ისმოდა, რას ლაპარაკობდა...

— კმარა! — ჩემ მახლობლად ვიღაცამ დაიღრჩილა საშინელი

ხმით. — ამ უბედურებაში შენ ჩაგვაგდე! ხმა ჩაიწყვიტო, გირჩევიან! ვარლენი გაჭრა და მე მძევლებს შევხედე. მეც მინდოდა ამ ნროვისთვის მესროლა. ხროვაში? არა, ამოვარჩევ, ამოვარჩევ, ყველაზე უფრო დამანაშავეს, მაგალითად, ბანკირს... ბანკირს? ეს მისთვის მსუბუქი სასჯელია. არის ბანკირი აქა? ვიკითხე:

— ევეერი არის მძევლებს შორის?

— არა, — მიბასუხეს, — მას უკვე გაუსწორდნენ.

მაშინ ქანდარმი, ან პოლიციელი, ან მღვდელი. ისინი კი ყველანი ზიზღით და სიძულვილით გვიცქეროდნენ. ისინი ბრძოლის ველზე მოკვდებიან, როგორც გმირები, როგორც მაწანწალების მიერ მოკლული წამებულნი. და მათი სული სამოთხეში ამალღდება, „დასჯა სასამართლოს განაჩენის გარეშე! — თითქოს ამბობდნენ ქანდარმები. — ფორმის დაუცველად. ეს საზიზღრობაა. როდესაც ჩვენ დამანაშავეს ვაპატიმრებთ, ყველაფერი წესიერად ხდება, პატივცემული მოსამართლე სჯის მას. მაგრამ ჩვენ კი თვითონ დამანაშავეებს ჩავუვარდით“. „უფალო, — ამბობდნენ ცისკენ თვალმიპყრობილი მღვდლები, — შეუნდე, რამეთუ არა იციან, რას იქმან!“

— სწორედ მღვდელს ვესვრი, — ვთქვი მეც ჩემთვის.

ქანდარმები, პოლიციელები რომ აქ ყოფილიყვნენ, თვით ადოლფ-ტიერი რომ ყოფილიყო აქ, მათი ამორჩევა შურის საძიებლად სწორედ უფრო ადვილი იქნებოდა. ეს უფრო სამართლიანი იქნებოდა. ისინი თავიანთ სალაროს იცავენ. მე კი ერთი იმათგანი ვიყავ, ვისაც ამ სალაროს ზელში ჩაგდება სურდა. ისინი იყვნენ მმართველები, მტარვალები, ჭალათები. ისინი ღირსებისთვის კი არ იბრძოდნენ, არც იდეისათვის, არამედ ძალაუფლებისათვის, თავიანთი ძალაუფლებისათვის, თავიანთი წესრიგისათვის, თავიანთი ძალისათვის. ამ წუთში კი ჩვენ ვიყავით ძლიერნი. მით უარესი მათთვის.

ბანკირს მთელი ხელისუფლება აქვს თავის საქმისათვის, თუ იგი მოისურვებს, ასი ათას ადანიანს გაგზავნის სასიკვდილოდ მექსიკაში. ეს არ მერყეობს, მაგრამ, თუ მექსიკიდან დაბრუნებულები სადმე კუთხეში მის დაქერას შესძლებენ, რაღა თქმა უნდა, ბანკირს კედელზე შიაპყლებენ.

მე ლურჯხალათიანი მძევალი ნოვანახე. მის მახლობლად ქანდარმი — ბრიგადირი იღვა. მას შვერდი გადმოეზნიქა თითქოს იმისათვის, რომ მეკრდზე დაკიდებული სამხედრო მედალი უფრო გამოეჩინა. ეჰ! ამ საძაგლებს შეეძლოთ ჰკუისთვის ძალა დაეტანებინათ, თავი ანაყად დაეპირათ: ისინი მაინც მტვრად იქცეოდნენ, ეს ცხაღზე უცხა-

დესი იყო. ეს ისე ცხადი იყო, რომ ამ საქმეში ნონაწილეობას ვთა-
ვალბდო.

მაგრამ მღვდლები ჩემთვის მყავდა შემონახული, ჩემთვის ერთი
მღვდელიც კმაროდა. ჩემი სინიდისის სრულიად დასაკმაყოფილებლად
საკმარისი იყო ერთი მღვდლის გვამი. ყველა ეს აზრი, რომელსაც აქ
გაღმოვცემთ, ვავითარებ, ერთმანეთს ვუკავშირებ, ვასაოცარი სის-
წრაფითა და გარკვეულობით გამიღვებდა თავში. ამაზე თურმე ისე
მეფიქრა, რომ არც კი გამოვიდა, და ყველაფერი ეს უეცრად თვალწინ
დამიდგებოდა, მომეკლინებოდა.

მოვიგონე ჩემი ბავშვობა, მამაჩემის ურწმუნობა, დედაჩემის
ღვთისმოსაობა, მაღალ თაღებქვეშ საზეიმო ვალობა. როდესაც მე
პირველად ვეზიარე, ფისგარმონიის ნაზი მუსიკა ხალამოს ლოცვის
დროს. მერე ჩემმა აღზრდამ გაურკვეველ ღვთისმოსაობაში როგორ
ვანიცადა მარცხი, მაგრამ მე მაინც შემრჩა რაღაც ცრუმორწმუნობა-
რივი შიში რელიგიისა. ამ შიშისთვისაც ბოლო უნდა მომელო. განა
ყველაფერთან კავშირის გაწყვეტა, მოშორება არ ვამჯობინე, რომ
მხოლოდ უცნობსა და ახალს მივცემოდი? განა გრძელ გზას არ შე-
ვუღდექი? მაგრამ უკანასკნელად ის, რასაც შეეძლო ჩემი ბედი ყო-
ფილიყო, ნიშანს ნაძლევადა: უკან დაბრუნდიო, საეჭვოდ და გამოსარ-
კვევად ნურაფერს გაიხდიო. „ყველაფერი თავის ნებაზე მიუშვი; —
მეუბნებოდა ეს მოტყუებული ბედი, — შენ ბედნიერი და პატივცე-
მული იქნები. შენ არაფერს მოითხოვ, თავს არაფერს შეეკითხები.
შენს ღამეებს არ ექნება საიდუმლოება. უმანკოება, აი რა გჭირდება
შენ, იცხოვრე უმანკოსავეთ, ცოლი შეირთე, ფული იშოვნე, სხვაზე
ნურაფერზე იღარღებ. დანარჩენი ღმერთს ეკითხება. ვინა ხარ შენ,
რომ ღვთის ნებისყოფას ცდი? თავი გაანებე...“ მე მზრები ავიჩიჩე-
მე? ვინ ბედავს ასეთი საზიზღარი ცდუნებით მომმართოს? ტყვიან
ესროლე! მღვდელს, ესროლე ღვთის მსახურს!.. მაგრამ რატომ?
საბრალო ღვთისკაცმა რა დააშავა? „რა დააშავა? — ჩემს თავს ვუ-
თხარი. — ის დააშავა, რომ არსებობენ ადამიანები, რომლებსაც სწამთ,
და თუ ვინმეს სწამს, მას სიყვარული არ შეუძლია“.

რაო? რას მიედ-მოედები? დიახ, ეს სწორედ ასეა. გწამდეს? იყო
მორწმუნე? რას ნიშნავს იყო მორწმუნე? გწამდეს? იყო მორჩილი?
თვალდავსებული, დაყრუებული, ზოხავდე მორჩილებაში, მონობაში,
მლიქვნელობაში, პირფერობაში? მე თუ მშია? თუ შია ქალს, რო-
მელიც მიყვარს? თუ შიმშილით შინ ბალები მიტირიან? და თუ მე
შინდა გაზაფხულის სურნელებით ისე დავტყბე, რომ არ მრცხვენო-

დეს, სევდით, შიშით შეპყრობილი არ ვიყო? მაშინ ძვირფასი ღვთის-
მსახური გვეტყვის: „გწამდეს, ღმერთი ნოწყალეა, თუნდ შენ საზიზღ-
არი ცოდვილიც იყო. იყავ მორწმუნე, რათა ცოდვები გეპატიოს“.
ჩემი ცოდვები? „ღიას, შენი საშინელი ცოდვები, რადგან ადამიანად
ყოფნა ცოდვა არის“. განა ცოდვაა, რომ გმოიღუეს? მითხარი,
მღვდელი კიდევ ეს მითხარი! არასოდეს არაფერი არ შეიცვლება?
„კი, მხოლოდ ცაში, სიკვდილის შემდეგ. ჰავრამ თავი რა დიდ რა-
მედ წარმოგიდგენია, საბრალო ცოდვილო, ზვიადო ქმნილება?“. მე
თავი წარმომიდგენია ადამიანად, რომელიც, ავო დერვიშო, თავს
ითავისუფლებს ყველა ბორკილისაგან და ყოველგვარ ბოდვა-სიგიჟი-
საგან, ადამიანად, რომელსაც არ უნდა ღმერთი იწამოს და რომელ-
საც არც სურს იცოდეს, რა არის ღვთისმორწმუნეობა, ადამიანად, რო-
მელსაც უნდა ნახოს, რა მოუვა ქვეყანას, როდესაც იგი ღვთისმორ-
წმუნე აღარ იქნება და რა ახალ ცხოვრებას, ქემშარიტად წმინდას,
სპეტაკსა და ღვთიურს მიაღწევს მაშინ!

~ ბოლოს მძევალთა შორის ამოვარჩიე მსხვერპლი: პატარა მღვლე-
ლი, სულ ახალგაზრდა.

მღვდელს შიგ შუბლში დავუმიზნე. კიდევ ვყოყმანობდი. თვალ-
ზე ბინდი გადამეფარა.

ამ დროს ვილაცის ხელმა უხეშად თოფის ლულა ძირს დამიხარა.
სახედამანჭულმა ვარლენმა დამიყვირა:

— კიშ, რასა შვრები? ეგ არ ჩაიღინო, შენ ცენტრალური კომი-
ტეტის წევრი იყავი. შენ არ შეგიძლია, შენ არ უნდა... ისინი გიყები
არიან.

ჩვენ გარშემო თოფების სროლა გაისმა. ღრიალებდნენ, იცინოდნენ.
ზოგიერთი მძევალი თოჯინების თეატრის ტიკინასავით დაეცა. ერთი
მათგანი, ვინც მძევლებს ესროლა, ჩვენ მოგვიახლოვდა და ვარლენს
ხელი მოჰკიდა:

— განა ისინი, ჩვენების დამხვრეტნი, ძალიან გვებოდიშებიან?

ვარლენმა თავისი წითელი სახვევი აიქნია. სახვევი ხელიდან გა-
მოჰკლიჯეს.

— კომუნა აღარ არის!

— შენი არქივისკოპოსიც კომუნასავით მოსპეს.

— მოშორდი, თუ არ გინდა, რომ შენც ისეთივე დღე დაგადგებ.
ვარლენმა მკლავში ხელი ჩამავლო და ძალით წამიყვანა:

— ჩემო პატარავ, — მეუბნებოდა, — ჩემო პატარავ...

ვარლენს ძალიან იშვიათად ვხვდებოდი, მას ახლოს არ ვიცნობ-

ღი. მაგრამ ვივრძენი, თითქოს მასში ვივრძენი ჩემი დაღუპული მეგობრების ნაზი და ძმური გავლენა. რამდენიმე წუთში მე ვარლენთან და კომუნის ზოგიერთ წევრთან ერთად სამიკიტნოში, ბორეგოს ქუჩის კუთხეში, აღმოვჩნდი. მგონი, ვალესიკ და, კიდევ არ ვიცი ვინ, ჩვენი ამხანაგები, მაგიდას უსხდნენ და ჭამდნენ. მტირალი მიკიტანი ქალი ემსახურებოდა მათ. თოფის ყოველ გავარდნაზე შეხტებოდა ხოლმე. დამსვეს. ჭიქა ღვინო დამალევიანეს. მაშინ მე თოფი გადავაგდე. ხელი ვტაცე ჭიქას, დავცალე, მერე მიწაზე დავანარცხე და გაცოფებულმა ფეხებით მსხვრევა დავუწყე. შემდეგ მაგიდაზე დავემხე, სახე ხელებით დავიფარე და ავქვითინდი.

— შეცდი, ვარლენ, — უთხრა ერთმა კომუნართაგანმა, — შეცდი, იქ რომ წადი.

— მე არ ვნანობ, — თქვა ვარლენმა და ჩემზე მიუთითა. — მე ამას სისულელე არ ჩავადენინე.

— ჰო, მაგრამ ახლა იტყვიან, კომუნის წევრები იყვნენო.

— ჩვენზე იმდენ რამეს იტყვიან! — ამოიოხრა ვარლენმა. მას მშვენიერი სწორნაკეთიანი და მშვიდი სახე ჰქონდა.

სიფრელენს რა მოუვიდა, ხომ არ იცით-მეთქი, ვკითხე მას. არაფერი იცოდა. მერე დელეკლუზზე ილაპარაკეს.

— ისიც კინაღამ დაგლიჯეს, — თქვა ვარლენმა. — ამას სჩადიან ისინი, რომლებიც ხვალ ვერსალელებს მიესალმებიან და ჩვენ ამოგვკლტენ.

— მე ვნახე, როგორ მოკვდა დელეკლუზი, — დაიწყო მეორემ. — აიღო ჯოხი, დაიხურა ცილინდრი, შარფი შემოიხვია, შატო ღოს ბარიკადებისკენ წავიდა, იგი იმეორებდა: „მე აღარ მინდა სიცოცხლე“.

— ვერმორელი?

— მოჰკლეს.

სროლის ხმა და ყვირილი თანდათან გვიახლოვდებოდა. მერე დროგამოშვებით ვალსის ნაწყვეტები ისმოდა. ეს პრუსიელების ორკესტრები უკრავდნენ გლასისის მეორე მხარეს.

ისევ წვიმა წამოვიდა. მიკიტანმა ქალმა დარაბები დაკეტა. ჩემ გარშემო ჩურჩულებდნენ.

მეორე დღე, მზაბათი... ჯერ მონაცრისფრო ნისლი იდგა, მერე მზე გამოჩნდა, მაგრამ მე ძვალბილში სიცივეს ვგრძნობდი და ვიმეორებდი, მეშინოდა არ დამვიწყნოდა, თითქოს სიკვდილის კართან უკანასკნელ პაროლს მკითხავდნენ. „ბუშოტ-ბელვილი... ბელვილი“ და გარშემო მიმოვიხედე. ეს, ეს იყო ბელვილი? ჩვენი სახლები, ჩვენი

ქუჩები, ჩვენი ბაღი? მე პერ-ლა-შეზის სასაფლაოში ვიყავი ჩაკეტილი. ჩემ წინ, აღმართზე, ლელვის ხეივანში, ტალახში მოსვრილი ლანდები ზარბაზნის მიაგორებდნენ. მძიმე ფეხსაცმელები უსხლტებოდათ. აღმართს ავეყევი. უკან რომ მოვიხედავდი, დაბლა უზარმაზარ უფესკრულს ვხედავდი, აბოლებულსა და წითელს, სროლა ისმოდა... მე აღარ ვიცოდი, იბრძოდნენ თუ არა, არც ისა, თუ სად იბრძოდნენ, ან რატომ, მაგრამ რაღაც დაუსრულებელი და სამგლოვიარო უნდა მომხდარიყო. შემსანსლავ ხახას უნდა ჩავეყლაპე. უეცრად მარტო აღმოვჩნდი, რაღაცნაირი სიჩუმით გარემოცული დაკლავნილი ხეივნის მოსახვევში ვიდექი. გარშემო მწვანე ფოთლები მერტყა. ცაში მალაღლი კვიპაროსები აღმართულიყო და ძეწუნების საფარქვეშ საფლავები უწესრიგოდ, გულისამაღლელებლად იყო მიმოფანტული. ძალიან რომანტიკული ელფერი ჰქონდა იქაურობას: ეს ურნები, რიკულები, ქვძს მოფარდაგება. გადამტვრეული სვეტები და დამქვანარი ყვავილები. სამლოცველოს მინებზე მზის სხივი ციმციმებდა. თვალს ვხუჭავდი, ზარბაღ ვისუნთქავდი ანწლის სუნს. რაღაც უცნაურმა ჩიტმა ქიკიკი დაიწყო.

ერთი სამლოცველოს კარი შევადე და საკურთხეველთან დავჭექი. თოფი ხელში მეჭირა და ამ საფარში დიდხანს ვიყავი მკვდრების მფარველობის ქვეშ. დროგამოშვებით შორს თოფის სროლა ისმოდა მე არაფერს ვფიქრობდი, არაფერზე ფიქრი არ მსურდა. სულ ვლულლულებდი პაროლს. ზოგჯერაც მარი-როზის სახელს. მარი-როზი? არა დაემართა იმ ხნის განმავლობაში, რაც მე მკვდრებს შორისა ვარ? მე უკვე დავიწყე იმის დავიწყება, თუ ცოცხლების წინაშე რა მოვალეობა მაქვს და როგორ უნდა ვებრძოლო მათ და როგორ უნდა მიუვარდეს ისინი. ვგრძნობდი ჩემ გარშემო როგორ ირყეოდა სველი მიწა, და სიყვარულზე ფიქრი, რომელსაც მარი-როზის მშვენიერი ტანინელ-ნელა გამოეცალა, ითქვიფებოდა ჩემთვის მხოლოდ ამ შავ მიწაში, რომელსაც ბალახის, ანწლისა და შავი ბზის სუნი ასდიოდა. ეს მიწა ყველგან ამოვსებული იყო ძვლებით, რომლებიც ის-ის იყო მტვრად უნდა ქცეულიყო. თავი მიბრუოდა და ჩემ გარშემო ყველაფერი ტრიალებდა. „რომელი საათია?“ ვკითხე ჩემს თავს. ნაშუადღევის სამი საათი იქნებოდა. „წინ კიდევ მთელი ნაშუადღევი მაქვს“, — ვფიქრობდი. მთელი ნაშუადღევი? რაში მჭირდება? მერე დავიწყე იმ მკვდრების გვარების კითხვა, რომლებთანაც სტუმრად ვიყავი. იქ იყო მთელი ოჯახი, თარიღები, მოოქრული სახლები... ეყენი, არტური —

ბენედიქტი... უან-ვიქტუარი... ლური-ადრიენ-მარი... მარი, მარი-როზ, დაკარგული მარი-როზი.

ამ გარინდებსაგან თავი უნდა დამეღწია, რაღაცას ვცდილიყავ, კიდევ მებრძოლნა. მებრძოლნა. მთელი ჩემი სიცოცხლის მანძილზე, დიახ, რასაკვირველია, მთელს სიცოცხლის მანძილზე. როდესაც ბრძოლას დავასრულებ, მაშინ სიცოცხლესაც დავასრულებ. სხვებმა ხომ დაასრულეს თავიანთი სიცოცხლე: მაქსიმმა, ბეკერმა, ყველამ, ვისაც შევბვედრივარ, თვით მოხუცმა ჟორანმაც, ყველამ, ვისთვისაც ვზრუნავდი და ვინც ოდნავ ჩემი ნაწილი გახდა. როგორც ისინი წავიდნენ ჩემგან, მეც უშეძლო ჩემს თავს გავცლოდი, ჩემში აღარავინ იყო. აი ეს არის სიკვდილი. სიკვდილი იმათთვის, ვინც ვიყვარდა, ეს ნიშნავს სიკვდილს თავისთვის, ზოგიერთები ასე ამბობენ: სიკვდილი სიყვარულისთვის. მე მოვკვდები მარი-როზისთვის. გიჟივით წამოვიჭერ, თოფს ხელი წამოვავლე, და ახლა ვფიცავ, რომ მარი-როზი არასოდეს წყვარებია ისე, როგორც ამ სიგიჟისა და სიბრაზის დროს, არასოდეს მარი-როზი არ ყოფილა ჩემში ისე, როგორც იმ წუთში, როდესაც თმაწვერბოზრდილს თმა თვალებში მეჩხირობოდა. კბილთა ღრქენით ბუნაგიდან გამოვედი. მზე ბრწყინავდა. ფოთლებისა და საფლავების უკან ყვირილი ისმოდა, იქით გაიქცევი ძახილით: „ვის ვაუზარჯოს?“ მერე დავიძახე: „ბელვილს! გაუმარჯოს კომუნას!“ უზარმაზარ სასაფლაოს ძეგლს მოფარებული კომუნარები უკანასკნელ ტყვიებს ისროდნენ. აღმართზე, საფლავებს შორის, ვერსალელი მსროლელები გაფანტული წყობით მოიწვევდნენ. დავუმიზნე, ვესროლე. მერე, რადგან ისინი კვლავ ზევით იწვევდნენ, ჩვენც ზვით ავიწიეთ და აქა-იქ სამლოცველოებს მოვეფარეთ. ერთი ვერსალელი უეცრად ჩემკენ გამოექანა. ვესროლე: ნადირივით დაიბღავლა და დაეცა. დაბლა, შავ ღრუბლებში, პარიზი იწვოდა. რაღაც სულელური განცდა მქონდა, გულზე მომეშვა. „ეჰ, — ჩემთვის ვთქვი. — ყველაფერი ეს ჩქარა გათავდება, პარიზი მთლიანად დაიწვეება და აქ კი საკმარისია ყოველ ვერსალელს, რომელიც კი გამოჩნდება, ვესროლოთ და მოვკლათ, და მერე? პარიზი რომ დაიწვეება და ყველა ვერსალელს გავანადგურებთ, მაშინ რა მოხდება? მაშინ ეს გათავდება“. ამ დროს მიტრალიების გრიალი გავიგონე.

— კარგად გვაყრიან — ჩაიჩურჩულა ჩემ მახლობლად კომუნარმა.

— ვინ ისერის? — ვკითხე.

ყელში ხელი იტაცა და საფლავის ქვაზე დაეცა. მე მუცელზე განვერთხე, ვცდილობდი გამეგო, საიდან ისროდნენ. თხმელის ბუჩქს

უკან დავინახე ჩემკენ მოშვერილი თოფის ლულა. სროლა გავიგონე და გავიფიქრე: „ამაცდინა“ მერე დავეუმიზნე ჩემ წინ აღმართულ სახეს, ჩემ მახლობლად მომაკვდავი ხრიალებდა.

წამოვდექი და განვაგრძე აღმართზე ასვლა. ისევ გაისმა მიტრალიეზის გრიალი, ერთფეროვანი, გულისგამაწყალებელი. „რა არის ეს ბოლოს და ბოლოს?“ — წამოვიძახე გაბრაზებულმა. მართლაც გამაბრაზებელი იყო ეს ხმაურობა... მერე ზარბაზანმა დაიკრგვინა. მე მივფორთხავდი საფლავეებსა და ხეებს შორის. ერთმა კომუნარმა უეცრად თოფი და კეპი დააგდო, მერე თავისი წითელი ნიშნების გლეჯას შეუდგა.

— ყველაფერი დაიღუპა! — დამიძახა, — ახლა ყველამ თავის ტყავს უშველოს.

საფლავის ქვას გადააღაჯა და ფოთლებში მიიწალა. მეც მინდოდა მას გავყოლოდი, შეიძლება იცოდა, საით მიდიოდა, შეიძლება იცოდა, თავი როგორ დაეღწია. მან სცენა მიატოვა, რომ პიესა უნიკოდ დასრულებულიყო. იგი აღარ თამაშობდა. მერე ისევ გაისმა ყუბბარის აფეთქება, მე ისევ მუცელზე დავეცი და თოფი ანგარიშმითუცემლად გავტენე. მერე ვისროლე. აქ კიდევ ცარიელი ადგილია ჩემს მებსიერებაში. ან უფრო სწორი ის არის, რომ მე აღარ შემიძლია თბრობა განვაგრძო და, ჩემი მოვონების ამ ადგილს რომ ეუბნოვდები, დაუძლეველი ძალა მაიძულებს შევამოკლო და ჩემ მიერ უკანააქნელად ნახულს მივადგე. ეს რჩება ჩემში საუკუნოდ, როგორც სასოწარკვეთილების განაახიერება. მართლა ვნახე ესა? ეს მე ვიყავი, რომელმაც ეს ნახა? სიზმარში ხომ არ ყოფილა? ან ჭოჯობითი? ჭოჯობითს, სიკვდილს უმალ ხომ არ ვავეცნობივარ? ან ოდესმე ვინ ანბნის რანაირ ქვეყანაში მიცხოვრია? ახლა რას ვაკეთებ? ამბავს ვყვები? ვბოდავ? შეიძლება ყველაფერი ეს მონაჭორია ერთი საწყალი მვოცნებისა, რომელიც თავის საკუქნაოს, ვიეი-დიუ-ტამპლის ქერას, არ მოსცილებია. მას მოეჩვენა, რომ ყველაფერი ეს განიცადა. რადგან სწორედ ასეთ ადგილებში, სადაც ერთი სკამის, მაგიდის, ლოგინისა და ცუთხეში თაროზე დამალული ქალაღის გრაჯნილის მეტი სხვა არაფერი მოეპოვება, სწორედ ამგვარ ადგილებში მოეჩვენებათ ასეთი რამ. დიახ, საკმარისია მაგიდა, სკამი... ფანჯარა, ეზოს რომ გადაპყურებს. საათები გადის, და ყოველგვარ უცნაურსა და საშინელ რადაცას წარმოიდგენ. მარი-როზს, პარიზის ხანძარს, პერ-ლა-შეზის ბრძოლას. როგორ ეღერს ეს სიტყვები! პერ-ლა-შეზის ბრძოლა. ნუ-ჟუ, დრო რომ გაივლის, ამ ბრძოლაზე ისე ილაპარაკებენ, როგორც

სხვა ბრძოლებზე — აუსტერლიცზე, ვატერლოოზე.. როგორ მოეპყრობიან, დრო რომ გაივლის, იმ ადგილებს, სადაც ასეთი ხოცვა-ჟლეტა მოხდა? ნუთუ კიდევ გაბედავენ პერ-ლა-შეზი სასათლაოდ დატოვონ, სადაც დამარხავენ პატივცემულ ადამიანებს, რომლებიც სულელურად თავისი სიკვდილით მოკვდნენ, თავის ოჯახში? და დამარხნენ თავისიანებს შორის? ეყენი-არტური-ბენედიქტი, ენავიქტუარი, პაპები, ბიძები, ბიძაშვილები? ყველაფერი ეს სიგიჟეა, და ყოველივე იმაში, რაც მე სიგიჟე ვნახე, იგი, რასაც ახლა ვიტყვი, უველაზე მეტი სიგიჟეა.

იმ დროს, როდესაც თანდათან საფლავებს შორის სროლით უკან-უკან ვიხევი, უფრო ზევით-ზევით ავდიოდი, უფრო და უფრო ნათლად ვგრძნობდი, რომ რაღაც გაუგონარს ვნახავდი და ეს იყო დასასრული, დიახ, დასასრული. ძნელი გასაგები უნდა იყოს, რას ნიშნავს ეს სიტყვა: დასასრული. მაგრამ მე ვიცოდი, რომ ამ სიტყვას მიუხედავად, რაღაც საშინელი და შემზარავი შეგნება მეუფლებოდა, შეგნება დასასრულისა. კომუნარი, რომელმაც აი ახლა თოფი გადაფოდო, ნიშნები აიგლიჯა და განზე გადგა, იგი დასასრულამდე წავიდა. ის, რასაკვირველია, დასასრულს ვერ ნახავდა. მაგრამ მე იგი უნდა ვენახა, იქამდე უნდა მივსულიყავი. უეცრად მივედი დასასრულამდე. ნიადავი ყოველი მხრით გადაბრუნებული იყო. დახნული, ამონათხარი, უზარმაზარი ორმოებით დასერილი. ის-ის იყო, სანგრებიდან ამოვედი, თითქოს იმისთვის, რომ იმ სცენის დონეზე დავმდგარიყავი, სადაც არაჩვეულებრივი წარმოდგენა ჩატარდებოდა. ასე ვიდრეკი კვამლსა და გამაყრუებულ ღრიანცელში. ვერსაღელებს ზარბაზნები მთელ თავის ცეცხლს ანთებდნენ. გარშემო შავი ადამიანები ფუსფუსებდნენ. ჩემი უკანასკნელი ამხანაგები მერყევ კედელთან წამოდგნენ, შეჯგუფდნენ, ისმოდა მათი უკანასკნელი ძახილი, თვალი მოვკარი სიფრელენს, მის გაშლილ თეთრ წვერს და მის გვერდით მარი-როზს. თვალზე ხელს იფარებდა, ქარი თმას უწეწავდა, და მარი-როზი ჩაიკეცა, მეც ორად მოვიკეცე. მხარში უეცარმა ტკივილმა გამკრა და ტალახში დავეცი.

ნ ა წ ი ლ ი მ ე ს ა მ ე

როდესაც გონს მოვედი, ღამე იყო. სახე ცივ ტალახში მქონდა ჩაფლული, ხელი გავეანძრე და ტკივილისაგან წამოვიყვირე. მერე, როგორც იქნა, ბარბაცით წამოვდექი. მხარში ვიყავი დაჭრილი. თავზე გუშაგის ჩრდილი წამომადგა. დავინახე, გუშაგმა თოფი მხარზე მიიდო, გაისმა სროლის შეკვეთი ხმა. მიწისკენ დავიხარე და დიდხანს არ გავენძრეულვარ, მერე გზას გავუდექი, გუშაგი გაქრა. წინდოდა იქით წავსულიყავი, სადაც მეგვდრები ეყარა, მაგრამ სანგარში ჩავვარდი, იქიდან ამოძვერი, ხეივანში ვიბეტილვარ, მერე ქუჩაში მოვხვდი. დაცარიელებული ქუჩის კუთხეში მთვარის შუქზე წავიკითხე დაფაზე წარწერა: დასვენების ქუჩა. იქ დაკეტილდარაბებიანი, დაბალი სახლი იყო. დავაკუნე. მოხუცმა ქალმა ვამილო. მას ბიცილა გასპარდის ეძახდნენ. ხელპირა დამბანა, გერმანიაში ტყვედმყოფი თავისი ბიჭის ლოგინში ჩამაწვინა, მერე ჩემი ტანისამოსი და ფეხსაცმელი გადასამალავად წაიღო სარეცხის ქურჭელში. მითხრა, იქ ვერ ნახავენო. თავისი ბიჭის ტანისამოსი მომიტანა და ლოგინთან დამიწყო, გარეთ ბათქი გაისმა, „გესმის, მათ ხერეტენ!“ მითხრა ბიცილა გასპარდმა. მორჩილად ვაკეთებდი ყველაფერს, მთვარეულივით. ბიცილა გასპარდმა სანთელი ჩააქრო და სიბნელეში დავრჩი. დაუსრულებელი ღამის შემდეგ, იგი ისევ მოვიდა ჩემთან, დარაბა გააღო და სპირტით კრილობა მომბანა, დიდი ტკივილი ვიგრძენი. მერე გავიდა და ისევ შემობრუნდა. შეწუხებული სახე ჰქონდა. ბიცილა გასპარდი პატარა, კეთილი მოხუცი იყო, თავი კატას მიუგავდა. მან მითხრა, მთელ ქუჩას ჩხრეკენო, უბნის მცხოვრებნი დაჰყვებიანო ჯარისკაცებს ჩხრეკის დროს. შენ უნდა გაიქცეო. ისევ დამბანა ხელები, ზეთით ლიბრები დამიზილა, თოფის სროლის დროს მხარში კონდახის მოხვედრით რომ გამიჩნდა. თავისი შეიღის ტანისამოსი ჩამაცვა. ცოცა

განიერი იყო, მაგრამ არა უშავსო, მითხრა. დიდხანს ვიდრეით კარს უკან. ვიციდიით, რომ ქუჩა დაცარიელებულიყო, ბოლოს გარეთ გიწოდებდი.

ყველა სახლში დარაბები გამოეკეტათ. ერთი ქუჩის კუთხეში მკვდრების გროვას წაგაწყდით, სახე გაყვითლებოდათ, პირი დაეღოთ, კბილები დაეკრიჭათ, რაც მათს სახეს სულელურ გამომეტყველებას აძლევდა, განსაკუთრებით, თვალღიადარჩენილ მკვდრებს, რომლებიც უსიცოცხლო და ჩამქრალი თვალებით ბრმებსა ჰგავდნენ. შავი, გულისამრევი ნაკადულები ტროტუარს ზოლებად მიჰყვებოდა...

ჩემი გაქცევის წვრილმანებს არ მოგიყვებით. სამუდამოდ დავიღუპებოდი, სანიტარული ეტლი რომ არ შემხვედროდა. გავაჩერე, პენსანიანი მსხვილი ექიმი, რომელსაც სახელოზე, წითელი ჭვარა ჰქონდა, ჩამოვიდა და შემხედა. დაველაპარაკე, რა ვუთხარი, ზუსტად არ ვიცი. ჩემი სატრფოს სანახავად მივდიოდი ბასტილიაში და როდის ტყვია მომხვდა მხარში, შეხევეა მჭირდება-მეთქი.

— შენს ხალათზე ვერავითარ ნატყვიარს ვერა ვხედავ.

მე ვდუმდი. მან განაგრძო.

— გაიხადეთ ხალათი.

მე ხალათის გახდა განვიზრახე, მაგრამ ტყვიელისაგან ხელი ვერ ავამოძრავებ. ექიმმა მხრები აიჩეჩა და მითხრა:

— ამოდი.

ჰოსპიტალში ორი დღე გავატარე. ეს მსხვილი და ჩუმი კაცი ქედ-მალღური ზიზღით მკურნალობდა. მესამე დღეს ჰოსპიტალში ოფიცერი შემოვიდა, ხელში ჯოხი ეჭირა.

— აქ აჯანყებულები გყავთ, — უთხრა ექიმს. — ამისთვის შემოიძლია დაგზავრიტოთ.

ლოგინებიდან დაქრილებმა თავი წამოჰყვეს. ექიმი და ოფიცერი მეზობელ ოთახში გავიდნენ. მათი კამათი მომესმა. ამ დროს პალატა ჯარისკაცებით აივსო. ჩემ გვერდით ერთი დაქრილი მოჰკლეს ღოგინზე, თოფი დააბალეს. სხვა ოფიცრები შოვიდნენ და ჯარისკაცებს დარბაზი დააცლევინეს. მსხვილი ექიმი მოვიდა, სულ გაწითლებული. შუადღისას მითხრა:

— შენ მორჩენილი ხარ, შეგიძლია გაგვეცალო.

ჩაცმაზე თვითონ მომეხმარა. მონაზონმა ხელში პატარა ხატი მომაჩეჩა, და ისევ ქუჩაში დავრჩი.

სენასთან გავედი; აუსტერლიცის ხიდის მახლობლად. ჯერ კიდევ სინათლე იყო და მდინარე წყალზე გაწოლილი გრძელი, წითელი ზოლკ-

ბის დანახვა შეიძლებოდა. თვალმოკუტული ვცდილობდი დამენახა ძველი პარიზი, შორეული, ფოლადისფერი. მღონარისაყენ დაეხარე, მისი ბრტყელი და წებოვანი ზედაპირის ანაორთქლს ვისუნთქავდი. წყალში გადაღარდნის სურვილი დამებოდა. მერე გზა განვაგრძე. დროგამოშვებით ზელს მხარზე ვიჭერდი, იმ ადგილას, სადაც ჭრილობა ჯერ კიდევ ღია იყო. ცოტა ტკივილს რომ ვგრძნობდი, მსიამოვნებდა. ვერსაღეღების პატრულმა ბოტანიკურ ბაღთან დამიჭირა.

დამე საღლაც სარდაფში ჩამაგდეს. მეორე დღეს კი სამხედრო ტრიბუნალის წინ წაგდექი. ერთი პატარა კაპიტანი პირში პაპიროსგაჩრილი, სათითაოდ აგვხედ-დაგვხედავდა და დამყავებული ხმით იტყოდა: — შიაცოლეთ.

მაშინ მისჯილს ბაღში დასახვრეტებს მიაყრლებდნენ. დროგამოშვებით სხვადასხვაობისთვის ამბობდა:

— ეს შეიძლება ბოლოსთვის შემოვიწინაოთ.

მე ერთი იმათგანი ვიყავი, რომლებიც ბოლოსთვის შემოინახეს. იმ დროს, როდესაც ბაღში თოვს სროლა ისმოდა, ზურგზე ხელები დამაკრეს და რამდენიმე ჩემისთანა საწყალთან ერთად მთელი პარიზი შენობატარეს. აქ რა მოსატანია ის ლანძღვა-გინება, რითაც გზაში გვიმასპინძლებოდნენ კაპასი დედაკაცები, მღვქნეები და უსაქმურები. დიდი წარმატება გქონდა. ჩემ გვერდით მომავალი მღალი ქალიშვილი. თმაგაშლილი, რომელსაც შიშველი ხელები მაგრავ უჭონდა ბაწრით შეკრული, კვწესოდა:

— მე თქვენ ვეუბნებით, რომ ეს რძის ჭურჭელი იყო. რძის ჭურჭელში კი ნავთს არ ასხამენ, ვაიგეთ...

მე მოწმედ მასახელებდა. ჩვენი საბადრავო რაზმი სიცილით კვდებოდა.

ხეებთანწერივებულ ქუჩას რომ მივყვებოდით, სადაც სკამები ერთიმეორენე დაყრილი გვამებით იყო დაკავებული, ბაღრაგის ერთმა ჯარისკაცმა ძითხრა:

— შურტალო! ამათი დამარხვაც შეიძლება ჩვენ მოგვიწიოს. ის აქვენთვის, ბინძურებისათვის, უნდა დაეჯაღებინათ!

იქ მკვდრები ყოველნაირ მდგომარეობაში იყვნენ: ხელებჩამოკიდებულნი, ფეხებგაშლილნი, მათთვის ფეხსაცმელი გაეხადათ, უხეში, ზოლებიანი წინალები. ანდა ტიტველი ბინძური ფეხები მოუჩანდათ. გამძალტყავებული ძაღლები მკვდრებს ცნობისმოყვარეობით ყნოსავდნენ. გარშემო ბუზები ბზუოდნენ. ყოველივე ამას ვუცქეროდი და არაფერი გამეგებოდა. სახლების დახეთქილი ფასადებიც მიმავალთ

ვაშტერებული გვიცქეროდნენ. მოედანზე გრძელი აფიშებით აჩიჩქნილ კედელთან, აყვავებული წაბლის ხეები რომ დასცქეროდა, ჯარისკაცთა ათეული სამი კაცის დასახვრეტად ემზადებოდა. ყვირილმა, თოფის გრიალმა ჰაერი დაფლტოა. სამი პერანგიანი დახვრეტილი, ბოლში გახვეული, დაიკრუნჩხა და სახეგამაგებელი, ღრიალით დაეცა. ორი ოფიცერი უცქეროდა დახვრეტას და პაპიროსს აბოლებდა. ჩვენ რომ გავიარეთ, მეც დაეცქერდი ოფიცრებს, მერე ზურგში მიბიძგეს. შემდეგ ისევ სახლები, სენა, მაღალ ნაპირთან მეთევზე ანკესით თევზაობდა, ძალიან ცხელოდა. ცა სევდიანად მოკუპრულიყო.

ისევ სარდაფში ჩავყარეს. იქ ერთმა ტყვემ მიაშპო როგორ ხვრეტდნენ ხალხს განურჩევლად, როგორ დახოცეს, ამოქლიტეს კომუნარები ლობოს ყაზარმაში, ლუქსენბურგში, სენ ჟაკის კოშკში. ცეცხლის წაქიდებისათვის შეპყრობილი ქალიშვილი ჩვენ გვერდით ჩაცუტქებულიყო და რძის ჭურჭლის შესახებ რაღაცას ბოდავდა ხეორე დღეს ვერსალის გზას ვაგვიყენეს... ერთიმეორის მიყოლებით მივიდიოდით დაუსრულებლივ. ჩვენ შორის იყვნენ ქალები, ძალაგამოღებული ცხოველებივით ოხრავდნენ, ერთმანეთზე ხელებგადაბმული მილასლასებდნენ. გრძელკაბიანი ქალები კაბის კალთების აწეევს ვერ ახერხებდნენ. გალანტერიის მაღაზიას რომ ჩაუვლიდნენ, ქალები კართან მდგომ ვაქარ ქალს ემუდარებოდნენ, ერთი წყვილი გრძელი წინდები მოგვეციო, რადგან მათ ფეხსაცმელები და წინდები დახიოდაო და ფეხშიშველა მიდიოდნენ. ცეცხლისწამკიდებელი ქალი ისევ ბოდავდა. ამ ქალის გაშლილ თმას რომ ვუცქეროდი, უეცრად სხვაგვარმა ტკივილმა შემიპყრო, ჩემი ფიზიკური ტკივილი გადამავიწყა. პერ-ლა-შეზის შემდეგ ეს პირველად იყო, რომ მარი-როზი გაუჩნსენე. ხანგრძლივ გარინდებას თითქოს თავი დავალწიე. ეს საშინელება იყო.

— ფრჩხილები დააძვრეთ მაგათ! — დაიყვირა ვიღაც მეძავმა ქალმა. ჩვენ რომ ჩავიარეთ, ქოლგით დაგვეშუქრა. მომეჩვენა, თითქოს ჩემს თითებს ფრჩხილები მოსძვრა და მხარზე ჭრილობიდან სისხლმა ითქრიალა. ეს როსკიბი კარგი გოგონა იყო. მსუბუქი კაბა ეცვა. მისმა ქოლგამ ფრინველის ნათელ ფრთასავით ჩამიქროლა. მეძავის ფეხთან ცხენის მძორი ეგდო. თვალი ავარიდევ. მივყვებოდით გრძელ, დამწვარ, პირდაღებულ ფასადებს, როდესაც ბარიკადის ნანგრევები გადაგველობებოდა, მისთვის გვერდი უნდა აგვევლო. ერთმანეთს რომ დავეჭახებოდით, ბაწარი, რომლითაც შეკრული ვიყავით, ხელებს გვიხეხავდა, ჩვენ ებორძიკობდით.

ლამუეტს მივალწიეთ. იქ ერთი ბრწყინვალე გენერალი გვიციდოდა,

თაფლა ცხენზე შემჯდარი. ოდნავ მსხვილი კაცი იყო, სახედაწითლებული. ჭალარა თმა ბუძგად ჰქონდა შეკრებილი, მისი მუნდირის გრებილის მსგავსი შავი ულვაში აეწყობა. გვექრდავდა. მერე მასზე ამბობს: ჰყვებოდნენ: გენერალს ჭალარათმიანი ტყვეები მწკრივიდან გამოჰყავდა და იქვე ხვრეტდა, რადგან ისინი, ალბათ, 48 წელს იბრძოდნენ, მაშასადამე, რეციდივისტები არიანო, დახვრეტილებს ორმოში ჰყრიდნენ. ვხედავდი: ათეული თოფს უმიზნებდა და საცოდავები ბოლში გახვეულნი ეცემოდნენ, თვალზე ხელს იფარებდნენ. ეს დასახვრეტთა ინსტიტუტი მოძრაობა იყო. ასე მოიქცა მარი-როზიც... ოპ, იქ, ოპ, ღმერთო, არ ვიცი, ეს როდის მოხდა.

ბრწყინვალე გენერალი ცხენით ჩაუვლიდა ქალებს, დარდიმანჯულად დაიხრებოდა და ეუბნებოდა:

ქალბატონო, მე ხშირად ვყოფილვარ თეატრში და ვალიარებ, რომ თქვენ მელოდრამული ნიჭი გაქვთ. მაგრამ თქვენ მიერ გათამაშებული კომედია გულს არ ეკარება.

შემდეგ თეატრალური კილოთი მეფისტოფელური ხარხარით ტირილდას იწყებდა:

— თქვენ, ეი, მონჰარტრის ბრბოვ.

გენერლის ზურგს უკან, გზის პირად, კარის ზღურბლზე ჩვენი მსვლელობის დასასრულს უცდიდნენ აღგზნებულნი, ვერსალს ლტოლვილნი, ბულვარდიები, მწერლები, ვაჭრები, მაღალი საზოგადოების ქალები. მხოლოდ მაშინ, როდესაც პარიზი გადმომანთხედა თავის უკანასკნელ ტყვეებს, იქ ტვინდაცლილი გვამები დარჩებოდა, პარიზის ბურჟუაზია მხოლოდ მაშინ შესძლებდა პარიზში შესვლას, გენერალს მარკიზ დე გალიტეს — ფრანგთა ჭარის სიამაყის სისხლიან ნაკვალევზე.

მე გვერდს ვუვლი სატორში გატარებულ დღეებსა და ღამეებს, ტალახსა და ყოველგვარ სიბინძურეში ცხოვრებას. პირუტყვთა ვაგონი, რომლითაც ვემ-საპყრობილესაყენ მივყავდით, ერთიმეორეს მიჰქეპყილნი, ჭანმრთელი და ავადმყოფი ერთმანეთზე მიყრილი, გიჟი ქალები და მამაკაცები იმათ გვერდით, რომლებსაც ჭერ კიდევ ჰქუა შერჩენოდათ. ამ დროს თავს ვეკითხებოდი, რა სჯობდა: მარი-როზზე მეფიქრა იმისათვის, რომ კიდევ უფრო ძლიერი ტკივილით ჩემი ტანჯვა გამეჭარებინა, თუ აღარაფერზე მეფიქრა და თავისთვის ძალა დამეტანებინა, უსულო საგნად ვქცეულიყავი, რათა აუტანელ ბედისწერას გავმკლავებოდი, დაუსრულებლად ვყოფილიყავი უძრავად, მოკრუნხული, დამტვრეული უპაერო კოლოფში და მეთმინა ჩემ პირდაპირ მყოფი ძემგლად ქცეული ქალის სიახლოვე. იგი ცდილობდა თავისი

ჩველი შვილისათვის პატარა ადგილი ეპოვნა, რომ არ დახრჩობოდა, მისთვის გამშრალი ძუძუ მოეწოვებინა. ეს პატარა ბიჭი რომ არ დამენახა, პირს ვიბრუნებდი. მაგრამ მისი ყვირილი ყურს ესმოდა. თუ ყვირილს დავიწყებდით. ჟანდარმებს ნაბრძანები ჰქონდათ ტიხრის კუჭრუტანებიდან ჩვენთვის თოფი ესროლათ. ამიტომ ბავშვის დაღუმნებას ვცდილობდით. დედაც გულის დამფლეთი სიტყვებით ეძუდარებოდა ბაღს, დაწყნარდით, მაგრამ ის არ იყო ისეთი უსიცოცხლო ნივთი, როგორც მე. ის იყო ცოცხალი არსება, პატარა ბნელი გონების პატრონი, რომელიც იტანჯება, ყვირის, რომელსაც სიჩუმიტა და არარაობით არ ძალუძს თავის შეზღუდვა. არ შეუძლია, თავისი არსებობა ქვეყანას არ ამცნოს. ლეკვით წკმუტუნებდა. მაშინ გიჟი ქალებიც ღრიალს მოჰყეპობდნენ, და ჟანდარმები ტიხრს აკაყუნებდნენ, კუჭრუტანაში რევოლვერის ლულა გამოჩნდებოდა. ისეთი არეულობა შეიქნებოდა, თითქოს ფოლადის ჯავშანი უნდა აფეთქდესო. სროლის ტყაცანი გაისმოდა და ყველაზე უფრო შუშლილის სახეს სისხლის ნაკადი დაედინებოდა. მგზავრობა ახალ საშინელებაში უნდა გავევკრძელებინა.

— აი, რამდენიმე თვეა, რაც ნუს კუნძულზე ვარ. ყველაფერ ამას ვწერ ჩალანარევი თიხით ნაშენ ქოხში. ჩემმა მეგობარმა, ვიეი-დიუტანაშლის მეკარემ, რომელმაც სასჯელი აიციდინა, გადმომიგზავნა ჩემი ლექსები და უბის წიგნაჲ, რომელშიც ალყაშემორტყმული პარიზის დღიურს ვწერდი. მაგრამ მე ვერაფერი გავიგე ნათესავებზე, ვერც სხვებზე. დროდადრო ჩემს ლექსებს გადავიკითხავ ხოლმე. ახალი აღარ დამიწერია. ხანდახან ამხანაგების გასართობად სახუმარო ლექსებს თუ დავწერ.

კარგი გართობა კი იყო, პატარა ლექსების წერა, ან ნაცნობ კილოზე ჩვენი მცველების წინააღმდეგ სიმღერების შეთხზვა, რაც საერთო მოგონებებსა და იმედებს იწვევდა... ამით ძალიან ვერთობოდით. ეს იმას მოასწავებს, რომ ჯერ კიდევ გვაქვს გამჟრიახი გონება, რომელიც ადამიანისა და მღვთმარეობის სასაცილო მხარეს ამჩნევს, რომელიც ყოველგვარ გარემოებას იყენებს და რომელსაც უნარი შესწევს რაღაც შექმნას იქ, სადაც არაფერია. მხოლოდ სიმღერა, ახალი სიმღერა, და ის ამხანაგებს აცინებს, ესმით მისი აზრი, იმეორებენ სიმღერას და ერთმანეთს თვალს ჩაუკრავენ. სხვა ვერაფერს ვაიგებს, თუ რას ეხება ჩვენი სიმღერა, რას გულისხმობს ეს ნაცნობი წერილმანი. ეს სიმღერა მხოლოდ ნუს კუნძულის პატიმართათვის არის, პლანეტის მეორე ბოლოს. ეს სიმღერა მხოლოდ მათ ეხება, ისე, როგორც

მხოლოდ მათთვის არის ცის ფანტასტიკური ლაქვარდი, ეს მოვარდისფრო-მოლურჯო გორაკები და წითელი შიწა. მხოლოდ მათთვის არის ეს ტყე, სადაც ისინი შესვლას ბედავენ. ტყის სიბნელეს დაკლავნილი ლიანები მოსდებია. საოცარი რამ არის ეს ლიანები. მათს ძლიერებას რომ უკვირდები, ამ დროს ლანდის მეტი არაფერი ხარ, ჩემსავით სუსტი ლანდის მეტი, ოდნავ შემოსილი, რომელსაც პერანგისა და შარვლის მეტი არაფერი გააჩნია და მთვლემარესავით დალასლასებ ფეხშიშველი. ლიანები ყოველნაირი ფერის ყვავილებით იფარებიან: თეთრით, ყვითლით. ეს ყვავილები ცის მნათობივით ფართოა და ხილივით მძიმე. არის ოქროს ვაშლიანი ლიანები და ლიანები ფუქსია, რომლებიც ხის კენწეროებს აღწევენ და თოვლივით თეთრი გირლანდებით ამკობენ. არის ლიანები, რომლებსაც პატარა პაშილორის მსგავსი ნაყოფი ასხია, მუწწითელი და მბრწყინავი, ნაყოფის კანი გასასკდომად დაჭიმულა. მოწიანად მცენარეებს შორის უფერად ხე ეცემა, ნაეუწ-ნაეუწად ფეთქდება და ამ ხიდან უცნაური მწერები გამოძვრებიან იმისთვის, რომ მაშინვე, როგორც კი პაერს შეეხებიან, დაიხოცონ. ბუზები ბზუიან. მთელი ეს სიბნელე თრთის და სუნთქავს. ზღვის ნაპირზე ვბრუნდები, ხის ჩრდილში ვეცემა ძალაგამოლეული. ობოლ ბორცვზე. იისფერ წყალმცენარეს თავი ამოუყვია, ზღვის ყურე აღმასივით ციმციმებს. აქ, მართლაც, ძალიან შორსა ვარ, ვერაფერს ვხედავ, ვერაფერს ვგრძნობ. უსაზღვროა სივრცე და სინათლე, მაგრამ ეს ჩემთვის არაფერია. მის გარეშე ვერაფერს ვხედავ.

მზე ჩადის. დიდებულ სურათია. იგი მხოლოდ ჩემთვის ეშვება. და თითქოს მე აქ არ ვიყვე. მატყუარა ნიავე ერთს ჩაიჭროლებს, მერე გაქრება, დამე ჩამოწვება. საათები გადიან. მივალ ჩემს ქოხამდე, იქნება ცოტა ჩამეძინოს. ქილობზე დავეგდები, რომ ოფლად გავიღვარო. ანთებული თვალების დახუქვას ვერ ვახერხებ, ვერც ყელის დასველებას, სუნთქვაშეკრული. ხვალ ისევ ვნახავ ამ ცას, ზღვას და მის უსაზღვრო ყურეს. აქ ძალიან კარგად ვარ. აქ დავრჩები მუდამ. აღარ მინდა იმ ქვეყანაში დაბრუნება, საიდანაც მოვედი, რადგან ეს ქვეყანა ისეთი უცხო და შორეულია, რომ შემეძლია მოულოდნელ სასწაულს ველოდო. მხოლოდ ეს მაძლევს ნებას ვიცოცხლო კიდეც მცირე ხანს, ვიცოცხლო და გავბედო იმაზე ფიქრი, რომ სულ მცირე ხანს ვცოცხლობ, თითქოს აზრი ჰქონდეს სიცოცხლეს, რადგან იმ ქვეყანაში, საიდანაც მოვედი, ყველა დაიხოცა. მაგრამ ეს ქვეყანა ისე უცხოა და შორეულია, რომ აქ შემეძლია მარი-როზის შეხვედრის იმედი კიდეც მქონდეს.

რედაქტორი მ. რუხაძე
მხატვარი ზ. დვისაძე
მხატვრული რედაქტორი აკ. თევზაძე
ტექნიკური რედაქტორი ლ. ჭელიძე
კორექტორი მ. მალანია
გამომშვები ნ. თათარაშვილი

ს. ბ. 4589

გადაეცა წარმოებას 07.04.86. ხელმოწერილი დასაბუქდად 19.02.87. საბეჭდო
ქაღალდი № 2. 60×84¹/₁₆. გარანტიური ვენა, ბეჭდვის ხერხი მაღალი, პირობითი
ნაბეჭდი თაბახი 18.60. პირ. საღ.-გატ. 18.95. სააღრ.-საგამომც. თაბახი 17.72;
ტირაჟი 40.000. შეკვ. № 4263

ფასი 2 მან.

გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“
თბილისი მარჯანიშვილის 5.

საქართველოს სსრ გამომცემლობათა, ბოლოგრაფიისა და
წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის
ქუთაისის ბოლოგრაფიულ საწარმოო გაერთიანება
ქ. ქუთაისი, ა. ჭავჭავაძის პროსპექტი, 33.

Кутапское полиграфическое производственное
объединение Государственного комитета по делам издательства,
полиграфии и книжной торговли Грузиянской ССР,
г. Кутаиси, пр. И. Чавчавадзе, 33.